ივ. ჯავახიშვილი

საქართველოს ეკონომიური ისტორია

წიგნი მეორე

მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა

სურათებით

ფედერაცია

ტფილისი 1984

კორექტორი } სტ. მენთეშაშვილი
გამომშვები }

გადაეცა სტამბას 1931 წ.
ბეჭდვა დასრულდა 1934 წ. სექტემბერს
ზომა—7×11
მთავლიტის რწმუნებული—№ 3404
შეკვეთა—№ 418
ტირაჟი—5000

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა"-ს სტამბა.

ბაღის ექვსი სურათი. გადმოღებულია „ქილილა და დამანას“ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგის ქართული № 68 ხელთნაწერითგან, რომელიც სამეც. აკადემიის სააზიო მუზეუმშია დაცული. გადმოხატულია მხატვარ დ. კაკაბაძის მიერ.

წინასიტყვაობა

სამი წლის განმავლობაში ბეჭდვის შემდგომ, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" წინამდებარე მეორე წიგნი, როგორც იქმნა, დამთავრდა. ამ წიგნში წინასწარი ვარაუდით უნდა მიწისმოქმედების მიმოხილვა დამთავრებულიყო, მაგრამ მევენახეობის მიმოხილვას იმოდენი ადგილი დასჭირდა, რომ, არამც თუ მეხილეობის, თვით მელვინეობის მეორე წიგნში მოთავსებაც-კი შეუძლებელი შეიქმნა: წიგნი 600 გვერდს გადასცილდა და, გამომცემლობისაგან განსაზღვრული სიდიდის გამო, მელვინეობის მიმოხილვა მესამე წიგნისთვის უნდა გადამედვა.

ამ წიგნის მოჭარბებული სიდიდე იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ ძველი საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის დასახასიათებლად აუცილებლად საჭირო წინასწარი გამოკვლევები თითქმის არ არსებობს. არც ბოტანიკურად და არც აგრონომიის ისტორიის თვალსაზრისით ჩვენი სასოფლო მეურნეობის წარსული მარაგი შესწავლილი არ ყოფილა. უამისოდ-კი სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაზე მსჯელობა დაუსაბუთებელ დებულებათა ცარიელი გროვა გამოვიდოდა. ამიტომ, ან უნდა ძველი საქართველოს ეკონომიკაზე მსჯელობისათვის თავი დამენებებინა, ანდა ბოტანიკური და აგრონომიული საკითხების შეძლებისდა გვარად გარკვევა მეცადნა. ხელის სრულიად აღებას ამ ჩემთვის ფრიად სამძიმოსი და ზედმეტი მუშაობის გაწევა ვირჩიე. ამისთვის სათანადო სპეციალური მწერლობისა და წყაროების შესწავლა დამჭირდა, იძულებული ვიყავი აუარებელი დრო და ენერგია შემელია ისეთი საკითხების გამორკვევისათვის, რომელიც ბოტანიკოს-აგრონომების მოვალეობას შეადგენს. ამიტომაც არის, რომ ამ წიგნში ბევრი რამეა, რაც უფრო აგრონომიის ისტორიას შეჰშვენის, ვიდრე წმინდა ეკონომიურ ისტორიას. მაგრამ, რაკი ჩვენში სასოფლო მეურნეობის ისტორიის მკვლევარი არსადა ჩანს და ამისთვის აუცილებელი წყაროების ენათა ცოდნაც ჯერ არავის გააჩნია, ასეთი ზედმეტი ტვირთის თავითგან აცილება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხების გარკვევის დროს ბოტანიკურ-აგრონომიული ცნობები მხოლოდ იმდენად არის განხილული, რამდენადაც ეს ძველი საქართველოს სასოფლო მეურნეობის რაობისა და ეკონომიკის ვითარების შესაფასებლად იყო აუცილებლად საჭირო. ვითარცა ენისა და ისტორიის მკვლევარი, ყველგან, ენათმეცნიერული და ისტორიული მეთოდების გამოყენებით, ვცდილობდი ისეთი საკითხები გამომერკვია, რომელთა სხვა საშუალებით გამორკვევა შეუძლებელი იყო. უადგილობამ მაიძულა ზოგი რამე გამომეტოვებინა, რაც ამათუიმ საკითხის უფრო მეტს გაშუქებას ხელს შეუწყობდა. კერძოდ მევენახეობის დარგში სპარსეთისა და არაბეთის მევენახეობის მიმოხილვის გამოტოვება მომიხდა, თუმცა ამისთვის სპარსული წყაროებითგან საგულისხმო ცნობები მქონდა ამოკრეფილი. მწყინს, რომ მელვინეობის ამავე წიგნში მოთავსებაც ვერ მოხერხდა და ამის გამო ძველი საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის სრული სურათის გადაშლა და ვითარების დახასიათება შეუძლებელი შეიქმნა.

სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის ისტორია ველური მცენარეებისა და პირუტყვების გაშინაურებისა და თანდათანი გაუმჯობესებისათვის მუშაობასაც გვისურათებს. ამიტომ ყოველი ამის შესახები გამოკვლევა ადამიანის კულტურის ისტორიასაც აფართოებს და აღრმავებს. რაკი კვლევა-ძიების ეს სფერო ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია, ამიტომაც მის შესწავლას ყველგან ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა და აქვს ეხლაც მიქცეული და ამ დარგში გაცხოველებული მუშაობა წარმოებს: ისტორიკოსებსაც, არქეოლოგებსაც და ბოტანიკოს-ზოოლოგებსაც თავთავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი. ჩვენში-კი არც

ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს, არც ბუნებისმეტყველებს, გინდა აგრონომებს, ასეთი საკითხების შესწავლისათვის ხელი არ მიუყვიათ. მეტის თქმაც შეიძლება: ძველი სამარხების გათხრის დროს სასოფლო მეურნეობის კულტურის ნაშთებს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, ამის გამო მომავალ მკვლევართათვისაც-კი თითქმის არაფერია დაცული. აუცილებლად საჭიროა, რომ ამ საკითხს ამიერითგან მაინც ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და განათხარში გადარჩენილი სასოფლო მეურნეობის ყოველგვარი ნაშთები მზრუნველობით შეგროვებული, დაცული და შესწავლილი იყოს. სხვათაშორის ამითაც ვხელმძღვანელობდი, როდესაც ამ წიგნში ყველგან სასოფ. მეურნეობის მცენარეთა ისტორიის მოკლე მიმოხილვა მაქვს მოყვანილი: ამ ზოგადი ცნობების გადაკითხვაც ადამიანს დაარწმუნებს, რომ ყოველს ცალკეულ, წვრილმან მცენარესაც მეურნეობისა და კულტურის ისტორიაში თავისი მნიშვნელობა აქვს და ყურადღების ღირსია.

ვინც „საქ. ეკონ. ისტორიის“ ამ წიგნს გულდასმით გადაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია და იმ ხანაში, რომელსაც ეს წიგნი ეხება, მისი საქმიანობა ამ დარგში საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა. თუ აქამდის ჩვენ უცხოელებთან უმთავრესად ბრძოლის ამბები ვიცოდით, ეხლა უკვე ვრწმუნდებით, რომ ამას გარდა მეურნეობის სფეროში მათთან ურთიერთობაც ყოფილა და, პოლიტიკური ბრძოლისდა მიუხედავად, მარტო მეზობელთა-კი არა, არამედ მოწინააღმდეგეთა ქვეყნებითგანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობაში თავისი წვლილი შეუტანია.

„საქ. ეკონ. ისტორიის“ ამ მეორე წიგნის წერის დროს ტფილისში სპეციალური სამეცნიერო მწერლობის უქონლობაცა და წინათ შეკრებილი ცნობების სიმცირეც მეტად საგრძნობი შეიქმნა და ამის გამო სხვადასხვა პირების, რომელთაც თავიანთი სპეციალობის დარგში ჩემთვის საჭირო წიგნები ჰქონდათ და ჩემთვის საჭირო ცნობების შევსება შეეძლოთ, არა ერთხელ მომიხდა შეწუხება. ამიტომ ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ყველა ამ პირთ აქაც გულითადი მადლობა მოვახსენო, უპირველესად პროფ. სოლ. ჩოლაყაშვილს, რომლის მდიდარი წიგნთსაცავით სარგებლობამ დიდად გამიადვილა მუშაობა, პროფ. იულონ ლომოურს, პროფ. ს. ყაუხჩიშვილს, პროფ. ლ. მელიქსეთბეგს, დოც. ვლ. მენაბდეს, დოც. ალ. მაყაშვილს, საქ. მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების გამგეს პავლე ინგოროყვას, მცხოვან აგრონომებს ერმილე ნაკაშიძესა და ვასილ ბიბილაშვილს, საქ. მუზეუმის წიგნთსაცავის თანამშრომელს ქრისტინე შარაშიძეს, საქ. მუზეუმის ძველი ნაკერების განყ. გამგეს იროდიონ სონღულაშვილს, მგოსნებს იოსებ გრიშაშვილსა და იოსებ მჭედლიშვილს, საქ. მუზ. თანამშრომლებს გ. ბოჭორიძესა და სტ. მენთეთაშვილს და სხვებსაც, რომელნიც ამ წიგნში სათანადო ადგილას მოხსენებული მყავს. კორექტურის გასწორებით დავალებული ვარ გ. ბოჭორიძისა (გვ. 1—128) და სტ. მენთეშაშვილისაგან, რომელთაც აგრეთვე მადლობას მოვახსენებ. ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ბეჭდვის მრავალგზის შეწყვეტა-განახლებამა და სტამბაში ყველა საჭირო შრიფტების უქონლობამ ამ წიგნს თავისი დაღიც დაასვა და კორექტ. შეცდომებითაც დატვირთა. ამ წიგნს დართული აქვს I და II წიგნების საძიებლები, რომელთაგან I წიგნისათვის დოც. ნ. ბერძენიშვილის, ხოლო II-ისა სტ. მენთეშაშვილის შედგენილია. ორივეს ამ მძიმე ტვირთის შემსუბუქებისათვის გულითადს მადლობას მოვახსენებ. აგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნი გამომცემლობა „ფედერაციას“ ამ წიგნის დაბეჭდვის გამო.

ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1934 წ. 19 ივლისს.

შემოკლებული და ქარაგმიანი სიტყვებისა და სათაურების განმარტება

ათ. ალ. = ათონის ქართ. მონასტრის ალაპები.

არხ. მოგზ. = ე. თაყაიშვილი არხეოლოგიური მოგზაურობანი I, 1907 წ.

Arm. Gr. = Armenische Grammatik.

Арх. Экс. = Е. Такаишвили, Археологическія экскурсіи, разысканія и заметки.

გგრ'ფა = გეოგრაფია.

Вг = виноградарство.

Вд = виноделие.

დასტ., ან დასტურ. = დასტურლამალი მეფე ვახტანგ VI-ის, პ. უმიკაშვილის გამოც.

დ. კარიჭ. = დ. კარიჭაშვილის გამოც.

ДРК = Дикорастущие растения Кавказа.

F. O. = Flora Orientalis.

ისტ'რნი და აზ'მნი = ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იხ. მარიამ დედოფ. ქ'ცა, ე. თაყაიშვილის გამოც.

ისტ. საბ. = ისტორიული საბუთები გამ. ს. კაკაბაძის მიერ.

ИАН = Известія Российской Академии Наук.

Keimena = Monumenta Hagiographica Georgica, Pars prima Keimena Tom. I... edidit Prof. Kornelius Kekelidze Tiflis 1918.

Kpf. und Ht = Kulturpflanzen und Haustiere 8. Auflage 1911 წ.

ლატიშევ, ან ლ. SC = Латышев Scythica et Caucasica.

მ. გ. = მეგრული გრამატიკა პროფ. ი. ყიფშიძისა.

მ'ქცა ქ'ა = მოქცევაჲ ქართლისაჲ.

МАК = Материалы по ампелографии Кавказа.

Мгхэлак. Вост. Грузии = Материалы по изучению географии хлебных злаков Восточной Грузии в связи с их зональностью. В. Менабде.

МИЭБГКЗК = Материалы по изучению экономического быта госуд. крестьян Закавказского края.

Опис. = Описание рукописей „Общества распространенія грамотности среди грузинскаго населения", შედგ. ე. თაყაიშვილის მიერ.

Reisen = D. Johan Anton Güldenstädt Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge 1787 და 1791 წ. გამოცემა.

R. — E. = Paulys Real-Encyclopädie.

р.˝— с. сл. = Русско-сванский словарь.

საქ. სამ. = საქართველოს სამოთხე მ. საბინინის გამოც.

ს˝ქს სძ˝ველნი = საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტ. გამოცემული.

СбСвВгВдК = Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе.

СбСвК = Сборник сведений о Кавказе.

СМОМПК = Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

ТР = Тексты и разысканія по Армяно-Груз. филологіи.

ТрКОбсх = Труды Кавказ. Общ. Сельского хозяйства.

ქ˝კბი = ქრონიკები გამ. თ. ჟორდანიას მიერ.

ქ˝კსა = ქორონიკონსა.

ქ˝ცა = ქართლის ცხორება.

ქ˝ცის გაგრძელ. = ქართლის ცხორების გაგრძელება.

შიომღ. საბ. = შიომღვიმის მონასტ. ისტორიული საბუთები, გამოც. თ. ჟორდანიას მიერ.

ც˝ა მ˝ფსა ვხ˝ტნგსი, ან ვხ˝ტნგ გრ˝გრსლსჲ = ჯუანშერი, ცხორება მეფისა ვახტანგ გორგასლისაჲ, იხ. მარიამ დედოფ. ქ˝ცა ე. თაყაიშვილის გამოც.

ც˝ჲ გ˝ი მთ˝წმდლისჲ = ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, იხ. ათონის კრებული, საეკლესიო მუზ. გამოც.

ც˝ჲ გგ˝ლ ხან˝ძთლსჲ = ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ნ. მარრის გამოც.

ც˝ა დ˝თ გრჯ˝ლსჲ = ცხორება დავით გარეჯელისაჲ.

ც˝ ი˝ე ზედაზნ. = ცხორება იოანე ზედაზნელისაჲ.

ც˝ჲ ი˝ესი და ეფთ˝მსი = ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი, იხ. ათონის] კრებული.

ც˝ა მეფეთა = ლეონტი მროველი, ცხორება მეფეთა, იხ. მარიამ დედოფ. ქ˝ცა.

ც˝ა მე˝ფსა დ˝თსი = ცხორება მეფეთ მეფისა დავითისი, იხ. მარიამ დედოფ. ქ˝ცა.

ც˝ა სრპ˝ნ ზრზ˝მლსჲ = ცხორება სერაპიონ ზარზმელისაჲ, მ. ჯანაშვილის გამოც.

Voyage = Voyage au Mont Caucase et en Géorgie par M. Jules Klaproth Paris 1823 წ. გამოცემა.

Ф. К. = Флора Кавказа.

ჭ. გ. = ჭანური გრამატიკა, ნ. მარრისა.

რიცხვის წინ დასმული * ხელნაწერის გვერდს აღნიშნავს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა

შემოკლებული და ძარაგმიანი სიტყვებისა და სათაურების განმარტება VII

მემინდვრეობა (დასასრული) 1—97.

შესავალი. პარკოსან მარცვლეულობის კულტურაზე საქართველოში ზოგადად 3—4.

თავი I. წყაროებში დაცული ზოგადი ცნობები ძველ და თანამედროვე საქართველოში გავრცელებულ პარკოსან მარცვლეულთა შესახებ 4—8

თავი II. ცერცვი და ცერცვნაირნი 8—14.

I. ც ე რ ც ვ ი: 8—10: § 1. ცერცვის რაობა 8. § 2. ცერცვის მნიშვნელობა ძველად და მისი კულტურის მაშინდელი ინტენსივობა 8—9. § 3. ცერცვის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 9, § 4. ცერცვის ჯიშ-სახესხვაობანი 9—10. § 5. ცერცვის გავრცელების ასპარეზი ძველსა და თანამედროვე მსოფლიოში 10.—II. ც ე რ ც ვ ე ლ ა 10—11: § 1. ცერცველას რაობა 10. § 2. ცერცველას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 10—11.—ხ ა ნ ჭ კ ვ ა ლ ა, თ ე რ მ უ ხ ი დ ა ლ ო პ ი ნ ა რ ი 10—14: § 1. ცნობები ხანჭკუალასა, თერმუხსა და ლოპინარზე 11. § 2. ხანჭკვალას რაობა 11—12. § 3. ლოპინარის სადაურობა 12—13. § 4. თერმუხისა და თერმიას სადაურობა 13. § 5. ხანჭკვალას მავნე თვისება 13. § 6. ხანჭკვალას გავრცელების არე 13—14.

თავი III. ოსპი 14—18.

§ 1. ცნობები ოსპის შესახებ და მისი რაობა 14. § 2. ოსპის გავრცელებულობის ინტენსივობა ძველად 14—15. § 3. ოსპის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 15—16. § 4. თეთრი ოსპი 16. § 5. ოსპის თანამედროვე კლასიფიკაცია და გავრცელების არე მსოფლიოში 16. § 6. ოსპის გავრცელების არე ძველად 16—17 § 7. მეცნიერთა მოსაზრებანი ოსპის თავდაპირველი სამშობლოს შესახებ 17. § 8. ოსპის სამშობლოს პრობლემის გამორკვევის სიძნელე ისტორიული ცნობების გაუთვალისწინებლივ 17—18. § 9. ზოგადი მოსაზრება საქართველოში არსებული ოსპის ჯიშების შედარებითს ხნიერებაზე 18.

თავი IV. კნდური და კდურნაირნი 18—36.

I. კ ნ დ უ რ ი 18—20: § 1. ძეგლებში დაცული ცნობები კნდურის შესახებ 18—19 § 2. კნდურის რაობა 19—20.—II. ბ ა რ დ ა დ ა ნ ე ც ი ნ ლ ე დ ა რ 20—23. § 1. ცნობები ბარდაზე და მის რაობაზე 20—21, § 2. სვანური ნეცინ ლედარ-ის რაობა 21. § 3. ბარდას სადაურობა და ძირითადი მნიშვნელობა 21—22. § 4. ბარდას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 22. § 5. ბარდას გავრცელების არე ძველსა და თანამედროვე მსოფლიოში 22—23.—III. მ უ ხ უ დ ო დ ა ე რ ე ვ ი ნ დ ი 23—29: § 1. ცნობები მუხუდოზე 23. § 2. მუხუდოს სადაურობა და რაობა 23—24. § 3. ერევინდის სადაურობა და რაობა 24—25. § 4. ერევინდისა და მუხუდოს სახელების ქართულში შეთვისებულობის შესაძლებელი მიზეზი 25. § 5. მუხუდოს ძველ საქართველოში გავრცელებულობის ინტენსივობა 25—26. § 6. მუხუდოს გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 26. § 7. მუხუდოს ჯიშები საქართველოში 26—27. § 8. მუხუდოს თეთრი

და ფერადი ჯიშების ქიმიური შედგენილობის განსხვავება 27. § 9. მუხუდოს გავრცელების არე ძველ მსოფლიოში 27—28. § 10. მუხუდოს გავრცელების არე თანამედროვე მსოფლიოში 28-29. § 11. მუხუდოს გავრცელების მიმართულება და კულტურის სადაურობა საქართველოში 29, § 12. ერევინდისა და მუხუდოს საქართველოში გაჩენის ხანა და პირველი შემთვისებელი თემი 29.—IV. საკადრისა და უკადრისა და ცულისპირა 30—36. § 1. ცნობები საკადრისაზე 30. § 2. საკადრისას რაობა 30—31. § 3. უკადრისა და ცულისპირა 31. § 4. ცულისპირას ბოტანიკური რაობა 31. § 5. ცულისპირას გავრცელებულობის ინტენსივობა ძველ საქართველოში 32. § 6. მცდარი ცნობები ცულისპირას მავნე თვისებაზე და ცულისპირას უკადრისად სახელდების შესაძლებელი მიზეზი 32—33. § 7. ცულისპირას გავრცელებულობის არე თანამედროვე საქართველოში და ჯიშები 33. § 8. ცულისპირას თავდაპირველი ჯიში ჩვენში 33. § 9. ცულისპირას გავრცელების არე ძველ მსოფლიოში 33—35. § 10. ცულისპირას გავრცელების თანამედროვე არე მსოფლიოში 35. § 11. საქართველოში გავრცელებული ჯიშების მიკუთვნილობა და ხნიერება 35-36.

თავი V. ძაძა 36—39.

§ 1. ცნობები ძაძას შესახებ 36. § 2. ძაძას ბოტანიკური რაობა 36—37. § 3. ძაძას კულტურის ინტენსივობაზე ძველი ქართული ცნობების უქონლობა 37. § 4. ძაძის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 37. § 5. ძაძის კულტურის ხნიერების საკითხი საქართველოში 38. § 6. ძაძას სახელის აღმნიშვნელობის განმარტება 38. § 7. ძაძას სამშობლო და გავრცელების არე ძველად 39.

თავი VI. ლობიოს შესახებ არსებული ლიტერატურა 39—42.

§ 1. უძველეს ქართულ წყაროებში ლობიოს შესახებ ცნობების უქონლობა 39. § 2. უძველესი და შემდეგდროინდელი ცნობები ლობიოზე საქართველოში 39—40. § 3. დას. საქართველოში XVII—XVIII ს. ს. ლობიოს გავრცელებული ჯიში 41. § 4. ლობიოს კულტურის ინტენსივობა და გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 41. § 5. არსებული ცნობები საქართველოში გავრცელებული ლობიოს ჯიშ-სახესხვაობათა და მათი სახელების შესახებ 41-42.

თავი VII. ლობიოს კლასიფიკაცია და მის ჯიშ-სახესხვაობათა ქართული ხალხური სახელები 42—45.

§ 1. ლობიოს კლასიფიკაციის პრინციპები 42—43. § 2. ლობიოს ქართული ხალხური სახელების რაობა 42—45.

თავი VIII. ლობიოს საქართველოში არსებული სახელების ანალიზი და ნამდვილი მნიშვნელობა 45—51.

§ 1. ლობიოს მორფოლოგიური თვისებების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: კუტი ლობიო, ბარდიანი და უბარდო ლობიო, სარისა და სიმინდის ლობიო 46-47. § 2. ლობიოს პარკისა და მარცვლის ქსოვილის თვისებების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: კონა, უბეწვო და ჩენჩა ლობიო 47—49. § 3. ლობიოს მარცვლის მორფოლოგიური თვისების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები; ლაბაშა და ტკიპა ლობიო 49—50. § 4. ლობიოს შეფერადების დამახასიათებელი ტერმინები 50. § 5. ლობიოს ჯიშების სადაურობის აღმნიშვნელი სახელები 50—51. § 6. ლობიოს სახელების ანალიზით მოპოვებული შედეგი 51.

თავი IX. ლობიოს სადაურობის პრობლემა ზოგადად და საქართველოში 52—54.

§ 1. საკითხი ლობიოს სადაურობაზე ზოგადად 52—53. § 2. ლობიოს სადაურობა საქართველოში 53—54.

თავი X. მაშა-ცერცვი, მაშა-ლობიო 54—56.

§ 1. ცნობები მაშას შესახებ და მისი რაობა 54—55. § 2. მაშას, ანუ ცეცქას სადაურობა 55-56. § 3. ამ მარცვლეულის გავრცელებულობის თანამედროვე არე და სახესხვაობანი 56.

თავი XI. ბაკლა, ანუ ვირგლა 56—57.

§ 1. ბაკლას, ანუ ვირგლას რაობა 56—57, § 2. ბაკლას გავრცელების არე და სახესხვაობანი 57.

თავი XII. უგრეხელი 58—60.

§ 1. ცნობების სიმცირე უგრეხელზე და მისი რაობა 58. § 2. უგრეხელის გავრცელებულობის არე თანამედროვე საქართველოში და სხვაგან 58. § 3. უგრეხ ლის გავრცელების არე ძველად 58—59. § 4. უგრეხელის ღირსება და ნაკლი 59. § 5. უგრეხელის კულტურის ხნიერება საქართველოში 59—60.

თავი XIII. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის ზოგადი საკითხები ძველ საქართველოში 60—78.

§ 1. უძველეს პარკოსან მარცვლეულთა სახელების ანალიზის აუცილებლობა მეურნეობის ამ დარგის გასაშუქებლად 60. § 2. ცერცვისა და „როგვ"-ის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა 60—64. § 3. ხანჭკუალა—ხანჭკოლასი და „ხაჯი"-ს ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა 64—65. § 4. ოსპისა და სვანური „ქირც"-ის, ანუ „ქირს"-ის სადაურობა და მნიშვნელობა 65—68. § 5. კნდურისა და ღედერის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა 68—70. § 6. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის ისტორიის მთავარი პერიოდები და მნიშვნელოვანი თვისებები 70—72. § 7. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის მნიშვნელობა ძველი საქართველოს ეკონომიკისათვის 72—73. § 8. პარკოსან მარცვლეულთა ხანგრძლივი კულტურისა და დაკვირვება-შერჩევის კვალი 73. § 9. ლობიოს კულტურის ქართულ მეურნეობაში გაბატონების მიზეზების ძიება 73—74. § 10. პარკოსან მარცვლეულთა ზოგადი საზრდოობითი მნიშვნელობა და თვითოეული მათგანის შედარებითი კვებითი ღირებულება 74—75. § 11. მარცვლეულთა მოსახარშავობის შედარებითი ღირებულება 75. § 12. ლობიოს გაბატონების მთავარი მიზეზი: მხვიარა ჯიშის უხვი და ხანგრძლივი ნაყოფიერება 76. § 13. ლობიოს მაენებელთადმი გამძლეობ ს მნიშვნელობა მისი საქართველოში გაბატონებისათვის 76—77. § 14. ლობიოს ქიმიური შედგენილობის კეთილშეხამებულობის მნიშვნელობა 77. § 15. პარკოსან მარცვლეულთა გავრცელებულობის ასწვრივი ხოლები და ამ გარემოების მნიშვნელობა ცერცვნაირთა, ხნდურნაირთა და ოსპისაგან მაღალ არეებში ლობიოსათვის მეტოქეობის ასახსნელად 77—78.

მოსავლის აღება და დაუნჯება 78-93.

თავი I. მოსავლის აღება 78—83.

§ 1. მკა და თიბვა 78-79. § 2. პურეულ-ქრთილეულის მიხნის სხვადასხვაობა დროთა განმავლობაში 79-80. § 3. საკვები მცენარეების სხვადასხვა წესები სხვადასხვა ხანაში 80. § 4. მცენარეულის მოსაჭრელი იარაღის ისტორია: ნამგალი და ცელი 80—82. § 5. სამკალზე მუშაობა 82—83.

თავი II. ნამკალის ერთეულები 83—84.

§ 1. ზვინი 83. § 2. მჭელეული 83—84. § 3. ძნა და ძნეული 84—85.

თავი III. კალოობა 85—87.

§ 1. მარცვლეულის გამოცალკევების სხვადასხვა საშუალება 85. § 2. კალო 85—86. § 3. მოსავლის ლეწვა 86. § 4. ჩხვერვა 86. § 5. ცეხვა 86—87.

თავი IV. მკისა და ლეწვის ტექნიკური საშუალებანი და იარაღები 87-93.

§ 1. „მანგალი“, ნამგალი და მისი სახელის თავდაპირველი მნიშვნელობა 87—89, § 2. ცელის შემოღების ხანა 89—91. § 3. ცელის შემოღების მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისით 91—92. § 4. კევრი და მისი გაჩენის ხანა 92—93.

თავი V. მარცვლეულის მოსავლის გამოყოფვა და დაუნჯება 94—97.

§ 1. განალეწითგან მარცვლეულის გამოცალკევების საშუალება და იარაღები 94. § 2. ხვავი და ბზე 95. § 3. მარცვლეულის დაუნჯების წესები და შესანახი მოწყობილობა 95—97.

მემტილეობის, მეხილეობისა და მევენახეობის ზოგადი საკითხები 98—189.

თავი I. ბოსტნისა, ბაღისა და ვენახის სახელები დროთა განმავლობაში 98—104.

§ 1. მტილის მნიშვნელობა 98—99. § 2. მტილის შესატყვისობა ზოგადი ქართულის დიალექტებში 89. § 3. მტილის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა 99—100. § 4. სამოთხე და მისი მნიშვნელობა 100—101. § 5. წალკოტი 101—102. § 6. ხილისა და ვაზის ბაღების აღმნიშვნელი სახელები 102—103. § 7. ბაღი, ბაღჩა და ბოსტანი, მათი სადაურობა და შემოსულობის ხანა 104.

თავი II. მებაღეობის კულტურის მოკლე მიმოხილვა უცხოეთში 105—108.

§ 1. მებაღეობა ძველ ეგვიპტესა და აღმოსავლეთში 105—106. § 2. მებაღეობის კულტურა საბერძნეთსა და იტალიაში 106—107. § 3. მებაღეობის კულტურა ძველ ასურეთსა და არაბთა სახალიფოში 107. § 4. მებაღეობა იტალიაში 108.

თავი III. საქართველოს მებაღეობის კულტურის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 108—115.

§ 1. რას წარმოადგენდა სამოთხე ძველად და მისი მოწყობილობა 108—110. § 2. ცნობები მემტილეობისა და მებაღეობის ინტენსიური კულტურის შესახებ საქართველოში მე-V-X ს. 110—111. § 3. მტილ-სამოთხენი და წალკოტი მე-XII ს. 111—112. § 4. მებაღეობის კულტურა აღმოს. საქართველოში მე-XVI—XVIII სს.-ში 112—114.—§ 5 მებაღეობის დონე დას. საქართველოში მე-XVII-XVIII სს.-ში 114—115.

თავი IV. მტილ-სამოთხისა და ბაღ-წალკოტის მოვლა-პატრონობის ორგანიზაცია 116—118.

§ 1. მომვლელის სახელი და მოვალეობა 115—116. § 2. ვენახ-ბაღის დაცვის საშუალებანი 116—117. § 3. წალკოტ-ბაღების დაგეგმულობა და დანაწილება 117—118.

თავი V. ნიადაგთმცოდნეობის საგანძური და დონე ძველ საქართველოში 118—134.

§ 1. ნიადაგის ფერის დამახასიათებელი ტერმინები 119—122. § 2. ნიადაგის შედგენილობის მთავარი ნაწილის აღმნიშვნელ ტერმინთა ჯგუფი 122—124. § 3. წყლიანი და წყლის მოქმედებით შექმნილი ნიადაგის აღმნიშვნელ ტერმინთა ჯგუფი 124—129. § 4. ნიადაგის ტოპოგრაფიული თვისების გამომხატველი ტერმინები 129—132. § 5. ნიადაგის ღირსების გამომხატველ ტერმინთა ჯგუფი 133. § 6. სხვადასხვა ნიადაგის დანიშნულება-გამოსადეგობა 133—134.

თავი VI. საქართველოს მებაღეობის ძველი კულტურის ინტენსივობის მაუწყებელი ზოგადი ცნობები 135—137.

§ 1. მემტილეობა-მევენახეობის ფართობის გავრცელების საშუალებანი 134—136. § 2. ყვავილ-ხეების ჯიშებისათვის მუშაობა ძველ საქართველოში 136—137. § 3. ველური ყვავილ-მცენარეების გაშინაურების ცდები საქართველოში 137.

თავი VII. მტილეულ-ხილის მოყვანის ორგვარი დანიშნულება და დროის მიხედვით შედარებითი ღირებულება 137—139.

§ 1. თავის საჭმელ-საყოფი და გასასყიდელი ხილ-ბოსტნეული 137—138. § 2. მტილეულ-ხილის ახლობა, ანუ ახალ-ბალობა და ყურძნობა და მათი ეკრული მნიშვნელობა 139—139.

თავი VIII. მცენარეების რიცხვობრივი ერთეულების სახელები 139.

დარგი მეორე. მემტილეობა ანუ მებოსტნეობა 140—280.

თავი I. ბოსტნეულობის მნიშვნელობა ძველ საქართველოში 141.

თავი II. წყაროთა ზოგადი ცნობები ძველი საქართველოს მებოსტნეობის შესახებ 144—144.

§ 1. ქართული წყაროების ცნობები 141—142. § 2. უცხოელთა ცნობები 142—144.

თავი III. ქართველ მთიელთა შორის გავრცელებული მწვანილ-მხალი 144—145.

§ 1. ფშაველთა მხალ-მწვანილეული 144. § 2. ხევსურელთა სხვადასხვა მწვანილ-მხალი და ხმილი 145. § 3. ზემო-რაჭის საჭმელი მცენარეულობა 145.

თავი IV. ბოსტნეულის ჯგუფები 145—148.

§ 1. მწვანილი და სანელებელი 145—146. § 2. მხალი 146—147. § 4. ჩდელო, ძირხვენეული 147—148.

მტილეულის I ჯგუფი: მხალი 149—186.

თავი I. მჟაუნა; ღვალო და მათი ჯიშები საქართველოში 149—153.

§ 1. ცნობები მჟაუნასა და ღვალოზე 149. § 2. ღვალო, ღოლო, ოღვალო, ღვალუ, ფურთხვალუ, წართხალი და წერთხლა 150—151. § 3. მჟაუნასა და ღვალოს კულტურა უცხოეთში 151—153. § 4. მჟაუნისა და ღვალოს ძველ საქართველოში გავრცელებულობა 153.

თავი II. ისპანახი, ანუ ისპანახი 154—156.

§ 1. ცნობები ისპანახსა, ასპანახსა და სპანძელზე ძველ საქართველოში 154. § 2. ცნობები ისპანახზე უცხოეთში 155. § 3. ისპანახის სადაურობის საკითხი 155—156.

თავი III. ჯიჯლაყა, ანუ თვითმავალა 156—158.

§ 1. ჯიჯლაყას, ანუ თვითმავალას შესახებ ცნობები 156—157. § 2. ჯიჯლაყას სახელის პირველადი მნიშვნელობა 157. § 3 ჯიჯლაყა უცხოეთში და მისი ღირებულობა 157—158.

თავი IV. მოლოქი, ბალბა, ბოდერია 158-161.

§ 1. ცნობები მათ შესახებ და ბოტანიკური რაობა 158—159. § 2. მოლოქისა და ბალბის ეტიმოლოგია და სადაურობის საკითხი 159—160. § 3. ამ მხალის შედარებით ნაკლები მნიშვნელობა უცხოეთისა და საქართველოსათვის 160-161.

თავი V. კატკატოდა, მსუქანა, დანდური, უკვდავა 161—163.

§ 1. ცნობები ამ მხალის შესახებ და მისი რაობა 161.—§ 2. ამ მხალის სხვადასხვა სახელის სადაურობა და აღმნიშვნელობა 161—162. § 3. მსუქანას, ანუ დანდურის სამშობლო და კულტურა უცხოეთში 163.

თავი VI. სატაცური 163—165.

§ 1. ცნობები მის შესახებ და მისი რაობა 163—164. § 2. სატაცურის კულტურის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 164—165.

თავი VII. ხვინტრი და მისი რაობა 165—166.

თავი VIII. არჯაკელი 166—168.

§ 1. ცნობები არჯაკელზე 166—167. § 2. არჯაკელის ბოტანიკური რაობა და გამოყენება 167-168.

თავი IX. კომბოსტო 168-186.

§ 1. ცნობები კომბოსტოს კულტურაზე ძველ საქართველოში 168—169. § 2. ძველ საქართველოში გავრცელებული კომბოსტოს ჯიშები და მათი სახელები 169—172. § 3. კომბოსტოს კულტურის ზოგადი მიმოხილვა უცხოეთში 172—175. § 4. კომბოსტოს კულტურის სადაურობა და გავრცელების გზები ძველ საქართველოში ამ მხალის სახელებისდა მიხედვით: კომბოსტო, ლახანა, ხკტი 175—178. § 5. კალნაბის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა 178—180. § 6. კალნაბი, ვითარცა ყვავილიანი კომბოსტოს სახელი 181-182. § 7. სად იქცა და საითგან გავრცელდა კალნაბი ყვავილიანი კომბოსტოს სახელად 183—185. § 8. ზოგადი დასკვნა კომბოსტოს კულტურის შესახებ საქართველოში 185—186.

ᲛᲔᲛᲢᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ II ᲯᲒᲣᲤᲘ: ᲫᲘᲠᲮᲕᲔᲜᲔᲣᲚᲘ, ᲐᲜᲣ ᲛᲓᲔᲚᲝ 187—208.

თავი I. სტაფილო 187—192.

§. 1. ცნობები სტაფილოს, ნიუკას, ქინძიჯორას, ანუ ქინძილოჯას და ქალაკოდას შესახებ და მათი რაობა 187—188. § 2. სტაფილოს კულტურა უცხოეთში 168—169. § 3 სტაფილოს ქართული სახელების ანალიზი ამ მცენარის საქართველოში კულტურის გზების გამოსარკვევად 189—191. § 4. სტაფილოს კულტურაზე საქართველოში ზოგადად 191—192.

თავი II. ჭარხალი 192—201.

§ 1. ჭარხლის საქართველოში მიღებული სახელები: ჭაკუნტელი, ჭარხალი, წითელი ფხალი და სოტელია 192—194. § 2. ჭაკუნტელისა, სოტელიას, ჭავის და ჭარხლის სახელების სადაურობა და ეტიმოლოგია 194—198. § 3. ჭარხლის კულტურის ზოგადი მიმოხილვა უცხოეთში 198—199. § 4. ჭარხლის კულტურის ზოგადი საკითხები საქართველოში 199—201.

თავი III. ბოლოკი 201—205.

§ 1. ცნობები ბოლოკის შესახებ ძველ საქართველოში 201—202. § 2. ბოლოკის კულტურის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა 202—205.

თავი IV. ბოლოკა, თალგამი და მხალ-თალგამა 205—209.

§ 1. ცნობები ამ მდელოზე 205—206. § 2. თალგამისა და მხალთალგამას კულ-ტურა უცხოეთში 206—207. § 3. თალგამი და მხალთალგამა ჩვენში 207-209.

მებოსტნეობის III ჯგუფი: მწვანილი და სანელებელი 209—252.

თავი I. ყრდელი, ანუ სალათი და მისი სხვადასხვა სახეობა ძველ საქარ-თველოში 209—214.

§ 1. ცნობები ყრდელზე და მისი რაობა 209—210. § 2. ხავარტა, ხასი და მა-როლი 210—211. § 3. ველის ყრდელი 211—212. § 4. ყრდელისა და სალათის კულ-ტურის ზოგადი ისტორიული მიმოხილვა 212—214.

თავი II. ნიორი, ხახვი, პრასა და ლანძილი 214—223.

§ 1. ნიორისა, ხახვისა, პრასისა და ლანძილის შესახები ცნობები და მათი ბო-ტანიკური რაობა 214—216. § 2. ნიორისა, ხახვისა და ლანძილის კულტურის ზოგადი მიმოხილვა 216—220. § 3. ნიორისა, ხახვისა, პრასისა და ლანძილის კულტურაზე საქარ-თველოში 220-223.

თავი III. დიყა და დუცი 223—224.

თავი IV. ქყიმა, ანუ ჩალამბარა 224—226.

თავი V. ძირაკი, ანუ ზირა და კვლიავი, ანუ კვლია 226—229.

§ 1. ძირაკის, ზირასა, და კვლიავის რაობა 226—227. § 2. ზირას სამეურნეო მნიშვნელობის მიმოხილვა 227—228. § 3. კვლიავის სამეურნეო მნიშვნელობა 228—229

თავი VI. ცერეცო და ანისული 229—231.

§ 1. ცნობები ცერეცოზე და მისი რაობა 229—230. § 2. ცერეცოს კულტურა და მნიშვნელობა 230. § 3. ანისულის რაობა და გამოყენებადობა 230—231.

თავი VII. კამა 231—233.

§ 1. ცნობები კამაზე და მისი ბოტანიკური რაობა 231—232. § 2. კამას კულ-ტურის ზოგადი მიმოხილვა 232. 2. კამას ქართული სახელის სადაურობა და მისი კულტურის ხნიერება 232—233.

თავი VIII. სოინჯი 233—235.

§ 1. სონიჯის რაობა 233—235.

თავი IX. ქინძი 236—238.

თავი X. ოხრახუში 238—241

§ 1. ცნობები ოხრახუშზე და მაკიდონზე, მათი ბოტანიკური რაობა 238—239. § 2. ოხრახუშის კულტურა უცხოეთში 239—240. § 3. ოხრახუშის კულტურის სადაუ-რობა საქართველოში ამ მწვანილის ქართული სახელების სადაურობისდა მიხედ-ვით 240—241.

თავი XI. ნიახური 241—243.

§ 1. ნიახურის შესახები ცნობები და მისი რაობა 241—242. § 2. ნიახურის კულტურის მიმოხილვა უცხოეთში 242. § 3. ნიახურისა და სინას კულტურის სადაურობა საქართველოში 243.

თავი XII. ტეგანი და ტარხუნა 243—246.

§ 1. ტეგანი 243—244. § 2. ტეგანის კულტურა უცხოეთში და ჩვენში 244—245. § 3. ტარხუნა 245—246.

თავი XIII. ქონდარი 246—247.

თავი VIV. პიტნაკი 247—251.

§ 1. პიტნის სხვადასხვა სახესხვაობათა შესახები ცნობები საქართველოში და მათი ბოტანიკური რაობა: პიტნაკი, ტენცო, კატაპიტნა, იმბალო და ყვალმინთა 247—249. § 2. პიტნის კულტურის შესახებ ძველად 249—250. § 3. პიტნის ქართ. სახელების სადაურობა და ამ სანელებლის მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეურნეობაში 250—251.

თაგი XV. მდოგვი 251—252.

მემტილეობის მე-IV. ჯგუფი: ხმილი 253—298.

თავი I. კიტრი 253—257.

§ 1. კიტრის შესახები ცნობები საქართველოში 353—254. § 2. კიტრის სახელების ეტიმოლოგია და სადაურობა 254—255. § 3. კიტრის კულტურასა და ეკონომიურ მნიშვნელობაზე 255—257.

თავი II. ნესვი 257—264.

§ 1. ცნობები ამ ხმილზე 257—259. § 2. ნესვის კულტურის მიმოხილვა უცხოეთში 259—260. § 3. ნესვის სახელებისა და კულტურის სადაურობა და სამეურნეო მნიშვნელობა საქართველოში 260—264.

თავი III. მელსაპეპონი, ანუ საზამთრო 264—268.

§ 1. ცნობები მელსაპეპონზე და საზამთროზე და მათი რაობა 264—266. § 2. საზამთროს კულტურის მიმოხილვა უცხოეთსა და საქართველოში 266—268.

თავი IV. კვახი 269—275.

§ 1. ცნობები ამ ხმილზე საქართველოში 269—270. § 2. კვახის კულტურისა და სამეურნეო მნიშვნელობის მიმოხილვა უცხოეთში 270—271. § 3. ამ ხმილის კულტურასა და სამეურნეო მნიშვნელობაზე ძველ საქართველოში 271—275.

თავი V. მარწყვი 275—281.

§ 1. წერილობითი ცნობები მარწყვზე საქართველოში 275—276. § 2. მარწყვის ჯიშსახესხვაობანი და მათი სახელები თანამედროვე ცნობებისდა მიხედვით 276—277. § 3. მარწყვის გავრცელების შესახებ მსოფლიოში და მისი კულტურის დასაწყისზე 277—278. § 4. მარწყვის ძველი ქართული კლასიფიკაცია და ჯიშსახესხვაობანი 278—279. § 5. მარწყვის ქართ. სახელების ანალიზი 279—281. § 6. ზოგადი დასკვნა 281.

თავი VI. ბადრიჯანი 282—283.

§ 1. ამ ხმილის შესახებ ცნობები, პირვანდელი სახელი და მისი რაობა 282. § 2. ბადრიჯნის კულტურაზე ზოგადად 282—283.

ქართული მემცენარეობის ზოგადი ვითარება ზემოხსენებული ცნობების მიხედვით 283—288.

დარგი მესამე. მევენახეობა 289—604.

შესავალი. მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელობა საქართველოსთვის 289.

თავი I. ვაზის ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში 290—296.

§ 1. ვენაკი, მისი ძველი და შერმინდელი მნიშვნელობა 290—292. § 2. ვაზი 292—294. § 3. ველური, ანუ გარეული ვაზი და მისი ქართული სახელები 294—296.

თავი II. ვაზთამცოდნეობის ძველი ქართული ტერმინოლოგია 297—307.

§ 1. ვაზის ძირისა და ზროს სახელები საუკუნეთა განმავლობაში 297—299. § 2. ვაზის ტოტების სხვადასხვანაირი დანიშნულება და მათი სათანადო სახელები 299—302. § 3. ვაზის ნაყოფისა და მისი ნაწილების სახელები 302—304. § 4. ვაზ-ყურძნის დამახასიათებელ თვისებათა შესწავლის მნიშვნელობა 305. § 5. ჯიშების დამახასიათებელი ვაზთააღწერილობითი, ანუ ამპელოგრაფიული ძველი ქართული ტერმინოლოგია 305—307.

თავი III. ვაზის დაყენება-გაშვების სხვადასხვა წესი და ამის ძველი ქართული ტერმინოლოგია 307—311.

§ 1. დაბლარი, ანუ ხელნაშენი 307—308. § 2. მაღლარი, დობილო და ბაბილო 308—309. § 3. ოლიხნარი და ხარდნის ვენახი 309—310. § 4. ტალავარი, ანუ ხეივანი 310. § 5. განრთხმული ვაზი 311.

თავი IV. ვაზისა და ვენახის გაშენება 311—315.

§ 1. ვენახის დასხმა, ანუ დანერგვა 311—313. § 2. წიდნე, ვენახის გადაწიდნვა, ანუ დამაგინება, ბინეხიში დოკარშუა 313—315.

თავი V. დაბლარი ვაზის საყრდნობი და მისი სხვადასხვა სახელების მნიშვნელობა 315—325.

§ 1. სარი და პიკო 316. § 2. ხარდანი 316—217. § 3. სასარე და მანეული და მათი რაობა 317—318. § 4. სახარდნის რაობა 318. § 5. ვაზის საყრდნობის აღმნიშვნელი ტერმინების სადაურობა 318—325.

თავი VI. ვაზის მოვლა 325—331.

§ 1. ვაზის ლერწის განსაკუთრებული თვისება და გასხვლის მნიშვნელობა 325—327. § 2. ვაზის რქების სხვადასხვა დანიშნულება და გასხვლის წესი 328—330. § 3. სასხლავი იარაღი 330—331.

თავი VII. დაბლარი ვაზის ასარვა, ანუ შესარვა და დაკავება: შეკონვისა და შეუელვის რაობა 331—333.

თავი VIII. მევენახეობის გაბატონებული წესი და ინტენსივობა ძველ საქართველოში 334—348.

§ 1. მაღლარისა და დაბლარი მევენახეობის შედარებითი კულტურული და ეკონომიური ღირებულება 334. § 2. მევენახეობის როგორი კულტურა იყო ძველ საქართველოში გაბატონებული? 334—340. § 3. დაბლარი ვენახისა და ზვრის დანარგავის სიხშირის ნორმების გამორკვევის ცდა 340—343.

თავი IX. მევენახეობის ტექნიკის დონე ძველ საქართველოში: ვაზის გასხვლისა და მოვლის პრინციპები 343—367.

§ 1. გასხლვა, ვითარცა მევენახეობის დონის საზომი 343—344. § 2. ვაზის გასხვლის სხვადასხვა ვადები 344—345. § 3. გასხლვის ტექნიკა საქართველოში 345—348. § 4. გასხლვის ტექნიკა ძველ საბერძნეთსა და იტალიაში 348—357. § 5. გასხლვის ტექნიკის თანდათანი წარმატების საფეხურები და დანეკვის შედარებითი ხნიერება საქართველოში 358—361. § 6. ვაზ-ვენახის აჯოჯვა და გაფურჩქვნა 361—364. § 7. ვენახის დანარჩენი სამუშაო 364—366. § 8. ვაზ-ვენახის დაცვის საშუალებანი 366—367.

თავი X. A. მევენახეობის წინაპარის, ველური ვაზის, გავრცელებულობა უძველეს ხანაში და თანამედროვე მსოფლიოში 367—369.

§ 1. ველური ვაზის გავრცელებულობის არე ისტორიის უწინარეს ხანაში 367—368. § 2. გარეული ვაზის გავრცელებულობის თანამედროვე არე 368—369.

თავი X. B. კულტურული ვაზი უცხოეთში და იქაური მევენახეობის მოკლე მიმოხილვა 369—392.

§ 1. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ ეგვიპტეში 370—372. § 2. მევენახეობა-მეღვინეობა პალესტინაში 372—374. § 3. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საბერძნეთში 374—378. § 4. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ იტალიაში 378—392.

თავი XI. კავკასიისა და საქართველოს ამპელოგრაფიის მნიშვნელობა 392—393.

თავი XII. კავკასიისა და საქართველოს ამპელოგრაფიული მწერლობისზოგადი მიმოხილვა და შეფასება 394—400.

თავი XIII. საქართველოს სხვადასხვა თემში შერჩენილი ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფია 400—470.

§ 1. დასახული მიზნის ფარგლები 400—401. § 2. ჰერეთში, ეხლანდელ საინგილოში, დაცული ყურძნის ჯიშები 401. § 3. კახეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშები 402—415: A. შავი და წითელი ყურძენი 402—405,—B. კახეთში გავრცელებული ყურძნის თეთრი ჯიშები 405—415. § 4. ქვემო-ქართლის, მერმინდელი ბორჩალოს, ყურძნის ჯიშები 415. § 5. შიდა ქართლში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 415—425: A. ქართლში გავრცელებული ყურძნის შავი და წითელი ჯიშები 416—421,—B. ქართლში შერჩენილი ყურძნის თეთრი ჯიშები 421—425. § 6. ზემო-ქართლში, ანუ მესხეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშების შესახები ცნობები 425—426. § 7. იმერეთში შერჩენილი ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფია 426—438: A. ყურძნის წითელი და შავი ჯიშები 426—433,—B. იმერეთში შერჩენილი ყურძნის თეთრი ჯიშები 433—438. § 8. რაჭაში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 439—446: A. ყურძნის შავი და წითელი ჯიშები რაჭაში 339-442,—B. ყურძნის თეთრ ჯიშთაგან რაჭაში მოიპოვება 442—446. § 9. ლეჩხუმში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 446—447: A. ლეჩხუმში შერჩენილი ყურძნის შავი და წითელი ჯიშები 446,—B. ლეჩხუმში შერჩენილი ყურძნის თეთრი ჯიშები 446—477. § 10. სამეგრელოში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 447—454: A. სამეგრელოში შერჩენილი შავი და წითელი ჯიშები 447—452,—B. ყურძნის თეთრ ჯიშთაგან სამეგრელოში შერჩენილი იყო 452—454. § 11. გურიაში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 454—462: A. გურიაში გავრცელებულ წითელ, ვარდისფერ და შავ ყურძნის ჯიშთაგან მე-XIX ს. მეორე ნახევრამდე შემდეგი ყოფილა გადარჩენილი 455—460,—B. გურიაში გადარჩენილი ყურძნის თეთრი ჯიშები 460—462 § 12. აჭარაში გადარჩენილი ყურძნის ჯიშები 462—465: A. ყურძნის შავი და წითელი

ჯიშები 463—464,—B. აჭარაში შერჩენილი თეთრი ყურძნის ჯიშები 464—465. § 13. შავშეთ-კლარჯეთში გადარჩენილი ყურძნის ჯიშები 466—469: A. ყურძნის თეთრი ჯიშები 466—467,—B. შავშეთ-კლარჯეთში ყურძნის შავ და წითელ ჯიშთაგან გადარჩენილი იყო 467—469 § 14. ჰანეთის ერთი ყურძნის ჯიში 469-470.

თავი XIV. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების საერთო რიცხვი, მათი კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები და შეგროვებული ცნობების ეკონომიური ისტორიისათვის გამოყენების შესაძლებლობის პირობები 470—475.

თავი XV. ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელების კლასიფიკაცია: ამპელოგრაფიული თვისების გამომხატველი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ქართული სახელების ჯგუფი 475—491.

§ 1. ვაზისა ლერწის დამახასიათებელი სახელები 475—478. § 2. ჯიშის სქესის განმასხვავებელი სახელები 478—480. § 3. მტევნის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკურ თვისების გამომხატველი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი 480—484. § 4. მარცვლის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკური თვისების მაუწყებელი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი 484—488. § 5. მარცვლის ფერის მაუწყებელი ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი 488-490. § 6. ყურძნის გემოს და სურნელოვანობის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი 490—491.

თავი XVI. ყურძნის ჯიშების სამეურნეო დანიშნულების მაუწყებელი სახელები 491-496.

თავი XVII. ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ხადაურობის მაუწყებელი სახელების ჯგუფი 496—504.

თავი XVIII. ყურძნის ჯიშების საერთო რიცხვი და თვითეული მათგანის გავრცელებულობის არე საქართველოში 504-522:

§ 1. საქართველოს ზოგადი ჯიშები 512—514. § 2. აღმ. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 514-515. § 3. აღმ. საქართველოს მხოლოდ ერთ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 515—516: ჰერეთში, ანუ საინგილოში 515,—კახეთში 515—516,—ქართლში 516. § 4. დას. და სამხ.-დას. საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 516—518. § 5. დასავ. და სამხ.-დასავ. საქართველოს მხოლოდ ორ-ორ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 518-519. § 6. დას. და სამხ.-დას. საქართველოს მხოლოდ ერთ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 519—522: იმერეთში 520,—რაჭაში 520,—ლეჩხუმში 520-521,—სამეგრელოში 521,—გურიაში 521—522,—აჭარაში 522,—შავშეთ-კლარჯეთში 522.

თავი XIX. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ხნიერების განსაზღვრა 522—544.

§ 1. ვაზ-ყურძნის ჯიშების ხნიერების საკითხის გამოსარკვევად გამოსადეგი წყაროები და მეთოდები 523—524. § 2. ვაზ-ყურძნის ჯიშების ხნიერება საქართველოში 524—544.

თავი XX. მევენახეობის მოკლე მიმოხილვა სომხეთსა და ალბანეთში, ისევე როგორც არან-შირვან-შაქში 544—583.

§ 1. სომხეთისა და ალბანეთის პოლიტიკური და დემოგრაფიული თავგადასავლის მნიშვნელობა იქაური მევენახეობის ბედიღბლისა და ვითარების გასათვალისწინებლად 544—547. § 2. სომხეთის მევენახეობის მოკლე დახასიათება 547—549. § 3. ალბა-

ნეთისა და მერმინდელი არან-შირვან-შაქის მევენახეობის მოკლე დახასიათება 550—551. § 4. სომეხთა და თურქთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიშსახესხვაობანი 551—576. § 5. ყურძნის ჯიშსახესხვაობათა სომხური და თურქული სახელების კლასიფიკაცია 576—583: A. მხოლოდ სომეხთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობანი და მათი სახელების კლასიფიკაცია 576—579, — B. მხოლოდ ამიერ-კავკასიელ თურქთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობანი და მათი კლასიფიკაცია 580—583.

საქართველოს მევენახეობის ზოგადი საკითხები და საერთო შეფასება 583—604

თავი I. ყურძნის ჯიშების შედარებითი ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოს მეურნეობისათვის 583—596.

§ 1. ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა სიმრავლის მიზეზი 584—586. § 2. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა კლასიფიკაცია სამეურნეო დანიშნულებისა და გამძლეობისდა მიხედვით 586—594. § 3. შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრი საქართველოში 594—596.

თავი II. ძველი საქართველოს მევენახეობის საერთო შეფასება და საბოლოო დასკვნა 597—604.

საძიებლები 605—704.

საკუთარი სახელების საძიებელი 605—620.

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 620—635.

ტერმინების საძიებელი 636—704.

შემჩნეული კორექტურული შეცდომების გასწორება 705—709.

ტაბულა (ფერადი). ბაღის ექვსი სურათი. გადმოღებული „ქილილა და დამანას“ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგის ქართული № 68 ხელთნაწერითგან . . . V.
სურ. 1. ქალწულის ზოდიაკოსა და აგვისტოს მოსავლიანობის სიმბოლო. გადმოღებული საქ. მუზ. 1183 წ. ხელთნაწერითგან № A—65 . . . . 96.
სურ. 2. მცენარეულობის დარგვა. გადმოღებული საქ. მუზ. 12, ან 12—13 ს. № A -109 ხელთნაწერითგან . . . . 112.
სურ. 3. ბაღის ბარვა და მებაღე. გადმოღებული მე-XVII ს. პირვ. ნახევრის ვეფხისტყაოსნის, ხელთნაწერითგან (საქ. მუზ. № H 2074, გვ. 185 a) . . . . . 108.
სურ. 4. „სერობის“ მე-XV ს. კედლის მხატვრობის კომპოზიციის გადარჩენილი ნაწილი. ს. ნაბახტევის ულუმბოს ეკლესიაში. . . . . 140.
სურ. 5. (ფერადი). ვენახის მოვლა—ბარვა და მყნობა. ჯრუჭის მე-XII ს. ოთხთავის (საქ. მუზ. № H 1667) მხატვრობა. . . . . 530.
სურ. 6. ყურძნიანი და ხილიანი ტოტების ქანდაკება ბანის მე-IX—X ს. ტაძრის კედელზე. ორ-ნაწილედი, აკიდოს ჯიშის მაგვარი მტევნითურთ . . . . 482.
სურ. 7. ბაგრატის ქუთაისის ტაძრის სვეტის თავი (მე-XI ს. დამდეგისა) ზედ გამოქანდაკებული გრძელ-მტევანას, ანდა დიდ-მტევანას ჯიშის მაგვარი კუმსი მტევნითურთ 460.
სურ. 8. მცხეთის სვეტიცხოვლის ხის ძველი კანკელის ქანდაკება. მოკლე-მტევანას მსგავსი სხვილი და რგვალ-მარცვლიანი ჯიშის ყურძნის გამოხატულებითურთ . 520.
სურ. 9. მცხეთის სვეტიცხოვლის ქვის ძველი კანკელის ქანდაკება. მოკლე-მტევანას ჯიშის მაგვარი წვრილმარცვლიანი წოწოლა მტევნითურთ . . . . . 522.
სურ. 10. ანანურის საყდრის გარეთი აღმოს. კედლის ქანდაკება სხვილ და წვრილ მარცვლიანი მტევნებითურთ 484

მემინდვრეობა

(დასასრული)

შესავალი.

პარკოსან მარცვლეულობის კულტურაზე საქართველოში ზოგადად.

პურეული მარცვლეულობის გარდა, ადამიანისა და პირუტყვის კვებისათვის დიდი მნიშვნელობა პარკოსან მარცვლეულობას აქვს. თუ პურეული თავისი ქიმიური შედგენილობის უდიდეს ნაწილს, საშუალოდ 78,64%-ს, ნახშირწყლიან ნივთიერებას (სახამებელს, შაქარს, დექსტრინს) შეიცავს და აზოტოვანი (ცილოვანი) ნივთიერება პურეულს შედარებით ნაკლებ გააჩნია (საშუალოდ ცილოვანი ნივთიერება 17% არ აღემატება), სამაგიეროდ ცერცვნაირი მარცვლეული სწორედ აზოტოვანი (ცილოვანი) ნივთიერებით არის მდიდარი ისე, რომ მისი მინიმუმი 22% ნაკლები არას დროს არ არის, ხოლო ზოგიერთის, მაგ. ხანჭკვალას, შედგენილობის აზოტოვანი ნაწილი მაქსიმუმს აღწევს და 35,4%-მდეც-კი ადის. პურეულთან შედარებით პარკოსანთა ზოგიერთი მარცვლეული, მაგ. ლობიო, ბარდა და მეტადრე ხანჭკვალა, ცხიმოვანი ნივთიერებითაც უფრო უხვად არის შემკული. ამგვარად ცერცვნაირი მცენარეულობის ნაყოფს ადამიანისათვის პურეულზე სულ ცოტა ორჯერ და თვით სამჯერ მეტიც-კი აზოტოვანი ნივთიერების მიცემა შეუძლია ისე, რომ თითქმის ხორცეულის მაგიერობასაც-კი გაუწევს.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული თანამედროვე ქიმიური ანალიზის წყალობით მოპოვებულ, დასკვნაზე არ ყოფილა დამყარებული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც პარკოსანი მარცვლეულობის მოყვანას სასოფლო მეურნეობაში მიპყრობილი ჰქონდა. ხანგრძლივმა გამოცდილებამ ადამიანს დაანახა, თუ რაოდენი სინოყიერე ჰქონდა ამ მარცვლეულობას და რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამ მხრივ შესაძლებელია ითქვას, რომ ადამიანის სალი მომნელებელი ორგანოები საკუთარი ქიმიკოსის მოვალეობას წინათაც პირნათლად ასრულებდენ და მათ პატრონს მიღებული საჭმლის შედარებითს ღირსებას საუცხოვოდ აგრძნობინებდენ ხოლმე. სწორედ ამიტომაა, რომ პურეულის შემდგომ მემინდვრეობაში პარკოსან მარცვლეულ კულტურას მთავარი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ნაწილობრივ ამ მარცვლეულობის მოყვანა მებოსტნეობა-მებაღეობის დარგშიც-კი იყო შეჭრილი.

საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვისაც პარკოსან მარცვლეულობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს გარემოება ეხლაც მით უფრო ცხადი შეიქმნება, თუ გავიხსენებთ, რომ ძველად ადამიანის ყოველდღიურ კვებაში ხორცეულის ჭამას ისე არ მისდევდენ, როგორც ეხლაა მიღებული. ამიტომ ხორ-

ცეული ცილოვანი ნივთიერების ნაკლებობას ადამიანის კვებაში მაშინ პარკოსან მარცვლეულთა აზოტოვანი ნივთიერება ავსებდა. გასაკვირველიც არაფერია, თუ წინათ სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაში ამ დარგს ეხლანდელზე გაცილებით უფრო მეტი ღირებულება ჰქონდა.

ეს გარემოება საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარსაც ავალებს გამოარკვიოს ძველ საქართველოში გავრცელებულ პარკოსანთა კულტურის შედგენილობაცა და მისი მნიშვნელობაც ქართველთა ეკონომიკაში.

ყველა ამგვარი მარცვლეულნი ბოტანიკურად პარკოსათა Leguminosae ს ქვე-ოჯახს შეადგენენ. ზოგი მათგანი ბალახ-მცენარეა, ზოგი ბუჩქები და ხეებიც-კია. სასოფლო მეურნეობისა და ადამიანის კვებისათვის სწორედ პირველ ჯგუფს აქვს მნიშვნელობა. ამ ქვე-ოჯახის სასოფლო ეკონომიკისათვის საყურადღებო ჯგუფს ეკუთვნის: ცერცვი და ცერცველა, ბარდა, ლობიო, სამყურა, იონჯა და ბევრი სხვაც (იხ. ზ. ყანჩაველის ბოტანიკა II, 316—317).

თავი I. წყაროებში დაცული ზოგადი ცნობები ძველ და თანამედროვე საქართველოში გავრცელებულ პარკოსან მარცვლეულთა შესახებ.

პარკოსან მარცვლეულთა სახელები და ზოგჯერ მათი მნიშვნელობის განმარტებაც, რასაკვირველია, საბა ორბელიანს აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი. მაგრამ ყველა ეს, ვითარცა სალექსიკონო მასალა, მთელ წიგნშია გაბნეული. მარცვლეულთა ამ ოჯახის შესახებ მთლიანი, ზოგადი ცნობა მას არ ჩაურთავს.

სამაგიეროდ, საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ძველი ძეგლებითგანაც აქვს ამოკრებილი ცნობები, თავის-დროინდელი ვითარებაც აქვს აღბეჭდილი. ამიტომ მას საქართველოში ოდესმე არსებულ პარკოსანთა სახელების შემცველი, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი ლექსიკური მასალაც უნდა ჰქონდეს. მართლაც შისი ნაშრომითგან რომ ამგვარ საკვებთა ყველა სახელები ამოვწეროთ, თვალნდინ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მწკრივი წარმოგვიდგება: ოსპი, ცერცვ, კნდური, ღორის კნდური, საკახაროს, მუხუდო, ხანჯკუალა, ლოპინარი, თერმუზი, ანუ თერმია, ერევინდი, ლობიო, მაშა, ცეცქაჲ, ბაკლა, საკადრისა, უკადრისა, ცულისპირა, ძაძა, ცერცველა, ანუ ცუდცერცვა, უგრეხელი, ანუ ქვიშნა.

იმისდა მიუხედავად, რომ საბას 22 მარცვლეულის სახელი მოეპოვება, მაინც მისი ცნობაც ვერ ჩაითვლება მთლად სრულად. მაგალ. იქ შეტანილი არ არის გ. მთაწმიდელის საისტორიო თხზულებაში დასახელებული „ხაწუნი“ (ცხ. იოანესი და ეფთიმ. 48), რომელიც წვნიანის მოსამზადებლად განკუთვნილი რომელიღაც მარცვლეულის სახელი უნდა იყოს. უეჭველია, ს. ორბელიანს სრულად არც XVII ს-ში არსებულ ყველა ამგვარ მარცვლეულთა სახელები უნდა ჰქონდეს დაცული თავის ლექსიკონში, მაგრამ ასეთი სახელების ამაზე უხვი კრებული სხვა მაინც არ მოგვეპოვება.

მცირეოდენი ცნობები ფ. გორგიჯანიძესაც აქვს, სახელდობრ თავის ქართულ-არაბულ-სპარსულ პატარა ლექსიკონში. ფ. გორგიჯანიძეს პარკოსანთაგან შემდეგი აქვს ჩამოთვლილი: **მუხუდო, მსხვილი ცერცვი, ოსპი**

და მაში (მ. ჯანაშვილის გამ., გვ. 45 და 46). იქვე მას ამ მარცვლეულის არაბული და სპარსული სახელებიც აქვს დართული:

„მუხუდო .	არაბ.	ჰამხ	სპარს.	ნუხუდ
მხხვილი ცერცვი.		ფულ		ბაყლა
ოსპი		დანჩა		ადას
მაში	. . .	მჯ		მაშ“.

ფ. გორგიჯანიძის ამ ოთხ ცნობას იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ აქ ქართული სახელის არაბული და სპარსული შესატყვისობა მოგვეპოვება, რაც მათი განსაზღვრის დროს მკვლევარს გამოადგება და საქმეს გაუადვილებს.

უეჭველია, ამ დარგშიც პირველი დალაგებული ცნობა ვახუშტის ნაშრომში უნდა ეძიოს კაცმა. მართლაც პარკოსან მარცვლეულთაგან ვახუშტს საქართველოში დასახელებული აქვს: „მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვ-საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი“ (გეოგრაფ. 56). ამ წინადადების ბოლოში ავტორისაგან დართული „და სხვანიცა“ ცხად ჰყოფს, რომ ვახუშტს ყველა მის დროს საქართველოში არსებული ამგვარი მარცვლეულნი არ ჩამოუთვლია. მაშასადამე, არც ეს შეიძლება სრულ ცნობად იქმნეს მიჩნეული. საფიქრებელია, რომ ვახუშტს ზემომოყვანილ ცნობაში მაშინდელ საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული მარცვლეულის სახელები უნდა ჰქონდეს ჩამოთვლილი.

ზოგიერთი ცნობები უცხოელ მოგზაურ-დამკვირვებელთა და დესპანების აღწერილობებშიც გვხვდება. ამ მხრივ საყურადღებოა იტალიელ მისიონერის არქ. ლამბერტისა, რუს ელჩებისა და აკად. გულდენშტედტის მონათხრობი.

რუსი დესპანების თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის კახეთის 1640 - 3 წ. აღწერილობაში ნათქვამია, რომ აღმოს. საქართველოში იმ დროს ხორბლეულსა და ქერს გარდა მინდვრად „ოსპსა და ცერცვსა“ სთესდენ („чечевицу, бoб“: პროფ. მ. პოლიევქტოვის გამ. გვ. 160). მათივე სიტყვით, თეიმურაზ მეფეს მარხვაში დესპანებისათვის საჭმელად ცერცვი გაუგზავნია („в постные дни присылал бoб“: იქვე 161).

არქანჯელო ლამბერტი-კი ამტკიცებს, რომ მის დროს სამეგრელოში ბოსტნეულობითგან სხვეაზე უფრო ლობიოს ეტანებოდენ: „ბოსტნეხში ყველა მცენარეებზე მეტად მოჰყავთ ოსმალური ლობიო, ესაა ერთად-ერთი მათი სამარხო საჭმელი. მათში ხომ მარხვა ხშირია და გრძელი. დროს შესაფერისად მარხვაში ან ახალ ლობიოს სჭამენ, ან ძველსა“-ო (იხ. „სამეგრელოს აღწერა ალ. ჭყონიას თარგმანის გვ. 59).

რუსი დესპანების ტოლოჩანოვისა და იევლევის 1650-2 წ. იმერეთის აღწერილობაში ნათქვამია, რომ იქ კნდურს, ანუ ბარდას და ცერცვს სთესდენ („горох, бoб“: პროფ. მ. პოლიევქტოვის გამ. გვ. 111), ხოლო ბოსტნეულში დასახელებულია: „სტამბოლური ცერცვი“ და „ქართული ბარდა“ („бoб цареградской, горох грузинской“: იქვე 112).

აკად. გულდენშტედტ-ს პარკოსანთა შემდეგი ქართული სახელები აქვს თავის 1772 წ. ჩანაწერში: „Bohnen **Schyli tsertsi**“ ე. ი. სხვილი ცერცვი, — „Linsen —**Aspi**“ (sic) ე. ი. ოსპი,—Türkische Bohnen—**Lobio**“ ლობიო. „Grosse Erbsen—**Tetri lobio**“ თეთრი ლობიო,-„Kleine Erbsen **Tetri barda**“ თეთრი ბარდა (Reisen I, 343).

ამნაირად, გულდენშტედტსაც ლობიო გერმანული სახელის „თურქული ცერცვის“ ქართულ შესატყვისობად აქვს მოყვანილი. მაგრამ ამასთანავე Grosse Erbsen-ის ქართულ სახელადაც „თეთრი ლობიო“ აქვს დასახელებული იმ დროს, როდესაც Kleine Erbsen-ის სახელად თეთრი ბარდა არის ჩაწერილი. რაკი გერმ. Erbsen წარმოადგენს Pisum-ის შესატყვისობას, ამიტომ ისე გამოდის, თითქოს სხვილ და წვრილ Pisum-ს ქართულად სულ სხვადასხვა („ლობიო და ბარდა“) სახელი ჰრქმეოდეთ. თანამედროვე ცნობების მიხედვით სხვილ- კულტურულსაც და ველურსაც, Pisum Sativum-საცა და Pisum arvense-საც, ერთი-და-იგივე სახელი „ბარდა“ აქვს (იხ. ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии 136—137).

მართალია, ამას რ. ერისთავის ჩანაწერი ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვით Pisum Sativum-ს გურიაში „ოქროს ცერცვა“ ეწოდება (ლექსიკ. გვ 45, § 654). მაშასადამე, ხალხი Pisum-საც თითქმის ცერცვად, ან უკეთ რომ ითქვას, ცერცვის მაგვარ მარცვლეულად სთვლის.

როგორც ზოგადად პარკოსანთა, ისევე მეტადრე ლობიოს სხვადასხვა ქართული სახელები და მათი ბოტანიკური რაობა ლათინურად და რუსულად რ. ერისთავსა აქვს შეტანილი თავის საბუნებისმეტყველო პატარა ლექსიკონში. ამ ნაშრომის განსაკუთრებულ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ იქ საქართველოს სხვადასხვა თემში გავრცელებულ მცენარეთა სახელებიც არის მოყვანილი.

საქართველოს პარკოსან მარცვლეულთა პირველი შემსწავლელი მეცნიერი პროფ. ლ. დეკაპრელევიჩია, რომელსაც ორი მონოგრაფია აქვს ამ დარგში გამოქვეყნებული. ერთი მათგანი მათს ზოგად მიმოხილვას წარმოადგენს, 1926 წელს გამოქვეყნდა და სათაურად ეწოდება: „Материалы по изучению зерновых бобовых Грузии“ (იხ. ტფ. ბოტან. ბაღის მეცნ.-გამოყენ. განყოფ. ნაწერები, ნაწ. V, გვ. 129-148).

ლ. დეკაპრელევიჩის მეორე ნაშრომი სპეც. ხასიათისაა და საქართველოში გავრცელებულ ლობიოს სხვადასხვა ჯიშსა და სახეობას ეხება და ეწოდება: „Сорта фасоли (Phaseolus vulgaris Savi), возделываемые в Грузии“ (იხ ტფ. ბოტან. ბაღის მეცნ.-გამოყენ. განყოფ. ნაწერები, ნაწ. IV, ტფილისი 1925 წ., გვ. 149-218).

დასასრულ ლ. დეკაპრელევიჩის და ვლ. მენაბდეს საერთო ნაშრომში „К изучению полевых культур Западной Грузии. Рача“ (იხ. ტფილ. ბოტან. ბაღის სპეც.-გამოყ. განყოფ. ნაწერები, ნაწილი VI, გვ. 221-254, მეტადრე გვ. 240 246) პარკოსანთა შესახებაც არის ზოგჯერ უფრო ვრცელი ცნობებიც-კი. ეს ნაწარმოები ვრცელ და საგულისხმო გამოკვლევას წარმოადგენს. ორივე თხზულების საქებურ თვისებას ისიც შეადგენს, რომ იქ მცენარეთა ქართული სახელებიც არის მოყვანილი. მეორე ნაშრომში არსებული ღარიბი მწერლობაც არის ნაწილობრივ მოხსენებული, გაშოტოვებულია და განუხილველად არის დატოვებული მარტო რ. ერისთავის ლექსიკონში თავმოყრილი სახელები. ეს გარემოება მით უფრო სამწუხარო, რომ ლ. დეკაპრელევიჩის განსაზღვრადა სახელები არა-ერთხელ რ. ერისთავისას არ უდგება.

ლობიოს შენახვი სპეციალური მონოგრაფია ნათლად ამტკიცებს, თუ რაოდენი საგულისხმო ცნობები გროვდება ხოლმე ასეთი მუშაობის დროს, რო-

შელთა გულდასმითი შესწავლა მკვლევარს არა-ერთი საგულისხმო დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს. მით უფრო სამწუხაროა, რომ პარკოსანთა ის ჯგუფი, რომელიც ლობიოზე მრავალი საუკუნეებით უწინარეს, ზოგიერთი უხსოვარი დროითგან მოყოლებულიც-კი, იყო ხალხში გავრცელებული, მონოგრაფიულად ჯერ სრულებით შესწავლილი არ არის. ამაზე მეტის თქმაც-კი შეიძლება, ამ ჯგუფის მარცვლეულთა ყველა სახელებიც-კი შეგროვებული და ჩაწერილი არ ყოფილა: რ. ე რ ი ს თ ა ვ ს ა ც ამ დარგისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია.

სისტემური, წესიერი კვლევა-ძიების დროს, საქმე პირველად სწორედ ამ მარცვლეულთა შესწავლით უნდა დაწყებულიყო. ცხადია, რომ რაკი ოსპის, ცერცვის, კნდურის და სხვათა თესვა-მოყვანას ქართველი მიწისმოქმედი უუძველეს დროითგან მისდევდა, იმ დაკვირვება-გამოცდილებას, რომელიც მას საუკუნეთა განმავლობაში მოპოვებული ჰქონდა, შემდეგში შემოსული ლობიოს კულტურის დროსაც გამოიყენებდა. ამიტომ ლობიოს მონოგრაფიულ შესწავლას პარკოსან მარცვლეულთა სწორედ უძველესი ჯგუფის მონოგრაფიული შესწავლა უნდა უძღოდეს. მაშინ ბევრი რამე უფრო გასაგებიც გახდებოდა და უფრო სწორედაც იქმნებოდა შეფასებული.

ეხლა კი, პარკოსანთა ამ უძველესი წარმომადგენლების მონოგრაფიულად შეუსწავლელობის გამო, ჩვენც კვლევის დროს უნებლიეთ იძულებული ვართ, ზოგიერთი საკითხის შესწავლისას, არსებულ ცნობებს დავემყაროთ და ზოგადი საკითხების გამოსარკვევად გამოსადეგი ცნობები სწორედ იქ ვეძიოთ.

ქართული ძველი წერილობითი წყაროებთგან ამოღებული ცნობა-განმარტებანი და მარცვლეულთა თანამედროვე ხალხური სახელები, როგორც თითოეული მათგანის ცალკეული განხილვის დროს დაურწმუნდებით, პარკოსან მარცვლეულთა გარკვეული დანაწილებისა და სისტემის არსებობას ჰგულისხმობს. სახელდობრ, ამათუიმ მარცვლეულის განმარტებითგან ცხადი ხდება, რომ მარცვლეულნი სამ-ოთხ მთავარ ჯგუფისადმი არიან ხოლმე მიკუთვნილნი: ზოგის შესახებ ნათქვამია, რომ ცერცვიაო, ზოგი კნდურად, ან ბარდად არის მიჩნეული, ზოგზე ამბობენ ოსპია, ზოგზე კიდევ — ლობიოაო. უეჭველია, ეს სამ-ოთხ ჯგუფად დანაწილების სისტემა მცენარეთა მსგავსებაზე არ არის დამყარებული, რათგან ორი განსხვავებული მორფოლოგიური თვისების მცენარე ერთსა დაიმავე ჯგუფშია დასახელებული. ჯგუფისადმი მიკუთვნილობა, როგორც ეტყობა, მარცვლის მოყვანილობაზეა დამყარებული. მარცვლის მოყვანილობის მსგავსებას მთლად არც ეხლა დაუკარგავს თავისი საკლასიფიკაციო მნიშვნელობა მაგ. არსებობს მოყვითანო შუათანა-მარცვლიანი მუხუდოს ჯიში რგვალი მოყვანილობის, რომელიც გარეგნულად ისე მიაგავს ბარდას, ანუ კნდურს, რომ ერთმანეთში არეულ ამ ორ მარცვლეულს ადამიანი, ერთი შეხედვით, ვერც კი გაარჩევს, რომელია მათგანი მუხუდო და რომელი ბარდა. მხოლოდ მუხუდოს ოდნავ წაწვეტილი ნაწილი ამჟღავნებს ამათუიმ მარცვლის მუხუდოობას. ამის გამო მუხუდოს ამ ჯიშს „ბარდანაირი მუხუდო“ ეწოდება: (К. Прозорова Нут: Изд. Всесоюз. Инст. Прикл. Ботаники и Новых Культур, Ленинград, 1927 წ. გვ. 14—15).

ქვემომოყვანილ მიმოხილვაში პარკოსან მარცვლეულთა ცალკეული განხილვა სწორედ იმ პრინციპის მიხედვით არის დალაგებული, რომელიც ძველად საქარ-

თველოში მიღებული ყოფილა. ამასთანავე ამ მარცვლეულთა გაჩენის ისტორიული თანდათანობის გარემოებაც არის გათვალისწინებული და ძველი კულტურის შესახები ცნობები მერმინდელსა და შედარებით ახალს წინ უსწრებენ ხოლმე.

ყოველი მარცვლეულის ცალკეულ მიმოხილვაში შეძლებისდა-გვარად გამორკვეულია თვითოეული მათგანის ყველა არსებული სახელები და შესახები ცნობები უუძველესი დროითგან, ბოტანიკური რაობა, გავრცელების ინტენსივობა ძველად და თანამედროვე არე ისევე, როგორც მნიშვნელობა ეკონომიკისათვის.

თავი II. ცერცვი და ცერცვნაირნი.

I. ც ე რ ც ვ ი.

§ 1. ცერცვის რაობა.

„ცერცუ“ დაბადების ქართულ თარგმანშივე გვხვდება (იხ. მაგ. 2 მეფეთა $17_{კჱ}$, ეზეკიელის $4_{თ}$ და სხ.) ბერძნული ὁ κύαμος-ისა, ლათინ. faba-ს და სომხური *ոլոռն*-ს შესატყვისად, გერმან. Bohne-ს, ფრანგ. pois chiche-სა და რუს. боб-ს უდრის.

§ ცერცვის მნიშვნელობა ძველად და მისი კულტურის მაშინდელი ინტენსივობა.

რაკი „ცერცვი“ საჭმელად განკუთვნილი მარცვლეული იყო, ამიტომ მის შესახებ ძველ გადარჩენილ წყაროებში, უმთავრესად ისტორიულსა და იურიდიულ საბუთებში, ცნობები არ გვხვდება. მაგრამ ცერცვს რომ ძველ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ დანარჩენი მონათესავე მარცვლეულების დასახასიათებლად სწორედ ცერცვის სახელია ხოლმე გამოყენებული.

ამასთანავე, მარხვის დროს საჭმელად, სანამ ლობიო შემოვიდოდა და ფართოდ გავრცელდებოდა საქართველოში, ხალხი უმთავრესად ცერცვსა ჰხმარობდა. როგორც „საქ. ეკონ. ისტორიის“ მე-V წიგნში მოყვანილი ცნობებითგან დავრწმუნდებით, თვით მე-XVI ს-შიც „სამარხო ცერცვ“-ს მოყვანა და გამოღება დასავლეთ საქართველოშიც მიღებული ყოფილა. ამგვარად, მარხვა ქართველს უცერცვოდ ვერ წარმოედგინა და მის მოყვანაზე, ან მის მარაგად შეძენაზე ძველად ყოველ ქართველს უნდა ეზრუნა.

მე-XVII ს. რუს დესპანების ზემომოყვანილ ცნობებითგანაც ჩანს (იხ. აქვე გვ. 5), რომ ცერცვი მაშინაც მემინდვრეობისა და მებოსტნეობის ერთ-ერთი საგანთაგანი იყო და სამარხო საჭმლის აუცილებელ კუთვნილებას წარმოადგენდა საქართველოში. ლობიოზე საუბრის დროს დავრწმუნდებით, რომ მე-XVIII ს. დამდეგსაც-კი ქართლის სამეფო კარზეც სამარხო საჭმელი ცერცვისაგან უკეთებიათ. დასასრულ, საქართველოში ამავე საუკუნის შუა წლებში გავრცელებულ მარცვლეულთა შორის ცერცვს ვ ა ხ უ შ ტ ი ც ასახელებს (აქვე გვ. 5).

რამდენადაც ცერცვი ძველად, როგორც დავრწმუნდით, უმთავრესი სამარხო საჭმელი იყო, იმდენად მაშინ საქართველოს სასოფლო მეურნეობაში შესაფერისად ფართო ადგილი უნდა ჰქონოდა დაპყრობილი. მაგრამ შემდეგში, როდესაც ლობიომ მოიპოვა ასპარეზი და ხალხის, როგორც სამარხო, ისე სახსნილო საჭმელად იქცა, ცერცვის გავრცელების არე თანდათანობით შესაფერისად უნდა შემცირებულიყო. ამიტომ ცხადია, რომ ამ მარცვლეულის ასპარეზი თანამედროვე საქართველოში მისი ოდინდელი გავრცელების სიდიდის გასათვალისწინებლად ვერ გამოგვადგება.

§ 3. ცერცვის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში.

ცერცვი საქართველოში ამ ჟამად **უფრო მაღლობ თემებშია გავრცელებული**, მაგრამ მის მოყვანას ლიხთ-იმერეთშიც და ამერეთშიც მისდევენ. გავრცელებულია **წვრილი ცერცვიცა და ხვილიც**, მაგრამ **წვრილის ნათესები უფრო ჭარბობს**. დასავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში **ხვილი ცერცვის შემოდგომის ნათესებიც** არსებობს. მაგრამ საერთოდ ცერცვს ეხლა საქართველოში **ნაკლებად მისდევენ** და უფრო ბოსტნებსა და სახლკარის მიდამოებში მოჰყავთ. ლ. დეკაპრელევიჩი მაინც ფიქრობს, რომ წინათ უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გავრცელებული (Мат. по изуч. бобовых Грузии, გვ. 138). მკითხველი ზემომოყვანილი მოსაზრებებითგან დარწმუნდებოდა, რომ ეს სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

§ 4. ცერცვის ჯიშ-სახეობანი.

ფ. გორგიჯანიძეს მარცვლეულის სახელად ნახმარი აქვს „**მსხვილი ცერცვი**“, რომლის სპარსულ შესატყვისობად სპარსული „**ბაყლა**“ აქვს დასახელებული და არაბული „**ფულ**“ (იხ. აქვე გვ. 5). ეს გამონათქვამი რომ ფ. გორგიჯანიძის მოგონილი არ არის სპარსული და არაბული სიტყვის განსამარტავად, ამას გერმანელი მეცნიერის ცნობაც ამჟღავნებს.

გულდენშტედტის ზემოთმოყვანილი (იხ. გვ. 6) ჩანაწერი სწორედ იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მას გერმანული Bohnen-ის შესატყვისად ქართულ სახელად „**ხვილი ცერცვი**“ აქვს მოყვანილი.

როგორც თავის ადგილას გამორკვეული გვაქვს, „**ბაყლა**“ არაბულ-სპარსულად მართლაც ცერცვსა ჰნიშნავდა, გერმანულ Bohne-საც იგივე მნიშვნელობა აქვს.

ამ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცნობითგან ჩანს, რომ ძველად **საქართველოში ცერცვს მარცვლის სიდიდის მიხედვითაც** არჩევდენ და ერთს, უფრო მომსხო მარცვლიანს, „**ხვილი ცერცვი**“ სწოდებია.

ასეთი სახელის არსებობა თავისდა-თავად, ან ჩვეულებრივი, ან წვრილი ცერცვის არსებობასაც გვაგულისხმებინებს. მართლაც, ეს სწორედ ახეც **უნდა ყოფილიყო**, რათგან, თანამედროვე აგრონომიული ცნობების თანახმადაც, **საქართველოში ორნაირი ჯიშის, ხვილ-მარცვლიანი და წვრილ-მარცვლიანი, ცერცვია გავრცელებული** (Л. Декапрелевич, Мат. по изуч. бобовых Грузии, გვ. 138).

თავისდა-თავად ცხადია, რომ წვრილმარცვლიანა ცერცვის ჯიში უძველესი

უნდა იყოს, სხვილ-მარცვლიანა ჯიში-კი დროთა განმავლობაში იქმნება მოპოვებული.

§ ნ. ცერცვის გავრცელების ასპარეზი ძველ და თანამედროვე მსოფლიოში.

ცერცვი, რომელსაც Vicia faba L. ეწოდება, გერმ. Pferdebohne-ს, ან და Saubohne-ს, ფრანგ. pois chiche-ს, ხოლო რუს. конские бобы-ს ეძახიან, — ძველ ეგვიპტეში ნაკლებად ყოფილა გავრცელებული, უკადრისადაც-კი ყოფილა მიჩნეული. მე-XII დინასტიის საფლავებში ცერცვის 2 მარცვალია ნაპოვნი, ისეთივე წვრილი, როგორსაც ეგვიპტეში ეხლაც სთესენ. შლიმანმა ტროას ნაქალაქევში ცერცვი ბლომად იპოვა. იტალიაში ნეოლითის ხანის განათხარშიც აღმოჩნდა ისევე, როგორც ესპანიასა და უნგრეთშიაც. ხშირია ცერცვი შვეიცარიის დიროვან ნაშენობებში და ბრინჯაოს ხანის იმავე ქვეყნის, საფრანგეთის, ესპანიის, იტალიისა და საბერძნეთის ნაშთებში, დასასრულ, გერმანულ და იტალიის რკინის ხანის განათხარშიც. იმდროინდელი ცერცვი ეხლანდელზე უფრო წვრილი ყოფილა (იხ. V. Hehn-ის Kpf. u. Ht. გვ. 219 A. Engler-ის ზოგადი ცნობა).

ამჟამად ცერცვი სამხრეთ ევროპაში და ხმელთაშუა ზღვის აუზის არეში ფართოდ არის საკვებად გავრცელებული.

ჯერჯერობით გარეული ცერცვი არსად აღმოჩენილი არ არის (იქვე გვ. 219) და ეს გარემოება კულტურული ცერცვის წინაპრისა და პირვანდელი სამშობლოს გამორკვევას აძნელებს.

II. ცერცველა.

§ 1. ცერცველას რაობა.

კულტურულ, შინაურ ცერცვს გარდა, გარეული, ანუ ველურიც არსებობს, რომელსაც ზოგიერთ ქვეყნებში აგრეთვე სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მარცვლეულს ქართველი მიწისმოქმედი „ცერცველა“-ს ეძახდა და ეძახის ეხლაც. საბას განმარტებით „ცერცველა“ იგივე „ცუდცერცვა“ ყოფილა (ლექსიკ.). რ. ერისთავს იგი Orobus vernus L. და რუსული Сочевица-ს შესატყვისად მიუჩნევია (ლექსიკ. გვერ. 73, § 1015), ლ. დეკაპრელევიჩი-კი Vicia sativa L.—დ სთვლის (Мат. по изуч. бобовых Грузии, 137-139).

§ 2. ცერცველას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში.

„ცერცველა“ უმთავრესად აღმ. საქართველოშია ამ ჟამად გავრცელებული: ჯავახეთში, ტფილისის სანახებში და ქიზიყში, ხოლო ქსანისა და არაგვის ისევე, როგორც ლიახვის ხეობაში იშვიათია. 1923 წ. აღწერის ცნობით საქართველოში ცერცველას ნათესი სულ 268 დღიური იყო.

რაჭაში თურმე ოსპის შენარევად ცერცველას თეთრ-მარცვლიანი სახეობაა, V. leucospermum Alf., რომელსაც ადამიანთა საკვებად ჰხმარობენ (იხ. Л. Де-

Каприлевич и В. Менабде, К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I, Рача, გვ. 246).

მაგრამ გარეული. ანუ ველური ცერცველაც არსებობს. საქართველოში გავრცელებული ცერცველა მრავალსახეობიანია და Vicia sativa-სა და Vicia angustifolia-ს შორის გარდამავალ სახეობათა მთელი რიგი მოიპოვება (ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии, 137-138).

III. ხანჭკვალა, თერმუზი და ლოპინარი.

§ 1. ცნობები ხანჭკვალასა, თერმუზსა და ლოპინარზე.

თანამედროვე საქართველოში, უმთავრესად ლიხთიმერეთის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთის თემში, მოჰყავთ მარცვლეული, რომელსაც ხალხი „ხანჯკოლა“-ს უწოდებს (ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии, 138).

ამ მარცვლეულის სახელი ს. ორბელიანსაც აქვს ლექსიკონში შეტანილი „ხანჭკვალა“-ს სახით და, მისი განმარტებით, იგივე „ლოპინარი, თერმია. ცერცვია“. ხოლო თვით „ლოპინარი“ ს ასახსნელად ნათქვამი აქვს, რომ „ხანჭკუალა ცერცვ“ არის. დასასრულ, თერმია“-ს გარდა. ამავე მცენარის სახელად საბას „თერმუზი“-ც აქვს მოყვანილი და პირველი ფორის განმარტებაში უწერია: „ლოპინარი (+ ხანჭკვალა, ცერცვი B), ხოლო მეორისაში: „თერმუზი თერმია“ არისო.

რ. ერისთავს „თერმია, თერმუზა, თორმუზა, ლოპინარი“ ამ მარცვლეულის ქართლ-კახეთში გავრცელებულ სახელად აქვს აღნიშნული, „ხანჭკოლა“-ს, ანუ ხანჭკვალას-კი იმერეთ-გურია-სამეგრელოში გავრცელებულ სახელად სთვლის.

§ 2. ხანჭკვალას რაობა.

ხანჭკვალა რ. ერისთავს ლათ. Lupinus alba L.-ედ მიაჩნია და რუს. бобъ-волчий-ს შესატყვისობად (ლექსიკ.). ლ. დეკაპრელევიჩიც ეტყობა ამ ლათინურ ბოტანიკურ განსაზღვრას ეთანხმება: მასაც „ხანჭკოლა“ Lupinus albus var. albiflora Bat. დ მიაჩნია (Мат. по изуч. бобовых Грузии, 138). „ხვანჭკოლა“-ს სახელი სამეგრელოშიც ყოფილა დაცული (იხ. „კრებული“ 1899 წ. № VII, განყ. II, 35: იოს. ყიფშიძის მ. გ. 397).

აქ ორი საყურადღებო გარემოებაა გასარჩევი: პირველი ამ ცერცვნაირის სახელების სიმრავლეს ეხება. რატომ არის, რომ მას სამი სახელი გააჩნია?

მართალია, რ. ერისთავს ეგონა, რომ „ხანჭკვალა“ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელია, ლოპინარი და თერმია-კი ამერეთშია მიღებული. ამგვარად აქ თითქოს გეოგრაფიულ მიზეზთან უნდა გვქონდეს საქმე. მართლაც „ხვანჯკოლა“-ს სახით ამ მარცვლეულის სახელი სამეგრელოშიც ყოფილა დაცული (იხ. „კრებული“ 1899 წ. № VII, განყ. II. 35: იოს. ყიფშიძის მ. გ. 397). მაგრამ ეს არ კმარა, რათგან ამ შემთხვევაშიც ამ მოვლენის ნამდვილი მიზეზი მაინც გამოსარკვევი გვექნებოდა. ამასთანავე, ხანჭკვალაც რომ

გამოგვეკლოთ, მაინც აღმოსავლეთ საქართველოში ამ მარცვლეულის ორი სახელი, ლოპინარი და თერმია, გვექნებოდა. უმთავრესი-კი ის არის, რომ სამივე სახელი, როგორც საბას ლექსიკონითგანაც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოშიც ყოფილა ცნობილი. მაშასადამე, გეოგრაფიული ფაქტორი აქ არაფერ შუაში უნდა იყოს.

ამ ცერცვნაირის სამი სახელისაგან „**ხანჭკუალა**“, ან ხანჭკვალა, რომელიც „**ხანჯკოლა**“-დაც ითქმის, **ამ მარცვლეულის ქართული სახელი უნდა იყოს**: ეს ამ სიტყვის ბგერითი შედგენილობითგანაც ჩანს და იმ გარემოებითაც მტკიცდება, რომ **საქართველოში მისგან ნაწარმოები არა ერთი გეოგრაფიული სახელიც** არსებობს. მაგ. ოდიშში მდინარეს „**ხანჭკულა**“ ეწოდება (იხ. 5-ვერს. რუკის გ 6. 59 — 15, 42 — 15) და მდ. ხანჯიკოლა (5-ვერს. რუკის გ 6: 59 — 30, 42—30), რაჭაშიც არის ს. „**ხვანჭკარა**“ (იქვე დ 6: 60—30, 42—45).

§ 3. ლოპინარის სადაურობა.

ამ სამ სახელთაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი „**ლოპინარი**“-ა, რათგან ის გასაოცრად მიაგავს ამ მარცვლეულის ლათინურ სახელის „**ლუპინუს**“-ს. რაკი ეს სიტყვა ნამდვილი ლათინურია, „მგლის“ (ცერცვს) ჰნიშნავს, და ხალხური სახელია, ქართულად-კი მას ეტიმოლოგია და თვისტომნი არ მოეპოვება, ამიტომ **ეს ლათინური სახელი ქართულში შეთვისებული უნდა იყოს.** Lupinum, ან და lupinus, გერ. Wolfsbohne, die Lupine, die Feigebohne, ფრანგ. lupin მგლის ცერცვად ითარგმნება. ამ სახელწოდების ორი ეტიმოლოგია არსებობს: უმრავლესობა ფიქრობს, რომ იგი ლათინ. lupus „ლუპუს“-ისაგან არის ნაწარმოები და „მგლისას“ ჰნიშნავს. მაგრამ Keller-ი ამტკიცებს, რომ ამ სიტყვის ზემოხსენებული გაგება ხალხურ ეტიმოლოგიას წარმოადგენს, ნამდვილად-კი ბერძნული λοπός-თან უნდა იყოს დაკავშირებული. „ლოპოს“ ბერძნულად პარკს, „ლოპიმოს“ ადვილად გამოსაცლელს, გასაფცქვნელს ჰნიშნავს (იხ. Al. Walde, Lateinisches etym. Wörterbuch 2 Aufl. 1910 წ.).

აღსანიშნავია, რომ შეუძლებელია ამ მარცვლეულის ქართ. სახელი „**ლოპინარი**“ მისი ლათინური სახელწოდებისაგან „ლუპინუს“-ისაგან იყოს წარმომდგარი. ლათინურად არსებობდა სიტყვა lupinarius „ლუპინარიუს“-ი, რომელიც მელუპინეს, ცერცვნაირი მარცვლეულის შემძლდის მოვაჭრესა, ჰნიშნავდა (იხ. H. Blümner, Die römische Privataltertümer 1911 წ. გვ. 196, შენ. 1 და Al. Walde, Lateinisches etym. Wörterb. 2 Aufl.). ამგვარად, ამ მარცვლეულის მოვაჭრის სახელი ქართველებს თვით მცენარისა და მარცვლის სახელად უქცევიათ. ეს გარემოება, უეჭველია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ლოპინარი მწიგნობრული გზით-კი არა, არამედ **ხალხისაგან უშუალოდ ზეპირად უნდა იყოს ქართულში შეთვისებული.**

პლინიუს მცირეს ცნობით, „**ლოპინარი**“ იტალიაში ყველაზე უფრო გავრცელებული პარკოსანი მარცვლეული ყოფილა. მას ადამიანიც ჰხმარობდა თავისთვის საჭმელად, პირუტყვსაც აჭმევდა, უმთავრესად ქაჩაჩიანს. მისი მოყვანა ძალიან ადვილი ყოფილა: მისთვის მიწის დამუშავება მეურნეს საგანგებოდ არ სჭირდებოდა, მისი მოყვანისათვის თითქმის არავითარი შრომა მიწისმოქმედს არ ეხარჯებოდა, ამისდა მიუხედავად ყველაზე უწინარეს ითესება

და ყველაზე გვიან, უკანასკნელად იკრიბება.. ამასთანავე, ლოპინარი ნიადაგსაც ანოყიერებსო (Naturalis hist. lib. XVIII, 35).

რაკი ლოპინარი ასეთი იაფი და ფართოდ გავრცელებული პარკოსანი მარცვლეული ყოფილა, ამიტომ შესაძლებელია, რომ მისი სახელი საქართველოში I—IV ს.ს-ში იყოს შემოსული, როდესაც ჩვენ ქვეყანაში რომაელთა ლეგიონები იდგნენ.

§ 4. თერმუზისა და თერმიას სადაურობა.

„ლოპინარი"-ს მსგავსად, არც ხანჭკვალას მესამე სახელი „თერმია" ახდენს ქართული ტერმინის შთაბეჭდილებას. ს. ორბელიანს, როგორც დავრწმუნდით, ამ სიტყვის მეორე ფორმაც, „თერმუზი"-ც აქვს მოყვანილი. ხოლო რ. ერისთავს ქართლ-კახეთში არსებულ სახელად „თერმუზა" და „თორმუზა" ჩაუწერია (იხ. აქვე გვ. 11).

ამ ფორმათაგან უფრო სწორედ უნდა „თერმუზი" იქნეს მიჩნეული. ეს სიტყვა ამ მარცვლეულის ბერძნულ სახელს წარმოადგენს. ბერძნები Lupinus hirsutus-სა და augustifolius L.-ს ὁ θέρμος-ს „თერმოს"ს უწოდებდენ. ამ სახელის სადაურობა ბერძნულში გამორკვეული არ არის (E m. B o i s a c q, Dictionnaire étym. de la langue grecque 1916 წ. გამ. და V. H e h n-ის Kpf. u. Ht. გვ. 416). საფიქრებელია, რომ ლოპინარის ეს ბერძნული სახელი, ან იმავე ხანში, ან და ცოტა შემდგომ უნდა იყოს საქართველოში შემოსული.

ხანჭკვალას სამი სახელის განხილვამ, მაშასადამე, დაგვარწმუნა, რომ თუ თვით „ხანჭკვალა" ქართულია, დანარჩენი ორი უცხო სახელებია: ერთი მათგანი, „ლოპინარი", ამ ცერცვნაირის გაქართულებული ლათინური სახელი ყოფილა, მეორე-კი, თერმუზი" და „თერმია" ბერძნული. ეს გარემოება საყურადღებოა და ამის მიზეზის შესახებ სათანადო ადგილას გვექნება საუბარი.

§ ხანჭკვალას მავნე თვისება.

ვ. მენაბდეს სიტყვიერი ცნობით, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, ხანჭკოლას, ღირსებასთან ერთად, მავნე თვისებაც აქვს. მისი ჭამა არ შეიძლება, თუ ეს მარცვლეული წინასწარ საგანგებოდ შემზადებული არ იქმნა: მას ალბობენ და გამდინარე წყალში რეცხენ, რომ მარცვლეულს მავნებლობა გამოეცალოს. მის მცენარესაც-კი საქონელი არც სჭამს და არც ეკარება, უეჭველია, ხანჭკოლას მავნე თვისების გამო.

§ 6. ხანჭკვალას გავრცელების არე.

ხანჭკუალას შესახებ ცნობები ძველ საბუთებში ჯერ არსადა ჩანს, მაგრამ ს. ორბელიანს ეს სახელწოდება, ეტყობა, წერილობითი ძეგლითგან უნდა ჰქონდეს ამოღებული და შესაძლებელია ასეთი წყაროები ოდესმე კიდევაც აღმოჩნდეს. გურიის ერისთავის ქალის მონაზონი თეკლას მე-XVIII ს. შუა წლების გურიის უდაბნოსადმი მიცემულ შეწირულების წიგნში, რომლის გადმონაწერის გადმოცემისათვის გ. ბოჭორიძეს დიდ მადლობას მოვახსენებ, ნათქვამია, რომ შეწირული გლეხი ქილენტის შვილი დავითელა ვალდებული იყო ძღენად

სხვათა შორის „მწვანილი ხანჭკოლა და პწნილი" (sic) მიერთმია. ხანჭკოლას ძველად გავრცელების არეს გამორკვევა ჯერ შეუძლებელია. მხოლოდ ზემომოყვანილი გეოგრაფიული სახელებითგან ჩანს, რომ გურიის გარდა წინათ ეს მარცვლეული სამეგრელოსა და რაჭაშიც უთესიათ.

ხანჭკვალას მოყვანას ამჟამად დასავლეთ საქართველოში და იქაც უმთავრესად გურიის დაბლობებში მისდევენ. მაშასადამე, წინანდელთან შედარებით ამ მარცვლეულის გავრცელების ასპარეზი საგრძნობლად შემცირებულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მცენარეს ძველ საქართველოში სამი სახელი ჰქონია, რომ მის ამერეთშიც არსებობას საბას ლექსიკონი გვაგულისხმებინებს, მაშინ ცხადი გახდება, რომ ხანჭკუალას ძველად არეც ფართო უნდა სჭეროდა და მნიშვნელობაც გაცილებით მეტი ჰქონოდა.

გურიაში ჩვეულებრივ ხანჭკვალას შემოდგომას სთესენ, ენკენისთვის დამდევს და მაისის დამლევს, ან და ივნისის დამდეგს ეს მარცვლეული უკვე შემოსულია ხოლმე. ხანჭკოლას უმთავრესად საჭმელად ჰხმარობენ (ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии, 138).

თავი III. ოსპი.

§ 1. ცნობები ოსპის შესახებ და მისი რაობა.

„ოსპი"-ც დაბადების ქართულ თარგმანშივე გვხვდება. მაგ. შესაქმეთა 25_{30} და $_{34}$-ში სწერია: „ჰრქუა ესავ იაკობს, ვიგემოთ გბოლვილისაგან ოსპნისა ამის... ხოლო იაკობ მისცა ესავს პური დაგბოლვილი ოსპნისა"-ო. ბერძნულ ტექსტში „დაგბოლვილი ოსპნისა"-ს შესატყვისად არის ἕψεμα φακοῦ, ლათინურში lentis edulio, სომხურში *Թան ոսպնեա*.

ეს სიტყვა ნახმარია კიდევ 2 მეფეთა 17_{28}, 23_{11}-ში, ეზეკიელის 4_9-ში და სხვაგანაც. აქაც „ოსპნი", ანუ „ოსპი" ბერძნულის ὁ φακός-ს, ლათინურს lens-ს და სომხურს *ոսպն*-ს უდრის, ფრანგულს lentille-ს, გერმანულ Linse-სა და რუს. чечевица-ს.

§ 2. ოსპის გავრცელებულობის ინტენსივობა ძველად.

თუ რამდენად გავრცელებული იყო ოსპი საქართველოში, უძველეს ხანისათვის ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ მე XVII ს. რუს დესპანებს აქვთ აღნიშნული, რომ აღმ. საქართველოში, ცერცვს გარდა, ოსპსაც სთესდენ (იხ. აქვე გვ 5). ლიხთ-იმერეთის აღწერილობაში კი ოსპის თესვა-მოყვანაზე არაფერია ნათქვამი. ოსპის კულტურის საქართველოში მე-XVIII ს-შიც არსებობას ფ. გორგიჯანიძისა და აკად. გულდენშტედტის პატარა ლექსიკონებიც ამჟღავნებენ: პირველი მათგანი ოსპს სპარსული „ადას"-ისა და არაბული „დანჩა"-ს შესატყვისად ასახელებს. უეჭველია, „ადას" იგივე ოსპის ებრაული სახელი „ადაშ იმ" უნდა იყოს, რომელსაც არაბებიც ეხლაც ჰხმარობენ და მათგან სპარსელებსაც აქვთ ნასესხები (V. Hehn, Kpf. u. Ht. 214). მეორე ავტორს ოსპი გერმანული Linse-ს შესატყვისად აღუნიშნავს. მისი არსებობის გარემოება ვახუშტსაც აქვს თავის საქ. გეოგრაფიაში დადასტურებული.

არსებობდა, თუ არა ოსპის სხვადასხვა ჯიში ძველ საქართველოში, ამის

შესახებ ჯერ არავითარი ცნობები არა ჩანს. ამის გამორკვევა შესაძლებელი იქმნებოდა, სხვილ-მარცვლიანა და წვრილ-მარცვლიანა ოსპის თანამედროვე სახელები და არსებული ჯიშების შესახებ ცნობები რომ შეკრებილი იყოს, მაგრამ სამწუხაროთ ჯერ არც ეს გაგვაჩნია.

ლობიოს კულტურის საქართველოში შემოტანა გავრცელებას, რა თქმა უნდა, ცერცვზე მეტად ოსპის გავრცელების არე უნდა შეეზღუდა, მაგრამ მაინც ლობიოს ვერც ოსპის მოსპობა შესძლებია. მის მოყვანას ქართველი მიწისმოქმედი დღევანდლამდის მისდევს.

§ 3. ოსპის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში.

თანამედროვე საქართველოში ოსპს თიანეთის თემში, არაგვისა და ქსნის ხეობაში, შიდა ქართლში და ჯავახეთში სთესენ, უფრო მაღლობ ადგილებში. საქართველოში უმთავრესად ოსპის წვრილ-მარცვლიანი ჯიშია (ssp. microsperma) გავრცელებული, რომლის მარცვლის დიამეტრი 3—5 მილიმეტრიანია (ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии, 137).

ოსპის სხვილმარცვლიანი ჯიში (ssp. macrosperma Baum. Baroul.) მხოლოდ აღმ. საქართველოში, თიანეთის თემში, მოიპოვება (იხ. ლ. დეკაპრელევიჩი და ვ. მენაბდე К изуч. полевых культ. Зап. Грузии, I. Рача, 246, შენ. 3).

რაჭაში უფრო ერთფეროვანი ოსპია გავრცელებული: პირისფერ-მარცვლიანი (gilvus), ჟომლ-პირისფერ-მარცვლიანი (fumido-gilvus) და ნიგვზისფერი (avellaneus). მაგრამ ჭრელმარცვლიანი ჯიშების 2 სახეობაც მოიპოვება: აგურისფერი შავწინწკლიანი და ღია აგურის ფერი (светло умбровым фоном) შავწინწკლიანია (ლ. დეკაპრელევიჩი და ვ. მენაბდე, К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I. Рача, 246).

ელ. ბარულინას აღნიშნული აქვს, რომ **თანამედროვე საქართველოში, ოსპის ნათესების სიმცირისდა მიუხედავად, მისი ჯიშებრივი შედგენილობის მრავალფეროვანება უნებლიეთ დამკვირვებლის ყურადღებას იპყრობს.** მისი სიტყვითაც უმეტეს ნაწილად **წვრილმარცვლიანი ქვესახეობა** (subsp. microsperma), სახელდობრ **აზიური ჯგუფი** (asiaticae) სჭარბობს, მაგრამ, ვგონებ, **ევროპული ჯიშებიც მოიპოვებაო** (იხ. Чечевица СССР и других стран, გვ. 185).

ამავე ავტორის ცნობით, იმ მასალების მიხედვით, რომელიც მას ხელთა ჰქონია, **საქართველოში ოსპის შემდეგი 7 ჯიში** მოიპოვება: violascens, persica, punctata, viridula, იშვიათად var. transcaucasica და brunnea (თიანეთის თემში) და სხვილმარცვლიან ჯიშთაგან შედარებით იშვიათად და უფრო შენარევის სახითაა var. nummularia (იქვე 185). როგორც ზემომოყვანილი ცნობებიდან ჩანს, ოსპის სხვილმარცვლიანი ჯიში თიანეთის თემშია გავრცელებული.

სხვა მარცვლეულთა მაგალითის მიხედვით, ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსპის ზემოდასახელებულ, თუ ყველა 7 ჯიშს არა, მათგან ყველაზე უფრო გავრცელებულ, ჯიშებს მაინც ქართულად თავ-თავისი სახელი არა ჰქონდეთ. ამიტომ ხალხში შერჩენილი მათი თანამედროვე სახელების შეკრება და ჩაწერა მორიგ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული. ეს ცნობები რომ გვქონოდა, შესაძ-

ლებელია ზოგი რამე საგულისხმო აღმოჩენილიყო ოსპის ისტორიის შესასწავლადაც საქართველოში.

§ 4. თეთრი ოსპი.

რაჭაში ოსპის ყველა ნათესებში თურმე ცერცველა ყოფილა შერეული. ცერცველას წმინდა, ცალკეული ნათესები იქ თურმე იშვიათად თუ შეხვდება ადამიანს. რაჭაში უმთავრესად **სხვილ-მარცვლიანი თეთრი ცერცველა ყოფილა** გავრცელებული, რომელსაც ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი და ვ. მ ე ნ ა ბ დ ე leucosperma Ser-ის სახეობად სთვლიან. ალსანიშნავია, რომ **რაჭველი მიწისმოქმედნი ამ თეთრ-მარცვლიან ცერცველას თურმე სრულებით ცერცველად არ სცნობენ.** ამ სხვილ-მარცვლეულის ადგილობრივ **სახელად თეთრი ოსპი იხმარება. ხალხი** მას ადამიანის საჭმელად ჰხმარობს. ჩვეულებრივ ცერცველას-კი ღორებს აჭმევენ (Л. Декапрелевич и В. Менабде, К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I. Рача, გვ. 346).

§ ოსპის თანამედროვე კლასიფიკაცია და გავრცელების არე მსოფლიოში.

ოსპი, მისი მარცვლეულის სიდიდისდა მიხედვით, ორ მთავარ ჯგუფად იყოფება: **ერთს სხვილი მარცვალი** (6-9 მილლიმ. დიამეტრ.) აქვს და ამის გამო **ხხვილ-მარცვლიანი ქვესახეობა**, Subspec. macrosperma Baumg. ეწოდება,— **მეორე ჯგუფს** კიდევ წვრილი (3-6 მილლიმეტ. დიამეტრ.) მარცვლები აქვს და **წვრილ-მარცვლიანი ქვესახეობა**, ssp. microsperma Baumg. ჰქვიან. არსებობს **საშუალო ქვესახეობაც**, რომელსაც ელ. ბ ა რ უ ლ ი ნ ა შუალედს intermediae-ს უწოდებს (Чечевица СССР и других стран, გვ. 124—127).

ამჟამად **ხხვილმარცვლიანი ოსპის გავრცელების არეს** ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია თავისი კუნძულებით, საბერძნეთი, ევროპის ჩრდილო ნაწილი, ნაწილობრივ კავკასიაც და ჩრდილო აფრიკის სანაპირო, მაროკო, ალჟირი და ტუნისი შეადგენს (იქვე გვ. 124—6 და 225). **ხოლო წვრილმარცვლიანი ჯიშის ოსპი გავრცელებულია** ინდოეთსა, ავღანისტანსა, ქიშმირში, სპარსეთში, კავკასიასა, აბაშეთსა და ერეთრეაში (იქვე გვ. 126 და 225). **კავკასიაში** სხვილმარცვლიანზე გაცილებით მეტად სწორედ წვრილმარცვლიანი ჯიშები მოიპოვება, **წვრილმარცვლიანა სჭარბობს.**

§ 6. ოსპის გავრცელების არე ძველად.

ოსპი, Lens esculenta Moench, **ეგვიპტეში მე-XII დინასტიის** მიცვალებულთათვის სამარხავში თან ჩატანებულ საჭმელებს შორის აღმოჩნდა. ეს ოსპი ისეთსავე **წვრილმარცვლიან ჯიშს ეკუთვნის,** როგორსაც ეგვიპტეში ეხლაც სთესენ. შ ლ ი მ ა ნ მ ა ოსპი **ჰისსარლიკის მეორე ქალაქის განათხარში** იპოვა. **ნეოლითის ხანისავე დიროვან ნაშენობებში** და სხვაგან უნგრეთში, გერმანიასა, შვეიცარიასა და იტალიაში ნაპოვნია ოსპიც, ეს მარცვლეული ბევრგან სხვა ადგილებშიც არის აღმოჩენილი. **ყველა განათხარებში ნაპოვნი ოსპის მარცვ-**

ლები ამავე მცენარის თანამედროვე ჯიშების მარცვლებზე იმდენად მომცროა, რომ ძველი ოსპი განსაკუთრებულ წვრილმარცვლოვან (var. microspermum) სახეობად იქმნა მიჩნეული (იხ. V. Hehn-ის Kpf. u. Ht. 220: ა. ენგლერის აზრი).

§ 6. მეცნიერთა მოსაზრებანი ოსპის თავდაპირველი სამშობლოს შესახებ.

A. Engler-ის აზრით, რაკი ველური ოსპი გავრცელებულია ავღანისტანითგან მოყოლებული მცირე აზიამდე და თვით მცირე აზიაშიც მოიპოვება, ამიტომ კულტურული ოსპის პირვანდელი სამშობლოც იქვეა საგულისხმებელი: სწორედ იქ უნდა იყოს წარმოშობილიო (იხ. V. Hehn-ის Kpf. u. Ht. 220).

ელ. ბარულინას ოსპის პირვანდელი სამშობლოს პრობლემა უხვად შეგროვილი მრავალფეროვანი მასალის მიხედვით ხელახლად აქვს განხილული. წვრილ-მარცვლიანი ოსპის Lens esculenta-ს პირველად ჯიშოვან ცენტრად და კულტურული ოსპის პირველ წარმომშობელად მას სამხრეთ-დასავლეთი აზია, სახელდობრ ჰინდუკუშსა და ჰიმალაებს შორის მდებარე მთიანეთი, მიაჩნია. სხვილმარცვლიანას შესახებ ვერაფერი დაუსკვნია და ფიქრობს, რომ შესაძლებელია აქ ხელოვნურად ჰიბრიდაციით მიღებულ ჯიშებთან გვქონდეს საქმე (იხ. Чечевица გვ. 227—228).

ამასთანავე, ოსპის ჯიშოვანი მრავალფეროვანობისა და ადგილობრივ სახეობათა არსებობის გამო, იგივე მკვლევარი ამიერკავკასიას ისევე, როგორც მცირე აზიას, ასურეთსა, პალესტინას და ესპანიას ოსპის კულტურის მეორად ცენტრად სთვლის (იხ. Чечевица, გვ. 230—232).

§ 7. ოსპის სამშობლოს პრობლემის გამორკვევის სიძნელე ისტორიული ცნობების გაუთვალისწინებლივ.

პლინიუს სეკუნდუსს აღნიშნული აქვს, რომ მის დროს ეგვიპტეში ორგვარი ოსპი არსებობდა: ერთი ჩვეულებრივი იყო, მეორე-კი უფრო რგვალმარცვლიანი და უფრო მოშავო ყოფილა („Lens... duo genera ejus in Aegypto, alterum rotundius nigriusque, alterum sua figura“: Natur. Hist. lib. XVIII, cap. 31). ეგვიპტური ოსპი საუკეთესოდ ითვლებოდა და რომში ამ ჯიშის ოსპი იქითგან შეჰქონდათ ხოლმე. მაგრამ ვირგილიუსის ცნობით მის მოყვანას ნაწილობრივ თვით იტალიაშიც მისდევდენ (იხ. Hugo Blümner, Die Römische Privataltertümer 1911 წ. გამ. გვ. 165).

დამახასიათებელია, რომ თანამედროვე ეგვიპტეში, ელ. ბარულინას სიტყვით, პირიქით ოსპის კულტურას ერთგვარობა ემჩნევა: იქ წვრილ-მარცვლიანი ჯიშის მოიისფრო სახეობა, microsperma var. violascens-ი არის თურმე გაბატონებული, ხოლო დაწინწკლული, V. punctata (Minia), სახეობა იშვიათია (იხ. Чечевица СССР и др. стран, გვ. 208). პლინიუსის ზემომოყვანილი ცნობითგან-კი ირკვევა, რომ განთქმული ეგვიპტური ოსპი ან grisea, ან და უფრო brunnea, ან nigra-ს სახეობისა უნდა ყოფილიყო, რომელთაგან მეორე

ამიერკავკასიასა და დას. ევროპაში, მესამე-კი აბაშეთში, ავღანისტანსა და ინდოეთშია უფრო გავრცელებული (იხ. ელ. ბარულინას Чечевица, გვ. 83.).

ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ დროთა განმავლობაში ოსპის კულტურაში დიდი ცვლილება მომხდარა და წინანდელი, ძველი ჯიშების მაგიერ სრულებით სხვა ჯიშის ოსპის მოყვანა დაუწყვიათ. უეჭველია, ეს იმ ისტორიულ ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომ ეგვიპტეში არაბთა ბატონობის დროს მოსახლეობას ახალი ეროვნების, არაბების საგრძნობი ნაწილი შეერია, რომელმაც ეგვიპტის კულტურული ვითარება სრულებით გარდაქმნა. ეს ერთი იმ გამაფრთხილებელი შემთხვევათაგანია, რომელიც ცხად-ჰყოფს, თუ რამდენად სახიფათოა მარტო თანამედროვე ვითარებისა და ცნობების მიხედვით, ისტორიული ცნობების გაუთვალისწინებლივ, კულტურული და ეკონომიური ისტორიის საკითხებზე მსჯელობა და რამდენად ძნელია მარტო ამ გზით წარსულის უტყუარი სურათის აღდგენა.

§ 8. ზოგადი მოსაზრება საქართველოში არსებული ოსპის ჯიშების შედარებითს ხნიერებაზე.

როგორც განათხარი ნაშთებითგან ჩანს, უძველეს ხანაში სამხრეთ ევროპაშიც ოსპის წვრილ-მარცვლიანი ჯიში იყო გავრცელებული. როდის გაჩნდა იქ სხვილმარცვლიანი ჯიში, არა ჩანს. თანამედროვე საქართველოში თუმცა სხვილმარცვლიანი ჯიშის ოსპიც მოიპოვება, მაგრამ უმთავრესად წვრილ-მარცვლიანი ჯიშები სჭარბობენ, რომელნიც, უეჭველია, უძველესი კულტურის ნაშთად უნდა იყვნენ მიჩნეული. სხვილ-მარცვლიანი ჯიში-კი პირიქით შედარებით ახალს, მერმინდელ მონაპოვარს უნდა წარმოადგენდეს, რა თქმა უნდა, დასავლეთითგან შემოტანილს.

თავი IV. კნდური და კდურნაირნი.

I. კ ნ დ უ რ ი.

§ 1. ძეგლებში დაცული ცნობები კნდურის შესახებ.

„კნდური“-ს შესახებ, ს. ორბელიანის გარდა, არავის არაფერი მოეპოვება. ამ მარცვლეულს თავისდროინდელ საქართველოში არც ვახუშტი იხსენიებს.

საბას-კი თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს კნდური“, რომელიც 2 მეფეთა 17_{18}-ის დამოწმებით, მისი აზრით, „**სხვილი ცერცვი**“-ს აღმნიშვნელი იყო. მაგრამ ამ ადგილას ამ სიტყვის მსგავსი არაფერია და დაბადების ტექსტის შინაარსის მიხედვით არც შეიძლება რომ ყოფილიყო. საკმარისია ადამიანმა 2 მეფეთა 17_{28}, რომელიც ზოგს თარგმანში სამუელისად ითვლება, გადაიკითხოს, რომ მისთვის ცხადი შეიქმნეს, რომ საბას ლექსიკონში სწორედ ეს §-ი უნდა ყოფილიყო დასახელებული და ზემომოყვანილ დამოწმებაში § 18-ის მაგიერ 28 ეწერებოდა.

მართალია, ბერძნულ თარგმანში სწერია მხოლოდ κύαμον καὶ φακόν, რის შესატყვისადაც ბაქარის გამოცემაშიც დაბეჭდილია **„ცერცვი და ოსპი“**, სომხურადაც ამგვარადვე მარტო იგივე ორი მცენარეა დასახელებული, ***„ոլոռն եւ ոսպն“***, მაგრამ ლათინურ თარგმანში ნათქვამია „fabam et lentem et frixum cicer“. ამგვარად, ამ მუხლში, ბერძნულ-ქართულ-სომხური გამოცემული ტექსტის ორის მაგივრად, სამი პარკოსანი მარცვლეულია მოხსენებული. frixum დახლილსა ჰნიშნავს, ხოლო cicer თვით იმ მარცვლეულის სახელია, რომელიც ბაქარისეულ ხელთნაწერში ან და მის გამოცემაში გამოტოვებულია. იმ ხელთნაწერშიკი, რომელიც ს. ორბელიანს ჰქონია ხელთ, ეს მარცვლეული ქართული თარგმანის ამ მუხლშიც ყოფილა დასახელებული და, როგორც საბას ლექსიკონში დაცული ცნობითგან ჩანს, **კნდური**“ წერებულა.

მაგრამ ამ მარცვლეულის ამ ჟამად თითქოს უკვალოდ გამქრალი სახელი **კნდური** მარტო დაბადების თარგმანში არ გვხვდება, არამედ შემდეგ საუკუნეებშიც ცოცხალი და მე-XI ს-იც ყველასათვის გასაგები სიტყვა ყოფილა. იგი გ. მთაწმიდელის დიდ სჳნაქსარშია ორგან ნახმარი იმ დებულებებში, რომელსაც სათაურად წარწერილი აქვს „საჭმელისათჳს და სასმელთა ვითარობისა და რავდენობისა და სატრაპეზოჲსა წესიერებისა“ [1]. დიდმარხვის შესახებ იქ ასეა განსაზღვრული: „ორშაბათსა და ოთხშაბათსა და პარასკევსა ჰამდენ **კნდურისა სირსჳალსა** და მხალსა უმგბარსა და მწნილსა, თუ დახუდეს, და **ცერცუსა** დამბალსა. ხოლო სამშაბათსა და ხუთშაბათსა ცერცუსა, გინა მხალსა ნიგუზითა ზავებულსა“. შემდეგ ნათქვამია: „დიდსა ვნებისა შჳდეულსა ორშაბათსა, სამშაბათსა და ოთხშაბათსა პურსა და **კნდურისა სირსჳალსა** ჰამდიან. ხოლო დიდსა ხუთშაბათსა ზეთითა ზავებულსა ორსა საჭმელსა“-ო.

გ. მთაწმიდელის ამ დებულებითგან ჩანს, რომ მე-XI ს. **ცერცვი და კნდური ქართველ მონაზონთა მთავარი სამარხო საჭმელი ყოფილა.** ამ უკანასკნელი მარცვლეულისაგან, ეტყობა, უმთავრესად **„სირსჳალი“** უკეთებიათ.

§ 2. კნდურის რაობა.

არც რ. ერისთავს თავის საბუნებისმეტყველო ლექსიკონში, არც ლ. დეკაპრელევიჩს თავის მონოგრაფიაში „Материалы по изучению зерновых бобовых Грузии“ და არც ზ. ყანჩაველს თავის „ბოტანიკა“-ში კნდურის ხსენებაც კი არ მოეპოვებათ. ერისთავსა და ყანჩაველს არც cicer-ის ქართული შესატყვისობა აქვთ მოყვანილი. ლ. დეკაპრელევიჩს-კი მხოლოდ Cicer arietinum L. აქვს მოხსენებული, რომლის ქართულ შესატყვისობად **„მუხუდო“** არის დასახელებული (იხ. ტფ. ბოტან. ბაღის მეცნ.-გამოკ. განყ. ნაწერები V, 136).

მაგრამ დაბადების ქ͠ლ თარგმანში ნახმარი „კნდური“ cicer, რასაკვირველია, შეუძლებელია რომ მუხუდო ყოფილიყო. ს. ორბელიანსაც „კნდური“ სხვილ ცერცვად აქვს განმარტებული, რაც მუხუდოს სრულებით არ უდგება. რ. ერისთავსაც მუხუდოს ერთ სახელთაგანად **„ბარდა-ცერცვი“** აქვს აღ-

---

[1] გ. მთაწმიდელის ამ საგულისხმო ნაშრომის გარდმონაწერი პ. ინგოროყვამ გადმომცა ჩემთვის საჭირო ცნობების ამოსაკრებად, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

ნიშნული (იხ. გვ. 40, § 590). მუხუდოს, ბარდა-ცერცვისა და ერევინდის ლათინურ ბოტანიკურ შესატყვისობად რ. ე რ ი ს თ ა ვ ს აღუნიშნავს Lathyrus sativus L., ხოლო რუსულად горох немецкий (იხ. ლექს. გვ. 40, § 590).

ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი-კი „მუხუდო“-ს cicer arietinum L.-დ. სთვლის, ხოლო Lathyrus sativus L.-ს ქართულ შესატყვისობად „ცულის პირა“-ს ასახელებს (იხ. Мат. по изуч. зерновых бобовых Грузии, ტფ. ბოტან. ბაღის მეცნ.-განყ. ნაწერები V, 136 და 137), რაც სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

ამგვარად, cicer-ის ძველი ქართული შესატყვისობა აქამომდე ცნობილი არ არის. უკვე დაბადების ქართული თარგმანის ზემოდასახელებული ადგილითგან გამოირკვა, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 19), რომ „კნდური“ ძველ ქართულში ლათინური cicer-ის შესატყვისობა ყოფილა.

ხოლო V. H e h n-ის განმარტებით ლათინური cicer უდრის იტალიანურ cece-ს, გერმ. Kicher-სა და ფრანგ. chiche-ს (Kpf. u. Ht. 215). რუსები cicer-ის აღსანიშნავად овечий горох-ს ჰხმარობენ. ამისდა მიხედვით რუს მე-XVII საუკ. დესპანების აღწერილობაში დასახელებული горох კნდურად უნდა ვიგულისხმოთ და ვთარგმნოთ.

II. ბარდა და ნეცინ ლეღჯრ.

§ 1. ცნობები ბარდაზე და მის რაობაზე.

გარკვეული ხანითგან, რომლის დროის განსაზღვრისათვის ჯერ კიდევ დაწვრილებითი კვლევა-ძიებაა საჭირო, „კნდური“, ვითარცა მცენარეულობის სახელი, ქრება. ამიტომ მის მაგიერ სხვა ზოგადი სახელი უნდა გაჩენილიყო. მართლაც, აკად. გ ჱ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ-ის ჩანაწერებითგან ჩანს, რომ წვრილი Pisum-ის, ანუ, როგორც მას გერმანულად აღნიშნული აქვს, „Kleine Erbsen“-ის ქართულ სახელად, მე-XVIII ს. დამლევს მაინც „თეთრი ბარდა“ ყოფილა მიღებული (იხ. აქვე, გვ. 5). ამასვე ადასტურებს ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელშიც რუსული горох-ის გვერდით ჯერ სწერია „მრგვალი მუხუდა (sic) რუსული“, შემდეგ ეს სიტყვები გადახაზულია და სწერია „ბარდა“ (იხ. საქ. მუზეუმის ხელთნ. № 3328). ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს თანამედროვე ცნობაც ამავე შესატყვისობას გვაძლევს, რომლის მიხედვითაც Pisum-ის ორივე სახეობა, შინაურიცა და ველურიც, „ბარდა“-დ იწოდება.

უცნაურია, რომ არც ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს და არც ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს სიტყვა „ბარდა“ არ მოეპოვებათ.

მაგრამ „ბარდა“-ს რაობის ზემომოყვანილი განსაზღვრის ნაწილობრივ თითქოს აკად. გ ჱ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერის ერთი ცნობა ეწინააღმდეგება, რადგან მას სხვილი Pisum-ის, „Grosse Erbsen-ის იმდროინდელ ქართულ სახელად „თეთრი ლობიო“ აქვს აღნიშნული (აქვე გვ. 5), ისევე როგორც რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ცნობაც, რომლის ლექსიკონის მიხედვით Pisum sativum L., რუსულ горох-ს, ქართულად, სახელდობრ გურიაში, თურმე „ოძროს ცერცვა“ ეწოდება (იხ. გვ. 45, § 654).

საგულისხმოა, რომ ამავე ავტორს მუხუდოს ერთ-ერთ სახელად „ბარდა-

ცერცვი“ აქვს ჩაწერილი (გვ. 40, § 590). ისე გამოდის, თითქოს ქართულში Vicia faba-სა და Pisum-ისათვის ერთი სახელი ყოფილიყოს, ანდა Pisum-ს, ანუ კნდურს, თუ ბარდას ხალხი ცერცვისაგან ვერ არჩევდეს.

ეს ერთი შეხედვით უცნაური გარემოება იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ როდესაც Cicer-ისა და Pisum-ისათვის არსებული ძველი ზოგადი სახელი „კნდური“ გაქრა, ქართულს მარცვლეულთა ამ ჯგუფისათვის ზოგადი სახელი აღარ გააჩნდა, სანამ „ბარდა“ არ განმტკიცდა. ამის შემდგომაც მარტო „ბარდა“ ხალხს, როგორც ეტყობა, საკმაოდ მკაფიო სახელად არ მიაჩნდა. ამიტომ განსასხვავებლად ცერცვს უმატებს და ჰხმარობს „ბარდა-ცერცვ“-ს, ანდა „ოქროს ცერცვა“-ს, რომ ამ მარცვლეულის ფერის აღმნიშვნელი „ოქროს“ დართვით ცხად-ჰყოს, რომ ის ნამდვილი ცერცვი არ არის, რომ ის ბარდაა.

როგორც გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერებიდგან, ისევე ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს რუს.-ქართ. ლექსიკონიდგან ჩანს, რომ მე-XVIII ს. მეორე ნახევრიდგან მაინც კნდურის მაგიერ ზოგად სახელად ბარდა ქცეულა.

§ 2. სვანური ნეცინ ლედჵრ-ის რაობა.

მაგრამ, თუ Pisum arvense L.-ს ქართულ სახელად ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ს „**ბარდა**“ აქვს აღნიშნული, სვანურ სახელად „ნეცინხედერ“-ი „(**Неццинхедер**“) უწერია. ნამდვილად-კი ეს სვანური სახელი ორ ცალკეულ სიტყვად უნდა დაიწეროს, რადგან აქ ორი სიტყვაა: „ნეცინ“, რომელიც წვრილსა ჰნიშნავს, და „ლედჵრ“, რომელიც ეხლა სვანურად ცერცვისაცა და ბარდას აღსანიშნავადაც იხმარება. ამგვარად, „**ნეცინ-ლედჵრ**“ სვანურად თითქოს „**წვრილ ცერცვს**“ უნდა ჰნიშნავდეს. მაგრამ საფიქრებელია, როგორც თავის ადგილას აღნიშნული იქმნება, რომ „ლედჵრ“ თავდაპირველად იგივე „კნდური“ უნდა ყოფილიყო.

ასეთი მნიშვნელობა ამ სიტყვას ივ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ი ს ლექსიკონის მიხედვით, თანამედროვე სვანურშიც ჰქონია დაცული: მას რუსული горох-ის შესატყვისადაც სწორედ „ლედჵრ“-ი აქვს აღნიშნული. ამგვარად, **სვანური „ნეცინ ლედჵრ“ იმავე ჰნიშნავს, რასაც ქართული სახელი, „წვრილ ბარდა“-ს ანუ კნდურს.**

§ 3. „ბარდა“-ს სადაურობა და ძირითადი მნიშვნელობა.

გამოსარკვევია, თუ სადაურია სახელი „ბარდა“, ან რას უნდა ჰნიშნავდეს?

„**ბარდა**“ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს, მაგრამ მნიშვნელობის სიტყვიერად განუმარტავად. ამის მაგიერ მას გვერდით ხის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი დაუსვამს. შემდეგ ზემოდასახელებულ სიტყვას მისდევს მისგანვე ნაწარმოები „**ბარდნალი**“, რომლის განსამარტავად უწერია „**ბარდებხშირი**“-ო. დასასრულ, ს ა ბ ა ს მოეპოვება „**შებარდული**“, რომელიც „**ბარდით შეფარული**“ ყოფილა (ლექსიკ.).

მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ზემოყვანილი განმარტება იმდენად მკაფიო არ არის, რომ ბარდის ძირითადი მნიშვნელობის ხელმიწვდომით გამორკვევა შეიძლებოდეს. მაგრამ ხალხში ეს სიტყვა ეხლაც იხმა-

რება და ბარდი ტყესა და ბუჩქნარში წვრილ მხეიარა და განრთხმულ გადახლართულ ბუჩქ-ხესა ჰნიშნავს.

ეს სიტყვა მეგრულსა და ჭანურშიც არსებობს: მეგრულად „ბარდი„, „ბარდვი“, ანდა „ბარდონი“ კვრინჩხის ბუჩქსა და ხშირს, გაუვალ ტყესა ჰნიშნავს (მ. გ.), — ხოლო ჭანურად ზვინს, სასუქად განკუთვნილ გვიმრის ზვინსა ჰნიშნავს (ჭ. გ.).

ამგვარად, ზემომოყვანილის მიხედვით „ბარდი“ მცენარის მიწაზე და გვერდებზე გართხმა-გადახლართულობის აღმნიშვნელი ყოფილა.

„ბარდა“-ც, Pisum, სწორედ ასეთივე თვისების მცენარეა: იგი პატარა, მაგრამ ყოველმხრივ განრთხმულ-გადახლართულ ბუჩქს წარმოადგენს. სწორედ ამიტომვე უნდა იყოს, რომ ქართ. მიწისმოქმედს ამ პარკოსანისათვის ასეთი სახელი დაურქმევია. მაშასადამე, „ბარდა“ ამ მარცვლეულის Pisum-ის ქართული სახელია, ამ მცენარის მორფოლოგიური თავისებურების გამომხატველი.

§ 4. ბარდას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში.

„ბარდა“ კულტურული, Pisum sativum L., საქართველოში შიდა ქართლში, ჯავახეთში, წალკასა და ქსნისა და არაგვის ხეობაშია გავრცელებული და მემინდვრეობის კულტურად თითქმის განსაკუთრებით მთიანეთის ზოლში გვხვდება 3500-4000 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონითგან. დაბლობ ადგილებში მხოლოდ ცოტა-ცოტა მოჰყავთ ბაღ-ბოსტნებში. დას. საქართველოში ბარდას ადრეულ გაზაფხულზე მწვანე მარცვლეულის მოსაყვანად შემოდგომის ნათესებსაც მისდევენ.

წვრილი, ანუ ველური ბარდა, Pisum arvense L.-ეც უმთავრესად მაღალი ზოლის მცენარეა. გავრცელებულია თრიალეთში, ჯავახეთში, დასავლეთ საქართველოშიც, მაგრამ იქ სიმინდთან ერთად ითესება ხოლმე. ასეთ წესს მეტადრე რაჭაში მისდევენ. ყველაზე უხვად ეს მცენარე ჯავახეთში გვხვდება, სადაც მისი ბევრი სხვადასხვა სახეობა მოიპოვება. ამასთანავე აქ იგი ველურადაც არის გავრცელებული.

გარეულ ბარდას საქართველოში უფრო საქონლის საკვებად ჰხმარობენ, მაგრამ აქა-იქ ადამიანის საჭმელადაც არის მიღებული (ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი Мат. по изуч. бобовых Грузии, გვ. 136 — 137).

§ ბარდას გავრცელების არე ძველსა და თანამედროვე მსოფლიოში.

Pisum sativum-ის რგვალ-მარცვლიანი ჯიშის თესლი შვეიცარიისა დახავოიის ქვისა და ბრინჯაოს ხანის დიროვან ნაშენობებშია ნაპოვნი, უნგრეთშიც. მხოლოდ მაშინ ამ მცენარის მარცვალი ეხლანდელზე უფრო წვრილი ყოფილა და ასეთი წვრილ-მარცვლიანი ჯიში რომაელების ხანამდე შერჩენილა, გერმანიაში ხლავთა დრომდისაც-კი. შ ლ ი მ ა ნ მ ა და ვ ი რ ხ ო ვ მ ა ეს მარცვლეული ტროას განათხარშიც აღმოაჩინეს (ე ნ გ ლ ე რ ი იხ. V. H e h n-ის Kpf. u. Ht. 219—220).

გარეული, ანუ წვრილი ბარდა, Pisum arvense L., რომელსაც კუთხოვანი და დარეჩინისფერი და მუქი მწვანე მარცვლები აქვს, არც დიროვან ნაშენობებსა და არც სამარხებში აღმოჩენილი არ არის. Unger-ს თითქოს მე-V დინასტიის ეგვიპტის ერთ-ერთ ნაშთში უნდა ჰქონდეს ნაპოვნი. ამჟამად მის მოყვანას აღმოსავლეთშიაც და ევროპაშიც მისდევენ (იქვე გვ. 220).

გარეული, წვრილი ბარდა ველურად ჩრდილოეთ და შიდა იტალიის მთა ადგილებში მოიპოვება, საბერძნეთსა და ასურეთში-კი, თუ კულტურული არ არის, გაველურებულია ხოლმე. პლინიუსს აღწერილი აქვს (18, 123 და შემდ.) გარეული ბარდას მარცვლის კუთხოვანი და უსწორ-მასწორო მოყვანილობა და ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ გარეული ბარდას მოყვანას რომაელებიც მისდევდენ.

რაკი არქეოლოგიური ნაშთების მიხედვით Buschan-მა გამოარკვია, რომ ამ მცენარის მარცვალი, თავდაპირველად პატარა, შემდეგ თანდათან დიდდება, ამიტომ ენგლერი ფიქრობს, რომ კულტურული ბარდა ალბათ ველურისაგან უნდა იყოს წარმომდგარი (იქვე 220).

III. მუხუდო და ერევინდი.

§ 1. ცნობები მუხუდოზე.

პირველად ამ მარცვლეულის სახელი „სააქიმო წიგნის" ხოჯა-ყოფილის მე-XIII ს. დამდეგის ქართ. თარგმანში მოიპოვება, სადაც მას „მუხუდი" ეწოდება (ხელთნ. გვ. 79, 124, 241). შემდეგ-დროინდელ ძეგლებში უკვე „მუხუდო" ჩნდება. ამ სახით „მუხუდო" მაგ. მე-XIV ს. პირველი ნახევრის ძეგლში „ხელმწიფის კარის გარიგება"-ში გვხვდება (გვ. 5, § 13, სტრ. 98). მაგრამ აქ იგი დასახელებულია როგორც ჩვეულებრივი მარცვლეული. იქ სახელდობრ ნათქვამია, „მეჯამეთ-უხუცესისა კელისა არის: ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუზაფარი, წველა, მეკირე, კმელი თევზი, ტყემალი, მუხუდო" და სხვაცა. ცხადია, რომ „მუხუდო" საქართველოში, მე-XIII ს-ზე უწინარეს ხანაში უნდა იყოს გაჩენილი.

§ 2. მუხუდოს სადაურობა და რაობა.

საბამაც იცოდა, რომ მუხუდო უცხო სიტყვა და სახელი იყო: „მუხუდო ქართული არ არის, ერევინდი ჰქვიან" ქართულადაო, ნათქვამი აქვს მას თავის ლექსიკონში. სამწუხაროდ არა ჩანს, თუ რა წყაროზე აქვს ორბელიანს ეს თავისი დებულება დამყარებული, წერილობითზე, თუ ზეპირზე? მაგრამ, უეჭველია, ამ მარცვლეულის კულტურა შედარებით გვიან უნდა იყოს ჩვენში შემოსული და თვით სახელიც მართლაც ქართული არ არის, არამედ სპარსული „ნუხუდ"-ისაგან არის წარმომდგარი თავკიდური „ნ"-ს „მ"-დ შენაცვლების წყალობით. სპარსულად „ნუხუდ", ან ნუჰუდ იმ მარცვლეულის სახელი არის, რომელსაც ფრანგულად pois chiche, გერმ. Kichererbse ეწოდება (იხ. Zenker-ის თურქ.-არაბ.-სპარს. ლექსიკონი). ამ მარცვლეულის რუს. სახელი нут სპარსული სახელისგანვე უნდა იყოს წარმომდგარი.

რ. ერისთავის ცნობით „ႫႳႾႳႣႭ“ იმიერ-ამიერ საქართველოს ყველა თემშია სახელად მიღებული, მაგრამ ამასთანავე ალმ. საქართველოში ამ მარცვლეულის სახელად „ႡႠႰႣႠ-ႺႤႰႺႥႨ“ და „ႤႰႤႥႨႬႣႨ“-ც აქვს დასახელებული (იხ. ლექსიკ. გვ. 40, § 590).

§ 3. ერევინდის სადაურობა და რაობა.

ტერმინი „ႤႰႤႥႨႬႣႨ“ რ. ერისთავს, რასაკვირველია, საბას ლექსიკონითგან აქვს ამოღებული, სადაც ნათქვამია: „ერევანდი (ႤႰႤႥႨႬႣႨ A) მუხუდო“ არისო [1]. სახელოვან ლექსიკოგრაფს მუხუდოს ქართულ სახელად სწორედ „ერევინდი“ მიუჩნევია (იხ. მუხუდოს ქვეშე, სადაც „ერევანდი“-ა დაბეჭდილი). მაგრამ ისევე, როგორც „მუხუდო ქართული არ არის“, არც „ერევინდი“-ა ქართული.

„ႤႰႤႥႨႬႣႨ“, უეჭველია, ბერძნული ἐρέβινθος „ერებინთოს“-ი, ანუ საშუალო საუკუნეების ბიზანტიური და ახალი ბერძნული გამოთქმით „ერევინთი“-ა.

ეს მარცვლეული უკვე ჰომიროსს მოეპოვება თავის თხზულებაში, მაგრამ ამ სახელის რეალური მნიშვნელობის განსაზღვრა მისი ცნობის მიხედვით შეუძლებელია. თეოფრასტეს ერთი დახასიათების თანახმად-კი ვიქტორ ჰენი ფიქრობდა, რომ „ერებინთოს“-ად უეჭველად Kichererbse უნდა იგულისხმებოდეს (Kpf. u. Ht. 215). ო. შრადერ-ს-კი ერებინთისა და Cicer arietinum-ის, ანუ მუხუდოს იგივეობის საკითხი ჯერ მთლად გამორკვეულად არ მიაჩნია (იქვე გვ. 222). თუ ვ. ჰენი არ სცდება, მაშინ მაშასადამე „ერევინდი“ ლათინურ cicer-ის შესატყვისობა ყოფილა. ხოლო რაკი დაბადების ქ`ლი თარგმანის თანახმად ლათინური cicer-ი ქართულ „კნდურ“-ს უდრიდა, თავის მხრით „მუხუდო“-ც, როგორც დავრწმუნდით, იგივე Kichererbse არის, ირკვევა, რომ ს. ორბელიანი მართალი ყოფილა, როდესაც მუხუდო და ერევინდი სინონიმებად მიუჩნევია..

ს. ორბელიანი მხოლოდ იმ მხრივ სცდებოდა, რომ ერევინდი ქართული სახელი ეგონა: როგორც დავრწმუნდით, ეს სახელწოდება ბერძნულია.

დანამდვილებით შესაძლებელია ითქვას, რომ „ერევინდი“ ძველი შენაძენი არ უნდა იყოს ქართულში, არამედ მე-VIII ს. შემდგომ იქმნება შეთვისებული. ეს სახელი რომ ამაზე უწინარეს შემოსულიყო, მაშინ უეჭველია „ერებინთი“ გვექნებოდა (ბერძნული „ბეტა“-ს ქართულ შესატყვისობათა „ბ“ და „ვ“-ს ქრონოლოგიური განსაზღვრა იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოკვლევაში „გიორგი ამარტოლის ქართ. თარგმანი“ გვ. 73).

თვით ἐρέβινθος „ႤႰႤႡႨႬႧႭႱ“-ი, რომელთანაც დაკავშირებულია ლათინ. ervom, ძველი გერმ. arawiz araweiz, ახალი გერ. Erbse და სხ., ბერძნულ სიტყვად არ ითვლება. მასაც ის „ნთოს“ ბოლოსართი ახლავს, რომელიც მცენარეულობის არა ერთ სახელს, როგორც მაგ. „აფსინთიონ“-ს, აბზინდას, ლებინთოს, ოდოლინთოს, ტერებინთოს, ჰვაკინთოს-სა და სხვასაც აქვს. ხოლო Kretschmer-მა და სხვებმაც გამოარკვიეს, რომ ეს ბოლოსართი და ასეთი

---

[1] პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. აკ. შანიძის გამოცემაში უპირატესობა „ႤႰႤ-ႫႠႬႣႨ“-ს წანაკითხს აქვს მინიჭებული, მაგრამ „ႤႰႤႥႨႬႣႨ“-ა სწორე.

ბოლოსართიანი სიტყვები ბერძნული არ არის, არამედ ბერძნულს მცირე აზიაში, პონტოს ზღვის არეში მცხოვრებ რომელიღაც ერის ენითგან უნდა ჰქონდეს შეთვისებული. ამიტომ თვით ბერძნულის „ერებინთოს“-ი სწორედ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნითგან აქვს ნასესხები და უკვე V. H e h n-ი ამტკიცებდა, რომ ამ მარცვლეულის სამშობლო უნდა შავი ზღვის სანაპიროებზე ვეძიოთ (იხ. Kpf. u. Ht. 215—216, რ. შ რ ა დ ე რ ი ს აზრი იქვე გვ. 221, Ém. B o i s a c q, Dictionnaire étym. de la langue grecque 273).

ყველა ამ გარემოების გამო, შესაძლებელია ადამიანს „ერევინდის“ ქართულში ნასესხობაზე ეჭვი შეჰპარვოდა მით უმეტეს, რომ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა ც ეს სიტყვა ქართულად მიუჩნევია. ეგების ერევინდი ამ პარკოსანის მართლაც ადგილობრივი, ძველი ქართული სახელი იყო? უნდა ითქვას, რომ „ინთ“ ბოლოსართიანი სახელების სამშობლოს საკითხი საყურადღებო პრობლემაა, მაგრამ ამას განსაკუთრებული განხილვა სჭირდება. კერძოდ ამ მარცვლეულის სახელი რომ „ერებინთი“ ყოფილიყო ქართულშიც და მისთვის რაიმე დამაჯერებელი ეტიმოლოგია გვქონოდა, რა თქმა უნდა, მის ნასესხობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მაგრამ ამის მაგიერ „ერევინდი“ გვაქვს, ე. ი. „ბ“-ს „ვ“-დ შენაცვლებული ფორმა, რომელიც ასე დამახასიათებელია ძველი და საშუალო საუკუნეების ბერძნული ენისათვის. რაკი ამასთანავე „ერევინდი“-სათვის არავითარი ქართული ეტიმოლოგიური განმარტების წამოყენება არ შეგვიძლია, ამის გამო ეს სიტყვა საშუალო ბერძნულითგან ნასესხებად უნდა ვიცნათ.

§ 4. „ერევინდი“-სა და „მუხუდო“-ს სახელების ქართულში შეთვისებულობის შესაძლებელი მიზეზი.

„კნდური“-ს მნიშვნელობის გამორკვევის დროს ცხადი შეიქმნა, რომ cicer-ის ქართული ზოგადი სახელი უძველეს ხანაში სწორედ ეს სახელწოდება ყოფილა. ეხლა კიდევ დავრწმუნდით, რომ cicer-ის, ანუ კნდურის ერთი ჯიშთაგანი, cicer arietinum ჯერ ბერძნულითგან შეთვისებულ ერევინდად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ სპარსეთითგან შეთვისებულ „მუხუდო“-დ. ამ მარცვლეულის ახალი სახელის შემოხიზნვა გვაფიქრებინებს, რომ სახელთან ერთად შესაძლებელია ამ მცენარის რომელიმე ახალი სახეობა იყოს საქართველოში შემოტანილი.

§ 5. მუხუდოს ძველ საქართველოში გავრცელების ინტენსივობა.

„მუხუდო“ საქართველოში სამარხო საჭმელების ერთი მარცვლეული მასალათაგანი ყოფილა და „ხელმწიფის კარის გარიგება“-ში, უეჭველია, ამავე დანიშნულებით უნდა იყოს მოხსენებული. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალ“-ში ხომ ეს პირდაპირ ნათქვამია კიდევაც 91, § რჟე).

ვ ა ხ უ შ ტ ი კი საქართველოში მის დროს გავრცელებულ მარცვლეულთა სიის თავში სწორედ მუხუდოს ასახელებს. ეს გარემოება, შესაძლებელია, მისი მაშინდელი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამომჟღავნებელი იყოს.

დასასრულ, ეგების რუს დესპანის ტ ო ლ ო ჩ ა ნ ო ვ ი ს იმერეთის 1660-2 წ. აღწერილობაში მოხსენებული „горох грузинской“, „ქართული კნდური“, რო-

შელიც ბოსტნებში უთესიათ, აგრეთვე მუხუდოს ჰგულისხმობდეს? თუ ეს მცდარი აზრი არ არის, მაშინ აქ მუხუდოს კულტურის მე-XVII ს. ლიხთიმერეთში არსებობის დამადასტურებელი პირველი გარკვეული ცნობა გვექმნებოდა.

§ 6 მუხუდოს გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში.

მუხუდოს თანამედროვე საქართველოშიც, როგორც აღმოსავლეთში, ისევე დასავლეთშიც სთესენ, მაგრამ მისი ნათესების არე მაინც ამერეთში სჭარბობს. ხოლო ყველაზე მეტად მუხუდო ბორჩალოსა და ყარაიაში მოჰყავთ.

მუხუდოს გავრცელების ასწვრივი საზღვარი ლობიოსას უდგება. ვ. მენაბდის დაკვირვებით, მუხუდოს კულტურის უუმაღლეს არედ ერწოს ველი უნდა იქმნეს მიჩნეული, რომელიც 3200 ფუტის სიმაღლეზეა ზღვის დონითგან (ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии, 136).

იმიერ საქართველოს ყველა თემზე მეტად ამჟამად მუხუდოს მოყვანას რაჭა მისდევს, სადაც ამ მარცვლეულს პარკოსანთა კულტურაში სამეურნეო მნიშვნელობით მეორე ადგილი უკავია. აქ მუხუდოს მოყვანას მხოლოდ 800—850 მეტრის სიმაღლემდე მისდევენ ზღვის დონითგან, რათგან ამაზე უფრო მაღლა მარტო ხანგრძლივ და ცხელ ზაფხულიან წლებში ასწრებს ხოლმე დამწიფებას. რაჭაში უმთავრესად მუხუდოს შუათანა-მარცვლიანი ჯიშებია გავრცელებული, სხვილ-მარცვლიანა და წვრილ-მარცვლიანა ჯიშები-კი მეტად იშვიათია (იხ. ლ. დეკაპრელევიჩისა და ვ. მენაბდეს К изуч. пол. культ. Зап. Грузии, I, Рача, 242).

§ 7. მუხუდოს ჯიშები საქართველოში.

ლ. დეკაპრელევიჩის სიტყვით, საქართველოში უფრო ხშირად თეთრ-ყვავილიანი და ყვითელ-მარცვლიანი ხუთ-კუთხედიანი მოყვანილობის (v. album Alef). მუხუდო მოჰყავთ (Мат. по изуч. бобовых Грузии, 136). რაჭაშიც მუხუდოს თეთრმარცვლიანი, ყველგან საუკეთესოდ მიჩნეული, ჯიშები სჭარბობენ: აქ არსებულ 24 ჯიშთაგან 8 ჯიში სწორედ ამ ფერისაა, მათგან ორი ochroleucus (v. album Al. და ochroleucus v. globosum Al.) ყველაზე უფროა გავრცელებული,—3 წაბლისფერა-მარცვლიანი ჯიშია, 4 აგურისფერი ჯიშია, 3 შავ-მარცვლიანი ჯიშია, 1 წითელ-ღვინისფერ-მარცვლიანია, ხოლო დანარჩენი ჯიშები ჭრელებია (ლ. დეკაპრევიჩისა და მენაბდეს К изуч. пол. культ. Западной Грузии, I Рача, 242—243).

რ. ერისთავის ლექსიკონში მოქცეული ცნობითგან-კი ირკვევა, რომ საქართველოში მუხუდოს სამი ჯიში ყოფილა, რომლებისათვისაც ქართველ მიწისმოქმედს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია და რომელთათვის განკუთვნილი საკუთარი სახელებიც-კი შეუქმნია. ორი მათგანი ფერით განირჩევა და ამის გამო ერთს „ТЕТРИ МУХУДО“ ეწოდება, მეორეს „ЦИТЕЛИ МУХУДО“ ჰქვია. მესამე ჯიში, როგორც ეტყობა, თავისი მოყვანილობით განსხვავდება და ამიტომვე „ГОГРА МУХУДО“ უნდა ეწოდებოდეს (ეს სახელები იხ. რ. ერისთავის ლექსიკ. გვ. 41, § 590).

სამწუხაროდ, არც ლ. დეკაპრელევიჩსა და ვლ. მენაბდეს მიუქ-

ცევიათ მუხუდოს სხვადასხვა ჯიშთათვის არსებული ქართული სახელებისათვის ყურადღება და რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ლექსიკონშიც არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, თუ რომელი ამ სამ ჯიშთაგანი რომელ ბოტანიკურ სახეობას წარმოადგენს, სად და რამდენად არის გავრცელებული, რომ ამისდა მიხედვით და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელი გამხდარიყო მათი შედარებითი ხნიერებისა და სადაურობის საკითხის წამოყენება და გამორკვევა.

რაჭის მუხუდოს ჯიშების მიხედვით საფიქრებელი ხდება მხოლოდ, რომ **„თეთრი მუხუდო“** უნდა ყველაზე გავრცელებულს v. album. Al. უდრიდეს, **„წითელი მუხუდო“** V. vinosus-ის სახელს თუ წარმოადგენს. ხოლო რომელი იმ 7 რაჭაში ცნობილ რგვალ-მარცვლიანა ჯიშთაგანი იწოდება **„მოგრა მუხუდო“**-დ, ამის გამორკვევა მხოლოდ ადგილობრივ შეიძლება.

§ 8. მუხუდოს თეთრი და ფერადი ჯიშების ქიმიური შედგენილობის განსხვავება.

აღსანიშნავია, რომ თეთრი მუხუდოსა და ფერადი მუხუდოების ჯიშები, სახელდობრ წითელი და შავი მუხუდო, ერთმანეთისაგან თავიანთი ქიმიური შედგენილობითაც განსხვავდებიან. **თეთრ მუხუდოს წითელი და შავ მუხუდოზე მეტი ცხიმოვანი ნივთიერება აქვს** და, თუ სხვილმარცვლიან თეთრ მუხუდოს ცხიმი 5,1 გააჩნია და შუათანა-მარცვლიანს 4,9-ი, წითელ და შავ მუხუდოს ცხიმი მხოლოდ 3,9 მოეპოვება. **სამაგიეროდ თეთრ მუხუდოს ცილოვანი ნივთიერება ფერად მუხუდოებზე ნაკლები აქვს**: სხვილმარცვლიანს თეთრ მუხუდოს 24,4,—ხოლო შუათანა-მარცვლიანს 24,6,—წითელ მუხუდოს-კი ცილოვანი ნივთიერება 25,1 აქვს და შავს 25,0 (К. Прозорова, Нут. 18).

§ 9. მუხუდოს გავრცელების არე ძველ მსოფლიოში.

კ. პ რ ო ზ ო რ ო ვ ა ს სპეციალურ მონოგრაფიაში მუხუდოს შესახებ ნათქვამი აქვს, რომ ეს მარცვლეული უძველეს ხანაშივე იყო ცნობილი, მის მოყვანას ძველი, არიელებიც მისდევდენ, რომელთაც მისი სახელი კულტურასთან ერთად ინდოეთში შეიტანესო, რომ მუხუდოს ძველ საბერძნეთშიც თესდენ, რომ რომაელები ამ მარცვლეულს ღვთაება ვენერის თაყვანისსაცემელ სარწმუნოებრივ მღვდელმსახურების დროსაც ჰხმარობდენ, რომ ეგვიპტელებს მუხუდოს 15 ჯიში ჰქონდათ, აღმ. აზიითგან სპარსეთისა და საბერძნეთის გზით აფრიკაში შეტანილი (იხ. К. Г. П р о з о р о в а, Нут. Изд. Всесоюз. Инст. Прикл. Ботаники и Новых Культур. Ленинград, 1927 წ., გვ. 3—4). ავტორს არავითარი, ამ ცნობების დამადასტურებელი, წყაროები, ან ერთი წყარო მაინც დასახელებული არა აქვს. ამიტომ ზემომოყვანილი ვრცელი მონათხრობის სისწორის შემოწმება შეუძლებელია.

ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერისა და ენის პალეონტოლოგიის მკვლევარის O t t o S c h r a d e r-ის ქვემომოყვანილი გარკვეული დებულება კ. პ р о ზ ო რ ო ვ ა ს ცნობას სრულებით საეჭვოდა ჰხდის.

O. Schrader-ის სიტყვით, cicer arietinum-ი, ანუ მუხუდო უეძველეს ჯანათხარის ნაშთებში არა ჩანს. პირველი სრულებით გარკვეული ცნობა ამ მარცვლეულზე Columella-ს მოეპოვებაო (იხ. Kpf. u. Ht. 222). მართლაც მას ნათქვამი აქვს „cicer quod arietinum vocatur", „კნდური, რომელიც არიეტინუმ-ად (ე. ი. ცხვრისად) იწოდება და პუნური (ე. ი. კართაგენური) კნდური უნდა ნოყიერ მიწაში მარტში, ავდრიან დარში დაითესოს. ეს პარკოსანი მცენარე ნიადაგს ძალიან ღლის ისე, რომ ზოგიერთი გამოცდილი მეურნეები მის მოყვანას არ ურჩევენ მიწისმოქმედსაო" (იხ. L. Juni Moderati Coumellae De Re rustica, lib. II, cap. IX, Les agronomes latins, Nisard-ის გამოც. გვ. 208).

ამ პარკოსან მარცვლეულის პლინიუს მცირეც იხსენიებს თავის 80 ქ. შ. წ. დამთავრებულ ნაშრომში „ბუნების ისტორია"-ში. მას ნათქვამი აქვს: კნდური მრავალგვარი არსებობს, რომელნიც ერთმანეთისაგან სიდიდით, მოყვანილობით, ფერითა და გემოთი განსხვავდებიან. ერთი ჯიშთაგანი ცხვრის თავს მიაგავს (arietino capite simile) და ამის გამო ასევე (ე. ი. cicer arietinum, ანუ ცხვრისებრი კნდური) ეწოდებაო. ამ მარცვლეულის თეთრი და შავი სახეობა არსებობს. მტრედის კნდურიც არის, რომელსაც აფროდიტეს კნდურსაც უძახიანო. ის თეთრია, რგვალი, სუბუქი და მუხუდოზე უფრო მომცროო (Hist. natur. lib. XVIII, cap. 32). ამნაირად, აქ მუხუდოს მარცვლის გარეგნული მოყვანილობაც არის აწერილი და ორი, ფერით განსხვავებული, შავი და თეთრი ჯიშის იტალიაში არსებობის დამადასტურებელი ცნობაცა გვაქვს დაცული.

კოლუმელლას ზემომოყვანილი ცნობითგან მაინც ჩანს, რომ მის დროს მუხუდოს კულტურის შესახებ უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონიათ: შეგნებულ მეურნეთა შორის ამ მცენარისადმი უარყოფითს დამოკიდებულებას უჩენია თავი. ამიტომ საფიქრებელია, რომ მუხუდოს კულტურის დასაწყისი იტალიაში I ს-ზე უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ.

§ 10. მუხუდოს გავრცელების არე თანამედროვე მსოფლიოში.

ამჟამად მუხუდოს მოყვანას სამხრეთ ევროპაში, აფრიკის ჩრდილო ნაწილში, სახელდობრ, მაროკოს, ალჟირსა, ტუნისსა, ეგვიპტესა და აბაშეთში, ოსმალეთში, სპარსეთსა და ინდოეთში მისდევენ ისევე, როგორც თურქისტანსა, კავკასიაში, უკრაინასა, ყირიმში, სამხრეთ რუსეთშიც, რომელშიც მუხუდოს გავრცელების ჩრდილოეთის საზღვრად ჩრდილოეთის სიგანედის 51° 40, უნდა იქნეს მიჩნეული (იხ. კ. პროზოროვას Нут, გვ. 4 და 18—19).

მე-XVIII ს. დამლევს მუხუდო, როგორც ჩანს, რუსეთში ჯერ გავრცელებული არ ყოფილა. პირველად სწორედ ამ დროს ეს მცენარე ს. გმელინ-ს უნახავს დარუბანდში, მისი სურათი დაუხატავს და თვით მარცვლეულიც აუწერია. კ. პროზოროვა ფიქრობს, რომ მუხუდო რუსეთში კავკასიითგან უნდა იყოს შეტანილი (იქვე გვ. 4).

§ 11. მუხუდოს გავრცელების მიმართულება და კულტურის სადაურობა საქართველოში.

საქართველოში მუხუდო, როგორც სახელითგანაც ჩანს, სპარსეთითგან უნდა იყოს შემოსული. ამ გარემოებას მისი გავრცელების ინტენსივობის მიმართულებაც ამჟღავნებს: თუმცა მუხუდო დასავლეთ საქართველოშიც არის გავრცელებული, მაგრამ ამერეთში ამ მარცლეულის მოყვანას გაცილებით უფრო მეტად მისდევენ. ხოლო აღმ. საქართველოს სხვა თემთა შორის ყველაზე მეტად მუხუდოს ქვემო ქართლსა და ჰერეთში, ბორჩალოსა და ყარაიაში სთესენ. ამგვარად, მუხუდოს კულტურის ინტენსივობა სამხრ.-აღმოსავლეთითგან იწყება და დასავლეთის მიმართულებით მცირდება.

§ 12. ერევინდისა და მუხუდოს საქართველოში გაჩენის ხანა და პირველი შემთვისებელი თემი.

ეხლა „ერევინდისა“ და „მუხუდოს“ ქართულში და საქართველოში შემოსულობის ხანა უნდა იქმნეს შეძლებისდა გვარად განსაზღვრული. რაკი „ერევინდი“ შეუძლებელია მე-VIII ს-ზე უწინარეს იყოს ქართულში შეთვისებული, ამიტომ უფრო ჭკუასთან ახლო იქმნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს სახელი იმ ხანაში უნდა იყოს შემოსული, როდესაც საქართველოში ბიზანტიის გავლენა უფრო ძლიერი იყო და პირველად იმ თემში, რომელშიც მისი ჰეგემონია სუფევდა. ამ ორი მოსაზრების მიხედვით საფიქრებელია, რომ „ერევინდი“ IX-XI სს., მესხეთში, ანდა უკიდურეს შემთხვევაში ლიხთიმერეთში იქმნება პირველად შეთვისებული.

უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ „მუხუდო“ მე-XIII ს-ზე უწინარეს, მე-XII ს-ში მაინც უნდა ყოფილიყო საქართველოში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ „ნუხუდ“ ახალი სპარსულის სიტყვათა საგანძურს ეკუთვნის, რომ ცხადი შეიქმნეს ამ სახელის ქართულში შემოსულობის ხანის შესაძლებელი უადრესი საზღვარიც: მე-X ს-ზე უწინარეს „მუხუდო“ ქართულში ვერ შემოვიდოდა. მაშასადამე, „მუხუდო“ პირველად მე-XI-XII სს. მანძილზე უნდა ვიგულისხმოთ შეთვისებულად, ცხადია, აღმ. საქართველოში.

საფიქრებელია და მაინცდამაინც შესაძლებელია, რომ ახალი სახელის შეთვისებასთან ამ მარცვლეულის ახალი ჯიში, ანდა სახეობა იყოს საქართველოში მოტანილი. ამიტომ თანამედროვე საქართველოში ხალხში არსებული, თუ სადმე შერჩენილი, სახელების მიხედვით უნდა გამოირკვეს, როგორც უძველესი კნდურის, ისევე მერმინდელი ერევინდისა და მუხუდოს პირვანდელი ბოტანიკური რაობა. ეს ჩვენი ბოტანიკოსებისა და აგრონომების მოვალეობას შეადგენს. როდესაც ეს საკითხიც შესწავლილი იქმნება, მაშინ თვითოეული მათგანის ღირებულების შეფასებაც საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვის ძნელი არ იქმნება.

IV. „საკადრისა" და „უკადრისა", „ცულისპირა".

§ 1. ცნობები საკადრისაზე.

საქართველოში გავრცელებულ მარცვლეულთა შორის ვახუშტს, როგორც დავრწმუნდით, „საკადრისი"-ც აქვს დასახელებული (იხ. აქვე გვ. 5). უკვე ორბელიანს მოეპოვება ეს სიტყვა, მაგრამ, თუმცა საბას ტერმინი „საკადრისა" თავის ლექსიკონში შეუტანია, გვერდით მხოლოდ მცენარეულობის პირობითი ნიშანი დაუსვამს, არავითარი სიტყვიერი განმარტება-კი თან არ დაურთავს (იხ. ლექსიკ. რ. ერისთავის გამ., ახალ გამოცემაში ეს სიტყვა გამოტოვებულია).

თვით რ. ერისთავს „საკადრისა" მარცვლეულისა-კი არა, არამედ ბალახეულის სახელად მიუჩნევია და თავის საბუნებისმეტყველო ლექსიკონში ნათქვამი აქვს კიდევაც „საკადრისა (ბალახთაგანი)" არისო (გვ. 49, § 706). მაგრამ ვახუშტს „საკადრისი" პარკოსან მცენარეთა ჯგუფში აქვს მოთავსებული და ეს გარემოება ცხად-ყოფს, რომ „საკადრისი" ამგვარი მარცვლეულის ერთი ჯიშთაგანის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

§ 2. საკადრისას რაობა.

ვახუშტისაგან დაასახელებული „საკადრისი"-ს ბოტანიკური რაობა ლ. დეკაპრელევიჩს ვერ განუსაზღვრავს და ფიქრობს, რომ უფრო Pisum sativum, ანუ „ბარდა"-ს უნდა უდრიდეს (იხ. Мат. по изуч. зерновых бобовых Грузии, ტფ. ბოტან. ბაღის მეცნ.-გამოკ. განყ. ნაწერები V, 138 შენ. 1).

„უკადრისა"-ს მსგავსად, რომელიც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, „ცულისპირა"-ს მეორე, ზედმეტი, თვისების დამახასიათებელი, სახელი იყო, „საკადრისი"-ც, უეჭველია, აგრეთვე ცერცვნაირის თვისებისავე დამახასიათებელი ზედმეტივე სახელი უნდა ყოფილიყო. როგორც სახელიც ამჟღავნებს, ეს მარცვლეული შედარებით კარგი ღირსებისად ყოფილა მიჩნეული.

საკადრისას ნამდვილი სახელის გამოსარკვევად პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, მხოლოდ ორიოდე მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. რაკი პარკოსანი მარცვლეული უმთავრესად სამარხო საჭმელად იხმარებოდა, ამიტომ სწორედ იქ არის საკადრისის სინონიმი საძებნელი. ხოლო სათანადო ადგილას ძეგლებითგან მოყვანილი ცნობების მიხედვით აღნიშნული გვქონდა, რომ საუკეთესო სამარხო საჭმელად ძველად ცერცვი და კნდური ითვლებოდა, ხოლო შემდეგში, მაგ. მე-XVIII ს. დამდეგს ცერცვი და მუხუდო ყოფილა მიჩნეული. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ საკადრისად ერთი ამ მარცვლეულთაგანი გვეგულისხმა.

საკმარისია ადამიანმა ვახუშტის თავის ადგილას (იხ. აქვე გვ. 5) მოყვანილი ცნობა გადაიკითხოს, რომ ცხადი შეიქმნეს, რომ არც მუხუდო, არც ლობიო, არც ცერცვი, გინდა ოსპი, თუ ძაძა და მაშა არ შეიძლება საკადრისა ყოფილიყო: ვახუშტს ყველა ეს მარცვლეულიც აქვს ჩამოთვლილი და ამათ გარდა „საკადრისი"-ც არის დასახელებული. მაშასადამე, უეჭველდა, „სა-

ქადრის"-ად მას არც ერთი ზემომოყვანილი მარცვლეულთაგანი არ შეეძლო ეგულისხმა.

რა თქმა უნდა, რომ საკადრისად ვერც ბაკლა იქმნებოდა სახელდებული: ამ მარცვლეულის მეორე სახელი, „ეირგლა"-ც კმარა ამის დამაჯერებელ საბუთად.

მაშასადამე, გვრჩება მხოლოდ-ღა კნდური, ხანჯკუალა და ბარდა. ამათგან ხანჯკუალას საკადრისობას საეჭვოდ მისი მავნე თვისება ჰხდის, რომლის გამო მას საჭმელად შემზადებისათვის განსაკუთრებული წინასწარი დამუშავება სჭირდება.

ძველად, როგორც გ. მთაწმიდელის ნაშრომითგან ჩანს (იხ. აქვე გვ. 19). ცერცვთან ერთად ჩვეულებრივ საჭმელად სწორედ კნდური ყოფილა. ამიტომ თუ „კნდური" მე-XVII-XVIII ს-შიც საქართველოში კვლავინდებურად იყო, საფიქრებელია, რომ „საკადრისა"-დ, ან კნდური უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, ან არა და, როგორც ლ. დეკაპრელევიჩიც ფიქრობს, „ბარდა". აღსანიშნავია, რომ არც ერთი ამ ორთაგანი ვახუშტს თავის სიაში დასახელებული არა აქვს. თუ ეს სახელი ამ დროს აღარ არსებობდა, მაშინ, ცხადია, „საკადრისა" მხოლოდ „ბარდა"-ღა შეიძლება ყოფილიყო.

§ 3. უკადრისა და ცულისპირა.

„ᲪᲣᲚᲘᲡᲞᲘᲠᲐ"-ს შესახებ ცნობა საბასაც მოეპოვება, მისი განმარტებით, „ცულისპირა ცერცვია მრუდე" (ლექსიკ.). ამ მცენარეს საქართველოში მეორე სახელიც ჰქონია და იმავე ლექსიკოგრაფის სიტყვით, „ᲣᲙᲐᲓᲠᲘᲡᲐ ᲪᲣᲚᲘᲡᲞᲘᲠᲐ"-ს სწორედ მეორე სახელი ყოფილა (იხ. ს. ორბელიანის ლექსიკ. რ. ერისთავის გამოცემა, ახალ გამოცემაში ეს სტრიქონი და განმარტება გამოტოვებულია).

§ 4. ცულისპირას ბოტანიკური რაობა.

„ცულისპირა"-ს ბოტანიკური რაობა რ. ერისთავს განმარტებული არა აქვს, ლ. დეკაპრელევიჩის სამართლიანი სიტყვით კი არის Latyrus sativus L. (Мат. по изуч. бобовых Грузии, გვ. 137), რომლის ქართულ შესატყვისობად რ. ერისთავს „მუხუდო" მიაჩნდა (ლექსიკ. გვ. 40, § 590).

ს. ორბელიანს ლექსიკონში შეტანილი აქვს „ᲗᲔᲠᲝ", რომელსაც მცენარის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნის გარდა არა ახლავს რა (ლექსიკ.). რ. ერისთავს-კი ნათქვამი აქვს, რომ „თერო" არის Latyrus tuberosus», რუს. „Чина шишечно-коренная" (ბოტ. ლ. გვ. 21, § 323), მაგრამ რამდენად სწორეა განსაზღვრა, არ ვიცი. საფიქრებელია მხოლოდ, რომ სახელი „ᲗᲔᲠᲝ" ბერძნულითგან შეთვისებული „თერმუზ"-თან უნდა იყოს დაკავშირებული, მისი ბოლო შეკვეცილი და ფონეტიკურად ოდნავ შეცვლილი სახე იყოს. რაკი თერმუზი „ლუპინუსი" იყო, ამიტომ „თერო"-ს ნამდვილი ბოტანიკური რაობაც გამოსარკვევია.

§ 5. ცულისპირას გავრცელების ინტენსივობა ძველ საქართველოში.

ცულისპირას მეორე სახელი „უკადრისა"-ც საკმაოდ ამჟღავნებს, რომ ამ მარცვლეულს საქართველოში მაინც-და-მაინც არაფრად აფასებდნენ: მისგან გაკეთებულ საჭმელს, როგორც ეტყობა, მასპინძელი სტუმარს მარხვაშიც-კი ვერ აკადრებდა. ეს გარემოება თავისდა-თავად უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ცულისპირას გავრცელების არე მე-XVII ს. მცირე უნდა ყოფილიყო. იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ როდის შემოვიდა პირველად ცულისპირას კულტურა საქართველოში, არავითარი ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ცხადია მხოლოდ, რომ მე-XVII ს-ზე კარგა ხნით უწინარეს უნდა იყოს შემოტანილი, თუ მას ხალხმა თავისი საკუთარი, მარცვლეულის მოყვანილობის მიხედვით მოგონილი, („ცულის პირა") სახელი შეუქმნა.

§ 6. მცდარი ცნობები ცულისპირას მავნე თვისებაზე და ცულისპირას უკადრისად სახელდების შესაძლებელი მიზეზი.

სამკურნალო მეცნიერებაში ცნობილია ცულისპირას ჭამის შედეგად მიჩნეული სიდამბლე, რომელიც „ლათირიზმუს"-ად იწოდება. ისე ფიქრობდნენ, რომ სიდამბლეს ცულისპირაში ვითომც არსებული შხამიანი ნივთიერება იწვევდა (იხ. ფ. Залкинд, Чина, გვ. 10).

შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ძველ საქართველოში ცულისპირა სწორედ ასეთი მავნე თვისების გამო ყოფილიყოს „უკადრისად"-დ მიჩნეული და სახელდებული.

მაგრამ ინდოეთის მეცნიერთა ცულისპირას ქიმიურმა ანალიზმაცა და ექსპერიმენტულმა გამოკვლევამაც ცხად-ჰყო, რომ თვით ცულისპირაში არავითარი შხამი, მცირეოდენი რაოდენობითაც-კი, არ მოიპოვება. გამოირკვა, რომ დაავადებისა და სიდამბლის მიზეზი ცულისპირას ნათესებში შენარევის სახით მყოფი ველური წვრილ-ფოთლიანა ცერცველა, Vicia angustifolia Roth., ყოფილა. ამგვარად, თვით ცულისპირას ამ მხრივ ვერავითარი ბრალი ვერ დაედება (Ф. Залкинд, Чина, გვ. 10—11).

საქართველოშიც, მაგ. რაჭაში, სადაც ეს მარცვლეული ყველა სხვა თემზე მეტად არის გავრცელებული, ცულისპირას მავნე თვისებებს არავინ უჩივის (იხ. Л. Декапрелевич и В. Менабде К изуч. пол. культ. Зап. Грузии, I, Рача, 244). ამგვარად, უეჭველია, ცულისპირას უკადრისად სახელდება შეუძლებელია ამ მარცვლეულის მავნე თვისებას, არ-არსებულს, გამოეწვიოს.

უნდა ითქვას, რომ თავისი ქიმიური შემადგენლობითაც ცულისპირა დანარჩენ პარკოსან მცენარეებს არამც თუ არ ჩამოუვარდება, ზოგიერთში პირიქით სჯობნის კიდევაც. ინგლისელ მკვლევარის ჩერჩ-ის (A. Church) ქიმიური ანალიზის მიხედვით, ცულისპირაში ცილოვანი ნივთიერება 31,0 შეადგენს და ამ მხრივ ყველა სხვა პარკოსან მარცვლეულებს, სოიას გარდა, რომელიც საქართველოში მხოლოდ წარსულ საუკუნის დამლევს არის შემოტანილი, სჯობნის. ამ თავისი თვისებით მუხუდოსა და ლობიოზე გაცილებით მაღლა დგას,

თვით ოსპსა და ბარდასაც-კი მასთან ამ მხრივ მეტოქეობის გაწევა არ შეუძლიათ.

ცხიმოვანი ნივთიერებაც ცულისპირას ყველა პარკოსან მარცვლეულზე, სოიასა და ცერცვს გარდა, მეტი აქვს. ამ მხრივ ცულისპირა, რომელსაც ცხიმის 9 ერთეული გააჩნია, მუხუდოზე ერთი-ორად უფრო მსუქანია. ოსპსაც ცხიმი მხოლოდ 1,3, – ბარდას 1,5 და თვით ლობიოსაც-კი, რომლის ცხიმი 2,3 არ აღემატება, ცულისპირასთან მეტოქეობის გაწევა არ შეუძლიათ (ჩერჩის ქიმიური ანალიზის ცხრილი იხ. Ф. Залкинд-ის Чина. გვ. 6).

მაშასადამე, ცულისპირას „უკადრისა"-დ ქცევა საქართველოში არც ამ მარცვლეულის სინოყივრის ნაკლებობის გამო შეეძლოთ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ის გემოვნებითი თვისებების გამო იქმნებოდა წუნ-დებული.

§ 7. ცულისპირას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში და ჯიშები.

ცულისპირას ქართველი მიწისმოქმედი, როგორც ეტყობა, არც ეხლა ეტანება. მას შიდა ქართლში, ქსნისა და არაგვის ხეობაში, და რაჭაში სთესენ, მაგრამ ცოტას. ეს მარცვლეული უმთავრესად მაღლობ ზოლებში გვხვდება და საჭმელად იხმარება. ცულისპირას საქართველოში ორი სახეობა მოიპოვება: თეთრყვავილიანი (Var. alba Alf.) და ლურჯყვავილიანი (Var. coerulea Alf.: ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч бобовых Грузии, 137).

ლ. დეკაპრელევიჩსა და ვ. მენაბდეს-კი რაჭაში, სადაც ცულისპირა სიმინდთან ერთად-კი არა, არამედ ცალკეულ ნათესებად მოჰყავთ, ბლომად აღმოუჩენიათ. აქაც უმეტესად წვრილმარცვლიანი ჯიში მოიპოვება, მაგრამ შენარევის სახით სხვილმარცვლიანიც ჰხვდება ადამიანს. აქამდე იქ ამ მარცვლეულის 30 ჯიშია განსაზღვრული, რომელთაგან სხვილმარცვლიანის (f. major) მხოლოდ 2 ჯიშია, წვრილმარცვლიანისა-კი 26 ჯიშია, ამათგან 1 თეთრმარცვლიანია ((Var. alba), 3 var. colorata შეფარდებული და 24 ჯიში var. coerulea Alb. ლურჯი ფერისა (К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I, Рача. ტფ. ბოტან. ბაღის სამეც.-გამოკ. განყ. წერილები, 1929 წ. VI, 244—245).

§ 8. ცულისპირას თავდაპირველი ჯიში ჩვენში.

ცხადია, რომ საქართველოში პირველად ცულისპირას სწორედ წვრილმარცვლიანი ჯიშები უნდა იყოს შემოსული. ამასვე ამ მარცვლეულის ქართული სახელი „ცულისპირა"-ც ამჟღავნებს. ცნობილია, რომ სოლებრივი მოყვანილობის მარცვალი ამ მცენარის სწორედ წვრილმარცვლიან ჯიშებს გააჩნიათ (იხ. Ф. Залкинд „Чина": Изд. Всесоюз Инст. Прикл. Ботан. и нов. Культур. Ленинград 1929 წ. გვ. 18).

§ 9. ცულისპირას გავრცელების არე ძველ მსოფლიოში.

ცულისპირას შესახებ სპეციალური მონოგრაფიის ავტორის Ф. И. Залкинд-ს თუ დავუჯერებთ, ცულისპირა უნგრეთის უკვე ქვის ხანის ნაშთებშია

აღმოჩენილი. ამ მცენარის წვრილმარცვლიანი ჯიში ეგვიპტის სამარხებში არის ნაპოვნი, ვითარცა მიცვალებულთათვის თან ჩატანებული ერთი საჭმელთაგანი. ცულისპირა ტროას ნანგრევებშიც აღმოჩნდა. რომაელი აგრონომი კ ო ლ უ მ ე ლ ლ ა ც იხსენიებს ამ მცენარესათ. ესპანიაში ცულისპირა უკვე მე-XVI ს. ყოფილა ცნობილი და იქითგან მისი კულტურა მე-XVII ს. საფრანგეთშიც გადასულა. აქა-იქ ეს მარცვლეული მე-XVI ს. გერმანიაშიც ყოფილა და მხოლოდ შემდეგში გვიან გავრცელდაო იგი იქ ფართოდ (Ф. Залкинд, Чина, 3—4).

ფ. ზ ა ლ კ ი ნ დ-ს თავისი ამ ისტორიული ცნობების არც-ერთი წყარო დასახელებული არა აქვს, რომ ზემომოყვანილ დებულებათა საფუძვლიანობის გათვალისწინება შესაძლებელი ყოფილიყო. არც V. Hehn-ს და არც მისი ნაშრომის შემავსებელთ F. Pax-სა, A. Engler-სა და O. Schrader-ს ლათირუს-ის, ანუ ცულისპირას შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი, ამიტომ ზ ა ლ კ ი ნ დ ი ს ყველა ცნობების სისწორის შემოწმების საშუალება არა მაქვს.

მხოლოდ რომაელი აგრონომის კ ო ლ უ მ ე ლ ლ ა ს ნაშრომის გადაშინჯვამ დამარწმუნა, რომ ზ ა ლ კ ი ნ დ ი ს ა და მის წყაროს ცნობებს ადამიანი სიფრთხილით უნდა მოეპყროს.

ცულისპირას შესახები ცნობების არსებობა რომაულ საბუნებისმეტყველო და აგრონომიულ მწერლობაში უცილობელ ფაქტად ვერ ჩაითვლება. კ ო ლ უ მ ე ლ ლ ა ზ ე მეტად ამ მარცვლეულის იტალიაში არსებობის დასამოწმებლად პ ლ ი ნ ი უ ს ი ს დასახელება შეიძლებოდა. მართლაც, თითქოს პ ლ ი ნ ი უ ს მ ც ი რ ე ს ცულისპირას შესახებაც მოეპოვება ცნობა. ამ რომაელ მეცნიერს ეს მარცვლეული კნდურთა ჯგუფში აქვს მოქცეული და მუხუდოს ჯიშების აღწერილობის შემდგომ ამ მარცვლეულზეც ლაპარაკობს. ცულისპირას პ ლ ი ნ ი უ ს ი cicercula-ს უწოდებს, ხოლო Ém. Littré ამ ლათინურ სიტყვას lathyrus sativus L.-დ სთარგმნის, ე. ი. ცულისპირას შესატყვისობად სთვლის. პ ლ ი ნ ი უ ს ი ს დახასიათებით cicercula-ც პატარა კნდური იყო, უსწორმასწორო და კუთხოვანი (Natur. hist. lib. XVIII, cap. 32; იხ. Histoire naturelle de Pline par. M. É. Littré, I, გვ. 671-672).

ამ მარცვლეულის უსწორმასწორობა და კუთხოვანი მოყვანილობა ცულისპირას მოყვანილობას ასე-თუ-ისე მიაგავს, ამიტომ Ém. Littré-ს მიერ დასახელებული cicercula-ს ბოტანიკური შესატყვისობა Lathyrus sativus L. თითქოს სწორე მოჩანს.

Columella-საც ნათქვამი აქვს, რომ „ციცერკულა კნდურს, ანუ ბარდას მიაგავს“ („cicercula. piso est similis“. De re rustica II, cap. 10, იხ. Les agronomes latius . . publiée sous la direction de M. Nisard გვ. 208).

ყველა ლექსიკონებშიც cicercula ბერძნული ὁ γάθυρος-ის და Lathyrus sativus L.-ს შესატყვისობად არის აღნიშნული. Olck-საც ასევე აქვს ამ მარცვლეულის მნიშვნელობა განსაზღვრული (იხ. Pauly's R—E, VI. B., გვ. 394 Erbse).

მაგრამ საქმე ის არის, რომ პ ლ ი ნ ი უ ს ი ს ზემომოყვანილ cicercula-ს დახასიათებას ამავე მარცვლეულის Palladius-ის დახასიათება სრულებით არ უდგება. ამ უკანასკნელი აგრონომის სიტყვით, cicercula cicer-ისაგან, ე. ი. კნდურისაგან მარტო მარცვლის ფერით განირჩევა, რათგან პირველი მათგანი თურმე მუქი ფერისა და უფრო მოშავო ყოფილა (. „cicera seritur, quae

distat a cicercula solo colore, quo sordet, et nigrior est": De re rustica, lib. IV, cap. 6, Les agronomes latins Caton, Varron, Columelle, Palladius publiée sous la direction de M. Nisard, გვ. 579).

ცნობილია, რომ ცულისპირას მარცვალი სხვადასხვა ფერისა არსებობს: თეთრი ცულისპირას ჯიშიც მოიპოვება. მაგრამ არის თეთრიც, რომელსაც მარცვლის ჭიპთან მუქი ფერის წრე აქვს შემოვლებული, ნაცრისფერი, დარიჩინისფერი და ჭრელმარცვლიანი ჯიშებიც გვხვდება (იხ. Ф. Залкинд, Чина, გვ. 14-15). ამ მხრივაც, თუ რომ პალლადიუსისაგან დასახელებული cicercula ნაცრისფერად, ან დარიჩინისფრად არ მივიჩნიეთ, ცულისპირას არ უდგება, რადგან მისი მოშავო მარცვლიანი ჯიში, როგორც თვით ზალკინდ-ის ზემოთმოყვანილი დახასიათებითგანაც ჩანს, არ არსებობს.

მაგრამ ყველაზე მეტად პალლადიუსის cicercula-ს მოყვანილობაა დამაფიქრებელი: კნდურისაგან ის თურმე მხოლოდ ფერით განსხვავდებოდა. ცულისპირა-კი, როგორც ცნობილია, უპირველესად თავისი მარცვლის მოყვანილობით განსხვავდება: ის ჩვეულებრივ, ან სოლებრივი, ან ცულებრივი მოყვანილობისაა ხოლმე. ამიტომაც არის, რომ მას ქართველებმა ცულისპირა უწოდეს, რუსებმა ზოგან „კბილა" (Зубок, конский зуб), ზოგან „სოლებრივი ბარდა" („клинчатный горох", „горох угластый") და სხ. (იხ. Ф. Залкинд-ის Чина, გვ. 14).

ყველა ამ გარემოების გამო ეჭვი იბადება, მართალია, თუ არა, რომ პალლადიუსის cicercula ცულისპირა იყო? ამის გამოვე ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რამდენად სწორეა É. Littré-სა და სხვა ავტორებისაგან cicercula-ს Lathyrus sativus L.-დ მიჩნევა.

§ 10. ცულისპირას გავრცელების თანამედროვე არე მსოფლიოში.

ამჟამად ცულისპირას მოყვანა უფრო ფართოდ უმთავრესად აზიისა და ამერიკის განცალკევებულ მთიანეთის თემებშია გავრცელებული, ვიდრე დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ცულისპირას გავრცელების თანამედროვე არეს საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, უკრაინა, ესპანეთი, იტალია, ბალკანეთის ნახევარ-კუნძული, ინგლისი, ალჟირი, ეგვიპტე, აბაშეთი, ერეთრეა, კვიპროსი, სარდინია და სიცილია, პალესტინა, სპარსეთი, ავღანისტანი, თურქისტანი და კავკასია შეადგენს (Ф. Залкинд, Чина 7-8).

§ 11. საქართველოში გავრცელებული ჯიშის მიკუთვნილობა და ხნიერება.

რაკი ცულისპირას წვრილმარცვლიანი ჯიშები უმთავრესად აღმოსავლეთში, სპარსეთში, ინდოეთსა, ავღანისტანს, ბუხარასა და თურქისტანშია გავრცელებული, მსხვილმარცვლიანი ჯიშები-კი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე და მეზობელ ქვეყნებში, ესპანეთსა, პორტუგალიასა, საფრანგეთსა, იტალიასა, სარდინიას, სიცილიასა და ჩრდილოეთ-დასავლეთ აფრიკაში მოიპოვება (Ф. Залкинд, Чина 18-19), ცხადია, რომ საქართველოს ცულისპირას წვრილმარცვლიანი ჯიშები უნდა ახლო-აღმოსავლეთთან იყვნენ და-

კავშირებული. ვინაიდან საქართველოში უკადრისად მიჩნეულ-წოდებულ მარცვლეულს, საეჭვოა, რომ მას მაინცდამაინც დიდი წარსული ჰქონდეს საქართველოში: ასე რომ ყოფილიყო, საფიქრებელია, რომ ცულისპირა კარგა ხანია ქართულ სასოფლო მეურნეობის ასპარეზითგან განდევნილი იქმნებოდა. ამიტომ, სანამ რაიმე ამის დამაჯერებელი ცნობები არ აღმოჩნდება, ლ. დეკაპრელევიჩის აზრი, თითქოს ცულისპირა საქართველოს უუძველეს, თითქმის ადგილობრივ, მარცვლეულთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს (იხ. Мат. по изуч. бобовых Грузии, 139), სათუოდ უნდა იქმნეს მიჩნეული.

თავი V. ძაძა.

§ 1. ცნობები ძაძას შესახებ.

საქართველოში გავრცელებულ მარცვლეულთაგან ვახუშტს „ძაძა"-ც აქვს დასახელებული. ამაზე ადრინდელი, მე-XVII ს. დამლევის ცნობაც მოგვეპოვება ძაძის შესახებ: მას საბაც იცნობს. ს. ორბელიანის განმარტებით, „**ძაძა ლობიო არის წვრილი**" (ლექსიკ. რ. ერისთავის გამ., ახალ გამოცემაში ეს სიტყვა გამოტოვებულია). რ. ერისთავს „ძაძა"-ს ბოტანიკური რაობა განმარტებული არა აქვს, მხოლოდ მისი სხვა ქართ. სახელებიც დაურთავს: „**ძაღლ-ნიორა**" და „**გველარწყ**". უკანასკნელი სახელი რაჭაში ყოფილა გარცელებული. რაკი ბოტანიკურად არც ეს სახელებია განმარტებული, ამიტომ ამ პარალელური ცნობების გამოყენება ძაძას მნიშვნელობის გამოსარკვევად შეუძლებელი ხდება. ხოლო „ძაღლ-ნიორა" გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მარცვლიან მცენარის სახელი არც-კი უნდა იყოს. მაშასადამე, ეს „ძაძა" სულ სხვა მცენარე ყოფილა და ს. ორბელიანისაგან დასახელებულს, წვრილი ლობიოს აღმნიშვნელს, „ძაძა"-ს სრულებით არ უდგება.

§ 2. ძაძას ბოტანიკური რაობა.

ქართველი ლექსიკოგრაფის განმარტება საკმაოდ ნათელია: **ძაძა მას ლობიოს ერთ-ერთ, სახელდობრ წვრილმარცვლიან, ჯიშად ჰქონია მიჩნეული.**

ლ. დეკაპრელევიჩს თავის საქართველოს ცერცვნაირ მარცვლეულობის ზოგად მიმოხილვაში **ძაძა ორი სხვადასხვა მარცვლეულის ქართულ სახელად** აქვს აღნიშნული. ერთგან ნათქვამია, რომ სოია, რომელსაც აგრეთვე „**იაპონიის ლობიო**" და „**ძვა-ლობიო**-ც ეწოდება, „ძაძა"-ს სახელითაც ყოფილა ჩვენში ცნობილი (იხ. Мат. по изуч. бобовых Грузии, 132). მეორეგან სწერია, რომ Vigna sinensis Stickman Endlicher-ს აღმოს. საქართველოში უფრო ხშირად „**მაში**" ანუ „**მაშა**" ეწოდება, ლიხთ-იმერეთში-კი „**ძაძა**"-ს ეძახიანო (იქვე გვ. 135).

რაკი „სოია" წარსული საუკუნის მხოლოდ სამოცდაათიან წლებშია საქართველოში შემოტანილი (იხ. იქვე გვ. 133), ამიტომ ცხადია, რომ ს. ორბელიანისაგან დასახელებული „ძაძა" შეუძლებელია სოია ყოფილიყო. მაშასადამე, იაპონური ლობიო რომ ჩვენში შემოსულა, ხალხს ზოგან წინათ სხვა მარცვლეულისათვის არსებული სახელი გამოუყენებია. აღრევის თავითგან ასაცი-

ლებლად, ქართულ სპეც. მწერლობაში „ძაძა“, ვითარცა სოიას სახელი, უნდა ამოიკვეთოს და მოისპოს.

მაგრამ Vigna sinensis-ს, რომელსაც ჩრდილოეთ ამერიკაში **„ძროხის ცერცვს“** უწოდებენ, დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს ზემომოყვანილი ცნობის თანახმად, ამერეთში თურმე უფრო „მაშა“-ს ეძახიან [1], დას. საქართველოში-კი „ძაძა“-ს. **გამოსარკვევია ეხლა, თუ რომელი ამ ორ სახელთაგანი უნდა იყოს Vigna sinensis ძველი ქართული სახელი?**

თავის ადგილას (იხ. აქვე გვ. 55) აღნიშნული გვაქვს, რომ „მაშა-ცერცვი“, ანუ „მაშა-ლობიო“ Phaseolus aureus-ის სახელადაც იხმარება საქართველოში და რომ ეს ამ მარცვლეულის სწორედ ნამდვილი, საქართველოში უკვე მე-XVII ს. არსებული, სახელი ყოფილა. ეს გარემოება თავისდა-თავად სწყვეტს იმ საკითხსაც, თუ Vigna sinensis-ის ნამდვილ ქართულ სახელად რომელი ორთაგანი, ძაძა, თუ მაში უნდა იყოს ცნობილი? რაკი „მაში“ Phaseolus aureus-ის აღმნიშვნელი ყოფილა, ცხადია, რომ Vigna sinensis სახელი „ძაძა“ ყოფილა. ამიტომ ქართ. თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაშიც თვითეული ამ ორ ტერმინთაგანი თავისი ნამდვილი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

§ 3. ძაძის კულტურის ინტენსივობაზე ძველი ქართ. ცნობების უქონლობა.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მისდევდენ ძველ საქართველოში „ძაძა“-ს მოყვანას, ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. მე-XVII ს. ისათვის, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლექსიკონის გარდა, სხვა არავითარი დასაყრდნობიც-კი არ არსებობს. მაგრამ იქაც, სახელის განმარტების გარდა, ხომ სხვა არაფერია. მე-XVIII ს-ში მის კულტურას საქართველოში ვ ა ხ უ შ ტ ი ადასტურებს. ამაზე მეტის თქმა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

§ 4. ძაძის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში.

ამჟამად „ძაძა“ საქართველოში ნაკლებად ითესება. მის მოყვანას უფრო დაბლობ ადგილებში მისდევენ. აღმ. საქართველოში მინდვრადაც სთესენ და ბოსტნებშიც: ორსავე შემთხვევაში ძაძას ჩვეულებრივ ნათესის ერთ-ერთი ზოლთაგანი აქვს ხოლმე დათმობილი. ამერეთის სხვა თემებზე უფრო ხშირად ამ მარცვლეულის მოყვანას ბორჩალოში და ყარაიაში მისდევენ. დას. საქართველოში ძაძას სიმინდთან ერთად სთესენ ხოლმე. ძაძის გავრცელების ასწვრივი ხაზი 2500 ფუტს არ სცილდება ზღვის დონითგან.

ამერეთში ერთფერიანი ძაძის ჯიშია გავრცელებული, ლიხთიმერეთში-კი ჭრელაა: მარცვლის ჩალისფერ არეზე ჭიპთან შავი ლაქიანი ჯიშია, მაგრამ მოიპოვება V. cylindrica Piper-ის სახეობაც, მეტადრე აღმ. საქართველოში.

---

[1] მ. თ უ მ ა ნ ი ა ნ ს ა ც Vigna sinensis-ის სომხურ სახელად *մաշ* „მაშ“-ი აქვს მოყვანილი (იხ მისი „კულტ. მცენარეთა ასწვრივი ზოლები სომხეთში“, სომხურად გვ. 99).

§ 5. ძაძის კულტურის ხნიერების საკითხი საქართველოში.

ლ. დეკაპრელევიჩი ფიქრობს, რომ „ძაძა“ საქართველოს უძველესი მარცვლეულთაგანი უნდა იყოს, მაგრამ, რა საფუძველზე, ანდა რა მოსაზრებაზეა ეს რწმენა დამყარებული, ნათქვამი არა აქვს (Мат. по изуч. бобовых Грузии, 135).

„ძაძა“-ს აფრიკაში თურმე „Kunde“ ეწოდება, ინდოეთში „ლუბია“, რომში phaseolus-ი ერქვა და იტალიაში fagiolo-ს ეძახიან (ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии, 145), არც ერთი ამათგანი ამ მცენარის ქართულ სახელს არ უდგება.

„ძაძა“-ს ძველ ქართულში სამგლოვიარო ტანისამოსის მნიშვნელობა ჰქონდა, მაგ.: 3 მეფეთა 21_{27}-ში ნათქვამია: ოდეს ესმა აქაბს სიტყუაჲ ესე, შეილმო პირისაგან ო҃ჲ და ვიდოდა და ტიროდა და დაიპო სამოსელი თჳსი და მოირტყა ძაძაჲ გუამსა თჳსსა და იყო შემოსილი ძაძითა მიერ დღითგან რლსა შინა მოკლა ნაბოთე“. „ძაძა“-ს შესატყვისად ბერძნულში σάκκος-ია, ლათინურში cilicium და saccus და სომხურად *քուրձ*. ბერძნული და მეორე ლათინური სიტყვა ისევე, როგორც სომხური, პარკსა ჰნიშნავს, პირველი ლათინური შესატყვისობა-კი მატყლის ნაბადს. ამიტომაც არის, რომ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს სწორედ ამ ადგილის მიხედვით „ძაძა ღაზლის შალი“ ჰგონია (ლექსიკ.). რაკი მისივე განმარტებით, „ღაზლა“ იყო „მატყლის მკედი ხხვლი“ (იქვე), ამიტომ ძაძა მატყლის სხვილი ძაფისაგან შემზადებული ნაქსოვი ყოფილა.

§ 6. „ძაძა“-ს სახელის მნიშვნელობის განმარტება.

რა შეიძლება საერთო ჰქონდეს ამ მატყლის უხეშ ნაქსოვს ძაძას მარცვლეულ მცენარესთან, რომელსაც აგრეთვე „ძაძა“ ეწოდება? ეგების მათ საერთო არაფერი ჰქონდეთ და აქ ორი სულ სხვადასხვა წარმოშობილობის სიტყვა იყოს?

პროფ. იულ. ლ ო მ ო უ რ მ ა საუბრის დროს შემდეგი საგულისხმო მოსაზრება გამოსთქვა: არსებობს მცენარე „ძაძის“ შავ-მარცვლიანი ჯიში, რომელსაც თავისი სიშავის გამო შესაძლებელია სამგლოვიარო, აგრეთვე შავი ფერის, ტანისამოსის სახელი დაჰრქმეოდა.

ეს, უეჭველია, ორიგინალური მოსაზრებაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველოში „ძაძის“ შავ-მარცვლიანი ჯიში ამჟამად ყველაზე ნაკლებ არის გავრცელებული. ჩვეულებრივ ჩვენში წითელ-მარცვლიანი ჯიშია, რომელიც სამგლოვიაროს სრულებით არ შეეფერება.

მაინც ეს მოსაზრება იმდენად ორიგინალურია და თანაც ისე კარგად გვიხსნის სამგლოვიარო ტანისამოსისა და ამ პარკოსანი მარცვლეულის სრულ იგივეობას, რომ სიმართლეს მიაგავს. ამიტომ, თუ ეს ჰიპოთეზი მცდარი არ არის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში პირველად შავ-მარცვლიანი ჯიში უნდა ყოფილიყო შემოსული და წითელმარცვლიანი მხოლოდ შემდეგში შემოტანილი ჯიში იქმნებოდა.

§ 7. ძაძას სამშობლო და გავრცელების არე ძველად.

„ძაძის“ სამშობლოდ ტროპიკული აფრიკა ითვლება. რადგან ველურად ეს მცენარე სწორედ იქ მოიპოვება (A. Engler: V. Hehn-ის Kpf. u. Ht. 219 და ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии, 146). მაგრამ ამ მარცვლის მოყვანას ძველი დროითგანვე ბევრ ქვეყნებში მისდევდენ, როგორც აფრიკასა და აზიაში, ისევე ევროპაშიც. ვიტტმაკ-ს და კიორნიკე-ს გამორკვეული აქვთ, რომ ძველ ბერძნებისა და რომაელების Phaseolus-იც სწორედ „ძაძა“ იყო და არა ლობიო (ა. ენგლერი: V. Hehn-ის Kpf. u. Ht. 219).

თავი VI. ლობიოს შესახები არსებული ლიტერატურა.

§ 1. უძველეს ქართულ წყაროებში ლობიოს შესახებ ცნობების უქონლობა.

არც დაბადების ქართულ თარგმანში, არც სხვა უძველეს ძეგლებში „ლობიო“ არ გვხვდება. არსად ჩანს ეს სიტყვა მე-IX-XIII სს. თხზულებებსა, თუ საბუთებში, ან სხვა რომელსამე წყაროში. არ მოიპოვება იგი მე-XIV ს. ძეგლში, „ხელმწიფის კარის გარიგების“ იმ ზემომოყვანილ (იხ. აქვე გვ. 23) ნაწყვეტშიც, რომელშიც მუხუდო იხსენიება. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის 1578 წ. დავთარშიც, რომელშიც გამოსაღებელთა შორის ცერცვი დასახელებულია, ლობიოს ხსენება არ მოიპოვება.

§ 2. უძველესი და შემდეგ-დროინდელი ცნობები ლობიოზე საქართველოში.

პირველი მკაფიო ცნობა ლობიოს საქართველოში არსებობაზე მე-XVII ს. ჩნდება. წყაროებითგან ამოღებული ცნობების ზოგად მიმოხილვაში (იხ. აქვე გვ. 5) უკვე მოყვანილი გვქონდა არქ. ლამბერტის მოთხრობა, რომ იმდროინდელ სამეგრელოში ბოსტნებში სხვა ყველა მცენარეებზე მეტად „ოსმალურ ლობიოს“ სთესდენ, რომელიც იქაური მოსახლეობის თითქოს „ერთადერთი სამარხო საჭმელი“-ც-კი ყოფილიყოს.

ამავე ხანის რუსი დესპანი ტოლოჩანოვის იმერეთის აღწერილობაშიც ბოსტნეულობის შორის თითქოს ხაზგასმით არის დასახელებული „სტამბოლური ცერცვი“-ც (იხ. აქვე გვ. 5).

ზემომოყვანილითგან ცხადია, რომ მე-XVII ს. რუსები ცერცვისაგან ლობიოს ისევე არჩევდენ, როგორც არქ. ლამბერტი, რომელიც ამ მარცვლეულს „ოსმალურს“ უწოდებდა. რუსებიც ხომ ლობიოს აღსანიშნავად ამ მარცვლეულის სახელად „სტამბოლურ ცერცვს“ ჰხმარობდენ. გერმანელებიც ამ მარცვლეულს „Türkische Bohnen“-ს, ე. ი. „თურქულ ცერცვს“ უწოდებდენ და აკად. გულდენშტედტიც ხომ ამის ქართულ შესატყვისობად სწორედ „ლობიო“-ს ასახელებს (იხ. აქვე გვ. 5). რუს დესპანების ცნობაში ის გარემოებაა საყუ-

რადღებო, რომ ლობიოს ისინი „სტამბოლურ“ და არა ქართულ მარცვლეულად სთვლიდენ იმ დროს, როდესაც მათ იქვე, თითქოს განზრახ დასაპირისპირებლად, დასახელებული აქვთ მეორე ცერცვნაირი, რომელსაც ისინი ქართულს უწოდებდენ („горох грузинской“). საფიქრებელია, რომ ეს ცერცვნაირი თვით საქართველოშიც ადგილობრივ მარცვლეულად მიაჩნდათ, ლობიოს ქართულობას-კი არავინ ჩემულობდა.

არქ. ლამბერტის სიტყვით, „რათგან სინოტიეს გამო მიწაზე გაშვებული ლობიო დალპებოდა, საკმაო მაღალ ჭიგოებს დასმენ ხოლმე და მათზე აუშვებენ ლობიოს. ლობიო აქ იძლევა ნაყოფს უხვად და დიდი ხნის განმავლობაში ისე, რომ ივლისიდან დაწყებული სექტემბრამდის ახალ ლობიოსა სჭამენ; შემდეგ კი გაახმობენ და საზამთროდ შეინახავენო“-ო (იხ. სამეგრელოს აღწერა, ალ. ჭყონიას თარგმანის გვ, 59).

ლამბერტის ცნობა, თითქოს ლობიო ერთად-ერთი სამარხო საჭმელი ყოფილიყოს, რა თქმა უნდა, სწორე არ არის, მაგრამ მისი სიტყვებითგან ჩანს, რომ მე-XVII ს-ში, თუ დასავლეთ საქართველოში მთლად არა, სამეგრელოში მაინც. ლობიოს დანარჩენ ყველა ცერცვნაირთან შედარებით უკვე უცილობელი უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული.

აღსანიშნავია, რომ ლობიოს იმერეთში ამ დროს რუსი ელჩებიც იხსენიებენ. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ თუ კახეთში ათი წლით უწინარეს ნამყოფი ზემოდასახელებული რუსი დესპანები მხოლოდ „ოსპსა და ცერცვზე“ („ნიგ“) ლაპარაკობენ, ათი წლის შემდგომ იმერეთში მისულ რუს დესპანებს, როგორც ზემომოყვანილითგან დავრწმუნდით, „სტამბოლური ცერცვი“ („ნიგ цареградской“) ანუ ლობიო აქვთ დასახელებული.

საგულისხმოა, რომ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალ“-ში სამარხო საჭმლის მასალად მოხსენებულია მხოლოდ: „ცერცვი და მუხუდო თითოს ყაბზედ ლიტრა ერთ ნახევარი, შექამადად ბადიაზედ ლიტრა ერთ-ნახევარი“ (გვ. 91, § რჟე). დამახასიათებელია, რომ აქაც სამარხო საჭმლის ლობიოსგან მომზადება გათვალისწინებული არ არის. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სრულებით იმის საბუთად არ გამოდგება, თითქოს მე-XVIII ს. დამდეგს ქართლში ლობიო არ ყოფილიყოს. ვახუშტის ცნობა ამ საკითხს უცილობლად სწყვეტს. მაგრამ ზემომოყვანილი ამონაწერი იმის გამომქლავნებელი მაინც უნდა იყოს, რომ ქართლის სამეფო კარზე სამეფო საჭმელი ამ დროს, როგორც ეტყობა, ლობიოსაგან-კი არა, არამედ უმთავრესად ცერცვისა და მუხუდოსაგან უკეთებიათ.

მე-XVIII ს. მეორე ნახევარში ლობიოს მოყვანა მთელ საქართველოში უფრო გაძლიერებულა. ეს გარემოება აკად. გჰლდენშტედტის აღწერილობითგანაც ჩანს. მას აღნიშნულიც აქვს, რომ ლობიოს მოყვანას მაშინ ყველგან გულმოდგინედ მისდევდენ („türkische Bohnen und Erbsen bauet man hier häufig“: Reisen, I, 291). გჰლდენშტედტი ამბობს, რომ ხონის სანახებში ლობიო („türkische Bohnen“, ბაღებშიც მოჰყავდათ (Reisen I, 305). ამგვარადვე იმავე ავტორს ნათქვამი აქვს, რომ წესში და უწერის მიდამოებში სიმინდსა, ლობიოს და ბარდას ბლომად სთესდენ (Reisen I, 283, 291), ხოლო ქვემო რაჭის ზვრებში და ვენახებში ვაზის გვერდით ლობიო იყო, რომელიც ვაზზე აშვებული ყოფილა (Reisen I, 297).

§ 3. დას. საქართველოში XVII-XVIII სს. ლობიოს გავრცელებული ჯიში.

როგორც ა რ ქ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს ზემომოყვანილი ცნობითგან ჩანს, სამეგრელოში იმ დროსვე განსაკუთრებით სარის ლობიო ყოფილა გავრცელებული. ამ ჯიშის უპირატესობას იქაური ნოტიო ჰავა და ნიადაგი უფრო ცხად-ჰყოფდა. მაგრამ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს სიტყვებითგან ჩანს, რომ სარის ლობიოს ჯიშის გავრცელებულობა მარტო იტალიელი მისიონერისაგან დასახელებული მიზეზით არ უნდა აიხსნებოდეს, რათგან ქვემო რაჭის ჰავა-ნიადაგს ნოტიობა მოჭარბებული არ ახლავს, ამისდა მიუხედავად იქაც თურმე იმავე ჯიშის ლობიო ყოფილა.

§ 4. ლობიოს კულტურის ინტენსივობა და გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში.

ცნობილია, რომ თანამედროვე საქართველოში პურეულის შემდგომ მარცვლეულთა შორის უპირველესი ადგილი სწორედ ლობიოს უკავია. მას მინდვრადაც სთესენ სიმინდთან ერთად, ბაღ-ბოსტნებსა და ვენახებშიც-კი. 1923 წ. აღწერის მიხედვით მთელ საქართველოში ლობიოს მარტო მთლიან ნათესებს 1090 დღიური ეკავათ. ხოლო სიმინდთან ერთად 62900 ფუთი სათესლე ლობიო ყოფილა დათესილი. ამის კვალობაზე ლობიოს წლიურ მოსავალს 1.200.000 ფუთამდე ანგარიშობენ. ხოლო, რაკი სტატისტიკური ცნობები ზედმიწევნითი არ არის და ნათესებისა და სათესლე მასალის რაოდენობაც, რა თქმა უნდა, სინამდვილეზე გაცილებით ნაკლები უნდა იყოს, ამიტომ ფიქრობენ, რომ ლობიოს წლიური მოსავალი 2.000.000 ფუთზე ნაკლები არ იქმნება (ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს Мат. по изуч. бобовых Грузии, 131).

ლობიო საქართველოს ყოველ თემში მოჰყავთ. ხოლო ლობიოს გავრცელების უუმაღლეს ადგილებად ქართლში, ვ. მ ე ნ ა ბ დ ე ს დაკვირვებით, უნდა სს. ჩიტისთობელი (1500 მეტრ.), მიტარბო (1475 მეტრ.) მზეთა-მხე (1400 მეტრ.), კახეთში-კი ზემო-თიანეთი (1090 მეტრ.) იქმნეს მიჩნეული. ამ სოფლებშიც ლობიო ყოველწლივ არ მოდის, მხოლოდ ნაწილობრივ მწიფდება. ამის გამო ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ს ლობიოს გავრცელების ასწერივ უმაღლეს საზღვრად 3500-4000 ფუტი მიაჩნია (Мат. по изуч. бобовых Грузии, 131, შენ. 4).

§ 5. არსებული ცნობები საქართველოში გავრცელებული ლობიოს ჯიშ-სახეობათა და მათი სახელების შესახებ.

ლობიოთა სახელების აღნუსხვა პირველად რ. ე რ ი ს თ ა ვ მ ა სცადა თავის ბოტანიკ. ლექსიკონში. იქ შემდეგი სახელებია მოყვანილ-განმარტებული: 1. ლობიო ზღვისპირა Phaseolus multiflorus Willd,—2 ლობიო ადრეული Ph. praecox.—3. ლობიო-კუტი Ph. nanus L., Ph. compressus DC..—4. ლობიო მაშა (ქართ.), ანუ მამა-კალია (იმერ.).—5. ლობიო მიწისა (გურ.).—6. ლობიო რუსული.—7. ლობიო სარისა Ph. multiflorus Lam.—ლობიო ტკიპა Dolichos monachalis Brot.—9. ლობიო-ქონა (გურ.).—10. ლობიო-ყვითელი.—11. ლო-

ბით-შროშანა.—12. ლობიო-ჩენჩა (გურ.).—13. ლობიო წითელი.—14. ლობიო-პრელი Ph. rubrovariegatus, gonospermus Savi (იხ. მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, 1884 წ., გვ. 33, §§ 482—495).

ამგვარად, სულ 14 სახელია აღნუსხული. არა ჩანს მხოლოდ, თუ რაზეა მათი ბოტანიკური რაობის განსაზღვრა დამყარებული.

ლ. დეკაპრელევიჩს სულ 79 სახეობა აქვს საქართველოში აღნუსხული, მაგრამ ამათგან მხოლოდ მცირედი ნაწილია ცოტად-თუ-ბევრად გავრცელებული: დანარჩენი სახეობანი მარტო, ან იშვიათი, ან შემთხვევითი შენარევის სახით გვხვდება. ზემოდასახელებული მკვლევარი ფიქრობს, რომ საქართველოს ადგილობრივ ჯიშად შესაძლებელია მხოლოდ 10-15 იქნეს მიჩნეული (გვ. 211—212).

უცხოეთითგან შემოსულ ყოველ მცენარესაც, ხანგრძლივი კულტურის შემდგომ, ხშირად ადგილობრივი სახელი უჩნდება ხოლმე და, რამდენადაც ამ მცენარის მოყვანას ხალხი ინტენსიურად მისდევს, იმდენად უფრო მეტი შერჩევა წარმოებს, დროთა განმავლობაში ახალ-ახალი სახეობა ჩნდება და სპეციალური სახელებიც შემოდის. ასეთი სახელების შინაარსს და სიმრავლეს ამ კულტურის სადაურობისა და ვითარების გამოსარკვევად, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვს და მკვლევარნი უნდა ცდილიყვნენ ამ მარცვლეულის სხვადასხვა ჯიშ-სახეების ყველა ადგილობრივი სახელები, ბოტანიკურად განსაზღვრული, აღენუსხათ. სამწუხაროდ ეს საკითხიც ჯერ სათანადოდ შესწავლილი არ არის.

ლ. დეკაპრელევიჩს თავის ვრცელ მონოგრაფიაში ლობიოს ქართული სახელები მოყვანილი აქვს, მაგრამ სამწუხაროდ ყველგან არა: ზოგ საქართველოში საკმაოდ გავრცელებულ ჯიშ-სახეობათა სახელებიც-კი აღნუსხული არ არის, თუმცა, უეჭველია, მათ თავიანთი სახელი უნდა ჰქონდეთ.

თავი VII. ლობიოს კლასიფიკაცია და მის ჯიშ-სახეობათა ქართული ხალხური სახელები.

§ 1. ლობიოს კლასიფიკაციის პრინციპები.

ლობიოს ჯიშებად დაყოფვის დროს ამ მცენარისა და მარცვლეულის სხვადასხვა ნიშანდობლივი თვისებებია მხედველობაში მიღებული. ამ თვისებათაგან უპირველესად ორი უმთავრესი ნიშანია აღსანიშნავი: ერთ ჯგუფს ლობიოს მხვიარა ჯიშები ეკუთვნიან, მეორე ჯგუფს დაბალ ბუჩქიანი ჯიშები შეადგენენ (ლ. დეკაპრელევიჩის Сорта фасоли в Грузии, 160 –162).

სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის თვილსაზრისით ამ ორ ჯგუფს განსხვავებული ღირებულებაც აქვს: უკვე არქ. ლამბერტის ჰქონდა აღნიშნული სარის ლობიოს განსაკუთრებული და ხანგრძლივი ნაყოფიერება (იხ. აქვე გვ. 40). ეს გარემოება თანამედროვე დაკვირვებითაც მტკიცდება. ბუჩქნაირ ჯიშებს, მხვიარა ჯიშებთან შედარებით, გაცილებით უფრო ხანმოკლე ნაყოფიერება აქვთ. თუ ბუჩქნაირი ლობიოს ჯიშებს სავეგეტაციო ხანა 80—100 დღემდე გასტანს ხოლმე, მხვიარა ჯიშების ზრდამ ხელ-შემწყობ პირობებში შესაძლებელია პირველ რთვილამდეც-კი გასტანოს (ლ. დეკაპრელევიჩის Сорта фасоли в Грузии, 170—171).

შემდეგ ლობიოს ჯიშები ბევრი სხვა ნიშნებით **განირჩევიან, მათ შორის ყვავილის და მარცვლის ფერით და თვით მარცვლის მოყვანილობა-აგებულე-ბითაც** (იქვე 160 – 169).

§ 2. ლობიოს ქართული ხალხური სახელები და მათი ბოტანიკური რაობა.

ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ს ლობიოს შემდეგი ქართული სახელები მოე-პოვება:

A. ჯგუფი: Ph. vulgaris S a v'i volublis m. (მხვიარა ჯიშები).

I ქვეჯგუფი: Ph. v. sphaericus (Mart.) m. რგვალმარცვლიანა ჯიშები:

1. Ph. sphaericus albus (Mart.) თეთრი მარცვლის მქონებელი. საქართვე-ლოში მაინცდამაინც გავრცელებული არ არის. უფრო იმერეთს, გურიასა და აბ-ხაზეთში გვხვდება და „**ᲗᲔᲗᲠᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ**“ ანდა „**ᲑᲝᲛᲑᲐ**“ ეწოდება (გვ. 184 — 185).

2. Ph. sphaer. vinosus წითელ-ღვინისფერი ცოტა გვიანი, მაგრამ მოსავ-ლიანი სახეობაა, ევროპასა და ამერიკაში ერთი ძველთაგანი და გავრცელებულ-თაგანია. მაგრამ საქართველოსა და მის მეზობელ რესპუბლიკებში მის მოყვანას შედარებით ნაკლებ მისდევენ, სახელად „**ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲫᲝᲜᲐ ᲚᲝᲑᲘᲝ**“ („цители-копа лобио“) ეწოდება (იქვე გვ. 185—186).

3. Ph. sphaer. niger შავ-მარცვლიანი წინათ უცნობი ყოფილა და M a r-t e n s-ის სიტყვით 1834 წ. არის ჩინეთითგან ევროპაში შეტანილი, ინგლისში 1837 წ. ჩნდება, ამერიკაში-კი მხოლოდ 1857 წ. ახლო ხანებში. საქართველოსა და საზოგადოდ კავკასიაში ნაკლებ არის გავრცელებული, მაგრამ ქართულად „**ᲨᲐᲕᲘ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ**“ ლობიო ჰქვია (იქვე 186).

4. Ph. sphaer. ochraceus purpueo—punctatus მუქი ყვითელი წითლად და-წინწკლული მეტად ნაყოფიერი და მაღალი ღირსების ლობიოა. გამძლე ჯიშია. ევროპაში მე-XVIII ს. შუა წლებში გაჩნდა და სწრაფად გავრცელდა იქ ყველ-გან ისევე, როგორც აზიაშიც. ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისითგან შეიტანეს 1858 წ. ახლო ხანებში. საქართველოშიც ერთი ყველაზე უფრო გავრცელებულ ჯიშთაგანია ყველგან და „**ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲚᲝᲑᲘᲝ**“-ს, ანდა „**ᲩᲘᲢᲘᲡ-ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲐ**“-ს სა-ხელით არის ცნობილი (იქვე 187 — 188).

5. Ph. sphaer. ochraleucus purpureo-punctatus მკრთალი მოყვითანო წით-ლად დაწინწკლული კარგი და ნაყოფიერი ჯიშია, მეტადრე მუხრანის ველზეა გავრცელებული და „**ᲪᲐᲜᲐᲕᲡ ᲚᲝᲑᲘᲝ**“ („Цанавис-лобио“) სახელით არის ცნო-ბილი. მაგრამ ტფილისში ვაჭრობაში მასაც „**ᲒᲣᲠᲣᲚ ᲚᲝᲑᲘᲝ**“-ს ეძახიან (იქვე 189).

6. Ph. sphaer. gilvus vinoso-punctatus მომწვანო წითელ-ღვინისფრად დაწინწკლული მაღალი ღირსებისა და ნაყოფიერი, თუმცა გვიანი ჯიშია. სხვა-გან თითქოს არა ჩანს. საქართველოშიც „გურულ“, ანუ „ჩიტისკვერცხა ლო-ბიო“-ზე ნაკლებ არის გავრცელებული, მაგრამ მაინც ყველგან მოჰყავთ, მეტადრე დასავლეთ საქართველოსა და უფრო-კი გურიაში. ეწოდება „**ᲒᲣᲠᲣᲚᲘ**“, ანდა „**ᲣᲑᲘᲬᲝ-ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲚᲝᲑᲘᲝ**“ („Убецо-гурули“ იქვე 189—190).

II ქვეჯგუფი **Ph. oblongus** (S a v i) m. **მოგრძო-მარცვლიანი ჯიშები:**

7. Ph. oblong. ochroleucus badio-variegatus მოყვითანო წაბლისფერ-ლაქიანი ყველგან გავრცელებული, ნაყოფიერ მაღალ ღირსების მქონებელ და გამძლე, მაგრამ შედარებით გვიანა ჯიშს წარმოადგენს. საქართველოში ზოგან (სახელდობრ სად, აღნიშნული არ არის) საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ტფილისში ვაჭართა შორის „**ბორჩალოს**" („борчалинский") ლობიოს სახელით არის ცნობილი (იქვე 195).

8. Ph. oblong. gilvus vinoso-fasciatus მომწვანო წითელ-ღვინისფერა-ზოლიანი ნაყოფიერი და შედარებით მაღალხარისხოვანი ლობიოა. საქართველოში იგი თუმცა ნაკლებად არის გავრცელებული, მაგრამ მაინც თავისი სახელი ჰქონია: „**კახულა ძონა ლობიო**" („кахула кона лобио"). სამწუხაროდ, აღნიშნული არ არის, სად ეძახიან ამ სახელს (იქვე 196).

III. ქვეჯგუფი **Ph. v. compressus** (DC.) m. **მარცვალ-შეტკეცილი ჯიშები:**

9. Ph. compr. luteus კვერცხის-გულის ფერის მარცვლიანი ლობიო, M a r t e n s-ის სიტყვით, წარსულ საუკუნეში ეს ჯიში ძალიან ყოფილა ევროპაში გავრცელებული. საქართველოში აქ-იქ სთესენ, უფრო-კი გურიაშია გავრცელებული, ყოფილა ადერბეიჯანშიც. საქართველოში მას „**ყვითელი ლობიო**" ეწოდება (იქვე 197).

IV. ქვეჯგუფი. **Ph. v. subcompressus** (Al.) m. **მარცვალ-მოშეტკეცილო ჯიშები:**

10. Ph. subcompressus albus ნაყოფიერი და გამძლე ჯიშია. საქართველოში იგი საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული და „**თეთრი ლობიო**", ანდა „**თეთრი ლაბაშა ლობიო**" ეწოდება (იქვე 198).

11. Ph. subcompr. vinosus საკმაოდ ნაყოფიერი და გამძლე, მაგრამ გვიანი ჯიშია. Hendry-ს აზრით, ეს ლობიო შედარებით ახალია და მექსიკის წითელ კანიანი ტომებისაგან უნდა იყოს შეთვისებული და კალიფორნიასა, კოლორადოსა და დასავლეთ არიზონში ფართოდ არის გავრცელებული. ევროპაშიც, მეტადრე სამხრეთ ნაწილში და საფრანგეთშიც დიდი ხანია, რაც ძალიან არის გავრცელებული. საქართველოშიც მას მოყვანას საკმაოდ მისდევენ. ქართულად მას „**წითელი ლობიო**", ანდა „**სიმინდის ლობიო**" ეწოდება (იქვე 200—201), რადგან ხშირად სიმინდთან ერთად ითესება ხოლმე.

12. Ph. subcompr. badius წაბლისფერ მარცვლიანია და გამძლე ჯიშიც არის. საქართველოში ხშირად სიმინდთან ერთად მოჰყავთ და ამის გამო „**სიმინდის ლობიო**"-ს ეძახიან (იქვე 201).

13. Ph. subcompr. atroroseus nigro-fasciatus მუქი ვარდისფერი შავ-ზოლიანი მარცვლის მქონებელი, ნაყოფიერი და გავრცელებული ჯიშია. საქართველოში აქა-იქ გვხვდება და სხვა ფერად-ზოლიან ლობიოს ჯიშებსავით გურიაში მკითხაობისათვის ხმარობენ და სწორედ ამიტომ უნდა იყოს, რომ „**სათარხმავი ლობიო**" ეწოდება (იქვე 203).

B ჯგუფი. Phaseolus vulgaris Savi nanus m. ჯუჯი ჯიშები:

V. ქვეჯგუფი. Ph. v. sphaericus (Mart.) m. რგვალმარცვლოვანი ჯიში:

14. Ph. sphaer. cremeus purpureo-punctatus წითლად დაწინწკლული კაქისფერა მარცვლიანი ლობიო, ძველი და ყველა ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ჯიშია. თუმცა საქართველოში ნაკლებად მოჰყავთ და უმთავრესად მუხრანის ველზე სთესენ, მაგრამ მაინც სახელად „გურული ლობიო“ ანდა „ჩიტის კვერცხა“ ეწოდება ისევე, როგორც № 4-საც (იხ. იქვე 206 და 188).

VI. ქვეჯგუფი. Ph. v. ellipticus (Mart.) m. ელიფსოიდურ-მარცვლიანი ჯიში:

15. Ph. ellipt. ochraceus badio-variegatus მუქი-ყვითელი წაბლისფერად დაწინწკლული მარცვლიანი ლობიო, თუმცა საქართველოში იგი შედარებით იშვიათად მოჰყავთ, მაგრამ მაინც თავისი სახელი მოეპოვება და „ჭრელი ლობიო“ ჰქვია (იქვე 207—208).

VII. ქვეჯგუფი. Ph. v. oblongus (Savi) m. მოგრძო-მარცვლიანი ჯიში:

16. Ph. oblong. albus nigro-maculosus თეთრი ნაწიბურთან შავ-ლაქიანი მარცვალი აქვს. საქართველოში თითქოს იშვიათი უნდა იყოს. მაგრამ საკუთარი სახელი აქვს და „ქაჩქაჭა-ლობიო“ ეწოდება (იქვე 210).

ზემომოყვანილი მიმოხილვითგან ჩანს, რომ ლ. დეკაპრელევიჩს ლობიოს სულ 16 ქართული სახელი მოეპოვება, თვითოეული მათგანის ბოტანიკური თვისებები და რაობა აღნიშნულია. სამწუხაროდ რ. ერისთავისაგან ჩაწერილი სახელები და მათი ბოტანიკური შესატყვისობა არსად განხილული არ არის. იმისდა მიუხედავად, რომ ლ. დეკაპრელევიჩის ცნობა რ. ერისთავისას ზოგჯერ ეწინააღმდეგება და ამ ქართველ ლექსიკოგრაფს ისეთი სახელებიც აქვს ჩაწერილი, რომელიც თვით დეკაპრელევიჩს სრულებით არ მოეპოვება. ამიტომ რ. ერისთავისა და ლ. დეკაპრელევიჩის **ზემომოყვანილი ცნობების გამოყენება არ შეიძლება, სანამ, მათი კრიტიკული განხილვისა და შემოწმების შემდგომ, თვითეული ამ სახელთაგანის ღირსება და ნამდვილი მნიშვნელობა გამორკვეული არ გვექნება.** ქვემომოყვანილი ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ **ორსავე ავტორს ზოგადი და ცალკეული სახელები ერთად მოუქცევიათ** და არა ერთხელ ზოგადი ტერმინი ცალკეული სახეობის სახელად მიუჩნევიათ.

თავი VIII. ლობიოს საქართველოში არსებული სახელების ანალიზი და ნამდვილი მნიშვნელობა.

რ. ერისთავისა და ლ. დეკაპრელევიჩისაგან ჩაწერილ სახელთაგან პირველად ისეთების განხილვას შევუდგებით, რომელთაც ზოგადი მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც ცალკეული სახეობის სახელად-კი არა, არამედ ჯიშთა ზოგად ტერმინად არიან განკუთვნილი.

§ 1. ლობიოს მორფოლოგიური თვისებების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: კუტი ლობიო, ბარდიანი და უბარდო ლობიო, სარის და სიმინდის ლობიო.

რ. ერისთავს დასახელებული აქვს „**კუტი ლობიო**“, რომლის ხსენებაც-კი არ მოეპოვება დეკაპრელევიჩს. ხალხი „კუტ ლობიოს“ ისეთ ჯიშთა ჯგუფს უწოდებს, რომელიც მხვიარა არ არის და პატარა ბუჩქის მსგავსად იზრდება. ამიტომ, უეჭველია, რ. ერისთავი მართალი იყო, როდესაც მას გვერდით მოუწერა ლათინური ბოტანიკური ტერმინი Phaseolus nanus, რომელიც „ჯუჯა ლობიოს“ ჰნიშნავს. ხოლო შემდეგ დართული შესატყვისობა Ph. v. compressus (DC.), მარცვალ-შეტკეცილი სახეობა შეცდომას წარმოადგენს.

საფიქრებელია; რომ გურიაში გავრცელებული ტერმინი „**მიწის ლობიო**“-ც მნიშვნელობით ალმოს. საქართველოში მიღებული „**კუტი ლობიო**“-ს შესატყვისობა უნდა იყოს და ამგვარად ისიც მიწაზე განთრხმულ, არა-მხვიარა ლობიოთა ჯიშთა ჯგუფის ზოგადი სახელი გამოდის.

რ. ერისთავს „სარის ლობიო“ ლათინური Phaseolus multiflorus Lam.-ის შესატყვისობად აქვს აღნიშნული. ლ. დეკაპრელევიჩის სიტყვით ლობიოთა ამ არაჩვეულებრივ ჯიშს, სახელდობრ, Ph. multiflorus Willd.-ს, მრავალფერა, ანუ ცეცხლებრივ ლობიოსაც სთესენ, მაგრამ ცოტას და მას სხვა ჯიშებზე უფრო დაბალხარისხოვანადაც სთვლიან (იხ. გვ. 151). ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ მხოლოდ ამ საქართველოში იშვიათ-სახეობისათვის განსაკუთრებული ტერმინი შეექმნათ. მრავალფერა ლობიო Ph. multiflorus „სარის ლობიო“-დ მხოლოდ იმდენად შესაძლებელია წოდებულ იქმნეს, რამდენადაც ეს მცენარეც მხვიარა ლობიოთა ჯგუფს ეკუთვნის.

ნამდვილად-კი, უეჭველია, რომ, „კუტი-ლობიოს“ მსგავსად, **სარის ლობიო-ც ზოგად ტერმინად უნდა იქმნეს ცნობილი და ისეთ ჯიშების აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომელნიც მაღლა მიიწევენ და სარს ეხვევიან.**

ასეთივე ზოგადი ტერმინი უნდა იყოს აგრეთვე ლ. დეკაპრელევიჩისაგან აღნუსხული „**სიმინდის ლობიო**“-ც, რომელიც მას Ph. subcompr. vinosus-ის, ანუ მოშეტკეცილო ღვინისფერა ლობიოსი და Ph. subcompr. badius-ის, ანუ მოშეტკეცილო წაბლისფერა ლობიოს სახელებად აქვს აღნიშნული. ეს ცნობა მხოლოდ იმდენადაა სწორე, რამდენადაც ორივე ზემოდასახელებული ლობიო მართლაც მხვიარა ჯიშებს ეკუთვნიან მაგრამ, რაკი მათ „**სიმინდის ლობიო**“ მარტო იმიტომ ეწოდებათ, რომ სიმინდთან ერთად ითესება და სიმინდს, სარის მსგავსად, გარს ეხვევა, ცხადია, რომ სიმინდი ამ შემთხვევაში სარს უდრის. ამისდა გვარად, „**სიმინდის ლობიო**“ მნიშვნელობით თითქმის „**სარის ლობიო**“-ს **უდრის და ორთავე მხვიარა ლობიოთა ჯგუფის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად უნდა მივიჩნიოთ.** მაშასადამე, „**სარის ლობიო**“ და ნაწილობრივ აგრეთვე „**სიმინდის ლობიო**“-ც ლათინური volubilis-ის შესატყვისობა ყოფილა.

ზემო იმერეთში ხმარობენ აგრეთვე გამონათქვამებს „**ბარდიანი ლობიო**“ და „**უბარდო ლობიო**“. შ. კუმბურიძემ, რომელმაც ეს ცნობა გადმომცა და რომელსაც ამისთვის გულითად მადლობას მოვახსენებ, ამ ტერმინების მნიშვნელობა ასე განმარტა: „**ბარდიანი ლობიო ეწოდება ისეთს, რომელიც იკე-**

თეხს ბარდს და ეხვევა ხარდანს (ე. ი. სარს), ან სიმინდს, — უბარდო ლობიო ეწოდება ისეთს, რომელიც ბარდს არ იკეთებს და არის დაბალი“[1].

შ. კუმბურიძის ცნობითგან ჩანს, რომ „ბარდი“ ლობიოს მცენარის სწორედ იმ ნაწილის აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომლითაც ხესა, თუ სარს, გინდ სიმინდს ეხვევა. ამისდა მიხედვით, „ᲑᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲚᲝᲑᲘᲝ“ მნიშვნელობით „სარის ლობიოს“ და ნაწილობრივ „ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲝᲡ“ უდრის, ხოლო „ᲣᲑᲐᲠᲓᲝ ᲚᲝᲑᲘᲝ“ კუტ ლობიოს, ანუ მიწის ლობიოს.

ქართლში-კი ბარდიანის მნიშვნელობა სხვანაირად ესმით: ყოველი „ბარდიანი ლობიო“ მხვიარა, სარის, ან სიმინდის ლობიო არ არის. ლობიოს მცენარის იმ ნაწილს, რომლითაც ის სარს ეხვევა, ქართლში „ᲙᲐᲕᲘ“ ეწოდება. რაკი „ბარდი“, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 21-22), განრთხმულ-გადახლართულ წვრილ ხესა და ბუჩქსა ჰნიშნავს „ბარდიანი ლობიო“-ც არსებითად მიწაზე განრთხმულ-დახლართულ ლობიოს ჯიშს უნდა ეწოდებოდეს. ამგვარად, ირკვევა, რომ „ᲡᲐᲠᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲝ“ სხვაა, „ᲑᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲚᲝᲑᲘᲝ“ კიდევ სხვაა: პირველი ნამდვილი მხვიარა ჯიშის სახელია, მეორე პირიქით განრთხმულ-გახლართულ ჯიშის აღმნიშვნელია. „კუტი ლობიო“ ხომ, როგორც დავრწმუნდით, ამ მცენარის ბუჩქებრივი უბარდო ჯიშის სახელია.

ტერმინს „ᲡᲐᲠᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲝ“-ს, ვითარცა მხვიარა ჯიშთა თვისების ზოგადად უკეთესად გამომხატველს, „სიმინდის ლობიო“-ს წინაშე უნდა უპირატესობა მიენიჭოს. ამიტომ თანამედროვე ბოტანიკურ-აგრონომიულ მწერლობაშიც მხვიარა ლობიოთა ჯგუფის ზოგად აღმნიშვნელ ტერმინად „სარის ლობიო“-ს ხმარება ემჯობინება.

§ 2. ლობიოს პარკისა და მარცვლის ქსოვილის თვისებების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: ქონა, უბეწვო და ჩენჩა ლობიო.

რ. ერისთავს „ᲥᲝᲜᲐ ᲚᲝᲑᲘᲝ“ განუმარტველად აქვს დატოვებული. ლ. დეკაპრელევიჩს-კი, როგორც დავრწმუნდით, ლობიოს ორი ჯიშ-სახეობის სახელში აქვს მხოლოდ აღბეჭდილი, თვით „ქონა“-ს მნიშვნელობის განუმარტავადვე. ეს სახელი საგულისხმოა და, უეჭველია, იგიც ზოგადი ტერმინი უნდა იყოს. ამ უკანასკნელი გარემოების ცხად-საყოფელად ისიც საკმარისია, თუ გავიხსენებთ, რომ ლ. დეკაპრელევიჩის ნაშრომის მიხედვით არსებობს „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲥᲝᲜᲐ ᲚᲝᲑᲘᲝ“, რომელიც მისი განმარტებით არის Ph. sphaer. vinosus, და „ᲙᲐᲮᲣᲚᲐ ᲥᲝᲜᲐ ᲚᲝᲑᲘᲝ“-ც, რომელიც ამავე ავტორის სიტყვით არის Ph. oblong. gilvus vinoso-fasciatus. რა-კი ორ სხვადასხვა ჯიშის ლობიოს სახელებში „ᲥᲝᲜᲐ“ შედის, უეჭველია, რომ „ქონა“ ამ ორი-სამ სხვადა-სხვა მოყვანილობისა და ფერის ლობიოს რომელიღაც საერთო თვისების ზოგადი გამომხატველი უნდა იყოს. შ. კუმბურიძის ზეპირი ცნობით, რომლისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ, ზემო იმერეთში „ᲭᲠᲔᲚ ᲚᲝᲑᲘᲝ“-საც „ᲥᲝᲜᲐ ᲚᲝᲑᲘᲝ“ ეწოდება. ლ. დეკაპრელევიჩის ზემოდასახელებული გამოკვლევის მიხედვით-კი „ჭრელი ლობიო“ Ph. ellipt. ochraceus badio-variegatus-ს უდრის (იხ. აქვე გვ. 45).

[1] ასე ესმით ს. ჯვარიეწერში, რომელიც კაცხის თემში, ჭიათურის რაიონში მდებარეობს.

„ქონა“ მარტო ლობიოს დასახასიათებლად-კი არა, არამედ სხვა, მხალთა ჯგუფის, მცენარის სახელადაც იხმარება: დანდურს ანუ Portulaca oleracea L.-ს მაგ. „ქონა-ქონა“-ც ეწოდება. როგორც ჩანს აქაც ამ მხალის გარკვეული თვისების დამახასიათებელი სახელი უნდა გვქონდეს. ამ მცენარის არსებული მესამე სახელი „მსუქანა“ (იხ. რ. ერისთავის ლექსიკ. გვ. 14, § 205) ცხადჰყოფს, რომ „ქონა-ქონა“-ც სიმსუქნის თვისების გამომხატველი უნდა იყოს და, მაშასადამე „ქონა“ ამ მხალისათვის ხალხს ქონის მსგავსი თვისების გამო დაურქმევია.

ეხლა გამოსარკვევია, თუ ლობიოს სახელდობრ რომელი თვისების გამომხატველი უნდა იყოს ტერმინი „ქონა“? ცნობილია, რომ ცერცვნაირი მარცვლები სამ ჯგუფად იყოფებიან: ერთ ჯგუფის პარკს, რომლისათვისაც ფრანგებს სახელად აქვთ „haricots à parchemin ou à écosser“ შიგნით „ეტრატიანი“, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, ეტრატის მსგავსი კანი აბადიათ, რომელიც მაგრდება და გახევდება ხოლმე. ამის გამო მათი ნედლად ჭამა არ შეიძლება.

მეორე ჯგუფს ფრანგები „სანახევროდ ეტრატიანს“ „demi-parchemin“-ს უწოდებენ. მათი პარკის შიგნითი კანი უფრო გვიან მაგრდება.

დასასრულ, მესამე ჯგუფს პარკის შიგნითი კანი არც უხევდება და არც უმაგრდება. ამიტომ ფრანგები მას sans parchemin-ს, „უეტრატოს“ უწოდებენ. იგი სატაცურებრივ, ანუ შაქრიან ჯიშად არის მიჩნეული (ლ. დეკაპრელევიჩი 165).

საკმარისია გავიხსენოთ, რომ „წითელი ქონა ლობიო“ მოჰყავთ უმთავრესად, ვითარცა სატაცურებრივი, ანუ შაქრიანი ჯიში (იხ. იქვე 186) და „კახურა ქონა ლობიო“-ც ე. წ. „უეტრატო“ ლობიოთა ჯგუფს ეკუთვნის (იქვე 196), და მაშინ ადვილად დავრწმუნდებით, რომ „ქონა“ ქართველ ხალხსა და სოფლის მეურნეს ნაზი ე. წ. „უეტრატო“, ანუ „სატაცურებრივი“, თუ „შაქრიანი“ ჯიშის ლობიოთა აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად უქცევია. შ. ჰუმბურიძის ზეპირად გადმოცემული ცნობითაც „ქონა ლობიო“-ს ისეთ ლობიოებს უწოდებენ, რომელთა „პარკიანად ჭამა შეიძლება“.

ლ. დეკაპრელევიჩს მოეპოვება სახელი „უბეწო ბურული ლობიო“, რომელიც მისივე სიტყვით ბოტანიკურად Ph. spaer. gilvus vinoso-punctatus, ე. ი. მომწვანო წითელ-ღვინისფერად დაწინწკლული ლობიოს აღმნიშვნელია (იხ. აქვე გვ. 43). თუმცა ეს სახელი რ. ერისთავს თავის ლექსიკონში არ მოეპოვება, მაგრამ, როგორც გამოკითხვამ დამარწმუნა, ასეთი გამონათქვამი „უბეწო ლობიო“ მართლაც არსებობს.

თავის მხრივ რ. ერისთავს შეტანილი აქვს „ჩენჩა ლობიო“, რომელიც ლ. დეკაპრელევიჩს არ მოეპოვება. არც ერთი ამ ორი გამონათქვამთაგანის განმარტება ზემოაღნიშნულ ავტორებს არა აქვთ, ამიტომ ამის გამორკვევაა საჭირო.

„უბეწო ლობიო“-ს მნიშვნელობის გაგება ძნელი არ არის: მისი ნამდვილი მართლწერა, რასაკვირველია, „უბეწვო ლობიო“ უნდა იყოს. ასეთი სახელი იმ ლობიოს ეწოდება, რომელსაც „ბეწვი“ არა აქვს. ლობიოს ბეწვს კი ამ მცენარის მწვანე პარკის ორთავე მხარეზე მყოფს იმ ძაფის მაგვარ ქსოვილს უწოდებენ, რომელსაც, ვითარცა გახევებულ, მოუნელებელ ნაწილს, ამ პარკის თავისა და ბოლოს კიდურების მოტეხვისთანავე ჩამოაცლიან ხოლმე. ასეთი

„ბეწვი“ მხოლოდ რბილი, ნაზი პარკის მქონებელ ლობიოს არ გააჩნია და ამის გამო „უბეწო ლობიო“ იმავე დროს რბილ-პარკიანი, ნაზი ქსოვილის მქონებელი ლობიოს აღმნიშვნელია.

ლ. დეკაპრელევიჩის ცნობისდა მიუხედავად, ეს სახელი ლობიოს მარტო ერთი, ზემოაღნიშნული, სახეობის კუთვნილება არ უნდა იყოს, არამედ ზოგად ტერმინს წარმოადგენს.

„ᲩᲔᲜᲩᲐ ᲚᲝᲑᲘᲝ“-ს მნიშვნელობა რ. ერისთავს განმარტებული არა აქვს, ლ. დეკაპრელევიჩს ასეთი სახელი არც-კი მოეპოვება. რაკი „ᲩᲔᲜᲩᲝ“ ისევე, როგორც „ᲜᲐᲩᲔᲜᲩᲘ“, ს. ორბელიანის სამართლიანი განმარტებით „მარცუალთ შემონაძრომი კილი“-ა (ლექსიკ.), უფრო სწორედ რომ ითქვას-კი, მარცვლის გარეკანი და პარკის გახევებული ქსოვილია, ამიტომ ცხადია, რომ „ჩენჩა ლობიო“ ისეთი ჯიშის ლობიოების სახელი უნდა იყოს, რომელთაც ამგვარი თვისების პარკ-გარეკანი გააჩნიათ. შესაძლებელია ეს ქართული ტერმინი ფრანგულ harichts à parchemin-ს, ანუ ე. წ. „ეტრატიანს“ უდრიდეს.

§ 3. ლობიოს მარცვლის მორფოლოგიური თვისების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: ლაბაშა და ტკიპა ლობიო.

დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუ რას უნდა ნიშნავდეს „ᲚᲐᲑᲐᲨᲐ ᲚᲝᲑᲘᲝ“, რომელსაც, ან „თეთრი ლაბაშა ლობიო“ ეწოდება, ანდა მარტივად „თეთრი ლობიო“. ცხადია მხოლოდ, რომ „ლაბაშა“ შეუძლებელია ფერის აღმნიშვნელი იყოს. ლ. დეკაპრელევიჩის ცნობით, „თეთრი ლაბაშა ლობიო“ Ph. subcompressus albus-ს, ე. ი. თეთრ მოშეტკეცილო ლობიოს ეწოდება, რომელსაც შემჭიდროებული მოყვანილობა აქვს. ამიტომ იბადება აზრი, „ლაბაშა“ ხომ „ლავაშას“-ს დიალექტური ფორმა არ არის და ლობიოს სწორედ ამ შეტკეცილობის აღმნიშვნელი და, მაშასადამე, ლათინური compressus-ის, ანდა subcompressus-ის შესატყვისობას ხომ არ წარმოადგენს?

ყურადღების ღირსია ტერმინიც „ᲢᲙᲘᲞᲐ-ᲚᲝᲑᲘᲝ“, რომელიც რ. ერისთავის აზრით თითქოს უნდა იყოს Dolichos monachalis Brot., რომელიც Savi-ს ლობიოსაგან განსხვავებულ მცენარედ აქვს მიჩნეული (ლ. დეკაპრელევიჩის დასახ. ნაშ. 173).

ქართული ტერმინი-კი ამ მარცვლეულს ლობიოდ სთვლის, ამიტომ გამოსარკვევია, თუ რამდენად სწორე უნდა იყოს ქართველ ლექსიკოგრაფის ზემომოყვანილი ლათინური შესატყვისობა.

ასეთი სახელი მართლაც არსებობს, იმისდა მიუხედავად რომ ლ. დეკაპრელევიჩს თავისთხარც ერთ ნაშრომში შეტანილი არა აქვს. „ტკიპა ლობიო“ ლიხთიმერეთშიც მოიპოვება და ამერეთშიაც. იგი, შ. ქუმბურიძის გადმოცემით, პატარა, რგვალი შეტკეპილი მოყვანილობის, მუქი-ფერის მარცვლეულს წარმოადგენს. ს. ლამისყანის მცხოვრები სიდონია მაყიშვილის სიტყვით, ქართლში მას „ᲖᲔᲗᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲝ“-საც უწოდებენ ქარბი ცხიმოვანობის გამო.

„ᲢᲙᲘᲞᲐ ᲚᲝᲑᲘᲝ“-ს სახელი ამ მარცვლეულის ტკიპთან დამსგავსებით არის

წარმომდგარი, რათგან ამ მცენარის მარცვალი თავისი მოყვანილობით საქონლის კანის ამ პარაზიტს, ტკიპს მიაგავსო.

§ 4. ლობიოს შეფერადების დამახასიათებელი ტერმინები.

ლობიოს სხვადასხვა ჯიშ სახეობათა ნიშანდობლივ, საკუთარ სახელწოდებებში, როგორც რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა და ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს ა გ ა ნ შეგროვილი ცნობებითგან ჩანს, ლობიოს მარცვლის ფერის სახელიც არის ხოლმე ჩართული. ამიტომაცაა, რომ არსებობს ასეთი სახელები, როგორიცაა მაგ. „თეთრი გურული ლობიო“ და „თეთრი ლაბაშა ლობიო“,— „წითელი ლობიო“, „წითელი სიმინდის ლობიო“ და „წითელი ქონა ლობიო“, - „ყვითელი ლობიო“,— „ჩიტის კვერცხა გურული ლობიო“ 2 ჯიშ-სახეობის სახელია,— „კაჭკაჭა ლობიო“,— „შავი გურული ლობიო“ და „შროშანა ლობიო“.

უკანასკნელი სახელი მარტო რ. ე რ ი ს თ ა ვ ს მოეპოვება, მაგრამ მისი ბოტანიკური შესატყვისობის აღსანიშნავად ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს ცნობებში „შროშანა ლობიო“ არსადა ჩანს. ამიტომ გაუგებარია, თუ რა ფერის მარცვალი იგულისხმება? „შროშანა“ ზამბახის ძველი ქართული სახელია (იხ. ს ა ბ ა ს ლექსიკ.), ხოლო „შროშანი არს ყვავილი მრავალფერი და სუნნელიო“-ო (იქვე). ლუკას 12_{27}-ის მიხედვით უდრის ბერძნულს τὸ κρίνον ს, ლათინურს lilium-ს, ე. ი. იგივე ზამბახი, ანუ შროშანა გამოდის. რაკი შროშანას ძირითადი ფერი იასამნისაა, ამიტომ „შროშანა ლობიო“ ალბათ მოიასამნო ფერის მარცვლიანი ლობიო უნდა იყოს. ასეთი ლობიოს ჯიში არსებობს კიდევაც (იხ. ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს Сорта фасоли в Грузии, გვ. 167), მაგრამ თვით დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ს საქართველოში გავრცელებულ ლობიოს ჯიშ-სახეობათა შორის შროშანას ფერი, ან შროშანა-ლობიო დასახელებული არა აქვს.

ზემომოყვანილითგან ირკვევა, რომ მარცვლის შეფერადების დახასიათების დროს ქართველ მიწისმოქმედს 5 ძირითადი ფერის სახელი გამოუყენებია (თეთრი, წითელი, ყვითელი, შროშანა, ანუ იასამნისფერი და შავი). ორ შემთხვევაში შეფერადების დასახასიათებლად „კაჭკაჭა“ და „ჩიტის-კვერცხა“ გამონათქვამებია ნახმარი. „კაჭკაჭა“, როგორც დავრწმუნდით, თეთრს შავ-ლაქიანს მარცვლის შეფერადებას ჰგულისხმობს (იხ. აქვე გვ. 45), ხოლო „ჩიტის-კვერცხა“ ერთ შემთხვევაში (იხ. აქვე გვ. 43, № 4) წითლად დაწინწკლულ მუქ ყვითელ შეფერადებას უდრის, მეორე შემთხვევაში კიდევ წითლად დაწინწკლულ კაფის ფერად შეღებილობას წარმოადგენს (იხ. აქვე გვ. 45, № 14). რაკი ჩიტის კვერცხი მართლაც წითლად დაწინწკლული კაფისფერისა არის, ამიტომ სწორედ მარცვლის ასეთი შეფერადება უნდა იქმნეს „ჩიტის კვერცხა“-ს ძირითად მნიშვნელობად ცნობილი.

ამგვარად, ფერნარევი შეფერადების გამოსახატავად ფრინველთა საფეროთგან აღებული შედარებაა გამოყენებული.

§ 5. ლობიოს ჯიშების სადაურობის აღმნიშვნელი სახელები.

ლობიოს ჯიშ-სახეობათა და სახელების გასარჩევად და შესაქმნელად ხალხს თვითოეული მათგანის სადაურობის საკითხიც გაუთვალისწინებია და

გამოუყენებია. მაგ. ერთ მათგანს „ზღვისპირის ლობიო" ეწოდება. თვით რ. ერისთავი Ph. multiflorus Willd.-ის ქართულ შესატყვისობად „ზღვისპირის ლობიო"-ს სახელი მიაჩნია, ლ. დეკაპრელევიჩს-კი Ph. multiflorus Willd.-ის ქართულ სახელად აღნიშნული აქვს „ფირფლა" და „ბაქლა ლობიო" (Мат. по изуч. бобовых Грузии, გვ. 131). ზემოდასახელებულ მკვლევარს-კი თვით „ზღვისპირის ლობიო"-ს სახელის ხსენებაც-კი არსად უჩანს. საიდგან წარმოსდგა ეს „ზღვისპირის", ანუ „ზღვისპირული ლობიო"-ს სახელი, ამ ჟამად ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს ტერმინი, როგორც პირადი გამოკითხვის დროს დავრწმუნდი, ხალხში, მაგ. ქართლში, მართლაც არსებობს. ამ ტერმინის შინაარსი ამ ჯიშის სადაურობას ამჟღავნებს: უეჭველია, ამერეთში მაინც, იგი დასავლეთითგან, შავი ზღვის სანაპიროთგან უნდა იყოს მოსული. ამნაირად, აქ ერთი იმ სახელთაგანი გვაქვს, რომელშიც ლობიოს სადაურობა არის აღბეჭდილი.

საკმარისია ადამიანმა რ. ერისთავისა და ლ დეკაპრელევიჩის ლობიოს სახელების ზემომოყვანილი სიები გადაიკითხოს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად ხშირია ასეთი მოვლენა. არსებობს ლობიო: თეთრი გურული, შავი გურული, ჩიტისკვერცხა გურული, ცანაო გურული, უბეწო გურული და ჩიტისკვერცხა გურული მეორე ჯიშისა. აგრეთვე კახურა ქონა ლობიო და ბორჩალოსი. მაშასადამე, სულ ლობიოს 9 სახელია, რომელთა სადაურობაც თვით მათ სახელწოდებაშივეა აღნიშნული.

§ 6. ლობიოს სახელების ანალიზით მოპოვებული შედეგი.

ლობიოს ცალკეულ სახეობათა სახელებისა და ყველა არსებული ცნობების კრიტიკულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ცალკეულ სახელებად ხშირად ჯიშების ზოგადი სახელები ყოფილა შეცდომით მიჩნეული. გათვალისწინებული არ ყოფილა ლობიოს იმა-თუ-იმ სახეობის რთული სახელწოდების თვითოეული ნაწილის ნამდვილი მნიშვნელობა (ჯიშის, მოყვანილობის, ფერის, სადაურობის) და ამის გამო ლობიოს ქართული ხალხური კლასიფიკაციისა და ტერმინოლოგიის პრინციპი მკვლევართათვის სრულებით გაუგებარი დარჩენილა.

რაკი ეხლა ეს საკითხი უკვე საკმაოდ არის გამორკვეული, ლობიოს ქართული სახელების ზემომოყვანილი ანალიზი დაარწმუნებდა ადამიანს, რომ, უკვე მოპოვებული შედეგების გამო, ლობიოს ცალკეულ ნომენკლატურას ხელახალი შესწავლა სჭირდება: ყველა სახელები ადგილობრივ სხვადასხვა თემში უნდა იყოს ჩაწერილი, ჩანაწერის სადაურობის აღნიშვნით. ამის შემდგომ ზოგადი ტერმინებისა და ცალკეული სახელების განცალკევებითა და მერმე თვითეულ კერძო შემთხვევაში სათანადოდ გამოყენებით ამ დარგშიც გარკვეული, მტკიცე ტერმინოლოგიის შემუშავება ძნელი არ იქმნება.

თავი IX. ლობიოს სადაურობის პრობლემა ზოგადად საქართველოში.

§ 1. საკითხი ლობიოს სადაურობაზე ზოგადად.

ლობიოს სადაურობის შესახებ მეცნიერთა შორის თანხმობა არ სუფევს. **უმეტესი მათგანი ამ მარცვლეულს ამერიკულ მცენარედ სთვლის და ევროპასა და სხვა ქვეყნებში იგი იქითგან შეტანილად მიაჩნიათ.**

ამ აზრის მოწინააღმდეგეთა საუკეთესო წარმომადგენელნი, უპირველესად O. Comes, თავის გამოკვლევაში Del fagiulo comune (Phaseolus vulgaris L.), რომელიც 1909 წ. ნეაპოლში გამოქვეყნდა, იმ გარემოებას ემყარება, რომ ამერიკის აღმოჩენის მომდევნო უახლოესი ხანის იტალიელი მკვლევარი Mattioli 1544 წ. თავის ნაშრომში ლობიოს იტალიის ძველ მარცვლეულად აღიარებდა. მას აღნიშნული აქვს, რომ ლობიო მის დროსვე იტალიაში ყველგან გავრცელებული ყოფილა და როგორც მინდვრად, ისევე ბოსტნებშიც ბლომად სთესდენ. უკვე მაშინვე ლობიოს თეთრი, ყვითელი და ჭრელი ჯიშები არსებულა. ამასთანავე მას ნათქვამი აქვს: მე მგონია, რომ ლობიო ძველადაც ცნობილი მცენარე იყო და იტალიაში სრულებით ახალი შემოტანილი არ არის, როგორც ფიქრობენო.

თავისი დებულების დასამტკიცებლად Comes-ს არაბთა მწერლების ცნობებიც აქვს დამოწმებული, რომელთაც ესპანიაში მე-XII ს. გავრცელებული ლობიოს აღწერილობა მოეპოვებათ. ამაზე უფრო შორსაც მიდის იტალიელი მეცნიერი და Fiorelli-ს მიერ პომპეიში ქურქელში ნაპოვნი მარცვლეულიც ლობიოდ მიაჩნია. ამიტომ Comes-ი ლობიოს ამერიკულად-კი არა, არამედ სუბტროპიული აზიითგან შემოსულ მცენარედ სთვლის.

ამერიკელ მეცნიერ Tracy-ს გამორკვეული აქვს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლობიოს 185 ჯიშთაგან მხოლოდ 15 აღმოჩენილა ასეთი ჯიში, რომელთაც 80 წლის წინათაც სთესდენ, დანარჩენი ჯიშების უმეტესი ნაწილი თურმე ევროპითგან ყოფილა ამერიკაში შეტანილი. ამგვარად, ეს გარემოებაც იმ აზრს, რომ ლობიოც ამერიკული მარცვლეულია, საეჭვოდ ჰხდიდა.

ამ ეჭვს მეორე ამერიკელი მეცნიერის G. Freeman-ის ცნობაც აძლიერებს, რომლითგანაც ირკვევა, რომ ჩრდილოეთი ამერიკის სონორისა და ორიზონის შტატის ველური ინდოელი ტომები ლობიოს ყველა იმ 18 ჯიშს, რომელსაც ისინი სთესენ, „თეთრების ცერცვს“ უწოდებენ, ე. ი. თეთრკანიანების მარცვლეულობად მიაჩნიათ. მაგრამ ამას გარდა ამ ტომს მოჰყავს თურმე Phaseolus acutifolius Asa Gray var. latifolius, რომლისაც 52 ჯიში მოეპოვებათ. ინდოელებს სწორედ ეს მცენარე მიაჩნიათ „თავის“ ცერცვნაირ მარცვლეულად და ასევე ეძახიან ამ მცენარეს ეს ტომები. ამ გარემოების გამო Freeman-იც ფიქრობს, **რომ ლობიოს სამშობლოდ ჩრდილოეთი ამერიკა არ უნდა ყოფილიყო, არამედ რომ ეს მცენარე იქ სამხრეთი ამერიკითგან არის უკვე ევროპიელებისაგან შეტანილი.**

გერმანელ ბოტანიკოსს A. Engler-ს ლობიოს სადაურობის **საკითხი არქეოლოგიური ფაქტების გათვალისწინებით აქვს განხილული. არც უძველეს საფლავებში, არც დიროვან ნაშენობებში არსად ლობიო არ აღმოჩენილა. ამას-**

თანავე ხმელთაშუა ზღვის აუზის არეშიც ლობიოს ახლო მონათესავე ველური მცენარეც არსად მოიპოვება.

ხოლო W i t t m a c k-სა და K o e r n i c k e-ს გამორკვეული აქვთ, რომ კლასიკურ მწერლების თხზულებებში მოხსენებული Phaseolus-ი ლობიო-კი არა, არამედ Vigna sinesis, ანუ მცენარის ეხლანდელი, ხალხში მიღებული, სახელი რომ ვიხმაროთ, „ძაძა“ ყოფილა (Nachrichten aus dem Klub der Landwirte zu Berlin № 115, 20. Juli 1881 წ., გვ. 782 და Verhandl. d. naturhist. Ver. d. preuss. Rheinbandes u. Westfalens 1885, Korresp.—Blatt. გვ. 136). თუმცა ეს მცენარე ტროპიკული აფრიკის ადგილობრივ მცენარედ ითვლება, მაგრამ ე ნ გ ლ ე რ ი ფიქრობს, რომ, ტროპიკული აფრიკის სხვა ადგილობრივი მცენარეების მსგავსად, ძაძაც ეგვიპტეში ინდოეთიდგანაა გადასული. ამგვარად, ლობიო ევროპისა და აზიის ძველი ერებისათვის უცნობი მცენარე და მარცვლეული ყოფილა.

პირიქით, სამხრეთ ამერიკაში, პერუს ძველ სამარხავებში ანკონში ლიმას მახლობლად სხვა ნამდვილ ამერიკულ მარცვლეულობასთან ერთად ლობიოც მოიპოვება. ამასთანავე, რაკი სამხრეთ ამერიკაში სხვილი ლობიოს ყველა ჯიშები ადგილობრივი მცენარეებია, ამიტომ ე ნ გ ლ ე რ ი ფიქრობს, რომ ლობიო სამხრეთ-ამერიკული პარკოსანი მარცვლეულია და ამერიკის აღმოჩენის შემდგომ არის ევროპასა, აზიასა და სხვა ქვეყნებში გავრცელებული (ლობიოს სადაურობის შესახებ იხ. V. H e h n-ის Kpf. u. Ht. გვ. 218-219 და ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს Сорта фасоли (Phaseolus vulgaris S a v i), возделываемые в Грузии, ტფ. ბოტან. ბაღის მეცნ.-გამოკ. განყოფილებათა ნაწერები 1925 წ., ნაწ. IV, გვ. 155—158).

§ 2. ლობიოს სადაურობა საქართველოში.

საკუთრივ საქართველოს მეურნეობაში ლობიოს კულტურის გაჩენის საკითხს რომ შევეხოთ, ლობიოს არსებობა დანამდვილებით ჯერჯერობით მხოლოდ მე XVII ს. შუა წლებშია დადასტურებული, სამეგრელოსა და იმერეთში. მაგრამ სამეგრელოში ამ დროს ეს მარცვლეული ძალიან გავრცელებული ყოფილა, ამიტომ ცხადია, რომ ეს მცენარე ამაზე გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს საქართველოს ამ თემში გაჩენილი. იმ ხანის გამორკვევის დროს, როდესაც ლობიო ჩვენში პირველად უნდა გაჩენილიყო, უნდა იმ გარემოებასაც გაეწიოს ანგარიში, რომ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის 1578 წ. დავთარში ლობიოს ხსენება არ არის. ეს იმის მომასწავებელია მაინც, რომ ლობიო ამ დროს იქ, თუნდაც რომ ყოფილიყო უკვე გაჩენილი, მაინც სასოფლო მეურნეობაში ფართო ასპარეზი და მნიშვნელობა მოპოვებული არ ჰქონია. ამიტომ საფიქრებელია, რომ ლობიო საქართველოში დაახლოვებით მე-XVI ს. მეორე ნახევარს, ანდა დამლევში უნდა იყოს გაჩენილი.

მაგრამ საითგან? ამ საკითხის გამორკვევასა და გადაწყვეტას ორი გარემოება გვშველის: ამ მცენარის სახელის სადაურობა და გავრცელების თანდათანი გზა და მიმართულება.

საკმარისია ადამიანმა გადაიკითხოს ის ადგილი, სადაც ლობიოს ქართულ სახელებში ალბექდილ ამ მცენარის ჯიშ-სახეობათა სადაურობის ცნობებზე

გვქონდა საუბარი, იმის დასარწმუნებლად რომ 6 მათგანს გურული ლობიოს სახელი აქვს. თუ ამას „ზღვისპირულსა" და „სათარგმავ ლობიო"-საც მივუმატებთ, რომელთაგან უკანასკნელი წინდა გურული სახელიც-კია, მაშინ უეჭველი შეიქმნება, რომ ლობიო საქართველოში დასავლეთიდგან აღმოსავლეთისაკენ ვრცელდებოდა. აღმოს. საქართველოს მხოლოდ ორი თემის, კახეთისა და ბორჩალოს, სახელია ლობიოს სახელებში აღბეჭდილი. ეს გარემოებაც სრული სიცხადით ამტკიცებს, რომ ლობიოს კულტურის შემოტანა-გავრცელებაში მნიშვნელობა ლიხთიმერეთის უკიდურეს დასავლურ თემებს, უმთავრესად-კი გურიას, ჰქონია.

თუ ეს გარემოება გაოვალისწინებული გვექნება, მხოლოდ ამ მცენარის ქართული სახელი-ღაა გასახსენებელი, რომ საბოლოოდ გადაწყდეს საკითხიც, თუ რა გზით უნდა იყოს სამხრეთ ამერიკიდგან ევროპაში შეტანილი ეს მარცვლეული დასავ. საქართველოში შემოსული. უფრო ბუნებრივი იყო, რომ ეს მცენარე ზღვით იტალიიდგან შემოეტანათ, მაგრამ ამას ამ მარცვლეულის საქართველოში მიღებული სახელი არ ადასტურებს. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ლობიოს მაგიერ ფაჯიოლოს მსგავსი სახელი იქნებოდა ქართულშიც. ამასთანავე, იტალიასთან საქართველოს უშუალო კავშირი, ოსმალეთის წყალობით, არც ჰქონდა. ქართული სახელი „ლობიო" მართალია სპარსული „ლუბია"-ს უდგება, მაგრამ ეს მარცვლეული რომ სპარსეთიდგან ყოფილიყო საქართველოში შემოტანილი, მაშინ პირველად ამერეთში უნდა გაჩენილიყო და მის კულტურის ცენტრადაც ქართლ-კახეთი იქმნებოდა და არა გურია. როგორც დავრწმუნდით, პირიქით სწორედ შავი ზღვის სანაპირო ზოლი, განსაკუთრებით-კი გურია, ყოფილა ლობიოს კულტურის მეთაური და გამავრცელებელი. ეს გარემოება უნებლიეთ გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთიდგან საქართველოში ლობიო უნდა ოსმალეთის გზით იყოს შემოსული.

თავი X. მაშა-ცერცვი, მაშა-ლობიო.

§ 1. ცნობები მაშას შესახებ და მისი რაობა.

წყაროებში, ლექსიკონებს გარდა, ამ მარცვლეულის სახელი ჯერჯერობით პირველად „სააქიმო წიგნის" ხ ო ჯ ა - ყ ო ფ ი ლ ი ს მე-XIII ს. დამდეგის ქართულ თარგმანში (ხელთნ. გვ. 147, 157) გვხვდება. იქ ნათქვამია: ავადმყოფს ქერქშემოცლილი „მაშაი . ერგების"-ო. შემდეგ მოხსენებულია იგი მხოლოდ ვ ა ხ უ შ ტ ი ს მარცვლეულთა სიაში (იხ. აქვე გვ. 5).

„მაშა", ვითარცა ერთი ცერცვთაგანის სახელი, ს ა ბ ა ს ა ც შეუტანია თავის ლექსიკონში. მას ნათქვამი აქვს: „მაშა ცეცხლის ასაღებელი, გინა თოფისა, თურქთა ენაა, ქართულად ტკეცი ეწოდების, ხოლო მაშა ცერცუხა — ცეცქაჲ" ო. ამ უკანასკნელი სიტყვის განმარტებაში-კი სწერია: „ცეცქა ცერცვ, შინდოთ საჭმელი" არისო.

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „მაშა"-ს ზემომოყვანილი განმარტებითგან ისე გამოდის, რომ არც ცეცხლის ასაღებელი იარაღის აღმნიშვნელი „მაშა", არც „მაშა-ცერცვი" ქართული არ უნდა იყოს. მართალია, ცეცხლის ასაღები იარაღის

სახელი ქართული არ არის. მაგრამ თურქული-კი არა, სპარსული „მაშაჰ“-ა რომელსაც სპარსულადაც სწორედ ასეთივე მნიშვნელობა აქვს. არც ცერცვნაირის სახელია ქართული. ამ მარცვლეულის ქართულ სახელად საბას „ცეცქაჲ“ მიაჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სახელი სხვაგან არსადა ჩანს და გამოურკვეველია, თუ საითგან აქვს ეს ცნობა ამოღებული.

აღსანიშნავია, რომ ს. ორბელიანი ამ მარცვლეულს „მაშა-ცერცვს“ უწოდებს და არა “მაშა-ლობიოს“, ე. ი. ლობიოდ-კი არა, არამედ ცერცვად პიაჩნდა.

„მაში“ ფ. გორგიჯანიძესაც შეუტანია თავის პატარა ლექსიკონში და მის არაბულ შესატყვისობად „მჯ“, ხოლო სპარსულად „მაშ“-ი აქვს დასახელებული. არაბულად მართლაც „მაჯჯ“ იხმარება, სპარსულად-კი „მაშაჰ“ ე. ი. ისევე, როგორც ქართულშია. „მაშ“ ამ მცენარეს თურქულად ეწოდება. ცენკერის განმარტებით „მაშა“ მუქი მწვანე წვრილი, ცერცვზე მომცრო, ლობიოს სახელი ყოფილა (იხ. მისი არაბ.-სპარ.-თურქ. ლექსიკონი). ლ. დეკაპრელევიჩის სიტყვით, „მაშა-ლობიო“, ანუ „ჩი-ლობიო“ ბოტანიკურად Phaseolus aureus (Roxbg.) Piper-ს წარმოადგენს (იხ. Мат. по изуч. бобовых Грузии, გვ. 132).

რ. ერისთავს „მაშა-ლობიო“-ს დას. საქართველოში გავრცელებულ სახელად მოყვანილი აქვს „მამაკალია“ (ლექსიკ. გვ. 36, § 533).

§ 2. მაშას, ანუ ცეცქაჲს სადაურობა.

ს. ორბელიანის განმარტებითგან ჩანს, რომ „მაშა“, ანუ „ცეცქაჲ“ საქართველოში ჰინდოთა ცერცვნაირ მარცვლეულად ყოფილა ცნობილი. მართლაც ეს მცენარე ინდოეთშიც არის გავრცელებული. მაგრამ მისი კულტურა რომ საქართველოში უშუალოდ ინდოეთითგან არ შეიძლება შემოსული იყოს, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „მაშა“-ს ინდოეთში „mung“-ი ეწოდება (იხ. ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии გვ. 142). ამ სახელთან უნდა იყოს ამ ცერცვნაირის ფ. გორგიჯანიძისა და ცენკერისაგან მოყვანილი ზემოაღნიშნული არაბული სახელი.

მე XIII ს. პირველი ნახევრის არაბთა ბოტანიკოსს იბნ ბაჲტარ-ს (იხ. Cl. Huart, Littérature Arabe 1902 წ. Paris, გვ. 313) თუ დავუჯერებთ, „მაში“ ჲემენის ადგილობრივი მცენარე იყო თავდაპირველად და თითქოს იქითგან უნდა იყოს სხვა ქვეყნებში შეტანილი (იხ. Alf. von Kremer Culturgeschichte des Orients unter den Chalifen II. B., 323). მაგრამ შესაძლებელია არაბეთშიც ინდოეთითგან იყოს მიტანილი.

საქართველოში მიღებული ამ მარცვლეულის სახელი-კი სპარსეთითგან არის შეთვისებული. ამგვარად, თუ მაშა „ჰინდოთა საჭმელი“ იყო, ქართველებს იგი სპარსეთის გზით უნდა ჰქონოდათ გაცნობილი.

მაგრამ ამ მცენარეს ქართული სახელიც ჰქონია და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მისი საქართველოში პირველი გაჩენა შესაძლებელია მაშა-ცერცვის სახელის სპარსეთითგან შემოტანასთან არც იყოს დაკავშირებული. ამიტომ, თუმცა „მაშა“ ძველი შენაძენის შთაბეჭდილებას არ ახდენს, მაგრამ

ახალი, უფრო გარკვეული ცნობების აღმოჩენამდე, ცეცქაჲს, ანუ მაშას კულტურის საქართველოში გაჩენის ზედმიწევნითი დათარიღება შეუძლებელია.

ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ამ მარცვლეულის სახელის მართლწერა „ცეცქაჲ“ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს სახელწოდება „მაშა“-ზე საუკუნეებით უფრო ადრინდელი უნდა იყოს და ის სახეობაც, რომელიც წინათ ცეცქად იწოდებოდა, შედარებით ძველი ხანის შენაძენი უნდა ყოფილიყო. ხოლო რაკი მაშაი მე-XIII ს. დამდეგს უკვე ყოფილა, შესაძლებელია X-XII სს. იყოს საქართველოში შემოხული.

§ 3. ამ მარცვლეულის გავრცელების თანამედროვე არე და სახეობანი.

ეს მარცვლეული, ინდოეთის გარდა, შუა აზიაში, იაპონიაში და აფრიკაშიც არის გავრცელებული (ლ. დეკაპრელევიჩის დასახ. ნაშრ. 142).

საქართველოში „ცეცქაჲ“-ს, ანდა „მაშა-ცერცვი“-ს, ანუ „მაშა-ლობიო“-ს თესვა-მოყვანას ნაკლებ მისდევენ, მაგრამ მისი პატარა ნათესები ამ ჟამად იმიერსაცა და ამიერ საქართველოშიც გვხვდება (ლ. დეკაპრელევიჩის დასახ. ნაშრ. 132).

ამ მცენარის მარცვალი თავისი ფერითაც განსხვავდებოდა და არსებობს ყვითელი, მწვანე, დარიჩინის ფერი, მოშავო და ჭრელი ფერიანი მაშას ჯიშები. საქართველოში უმთავრესად შემდეგი ხუთი ჯიშის „მაშა“ Phaseolus aureus-ი მოიპოვება: 1. umbrinus nigrovariegatus დარიჩინისფერი შავად მარმარილოს მსგავსად შეფერადებული, - 2. melinus nigrovariegatus ქარვისფერი მარმარილოსნაირად შავად შეფერადებული, — 3. olivaceus ზეთისხილის ფერის მარცვლიანი, — 4. chlorinus ყვითელ-მომწვანო ფერისა და 5. Ochraceus მონარინჯისფერო (ლ. დეკაპრელევიჩის დასახ. ნაშრ. გვ. 144).

ႧႠႥႨ XI. ႡႠႩႪႠ, ႠႬႳ ႥႨႰႢႪႠ.

§ 1. ბაკლას, ანუ ვირგლას რაობა.

„ႥႨႰႢႪႠ“ არც ლექსიკონებშია და არც საბას, ფ. გორგიჯანიძეს და ვახუშტს მოეპოვებათ. ხალხი ამ სიტყვას ადამიანის საძაგო სიტყვადაც ხმარობს.

„ႡႠႩႨႪႠႨ“-კი და „ႡႠႩႪႠ“ „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის მე-XIII ს. დამდეგის ქართ. თარგმანშია ნახმარი (ხელთნ. გვ. 122, 124 და 136).

ლ. დეკაპრელევიჩს „ႡႠႩႪႠ ႪႭႡႨႭ“, ანუ „ႥႨႰႢႪႠ“, Phaseolus multiflorus Willd. ქართულ სახელად აქვს აღნიშნული, მაგრამ ს. ორბელიანის სიტყვით „ბაკლა, ბოკელი (ბალ.) სომხურია, ქართულად ႩႬႣႳႰႨ ჰქვიან“-ო (ლექსიკ.). ხოლო, თუ ფ. გორგიჯანიძეს დაეუჯერებთ, „ႡႠႷႪႠ“ სპარსული სახელია „მსხვილი ႺႤႰႺႥႨ“-ს აღსანიშნავად (იხ. აქვე გვ. 5) მართლაც ეს სიტყვა არაბულითგან სპარსულშია შეთვისებული — და „ბაკლამ“ (რომლის მრ. რ. „ბუკულ“=საბას „ბოკელ“-ს) ცერცვნაირ მცენარეხა

ჰნიშნავს საზოგადოდ. ხოლო „ბაკილა“, „ბაკლა“ ცერცვსა ჰნიშნავს, „ბაჯი ბაკლაჲ“ (ე. ი. ცხარე ბაკლა) კიდევ Lupinus-ის, ანუ ქართული „ხანჯკოლა“-ს შესატყვისი ტერმინია (იხ. ც ე ნ კ ე რ ი ს არაბ.-სპარს.-თურქ. ლექსიკონი).

მაშასადამე, „ბაკლა“ სომხური-კი არა, არაბულ-სპარსული ყოფილა და სპარსეთში მას მსხვილი ცერცვის მნიშვნელობა ჰქონია. იქითგან ეს სიტყვა საქართველოშიც შემოსულა. „სააქიმო წიგნში“ მოთავსებული ცნობითგან ჩანს, რომ მე-XII ს. დამლევში იგი უკვე შეთვისებული ჰქონიათ ქართველებს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს არაბული სახელი არაბთა ბატონობაში უნდა ყოფილიყო ჩვენში შემოსული[1].

§ 2. ბაკლას გავრცელების არე და სახეობანი.

ერთი გარემოებაა უცნაური: ს ა ბ ა ს ბაკლა კნდურად მიუჩნევია, რაც მართალი არ არის, ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე-კი „მსხვილ ცერცვად“ სთვლიდა, რასაც ამ სიტყვის სპარსული მნიშვნელობაც ადასტურებს. მაშასადამე, ს ა ბ ა ს „ბაკლა“ ს ნამდვილი მნიშვნელობა არ სცოდნია. დროთა განმავლობაში ბაკლას მნიშვნელობაც გამოსცვლია და ბაკლა ლობიოდ ქცეულა. ეს გარემოება, ალბათ, იმის მომასწავებელია, რომ „ბაკლა“ მაშინ საქართველოსთვის იშვიათი და უცხო მარცვლეული იყო. ამერიკული პარკოსანის სახელად ქცეული (იხ. ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს Мат. по изуч. бобовых Грузии, 139), ეს მარცვლეული საქართველოში მე-XVII ს. დამდეგზე უწინარეს არც უნდა იყოს შემოსული და ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს დროს ვერც იქმნებოდა ფართოდ გავრცელებული. ეხლაც ქართველი მიწისმოქმედი ცერცვად კი არა, არამედ ლობიოდ სთვლის, მაგრამ იგი ეხლაც იშვიათია ჩვენში.

Phaseolus multiflorus W i l l d. ანუ „ბაკლა ლობიო“ ამჟამად თუმცა მთელ საქართველოში მოჰყავთ, მაგრამ ცოტა: უმთავრესად ბაღ-ბოსტნებში სთესენ, მისი გავრცელების უმაღლესი საზღვარი ჩვეულებრივ ლობიოსას უდგება.

საქართველოში ეხლა ბაკლას ორი სახეობა გვხვდება: თეთრ-ყვავილ მარცვლიანი, Ph. multiflorus albus Martens და წითელ-ყვავილიანი, მაგრამ ჭრელ-მარცვლიანი Ph. multiflorus coccineus L a m., რომელთაგან უკანასკნელი სახეობა საქართველოში უფრო გავრცელებულია.

ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ს სიტყვით თავისი ღირსებით ბაკლა ჩვეულებრივ ლობიოს საგრძნობლად ჩამოუვარდება (Мат. по изуч. бобовых Грузии, 131—132).

მისი მეორე სახელი „ვირგლა“ ჰმოწმობს, რომ ქართველი მიწისმოქმედიც მას მაინცდამაინც დიდად არ აფასებს, ტლანქად მიაჩნია. ალბათ ამ გარემოებით აიხსნება, რომ მას საქართველოში ასე ნაკლებად ეტანებიან.

---

[1] მ. თ უ მ ა ნ ი ა ნ ს სომხურად *բակլա* ბაკლა Vicia Faba L.-ის შესატყვისად აქვს აღნიშნული და მისი სიტყვით მისი მცირენოდენი ნათესები მხოლოდ ლორეშია (კულტ. მცენა ეთა აღწერილი ზოლები სომხეთში, სომხურად იხ. სომხ. სახ. უნივერ. 1929 წ. მოამბის № 5 გვ. 99). Faba ს ძველი სომხ. სახელი, როგორც დავრწმუნდით, *ոլոռն* „ოლორნ“-ი იყო და არა ბაკლა.

თავი XII. უგრეხელი.

§ 1. ცნობების სიმცირე უგრეხელზე და მისი რაობა.

„უგრეხელი“ ს. ორბელიანის სიტყვით „ძვიძნა“-სა და „ძგძნა“-ს სახელითაც ყოფილა ცნობილი ძველადაც (იხ. ლექსიკ). და ეხლაც ჯავახეთში ასევე იწოდება (იხ. გ. აბესაძე უგრეხელის—Ervium-Ervilia L. შესასწავლად საქართველოში“: ტფ. ბოტან. ბაღ. მეცნ.-გამოყ. განყ. ნაწყრები VI, 53). ამ მცენარეს ვახუშტიც ასახელებს (იხ. აქვე გვ. 5) და უგრეხელის საქართველოში ძველად არსებობაზე ამის გარდა, ჯერჯერობით მაინც, სხვა არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

რ. ერისთავს უგრეხელი Vicia Tourn.-ად მიაჩნდა (იხ. 56, § 794), ლ. დეკაპრელევიჩი Ervum Ervilia L.-დ სთვლის (Мат. по изуч. бобовых Грузии, 137).

§ 2. უგრეხელის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში და სხვაგან.

ამჟამად უგრეხელი თითქმის განსაკუთრებით აღმ. საქართველოში მოჰყავთ, სახელდობრ: ჯავახეთში, სამცხეში, ქართლში, ქსნისა და არაგვის ხეობასა და ქიზიყში. დასავლეთ საქართველოში, რაჭას გარდა, არსად უგრეხელს არ თესენ. რაჭაშიც, ავტ. გ. ცაგარელის ცნობით, ახალი შეტანილი ჩანს (იხ. გ. აბესაძე „უგრეხელი“. გვ. 54).

უგრეხელის კულტურის თანამედროვე ცენტრად შიდა ქართლი უნდა ჩაითვალოს, რათგან უგრეხელის ნათესების $^3/_4$ სწორედ აქ მოიპოვება (იხ. გ. აბესაძის „უგრეხელი“. გვ. 54—55). აღსანიშნავია, რომ უგრეხელი არ ყოფილა ბორჩალოს, ტფილისის, თელავის, სიღნაღისა (?), ლეჩხუმისა, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში იმგვარადვე, როგორც აფხაზეთშიც (იქვე 56.)

თუმცა უგრეხელი ორგვარი არსებობს,—კულტურული და სარეველი (gr. culta m.) და გარეული, ანუ ველური (gr. spontanea m.), მაგრამ პირველთ შორის არსებითი განსხვავება არ მოიპოვება. ამიტომ, ან კულტურული უგრეხელი სარეველასაგან უნდა იყოს წარმომდგარი, ან ორივეს საერთო წინაპარი უნდა ჰყოლოდათ (გ. აბესაძე „უგრეხელი“ 61).

პირიქით ველური უგრეხელი კულტურული და სარეველი უგრეხელისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. გარეული უგრეხელი საქართველოს ფარგლებში ბევრგან არის ტფილისის მიდამოებში მთის ფერდობებსა და კლდეებზე იმგვარადვე, როგორც მცხეთის მიდამოებსა და ბორჯომის ხეობაში. ხოლო საქართველოს მეზობლად გოქჩისა და ლენქორანის სანახებში. კავკასიის გარეშე უგრეხელი მცირე აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, სპარსეთში, ავღანისტანში და თურქისტანშიც მოიპოვება (გ. აბესაძე „უგრეხელი“ 61).

§ 3. უგრეხელის გავრცელების არე ძველად.

Vicia Ervillia L. Willd., უგრეხელი უძველესი დროითგან იყო გავრცელებული. ბერძნები ამ მცენარეს ძველადაც ὄροβος, „ორობოს“-ს უწოდებდენ და

თანამედროვე საბერძნეთში, სადაც მას საქონლის საკვებად ხმარობენ, „ოროვი“, ან „როვი“, ანდა „როვიდია“ ეწოდება. შ ლ ი მ ა ნ მ ა მისი მარცვლები ტროას განათხარში აღმოაჩინა და ვ ი ტ ტ მ ა კ-მ ა მისი ბოტანიკური რაობა გამოარკვია. ეს მარცვლეული ერთს ნეოლითის ხანის განათხარში ფრიგიაშიაცაა ნაპოვნი, ხოლო P a x-მა ჰერმანშტადტთან ამოთხრილ ერთს რომაელების ხანის თიხის ქურქელშიც მონახა. ძველად ეს მარცვლეული, როგორც ჩანს, მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთს სანახებში უნდა ყოფილიყო ადგილობრივ მცენარედ (A. E n g l e r იხ. Hehn-ის Kpf. u. Ht. 220—221).

§ 4. უგრეხელის ღირსება და ნაკლი.

უგრეხელის საქებურ თვისებას მისი მარცვლის სინოყივრე, მცენარის გვალვისადმი დიდი გამძლეობა და, მის ფესვებზე არსებულ კოჟრებში აზოტის შემთვისებელი ბაქტერიების წყალობით, ნიადაგის აზოტით განოყიერების უნარიანობა შეადგენს (გ. ა ბ ე ს ა ძ ე „უგრეხელი“ გვ. 58). მაგრამ ამ მარცვლეულს ის დიდი ნაკლიც აქვს, რომ მისი მონელება საქონლისათვისაც-კი ძნელია. ზოგს პირუტყვზე, მაგ. ღორებზე საწამლავის მსგავსად მოქმედებს. ამიტომ ქართველი მიწისმოქმედი ამ მარცვლეულს საქონლის საკვებად დიდი სიფრთხილით ხმარობს და უმთავრესად კამეჩებს და ნაწილობრივ აგრეთვე სხვა სხვილფეხა რქოსან საქონელსაც აჭმევს. კამეჩებსაც კი, რომელიც უგრეხელს შედარებით კარგად ინელებს, 4 გირვანქა დაროშილ ამ მარცვლეულზე მეტს არ აძლევენ ხოლმე (გ. ა ბ ე ს ა ძ ე „უგრეხელი“ გვ. 57–58). ამით აიხსნება, რომ უგრეხელის მოყვანას საქართველოში ასე ნაკლებად მისდევენ.

§ უგრეხელის კულტურის ხნიერება საქართველოში.

ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი ფიქრობს, რომ უგრეხელი საქართველოსა და ამიერკავკასიის უძველეს ადგილობრივ მცენარეულობასა და მარცვლეულს უნდა წარმოადგენდეს და გ. ა ბ ე ს ა ძ ე ც, როგორც ეტყობა, ამავე აზრს ემხრობა (იხ. Мат. по изуч. бобовых Грузии, გვ. 137 და „უგრეხელი“ გვ. 52—53). მაგრამ არავითარი ამის დამაჯერებელი საბუთი მათ დასახელებული არა აქვთ და არც არსებობს, იმის გარდა, რომ აღმ. საქართველოს ზოგიერთ თემში, მაგ. ჯავახეთსა და ტფილისის მიდამოებში ველური უგრეხელი მოიპოვება.

უგრეხელის ძველ კულტურად მიჩნევა საქართველოში იმიტომ არის ძნელი, რომ ეს მცენარე დას. საქართველოში სრულებით გავრცელებული არ ყოფილა და აღმოს. საქართველოშიც ძალიან ნაკლებ არის გავრცელებული. ამაზე უფრო დამაფიქრებელი ერთი მხრით ის გარემოებაა, რომ სწორედ იქ, სადაც ეს მცენარე ველურად იზრდება, მაგ. ტფილისის მიდამოებში, უგრეხელს სრულებით არ სთესენ, მეორე მხრით, რომ ქართ. მეურნე იქაც, სადაც ეს მარცვლეული მოჰყავთ, დიდი სიფრთხილით ხმარობს საქონლის საკვებად. უგრეხელისადმი ამგვარი განწყობილების გამო, დაუჯერებელია, რომ ამ მცენარეს საქართველოში ოდესმე ფართო ასპარეზი ჰქონოდა დათმობილი.

სახელიც ამ მარცვლეულს უცნაური აქვს: „უგრეხელი“ ისე მიაგავს ქართ. სიტყვას, მაგრამ იმავე დროს ისეთი უაზრო გამოდის ეს სახელწოდება. „უგრე-

ზელი“ ამ მცენარისათვის, რომ უნებლიეთ იბადება ეჭვი,—აქ ხომ დამახინჯებულ-გაქართულებულ უცხო სიტყვასთან არა გვაქვს საქმე, რომელიც ხალხისათვის გაუგებარი იყო და ამიტომ მისი გააზრიანებისათვის აგებულებით ქართულს დაამსგავსეს.

თავი XIII. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის ზოგადი საკითხები ძველ საქართველოში.

§ 1. უძველეს პარკოსან მარცვლეულთა სახელების ანალიზის აუცილებლობა მეურნეობის ამ დარგის გასაშუქებლად.

პარკოსან მარცვლეულთა ცალკეულმა განხილვამ საშუალება მოგვცა გამოგვერკვია თვითოეული მათგანის ბოტანიკური რაობა, გაგვეთვალისწინებინა ყველა არსებული ცნობები და მათი გავრცელების ინტენსივობა ძველად ისევე, როგორც თანამედროვე არე, მათი პირვანდელი სამშობლო და სადაურობა.

უკანასკნელი საკითხის გამორკვევას თვითოეული ამ მარცვლეულთაგანისათვის საქართველოში ოდესმე მიღებული სახელის წარმოშობილობის გათვალისწინება გვშველიდა. მაგრამ ზოგიერთი მარცვლეულის სახელის ანალიზის ცალკეულ განხილვაში მოქცევა სირთულის გამო შეუძლებელი იყო. ამის წყალობით გამოურკვეველი დაგვრჩა ამ პარკოსანთა ყველაზე უფრო ძველი და თანაც ისეთ უმნიშვნელოვანეს მარცვლეულთა სახელები, როგორიცაა ცერცვ, ოსპი და კნდური. არაფერია ნათქვამი ხანჭკოლასა, ანუ ხანჯკოლასა და სვანურ ღედერზე ისევე, როგორც ჩეგრულ-ჭანურ ხაჯზეც.

ეს საკითხები განზრახ ამ უკანასკნელი თავისათვის გვქონდა გადადებული, რადგან მათი ანალიზი არსებითად ამ მარცვლეულის კულტურის დასაწყის ხანის პრობლემასთან არის ძველ საქართველოში დაკავშირებული. ამიტომ, სანამ ამ ზოგად საკითხებზე საუბარს შევუდგებოდეთ, ჯერ ზემოდასახელებული სახელების აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის გამორკვევა უნდა ვცადოთ.

§ 2. ცერცვსა და „როგვ“-ის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა.

ქართული სახელი „ცერცვ“ ამავე მარცვლეულის სხვა ენებში არსებულ სახელებისაგან, ბერძნ. „კვამის“-ისა, ლათინ. faba-სა, სომხ. „ოლორნ[1]“-სა და ებრაულ-არაბულ „ფულ“-ისაგან სრულებით განსხვავდება. სამაგიეროდ კნდურის, და ბარდას ლათინურ სახელის cicer-ის მერმინდელ გამოთქმას მიაგავს. მაგრამ მათ დაკავშირებას ამ ლათინური სიტყვის ძველი გამოთქმა აძნელებს: მე-VI საუკუნემდე „c“ „კ“-დ გამოითქმოდა და მხოლოდ შემდეგ იგი „ც“ ბგე-

[1] მ. თუმანიანს Vicia Faba-ს, ცერცვის, სომხურ სახელად *բակլա* „ბაკლა“ აქვს აღნიშნული, *ոլոռ* „ოლორ“-ი-კი Pisum sativum-ის, ანუ ბარდას სახელად არის მოყვანილი (იხ. *Մ. Թումանյան Գյուղական բույսերի բարբառային անունները Հայաստանում* სოხბ. უნივერ. მოამბე 1925 წ. № 5, გვ. 99), მაგრამ ძველად ისე იყო, როგორც ჩვენ გვაქვს მოყვანილი.

რად იქცა. „ცერცვ“-კი დაბადების ქართ. თარგმანშია ნახმარი, ვითარცა ამ მარცვლეულის ჩვეულებრივი სახელი.

რაკი ქართულში ორივე ბგერა, „კ“-ცა და „ც“-ც არსებობდა, ამ მარცვლეულის სახელი რომ ლათინურითგან ყოფილიყო ნასესხები, „კიკერ“-ი გვექმნებოდა, ანდა, უკანასკნელ თანხმოვანთა ადგილმონაცვლებაც რომ წარმოვიდგინოთ, „კირეკ“-ი უნდა გვქონოდა, „ცერცვ“-ს მაგიერ. გერმანელებსაც ეს სიტყვა ძველად kekers-ის სახით შეუთვისებიათ (ძველ პროისულად licut·kekers და kekers Erbsen-ის მნიშვნელობით). ძველ ზემო-გერმანულში (ahd)—chichira-დ. ძველ ბერძნულშიც მის ფონეტიკურ შესატყვისობად ბარდას აღმნიშვნელი κριός „კრიოს“-ი ითვლება, რომელიც „კეკრიოს“ ისაგან წარმომდგარად მიაჩნიათ. ინდოევროპეისტ ენათმეცნიერთა აზრით „კიკერ“-ი გაორკეცებულ ძირს წარმოადგენს, მკვრივი სხეულის გამომხატველს (იხ. V. Hehn-ის Kpf. u. Ht. 217—218, შეად. იქვე O. Schrader-ის აზრს გვ. 221—2 და Al. Walde-ს Lateinisches Etymologisches Wörterbuch 2 Aufl.).

ამასთანავე „ცერცვს“ ქართულში კიდევ ერთი სხვა მცენარის გასაოცრად მიმსგავსებული სახელიც მოეპოვება, რომელსაც უნდა სათანადო ყურადღება მიექცეს.

„ცერცვის“ ეტიმოლოგიის ძიების დროს უნდა სწორედ ის გარემოებაც გვქონდეს გათვალისწინებული, რომ ძველად არსებობდა ერთი მარცვლეული მცენარის სახელი, რომელიც ცერცვნაირ მცენარეთა ჯგუფს არც-კი ეკუთვნის, არამედ ქოლგოსანთა Umbelliferae ოჯახის წევრია. მათეს 23_{23}-ში ბერძნული τὸ ἄνηθον-ის, ლათინ. anethum-ისა და სომხ. սամիթ-ის[1], ე. ი. ანისულის შესატყვისად ქართულად ნახმარია „ႺႤႰႤႺႭჃ“. ასისტენტების ვალ. სუპატაშვილისა, ვ. მენაბდისა და გ. აბესაძის სიტყვიერი ცნობით, რომლისათვისაც ყველას დიდად ვმადლობ, ეს ტერმინი დასავლეთ საქართველოში, მაგ. იმერეთსა და რაჭაში, ეხლაც იმავე ძველი მნიშვნელობით, ანისულის სახელად იხმარება.

ეს სახელი რომ წიგნობრული და შეთხზული არ არის, არამედ ანისულის ნამდვილი საერთო ქართული ძველი სახელწოდება უნდა იყოს, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ იგი ფონეტიკურად ოდნავ სახეშეცვლილი აქამომდე აქვს მეგრულს დაცული, რომელსაც ანისულის აღსანიშნავად ეხლაც „ႺႭჃႰႭჃႺႤ“ (მ. გ) მოეპოვება. ქსენია ცხაკაია-აბესაძის ცნობით, ამ ფორმას გარდა „ႺႤႰႭჃႺႨ“-ც არსებობს[1].

რა საერთო თვისება შეიძლება ჰქონდეს ცერცვსა და ანისულის აღმნიშვნელს „ცერეცო“-ს, რომ ქართველმა მიწისმოქმედმა მას მსგავსი სახელები დაარქვა, რის აღმნიშვნელი უნდა იყოს ორივე სახელი? საერთო მათ არც მოყვანილობის მხრივ, არც ფერით, არა აქვთ რა იმას გარდა, რომ ერთიცა და მეორეც მცენარის თესლსა და მარცვალს წარმოადგენენ. ეს გარემოება ამ სიტყვების ეტიმოლოგიის ძიების დროს მკვლევარს უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს.

---

[1] მ. თუმანიანი սամիթ Anethum graveolens L.-დ და რუს. укроп-ად აქვს ნათარგმნი (იხ. კულტ. მცენ. ასწერილი ზოლები სომხეთში, სომხურად, გვ. 103). მათეს 23_{23}-ითგან-კი ჩანს, რომ სომხური սամիթ ანისულს, анис-ს უდრის.

[1] ამ ცნობების გადმოცემისათვის ასისტ. ქ. აბესაძეს დიდად ვმადლობ.

„ცერცვის“ დიალექტური ლექსიკური სახელები ქართულ სამწერლობო ენაში ამ გაბატონებულ სიტყვას სრულებით არ უდგება, გარეკნულად მაინც-სრულებით სხვა ძირისა უნდა იყოს მეგრულსა და ჭანურში ამ მარცვლეულთათვის განკუთვნილი სახელი.

ცერცვს მეგრულად „ხაჯი“ ეწოდება (ი. ყიფშიძის მ. გ. და რ. ერისთავის ლექსიკ. გვ. 73, § 1016). ჭანურად-კი „ხაჯი“, პროფ. ნ. მარრის ცნობით, თითქოს ლობიოს უნდა ჰნიშნავდეს, მაგრამ პროფ. იოს. ყიფშიძეს ადგილობრივ ჭანეთში შემოწმების დროს ნ. მარრის ლექსიკონში ამ სიტყვის გასწვრივ მარცხენა კიდეზე ფანქრით მიუწერია „ცერცვი“-ო. მაშასადამე, ჭანურშიც ამ სიტყვას მეგრულის მსგავსი მნიშვნელობა ჰქონია.

სვანურად ცერცვის აღსანიშნავად დოც. ვარლ. თოფურიას ცნობით, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, ჰხმარობენ „როგუ“-ს. ივ. ნიჟარაძეს-კი თავის რუს.-სვან. ლექსიკონში რუსული боб-ის შესატყვისობად „ლობიღ“ და „ლედერ“-ი უწერია, ხოლო რუს. горох-ს, ე. ი. კნდურს, ანუ ბარდას სვანურად „ლედერ“-ად და „როგჳ“-ად სთარგმნის.

ისე გამოდის, თითქოს სვანურში ცერცვსა და ბარდას ერთი-და-იგივე სახელი „ლედერ“-ი ჰქონდეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ სვანი მიწისმოქმედი ცერცვსა და ბარდას ერთმანეთისაგან ვერ არჩევდეს. ნ. კეცხოველს Pisum sativum L.-ს. ქართ. ბარდას, შესატვისად სვანურად „ლედერი“-ი აქვს აღნიშნული (იხ. მასალები კულტ. მცენ. ზონალ., გვ. 61), ხოლო faba-ს, ცერცვის სვანურ სახელად უწერია „როგჳ“ (იქვე 62). უეჭველია ნ. კეცხოველის ცნობები სწორეა, ივ. ნიჟარაძე-კი სცდება.

რაკი მეგრულ-ჭანურ „ხაჯ“-ს „ცერცვ“-თან ფონეტიკურად საერთო არაფერი აქვს და, უეჭველია, სხვა ძირის სიტყვა უნდა იყოს, ამიტომ მას „ცერცვ“-ს ეტიმოლოგიის გამორკვევის დროს უნდა თავი დავანებოთ: „ხაჯი“-ს ეტიმოლოგია ცალკე უნდა იყოს განხილული.

ამგვარად, გვაქვს მთელი მწკრივი: „ცერცვ“, „ცერეცოჲ“, „ცეროცე“, „ცოროცე“ და „როგჳ“.

ცერცვის სვანური სახელის „როგჳ“-ის ცერცვთან ფონეტიკურად დაკავშირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ სვანურ სახელს თავკიდური მარცვალი „ცე“, თუ მისი სხვა ფონეტიკური შესატყვისობა, დროთა განმავლობაში ჩამოცილებული აქვს და მის პირველად სრულ ფორმად „ცეროცვ“-ს ვიგულისხმებთ.

ქართულსა და ქართველურ დიალექტებში „ც“-ს „კ“ და „ქ“ ბგერით შენაცვლება იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს. მაგ.: „ცრემლი“ სვანურადაა „ქიმ“ (← ქრიმ-(ლ)ისგან), „ფურცელი“ ჭანურადაა „ფურკი“, ანდა „ფურქი“. „კურკლი“-ს პარალელურ ფორმად „ცურცლი“-ც არსებობს,—„ბოკვერ“-ს იმერ. კილოში = „ბოცორი“ და სხ.

ამის გამო ზემოაღნიშნული ფონეტიკურ შენაცვლებისა და შესატყვისობის ძალით სვან. „როგჳ“ შესაძლებელია „როცვ“-ს ბგერით ეკვივალენტად ჩავთვალოთ.

ხოლო, თუ ცერცვის სვანური სახელი ზემოდასახელებული გზით „ცეროცვ“-საგან არ არის წარმომდგარი, მაშინ შესაძლებელია „როგჳ“ დაკავშირებული იყოს „რეგუა“ სახელზმნის მეგრულში დაცული „რაგვა-ფა“-სთან, სახელ-

დობრ, მის ო-ხმოვნიან ფორმა „როგვა“-სთან. ამ ძირს ყრის, მიმოყრის და მიმობნევის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ძირისაგან არა ერთი ტერმინი და სიტყვაა ნაწარმოები და „როგვ“ ძველი მიმღეობის ნაშთი იქმნებოდა, რომელსაც ამონაყრის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. აქ ჩვენ ისეთსავე მოვლენასთან გვექნებოდა საქმე, როგორც „ნაყრ“-შია. „ამონაყარი“-საგან წარმომდგარი „ნაყრი“ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით თითქოს მხოლოდ „ხუარბალთ და ცერცუთ ჩასახვა“-ს, ანუ გამობუტკვას, გამობმას ჰნიშნავს (ლექსიკ.), ნამდვილად კი უფრო ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარება და მცენარის ამონახეთქა, ნორჩ ამონაყარსაც ეწოდება. „როგუ“-ც შესაძლებელია ასეთი მნიშვნელობის სიტყვა იყოს და ს ა ბ ა ს თქმისა არ იყოს ნაყრის მსგავსად, თავდაპირველად „ცერცუთ ჩასახვის“, ანუ ამონაყარის აზრის მქონებელი ყოფილიყო.

ეხლა „ცერცვ“-სა და „ცერეცო“-ს, „ცეროცე“-სა და „ცოროცე“-ს ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევაა საჭირო. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ცერცვისა და ანისულის სახელების იგივეობა მხოლოდ იმ მსგავსებაზე უნდა იყოს დამყარებული, რომ ერთიცა და მეორეც მცენარის თესლსა და მარცვალს წარმოადგენდა. ამის გამო იბადება საკითხი, „ცერცვ“, „ცერეცოა“ და „ცოროცე“ თავდაპირველად მართლაც თესლს, ანდა მარცვალს ხომ არ ჰნიშნავდა?

„თესლს“ ფონეტიკურად ცერცვთან, რასაკვირველია, საერთო არაფერი აქვს, მაგრამ თვით „მარცვალი“-ა ამ მხრივ საყურადღებო. „მარცვალ“-ში „მა“ თავსართოვანი ფორმანტია, „ალ“ კიდევ ბოლოსართია. ამგვარად, ამ სიტყვის ძირს „რცვ“ კომპლექსი წარმოადგენს. მრავალი მსგავსი მაგალითისდა მიხედვით, „რცვ“ ძირსაც ხმოვანი, უეჭველია, დაკარგული უნდა ჰქონდეს.

თუ ადამიანი „ცერცვსა“ და „ცერეცოს“ „მარცვალს“ შეადარებს, ადვილად შეამჩნევს, რომ მათ ერთნაირი ბგერითი კომპლექსის შემცველელი საერთო ნაწილი აქვთ: „მა-რცვ-ალი“-ს ძირი, „რცვ“, მეორე სიტყვის, „ცერცვ“-ს, „რცვ“ კომპლექსის სრულ იგივეობას წარმოადგენს. რაკი ამ ორი სიტყვის მნიშვნელობაც, როგორც ნათქვამი გვქონდა, ერთიმეორისას მიაგავს, ამიტომ ბუნებრივად იბადება საკითხი, „ცერცვ“-ს თავკიდური მარცვალი „ცე“ ისევე ფორმანტი ხომ არ არის, როგორც „მარცვალ“-ში „მა“ ფორმანტია?

ეს კითხვა უმალ დამაჯერებელ მოსაზრებად გვეჩვენება, თუ ერთსაც მაინც, ცერცვს მსგავსსავე თავკიდური მარცვლის მქონებელ სიტყვას გაეიხსენებთ. სამწერლობო და თანამედროვე ქართულში გვაქვს „ცეცხლი“, რომელსაც მეგრულსა და ჭანურში უდრის „დაჩხირი“. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ „და“ აქ ისეთივე თვისების ფორმანტია, როგორიც მეგრულსა და ჭანურში ეხლაც დაცული „დო“ თავსართია, რომელიც, სამწერლო ქართულის „ხა“ თავსართის მსგავსად, დანიშნულების აღმნიშვნელი ფორმანტია.

ისევე, როგორც „დაჩხირი“-ს შესატყვისს „ცეცხლ“-ში „ცე“ მარცვალი „და“-ს ფონეტიკურად სახენაცვალს ეკვივალენტურ ფორმანტს წარმოადგენს, იმგვარადვე „ცერცვ“-ს თავკიდური „ცე“ მარცვალი ფორმანტსავე უნდა წარმოადგენდეს და „რცვ“ კომპლექსი იმავე ძირს, რომელიც „მარცვალ“-შიც გვევლინება.

ზემომოყვანილ მოსაზრებათა და მაგალითების შემდგომ, ვფიქრობ, უფლება

უნდა გვქონდეს დავასკვნათ, რომ „ცერცვ“ თავდაპირველად მართლაც მარცვლის აღმნიშვნელი ძველი წარმოების სიტყვა უნდა ყოფილიყო.

§ 3. ხანჭკუალა-ხანჯკოლასი და „ხაჯი“-ს ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა.

ცერცვის აღმნიშვნელი მეგრულ-ჭანური სახელი თითქოს განმარტოებულია და არც სამწერლობო ქართულ „ცერცვს“, არც სვანურ „როგვ“-ს სრულებით არ ადგება. მაგრამ, თუ ადამიანი ცერცვნაირ მარცვლეულთა ყველა ცნობილ სახელებს გადაშინჯავს, დარწმუნდება, რომ „ხაჯი“ ცერცვნაირ მარცვლეულთა სახელთა კრებულის არც თუ სრულებით უთვისტომო წევრი უნდა იყოს.

თავის ალაგას უკვე გვქონდა ყველა ცნობები მოყვანილი ერთ ცერცვნაირზე, რომელსაც ძველად „ᲮᲐᲜᲭᲙᲣᲐᲚᲐ“ ეწოდებოდა და „ᲮᲐᲜᲯᲙᲝᲚᲐ“ ეწოდება ამჟამად. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს, როგორც დავრწმუნდით, ეს მარცვლეული ცერცვად ჰქონდა მიჩნეული.

საკმარისია ადამიანმა ამ მცენარის სახელს ცერცვის მეგრულ-ჭანური სახელი „ხაჯი“ შეადაროს, რომ უმალ თავში ამ ორი სიტყვის მონათესავეობის აზრმა გაუელვოს: „ᲮᲐᲜᲯᲙᲣᲐᲚᲐ“-ს პირველი ნაწილის „ᲮᲐᲜᲯ“-ისა და ცერცვის აღმნიშვნელი მეგრულ-ჭანური „ხაჯი“-ს იგივეობის შესაძლებლობის უარყოფა ძნელია. მაგრამ ამ მოსაზრების სრული დამაჯერებლობისათვის ჩვენთვის საგულისხმო სიტყვის მეორე ნაწილის, „კუალა“-ს, ანდა „კოლა“-ს მნიშვნელობის გამორკვევაა საჭირო.

ხანჭკუალასა, თუ ხანჯკოლას მეორე ნაწილს „ᲙᲣᲐᲚᲐ“-სა, ან „ᲙᲝᲚᲐ“-ს მნიშვნელობის ძიების დროს შესაძლებელია ამ მარცვლეულის ერთ მავნე თვისებასაც ჰქონდეს მნიშვნელობა, რომელზედაც სათანადო ადგილას (იხ. აქვე გვ. 13) უკვე გვქონდა საუბარი. ეგების ამ მცენარის სახელის მეორე ნაწილში სწორედ ეს გარემოება იყოს აღბეჭდილი.

მართლაც, მეგრულში არსებობს ზედსართავი სახელი „ᲙᲝᲚᲝ“ რომელთანაც „ხანჯკოლას“ მეორე ნაწილის შესაძლებელ კავშირზე დოც. ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა მ მიაქცია ჩემი ყურადღება, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. მეგრულად „ᲙᲝᲚᲝ მწარესა ჰნიშნავს და ზოგიერთ მცენარეთა სახელებშიც შემადგენელ ნაწილად შედის. მაგ. მწარე კვახს „ᲙᲝᲚᲝᲭᲣᲠᲐ“ ეწოდება. ძიმწარეს „ᲙᲝᲚᲘᲜᲯᲘ“ (← კოლო + ჯინჯი). სოფლის სახელი „კოლოხანი“-ც არსებობს (პროფ. იოს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს მ. გ. 260).

მწარეს აღმნიშვნელი „ᲙᲝᲚᲝ“ მარტო მეგრულს არა აქვს დაცული, არამედ ჭანურშიც მოიპოვება (იხ. პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს ჭ. გ. 156). მაგრამ ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა „ᲙᲝᲚᲝᲛᲐᲜᲘ“-ს სახით სამწერლობო ქართულშიც ყოფილა. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, „კოლომანი“ თურმე არის „მწარე დიდად“ (ლექსიკ.). ამავე მეცნიერს „მწარეს“-ს ქვეშ ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო ზედმიწევნით აქვს ახსნილი და იქ უფრო ნიშანდობლივი ცნობაც მოეპოვება. ს ა ბ ა ს ნათქვამი აქვს „ᲙᲝᲚᲝᲛᲐᲜᲘ არს მწარე, ვითარცა ხახვი, ნიორი და მისთანანი“-ო (ლექსიკ.). მაშასადამე, კოლომანი, რომელიც კო-

ლოვანისაგან იქმნება წარმომდგარი, მცენარეულობის სიმწარისა და სიცხარის აღმნიშვნელი ყოფილა.

რაკი „ხაჯი“ ცერცვსა ჰნიშნავს, „ხანჯკოლა“-ში „ნ“ თითქოს მერმინდელი შენაზრდი უნდა იყოს, მთელი სიტყვა-კი მწარე, ანუ ცხარე ცერცვის აღმნიშვნელი ყოფილა. ამ მარცვლეულის ზემოაღნიშნული მავნე თვისების გამო, ასეთი სახელი მას შეჰშვენის კიდევაც. ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ისეთივე წარმოება გვქონია, როგორიცაა ძირმწარე, ძირტკბილა და მეტადრე ბალამწარა და სხვაც.

მაგრამ, ყურადღების ღირსია, რომ ჭანურად „ხანჭელი“ საერთოდ მკვახე დაუმწიფებელ ნაყოფს, მაგ. ვაშლს, მსხალსა და სხვასაც, ჰნიშნავს (იხ. პროფ. მ ა რ რ ი ს ჭ. გ. 229). უნებლიეთ იბადება აზრი, რომ აქ იგივე, მაგრამ ფონეტიკურად სახეცვლილი „ხანჯკოლი“ უნდა გვქონდეს, რომელიც სამწერლობო ქართულში „ხანჭკვალი“-ს სახით არის დაცული. „ხანჭელ“-ში არსებითად მხოლოდ ის ბგერითი ცვლილებაა მომხდარი, რომ „კ“ იქ გამქრალია. საფიქრებელია, რომ მის სრულ გაქრობას „კ“-ს გაასპირატება უძღოდა წინა და ჯერ „ხანჭქვალ“-ად, ანდა „ხანჭქოლ“-ად იქცეოდა, შემდეგ-კი სრულიად მოისპობოდა. აქ ისეთივე ფონეტიკური მოვლენა გვაქვს, როგორიც „ფრცქვნა“ ზმნაშია, რომელსაც ჭანურში „ო-ფორცუ“, და „ოფრცუ“ მეგრულში „ფორჩუნვა“ უდრის.

ხოლო თუ ის მოსაზრება, რომ მკვახე ნაყოფის აღმნიშვნელი ჭანური სიტყვა „ხანჭელი“ ხანჭკვალის, ანდა ხანჭკოლის ბგერითი სახენაცვალია, მცდარი არ არის, მაშინ, რაკი „კოლო“, როგორც დავრწმუნდით, მწარეს, ანუ ცხარეს ჰნიშნავს, ცხადი ხდება, რომ ამ რთული, ორნაწილედი სიტყვის პირველი ნაწილი „ხანჭი“ ნაყოფის აღმნიშვნელი უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქმნებოდა შესაძლებელი, რომ „ხანჭელი“ ვაშლისაც, მსხლისაც და სხვა ყოველნაირი ხილის დაუმწიფებლობის ცნების გამომხატველად ქცეულიყო.

ზემომოყვანილ დასკვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ცერცვის მეგრულ-ჭანური სახელის „ხაჯი“-სა და სამწერლობო ქართულ „ხანჭკვალა“-ში დაცულ „ხანჭი“-ს პირველადი აღმნიშვნელობის გამოსარკვევადაც აქვს. ზემოგამოთქმულ მოსაზრებათა ძალით ცხადი ხდება, რომ ცერცვის სახელი „ხაჯი“ ანუ „ხანჭი“ თავდაპირველად ნაყოფის აღმნიშვნელი ყოფილა.

§ 4. ოსპისა და სვანური „ქირც“-ის, ანუ „ქირს“-ის სადაურობა და მნიშვნელობა.

დაბადების ქართ. თარგმანში ნახმარი „ოსპნი“ ისევე, როგორც სომხური ոսպն „ოსპნ“, ნასესხები სიტყვა უნდა იყოს. ქართულში მას თვისტომნი არ გააჩნია, არც მეგრულსა და არც ჭანურში ამ ძირის სიტყვა არა ჩანს.

უეჭველია, „ოსპნი“ ბერძნული ὄσπριον ოსპრიონ-ისაგან არის წარმომდგარი. ბერძნულად ეს სიტყვა ჩვეულებრივ მრავლობითად იხმარებოდა ხოლმე. ჰელინისტ ენათმეცნიერთა აზრით ეს სახელი „ο-σπριο-საგან არის წარმომდგარი და „პარკიანს“ ჰნიშნავს, რათგან „სპეჲრონ“ პარკსა ჰქვიან (იხ. E m i l e B o i s a c q, Dict. étymologique de la langue grecque 1916 წ., გვ. 721). τὰ ὄσπρια „ტა ოსპრია“ ბერძნულად პარკოსან მცენარეულობის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია.

რაკი „ოსპი“ ნასესხები სახელი გამოდგა, ამიტომ, ან უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველებმა და სომხებმა ოსპის კულტურა პირველად ბერძნებისაგან ისწავლეს, ანდა უნდა დავასკვნათ, რომ რაღაც გარემოების გამო ბერძნულითგან შეთვისებულ სახელს ამ პარკოსანის წინანდელი სახელწოდება ისე განუდევნია, რომ ხალხა დაჰვიწყებია კიდევაც.

პირველი აზრი, სხვასაც ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, იმიტომაცაა ძნელი დასაჯერებელი, რომ „ოსპრია“ ბერძნულში კერძოდ ოსპის აღსანიშნავად არც იხმარება, არამედ თითონ ბერძნები ოსპს „ფაკოს“-ს უწოდებდენ. ხოლო „ოსპრია“-ს ისინი მხოლოდ ზოგადად პარკოსან მცენარეთა სახელად ჰმარობდენ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ მარცვლეულის ქართველთა შორის მიღებული წინანდელი სახელი უნდა იყოს მხოლოდ ოსპისაგან განდევნილი.

რაკი ეს ტერმინი დაბადების თარგმანში ამ მარცვლეულის ჩვეულებრივ სახელად არის ნახმარი, ამიტომ ის მე-V ს.-ზე დიდი ხნით უწინარეს უნდა იყოს შეთვისებული.

ხოლო, რათგან ოსპი კაცობრიობის ერთი უძველეს პარკოსან მარცვლეულთაგანია, ამიტომაც დაუჯერებელია, რომ მანამდე ქართველებს ოსპისათვის რაიმე სახელი არ ჰქონოდეთ. ამის გამო ამ მარცვლეულის ძველი გადარჩენილი სახელი უნდა ქართველურ დიალექტებში ვეძებოთ.

სამწუხაროთ, არსებული ლექსიკური მასალების მიხედვით, აჰ შემთხვევაში ვერც მეგრული და ვერც ჭანური ვერავითარ სამსახურს ვერ გვიწევენ, ამიტომ, სვანურის გარდა, სხვა გამოსადეგი ცნობის აღმოჩენის იმედი არ მოგვეპოვება, ჯერ-ჯერობით მაინც.

სვანურმა „ოსპი“, ვითარცა პარკოსანი მარცვლეულის სახელი, არ იცის. მის მაგიერ იქ სულ სხვა სიტყვა იხმარება და ოსპს სვანურად ეწოდება „ძირს“ (დოც. ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა ს ჩანაწერი და ივ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ი ს р.-с. сл.: чечевица). ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ს-კი, ამ ფორმის გარდა, „ძირც“-იც აქვს ჩაწერილი (იხ. მასალები კულტ. მცენ. ზონალობის, გვ. 61). ოსპის ამ სვანურ სახელს „ოსპ“-თან, რასაკვირველია, საერთო არაფერი აქვს.

„ძირს“-ი და „ძირც“-ი უნდა დაკავშირებული იყოს „ძიცვ“-ის მეგრულშიც დაცულ სახელ „ძირცა“, ანუ „ძერცა“-სთან, რომელიც „ძგრცა“-ს სახითაც იხმარება (მ. გ. 344). სვანურადაც ქიცვს ძäრც“-ი ეწოდება (ივ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ი ს р.-с. сл.: чешуя).

საკუთრივ „ძირს“-ის დაკავშირება „მძისი“ სა და „მძისე“-სთანაც შეიძლება. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით ხომ „მძისი დამუხვილი (დამშხალული B), გინა ხორკლიანი“-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.). ამავე ავტორის სიტყვით „დამუხვილი“ იგივე „დახეთქილი“ ყოფილა, ხოლო 1 მეფეთა 24₂-ს დამოწმებით ნათქვამია, რომ „დამშხალული კშირად დაბზარული“ არის (იქვე). ხის ქერქის თვისების დახასიათების დროსაც ქართველ ლექსიკოგრაფს „მძისე“ აქვს ნახმარი: „მუხად ითქმის, რასაც ქერქი მძისე და დამშხალული აქვს“-ო (ლექსიკ.).

საფიქრებელია, რომ „ძირსი“-სავე პარალელური ფორმა უნდა იყოს რაჭაში არსებული გამონათქვამი „ძირში“, რომელიც ჯეჯერა ქერის, ქეჭრელ ქერთან შედარებით, საქმელად დაბალი ღირსების გამომხატველია (იხ. საქ. ეკონ. ისტ. I^2, 354).

იბადება საკითხი, თუ რა მიზეზი უნდა იყოს და რა თვისების გამომხატ-

ველია ოსპისათვის სვანურში დაცული სახელი „ქირც“, ანუ „ქირს“-ი? არსებობს, თუ არა რაიმე საფუძველი, რომ ოსპისათვის სახელად ასეთი ხორკლიანობისა, თუ უხეშობის აღმნიშვნელი სიტყვა დაერქვათ?

მარცვლეულის უხეშობა, რასაკვირველია, მისი ქსოვილის ადამიანისა და პირუტყვისათვის მონელებადობის სიძნელით გამოიხატება. ექსპერიმენტულად ამ თვისების გამორკვევა იმისდა მიხედვით შეიძლება, თუ რამდენად დიდი დროა ამა-თუ იმ მარცვლეულის მოსახარშავად საჭირო.

ელენე ბარულინას სიტყვით, ვ. ფედოროვის გამოკვლევით თურმე გამორკვეულია, რომ ოსპი ყველა სხვა პარკოსან მარცვლეულებზე უფრო სწრაფად იხარშება: ვერც საუკეთესო ბარდა, ვერც ცერცველა, ვერც მუხუდო, ცულისპირა და ვერც ლობიო ამ თვისებით თურმე ოსპს ვერ შეედრებიან (იხ. Е. Барулина, Чечевица СССР и других стран, ботанико-агрономическая монография: Приложение 40-е к Трудам по прикл. ботанике, генетике и селекции, ლენინგრადი, 1930 წ., გვ. 38). ამასთანავე წვრილმარცვლიანი ოსპი უფრო სწრაფად იხარშება ვიდრე სხვილმარცვლიანი ჯიში (იქვე გვ. 38), რაც ბუნებრივია კიდევაც. მოხარშვის სისწრაფე ამას გარდა ოსპის კანის სისქეზეა დამოკიდებული: თხელკანიანი სქელკანიანზე ადრე იხარშება (იქვე 33), რაც ისედაც მოსალოდნელი იყო.

ვ. ფედოტოვის გამოკვლევითგან ჩანს, რომ თუ ოსპის წვრილმარცვლიან ჯიშების 10 მარცვლეულს 16—38 წამი სჭირდება (იხ. იქვე 36, ცხრილი 15), ხოლო სხვილმარცვლიანი ჯიშებისას 44—90 წამი (იქვე), ბარდას უკვე —80 და ცერცველას 119—155 (იქვე გვ. 37).

რაკი საქართველოში ოსპის წვრილმარცვლიანი ჯიშია უმთავრესად გაბატონებული (იხ. აქვე გვ. 9), ცხადია, რომ „ქირც“-ი, ანუ „ქირს“-ი ოსპს შეუძლებელია მისი მარცვლის ძნელი მოსახარშაობის გამო სწოდებოდა. ამიტომ რაიმე სხვა მიზეზია საძიებელი.

ოსპის მარცვალს ხშირად დაღმეჭილი ზედაპირი აქვს ხოლმე. ასეთი ხორკლიანი ოსპის მარცვლეული მრავლად არის მცირე აზიასა, პალესტინაში, სპარსეთში, ადერბეიჯანში, ესპანიასა, იტალიასა, მაროკოში, ერეთრიასა და მექსიკაში (Е. Барулина, Чечевица და სხვა, 79—80).

ასეთი გარეგნული თვისების ოსპის მარცვლეულს, მათი ზედაპირის დაღმეჭილობის გამო, რასაკვირველია, შეჰშვენის კიდევაც „ქირსის“ სახელი. ოსპის სვანეთში დაცული ამ სახელის მიხედვით საფიქრელი ხდება, რომ შესაძლებელია თავდაპირველად ჩვენში ოსპის ასეთი ჯიში ყოფილიყო და მისი მარცვლის ზედაპირის ხორკლიანობის გამო დაერქვა ასეთი დამახასიათებელი სახელწოდება [1].

დასასრულ, ყველაზე მარტივი იქმნებოდა გვეფიქრა, რომ „ქირც“-ი ოსპს იმ გარეგნული მოყვანილობის გამო ეწოდა, რომელიც ამ რგვალხა და ბრტყელ მარცვლეულს მართლაც თევზის ქიცვის მსგავსად ხდის.

ოსპის შესახები ყველა ცნობების განხილვის დროს (იხ. აქვე გვ. 15 და 18), აღნიშნული გვქონდა, რომ საქართველოში ამჟამად გავრცელებული სხვილმარცვ-

---

[1] ე. ბარულინას აქვს გამოთქმული ეჭვი, აქ ხომ პათოლოგიურ მოვლენასთან არა გვაქვს საქმეო, მაგრამ ჯერ ამ საკითხს შესწავლა სჭირდებაო (იქვე გვ. 80—81).

ლიანა და წვრილმარცვლიანა ჯიშთაგან უკანასკნელნი სამხრეთ-აღმოსავლეთთან დაკავშირებული საქართველოს უძველესი კულტურის ნაშთს უნდა წარმოადგენდენ, ხოლო სხვილმარცვლიანი ჯიში შემდეგში დასავლეთითგან შემოტანილი ჯიში უნდა იყოს.

ოსპის საქართველოში დაცული სახელების ოსპისა და ქირცის, ანუ ქირსის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ უკასასკნელი ადგილობრივი სახელია, ოსპი-კი ბერძნულითგან ნასესხებ სახელწოდებას წარმოადგენს. მომავალი კვლევა-ძიების ამოცანად უნდა იქმნეს მიჩნეული იმ საკითხის გამორკვევა, ამ ბერძნული სიტყვის შეთვისება საქართველოში იმავე დროს სამხრეთ-დასვლეთითგან ოსპის სხვილმარცვლიანი ჯიშის შემოტანასთან ხომ არ არის დაკავშირებული?

§ კნდურისა და ლედა̈რის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა.

Cicer-ის უძველესი ქართული სახელი, როგორც დავრწმუნდით, „კნდური“ ყოფილა. სხვა მრავალი შემთხვევის მსგავსად, ამ სიტყვაშიც- თავში სამი თანხმოვნის შეჯგუფება, უეჭველია, მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს და თავდაპირველად მათ შუა უნდა ერთ-ერთი ხმოვანთაგანი ყოფილიყო.

„კნდურ“-ს მეგრულსა და ჭანურში მონათესაენი არ უჩანს, ჯერჯერობით არსებული ლექსიკური მასალის მიხედვით მაინც.

სვანურში ამავე მარცვლეულის აღსანიშნავად „ლედა̈რ“-ი იხმარება. უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე გვ. 21), რომ ზოგიერთ ავტორს ამ სიტყვის მნიშვნელობა არეული აქვს და ცერცვისაცა და ბარდას მნიშვნელობითაც აქვს ნახმარი. მის ნამდვილ მნიშვნელობას თანამედროვე ქართული ბარდას, ე. ი. Pisum-ის, შესატყვისობა შეადგენს.

თავის ადგილას (იხ. აქვე გვ. 19) გამორკვეული გვქონდა, რომ cicer-ისა და Pisum-ის ზოგად უძველეს ქართულ სახელად კნდური“ ყოფილა მიღებული. თანამედროვე სვანურში Pisum arvense-ს, ანუ ველური ბარდას სახელად „ნე-ცინ ლედა̈რ“-ი ჰქვიან. ეს სახელი სვანურად „წვრილ ლედა̈რ“-ს ჰნიშნავს, ხოლო ამ მარცვლეულის ძველი ქართული სახელწოდება რომ ვიხმაროთ, „წვრილ კნდურ“-ს უდრის.

კნდურისა და ლედა̈რის რეალური მნიშვნელობის იგივეობის გამო, იბადება საკითხი ამ სახელების ბგერითი იგივეობის შესახებაც: სახელდობრ „ლედა̈რ“-ი ხომ სამწერლობო ქართული „კნდური“-ს სვანურ შესატყვისობას არ წარმოადგენს?

„კნდური“ და ლედა̈რ ერთმანეთისაგან ბგერითი შედგენილობით ერთის მხრით იმით განსხვავდებიან, რომ ქართული ტერმინი თავში უხმოვნო კომპლექს წარმოადგენს, სვანურს-კი პირველ ორ თანხმოვანს შუა „ე“ ხმოვანი აქვს. მაგრამ „კნდური“-ს უხმოვნობა, როგორც ნათქვამი გვქონდა, უეჭველია, მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს, ამიტომ ეს გარემოება არსებით განსხვაეებად ვერ ჩაითვლება.

მეორე მხრით „კნდურს“, სვანურ ეკვივალენტ „ლედა̈რ“-თან შედარებით, ზედმეტი „ნ“ გააჩნია. ესეც არსებითი ხასიათის განსხვავებას არ წარმოადგენს, რათგან ქართულსა და ქართველურში შენაზრდი „ნ“ იშვიათი მოვლენა არ

არის. ამის მაგალითი აქვე, „ხანჯკოლა"-სა და „ხაჯი"-ს ეტიმოლოგიისა და ძირითადი მნიშვნელობის განხილვის დროსაც, გვქონდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია „ნ" შენაზრდი ბგერა იყოს პირველად „კდური"-ს მაგიერ.

მესამე განსხვავება უფრო მნიშვნელოვანია: სამწერლობო ქართულში მარცვლეულის ამ სახელს „კ" თანხმოვანი აქვს, სვანურში „ლ" და სწორედ ბგერათა ასეთ შენაცვლება-შესატყვისობის კანონზომიერების საკითხზეა არსებითად დამოკიდებული საკითხიც „კნდურისა" და „ლედარის" ბგერითი იგივეობის შესახებ.

ქართულსა და ქართველურში „კ"-ს და „ხ"-ს „ლ"-დ შენაცვლება იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს. კუეზა = ლევზილს, ლეძელს, — ახალი = ალანს (ჭან.), — ხელაკნა = ლილარქნას, „ო-ლეელიკუ"-ს (ჭან.), მჯილს = მჯიხი (ჭან.) და სხ. ასეთი ბგერითი შენაცვლება „კ"-სი „ლ"-დ შესაძლებელია თვით სვანურის ნიადაგზეც მომხდარიყო. ამნაირი შენაცვლების მაგალითად შესაძლებელია დასახელებული იყოს ციკანის სვანური სახელი, რომელიც ბალსქვემოურში „ნეკშტ"-ად ითქმის, ხოლო ლაშხურში და ლენტეხურში არის „ნელშტ", ბალსზემოურში „ნელჲშტ".

ზემომოყვანილი ბგერითი შესატყვისობითგან ჩანს, რომ ორი სიტყვის „კ"-სა და „ლ" თანხმოვნებით განსხვავება მათი იგივეობის საწინააღმდეგო გარემოებად მისაჩნევი არ არის და „კნდური"-ს ოდინდელი ხმოვნიანი ფორმა შესაძლებელია სვანურს „ლედჳრ"-ის სახით ჰქონოდა.

პროფ. აკ. შანიძისაგან სვანურისათვის დადგენილი უმლაუტის კანონის თანახმად („უმლაუტი სვანურში" იხ. „არილი" გვ. 171—231), „ლედჳრ" უნდა „ლედარი"-საგან იყოს წარმომდგარი. თავის მხრით ბოლოკიდური „ი"-ს დაკარგვის გამო შერბილებულ ა-ს უკუქცევითი ასიმილაციის წყალობით ამ სიტყვის პირველ ხმოვანზე გავლენა მოეხდინა.

საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებშიც, არა ერთი გეოგრაფიული სახელია, რომელიც ადგილობრივ გავრცელებული ხისა, თუ მცენარეულის სახელისაგან არის ნაწარმოები. საგულისხმო იყო ამ მხრივ გამორკვეულიყო, არსებობს, თუ არა საქართველოში რომელიმე ადგილი, რომელიც „კნდურ"-თან, ან მის წინამორბედ ფორმასთან არის დაკავშირებული? კნდური, 5-ვერსიანი რუკის სარჩევის მიხედვით, არა ჩანს, მაგრამ არსებობს „კადურიანთ-ჰარი" ქართლში, რომელსაც საცხენეთიც ეწოდება (დ 6 61—30, 42—30), ხოლო ბლომად არის ადგილი, რომელსაც „კანდო" და კადო", ან კადა ეწოდება. მაგ., კანდო: ჯავახეთში (დ 7 61—00, 41—30), ქართლში (დ 7 61—00, 41—45), ბორჩალოში (დ 7—61—15, 41—45), ხანდისი ქართლშივე (დ 7 61—00, 41—30), კადო თიანეთის თემში (ე 6 62—30, 42—30), დასასრულ, ცნობილია, რომ არაგვის საერისთავოში მთელ თემსაც-კი „კადა" და „კადა-ცხაოტი" ეწოდებოდა და ეწოდება ეხლაც (იხ. ვახუშტის გგ რფა .).

შესაძლებელია, რომ ყველა ამ ადგილების სახელები სწორედ იმ მარცვლეულის პირვანდელ ხმოვნიან სახელთან იყოს დაკავშირებული, რომელიც შემდეგში, ისტორიულ ხანაში უკვე უხმოვნოდ „კნდურ"-ად იხმარებოდა.

სანამ „კნდური"-სა და „ლედჳრ"-ის ეტიმოლოგია გამორკვეული არა გვაქვს, ძნელი სათქმელია, რომელი რომლისაგან არის წარმომდგარი? „კნდური" ბო-

ლოში სადაურობის აღმნიშვნელი ფორმანტის მქონებელია და შესაძლებელია გვეფიქრა, რომ „კნდური" იმ მარცვლეულს ჰნიშნავს, რომელიც „კადა"-სა და „კანდო"-ს უხვად და საუკეთესოდ იზრდებოდა და საითგანაც მარცვლეულის ეს ჯიში შემდეგში გავრცელდა? თვით ლობიოს ჯიშების განხილვის დროსაც დავრწმუნდით, რომ გურული და ოდიშური ლობიოს სახელწოდებაშიც სწორედ ასეთი წარმოება გვაქვს.

მაგრამ ასეთ მოსაზრებას ძნელ დასაჯერებლად ის გარემოება ჰხდის, რომ „კანდო" და „კადა" საქართველოს მარტო ერთი თემისა და ალაგის სახელი-კი არ არის, არამედ ისეთ ერთმანეთისაგან დაშორებულ თემებშია გაბნეული, როგორიც არაგვის ხეობა და ჯავახეთი, ანდა ბორჩალო და ქართლია. ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ სწორედ მცენარეულობისა, თუ ხე ხეხილის სახელებისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებია ხოლმე. ამიტომ კადასა და კანდოს შედარებითი სიმრავლე და საქართველოს სხვა და-სხვა თემში არსებობა გვაფიქრებინებს, რომ აქ შესაძლებელია კნდურისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები იყოს. ყველა ეს კადა-კანდო მაღლობ ადგილებში მდებარეობენ, სადაც ამ მარცვლეულს მართლაც მისთვის შესაფერისი ჰავა ნიადაგი მოეპოვება.

ეხლა თვით სიტყვა „კნდური"-სა, ანდა „კდური"-ს პირველადი მნიშვნელობა-ღა გვაქვს გამოსარკვევი. „კდური" „კდა" ზმნისაგან ნაწარმოებს ვნებითს მიმღეობას უნდა წარმოადგენდეს. „კდა" და „გამოკდა" გამოღებას, გამოყოფას ჰნიშნავს. ამავე ზმნისაგან არის ნაწარმოები, როგორც „ქართველი ერის ისტორიის" შესავალ წიგნშია გამორკვეული, „მკდალი", რომელიც მოქმედებითს მიმღეობას წარმოადგენს და ამასთანავე ძველ ქართულში დედალი საქონლის აღმნიშვნელია. თავდაპირველად ეს სიტყვა მშობელსა ჰნიშნავდა, დედლას. იგი „კრდალი"-ს სახითაც გვხვდება. შემდეგში ამ ტერმინს, დიაცის მსგავსად, ჯაბანისა და მშიშარას მნიშვნელობაც მიენიჭა და ამჟამად ამ სიტყვას უმთავრესად ასეთი მნიშვნელობა დასჩემდა.

„კდური" ისეთივე ნაწარმოებია, როგორიცაა „თქმა" ზმნისაგან წარმომდგარი ვნებითი მიმღეობა „თქმული". ამ „თქმა" ზმნასა და „თქმულ" მიმღეობასთან „კდა" ზმნასა და „კდურ"-ს ის მსგავსებაცა აქვს, რომ მათაც ბგერითი შეკუმშვილობა ახასიათებთ, რათგან ძველად „თქუმა" და „თქუმული" იყო. ამგვარად „კდური" თავდაპირველად გამონაღებს, გამონაყოფს, ანუ იმავე ნაყოფს ჰნიშნავდა. რაკი სრულხმოვნიანად ეს ზმნა „კადვა"-დ არის საგულისხმებელი, ამიტომ მიმღეობის პირველად ფორმადაც „კადური"-ა საფიქრებელი.

§ 6. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის ისტორიის მთავარი პერიოდები და მნიშვნელოვანი თვისებები.

პარკოსან მარცვლეულთა შესახები ყველა არსებული ცნობების განხილვამ და მათი სახელების ლინგვისტიკურმა ანალიზმა ცხად-ჰყო, რომ მარცვლეულთა სახელებითგან ძველი და ნამდვილი ქართულია: ცერცვ, ცერცველა, ხაჯი, ხანჭკუალა, ან ხანჯკოლა და კნდური ისევე, როგორც სვანური „როგჭ" და „ლედჭრ"-ი. ამ სახელების აგებულებაცა და პირველადი მნიშვნელობაც

მათი უაღრესი ხნიერების გარემოებას ამჟღავნებენ: ყველაფრითგან ჩანს, რომ ეს ტერმინები ქართულში უხსოვარი დროითგან უნდა არსებულიყო.

ეგების ასეთი ხნიერი არ იყოს, მაგრამ მაინც ძველ ხანასვე მიეკუთნება „ძაძა“-ც, ისევე როგორც სახელი „ცეცქა“.

შედარებით მერმინდელი ჩანს კნდურის მონაცვლედ ქცეული „ბარდა“. ქართულია „ცულისპირა“-ს სახელიც, მაგრამ ჯერჯერობით არა ჩანს, თუ მე-XVII ს-ზე რამდენად უწინარეს ხანაში უნდა იყოს ეს მარცვლეული საქართველოში გაჩენილი.

ამ პარკოსან მარცვლეულთა საგანძურს შემდეგ დასავლეთითგან შეძენილი ჯიშები და სახეობანი მიჰმატებია. სახელდობრ: ოსპი ძველი საბერძნეთითგან, ლოპინარი რომითგან I—IV ს-ში, ისევე როგორც საბერძნეთითგან თერთმუზი და ბიზანტიითგან, მე-VIII ს., შემდგომ, ერევინდი, სულ 4 მარცვლეულის სახელწოდება.

მერმე არაბეთითგან და სპარსეთითგან შემოსულა მუხუდო, მაშა-ცერცვ, და ბაქლა-ცერცვ, სულ 3 სახელი. ამათგან მუხუდო მე-XIII ს-მდე, ალბათ XI-XII სს-ში უნდა იყოს შემოტანილი. მაშას და ბაქლას ხანის განსაზღვრა-კი ზედმიწევნით ჯერ შეუძლებელია, მაინცდამაინც მე-XIII ს. დამდეგზე უწინარეს უნდა იყოს შემოსული. ხოლო მაშა-ლობიოს და ბაქლა-ლობიოს სახელი შეუძლებელია მე XVII ს. დამდეგზე ადრე იყოს გაჩენილი.

დასასრულ, დასავლეთ ევროპითგან, იტალიითგან, მაგრამ ოსმალეთის გზით, შემოტანილია მე-XVI ს. მეორე ნახევარს, ანდა დამლევს ლობიოც.

ამგვარად, უძველეს დროსვე არსებულ პარკოსანთა მარცვლეულობას, რომელიც ქართველთა ტომებს სამხრეთითგან კავკასიაში გადმოსახლების დროს უნდა თან მოეტანათ, ჯერ სამხრეთ-დასავლეთითგან (საბერძნეთ-რომ-ბიზანტიითგან), შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთითგან (არაბეთ-სპარსეთითგან) შეთვისებული ჯიშები მოჰმატებია. ბოლოს, მე-XVII ს-ში, როგორც ბუნებრივიც იყო, ამერიკითგან ევროპაში შემოტანილი ახალი კულტურების წყალობით, უპირატესობა კვლავ დასავლეთის გზას მოუპოვებია.

უძველეს ხანაში ქართველ მიწისმოქმედს პარკოსანთა სამივე მთავარი ჯგუფის, ცერცვნაირთა, ოსპისა და კნდურების მარცვლეული ჰქონია. მერმინდელ ქართველ მეურნეთა ყურადღება უმთავრესად ხნდურნაირთა ჯგუფისა და ნაწილობრივ აგრეთვე ცერცვნაირთა ჯიშების გამრავლებისაკენ ყოფილა მიპყრობილი. შემდეგშიც, არაბეთ-ბიზანტიასთან კულტურული ურთიერთობის ხანაშიც, ქართული მიწისმოქმედების მთავარ საზრუნავად იგივე მიზანი ყოფილა: ცერცვნაირთა და ხნდურნაირთა გამრავლება. მაგრამ პარკოსან მარცვლეულთა კულტურის განვითარებას ეს გეზი მხოლოდ მე-XVI ს. მეორე ნახევრამდე ემჩნევა. ამ დროითგან მოყოლებული-კი ცერცვნაირთა, ოსპისა და ხნდურნაირთა მოყვანა თანდათან მცირდება და ამ მარცვლეულთა ასპარეზის უდიდეს ნაწილს დასავლეთითგან შემოტანილი ლობიო იპყრობს.

პარკოსან მარცვლეულთა მეურნეობაში, მაშასადამე, ორი მთავარი ხანის გარჩევაა საჭირო. პირველი, უძველეს განძეულზე და დროთა განმავლობაში შენაძენზე დამყარებული, ხანა ცერცვ-ოსპ-ხნდურის მეურნეობას წარმოადგენდა.

მეორე ხანა-კი, რომელიც მე-XVI ს. დამლევითგან და მე-XVII ს. დამდე-

ზითგან იწყება, უკვე სულ ახალი, მაინცდამაინც ძველისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული, მარცვლეულის გაბატონებაზე დამყარებული მეურნეობის ხანას წარმოადგენს. ამ ხანას შესაძლებელია ლობიოს კულტურის ხანა ეწოდოს.

§ პარკოსან მარცვლეულთა კულტურის მნიშვნელობა ძველი საქართველოს ეკონომიკისათვის.

მე-XVI ს. დამლევამდე პარკოსანთა მოყვანის მთავარ საგანს ცერცვნაირნი, ხდურნაირნი და ოსპი შეადგენდენ. ეს მარტო მათი მაღალი კვებითი ღირსებით არ აიხსნება.

თანამედროვე ადამიანმა რომ სრული სისწორით გაითვალისწინოს ცერცვნაირთა, ხნდურნაირთა და ოსპის უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვის, მან უნდა ორი გარემოება გაიხსენოს. პირველი გარემოება ზოგადი თვისებისაა.

როგორც უკვე ამ წიგნის დასაწყისშიც ნათქვამი გვქონდა (იხ. აქვე გვ. 3—4), **ძველად ხალხი ხორცეულის ყოველდღიურ ჭამას ეხლანდელივით მიჩვეული არ იყო.** თანამედროვე საქართველოშიც-კი სოფლის მოსახლეობა ხორცეულ საჭმელს მხოლოდ დღესასწაულებისა და მძიმე სამეურნეო მუშაობის, ანდა წვეულების დროს აკეთეთებს ხოლმე. ჩვეულებრივ დღეებში ქართველი წველის ნაწარმოებითა და მცენარეულ-მარცვლეულით იკვებებოდა. ამის გამო პარკოსანი მარცვლეულნი ძველად, რა თქმა უნდა, ეხლანდელზე გაცილებით მეტი სჭირდებოდა ადამიანს.

ამას უნდა მეორე გარემოება დაერთოს. თუ პირველი გარემოება ნებაყოფლობითი იყო და ყოველ დიასახლის-მამასახლისს თავის სურვილისამებრ შეეძლო შეეცვალა, მეორე გარემოება ყველასთვის კანონივით სავალდებულო იყო და მისი დარღვევა არავის ფიქრად არ მოუვიდოდა.

ქრისტიანობასთან ერთად რომ მარხვისა და ხსნილის მოძღვრება განმტკიცდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა, ყველამ იცოდა, რომ ოთხშაბათ-პარასკევობით, მცირე გამონაკლისის გარდა, მთელი წლის განმავლობაში უნდა მარხვა შეენახა და მხოლოდ სამარხო საჭმლით დაკმაყოფილებულიყო. თუ ამას დიდმარხვისა და სხვა უფრო ხანმოკლე მარხვებსაც დავუმატებთ, გადაუჭარბებლივ შესაძლებელია ითქვას, რომ **ძველი საქართველოს მთელი მოსახლეობა ყოველ-წლიურად დღეთა საერთო რიცხვის ერთ მესამედზე მეტს სამარხო საჭმელს სჭამდა.** როგორც დავრწმუნდით, თავის დროს უკვე ა რ ქ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს ჰქონდა აღნიშნული მარხვის სიმრავლე და ხანგრძლივობა საქართველოში (იხ. აქვე გვ. 5). ეს მეორე გარემოებაა, რომელსაც სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაში პარკოსან მარცვლეულთა ძველად მნიშვნელობის გათვალისწინების დროს ეხლაც უნდა აუცილებლად ანგარიში გაეწიოს, რადგან **სამარხო მთავარ საჭმელ მარცვლეულად**, როგორც თავის ადგილას მოყვანილ ცნობებითგან ჩანს (იხ. აქვე გვ. 19), **სწორედ ცერცვნაირნი და ხნდურნაირნი იყვნენ მიჩნეულნი.**

კვების ნორმებისა და მოსახლეობის რაოდენობის ცოდნა მკვლევარს საშუალებას აძლევს გამოსაკვებად ყოველწლიურად საჭირო პარკოსან მარცვლეულთა ოდენობა დაახლოვებით გამოარკვიოს. მაგრამ ასეთ გამოანგარიშებასაც რომ ამჟამად თავი დავანებოთ, შესაძლებელია დანამდვილებით ითქვას, რომ

ცერცვნაირთა და ხნდურნაირთა მოსავლის ყოველწლიური ოდენობა გაცილებით იმაზე მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამჟამად საქართველოში ლობიო მოჰყავთ (იხ. აქვე გვ. 41), რაოგან პარკოსან მარცვლეულთადმი მოთხოვნილებაც იმ დროს, ზემოდასახელებული ორი გარემოების გამო, ეხლანდელზე ბევრად მეტი იყო.

§ 8. პარკოსან მარცვლეულთა ხანგრძლივი კულტურისა და დაკვირვება-შერჩევის კვალი.

იმისდა მიუხედავად, რომ არც ცერცვნაირნი, არც ოსპი და ოსპნაირნი და არც ხნდურნაირნი საქართველოში სპეციალურად, მონოგრაფიულად ჯერ არავის შეუსწავლია, მათმა ზოგადმა განხილვამაც-კი მკვლევარნი დაარწმუნა, რომ ჩვენ ქვეყანაში ამ მარცვლეულთა ჯიშების სიმრავლეა. მათი თესვა-მოყვანისა და გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში, ლობიოსა და სხვა მიზეზების წყალობით, ძალზეა შემცირებული, მით უმეტეს იპყრობს დამკვირვებელის ყურადღებას ეს აქამომდე შერჩენილი ჯიშობრივი მრავალფეროვანება. უეჭველია, ეს გარემოება იმ ხანგრძლივი შერჩევისა და ინტენსიური მუშაობის შედეგი უნდა იყოს, რომელიც ქართველ მეურნეს ამ დარგში ძველად გაუწევია. მხოლოდ ასეთი გამოცდილების საფუძველზე იყო შესაძლებელი, რომ, ისეთი ზოგადი და ცალკეული თვისებების მსგავსება-განსხვავებაზე დამყარებული, ტერმინოლოგია გაჩენილიყო, როგორიც საქართველოში ლობიოს ჯიშ-სახეობათათვის ჩამოყალიბებულა.

§ 9. ლობიოს კულტურის ქართულ მეურნეობაში გაბატონების მიზეზების ძიება.

ლობიოს კულტურის საქართველოში გაჩენისთანავე ამ მარცვლეულს ქართველი მიწისმოქმედი სწრაფად შესჩვევია: მეურნეს ახალი მცენარის ღირსება კარგა შეუნიშნავს. უკვე მე-XVII ს. პირველ ნახევარში ლობიო სამეგრელოში პარკოსან მარცვლეულთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა. მე-XVIII ს. პირველი ნახევრისათვის ლობიოს უკვე მთელ საქართველოში ჰქონია მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი მოპოვებული და პარკოსანთა ძველი წარმომადგენლების გავრცელების არე ამ დროითგან მოყოლებული სულ უფრო-და-უფრო მცირდება.

ცხადია, რომ ლობიოს სხვა პარკოსან მარცვლეულებთან შედარებით **რაიმე განსაკუთრებული ღირსება უნდა ჰქონოდა,** თუ ქართველმა სოფლის მეურნემ ის ყველას ამჯობინა და მის მოყვანას განსაკუთრებული გატაცებით მიჰყო ხელი. ლობიოს შესახები ცნობებისა და ტერმინოლოგიის ზემომოყვანილი განხილვა დაანახვებდა ადამიანს, თუ რაოდენი ცდა, ენერგია და დაკვირვება გამოუჩენია გურულ მიწისმოქმედს, ლობიოს კულტურის ამ მეთაურს საქართველოში, ამ მარცვლეულის ჩვენი მეურნეობისათვის ყველაზე უკეთესი ჯიშების შერჩევა შექმნისათვის.

ბუნებრივია, რომ საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს. მისი მოვალეობაა გამოარკვიოს, თუ

სახელდობრ რა თვისებამ მოუპოვა ლობიოს კულტურას საქართველოს მეურნეობაში ის ეკონომიური უპირატესობა, რომლის გამოც მიწისმოქმედმა ეს მცენარე, პურეულის შემდგომ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მარცვლეულად მიიჩნია.

§ 10. პარკოსან მარცვლეულთა ზოგადი საზრდოობითი მნიშვნელობა და თვითეული მათგანის შედარებითი კვებითი ღირებულება.

რაკი ლობიო საკვები მარცვლეულია, შესაძლებელია ბუნებრივად დაიბადოს აზრი, რომ ამ მარცვლეულის გამარჯვება ქართულ მეურნეობაში მისი სხვებთან შედარებით უფრო მაღალი კვებითი და გემოვნებითი თვისებით აიხსნებოდეს.

ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა ადამიანს საკვების შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეს გათვალისწინებული.

ადამიანისა და პირუტყვის საჭმელის ქიმიურ შემადგენელ ნივთიერებას კვების პროცესში სხვადასხვა დანიშნულება აქვს მიკუთნებული: აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერება სხეულის ნივთიერების დაცვა-შენახვისათვის არის საჭირო, ცხიმოვანი ნივთიერება სხეულის სითბოსა და მუშაობის ენერგიისათვის ესაჭიროება, ხოლო არა-აზოტოვანი, ნახშირწყლიანი ნივთიერება ზრდისათვის.

ადამიანისა და ცხოველის ნორმალური არსებობისა და მოღვაწეობა-მუშაობისათვის კვების ამ სამსავე აუცილებელ ელემენტს, ვიტამინებთან ერთად, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. თვითოეულს მათი სათანადო ოდენობა სჭირდება, ურომლოდაც სხეული დაავადდება. კვების ჰიგიენის მკვლევართა აზრით, ადამიანის ნორმალურ საკვებში ცხოველური ცილის ოდენობა საჭმლის $^1/_3$-ითგან 50%-დის უნდა აღწევდეს. ცხიმოვანი ნაწილი-კი რაკი პურეული და ქრთილეული ნახშირწყლების (სახამებელი, შაქარი, დექსტრინი) ისე უხვადაა შემცველი, რომ საშუალოდ მათი მშრალი ნივთიერების 78,64%-ს სწორედ ნახშირწყლები შეადგენენ, ამიტომ ცხოველის სხეულს, პურეულისა და ქრთილეულის სახით მიღებულ საჭმელს გარდა, აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების ოდენობის ნაკლებობის შესავსებად სხვა საკვებიც სჭირდება. ასეთ საჭმელად მხოლოდ აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების უხვად შემცველი საგნებია გამოსადეგი. აზოტოვან-ცილოვანი ელემენტები ყველაზე მეტად, რასაკვირველია, ხორცეულს გააჩნია, მაგრამ მცენარეთა მთელი ჯგუფიც მოიპოვება, რომლის ქიმიური შედგენილობის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ აზოტოვან-ცილოვანი ელემენტები წარმოადგენენ. ასეთ მცენარეთა ჯგუფს სწორედ პარკოსანი მარცვლეულნი შეადგენენ.

მაშასადამე. პარკოსან მარცვლეულობას ადამიანისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ მარცვლეულთა საზრდოობითი ღირებულება ყველასი ერთნაირი არ არის, რადგან მათი ქიმიური შედგენილობაც ძალზე განირჩევა. რაკი პარკოსან მარცვლეულების მთავარ ღირებულებას აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების ჭარბი ოდენობა შეადგენს, ნახშირწყლების მარაგის მიღება-კი ადამიანს დიდი ოდენობით ისედაც, მეტადრე პურეულის სახითაც, შეუძლია, ამიტომ პარკოსან მარცვლეულთა შედარებით ღირებულების გასათვალისწინებლად აქვე მათი ქიმიური შედგენილობის ცხრილსაც დავურთავთ, რომელშიც

ცნობები მარცვლეულთა აზოტოვანი ნივთიერების სიჭარბისდა მიხედვით გვაქვს დალაგებული.

	აზოტოვ. ნივთ.	ცხიმი.	ნახშირწყ.	ცელულ.
ხანჭკუალა	35,4	5,3	29,2	13,8
ცერცველა	27,5	2,3	47,2	6,7
უგრეხელი	27,31	0,65	56,46	3,46
ცულისპირა	25,6	1,9	50,0	5,4
ცერცვი	25,0	1,6	46,7	9,4
ოსპი	23,8	2,1	53,9	4,9
ლობიო	23,1	2,8	50,0	3,8
მუხუდო	22,85	1,79	52,36	5,43
ბარდა	22,4	3,0	52,6	6,4

ზემომოყვანილი ცხრილითგან ჩანს, რომ აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერებით ყველაზე მდიდარი ხანჭკუალა ყოფილა, რომელსაც ამასთანავე ის დიდი ღირსებაც აქვს, რომ ცხიმოვანი ნივთიერების ყველაზე მეტი მარაგიც (5,3) გააჩნია. ამის გამო პარკოსანთა შორის ამ მარცვლეულს ტოლი არ ეყოლებოდა, რომ მას ორი ნაკლი არ ჰქონდეს: მავნე თვისება, რომელიც მის განსაკუთრებულ შემზადებას თხოულობს, და მოუნელებელი ქსოვილის, ცელულოზას, სიჭარბე (13.8). ამ უკანასკნელი თვისებით ხანჭკუალა ყველაზე დაბლა დგას.

ამავე ცნობების გადათვალიერება ადამიანს დაარწმუნებს, რომ ლობიოს აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების მარაგით მხოლოდ მეშვიდე ადგილი უკავია და მარტო მუხუდოსა და ბარდას სჯობნის. ცერცველასა, უგრეხელსა, ცულისპირასა და ცერცვთან მას შედარებაც არ შეუძლია. ოსპიც-კი 0,7-ით მას სჯობნის.

ზემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ ლობიოს კულტურის სრული გამარჯვება საქართველოში შეუძლებელია ამ მარცვლეულის აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების სიჭარბითა და განსაკუთრებული კვებითი თვისებით ყოფილიყო გამოწვეული.

§ 11. მარცვლეულთა მოსახარშავობის შედარებითი ღირებულება.

ოსპის თვისების განხილვის დროსაც გამოირკვა, რომ ვერც ის ითქმის, თითქოს ლობიო სხვა პარკოსანზე უფრო ადვილი მოსახარში მარცვლის მქონებელი ყოფილიყოს და ამიტომ მის მომზადებას ნაკლები დროცა და საწვავი მასალა სჭირდებოდეს. პირიქით, ექსპერიმენტულმა შედარებითმა გამოკვლევამ ცხად-ჰყო, რომ ლობიოს მოსახარშად ოსპზე მეტი დრო და ენერგიაა საჭირო (იხ. აქვე გვ. 67). მაშასადამე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ლობიოს კულტურის ქართულ მეურნეობაში გაბატონების მიზეზი მაინცდამაინც დროისა და საწვავის ეკონომია არ შეიძლება ყოფილიყო. ამგვარად, ამ მოვლენის მიზეზი კვლავ სხვა რომელსამე სფეროში, ამ მცენარის რომელსამე სხვა თვისებაში უნდა ვეძიოთ.

§ 12. ლობიოს გაბატონების მთავარი მიზეზი: მხვიარა ჯიშის უხვი და ხანგრძლივი ნაყოფიერება.

ლობიო, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 40 და 54), პირველად დას. საქართველოში ოსმალეთითგან შემოუტანიათ. საფიქრებელი ხდება, რომ **პირველი საქართველოში გავრცელებული ლობიოს ჯიში სარის ლობიო უნდა ყოფილიყო.** ეს გარემოება არქ. ლამბერტის ცნობითგან ჩანს, რომელსაც ამის მიზეზიც-კი აქვს დასახელებული: სამეგრელოს ნესტიან ნიადაგზე კუტი ლობიო დალპებოდა და ამიტომ ამ მცენარეს მაღალ სარზე უშვებენო.

იმავე გარემოების დამტკიცება, რომ ოსმალეთითგან გურიასა და სამეგრელოში შემოტანილი ლობიო სწორედ სარის ლობიოს ჯიში უნდა ყოფილიყო, იოანე ბატონიშვილის რუს.-ქართული ლექსიკონითაც შეიძლება: რუსული боб турецкий, ანუ თურქული ცერცვის, ლობიოს, ქართულ შესატყვისობად მას ჯერ დაუწერია „ქოტი ლობიო, ანუ მამაკალია", მაგრამ შემდეგ ეს ცნობა, ვითარცა მცდარი, გადაუხაზავს, წაუშლია და ამის მაგიერ „**სარის ლობიო**" დაუწერია. ეს, ცხადია, იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენში „ოსმალური ლობიო" სწორედ მხვიარა ჯიშად ჰქონიათ მიჩნეული.

უკვე არქ. ლამბერტის ჰქონდა აღნიშნული, რომ სამეგრელოში მის დროს გავრცელებული **სარის ლობიო ნაყოფს უხვად და დიდი ხნის განმავლობაში ისხამდა.** მისი სიტყვით, ოდიშში „**ივლისიდან დაწყებული სექტემბრამდის ახალ ლობიოს**" სჭამდენ. ხოლო, რასაც ეს მცენარე **ამის შემდგომ** ისხამდა, იმას ახმობდენ და **საზამთროდ ინახავდენ-ო** („სამეგრელოს აღწერა", ალ. ჭყონიას თარგმ. გვ. 59).

მე-XVII ს. იტალიელი ავტორის ზემომოყვანილი ცნობა სარის ლობიოს ჯიშის უხვი და ხანგრძლივი ნაყოფიერების შესახებ თანამედროვე მკვლევართა დაკვირვებითაც მტკიცდება. ლ. დეკაპრელევიჩის ცნობითაც, თუ კუტი ლობიოს ჯიშების ვეგეტაციის ხანა 80—100 დღეს არ სცილდება, სარის ლობიოს ჯიშები, მართალია, აყვავებას კუტ ჯიშებზე უფრო გვიან, დათესვითგან მე-40-60 დღეზე, იწყებენ, მაგრამ სამაგიეროდ მათი ნაყოფიერება ხელშემწყობ პირობებში პირველ რთვილამდისაც კი გრძელდება ხოლმე (იხ. Сорта фасоли в Грузии, გვ. 170—171). მაშასადამე, **ლობიოს მთავარ ღირსებას მისი ხანგრძლივი და უხვი ნაყოფიერება წარმოადგენს.** რაკი ჩვენში პირველად ლობიოს ჯიშთაგან ყველაზე ნაყოფიერი, სარის ლობიოს, ჯიში შემოსულა, ქართველ მიწისმოქმედს უნდა მაშინვე ეგრძნო ამ მცენარის ეს დიდი უპირატესობა: **ლობიოს უხვი და ხანგრძლივი ნაყოფიერება ამ მცენარეს სხვა პარკოსნებთან შედარებით ეკონომიურად ყველაზე უფრო ხელსაყრელ და მოგებიან მარცვლეულად ჰხდიდა. სწორედ ეს ეკონომიური მიზეზი უნდა იყოს, რომ ლობიოს კულტურა ქართველმა სოფლის მეურნემ ყველა სხვას ანაცვალა და თითქმის** მთელი თავისი ყურადღება მას მიაპყრა.

§ 13. ლობიოს მავნებელთადმი გამძლეობის მნიშვნელობა მისი საქართველოში გაბატონებისათვის.

სასოფლო მეურნეობაში ამა-თუ-იმ მცენარის კულტურის განმტკიცება **მის გამძლეობაზეც არის დამოკიდებული**, სახელდობრ, უძლებს, თუ ვერა იმ

მავნებლებს, რომელნიც ყოველ მათგანს გააჩნია. ლობიო ამ მხრივ ბევრ პარკოსანზე უფრო გამძლეა (იხ. ლ. დეკაპრელევიჩის Сорта фасоли 171 შენ. 3) და ამ მხრივაც მისი მოყვანა სხვებზე უფრო ხელსაყრელია. მაგალითად შესაძლებელია ბარდა იყოს დასახელებული.

„ბარდა“-ს რომელსაც რაჭაში, „ბარდა-ცერცვი“ ეწოდება ხალხში, სასოფლო მეურნეობაში წინათ თურმე შედარებით ფართო ადგილი ჰქონია დაკავებული, მაგრამ მისი ნათესები ამჟამად ძალიან ცოტა-ღა მოიპოვება. ბარდას კულტურის ასეთი შემცირების მთავარ მიზეზად რაჭველი სოფლის მეურნენი თურმე იმ გარემოებას ასახელებენ, რომ ბარდას მარცვალს ძალზე აფუჭებს ჭია (Bruchus). ამის გამო ბარდას მაგიერ ლობიოს მოყვანა ფართოვდება (ლ. დეკაპრელევიჩი და ვ. მენაბდე К изуч. полев. культ. Зап. Грузии I. Рача 245).

§ 14. ლობიოს ქიმიური შედგენილობის კეთილშეზავებულობის მნიშვნელობა.

ლობიოსთვის უპირატესობის მიმანიჭებელ ამ ორ მიზეზს გარდა უნდა შემდეგი მოსაზრებაც დაერთოს ზედ. თუმცა, როგორც დავრწმუნდით, ლობიო აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების ოდენობით ბევრ სხვა მარცვლეულს ჩამოუვარდება, მაგრამ ეს ნივთიერება მას მაინც სრულებით საკმაო რაოდენობით (23,1) გააჩნია. ხოლო მის ღირსებად ის გარემოება უნდა იქმნეს მიჩნეული, რომ მას ცხიმებიც, ხანჭკუალას შემდგომ, ყველაზე მეტი აქვს (2,8), ნახშირწყლების დიდი მარაგიც (50,0) მოეპოვება და თანაც მოუნელებადი ქსოვილების, ცელულოზის, სიმცირის გამო (3,8) ადამიანის სხეულს შეთვისების პროცესს არ უძნელებს. ამ უკანასკნელი თვისებით ლობიო ყველა პარკოსნებს სჯობია. ამგვარად, ქიმიური შედგენილობის ზემოაღნიშნული გარემოების წყალობით, ლობიო, ვითარცა ცილოვანი, ნახშირწყლოვანი და ცხიმოვანი ნივთიერების საკმაო ოდენობის ერთად შემცველი მარცვლეული, კეთილშეზავებულსა და სხვებზე უფრო ადვილად მოსანელებელ საკვებს წარმოადგენს.

§ 15. პარკოსან მარცვლეულთა გავრცელების ასწვრივი ზოლები და ამ გარემოების მნიშვნელობა ცერცვნაირთა, ხნდურნაირთა და ოსპისაგან მაღალ არეებში ლობიოსთვის მეტოქეობის ასახსნელად.

ლობიოს ზემოაღნიშნული უპირატესი თვისებებისდა მიუხედავად, საქართველოს სასოფლო მეურნეობაში მიწისმოქმედს დანარჩენ პარკოსანთა მოყვანისათვის მთლად თავი არ დაუნებებია: მათი გავრცელების არეა მხოლოდ ძალზე შემცირებული. მომეტებულ მათგანს ამ უკანასკნელი გარემოების გამო ეკონომიკაში უკვე მცირე ადგილი-ღა უკავია. მაგრამ ეს მხოლოდ ბარზე ითქმის. მთაში ამ მხრივ არსებითად განსხვავებული ვითარებაა, რომელიც დანარჩენ მარცვლეულთა კულტურის გარკვეულ სამეურნეო პირობებში შერჩენის მიზეზის გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს.

საქმე ის არის, რომ პარკოსან მარცვლეულთა ასწვრივი გავრცელების არე სხვადასხვა წარმომადგენელთათვის სხვადასხვა-ნაირია. ხანჭკუალას, ძაძასი და

შაშა-ლობიოს გავრცელების არე ზღვის დონითგან 2000—2500 ფუტზე მაღლა ვერ ადის, მუხუდო მარტო 3000 ფუტამდე ხარობს, ლობიო და ბაკლა 3500—4000 ფუტამდე აღწევს და ცერცვი, ცერცველა, ოსპი და ხნდურნი, ანუ კულტურული და გარეული ბარდა, უგრეხელი და, ვგონებ, ცულისპირაც 5000 6000 ფუტამდე გვხვდება (ლ. დეკაპრელევიჩის Мат. по изуч. бобовых Грузии, 139 და 137).

ამ გარემოებითგან ჩანს, რომ **საქართველოს მაღლობი თემების მცხოვრებთათვის პარკოსანთა უძველესი ჯგუფი, ცერცვი, ცერცველა, ოსპი და ხნდური და ხნდურნაირნი**, იმავე დროს უცილობლად ყველაზე გამძლე და ერთგულ **საკვებად გამომდგარან, რათგან 3500—4000 ფუტს ზეით ადამიანს ლობიოც ჰღალატობს:** მას რომ ცერცვი, ოსპი და ხნდურნაირნი არ ჰქონოდა, მცენარეული ცილოვანი ნივთიერების საკვებიც არ ექმნებოდა. სწორედ **ამით აიხსნება, რომ მათი მოყვანა ფართოდაა მაღლობ ადგილებში გავრცელებული და ლობიოს მათთვის არავითარი მეტოქეობის გაწევა არ შეუძლია.**

მოსავლის აღება და დაუნჯება.

თავი I. მოსავლის აღება.

§ 1. მკა და თიბვა.

თესლ-მარცვალ-მომაგრებულსა და დასრულებულ მცენარეს „**წარმოდგომილი**“ ეწოდებოდა, ე. ი. იმას, რაც თანამედროვე ქართულში „შემოსულს“ უძახიან. ძველად ეს უკანასკნელი ტერმინი არ გვხვდება, არამედ „წარმოდგომილი“, რომელიც საღმრთო წერილის ქართულ თარგმანშივეა ნახმარი. დაბადებაში აღნიშნულია, რომ სეტყვისაგან „სელი და ქრთილი იგუემა“ ე. ი. დაისეტყვა, „რამეთუ ქრთილი წარმოდგომილ იყო და სელი თესლოოდა“-ო (გამოსლვათაჲ 9_{31-32}). ბერძნულად ამას უდრის ἡ γὰρ κριθὴ παρεστηκυῖα, ლათინურად hordeum esset virens და სომხურად *գարին յոտն կայր*. „**წარმოდგომილი**“ მნიშვნელობით მოსალოგინებლად გამზადებული ფეხმძიმე დედაკაცის გამომხატველ ძველ ტერმინს „**მიდგომილ**“-ს ენათესავება.

როდესაც მცენარის მარცვლეული დასრულებულ-მომწიფებული იყო, მაშინ უნდა მცენარეთა მოკრეფა დაწყებულიყო. ამ მოქმედებას ძველადაც ეწოდებოდა „**მკაჲ**“: „წარვიდა რუბენ დღესა ზაფხულსა **მკისასა**“ (შესაქმეთაჲ 30_{14}), „**ჟამსა მკისა იფქლისასა** (მსაჯულთაჲ 15_{1}), „იფქლი მწიფე ჟამსა შინა **მკისასა**“ (იობისი 5_{26}), „იყოს წ̃წ̃რ **მკისა**, ოდეს . ., მოიხუნეს ხევნები მცირენი **მანგლითა** და **რტონი მიუხუნეს და აღმოჰფხრნეს**“ (ესაიაჲსი 18_{5}). ყველა ამ ადგილების შესატყვისად ბერძნულად ὁ θερισμός და θερίζω „თერისმოს“ და „თერიძო“, ხოლო ლათინურად messis და სომხურად *հունձք*—„ჰუნძქ“-ი უდრის.

თუ იმ დროის აღნიშვნა ჰსურდათ, როცა მოსავლის შეკრეფა იცოდენ, მაშინ იხმარებოდა „**ჟამი მკისაჲ**“.

საქ. ეკონ. ისტორიის პირველ წიგნში უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ქართულში თიბვისაცა და პურეულ-ქრთილეულის მკის დროც აღბეჭდილია თვეე-

ბის სახელების სახით და, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს სიტყვით, ივლისს თიბათვეს უწოდებდენ, ხოლო აგვისტოს — მკათათვეს“ (იხ. I², 290). მაშასადამე, ძველად პურეულის მკა სწორედ აგვისტოში იყო ხოლმე.

რათგან ქერი უფრო ადრე მწიფდებოდა და მოდიოდა, ამიტომ „ᲛᲙᲐᲲ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ“ და „ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘ ᲛᲙᲘᲡᲐᲲ“, მკის დასაწყისი, სწორედ ქერის მომკით იწყებოდა ხოლმე· „მოსწყუდნეს დღესა შინა მკისასა პირველსა დასაბამსა ქერისა მკისასა“-ო (2 მეფეთა 21₉). ბერძნულად აქ ნათქვამია ἐν ἡμέραις θερισμοῦ ἐν πρώτοις, ἐν ἀρχῇ θερισμοῦ κριθῶν, ლათინურად in diebus messis primis, incipiente messione hordei და სომხურად *յաւուրս հնձոց յառաջաւոր՚ի սկիզբան հնձոց գարեաց.*

ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს მცენარეულობის შეგროვებასთან დაკავშირებულ მუშაობის აღსანიშნავად ორი ტერმინი მოეპოვება: ᲛᲙᲐ და ᲗᲘᲑᲕᲐ. მისი განმარტებით „მკა ყანის მონამგლვა“ არის და ამის საბუთად ქართველ ლექსიკოგრაფს სამართლიანად ე ს ა ი ა ს ზემომოყვანილი ადგილი აქვს დასახელებული. ხოლო ს ა ბ ა ს ი ვ ე სიტყვით „თიბვა მოცელვა“-ა (ლექსიკ.). ამ შემთხვევაში-კი მას თავისი განმარტების სისწორისათვის დაბადების, ან სხვა რაიმე ძეგლის რომელიმე ადგილი არ დაუმოწმებია. ამგვარად, მკა ნამგლით მუშაობას და მცენარის მოჭრას ჰნიშნავს, თიბვა კიდევ ცელით.

§ 2. პურეულ-ქრთილეულის მოკრების მიზნის სხვადასხვაობა დროთა განმავლობაში.

თავდაპირველად ადამიანს პურეულის მოკრების დროს მხოლოდ მისი თავთავის შეგროვება აინტერესებდა. პურეულის ჩალა მას არ სჭირდებოდა, რათგან საქონლის საკვები ბალახი ისედაც ბევრი იყო. მხოლოდ შემდეგში, მოსახლეობის გამრავლებასა და მკვიდრი ბინადრობის მოკიდებასთან ერთად, პურეულის ჩალის გამოყენებაც აუცილებელი შეიქმნა.

ამგვარად, მოსავლის მოკრების დროს თავდაპირველად მუშაობა უფრო მარტივი იყო და არსებითად თავთავების მოწყვეტას წარმოადგენდა. შემდეგ ხანაში-კი საქმე შედარებით უფრო გართულდა და თავთავთან ერთად ღეროც უნდა ყოფილიყო შეგროვებული.

როგორც ვიცით პურეულის მცენარე ფესვ-ძირისა, ღეროსა, ანუ „ᲬᲣᲔᲚᲘ“-სა და თავთავის, ანუ „ᲙᲣᲕᲘᲚᲘ“-საგან შესდგებოდა (იხ. საქართ. ეკონ. ისტ. I², 277 — 280). წუელი ერთად ერთი ტერმინი იყო ძველი სამწერლობო ქართულში პურეული მცენარის ღეროს აღსანიშნავად. მაგრამ ეს სიტყვა მარტო სამწერლობო ქართულის კუთვნილება არ ყოფილა.

ჭანურში ეხლაც პურეულის ღეროს, თვით სიმინდისაც-კი, „ᲬᲣ“ ეწოდება (ვიწ., რიზ.: ჭ. გ. 222). აქ რომ „წუელი“-ს ბოლოშეკვეცილი ფორმაა, ეს სრული უეჭველობით საბძელის აღმნიშვნელი ჭანური სიტყვით „ᲝᲬᲣᲐᲚᲔ“-თი მტკიცდება, რომელიც სა·წუელ-ეს (ო-წუალ-ე) უდრის და ჰნიშნავს. აქ, მაშასადამე, ეს ტერმინი სრულად არის დაცული „ᲬᲣᲐᲚᲘ“-ს სახით, ცალკე სიტყვად ხმარების დროს·კი მას ბოლოკიდური „ალი“ ჩამოსცლია და მხოლოდ-ღა „ᲬᲣ“ დარჩენილა.

ამნაირად, თავდაპირველად ადამიანი საკვები მცენარეების „კუვილის“ მოკ-

რეფაზე ზრუნავდა. მხოლოდ შემდეგში „წუელი"-ს შეგროვებასაც შესდგომია და ხან თავთავთან ერთად, ხან ცალცალკე ღეროსაც და თავთავსაც მიეზიდებოდა საყანურითგან.

§ 3. საკვები მცენარეების მოკრების წესები სხვადასხვა ხანაში.

საკვები მცენარეების მოკრების წესიც სხვადასხვა-ნაირი იყო უძველეს ხანაში და შემდეგში. პირველად ადამიანი ხელით ჰგლეჯდა თავთავებს და დაფშვნეტის შემდგომ მარცვლებს ხჭამდა დაუმუშავებლივ. შემდეგშიც, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგ. დამშეული ადამიანი, ასევე მარტივი საშუალებით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას. ერთი ასეთი შემთხვევა მ ა თ ე ს ა ც აქვს 12_1-ში აღწერილი. მისი ცნობით, ერთხელ „წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა, ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია და იწყეს მუსრვად თავსაკუვილისასა და ჭამად"-ო.

თავთავის მოწყვეტას და მარცვლების გამოფშვნეტას აქ, მაშასადამე, „მუსრვა" ეწოდება, რომელიც ტეხვასა და სრესას ჰნიშნავს.

შემდეგში, დროთა განმავლობაში თავთავის ხელით მოწყვეტის მაგიერ, თითების დაუზიანებლივ დასაცავად, მაკრატლის მსგავსად გამართული ხის ხელსაწყო შემოუღიათ, რომლითაც ღეროს თავთავებს მოამტვრევდენ ხოლმე და კალათებში აწყობდენ.

ასეთი ხის ხელსაწყო, „შნაკვი"-ს სახელით ცნობილი, ეხლაც-კია რაჭაში დაცული და ასლის ზანდურის ჯიშის მოსავლის მოსაკრებად იხმარება. მისი აღწერილობა „საქ. ეკონ. ისტორიის" I$_2$, 345-ზე გვქონდა მოყვანილი და აქ ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტი იქმნებოდა. ამ წესის სიძველეს თვით ხელსაწყოს პრიმიტიულობა, ხის ორი ჯოხისაგან თოკით გადაბმული მაკრატლის მსგავსი იარაღიც, საკმაო სიცხადით ამჟღავნებს.

როდესაც ადამიანის მეურნეობაში წუელსაც, მცენარის ღეროსაც, მნიშვნელობა მიეციჭა, ვითარცა სახლებისა და ქოხების დასახურავად გამოსადეგ მასალას, ანდა ვითარცა საქონლისათვის კარგ საკვებს, პურეულ-ქრთილეულის მთლიანად გამოყენება დაიწყეს. მაშინ მოსავლის მოგლეჯა შემოვიდა, წეხად და მცენარის „მოთხრა"-ც, ანდა მოჭრაც დაიწყეს.

მოგლეჯის წესი მე-XIX ს-შიც იყო საქართველოში აქა-იქ დაცული და ეხლაც არსებობს ზოგან. ბარად მოსავალს მხოლოდ იმ შემთხვევაში-ღა ჰგლეჯდენ და ჰგლეჯენ, თუ ყანა დაბალტანიანი გამოდგება ხოლმე. მთაში-კი, მაგ. თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და შთიულეთში მოსავლის მოგლეჯა ხშირია (იხ. МИЭБГКЗК V, ნაწ. I, გვ. 447 და Свод МИЭБГКЗК IV, გვ. 324—325).

ხულ ბოლოს ხორბლეულ-ქრთილეულის ის მოსაჭრელი იარაღი ნამგალიც იყო გამოგონილი, რომელიც ეხლაც არსებობს.

§ 4. მცენარეულის მოსაჭრელი იარაღის ისტორია: ნამგალი და ცელი.

ებრაელებს სასოფლო მეურნეობაში ცელი არ ჰქონიათ და პურეულისა და ბალახის მოსაჭრელად მხოლოდ ნამგალსა ჰხმარობდენ (Socin „Sense: Gu-

the Bibelwör.). ამიტომ არც მოსალოდნელია, რომ „ცელი“ დაბადების ქართულ თარგმანში ნახმარი იყოს. ლ უ ტ ე რ ს 1 სამუელის, ანუ მეფეთა 13_{20}-ის თარგმანში ნახმარი აქვს Sense, ე. ი. ცელი, მაგრამ Socin-ს აღნიშნული აქვს, რომ ებრაულად იქ სახვნელის აღმნიშვნელი სიტყვა მოიპოვება (იქვე).

ძველ საბერძნეთშიც მკა მხოლოდ მოხრილი ნამგლით იცოდენ, რომელსაც δρεπάνη ეწოდებოდა. ცელი იქ არ არსებობდა (Dr. Jwan von Müller, Die griechische Privat—und Kriegsaltertümer 1893 წ. München; HKAW. IV, 1,, გვ. 237).

Orth-ის სიტყვით **რომაელები ნამგლით** (der Sichel, falx) **მკიდენ, ხოლო** ცელს (die Sense, falx foenaria, veruculata) **ბალახის გასათიბად ხმარობ**დენ. ამასთანავე ორნაირი ნამგალი ჰქონდათ: ერთი ძალზე მოხრილი იყო და პატარა ტარი ჰქონდა. ასეთ ნამგალს falx stramentaria-ს, ან messoria-ს, ე. ი. „**სამკალ ნამგალს**“ეძახდენ. მეორე ნამგალს ხერხივით დაკბილული პირი ჰქონდა და ამის გამო falx denticulata „**დაკბილული ნამგალი**“ ეწოდებოდა (Orth, Getreide: Paulys RE VII, 1348—1349).

H. Blümner-საც აღნიშნული აქვს რომ ხმარობდენ, თუ არა რომაელები ცელს პურეულის მოსაჭრელად, ცნობები არ მოიპოვება. ასეთი იარაღისათვის რომაელებს განსაკუთრებული სახელი არც გააჩნდათ. მაგრამ თვით ცელის არსებობას იმდროინდელი რკინის ცელის აღმოჩენილი ნაწილები ადასტურებენო. ისიც ფიქრობს, რომ მისი სახელი უნდა ყოფილიყო falx foenaria (Die römische Privataltertümer 569 და შენ. 1), ე. ი. სათივე ნამგალი. ეს სახელი სწორედ Orth-ის მოსაზრებას ადასტურებს და ცხად-ჰყოფს, რომ იგი ბალახის მოსაჭრელად ყოფილა მართლაც განკუთვნილი. ამასთანავე ხეხილისა და ვაზის გასასხლავ იარაღსაც falx putatoria, ე. ი. გასასხლავი ნამგალი ეწოდებოდა (H. Blümner, Die römische Privataltertümer 568 შენ. 3).

დაბადების ქართული თარგმანის ტერმინოლოგია გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად და, ვგონებ, იმ ხანაშიაც, როდესაც ძველი და ახალი აღთქმა ქართულად ითარგმნებოდა, როგორც მარცვლოვანი საკვები მცენარეულობისა, ისევე საქონლის საჭმელი ბალახის მოხაკრებად მკა ყოფილა მიღებული. ეტყობა, იმ დროს საქართველოშიაც მხოლოდ ნამგლით მუშაობდენ, მაგ. „რაჲ ჟამს იწყო მანგლისა საქმე მკათა“ (მეორე შჯულისაჲ 16_{9}) = ἀρξαμένου σου δρέπανον ἐπ' ἀμητὸν ἄρξῃ, ab ea die, qua falcem in segetem miseris და *'ի սկսանելոյ մանգաղի քոյ յոն*,—„მოსპეთ თესლი ბაბილონისაგან მპყრობელი **მანგალისაჲ, ჟამი მკისა**“ (იერემიასი 50_{16}). მკა ნამგლით სწარმოებდა.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ თივის შესახებაც იგივე ტერმინია ნახმარი: „ᲛᲝᲙᲛᲐᲔ ᲗᲘᲕᲐ და **შეკრიბე თივა მაღნარიხანი**“ (იგავნი სოლომონისანი 27_{25}). ბერძნულადაც ნათქვამია κεῖρε χλόην καὶ σύναγε χόρτον ὀρινόν, ლათინურად სხვანაირადაა = collecta sunt foena de montibus, სომხურად-კი ასეა *Հնձեսջիր զխոտ և ժողովեա զխոտ լերանց*. ქართული „ᲗᲘᲕᲐ“ ძველად, როგორც ვიცით (იხ. საქ. ეკონ. ისტ. I², 270—281), ნედლ ბალახს ჰნიშნავდა და მოთიბულ, ხმელ ბალახს (foenum, ან fenum) ალბათ ისევე, როგორც თანამედროვე მეგრულსა და ჭანურშია, **ხმელი თივა** ერქმეოდა.

ὁ ἄμητος ჰო ამეტოს და ἀμάω „ამაო“ სამკალს, ნამკალსა და მკასა ჰნიშნავს, ხოლო κείρω კეირო და *Հնձել* ჰძნელ-იც მომკას და მოჭრას ეწოდებოდა.

სოლომონის იგავთაგან მოყვანილი უკანასკნელი მაგალითი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ „ჭივა“-ს, ანუ ძველი ქართული მნიშვნელობით, ბალახს ეხება და აქ, მერმინდელი და თანამედროვე თვალსაზრისით, სწორედ ტერმინი თიბვა იყო მოსალოდნელი. ამ ზმნის მაგიერ-კი დაბადების ქართველ მთარგმნელს ტერმინი „მკა“ უხმარია. ამ გარემოებისდა მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ მაშინ ტერმინი „თიბვაჲ“ ჯერ მიღებული არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ დაბადების დედანსა და ბერძნულ ტექსტში ზმნად „მკა“-ა ნახმარი და ქართველ მთარგმნელს ამ ადგილების გადმოცემის დროს რომ სიტყვა-სიტყვითი თარგმნის წესი ემჯობინა, უნდა სწორედ „მკა“ ეხმარა. მაგრამ საქმე ის არის, რომ სხვა შემთხვევებში ქართველ მთარგმნელს დედნის შინაარსი თავისუფლად, საქართველოში მიღებული ტერმინებით, აქვს ხოლმე გადმოცემული. ამიტომ საფიქრებელია, რომ აქაც, მაშინ ეს სიტყვა რომ ყოფილიყო, მკის მაგიერ თიბვას იხმარდა.

ამ თვალსაზრისით სიგულისხმოა, რომ ჭანურსაც „ცელვა“-ს ფონეტიკური შესატყვისობა არ გააჩნია და ამ ცნების გამოსახატავად „ჭრა“ ზმნა იხმარება. მაგ. ბალახს ვთიბავ ჭანურად იქმნება „თიფუ ბჭკირუფ“ (ქ. გ.), რაც არსებითად ჰნიშნავს ბალახს (თივას) ვჭრიო.

სვანურადაც სახელზმნა „ცელვა“-ს აღსანიშნავად სულ სხვა ძირის სიტყვებია: „ხვაკცე“, „ხვაწჷრხი“, „ხვასჷრბე“, „ხვჷჭმე“, „ხვäმჷრჩილი“ იხმარება (იხ. ნიჟარაძე р.-с. сл.: серп, жатва, коса, косить,).

§ ŏ. სამკალზე მუშაობა.

მარცვლეული მცენარეულობა რომ დასრულდებოდა, მოვიდოდა და აკრეფის მეტი არა აკლდა რა, ასეთ ყანას „სამკალი“ ერქვა: ცეცხლმა „მოწვას კალო, ანუ ყანა სამკალი“, ნათქვამია გამოსვლათა 22_6-ში,—ან კიდევ „არა მოასრულოთ სამკალი იგი თქუენი ქუეყნისა თქუენისა მომკად და რომელი დაცჳოდეს სამკალისა თქუენისა, არა შეკრებოთ“-ო (ლევიტელთაჲ $19_{9,11}$). ბერძნულსა და სომხურს აქ ქართულსავით განსაკუთრებული ტერმინი-კი არა აქვს, არამედ იგივე ὁ θερισμός „ჰო თერისმოს“ და հունձք „ჰუნძქ“, რომელიც მკასა ჰნიშნავს. ამ მხრივ დაბადების ქართველ მთარგმნელს სამეურნეო ტერმინოლოგიაში უფრო მეტი გამოსადეგი მასალა უპოვია და ისეთი ტერმინი უხმარია, რომელიც მისი სამშობლოს სასოფლო მეურნეობის კულტურამ ამ ცნების გამოსახატავად შექმნა. ლათინურადაც ნახმარია seges, რომელიც სწორედ მოუმკალ ყანას, „სამკალ“-ს უდრის და ჰნიშნავს.

ნათესის მომკრელს „მომკალი“ ერქვა და ღირსებისდა მიხედვით კარგ მმკელს „კეთილად-მომკალი“ ეწოდებოდა.

გ. მერჩულს ერთი მაშინდელი გახურებული მკის სურათი აქვს აწერილი: ეპიფანე ბერი დიდ აბულასადთან მისულა „ჟამსა მკისასა“ და ხანძთის მონასტრისათვის ქონებრივი დახმარება უთხოვია. აბულასადს ნება მიუცია მონასტრისათვის წაეღო, რასაც ძმანი ერთი დღის განმავლობაში მომკას შესძლებდენ. აბულასადს რომ ეს განკარგულება თავისი ცოლისათვის დაუტოვებია, თითონ საქმეების გამო სხვაგან გამგზავრებულა. „ხოლო ეპიფანე შეკრიბნა ძმანი თჳსნი კეთილად-მომკალნი და მიიწინეს გუნათლეს სიტყჳსაებრ პირველთქუმუ-

ღისა და იწყეს მკად კეთილსა ყანასა ვიდრე განწოგებადმდე დღისა მის (ე. ი. შუადღემდე) ფრიადითა გულსმოდგინებითა. ხოლო კაცთა ვიეთ[თა]მე უკეთურთა აუწყეს დედუფალსა თჳსსა, ვითარმედ სრულიად მოჰმკიან ვიდრე მწუხრადმდე იფქლსა მას ფრიად კეთილსა. ხოლო შეიურვა და მიავლინა კაცი, რაჲთა არღარა მკიდენ. და ეპიფანე ძმათა მათ ეშორა და მივლინებულსა მას არ უსმინეს. ხოლო მან რისხვით სხუანი კაცნი მიავლინნა და მძლავრებით განასხნეს ყანისა მისგან"-ო (ც˝ჲ გ˝გლ ხნძ˝ელსჲ გვ. ნა).

აბულასადი რომ ერთი დღის სამკალის მონასტრისათვის მიცემას შეჰპირებია, მას ჩვეულებრივი მომკალნი უგულისხმია. მაგრამ ბერს ეს შეპირება თავის საუნის სასარგებლოდ გაუგია, თუ გამოუყენებია და ისეთი მარჯვე და სწრაფად მომუშავე მომკალი მონაზონები მიუსხამს, რომ შუა დღემდის მათ იმდენის მომკა მოუსწრიათ, რასაც ჩვეულებრივი მომკალი მთელ დღეს მოუნდებოდა.

თავი II. ნამკალის ერთეულები.

§ 1. ზ ვ ი ნ ი.

მომკილ მცენარეს ან უბრალოდ შეუკრავად აგროვებდენ, ან, მეტადრე როდესაც ადამიანის საკვები იყო, ჰკრავდენ. ასეთი შეკრული ნამკალის ერთეულები, რასაკვირველია, შემდეგში, დროთა განმავლობაში გაჩნდა, როდესაც ადამიანმა საკვები ნათესი მასალის ფასი და მისი გაფრთხილების აუცილებლობა შეიგნო. თავდაპირველად ნამკალი უეჭველია შეუკვრელი იყო ხოლმე.

შეუკრავად შეგროვებულ მომკილს, თუ მოჭრილ მცენარეს „ზვინი" ეწოდებოდა. „ზვინი ყანის ბრჯა" არისო, ნათქვამი აქვს ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს და თავისი განმარტების სისწორის დასამტკიცებლად გამოსლვათა 8_{14} აქვს დასახელებული: ხოლო ბრჯაზე ამბობს, რომ „ერთბაშად ძნეული მდგარი" არისო (ლექ.)

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ დამოწმებულ ადგილას დაბადებაში მართალია „ზვნი" სიტყვა ნახმარია, მაგრამ იქ სრულებით ყანის ზვინზე არ არის საუბარი, არამედ ზვნი დახოცილი ბაყაყების გროვის აღსანიშნავად არის გამოყენებული: „მოსწყდა მყუარი (ე. ი. ბაყაყი) და შეკრიბეს ზვნად-ზვნად"-ო. ბერძნულადაც ნახმარია θιμωνία, ლათინ. agger და სომხ. *կույտ*, რაც მართლაც გროვას, დანაყარს, დაყრილს ჰნიშნავს.

ამგვარად, ირკვევა, რომ „ზვნი" ზოგადად გროვას, შენაგროვების აღმნიშვნელი ყოფილა, რისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი შემდგარი. მართლაც „ზვნი" მარტო მომკილი ყანის გროვის აღსანიშნავად-კი არ გვხვდება შემდეგდროინდელ ძეგლებში, არამედ თვით „ზვინი"-ც ხშირად არის ხოლმე მოხსენებული. ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარში ზვინი ჩვეულებრივ თივისაა დასახელებული.

§ 2. მ ჭ ე ლ ე უ ლ ი.

პურეულის დიდი მნიშვნელობის გამო ადამიანის კვებისათვის ხორბლეულს მოჭრისთანავე ჰკრავდენ ხოლმე, გარკვეული ხანითგან მაინც.

ნამკალის უმცირეს ერთეულს ძველ ქართულ მწერლობაში „მჱელეული“ ეწოდებოდა: სამფსონმა კუდი-კუდზე გადაბმულ და ლამპარ-დამაგრებულ მელიებს ფილისტიმელთა მტრობით „აღუდვა ცეცხლი ლამპრებსა მას და განუტევა იგინი შორის მჱელეულებსა მას ფილისტიმელთა და მოწვა კუეილი ზჳნთაგან“-ო (მსაჯულთაჲ 15_5),—„რაჲ ჟამს . . მომკოთ სამკალი მის ქუეყნისა და მოართვათ მჱელეული პირველისა ყანისა თქუენისა“ (ლევიტელთაჲ 23_{10}). პირველ შემთხვევაში მჱელეულის შესატყვისად ბერძნულად ἡ ἅλων, სომხურად ոռ-ია, მეორე შემთხვევაში კიდევ τὸ δράγμα „ტო დრაგმა“, ლათინ. manipulus spicarum, სომხურად ոլայ, რაც ერთი ხელის მოხვევას, იმას, რაც ერთ ხელში მოიკიდება და დაიჭირება და მცენარეულობის ამდენსავე ოდენობას უდრის.

ამ მხრივ საბა ორბელიანი მართალია, როდესაც ტაბადების დამოწმებით ამბობს, რომ „მჱელეული“ არის „კელეული ყანისა“-ო (ლექს.).

რომ ნამკალი არ დაფანტულიყო, მჱელეულებს ჰკრავდენ. ამისთვის განსაკუთრებული მომუშავენი იყვნენ ხოლმე მიჩენილნი, რომელთაც ეწოდებოდათ შემკურველი მჱელეულთაჲ“: იოსები ეუბნებოდა თავის ძმებს,—„გმონებდ შემკურველად მჱელეულთა თქუენ ველსა შინა“ (შესაქმეთაჲ 37_7). აღსანიშნავია, რომ ბერძნულსა და სომხურ ტექსტებს აქ განსაკუთრებული ტერმინი ამისთვის არა აქვთ და აზრი ზმნით არის გადმოცემული.

§ 3. ძნა და ძნეული.

მომკილი ყანის მჱელეულზე მოზრდილ ერთეულს „ძნა“ ეწოდებოდა.

„ძნა“ ესაიას 17_5-შია ნახმარი: „უკუეთუ ვინ შეკრბენ ძნასა მდებარესა მკლავსა ზედა თჳსსა“-ო. ბერძნულად და ლათინურად ეს ადგილი სხვანაირად არის გადათარგმნილი და თავთავის აღმნიშვნელი სიტყვებია ნახმარი, სომხურად-კი მჱელეულის შესატყვისობა მოიპოვება.

ხოლო „ძნეული“ ისუ ნავეჲს 2_6-ში ბერძნ. ἡ καλάμη-ს, ლათინ. stipula-ს და სომხ. խուրձն-ის შესატყვისადაა. პირველი ორი წუელს, ანუ ჩალას ჰნიშნავს, მესამე-კი შეკვრას. საბასაც ძნა ასე აქვს განმარტებული: „ძნა ყანის კონა“ არისო (ლექსიკ.), ძნეული-კი სრულებით არ მოეპოვება. რაკი „ძნეულ“-ს ფორმანტად განყენებული და შემკრებელობითი მნიშვნელობის მიმნიჭებელი „ეულ“ ბოლოსართი ახლავს, ამიტომ საფიქრებელია, რომ „ძნეული“ უნდა ძნების კრებულს ჰნიშნავდეს, ეხლა რომ ძნის ფებს უწოდებენ ხოლმე ხალხში.

მომკილი ყანის ჩაპნეულ მცენარის მონაკრეფსაც თავისი სახელი ჰქონია და „წერეული“ ჰრქმევია. საბას ამ ტერმინის განსამარტავად რუთის 3_7 აქვს დასახელებული და თანაც ნათქვამი აქვს, რომ „წერეული ყანის ნაკრეფი შეკონვილი“ არისო (ლექსიკ.). ბაქარის გამოცემაში ეს ტერმინი არ მოიპოვება, მაგრამ შინაარსის მიხედვით შესაძლებელია ყოფილიყო და იმ რედაქციაში, რომელიც ორბელიანს ხელთ ჰქონია, ყოფილა კიდევაც.

მკის გათავებას „მოხრულებაჲ“ ერქვა. ებრაელებს სალმრთო სჯული ავალებდათ, რომ ყანის მკა ისე ეწარმოებინათ, რომ რაც „დაცჳოდეს“, დაიპნეს, ის არ „შეეკრიბათ“: „რომელთა მომკონ სამკალი იგი ქუეყანისა მის თქუენისაჲ, არა მოასრულოთ სამკალი იგი თქუენი ქუეყანისა თქუენისა მომკად და რომელი დაცჳოდეს სამკალისა თქუენისა, არა შეკრიბოთ“-ო (ლევიტელთაჲ 19_9-$_{10}$). ეს

ბრძანება ლევიტელთა წიგნში ზნეობრივი მოსაზრებითა და ქველმოქმედების სურვილით არის დასაბუთებული და ნათქვამია, რომ დაცვივნული „გლახაკთა და მწირთა დაუტეო“-ო (იქვე 19_{11}). ამგვარი ჩვეულება საქართველოშიც არის შენახული და შესაძლებელია ქრისტიანობასთან ერთად იყოს შემოსული. მაგრამ შესაძლებელია ამგვარი დარიგება იმაზე იყო დამყარებული, რომ ჩაცვივნული თავთავების ამოკრეფა იმაზე მეტ შრომას მოითხოვდა, ვიდრე ამით შენაძენი ღირდა.

მომკილ ყანას და მიწას, ისევე როგორც სიმინდ-მოჰრილს ადგილს ჰანურად „**მოდული**“ (რიზ.-ხოფ.) და „**მუნდული**“ (ათინ.) ეწოდება (ჭ. ჯ. გვ. 168).

თავი III. კ ა ლ ო ო ბ ა.

§ 1. მარცვლეულის გამოცალკევების სხვადასხვა საშუალება.

თავთავისა, თუ თაველისა, ანდა პარკისაგან მარცვლის გამოსაცალკევებლად სხვადასხვა საშუალება არსებობდა. ზოგიერთი ამ საშუალებათაგანი აღწერილია ესაიას 28_{27}-ში და მისი ქართული თარგმანი მაშინდელი ტერმინოლოგიის გათვალისწინების საშუალებასაც გვაძლევს. იქ ნათქვამია: „**არა სიფიცხითა განიბერტყების სონიჯი, არცა თვალი ურმისა მოვალს ძირაკსა ზედა, არამედ კუერთხითა განიბერტყების სონიჯი**“-ო.

ქართული თარგმანი, ისევე როგორც სომხური, აქ ბერძნული თარგმანის მსგავსად არის გადმოცემული, ლათინური-კი განსხვავდება. ბერძნულსა და მასთან ერთად სომხურსა და ქართულ თარგმანებში ებრაული დაბადების ამ ადგილის შინაარსი მთლად სწორედ არ არის გადმოცემული, არამედ მეტადრე წინადადების პირველი ნაწილია დამახინჯებული. იქ ნათქვამია, რომ სონიჯს კევრის კბილებით, ანუ კოხებით არ ლეწენ, არც სალეწი თვლით ლეწენ ძირაკს, არამედ სონიჯს ჯოხით ჰბერტყენო და სხვა. ამ ადგილითგან ირკვევა, რომ მარცვლეულის თავის ბუდითგან გამოყვანას „**განბერტყვა**“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი, რა თქმა უნდა, უფრო პარკოსანი მცენარეებისათვის არის დამახასიათებელი, ვიდრე ხორბლეულ-ქრთილეულისათვის.

დაბადების ზემომოყვანილი ამონაწერითგან ცხადი ხდება, რომ მარცვლეულის ბუდითგან გამოსაყვანად „**კუერთხითა განბერტყვა**“, ანუ ჯოხით ბეგვა და „**ურმის თვალით**“-ძნის ლეწვა ყოფილა მიღებული. მაგრამ ამის გარდა სხვა საშუალებაც არსებობდა, რომელზედაც უფრო ვრცლად ქვემოთ გვექმნება საუბარი.

§ 2. კ ა ლ ო.

მარცვლეულის თავთავითგან გამოსაყვანად პურეული და ქრთილეული ერთ ადგილას მიჰქონდათ, რომელსაც მაშინაც ეწოდებოდა „კალოჲ“. იერემიას 51_{33}-ში ნათქვამია: „სახლნი ბაბილონისანი ვითარცა კალოჲ“. ხოლო რუთის 3_3-ში სწერია: „შეკრებს ქრთილსა **კალოსა** თჳსსა“-ო. იოველის 2_{24}-ში აღნიშნულია, რომ „აღივსნეს **კალონი** იფქლითა“-ო.

„**კალო**“ უდრის ბერძნ. ἅλων „ჰალონ“-ს, ლათინ. area-სა და სომხ. կալ-ს.

კალოს ჰანურადაცა და მეგრულადაც „კალო“ ეწოდება (ჰ. გ. და მ. გ.)-ვ ანურად კალოს „კალვ“-ს ეძახიან (იც. ნ ი ჟ ა რ ა ძ ი ს р.-с. сл.: гумно).

კალოზე მომუშავეს ადამიანსაცა და პირუტყვსაც „მეკალოე“ ერქვა, მაგ. „არი მეკალოე“ ნახმარია 2 შჯულთა 25₄-ში (= βοῦς ἀλόων-ს, bos terens-ს)-
)

§ 3. მოსავლის ლეწვა.

„განლეწაჲ“ ბერძნ. ἀλόω-ს, ლათ. tritura-სა და სომხ. կալսեմ-ს უდრის. „ლეწვაჲ“ ზმნის ძირითადი მნიშვნელობა მსხვრევა და მტვრევა, ფშხვნაა (შეად. თუნდ ეხლანდელ გამონათქვამსაც „შუშების, კბილების ჩალეწა“-ს, ჰურჰლის დალეწვა-ს) და ეს თვით ამ მუშაობის მიზანსაც კარგად შეეფერება, რამდენადაც თავთავი და წველი, ანუ ღერო უნდა დაფშხვნილიყო და მარცვალი თავთუნ-ბუდეებითგან გამოსულიყო.

მარცვლის ბუდითგან გამოყვანა, როგორც ვიცით, ჯოხების დარტყმითაც იცოდენ და იციან ეხლაც, როდესაც პარკოსანი მცენარეების ნაყოფის დაუნჯებაჰსურთ. ამას ძველად „კუერთხითა განბერტყა“ ჰრქმევია (ესაიას 28₂₇ = ῥάβδῳ ἐκτινάσσω-ს, in virga excutio-სა და գաւազանաւ թափել-ს).

ჰანურს ლეწვის აღსანიშნავად სახელზმნად „ონჯახუ“ გააჩნია, რომელიც იმავე დროს ბეგვასა და ცემასაც ჰნიშნავს (ჰ. გ. 236). ეს სიტყვა „ჯაკუნ“-თან და „ჯაკა-ჯუკ“-თან არის, უეჭველია, დაკავშირებული და ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ჰანეთში პურეულის ლეწვა უფრო ჯოხებით დაბეგვით უნდა სცოდნოდათ.

საკალოო სამეურნეო მუშაობის გამკეთებელს „მლეწველი“ ეწოდებოდა, როგორც სულიერს, ისევე უსულდგმულოს, მაგ. იარაღსაც: „თუალნი ურმისანი მლეწველნი“-ო (ესაიას 41₁₅).

§ 4. ჩ ხ ვ ე რ ვ ა.

ფეტვის, ღომისა და საზოგადოდ პურეულის მარცვალს ჰანურად „ჩხვარი“ (ათინ., ხოფ.), ანდა „მჩხვარი“ ეწოდება (ჰ. გ.: 212—213). მეგრულად ამავე ცნების აღსანიშნავად „ჩხვერი“ (მ. გ. 367) იხმარება, მაგრამ წინათ მეგრულსაც რომ ჰანურის მსგავსი ფორმა უნდა ჰქონოდა, ამას ღომის დაბეგვის აღმნიშვნელი სახელზმნა „ჩხაჩუა“-ც ამჟღავნებს (მ. გ. 367). არსებითად ეს მეგრული ზმნა დამარცვლის აღმნიშვნელი ყოფილა.

§ ც ე ხ ვ ა.

ზოგ მარცვლეულს კილი ისე მაგრა აქვს შეზრდილი, რომ ლეწვითა დაბეგვით მისი გაცლა შეუძლებელია. ამისთვის მარცვლის განსაკუთრებული დამუშავება სჭირდება, რომლის საშუალებითაც მარცვალს ქერქს, ანუ კილს შემოაცლიან ხოლმე. ასეთ სამუშაოსთვის შესაფერისი იარაღიც არსებობდა და თვით მოქმედებასაც სათანადო სახელიც ჰქონდა: ამ მუშაობას „ცეხვა“ ეწოდება.

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, „ცეხვა ცემით მარცვლის ქერქის შე-

მოძრობა“-ს ჰნიშნავს (ლექსიკ.). თვით ეს სახელზმნა **დაბადების თარგმანში** თითქოს არ უნდა იყოს, მაგრამ სამაგიეროდ მის იმ დროსაც არსებობას ამავე ძეგლში ნახმარი ტერმინი „საცეხველი“ ამტკიცებს, რომელიც ს ა ბ ა ს იგავთა 23_{31}-ის დამოწმებით განმარტებული აქვს, როგორც „მარცვალთ საძეგვი“ (ლექსიკ.).

დაბადების ებრაული ტექსტის ეს ადგილი ბერძენ მთარგმნელს ვერ გაუგია და მისგან დამოკიდებული სხვა თარგმანებშიც ებრაული დედნის აზრი დამახინჯებულია. ამათ ჯგუფს ქართული და სომხური თარგმანიც ეკუთვნის. აქ ნახმარი ქართული „საცეხველი“ ბერძნულს τὸ ὕπερον-ს უდრის, რომელიც როდინის საბეგველ ჯოხსა და საერთოდ საბეგველსაც ჰნიშნავს. სომხურად *սան-պաստուն*-ი სწერია. ქართველ მთარგმნელს საქართველოში არსებული იარადის სახელი გამოუყენებია.

საცეხველს მარცვლის დასაცეხვავად ხის ურო ჰქონდა და აქვს ეხლაც, რომელსაც მეგრულად „კაკუტი“, ანუ „კარკუნტი“ ეწოდება (მ. გ.).

თავი IV. მკისა და ლეწვის ტექნიკური საშუალებანი და იარაღები.

§ 1. „მანგალი“, ნამგალი და მისი სახელის თავდაპირველი მნიშვნელობა.

მცენარის მომკრელ იარაღს ძველ ქართულში, ეხლანდელი ნამგლის მაგიერ, „მანგალი“ ეწოდებოდა და ასე იხმარება დაბადების ქართულ თარგმანში (2 მჯულ. 16_9, იერემ. 50_{16}), ბერძნ. τὸ δρέπανον-ის (ჩვეულებრივ ἡ δρεπάνη იხმარებოდა), ლათინ. falx-ისა და სომხ. *մանկաղ*-ის შესატყვისად, და შემდეგშიც. მე-XV ს. ძეგლებში, სიგელ-გუჯრებშიც-კი. ამ სიტყვითგან არის ნაწარმოები ქ. მანგლისის სახელი, რაც, უეჭველია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ეს ძველი ქართული ქალაქი საქართველოში თავისი საუკეთესო ღირსების ნამგლების წარმოებით განთქმული ცენტრო ყოფილა. ეს სიტყვა სომხურშიც ამგვარადვე გამოითქმოდა და იხმარებოდა *մանգաղ* „მანგალ“, ან „მანკალ“ და ფარსის ენაშიც. ასურულად ნამგალს ეწოდება „მაგგელა“, ებრაულად „მაგგალ“ და არაბულად „მინჯალ“. უკანასკნელი სიტყვა F r a e n k e l-ს ასურულითგან ნასესხებად მიაჩნია (Die aramäischen Fremdwörter im arabischen, Leiden 1886 წ., გვ. 133). ხოლო სომხურს „მანგალ“-ს ჰ ჳ ბ შ მ ა ნ ი ასურულითგან ნასესხებად სთვლიდა (AG. I, 311).

ჭანურად ნამგალს ძველი ქართულის მსგავსად „მანგალი“ ეწოდება (ჭ. გ.), მეგრულად-კი „მაგანა“-ს ჰხმარობენ სახელად (მ. გ.).

სვანურად ნამგალს „ნაშდჭჾ“-ი ჰქვია, ხოლო მკას „ლეთიელ“ და „ლეთი“ ეწოდება. ცელს-კი „ლუსდიგვ“ და „მერჩილ“. ხოლო მცელავს „მჷჾმე“-ს ეძახიან.

აღსანიშნავია, რომ ძველ სომხურად *մանգաղ* „მანგალ“ ჰნიშნავს ნამგალსაც და ცელსაც. ამგვარად, მცენარეთა მოსაკრელი იარაღის ისეთ ხანას გვისურათებს, როდესაც ჯერ კიდევ ერთი იარაღი არსებობდა და ცნებაც ჯერ გაორებული არ იყო.

ზემომოყვანილითგან, სადაც სომხური „მანგალ“-ის სადაურობის შესახები

ცნობებია თავმოყრილი, ჩანს რომ ნამგლის სახელის სადაურობა ქართულშიც თითქოს ნასესხებად უნდა გვეგულისხმა, ან იმავე ასურულითგან უშუალოდ, ან სომხურის საშუალებით. მაგრამ, თუ სომხურში „მანგალ“, ან „მანკალ“ მართლაც, უთვისტომოსა და, უცხო სტუმარის მსგავსად, განმარტოებულ სიტყვას წარმოადგენს, ქართული „მანგალი“-ს შესახებ ამის თქმა შეუძლებელია. უკვე ქალაქი მანგლისის სახელი ცხად ჰყოფს, რომ ამ სიტყვას საქართველოში ფესვები ჰქონია გადგმული.

„მანგალი“ ისეთივე მიმღეობის ფორმის შთაბეჭდილებას ახდენს, როგორიცაა „მანჭუალი“, რომელიც, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, „ჩასაყარი ლერსმანი“-ს ძველი ქართული სახელი იყო და „ჭუალა“ ზმნისაგან არის ნაწარმოები,—როგორიცაა „მარწუხი“ გაზი, რომელიც „წუხვა“ ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობაა,—როგორიცაა „მაკრატელი“ სახელზმნებ „კრატუნ“-სა, „კრაჭუნ“-სა და „კრეჭა“-სთან დაკავშირებული.

ამისდა მიხედით „მანგალი“-ც უნდა „ნგლა“, ანუ „ნგალა“ ზმნისაგან ნაწარმოები[1] მიმღეობა იყოს.

სახელზმნა „გლა“, „დაგლა“ და „მოგლა“ (თავისა) ძველ ქართულშიც არსებობდა და ნაწილობრივ ახალშიც არის დაცული.

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, „გლა მცირედ განაყვა“-ს, „დაგლა— დანაყვა“-ს, „მოგლა“-ც იმავე „დანაყვა“-ს ჰნიშნავსო (ლექსიკ.).

რიცხვთა 11_8-ში ნახმარია „მოგლა“ და სხვა თარგმანებთან შედარება ცხად-ჰყოფს რომ, იგი ბერძნულს τρίβω-ს, ლათინ. tereo-სა და სომხურს *[illegible]*-ს უდრის. მაშასადამე, გასრესის, დაფშხვნისა და გაფხვიერების აღმნიშვნელი ყოფილა.

ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ა ც აქვს ზმნა „დაგალვა“ ნახმარი. მე-XIII ს. საქართველოში მომხდარი საშინელი მიწისძვრის აღწერილობაში მას სხვათა შორის ისიც აქვს აღნიშნული, რომ მაშინ მესხეთში „კლდენი სახედ მტვერისა დაიგალნეს“-ო (* 880, გვ. 724).

„სააქიმო წიგნის“ ქართულ თარგმანში ხ ო ჯ ა - ყ ო ფ ი ლ ს ზმნა „გაგლა“ ბევრგან მოეპოვება, მაგ.: „მუშკი და ქაფური ქვათა ზედა გაჰგალონ“-ო, „ტაბაშირი გაგლილი“-ო (ხელთნ. გვ. 161, 80 და სხვ.).

ცხადია, რომ ზემომოყვანილი მოგლა, დაგლა, გაგლაც ფშვნეტას, დაფხვნას, დაფშვნეტასა და გაფხვიერებას ჰნიშნავს.

მაგრამ ამ ზმნის მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწყვებოდა. ძველ ქართულშიც არსებობდა და ეხლაც არის დაცული სიტყვა „გალა“, რომელიც, ს ა ბ ა ს განმარტებით არის „მხალი დაწნული გასახმობლად“-ო (ლექსიკ.).

„გალა“ მეწინავე სადროშოს ძლევნისა და სამასპინძლოს გარიგების წიგნში გვხდება სამარხოს გამოსაღებთა შორის. იქ სწერია: ამა-და-ამ მეკომურმა „ნოჟკა[2] გალა“ ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ანდა სხვა რაოდენობა უნდა მოიტანოსო (იხ. „საქ. ეკონ. ისტორიის I², 52-54).

ცხადია, რომ „გალა“, ვითარცა სტაფილოს, ხახვის, ანდა სხვა მხალის და-

---

[1] თანხმოვანი „ნ“ ბგერის ბუნება განსაკუთრებით არის გამოსარკვევი ისევე, როგორც „მა-ნჭვალი“-სა და „რ“-ს ბუნება „მა-რწუხ“-ში.

[2] „ნოჟკა“-ს რაობის განმარტება იხილე აქვე, მემტილეობის დარგში.

ნაწნავის აღმნიშვნელი, შეუძლებელია „გლა“-ს, ან სრულხმოვნიან „გალვა“-ს იმ მნიშვნელობასთან იყოს დაკავშირებული, რომელიც ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს შემომოყვანილ განმარტებაშიც მოიპოვება. ვერც ფშხვნა და ვერც სრესა „გალა“-ს იმ მნიშვნელობას ვერ მიანიჭებდა, რომელიც მას ჰქონდა და აქვს ეხლაც. საფიქრებელია, „გალა“ უნდა თაეკვეთილი ვნებითი მიმღეობის ფორმის „ნაგალავი“-საგან იყოს წარმომდგარი. ეს ტერმინი, ვითარცა მიწითგან ამოგლეჯილი დანაწნავის აღმნიშვნელი, გვაფიქრებინებს, რომ „გალვა“ ოდესლაც ამოგლეჯისა და მოწყვეტის აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო.

„მანგალი“-კი თავის მხრით, ვითარცა მოქმედებითი მიმღეობის ფორმა „მანჭუალი“-ს მსგავსად, იმ იარაღის აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომლითაც პურეულ ქრთილეულს სწყვეტდენ, ჰგლეჯდენ.

საფიქრებელია, ამავე „ნგლა“; თუ „გლა“ ზმნასთან არის დაკავშირებული, სახელდობრ მის ფონეტიკურ სახენაცვალს უნდა წარმოადგენდეს, სახელზმნა „მკა“ და პურეულის მომძოვი მწერის სახელი „მკალი“-აც. ამ ზმნისაგანვეა ნაწარმოები „ნამჯა“, რომელიც მომკილი ყანის ნაშთის აღმნიშვნელია და ვნებითს მიმღეობასა და ნამკალის ფონეტიკურად შეცვლილ სახეობას წარმოადგენს. ამ ნაირად შესაძლებელია „მანგალს“ ქართულში ეტიმოლოგიაცა და თვისტომნიც საკმაოდ მოეძებნოს ისევე, როგორც მნიშვნელობის განმარტებაც.

„გლა“, როგორც დავრწმუნდით, ფშვნეტას და სრესასაც ჰნიშნავდა და ამასთან უნდა იყოს ალბათ დაკავშირებული მარცვლეულის გასალეწად განკუთვნილი ადგილის სახელი „ქალო“-ც, რომელშიც „კ“ წინანდელ „გ“-ს მაგიერ უნდა იყოს შემდეგში გაჩენილი. ამიტომ „კალო“ შეკვეცილი და შენაცვლებული სახე უნდა იყოს ძველი ფორმისა, რომელსაც, „გალ“ ძირის გარდა, ადგილის აღმნიშვნელი რომელიმე ფორმანტიც უნდა ჰქონოდა. ამნაირად, თავდაპირველად კალო უნდა ისეთი ადგილის აღმნიშვნელი ყოფილიყო, სადაც მარცვლეულის თავთავისა და წველის „გაგალვა“, გამოფშვნეტა, „ლეწვა“ სწარმოებდა.

§ 2. ცელის შემოღების ხანა.

„ცელი“, როგორც დავრწმუნდით, თავდაპირველად არ იხმარებოდა. დაბადების ქართულ თარგმანში თიბვის მაგიერაც მკაა ნახმარი. გამოსარკვევია ამიტომ ცელის საქართველოში გაჩენის ხანა და სადაურობა.

რაკი-თიბვის მაგიერ დაბადების ქართულ თარგმანში მკაა ნახმარი, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ იქ არც „ცელი“ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი თავის განმარტებაში, რომ „ცელი ბუნ-გრძელი სათიბელი“ არის, საბუთად მეფეთა I წიგნის 13_{20} ასახელებს. მართლაც, ბ ა ქ ა რ ი ს გამოცემაში ნათქვამია: „ვიდოდეს ყოველნი ძენი ისრაელისანი უცხოთესლთადმდე მჭედლობად თჳთეული თჳსისა მანგლისა და ჭურისა მათისა და კაცად-კაცადი ცულისა თჳსისა და ცელისა თჳსისა. და მომსთულელნი ყოველნი ჭურჭელსა მოისწრებდენ მკისასა ცულნი და ცელნი“ (1 მეფეთა 13_{20-21}). მაგრამ დაბადების ბერძნულ და სომხურ ტექსტებთან შედარებით ირკვევა, რომ ამ ადგილას მხოლოდ τὸ δρέπανον, *մանգաղ* ნამგალი და ἡ ἀξίνη „ჴე აქსინე“, ლათინურადაც vomer სახნისი, ligo—წერაქვი, securis—ცული, sarculum—თოხი და tri-

dens სამთითია. სომხურად *փայտհատ, կացին* „ფაატჰატ“, „კაცინ“ ე. ი. ცული. ამიტომ საფიქრებელია, რომ ცელი ქართულ ტექსტში მერმინდელი ჩანართი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ქართულად სიმბოლურ ნახატებსა და შედარებებშიაც ცელის მაგიერადაც, როგორც ჩვეულებრივ სიკვდილი არის ხოლმე წარმოდგენილი, „მანგალი ხასიკუდინე“ იხმარებოდა. მაგ. ბარათა ქაჩიბაისძის 1447—1459 წ. შეწირულების წიგნის კრულობითს მოწმობაში ნათქვამია: ვინც ამ შეწირულების წიგნს დაარღვევს, „მას ზედაცა მოიწევის მანგალი იგი ხასიკუდინე“-ო (ისტ. საბ. III, 37_{33-34}). რაკი ცელი თავდაპირველად არც ძველ საბერძნეთში და არც საქართველოში არ ჰქონიათ, თავისდა-თავად იბადება საკითხი, თუ როდის და საითგან უნდა იყოს „ცელი“ ჩვენში შემოსული? ამ საკითხზე ხელმიწევნითი პასუხის ამჟამად მიცემა შეუძლებელია, რათგან ძველი მე-VII-IX სს. ძეგლები ცოტაა გადარჩენილი და, თითო-ოროლას გარდა, არც გამოცემულია. მხოლოდ გ. მ ე რ ჩ უ ლ ი ს თხზულებითგან მაინც ჩანს, რომ მე-IX ს. თიბვა უკვე ჩვეულებრივი ტერმინია. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცელი ამაზე უწინარეს უნდა იყოს შემოსული. მას ნათქვამი აქვს, რომ შავშეთ-კლარჯეთის მონასტრების მიდამოებში „სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთით არა არს“ (ც̃ჲ გგ̃ლ ხნძთ̃ლსჲ გვ. ი̃ზ), „მათ შინა არა არს“ სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საკნავი“ (იქვე გვ. კ̃დ), სხვაგან-კი სათიბელი ადგილები ყოფილა.

„ცელვა“, რასაკვირველია, ნასახელარი ზმნაა, ამიტომ „ცელის“ ეტიმოლოგიისათვის მისი გამოყენება არ შეიძლება. ცელს ქართულ სამწერლობო ენაში თვისტომნი არ უჩანან, ჯერჯერობით მაინც.

ჰანურად ცელას „ონჩალუ“-ც (ხოფ.: ჭ. გ. 209) ეწოდება და „ონცალუ“-ც (ათინ.: იქვე 214). ამავე ცნებისათვის გვხვდება მესამე სახელზმნაც „ოპკორუ“ (ვიწ.), ანდა „ოპკირუ“-ც (ხოფ.), რომელიც კრეჭასაც ჰნიშნავს (იქვე 226), არსებითად-კი ჭრას უდრის.

მეგრულად ცელს „ცალი“ ჰქვია. ცელას-კი „ცალუა“ ეწოდება (მ. გ. 369—370).

ამავე დროს „ჩალა“ ჰანურად სიმინდის ხმელ ღერს, ფუჩეჩსა და თივასაც ჰნიშნავს. „ონჩალე“ (ვიწ.) სათივეს, ხელმიწევნით რომ გადმოიცეს, „საჩალე“ ჰქვია. მაგრამ ამისვე აღსანიშნავად „ოწუალე“-ც იხმარება (ჭ. გ. 222), რომელიც პირველზე უფრო ძველი ტერმინია.

„ჩალა“ ს ა ბ ა ს განმარტებით ყანის ნაწველარი“-ა (ლექსიკ.: ღეღწამი), ე. ი. რაც პურეულ-ქრთილეულის წუელი, ანუ ღერო იყო და მოჭრილი თავ-თავ-მოცილებულია. ამგვარად ირკვევა, რომ ამ სიტყვის ჰანური მნიშვნელობა ძველ ქართულისას უდგება, მხოლოდ, ჰანეთში სიმინდის შეტანისა და გავრცელების შემდგომ, პურეულის გამხმარი ღეროს აღმნიშვნელი სიტყვა სიმინდის ღეროს აღსანიშნავადაც გამოუყენებიათ.

ეხლა იბადება საკითხი „ონჩალუ“-სა და „ონცალუ“-ს პირველადობის შესახებ. უკანასკნელი შესაძლებელია ცელვას უდრიდეს და, მეგრული „ცალუა“-ს მსგავსად, ცელისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა იყოს. მაშინ ამ ზმნასაც ცელის ეტიმოლოგიისათვის არავითარი ფასი არა აქვს. შესაძლებელია „ონჩალუ“

იმავე „ონცალუ“-ს ფონეტიკური სახენაცვალი იყოს. მაშინ მასზეც იგივე უნდა ითქვას, რაც „ონცალუ“-ზე.

მაგრამ შესაძლებელია „ონჩალუ“ „ჩალა“-საგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა იყოს და არსებითად აჩალებას ჰნიშნავდეს. ხოლო, თუნდაც რომ „ონცალუ“ „ონჩალუ“-ს მერმინდელ სახენაცვალად მივიჩნიოთ, მაინც „ცელი“-ს ეტიმოლოგიას ამით ვერა ეშველება რა.

ამნაირად, ცხადი ხდება, რომ თუ „მანგალს“ ქართულში თვისტომნი მოეძებნება „ცელი“ პირიქით მარტოდ-მარტოა და მონათესავე არ გააჩნია. ჯერჯერობით არც სხვა ენებში ჩანს. შესაძლებელია მხოლოდ, რომ ქართული ცელი ცოტად მაინც სომხურ ზმნას *ցելում* „ცელემ“-ს ენათესავებოდეს, რომელიც ხეჩას, ხლეჩას, გაწყვეტას, მოშორებას ჰნიშნავდა. ამ ზმნის ფესვს ზოგი ინდოევროპული ენების ფესვს „სკჰელ“, „სკელ“-ს უკავშირებენ (ჰუბშმან, AG. I, 499). მაგრამ საქმე ისაა, რომ სომხურში აქეთგან ნაწარმოები სათიბავი იარაღის სახელი არ მოიპოვება და იქაც ეს ზმნა ობლად არის. პირიქით „ცელემ“ უფრო ნასახელარი ზმნის შთაბეჭდილებას ახდენს და იგიც ცელის ეტიმოლოგიის გამორკვევას ვერ გვიშველის. მაშასადამე, „ცელის“ სადაურობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

§ 3. ცელის შემოღების მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისით.

ნამგალთან შედარებით, ცელს ის უპირატესობა აქვს, რომ მისი რკინა ნამგალივით მოკაუჭებულ-მოხრილი-კი არ არის, არამედ განივად განზიდულს, თავში ოდნავ მოხრილს, პირმჰრელ დიდ დანას წარმოადგენს და თანაც გრძელ ტარზეა წამოცმული. ნამგალი-კი, როგორც ცნობილია, მოკლე-ტარიანი სამეურნეო იარაღია.

თუ ნამგალი, მოკლე-ტარიანობისა და დიდი მოხრილობის გამო, თავისი ძალის მხოლოდ იმ პატარა მანძილზე გამოყენების საშუალებას აძლევდა, რამდენზეც კაცის პერიოდულად გაშლილ-მოზიდული მკლავი გასწედებოდა, ცელის გრძელ-ტარიანობამ, განივად განზიდულმა მჰრელმა დანამ და ორივე ხელით მუშაობამ მას წინანდელზე ერთი-ორად, თუ მეტად არა, უფრო გრძელი რადიუსითა და მთელი სხეულის ლონიერი რხევით თავის მიდამო ნახევარი წრის მანძილზე მცენარეულობის მოჰრა შეაძლებინა. ამის წყალობით მომკელს გაცილებით უფრო სწრაფადაც და ადვილადაც შეეძლო საქმე გაეკეთებინა.

დროის დიდი ეკონომიის გარდა, წინანდელი დამქანცველი წაკუზული მუშაობის მაგიერ, წელგამართული სხეულის თავისუფალი მოძრაობა მთიბავს საშუალებას აძლევდა საქმის გასაკეთებლად გაცილებით ნაკლები ლონე შეელია. ნამგლის მაგიერ ცელის შემოღებამ მიწისმოქმედს საკუთარი ძალის გამოზოგვის საშუალებაც მისცა, მაშასადამე, დროის ეკონომიას ენერგიის დიდი ეკონომიაც ზედ ერთვოდა. ზემონათქვამის შემდგომ თავისდათავად ცხადი იქმნება, თუ რაოდენი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავის დროზე სასოფლო მეურნეობისათვის ცელის შემოღებას.

მართალია, ცელის მოქმედება იმავე დინამიკურ კანონზეა დამყარებული,

რომელზედაც ნამგალია დამყარებული, ახალი, არსებითი ტექნიკური ცვლილებაც არაფერი ყოფილა შეტანილი: დაგრძელებული იყო ძალის მოქმედების რადიუსი, ანუ ტექნიკურად იარაღის ტარი, და, მოკაუჭებული დანის მაგიერ, განხრილი დანა იქმნა გამოყენებული, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ცელის გამოგონების მნიშვნელობა ნათლად წარმოგვიდგება, თუ გავიხსენებთ, რომ კაცობრიობა მრავალი საუკუნეების განმავლობაში უცელოდ მუშაობდა და მუშაობას აუარებელ ზედმეტ ენერგიასა და დროს ალევდა.

§ 4. კევრი და მისი გაჩენის ხანა.

მარცვალის თავთავ-თავთუნისა და პარკისაგან განსათავისუფლებლად გარკვეული ხანითგან „ზანლეწაჲ“ იყო მიღებული (ესაიას 41_{15}), რისთვისაც საამისოდ განსაკუთრებულ იარაღსა ჰხმარობდენ. ქართულად ამ იარაღს „კევრი“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი, ზემოდასახელებული ადგილის ბერძნულში მცდარად გაგების გამო, მისგან დამოკიდებულ ქართულშიც არ გვხვდება. მაგრამ, რაკი თვით ასეთი იარაღი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, კავკასიაში უუძველესი დროის განათხარებშია ნაპოვნი, ამიტომ მისი სახელიც უნდა არსებულიყო. საბას ნათქვამი აქვს, „კევრი სალეწველი ფიცარი“ არისო (ლექსიკ.), მაგრამ უნდა დაემატოს, წვეტიანი ტალის გოხებით, კბილების მსგავსად, ფიცრის ქვედა პირის მთელ სივრცეზე მოჭედილი.

თანამედროვე სოფლის მეურნეს, რომელსაც სალეწავი მანქანები გააჩნია, კევრი, რა თქმა უნდა, სრულებით პირველყოფილი მიწისმოქმედების ნაშთად ეჩვენება. მაგრამ სანამ ევროპული აგრონომია მექანიკურ მლეწავ მანქანას გაიჩენდა, კევრს ადამიანი ასე მედიდურად ვერ უკუ-აგდებდა. იყო დრო, როდესაც კევრის შემოღება სასოფლო მეურნეობაში დიდ ტექნიკურ გაუმჯობესებას წარმოადგენდა.

საკმარისია გავითვალისწინოთ, რომ სალეწი მანქანა (batteuse) პირველად მხოლოდ 1786 წ. იყო შემოღებული შოტლანდიაში Andreuw Meickle-ს მიერ და რომ მანამდე ეს მძიმე მუშაობა უამ-მანქანოდ სწარმოებდა, რომ ნათელი გახდეს, თუ რამდენად ნელი ნაბიჯით მიდიოდა ტექნიკური წარმატება სასოფლო მეურნეობაში.

თუმცა სალეწი მანქანა მე-XIX ს. დამდეგს შოტლანდიითგან შვეციასა და პოლონეთშიც გაჩნდა, მაგრამ ამის შემდგომაც სხვაგან დიდხანს კიდევ უმანქანოდ მიდიოდენ იოლას. თვით ამერიკაშიც-კი იგი 1815 წ. ჯერ ნაკლებად იყო ცნობილი, ხოლო საფრანგეთში სალეწი მანქანა მარტო 1855 წ. მსოფლიო გამოფენის შემდგომ გავრცელდა. რუსეთში და საქართველოში მხოლოდ მე-XIX ს. დამლევსა და მე-XX ს. დამდეგითგან და ეხლა შემოდის. ამიტომ კევრით ლეწვის წესის ძველ საქართველოში ხანგრძლივობა გასაოცარი არ არის.

უფრო საგულისხმოა კევრის ძველ საქართველოში გაჩენის ხანა გვცოდნოდა. ეს საკითხი მით უფრო საყურადღებო, რომ ბევრ ხალხს ასეთი მოწყობილება პურეულ-ქრთილეულის გასალეწად ძველადაც არ გააჩნდა. მაგ. საბერძნეთსა და იტალიაში წინათ ხორბლეულის ლეწვა კალოზე, ან ჯოხებით დაბეგვით, ან საქონლის ფეხქვეშ თელვით იცოდენ მხოლოდ. ელლინისტურ ხანაში აღმოსავლეთითგან შევიდა და გავრცელდა კევრით ლეწვის წესი. კევრს tá

τρίβολα, tribulum, tribula ეწოდებოდა (Orth, Getreide: Paulys R-E VII, 1349). „დაბადებ"-ითგან ჩანს, რომ კევრი გარკვეული ხანითგან ებრაელებსაც ჰქონიათ.

წერილობითი წყაროების დახმარებით ასეთი საკითხის გამორკვევის იმედი, რასაკვირველია, არ შეიძლება ადამიანს ჰქონდეს. სამაგიეროდ ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ნაშთები ეკონომისტ-ისტორიკოსს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ. „ქარ. ერის ისტორიის" I[3] გვ. 11-ზე აღნიშნული მაქვს, რომ ფრანგმა არქეოლოგოსმა დე-მორგანმა ერთ-ერთ საფლავში ჩატანებული კევრი აღმოაჩინა გოხებიანად (იხ. იქვე გვ. 12-ზე ნახატი 8). ეს საფლავი ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის, რომლის ხნიერებაც დე-მორგანის მსგავსადაც ისეთ შორეულ წარსულშიც რომ არ ვიგულისხმოთ და გინდ ქ. წ. მე-X-სად მივიჩნიოთ, მაინც კევრის არსებობის ხნიერება მეტად დიდი გამოდის. ამიტომ ცხადი ხდება, რომ კევრი უხსოვარი დროითგანვე ყოფილა შემოღებული საქართველოში.

თანამედროვე მაღალი ტექნიკური განვითარება ადამიანს საშუალებას არ აძლევს მთელი სიცხადით წარმოიდგინოს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც კევრის გამოგონებასა და გამოყენებას სასოფლო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერებისა და ეკონომიის თვალსაზრისით უნდა ჰქონოდა.

აწინდელი შეხედულებით ამ პრიმიტიულ მოწყობილობას-კი თავის დროს სოფლის მეურნისათვის უუდიდესი სამსახური უნდა გაეწია, რათგან არსებითად კევრით მუშაობა მექანიკური ლეწვის ჩანასახსა და პირველ ნაბიჯს წარმოადგენს.

კევრის მჭრელი გოხების სიმრავლე და მისი მოქმედებისათვის პირუტყვის ძალის გამოყენება მიწისმოქმედს საშუალებას აძლევდა ძნა კალოზე ბევრი ჩაეშალა და ყანაც წინანდელ წესთან შედარებით წარმოუდგენელი სისწრაფით გაელეწა.

კევრით მოქმედების დროს მუშა-ხელის რაოდენობაც მინიმუმამდე მცირდებოდა, წინათ-კი მცენარის გალეწვის მთელი შესაძლებლობა სწორედ ამ მუშა-ხელის რაოდენობასა და მათი მუშაობის ხანგრძლივობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ კევრის გამოგონებას თავის დროზე დაახლოვებით იმდენადვე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვის, რა მნიშვნელობაც მიენიჭა მე-XVIII ს. დამლევს გამოგონილ სალეწ მანქანას.

უბედურება ის იყო, რომ იმ დროს, როდესაც ძნის სალეწი პირველი მექანიკური იარაღი, კევრი, ქართველ ერს, როგორც დავრწმუნდით, უხსოვარი დროითგან ჰქონია, სალეწი მანქანის გავრცელება ჩვენში ასე დაგვიანებით დაიწყო და მიწისმოქმედი უკვე დრომოჭმული იარაღით მუშაობას განაგრძობდა და განაგრძობს ნაწილობრივ ეხლაც.

თავი V. მარცვლეულის მოსავლის გამოყოფა და დაუნჯება.

§ 1. განალეწითგან მარცვლეულის გამოცალკევების საშუალება და იარაღები.

გალეწილი ყანისაგან მარცვლეულის საბოლოო გამოცალკევებისათვის განალეწის განიავება იყო საჭირო, როდესაც „მტუერი განბნეული კალოისაგან" (ოსესი 13_3) ქარს გაჰყვებოდა, ხოლო ბზე და დაგროვილი მარცვლეული ერთი მეორისაგან მოშორებით კალოზე დალაგდებოდა.

განალეწის განიავებისათვის განსაკუთრებული ორი იარაღი არსებობდა, რომელთაგან ძველადაც ერთს „ნიჩაბი", მეორეს კიდევ „ფიწალი" ეწოდებოდა.

მათეს 3_{12}-ში ნათქვამია: ეპყრას „ნიჩაბი კელთა მისთა, განწმინდოს კალოა თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თჳსსა, ხოლო ბზე დაწუას"-ო. ქართული „ნიჩაბი" ბერძნულ τὸ πτύον-ს, ლათინ. ventilabrum-სა და სომხ. հեծանոց ს უდრის. სამივე სიტყვა სანიავებელს ჰნიშნავს ისე, რომ უფრო ფიწალს უდგება, ვიდრე ნიჩაბს, მაგრამ ქართ. მთარგმნელს აქ ნიჩაბი უმჯობინებია.

ს. ორბელიანს დანიელის 2_{44}-ზე დამყარებით განმარტებული აქვს, რომ „ფიწალი თითებიანი ნიჩაბი" არის (ლექსიკ.), მაგრამ დასახელებულ ადგილას ფიწალი არ არის. დაბადების ებრაული ტექსტის მიხედვით „ფიწალი" იერემიას 15_7-ში უნდა ყოფილიყო ნახმარი. ლათინურ თარგმანში ამ ადგილას ventilabrum-ი სწერია კიდევაც, მაგრამ ქართულში აქ „განთესვა"-ა ნახმარი, ისევე როგორც ბერძნულადაც διασπορά არის.

ფიწლის იმ ხანაშიც არსებობას დაბადების თარგმანში ნახმარი სახელზმნა „განფიწლვა" და მიმღეობა „განფიწლული" ამტკიცებს. „განვლეწო და განფიწლნე და ქარმან აღიხუნის იგინი და ნიავმან განაბნინეს იგინი"-ო, ნათქვამია ესაიას 41_{16}-ში. ხოლო იმავე წინასწარმეტყველის 30_{24}-ში სწერია: „კურონი თქუენი და კარნი, მოქმედნი ქუეყანისანი, ჭამდენ ბზესა, აღქმნილსა ქრთილითა განფიწლულითა"-ო. „განფიწლვა"- Λικμᾶν-ს, რომელიც ფიწლით განიავებას ჰნიშნავს,—ლათინ. ventilo-სა და հոսել-ს. ხოლო „განფიწლული"= Διελικμημένος-ს, ventilatus სა და հոսեալ-ს. ამნაირად „ფიწალი" ბერძნ. τὸ πτύον-ისა და ლათინ. ventilabrum-ის შესატყვისობას წარმოადგენდა.

„ფიწალი" მარტო სამწერლობო ქართულის კუთვნილებას არ შეადგენს, არამედ იგი თანამედროვე მეგრულშიც არის დაცული, სადაც „ფირწალი" და „ფირწაი" იხმარება. მაგრამ ოდიშში ამის გარდა ფიწლის აღსანიშნავად „როქა"-ც და „ბჟოროპოტი"-ც იხმარება (მ. გ. 337).

გალეწილი ძნის განსანიავებლად ბერძნები და რომაელებიც ფიწალის მსგავს სამ, ან ოთხ-კბილა სანიავებელს ხმარობდენ (Orth, Getreide: Paulys R—E, VII, 1350).

გალეწილი ძნის განიავების შედეგად მარცვლეული და ყანის დაფშვნეტილ-დაჭრილი ღერო კალოზე ცალცალკე გამოიყოფებოდა ხოლმე. მარცვლის გროვას „ხვავი" ეწოდებოდა ძველადაც ისევე, როგორც გალეწილ მცენარეულს „ბზე".

§ 2. ხვავი და ბზე.

ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს „ხვავი“, რომლის შესახებაც ნათქვამია 2 ნეშტ. 31_6-ის დამოწმებით, რომ „შეგროვილი მარცვალი“-ო (ლექსიკ.), რაც სრულ სიმართლეს წარმოადგენს კიდევაც. მაგრამ ბაქარის გამოცემაში ამ ადგილას დაბეჭდილია: „ხორეულად მრ˝ესა“-ო. ბერძნულში ὁ σωρός-ია, ლათინურში acervus-ი და სომხ. շեղջ, რაც მართლაც ხროვას, ხვავსა ჰნიშნავს. ამიტომ ცხადია, რომ ს. ორბელიანის ხელთნაწერის წანაკითხი სწორეა, ბაქარის გამოცემაში-კი შეცდომა უნდა იყოს. მაშასადამე, „ხვავი“ ბერძნ. ὁ σωρός-სა და ლათინ. acervus-ს უდრიდა.

მარცვლეულის ჩალა რომ გაილეწებოდა, „ბზე“ (მათე 3_{12}) დადგებოდა ხოლმე, რომელსაც საქონელს აჭმევდენ, ან ცარიელს, ანდა „ბზესა, ალქმნილსა ქრთილითა განფიწლულითა“ (ესაიას 30_{24}). „ბზე“ უდრის τὸ ἄχυρον-ს, migma-სა და palea-ს, სომხ. յարդ ს.

ბზეს საქონლის საკვებად ბევრი ძველი ხალხი ხმარობდა, მათ შორის ებრაელებიც, როგორც დაბადების ზემოყვანილი ადგილითგანაც ჩანს, და ძველი ბერძნებიც (იხ. Orth, Getreide: Paulys R—E, VII, 1350).

§ 3. მარცვლეულის დაუნჯების წესები და შესანახი მოწყობილობა.

ხორბლეულისა და ქრთილეულის ხვავს და მოსავალს შენახვა სჭირდებოდა. ამისთვის ყველაზე მარტივი საშუალება, რა თქმა უნდა, ორმოები იყო. მიწაში ამოთხრილ ორმოს სინოტივისაგან დასაცავად ჩალით და ბზით მოჰფენდენ ხოლმე და შემდეგ შიგ მარცვლეულს ჰყრიდენ და ზემოთგან ჰხურავდენ. ასე ინახავდენ ხორბლეულს თვით იტალიასა და რომშიც. ამ ორმოებს რომაელები crobes-ს და speluncae-ს უწოდებდენ. ასეთ ორმოებში მარცვლეული დაუზიანებლივ თურმე ათეული წლის განძავლობაშიც-კი ინახებოდა (Orth, Getreide: Paulys R—E VII, 1351).

ხორბლეულს ორმოებში საქართველოშიც ინახავდენ, თვით მე-XIX და XX სს-შიც-კი და, უეჭველია, ჩვენშიც ეს ძველის-ძველი წესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძველი წერილობითი ცნობები ამაზე ჯერ არსად მოგვეპოვება.

ამის გარდა განსაკუთრებული შენობაც იყო, რომელშიც მოსავალს ინახავდენ ხოლმე. ასეთ შენობას ქართულად „საუნჯე“-ც ეწოდებოდა და „ბეღელი“-ც. როგორც უკვე დავრწმუნდით, მათეს 3_{12}-ში აღნიშნულია, რომ მეურნემ კალოზე გალეწილი და განიავებული „შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თჳსსა“-ო. ქართული „საუნჯე“ უდრის ბერძნ. ἡ ἀποθήκη „აპოთეკე“-ს, ლათინ. horreum ს და სომხ. շտեմարան-ს.

რომაელები, ზემოდასახელებულ ტერმინის გარდა, granarium-საც ხმარობდენ ბეღლის აღსანიშნავად. ამასთანავე, ნოტიო ადგილას ისინი ბოძებზე დადგმულ ნაშენობასაც აკეთებდენ ხოლმე მარცვლეულის შესანახავად, რომელსაც pensilia ეწოდებოდა (Orth, Gerteide: Paulys R-E VII, 1350).

ასეთი ნაგებობა, როგორც ცნობილია, საქართველოში იყო და არის ეხლაც გავრცელებული, მაგრამ ძველ ძეგლებში მისი ხსენება ჯერ არ ჩანს, რაც,

რასაკვირველია, სრულებით შემთხვევითი მოვლენით აიხსნება. სამაგიეროდ „ბელელი" ძველ წყაროებშივე გვხვდება.

„ბელელი" 2 ნეშტთა 32_{29}-ში მოგვეპოვება. ბერძნულსა და სომხურ თარგმანებში (32_{28}) ამის შესატყვისი სიტყვა არ მოიპოვება. მაგრამ ლათინურ თარგმანს-კი მართლაც აქ apotheca აქვს, რომელიც საწყობს, მარცვლეულის საწყობსა ჰნიშნავს. ეს ტერმინი ლათინური-კი არა, ბერძნულითგან შეთვისებულია. დაბადების ამ ადგილის ებრაულ დედანსაც აქ სწორედ ბელელზე აქვს საუბარი და ამგვარად ქართულსა და ლათინურს სწორე თარგმანი ჰქონიათ დაცული.

სურ. 1. ქალწულის ზოდიაკოსა და აგვისტოს, მოსავლიანობის სიმბოლო (ამოღებულია საქ. მუზ. 1188 წ. ხელთნაწერიდან №A—65).

ს. ორბელიანის განმარტებით „ბელელი ფქვლისა და ხუარბლის დახამარხავი", ანუ შესანახია. ხოლო ბელელზე ნათქვამი აქვს, „უმცროს ეწოდება ხალამბარი და მის უმცროს ჯირღლა"-ო (ლექსიკ.).

ბელელთანავე უნდა იყოს წარმოშობილობით „ბელღ"-ც დაკავშირებული, რომელიც საბას სიტყვით „საძნე სასლი"-ს აღმნიშვენლი ყოფილა (ლექსიკ.).

„ხალამბარი" ორნაწილედი სიტყვის შთაბეჭდილებას ახდენს, რომლის მეორე ნაწილად „ამბარი" უნდა იყოს. პირველი ნაწილი ალბათ „ღალა"-ს უნდა წარმოადგენდეს.

„ღალა" არაბულად მარცვლეულის, ბოსტნეულის და სხვანაირ მოსავალს ჰნიშნავს. ეს სიტყვა სპარსულშიც არის შეთვისებული და ქართულშიც, მაგრამ ქართულად მას მნიშვნელობა ოდნავ შეეცვალა. „ანბარ", „ამბარ" საწყობს, შესანახს, საკუჭნაოს სახელია. ამგვარად „ხალამბარი" სპარსულ-არაბული სიტყვა უნდა იყოს, რომელიც, სპარსულ-არაბული „ღალადან"-ის მსგავსად, მარცვლეულის შესანახის აღმნიშვნელი იქმნებოდა.

ბზისა და სხვა პირუტყვთათვის განკუთვნილი საკვების შესანახად მოწყობილ ხის ნაგებობას ჭანურად „ბაგენი“ ეწოდება (ჭ. გ.). ეს სიტყვა, უეჭველია, სამწერლო ქართულში ცნობილი სიტყვის „ბაგა“-ს მონათესავე უნდა იყოს. ს ა ბ ა ს განმარტებითაც ხომ „ბაგად ითქმის პირუტყვთ საზრდელისა დასადებელი (c: ჩასაყრელი) ადგილი (c: + ნაგები იყოს, თუ ძელთაგანი)“-ო.

ზემოაღნიშნულ ტერმინითგან „საუნჯე“ ზოგადი მნიშვნელობის მქონებელი სიტყვა იყო და ყოველნაირ შესანახს ჰგულისხმობდა, მარცვლეულისათვის განკუთვნილს-კი სწორედ ბეღელს ეძახდენ.

ნიკორწმინდელის ცნობებითგან ირკვევა, რომ მაშინ ორნაირი ბეღელი სცოდნიათ: იყო „ბეღელი სადაგი“ და „ბეღელი ხერხული“. მათ შორის, უეჭველია, ნაშენობის ტეხნიკური თვისებების მხრით უნდა ყოფილიყო განსხვავება. ორივე ტერმინი ნიკორწმინდის სიგელში გვხვდება. იქ მაგ. ნათქვამია: ზნაკუას შევქმენ ქვიტკირი ბოსელი და ზედა ხერხული ბეღელი“ :ა:" (ნიკორწ. XI ს. სიგ.: ქკ.-ბი II, 46). „ხოტევს დავდგი ბეღელი სადაგი :ა: და ზედა შველი ხერხული :ა:“ (იქვე II, 47). „შევქმენ საწირეს მარანი მუხისა . . და დავდგი ზედა ბეღელი ხერხული :ბ:“ (იქვე II, 48). „შევქმენ მუხურას ქვიტკირი ბოსელი :ა: და ზედა სახლი და ხერხული ბეღელი :ა:“ (იქვე II, 48—49).

„სადაგი“ სპარსული სიტყვა „სადაჱ“-ი, „სადაგი“ უნდა იყოს, რომელიც მარტივს, უბრალოს, სადას ჰნიშნავს. „ხერხული“-კი, როგორც ჩანს უფრო რთული აგებულების ბეღელი ყოფილა. ტეხნიკურად რით განსხვავდებოდა „ხერხული“ სადაგისაგან, ეს, რასაკვირველია, ხუროთმოძღვრების საკითხია და ამიტომ აქ ამაზე მსჯელობა უადგილო იქმნებოდა. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ თუ „სადაგი ბეღელი“ ქვედა სართულს წარმოადგენდა, რომელსაც ზედ „შველი ხერხული“ ედგა, „ხერხული ბეღელი“ პირიქით ყოველთვის მეორე სართულის ნაშენობად იხსენიება და ან ქვითკირის ბოსელზე, ან მარანზე ყოფილა მოთავსებული.

აღსანიშნავია, რომ საწირეს მარანზე დადგმული ხერხული ბეღელი რიცხვად ორია დასახელებული. ეს გარემოება, ალბათ, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ თვითეულს მათგანს თავისი დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

მემტილეობისა, მეხილეობისა და მევენახეობის კულტურის ზოგადი საკითხები.

თავი I. ბოსტნისა, ბაღისა და ვენახის სახელები დროთა განმავლობაში.

§ 1. მტილის მნიშვნელობა.

უძველეს ხანაში, ცხოვრებამა და მწერლობამ საქართველოში მხოლოდ ორი ზოგადი ტერმინი იცოდა ბოსტნეულისა და ხეხილის შემცველი ნაჭერი მიწის სასოფლო-სამეურნეო ერთეულის აღსანიშნავად: „მტილი“ და „სამოთხე“. ეს სიტყვებიღე აქვს ნახმარი დაბადების ქართველ მთარგმნელსაც: ეგვიპტელები „რაჲჟამს დასთესიან თესლი და მორწყიან, ფერკითა მათითა განქმნიან ყუა-რბი მტილისა“ (მეორე შჯულისაჲ 11_{11}). „განამრავლენით მტილნი თქუენნი“-ო (ამოსისი 4_{9}) და სხვაც ბევრი ამის მსგავსი.

ბერძნულ ტექსტში „მტილის“ შესატყვისად სწერია ὁ κῆπος „ჰო კეპოს“, ლათინურში hortus-ი, ხოლო სომხურში *պարտեզ* „პარტეზ“, რაც ბაღს და ბოსტანს ჰნიშნავს.

გ. მერჩულიც მხოლოდ ამ სიტყვასა ჰხმარობს. მისი ცნობით კლარჯეთის უდაბნოთა მამულში „არა არს   ყანაჲ საკნავი   . და მცირედ ვენაკნი ჭირითა და ურვითა დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები“ (ც´ჲ გგ´ლ ხნძთ´ლსჲ გვ. კდ.), ბაღები ცოტა იყო და ისიც დიდი ვაივაგლახით ყოფილა გაშენებულიო.

იოანე საბანისძეს მტილი თავის საისტორიო ნაშრომში ხეხილის ბაღის მნიშვნელობით აქვს ნახმარი. აბო ტფილელს ის ასე მიჰმართავდა: „შენ ველური იგი ზეთისხილი მოგიღო   და მტილსა მასა შინა თჳსსა დაგნერგა“-ო (იხ. პ. ინგოროყვას ძველი ქართ. სას. პოეზია 1913 წ. გვ. 3).

ბოსტნის აღსანიშნავადაც „მტილი“ იხმარებოდა. დაბადების თარგმანში სწორედ ეს სიტყვაა ამ ცნების გამოსახატავად გამოყენებული და „მტილი მწუანილისაჲ“ იქ უდრის ბერძნულს κῆπος λαχάνων, ლათინ., hortus olerum-ს (3 მეფეთა 21_{2}).

λάχανον „ლახანონ“ ბერძნულად საერთოდ მხალსა ჰნიშნავდა და ასევეა ეს სიტყვა სახარების ტექსტშიც ნათარგმნი (იხ. მათე 13_{32}, მარკოზ 4_{32} და ლუკა 11_{42}). ამ ბერძნულ სიტყვას „მწუანილი“-ს მნიშვნელობაც ჰქონდა და 3 მეფეთა 21_{2}-ის „მტილად მწუანილთა“ ბერძნულს εἰς κῆπον λαχάνων, ლათინურს hortum olerum-ს უდრის. ამგვარად, ოთხთავის ტექსტში ბერძნ. „ლახანა“ კომბოსტოს-კი არა, არამედ მწვანილსა და მხალსა ჰნიშნავს (იხ. Socin-ის აზრი Guthe-ს Bibelwört.: Kohl).

მაშასადამე, ლათინური hortus-ისა და ბერძნული „კეპოს“-ის მსგავსად, მტილი ბაღსაც ჰნიშნავდა და ბოსტანსაც.

§ 2. მტილის შესატყვისობა ქართ. დიალექტებში.

„მტილი“ ზოგადი ქართული ტერმინი ყოფილა და ყველა ქართ. ტომებს მისი ბგერითი შესატყვისობა დღევანდლამდეც-კი დაცული აქვთ. მაგ. მეგრულად „ᲝᲠᲢᲕᲘᲜᲘ“, „ᲝᲠᲢᲕᲘᲚᲘ“, ანდა „ᲝᲠᲢᲕᲘᲘ“ ბოსტანსა ჰნიშნავს. პატარა ბოსტანს-კი „ᲝᲠᲢᲕᲘᲜᲘᲐ“ ეწოდება. ბოსტნეულობას „ᲝᲠᲢᲕᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐ“, ანდა „ᲝᲠᲢᲕᲘᲜᲣᲚᲝᲑᲐ“ ჰქვია, მებოსტნეს „ᲛᲔᲝᲠᲢᲕᲘᲜᲔ“-ს ეძახიან. უკვე პროფ. იოს. ყიფშიძეს ამ სიტყვების ძველ ქართულ „მტილ“-თან კავშირი ნაგულისხმევი ჰქონდა (მ. გ. 328).

ჭანურს ბოსტნის აღმნიშვნელ ტერმინად „ᲒᲔᲗᲐᲡᲣᲚᲔ“ აქვს გამოყენებული (ჭ. გ.), რომელიც სიტყვა-სიტყვით ჩათესულსა ჰნიშნავს, მაგრამ ამასთანავე იქ „ᲝᲜᲢᲣᲚᲔ“-ც არსებობს, რომელიც ერკვრტით ბაღსაც და ბოსტანსაც ჰნიშნავს (ჭ. გ. 174). მაგრამ ხოფური კილოკავის სარფულ თქმაში ბოსტნის მნიშვნელობით იხმარება. იქვე ბოსტნეულის სახელად „ᲝᲜᲢᲣᲚᲔᲨᲔᲜᲘ“ ყოფილა (იხ. არნ. ჩიქობავას ჭანური ტექსტების 139 $_{15}$ და $_{16}$).

თანამედროვე სვანურს „მტილი“-სა და „ორტვილი“-ს შესატყვისობა ბოსტნის, ანდა ბაღის აღსანიშნავად, არსებული ცნობების მიხედვით, თითქოს დაცული არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ძირი უნდა იყოს მწვანილის აღმნიშვნელ ერთ-ერთ სვანურ სიტყვაში, „ᲚᲔ-ᲠᲢÄᲛ“-ში (იხ. ივ. ნიჟარაძის р.-с. сл. 117: зелень). სვანურ „ᲚᲔ-ᲠᲢÄᲛ“-ს რომ სვანური თავსართი „ლე“ ჩამოვაცილოთ, დაგვრჩება „რტäმ“, რომელიც „რტამი“-საგან არის წარმომდგარი. რაკი „ლე“ უდრის „სა“-ს, ამიტომ „ᲚᲔᲠᲢÄᲛ“ სარტამოს, არსებითად-კი სამტილეს ჰნიშნავს. ამგვარად, სვანური სახელი ისევეა ნაწარმოები, როგორც მეგრული „ორტვილ-ურობა“. თავის თავკიდური „რ“-თი ის მეგრულ ფორმას უდგება, ბოლოკიდური „მ“-თაც ის მეგრულ „ორტვინ“-ს უახლოვდება და ქართულ-ჭანურისაგან განირჩევა.

ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ ბოსტან-ბაღის აღმნიშვნელი სახელი ქართველ ტომებს საერთო ჰქონიათ.

§ 3. მტილის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა.

შესაძლებელია ადამიანს, რომელმაც ლათინური იცის, ეფიქრა, რომ მეგრ. „ᲝᲢᲕᲘᲜᲘ“ ლათინ. hortus „ჰორტუს“-თან არის დაკავშირებული, რათგან ეს სიტყვაც ხომ ბაღსა და ბოსტანს ჰნიშნავს. მაგრამ „ჰორტუს“-ის პირველი მარცვალი ძირეულია, თვით სიტყვაც ლათინურად შემოღობილ ადგილსა ჰნიშნავს და ბერძნულს „ქორტოს“-ს, ე. ი. საძოვარს, და გერმანულ Garten „გარტენ“-ს, ბაღს ენათესავება (იხ. Alois Walde, Lateinisches etymologisches Wörterbuch 2 Aufl.: hortus და cohors).

პირიქით, მეგრ. „ᲝᲠᲢᲕᲘᲜ“-ის თავკიდური „ო“ ძირეული-კი არაა, არამედ თავსართია. ამ ხმოვნის ასეთი ბუნება სვანური „ლერტამ“-ითაც მტკიცდე-

ბა, რომელშიც მეგრული „ო"-ს მაგიერ სვანური სათანადო თავსართი „ლე"-გვევლინება.

ამას გარდა, მტილის აღსანიშნავად მეგრულად მარტო „ორტვინი" არ იხმარება, არამედ „ორტვილი"-ც, რომელსაც ჭანური „ონტულე"-ც კარგად უდგება და ამის გამოც უფრო უძველეს ფორმადაა საფიქრებელი მით უმეტეს, რომ სამწერლობო ქართულის „მტილ"-საც უახლოვდება. მეორე მხრით ჭანური „ო-ნტულე"-ს ფუძე „ნტული" მტილისაგან მხოლოდ ოდნავ-ღა განსხვავდება.

შესაძლებელია და საფიქრებელიც, რომ მეგრულ „ორტვინ"-სა და „ორტვილ"-ს, ისევე როგორც ჭანურ „ონტულე"-სა და სვანურ „ლერტჳმ"-ს „ო" და „ლე" თავსართებით თავისი პირვანდელი აგებულება სამწერლობო ქართულის „მტილ"-ის თავკიდურ ნაწილზე უკეთესად ჰქონდეთ დაცული. ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ „მტილ"-საც ოდესღაც თავსართი უნდა ჰქონოდა და „სამტილე"-ს მსგავსი სახე ექმნებოდა. ასეთი წარმოების სიტყვები ძველ ქართულში იშვიათსა და განსაკუთრებულს რომ არას წარმოადგენს, ამის საბუთად შესაძლებელია „სავენაკე", „საცხოვარი" და სხ. იქნნეს დასახელებული ვენახისა, ცხვრის და სხ. მნიშვნელობით. „სავენაკე" არსენი იყალთოელსაც აქვს გ. მონოზანის ხრონოღრაფის თარგმანში (გვ. 197$_{2}$:) ბერძნული „ამპელონ"-ის, ანუ ვენახოვანის შესატყვისად.

თუ ეს მოსაზრება მცდარი არ გამოდგა, მაშინ ეგების ჭანური „ო-ნტულე" დაკავშირებული იყოს „მდელო"-ს მეგრულ-ჭანურ შესატყვისობა „ნდოლო"-სთან (იხ. საქ. ეკონ. ისტ. I², 272). ამნაირად, მტილი და ონტულე თავდაპირველად იმ ადგილის აღმნიშვნელი იქმნებოდა, სადაც სოფლის მეურნეს მდელო მოჰყავდა, რომელიც სამდელო კულტურისათვის იყო განკუთვნილი. თუ ეს ეტიმოლოგია გამართლდა, მაშინ უფლება გვექნება დავასკვნათ, რომ ქართული ინტენსიური მებოსტნეობა თავდაპირველად მდელოთა მოყვანა-მოშენების მოთხოვნილებას წარმოუშვია.

§ 4. სამოთხე და მისი მნიშვნელობა.

მტილს გარდა, როგორც აღნიშნული გვქონდა, ტერმინად „სამოთხე"-ც იხმარებოდა. წ῀ა ნინოს შატბერდისეულ ცხოვრებაში საქართველოს განმანათლებელს ნათქვამი აქვს: მცხეთაში მოსვლისას „მივიმართეჲ სამოთხესა მას მეფისასა"-ო (Опис. II, 756), ე. ი. მეფის ბაღისაკენ გავემართეო. „კმისა შენისა მესმა მავალისა შორის სამოთხესა"-ო (შესაქმეთაჲ 3 $_{10}$). ბერძნულად ამ ადგილას ნახმარია ὁ παράδεισος, „პარადეჲსოს", ლათინურადაც ეს სიტყვაა, რომელიც სანსკრიტულ para-dêça-ს უდრის და მშვენიერ მხარეს ჰნიშნავს, ბერძნულად-კი ცხოველთა ბაღს, პარკს, ხოლო ქრისტიანულ მწერლობაში სანეტარო ადგილს ეწოდებოდა. სომხურ თარგმანში აქ դրախտ „დრახტ"-ია, რაც იმასვე, ბაღს, სამოთხეს და პარკს ეწოდებოდა.

ქართული ტერმინი „სამოთხე" ბერძნულ-ლათინურ-ებრაულ სპარსულ-სომხური ტერმინებისაგან დამოუკიდებლივ არის შექმნილი და აგებულებით სასიამოვნო ადგილს ჰნიშნავს.

წ῀ა ნინოს შატბერდისეული ცხოვრების ავტორიც მხოლოდ „სამოთხე"-სა

ხმარობს, ბაღი მის ნაშრომში არსად გვხვდება. მცხეთაში ქართლის მეფეს ბაღი, ანუ „**სამოთხე**“ ჰქონია. წ˜ა წინოს თავის თავგადასავალში აღნიშნული აქვს: მცხეთაში მოსულმა „**მივიმართე სამოთხესა მას მეფისასა**“-ო (Опис. II, 756).

„სამოთხე“-ს გარდა, „**სამოთხეელი**“-ც არსებობდა. ს. ორბელიანს ლექსიკონში იობის 41_{23}-ის დამოწმებით ნათქვამი აქვს: „**სამოთხეელი სასეირნო**“-სა ჰნიშნავსო (ლექსიკ.). ბაქარის გამოცემაში ამ §-ში ასეთი სიტყვა არ არის. ამის მაგიერ იქ ნახმარია „**სავალთა შინა**“-ო. თუმცა ებრაულ დედანში აქ სულ სხვა რამეა ნათქვამი, მაგრამ ბერძნულად გადამთარგმნელს ეს §-ი სწორედ ვერ გაუგია და დაუწერია εἰς περίπατον. ბერძნულად περίπατος სიარულს, სეირნობასა და სასეირნო ადგილსა ჰნიშნავდა. ქართველ მთარგმნელსაც ამნაირადვე გადმოუთარგმნია და იმ **ხელთნაწერში**, რომელიც ს. ორბელიანს ჰქონია ხელთ, ნახმარი ყოფილა „**სამოთხეელი**“. ბაქარის ხელთ მყოფ რედაქციაში-კი წერებულა „**სავალნი**“.

„**მოთხვა**“ ძველ ქართულში სეირნობას, დროს გატარებას ჰნიშნავდა, ხოლო „**სამოთხეელი**“ და „**სამოთხე**“ სასეირნო და დროს გასატარებელ ადგილს ეწოდებოდა.

იპოლიტეს ერთ-ერთ თარგმანებათა ქართულ ნათარგმნ ტექსტშიც ნახმარია „**სამოთხე ფუფუნებისაჲ**“ სომხური *դրախտ փափկութեան*-ის შესატყვისად (იხ. ნ. მარის Ипполит Толкованіе Песни Песней. ТР. III წიგნი გვ. LIX).

§ წალკოტი.

სავარდისა, საყვავილესა და ბაღის აღსანიშნავად ძველ ქართ. მწერლობაში „**წალკოტი**“-ც იხმარებოდა. ჯერ გამოსარკვევია, თუ რამდენად გავრცელებული იყო ეს ტერმინი. დაბადების თარგმანში თითქოს არ უნდა იყოს. არც სხვა უძველესი ხანის ძეგლებში ჩანს. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს შემთხვევითი მოვლენაა და მომავალში იქაც აღმოჩნდება.

ვისრამიანში ჩვეულებრივ „**წალკოტი**“ იხმარება (იხ. 1884 წ. გამ. გვ. 5, 55, 58, 68, 70, 113, 117 და სხ.). ამ ძეგლის ავტორს **წალკოტი მარტო სავარდედა და საყვავილედ-კი არა აქვს ნაგულისხმევი, არამედ ბაღადაც, ვენახადაც.** იქ მაგ. ჯერ ნათქვამია, რომ რამინი „**ზოგჯერ შაჰან-შას ბაღსა შევიდის, . . ყოველნი ხენი** მოწამედ დაიყენის და ეგრე უთხრის: „ჰე, ყოველნო ხენო! მოწამენი იყავით ჩემი, ასრე მოტირალი მნახეთ“-ო (გვ. 69). შემდეგ სწერია: „თუ ათასფერი **წალკოტი** და სიმხიარულე გაქუს, მე გულსა ზედა ათასფერი დაღი მაქუს“-ო (გვ. 70). მერმე ავტორი ასე მოგვითხრობს: „ესე-გუარსა რასმე ეუბნებოდის და იარებოდის **მას** ვენაკსა შიგან“-ო. ჩვეულებრივ „გაზაფხულ **წალკოტი** თუცა კეკლუცია, რამინის პირი ათასჯერ მის უტურფე იყო“-ო (გვ. 70).

ამნაირად წალკოტს ბაღადაცა და ვენახადაც ჰგულისხმობდა ქართული ვისრამიანის ავტორი.

ს. ორბელიანსაც ეს ტერმინი მხოლოდ ბაღად ესმის: „**წალკოტი ხილის ალაგი, ბაღი**“ არისო (ლექსიკ.). ფ. გორგიჯანიძესაც ქართული

წალკოტის შესატყვისად სპარსული „ბაღ“-ი აქვს დასახელებული (ქართ.-არაბ.-სპარს. ლექსიკ.). ვ ა ხ უ შ ტ ს ა ც, როგორც დავრწმუნდით (იხ. საქ. ეკონ. ისტ. 1^2, 285—286), ხეხილი სწორედ წალკოტებში ეგულებოდა.

„ႼႠႪႩႭႲႨ“, უეჭველია, „ႼႠႪႨႩႠ“-საგან ნაწარმოები ტერმინია. „წალიკა-კი მცენარის სახელია, ეხლაც იმიერ-ამიერ საქართველოში გავრცელებული. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა ც შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში. დასავლეთ საქართველოში ამისგან ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელი, მთა „ႱႠႼႠႪႨႩႤ“, რომელიც შორაპნის და რაჭის თემში (დ 6 60—45, 42—30) მდებარეობს.

უკვე აკად. გ ჷ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ჰქონდა აღნიშნული, რომ ქართული „ႼႠႪႨႩႠ“ („Zalika“) Anemone Pulsatilla-ს სახელს წარმოადგენს (Reisen I, 429). რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს აზრით-კი თითქოს Polygonum aviculare L.-ს. სახელი უნდა იყოს იმერეთ-გურიაში (ბოტან. ლექსიკ. 78, § 1089). ქართლ-კახეთში მას ႼႷႪႨႱ-ႨႬႠ ეწოდებაო. მაგრამ წალიკა ყვავილის ამერეთშიც ცნობილი სახელია, მეტადრე მთა-ადგილებში.

„ႼႠႪႨႩႠ“ ქართულში განმარტოებული სიტყვა არ არის, არამედ მას თვისტომნი მოეპოვება, მისი ეტიმოლოგიის წამოყენებაც შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. „ႼႠႪႨႩ“ *ծաղիկ* ძველ სომხურშიც ყვავილსა ჰნიშნავდა, ხოლო *ծաղկոց* „ႼႠႪႩႭႺ“ საყვავილეს.

§ 6. ხილისა და ვაზის ბაღების აღმნიშვნელი სახელები.

სასოფლო მეურნეობის ინტენსიური წარმოების დროს მეხილეობისა და თვითოეული სხვა დარგისათვის განსაკუთრებული ნაჭერი მიწა ჰქონდათ ხოლმე მიკუთნებული. ამის გამო გაჩნდა ვაშლის, ბალის, მსხლის და სხვა ხეხილის ბაღები ისევე, როგორც ვაზით დარგულიც. თვითოეულ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა.

ვაზით დარგულ ბაღს ეხლა ვენახი ეწოდება და უკვე ძველადვე, **გარკვეული ხანითგან მოყოლებული, „ႥႤႬႠႩႨ“ სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა.** ათონის ალაპებში მაგ. სწერია: „იყიდა ვენაკი ათისა მოდისაჲ“ გვ. 244, § 112), „დავასხმევინეთ ვენაკი კე (25) მოდისაჲ“-ო (გვ. 255. § 145). ასეთი მაგალითების მოყვანა ადვილია, მაგრამ ესეც კმარა.

როგორც მეხილეობისა და მევენახეობის დარგის განხილვის დროს ძეგლებითგან ამოკრებილი ამონაწერების დახმარებით დავრწმუნდებით, „ႥႤႬႠႩႨ“ თავდაპირველად **ძველ ქართულში ვაზის ერთ ძირსა ჰნიშნავდა.** ვაზებით დარგული ბაღის მნიშვნელობა ამ სიტყვას შემდეგში, გარკვეული ხანითგან, მიენიჭა. **იმ ხანაშიც, როდესაც ႥႤႬႠႩႨ ვაზის მხოლოდ ერთი ძირის აღმნიშვნელი იყო, მაშინაც ვაზებით დარგული ბაღისათვის განსაკუთრებული ტერმინი არსებობდა.**

ეხლა რომ ხეხილის ბაღებზეც გადავიდეთ, მე-V-VI სს. ძეგლებში, დაბადების ქართ. თარგმანში ლეღვის ბაღს „ႪႤႶႭႥႠႬႨ“, ზეთისხილისას „ႦႤႧႨႱႾႨႪႭႥႠႬႨ“ და ვაზის ბაღს „ႥႤႬႠႩႭႥႠႬႨ“ ეწოდება. სამიოდე მაგალითიც საკმარისია ამის დასამტკიცებლად: „განამრავლენით მტილნი თქუენნი, ვენაკოვანნი თქუენნი, ლეღოანნი თქუენნი (ამოსისი 4_9). „ეგრეთვე ჰყო ვენაკოვანი შენი

და ზეთისხილოვანი შენი“ (გამოსლვათაჲ 23_{12}). „ვენაკნი მისნი და ლელოვანნი მისნი“ (ოსესი 2_{12}).

შესატყვის ადგილებში „ვენაკოვანი“ ბერძნულს ὁ ἀμπελών, „ჰო ამპელონ“-ს, ლათინ. vinea-ს და სომხურს այգի „აჲგი“-ს უდრის, რაც ვენახის ბაღს ჰნიშნავს,—„ლელოვანი“ ὁ συκών „ჰო სჳკონ“-ს, ficetum-სა და թզենի „თზენი“-ს ეთანასწორება, ხოლო „ზეთისხილოვანი“ ὁ ἐλαιών „ჰო ელაჲონ“-ის, olivetum-ისა და ձիթենի „ძითენი“-ს შესატყვისობას წარმოადგენს.

ამგვარად, ირკვევა, რომ ბოლოსართი „ოვანი“ შემკრებელობითი მნიშვნელობის მიმნიჭებელია, სახელდობრ, რომ ალაგი რომელიმე მცენარით, თუ ხით მრავლად არის მოსილი.

მაგრამ საგულისხმოა, რომ ჭანურადაც ვაზის ბაღს „ბინეხონა“ და „ბინეხეფუნა“ ეწოდება. ცხადია, რომ ორივე ეს ჭანური სიტყვა ქართულ სამწერლობო ვენახოვანს უდრის.

ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ ჭანურში ასეთივე წარმოების სხვა ტერმინებიც არსებობს, მაგ. ბალიან ადგილს „ბულონა“ ეწოდება, ხოლო „თხირონა“, ანდა „თხირეფუნა“—თხილოვანისა, თხილნარის აღსანიშნავად იხმარება.

მეგრულადაც ამბობენ „ჭუბურონა“ წაბლოვანის, „ჯვიმარონა“ გვიმრნარისა და „ჭორთონა“ ახლად-აჴრილი წვრილი ხეებით მოცული ადგილის, ტყის მნიშვნელობით (იხ. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ონ სუფიქსი მეგრულში ტფ. უნ. მოამბე № VI, 306—307).

თუმცა ქართულ სამწერლობო ენაში ამ „ონ“ სუფიქსს „იან-ი“, „იერ-ი“ და „ოვან-ი“ უდრის (იქვე 305), მაგრამ ხეხილთა ადგილების აღმნიშვნელ სახელებში ჭანურ-მეგრული „ონ“ ბოლოსართი „ოვან“-ისაგან უფრო უნდა იყოს წარმომდგარი. მეგრულში „ოვან-ი“, როგორც დ ო ც. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ა ც აქვს აღნიშნული „უან“-ად არის ქცეული (მაგ. გემუანი, იქვე 306). ამ სუფიქსის „ა“ ხმოვანის, „უ“-ს ზეგავლენით, ო და უ-დ დამსგავსების წყალობით შეიძლება წარმომდგარი იყოს „ოვან“-ის ჭანურ-მეგრული შესატყვისობა „ონ“-ი. მართლაც, ჭანურში „ბინეხონა“-ს გვერდით „ბინეხეფუნა“-ც არსებობს, რომელიც წინანდელი „ბინეხოფუნა“-სგან უნდა იყოს წარმომდგარი. მაშასადამე, ჭანურშიც სუფიქსად, „ონ“-ის მაგიერ „ოფუნა“ ყოფილა.

„ოვანი“-ს ახეთი, ან მსგავსი ფონეტიკური ცვლილება რომ მარტო ჭანურმეგრულის განსაკუთრებულ თვისებას არ უნდა წარმოადგენდეს, ამას ქართლში მდებარე ველის „ტირიფონის ველი“-ს სახელიც ამტკიცებს, რომელსაც, უეჭველია, წინათ ჯერ ტირიფოვანის, შემდეგ ტირიფოვნის ველი ერქმეოდა და რომელიც „ვ“-ს, გაქრობის შემდგომ „ტირიფონა“-დ იქცა და თითქოს „ონ“ სუფიქსით ნაწარმოებად გახდა [1].

[1] არ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს მოსაზრებით, ეს სახელი „ნაწარმოებია ამ ჭანურ—ონ სუფიქსით“ (იქვე 306). ეს რომ მართლა ჭანური სუფიქსი ყოფილიყო, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ ან ქართლში ტირიფონაში ჭანები ცხოვრობდენ, რის დამტკიცებაც შეუძლებელია, ან რომ „ოვან“-ი „ონ“-ად უკვე უეძველეს ხანაში იქცა, რის დამადასტურებელი საბუთები არ მოვვეპოვება, ჯერჯერობით მაინც, ამიტომ უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ „ონ“ სუფიქსი ზემოაღნიშნული გზით უნდა იყოს წარმომდგარი როგორც ქართლურს, ისევე მეგრულ-ჭანურ აგრონომიულსა და გეოგრაფიულ სახელებში.

§ 7. ბაღი, ბაღჩა და ბოსტანი, მათი სადაურობა და შემოსულობის ხანა.

ბაღი, ბაღჩა და **ბოსტანი**, ის სიტყვები, ურომლოდაც თანამედროვე ქართველს მეხილეობასა და მებოსტნეობაზე მსჯელობა ვერც-კი წარმოუდგენია, **უძველეს ქართ. მწერლობაში სრულებით უცნობი იყო. მტილი, სამოთხე** და **წალკოტი** ისევე, როგორც „**ვენაკოვანი**" და დანარჩენი ამის მსგავსადვე ნაწარმოები ტერმინები ადამიანს სრულ საშუალებას აძლევდენ სასოფლო მეურნეობის ამ დარგებზე ემსჯელა.

ბაღი სპარსული სიტყვაა ისევე, როგორც **ბაღჩა**"-ც, რომელიც პირველის მხოლოდ კნინობითს ფორმას წარმოადგენს და პატარა ბაღსა ჰნიშნავს.

ბოსტანი-ც სპარსულითგანვე შეთვისებული ტერმინია, რომელიც არაბულშიც არის შესული. სპარსულად, „ბოსტან" ანუ „ბუსტან" ბაღს, უმთავრესად მწვანილის ბაღს ჰნიშნავდა და ჰნიშნავს ეხლაც.

ბაღისა და ბოსტანის ქართ. მწერლობის შემოხიზნვის დროის განსაზღვრისათვის უნდა ის გარემოება გვქონდეს გათვალისწინებული, რომ მე-X ს. ჯერეთ ცნობილ ძეგლებში ეს ტერმინები არ მოიპოვება. მაგრამ გ. მთაწმიდელს **ბოსტანი** უკვე ნახმარი აქვს თავის საისტორიო ნაშრომში იქ, სადაც აღნიშნულია, რომ „**აპოთიკი**" და „**ბოსტანი**" ათონის მონასტერში ეფთჳმე მთაწმიდელისავე დროს „კელარისა საურავნი იყვნეს" (ც´ა ი´ე და ეფ´თმსი 50).

ბაღი მე-XII ს. მხატვრულ ძეგლებში ჩვეულებრივი სიტყვაა (იხ. ვისრამიანი 69, 70 და სხ.). ვეფხვისტყაოსანშიც ნათქვამია: „ამად ტირს, **ბაღი ვარდისა** ცრემლითა აივსებოდა", ანდა „შეღამდა, წაველ, **ბაღისა** მე კარი შევიარეო" (აბულ. §§ 16_2 და 349_2). ამნაირად, აქ „**ბაღი ვარდისა**" წალკოტის, ანუ საეარდის მნიშვნელობით არის ნახმარი.

„**ბაღჩა**" იოანე შავთელს მოეპოვება „აბდულმესია"-ში: „აქვს ზარდახჩანი მას, **ხე-ბახჩანი**" TP. IV წიგნი 43_4).

რაკი **ბოსტანი** მე-XI საუკ. პირველ ნახევარში, ხოლო **ბაღი** და **ბახჩა** მე-XII ს. ქართ. მწერლობაში ჩვეულებრივი სიტყვები ყოფილა, ამიტომ, ცხადია, **მათი შემოხიზნვის ხანად მე-X-XI სს. უნდა მივიჩნიოთ.**

მე-XII ს-ში აქეთგან ნაწარმოები ისეთი ტერმინებიც არსებობდა, როგორც მაგ. „**საბოსტნე**"-ა. თამარ მეფის დროინდელი მონასტრის ტიპიკონის ერთ ნაწყვეტში ნათქვამია: „ივანე მკარგრძელმანცა მსახურთ-უხუცესმა . მონასტერსა . **საბოსტნე** და სავენაკე უყიდა უფროსითა საფასოჲთა"-ო (წერ. და მას. I, 73).

ამ ცნობითგან ჩანს, რომ, ვითარცა ბოსტნეულობის მოსაყვანად განკუთვნილ ადგილს, საბოსტნეს, რომელსაც წყლით მორწყვა სჭირდებოდა, ნიადაგის შესაფერისი თვისებები და სარწყავი რუ უნდა ჰქონოდა. ყველგან ბოსტანს ვერ გააშენებდა ადამიანი, რათგან ინტენსიური სასოფლო მეურნეობა მიწისმოქმედისაგან სათანადო დასპეციალებას მოითხოვდა.

თავი II. მებაღეობის კულტურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა უცხოეთში.

§ 1. მებაღეობა ძველ ეგვიპტესა და აღმოსავლეთში.

ბაღის კულტურის დასაწყისიც აღმოსავლეთსა და დასავლეთ-სამხრეთს აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში უნდა ეძიოს ადამიანმა. უძველესი ცნობები ბაღებზე და თვით ბაღების სურათიც სწორედ ამ ქვეყნებშია დაცული.

ძველი ეგვიპტელები ამ დარგშიც ძალიან დახელოვნებული ყოფილან. ისეთ ცხელ ქვეყანაში, როგორიც ეგვიპტეა, ბუნებრივია, რომ ადამიანს ჩრდილისა და სიგრილის მოთხოვნილება ჰქონოდა, რომ ცდილიყო თავისთვის ისეთი რამე გაეკეთებინა, რაც მის თვალსაც და გემოვნებასაც აამებდა და პაპანაქებისაგანაც თავის დაცვის საშუალებას მისცემდა.

ჩვენამდის მოაღწია უძველესი სამარხავის ეგვიპტურმა კედლის მხატვრობამ, რომელშიც სქემატურად ეგვიპტური ბაღის სურათია წარმოდგენილი. ამ სურათითგან ჩანს, რომ ეგვიპტეში ბაღები ოთხკუთხედის მოყვანილობისა უკეთებიათ. ყოველ მხრით მას ზღუდე ჰქონია და ბაღის მთელი არე ოთხკუთხებადვე ჰქონიათ დაგეგმილ-დაყოფილი. მთელი ბაღი ოთხ ერთმანეთში ჩასმულ მომცრო ოთხკუთხედოვან არედ ყოფილა დანაწილებული. თვითეული ოთხკუთხედის ხაზზე გასაოცარი სისწორით სხვადასხვა ხეები, ხეხილები და ყვავილ-მცენარეები ყოფილა დარგული.

ბაღის შუაგულის ოთხკუთხედი წყლის უშველებელ აუზ-საგუბარს წარმოადგენდა. იგი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ოთხი ადამიანისათვის განკუთვნილ ნავს შიგ მოძრაობა შეეძლო ზემოთ და ქვემოთკენ. ნიჩბებისა და ხოფების საშუალებით ამოძრავების მაგიერ ამ ნავს, როგორც სურათითგან ჩანს, საგუბრის ორთავე ნაპირზე მდგომი სამ-სამი კაცი გრძელი თოკებით მიაცურებდა.

პირველი ოთხკუთხედის თავში და ბოლოში ეგვიპტური კარიბჭე ყოფილა აგებული. ამ ეგვიპტური ბაღის დამახასიათებელ თვისებას მისი სწორხაზოვანი და ოთხკუთხედოვანი დაგეგმვა და გასაოცარი სიმეტრიულობა შეადგენს: ცხადი ხდება, რომ მებაღეობის კულტურა იქ უაღრესად განვითარებული და დაწინაურებული ყოფილა (იხ. C. Ranck, Geschichte der Gartenkunst: Aus Natur und Geisteswelt 274, B., 1909 წ. გვ. 4—5).

მებაღეობის კულტურა მაღალ დონეზე მდგარა ძველ ასურეთშიც. ბერძენთა და რომაელ ისტორიკოსთა გარდმოცემით ნაბუქოდონოსორს აუგია ხელოვნურ ტერასებად გამართული ბაღი, რომელიც შორითგან თურმე ჰაერში დაკიდებულის შთაბეჭდილებას ახდენდა. ამიტომ მას „დაკიდებული სამოთხე“ ეწოდებოდა.

ცნობა ამ არაჩვეულებრივი ბაღის შესახებ, ძველი ბერძნული წყაროებითგან ამოღებული, გიორგი ამარტოლსაც ჰქონდა თავის ხრონოღრაფში შეტანილი, რომელიც არსენი იყალთოელის თარგმანის წყალობითაც ჩვენ წინაპრებს კარგად უნდა სცოდნოდათ. იქ ნათქვამია: ნაბუქოდონოსორმა „შეჰმზადა სხუაჲცა საქმე განსაკჳრვებელი, რამეთუ აღმართნა ნაშენებნი ქვათანი მაღალნი ფრიად და თითოსახენი ნაყოფიერნი ხენი დაჰნერგნა ზედა კერძო მათსა, ვიდრე მაღნაროანთა მთათა ემსგავსებოდეს იგინი და დაკიდებულად

სამოთხედ სახელ-სდვა მას, რომელსა ზედა ვიდოდის ცოლი მისი და ყოველსა მას გარემოსა ქუეყანასა ჰხედვიდის და განცხრებოდის არც ერთის ვისგან ხილული"-ო (იხ. სიმ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც. გვ. 130_{8-13}).

მებაღეობა ფართოდ იყო განვითარებული ძველ სპარსეთში, რომლის მეფეებს „პარდეს"-ად წოდებული უშველებელი ტევრებიც-კი ჰქონდათ იშვიათი მცენარეებითურთ.

ძველი ებრაელების ბაღი-კი უმთავრესად ხეხილის ბაღს წარმოადგენდა. პალესტინის მშრალი ჰავის გამო, ბაღები ისეთ ადგილებში კეთდებოდა, რომელთაც მოსარწყავი წყალი ჰქონდათ, ან მიუდგებოდათ. ხეხილს ქვეშ მარცვლეულსა და სხვა მცენარეებსა სთესდენ, ანდა საჩრდილობელი, ან დასასვენებელი ადგილი იყო მოწყობილი, სადაც მათი პატრონები დროს ატარებდენ ხოლმე (S o c i n: G u t h e s Bibelwört. 193-194).

§ 2. მებაღეობის კულტურა საბერძნეთსა და იტალიაში.

ძველ საბერძნეთში, ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში გალაშქრებამდე, მხოლოდ ისეთი ბოსტან-ბაღები იყო, რომელთაც პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ. მებაღეობისა და წალკოტ-სავარდეების ხელოვნება ჯერ არ არსებობდა. მარტო აღმოსავლეთში მდებარე ბერძენთა ახალშენებს უნდა ჰქონოდათ მეზობელთა მებაღეობის მაღალი კულტურა ნაწილობრივ მაინც შეთვისებული. სპარსეთსა და სხვა ქვეყნებში ნანახმა ბერძნებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და სხვასთან ერთად საბერძნეთში თანდათანობით მებაღეობის ხელოვნებამაც მოიკიდა ფეხი: არა-ერთი წინათ სრულებით უცნობი ხე და ხებილი გადმონერგილ და გადმოტანილ იქმნა. გაჩნდენ ბერძენი აგრონომებიც, რომელთაც თავიანთი სამშობლოს მიწისმოქმედებას თავიანთი დაკვირვება და ცოდნა თანამემამულეებს წერილობითაც დაუტოვეს.

ბერძნებისაგან მებაღეობის კულტურა რომაელებმაც შეითვისეს, რომელთაც მანამდე ამ დარგში ბევრი არაფერი ჰქონიათ. სამხრეთ იტალიაში, ბერძენთა ახალშენებში, რომაელებს სასოფლო მეურნეობის ამ დარგის მაშინდელი მონაპოვარის ნახვა და დაფასება შეეძლოთ. რომაელთა აგრონომიასა და მცენარეთმცოდნეობაში უამრავი ბერძნული ტერმინებისა და სახელების არსებობა იმ უდიდესი გავლენის დამამტკიცებელია, რომელიც საბერძნეთს ამ დარგშიც იტალიასა და რომაელებზე ჰქონია.

მაგრამ რომაელები მარტო ბერძენთა მონაპოვარით არ დაკმაყოფილებულან. მსოფლიოს ბატონობის ხელში ჩაგდებასთან ერთად, მათი ცოდნაც ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. ბუნებისმეტყველნი და აგრონომები აკვირდებოდენ ყველაფერს, რაც მათი სამშობლოსთვის გამოსადეგი იყო, და არაფერს ზოგავდენ მათი იტალიაში გადასანერგავად.

თანდათანობით იტალიის მცენარეთა და ხეების სამყოფლობელო ძალზე შეიცვალა და გამდიდრდა: ადამიანს ზოგან თავი უკვე აღმოსავლეთსა და აფრიკაში ეგონებოდა. აღმოსავლეთში ნამყოფმა შეძლებულმა რომაელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა თავიანთ ქვეყანაში აღმოსავლეთის მსგავსად დიდი და მშვენიერი ბაღ-წალკოტების გაშენება დაიწყეს. პ ლ ი ნ ი უ ს ი ს, კ ა ტ ო ნ ი ს, ვ ა რ რ ო ს ი, კ ო ლ უ მ ე ლ ა ს, პ ა ლ ა დ ი უ ს ი ს ა და სხვათა წყალობით,

გაჩნდა მდიდარი აგრონომიული ლათინური მწერლობაც. წერილობითი ცნობებითგანაც და პომპეის განათხარის წყალობითაც კარგად ჩანს, თუ რამდენად მაღალხარისხოვან დონეზე აუყვანიათ რომაელებს მებაღეობის ხელოვნება (საბერძნეთ-იტალიის მებაღეობაზე იხ. C. Ranck, Geschichte der Gartenkultur გვ. 7—13 და H. Blümner-ის Die römischen Privataltertümer გვ. 83—89).

§ 3. მებაღეობის კულტურა ძველ ასურეთსა და არაბთა სახალიფოში.

ასურნი ძველადვე თავიანთი მებოსტნეობა-მებაღეობით იყვნენ განთქმულნი. უკვე პლინიუს მცირეს ჰქონდა აღნიშნული, რომ ასურეთი მებაღეობაში ყველაზე უფრო დახელოვნებული იყო ისე, რომ ბერძნებს ანდაზაც-კი ჰქონიათ: ასურელთ ბევრი ბოსტნეული აქვთო („multa Syrorum olera": Natur. hist. lib. XX, 16). ეს გარემოება იმითაც მტკიცდება, რომ საბერძნეთსა და რომში ბოსტნეულის არა ერთი საუკეთესო ჯიში სწორედ ასურულად ითვლებოდა. მაგრამ ასურნი მარტო მებოსტნეობაში არ ყოფილან დახელოვნებულნი, არამედ მეხილეობაც ძალიან მაღალ დონეზე ჰქონიათ დაყენებული. შემდეგში, მებოსტნეობისა და მებაღეობის დარგში ამ ორივე გარემოების გამომჟღავნებელი არა ერთი ცნობა შეგვხვდება.

გამაჰმადიანებული არაბები რომ მე-VII ს-ითგან ასურეთ-შუამდინარეთში დამკვიდრდენ და სასანიანთა სპარსეთის მიწა-წყალსაც დაეპატრონენ, ასურთა თანდათანმა გამაჰმადიანებამა და გაარაბებამ არაბებს მაღალხარისხოვანი სასოფლო სამეურნეო ცოდნა და კულტურაც შესძინა. არაბებმაც საუცხოვო დიდი, მშვენიერი, ფერად-ფერადი ვარდ-ყვავილებითა და სხვადასხვა გვარი ხეხილით უხვად შემკული ბაღ-წალკოტები გაიჩინეს. ადგილობრივ ხე-მცენარეებს უცხო ქვეყნითგან მოტანილი ჯიშები და თვით სრულებით ახალი, მანამდე უცნობი ხეხილი მიუმატეს.

ბაღებში შეძლებულებს სარწყავი წყლის რუები და ჩანჩქერები ისევე, როგორც აუზები და შადრევნები, ჰქონდათ გამართული. გეომეტრიული დაგეგმულობა აქაც მებაღეობის ძირითად კანონად იყო მიჩნეული.

მებაღეობის ესოდენ მაღალ კულტურასთანავე არაბებმა ბოტანიკურ-აგრონომიული მწერლობის შექმნაც შესძლეს, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებადაც მე-XIII ს. არაბთა განთქმული მეცნიერები იბნ ალ-ავვამ-ი და იბნ ბაჲთარ-ი იყვნენ.

ყველგან, სადაც-კი არაბები დამკვიდრდენ, თან მებაღეობის ეს მაღალხარისხოვანი კულტურა გაავრცელეს, მათ შორის ესპანეთშიც, სადაც ესპანურ-არაბულმა სამოქალაქო ცხოვრებამ დასავლეთი ევროპის დანარჩენ ქრისტიან ხალხთა წარმომადგენლებს საშუალება მისცა მიწისმოქმედების ამ დარგის იმ დროისათვის მაღალხარისხოვანი მეურნეობა თავიანთი თვალით ენახათ. ევროპელ ხალხთა კულტურული აღორძინებისათვისაც ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ბევრი რამე მათ სასოფლო მეურნეობასაც მე-XII-XVI ს-ში იქითგან ჰქონდა შეთვისებული (Alfred von Kremer, Culturgeschichte des Orients unter den Chalifen II, 327-340).

§ 4. მებაღეობა იტალიაში.

აღმოსავლეთითგან ჯერ საბერძნეთმა და რომმა, შემდეგ ესპანიამა და იტალიამაც ბაღის გეომეტრიული და სწორხაზოვანი მოყვანილობა და დაგეგმულობა შეითვისეს. საუკუნეთა განმავლობაში იტალიასა და დასავლეთი ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიც მე-XVIII ს-მდე მებაღეობის ხელოვნებამ ეს ძირითადი დებულება შეინარჩუნა.

ისევე, როგორც მეცნიერებასა და ხელოვნებაში, მებაღეობის კულტურაშიც იტალიამ, აღორძინების ხანითგან მოყოლებული, გასაოცარი შემოქმედებითი და მომგონებლობის ნიჭი გამოიჩინა. მან ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, ბუნების შშვენიერებისა და მებაღეობის ხელობის სწორედ რომ იშვიათი მაგალითი უჩვენა ევროპის იმდროინდელ დანარჩენ ქვეყნებს, რომელთათვის იგი დიდხანს მისაბაძი შეიქმნა (C. Ranck, Geschichte der Gartenkunst გვ. 15—35). იტალიის ბუნებისა და მებაღეობის ხელოვნების ანარეკლი ქართველ მკითხველს შეუძლია საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის აღწერილობაშიც ამოიკითხოს.

თავი III. საქართველოს მებაღეობის კულტურის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

§ 1. რას წარმოადგენდა სამოთხე ძველად და მისი მოწყობილობა.

წყაროთა სიმცირისა და ცნობათა სიმოკლისდა მიუხედავად, მაინც შესაძლებელია ზოგადად ისიც გამოარკვიოს ადამიანმა, თუ რა მოჰყავდათ ძველად ჩვენ წინაპრებს თავიანთ მტილ-სამოთხეებსა და ბაღ-წალკოტებში და როგორ ჰქონდათ სასოფლო მეურნეობის ეს დარგი მოწყობილი.

უკვე ასურული ლურსმული წარწერებისა და წყაროებითგან ჩანს, რომ მუსკებს და ტაბალებს მევენახეობა ჰქონიათ (იხ. ქართ. ერის ისტ. I^3, 18—19). ამიტომ, ცხადია, რომ მიწისმოქმედების სხვა დარგებიც, მათ შორის მებაღეობა, მეხილეობაც იქმნებოდა გავრცელებული. შემდეგშიც ჭანებს შავი ზღვის სანაპიროზე და იბერ-მესხ-კოლხებს ამიერკავკასიაში, ქსენოფონტესა და სტრაბონის ცხობებით, თავიანთ სამშობლოში ყველაფერი ჰქონიათ. საქართველო მათ ყოველგვარი სიკეთით შემკულ, ყოველნაირი ხეხილითა და ნაყოფით სავსე ქვეყანად აქვთ დახასიათებული (იხ. ქართ. ერის ისტ. I^3, 22, 26—27 და საქ. ეკონ. ისტ. I^2, 142, 146—147 და სხ.). მეხილეობის ასეთი მრავალფეროვანება, უეჭველია, იმის მომასწავებელია, რომ მებაღეობა საქართველოში ძალიან განვითარებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ბერძენთა ზემოდასახელებულ მწერლებს კონკრეტული ცნობები მოყვანილი არა აქვთ, ამიტომ მაშინდელი მებაღეობის შესახებ რეალურად არაფრის თქმა არ შეიძლება.

ერთი გარემოებაა მხოლოდ ცხადი, რომ, ვითარცა შუამდინარეთითგანა და მცირე აზიითგან გამოსულთ და ასურელთა მეზობლებს, ქართველ ტომებს მებაღეობის კულტურა დაახლოვებით ისეთივე უნდა ჰქონოდათ, როგორიც მაშინ აღმოსავლეთში სუფევდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ბაღის სწორხა-

სურ. 3.

ბაღის ბარეა და მებაღე (იხ. გვ. 108—118). გადმოღებულია მე-XVII ს. პირვ. ნახევრის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერითგან (საქ. მუზ. № H 2074, გვ. 185ა).

ზოვანი და გეომეტრიული დაგეგმულობა უეჭველ კანონად იქმნებოდა მიჩნეული.

ამავე წესებზე იყო დამყარებული, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, არაბთა სახალიფოს მებაღეობაც, რომლის გავლენაც, აღმოს. საქართველოში არაბთა მე-VII-X სს-ში ბატონობის ხანაში, ბაღების წინანდელ გეომეტრიულ დაგეგმულობასა და აღმოსავლეთის მებაღეობის ხელოვნების ძირითად გეზს კვლავ განამტკიცებდა. ყველა ამ გარემოებათა გამო, ქართული მებაღეობის კულტურა აღმოსავლეთის მებაღეობის ერთ დარგთაგანად უნდა ვიგულისხმოთ.

ჯერჯერობით მხოლოდ მე-VI ს-ითგან მოყოლებული მოგვეპოვება ძეგლები, რომლებშიც მტილ-სამოთხეთა ვითარების გასათვალისწინებლად კონკრეტული ცნობებია დაცული. ერთ მათგანში მე-IV ს. იბერთა მეფის მცხეთის „სამოთხეა“ მოკლედ აღწერილი. თუმცა დასახელებული წყაროს ამ ადგილის მაშინდელი სინამდვილის სრულებით სწორე ანარეკლად მიჩნევა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ მის ავტორს მაინც ქართული მტილ-სამოთხის თავის-დროინდელი ვითარებითა და ნაწილობრივ ძველი გარდმოცემითაც უნდა ეხელმძღვანელა. ამიტომ ამ ცნობასაც ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს და ძველი ქართული სამოთხის ზოგადი სურათის გასავალისწინებლად ამ წყაროზე დამყარებაც არის შესაძლებელი. აი იქ სახელდობრ რა სწერია.

შატბერდისეულ ცხორების ცნობით, მირიან მეფემ წ͡ა ნინოს უთხრა: „მიყუარან მაყუალნი ეგე შენნი არამედ არა ვჰრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა“-ო (ც͡ა ნინოსი Опис. II, 775). ამავე ძეგლში ნათქვამია: მეფის „სამოთხესა ნაძუთა ქუეშეჲ ბაბილოთა ადგილი არს მცირეჲ, საყუავილედ შემზადებული“-ო (იქვე II, 757).

სიდონიას სიტყვით, წ͡ა ნინო „ბრინჯთა მათ ქუეშეჲ ბრატმან მეფისა საგრილთა და [და]სასუენებელთა ჯდა“ (იქვე II, 767).

ამ ამონაწერებითგანაც საკმაოდ ირკვევა, რომ „სამოთხეჲ სამეუფოჲ“, სამეფო ბაღი, მეურნეობის მარტო ერთი დარგისა და მხოლოდ ერთი დანიშნულებისათვის არ ყოფილა განკუთვნილი. როგორც მოსალოდნელიც იყო, იქ სხვადასხვა ხეები მდგარა, მაგ. მაღალი ნაძვისა და ბრინჯისა და, რა თქმა უნდა, ბევრი სხვა ჯიშის ხეები, რომელნიც ადამიანის თვალის საამებლად ისევე, როგორც სხეულის დასასვენებლად და სიცხის დროს ჩრდილში გასაგრილებლად ჰქონიათ დარგული.

ამავე მიზნით იქ ყოფილა აგრეთვე „საგრილნი და დასასუენებელნი“ გამართული, რომელთა ქვეშეც ამ „სამოთხის“ პატრონი და მისი სტუმრები, როდესაც ვინმე დაპატიჟებული ჰყავდა, იჯდა და დროს ატარებდა ხოლმე.

ამავე ესთეტიკური მიზნით და ყნოსვის საამებლად სამოთხეში განსაკუთრებული ადგილიც ყოფილა, რომელიც „საყუავილედ შემზადებული“ ჰქონიათ. ამ საყვავილეში სხვადასხვა ვარდ ყვავილები მაგ. წითელი, „ვარდ მეწამულ“-ად წოდებული, ვარდი ყოფილა (Опис II, 747). ფერად-ფერადი მცენარეებით შემკულ ამ წალკოტში მყოფთ „ყუავილთა მათ სულნელება“ ასიამოვნებდათ.

მაგრამ ამ სამოთხეში ხეხილიც მდგარა, მათ შორის ვაზიც საკმაოდ ყოფილა დარგული, „ბაბილოჲ“-თა სახით, ისე რომ ზაფხულის დამლევსა და შემო-

დგომას ვარდ-ყვავილთა სანახაობას იქ მყოფის თვალს „ბაბილოთა მათ ნაყოფიერება“-ც ახარებდა.

ერთი სიტყვით, ქართული წყაროს ცნობითგან ირკვევა, რომ მაშინდელ სამოთხეში ქართველ მეურნეს თავმოყრილი ჰქონია სხვადასხვა ხეები და ყვავილ-მცენარეები. ზოგი მათგანნი, ნ ი კ ო ლ ო ზ გ უ ლ ა ბ ე რ ი ძ ი ს გამონათქვამებით რომ დავახასიათოთ, „საგემებელად“, და დამატკბობელად სასათა, ხოლო რომელნიმე სასურნებელად და სურნელმყოფელად საყნოსელთა“ ყოფილა განკუთვნილი.

წყლის პირას მყოფ მეტყის „სამოთხე“-ში მხიარული ჟრიამული მდგარა: „მფრინველნი ცისანი . მოვიდიან სამოთხესა მას და ბაბილოსა მას მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან . გარემომადგიან ჟღავილით და კმობედ“ და „მრავალფერად და შუენიერად იყო ხილვაჲ იგი მათი“-ო (შატბერდ. წ˝ა ნინოს ც˝ა, Опис. II, 757—758).

§ 2. ცნობები მემტილეობისა და მებაღეობის ინტენსიური კულტურის შესახებ საქართველოში მე-V-X ს.

მტილისა და ვენახის, ისევე როგორც სამოთხის შინაარსი, რა თქმა უნდა, ბუნებრივი პირობებისა და პატრონის ცოდნისა და შემძლებელობისდა მიხედვით განსხვავდებოდა. იყო პატარა ბაღ-ბოსტნებიცა და ვენახებიც მეურნის უმთავრესად პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ უმტილ-ვენახოდ ქართველ-მიწისმოქმედს ცხოვრება იმდენად არ მოსწონდა, რომ მათი გაშენებისათვის არც თავის ძალღონესა და არც ქონებრივ სახსარს არ ზოგავდა, შრომას მაშინაც არ ერიდებოდა, როდესაც თვით ბუნებრივი პირობები მებოსტნეობას, მებაღეობასა და მევენახეობას ხელს არ უწყობდენ. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ, თუმცა, გ რ . ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს ცნობით, შავშეთ-კლარჯეთის მეტისმეტი მთაგორიანობის გამო, არამც თუ საბოსტნე და საბაღ-ვენახე, თვით სახნავი ადგილებიც-კი მეტის-მეტად ცოტა მოიპოვებოდა, მაინც ამ ორ თემში დამკვიდრებულ ბერებსაც-კი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად „მცირედ ვენაკნი ჭირითა და შრომითა დაუნერგვიან და ეგრეჲთვე მტილები“ (გ. მ ე რ ჩ უ ლ ი ც˝ჲ გგ˝ლ ხნძ˝თლსჲ კდ).

ქართველი მიწისმოქმედისა და სოფლის მეურნის ეს დამახასიათებელი თვისება, შრომის მოყვარეობა და მებაღეობა-მეხილეობით გატაცება უკვე მე-VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოსს პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ს შეუნიშნავს და თავის საისტორიო ნაშრომში აღუბეჭდია. მისი სიტყვით, მესხეთში, ამ თემის მთაგორიანობისდა მიუხედავად, იქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა და ცოდნით, ვითარცა დახელოვნებულ მიწისმოქმედთ (οἱ Μέσχοι γεωργοί δεξιοί), ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილ-ნაყოფიც საკმაოდ ჰქონიათ (De bello Gothico IV, cap. 2, § 25-26).

მებაღეობა-მევენახეობის დიდი კულტურისა და ამ დარგით გატაცების შესახები ცნობები საქართველოს სხვადასხვა თემთა მცხოვრებლების შესახებაც შერმინდელი ხანის ისტორიკოს-გეოგრაფთა ნაწერებშიც მოგვეპოვება, მაგ. ისტახრი-საც (930 წ. ახ. ხ.) ჰქონდა აღნიშნული, რომ ტფილისი მეტად აყვავებული

ქალაქი იყო, ხილ-ბოსტნეულისა და ნათესების უხვად მქონებელი: (Bibliotheca geographorum arabicorum. Lugd. Batav. 1870 წ. de Goeje-ს გამ. გვ. 185—187 და В. Караулов-ის Свед. араб. писателей о Кавказе: СМОМПК вып. XXIX, 10—13).

§ 3. მტილ-სამოთხენი და წალკოტი მე-XII ს.

შემდეგში, როდესაც საქართველო გაერთიანდა, მებაღეობისა და მევენახეობის კულტურა, რასაკვირველია, უფრო უნდა დაწინაურებულიყო. მაგრამ გადარჩენილი და გამოქვეყნებული ძეგლების სიმცირე ამ საკითხის სათანადოდ გაშუქების საშუალებას არ აძლევს ადამიანს. ამიტომ მხოლოდ ზოგიერთი საკითხის ასე-თუ-ისე გამორკვევა შეიძლება.

შ ა ვ თ ე ლ ს საქართველოს მეფის სასახლე და ბაღი მე-XII ს-ში ასე აქვს აღწერილი: „თუ უქო **სრანი** მე მასა, რანი? **გალავანისა შემკულობანი, მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთ ხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი**-“ო, „**კართა სტოვანი** . . იპოდრომისა განხმულობანი“-ო (შავთელი, კვ-კზ, 39).

სამეფო სასახლეს გარშემო გალავანი ჰქონია შემოვლებული. მარტო თვით სასახლე-კი არა, არამედ ეს გალავანიც ხუროთმოძღვრებითი ხელოვნების იმდენად საყურადღებო ძეგლი ყოფილა, რომ მგოსანს საჭიროდ დაუნახავს ამ „**გალავანისა შემკულობანი**“ საგანგებოდ აღენიშნა.

ამ სასახლეს ამას გარდა „**მტილ-სამოთხენი**“-ც ეკრა, რომელშიც მნახველის „**თვალთ საამოთ ხენი**“ მდგარა. მაშასადამე, ეს **ბაღები** იმდენად სამეურნეო დანიშნულებით არ **ყოფილა გაშენებული**, რამდენადაც ადამიანის **დასასვენებლად** და თვალ-ყნოსვის **საამებლად**, უეჭველია, **დროს სიამოვნებით გასატარებლადაც**. ამ მტილ-სამოთხეებს, დასასრულ, **ავაზანებიც**, ე. ი. წყლის აუზებიც ჰქონიათ.

რამდენადაც სამოთხისა და მებაღეობის კულტურის მეთაურად ძველად და საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთი იყო, იმდენად ქართული მემტილეობა-მესამოთხეობასა და წალკოტის კულტურასაც, უეჭველია, აღმოსავლეთის, სპარსეთისა და შუამდინარეთ—ასურეთის, მებაღეობა-მებოსტნეობასთან კავშირი უნდა ჰქონოდა. ამიტომ საქმის ვითარების გასათვალისწინებლად უადგილო არ იქმნებოდა, რომ სპარსეთის მაშინდელი წალკოტისათვისაც თვალი გადაგვევლო. ამის საშუალებას „ვისრსამიანი“ აძლევს ადამიანს. ამ თხზულების სათანადო ადგილების გადაკითხვა კაცს ფუფუნებას მიჩვეული სპარსეთის მაღალი წრის ბაღ-წალკოტებში ჩაახედვინებს.

იქ ადამიანმა „**წალკოტსა შიგან წითელი ვარდი ჰპოვის**“ ისევე, როგორც სხვაფერი ვარდ-ყვავილებიც, მათ შორის აუცილებლად მრავლად იაც. წალკოტის პატრონსა და მნახველს „ცისკრისა ქამსა“ ნიავი „**იისა და ვარდის სულს**“, სულნელებას, აყნოსვინებდა. თუ მოისურვებდა, „**ყოველთა დილათა ია ჰკრეფის**“. რათგან წალკოტში იმოდენა ია იყო ხოლმე, რომ ადამიანს შეეძლო არა ერთი „**იის კონა**“ ჰქონოდა (ვისრამიანი 68,293 და 117). მაგრამ, რასაკვირველია, „**სუმბულთა**“ სურნელოვანი ფშვისა და ფერადოვნობის გარეშე ეს წალკოტი წარმოუდგენელი იყო. ამას გარდა იქ „**მაზი**“-ც იყო (იქვე გვ. 70).

ბაღებიც ვარდ-ყვავილების სამკაულს მოკლებული არ ყოფილა, მეტადრე შეძლებულ პირთა და ქალაქისაში. ქალაქის გარეუბნები ჩვეულებრივ ბაღებს ეკავა.

შოთა რუსთაველსაც ხომ ნათქვამი აქვს:

„ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტევრითა,
გვარად უცხონი ყვავილნი, ფერითა ბევრის-ბევრითა“ ო.
(ვეფხისტყაოსანი, ი. აბულ. § 992).

თვით ხეხილის ბაღი და ვენახიც კი მარტო ბოსტნეულ-ხეხილის მოსაყვანად არ იყო განკუთვნილი, არამედ დროის გასატარებლადაც ჰქონდათ. როდესაც მხიარულება ჰსურდათ, თავიანთ სტუმარ-მასპინძლებსაც წვეულობასა და მასპინძლობას სწორედ ბაღში უმართავდნენ ხოლმე: „ბაღსა შიგან თამაშობად სადამოსა გავე ჟამსა“, სადაც დაპატიჟებულების „ჰმეცა ჩემგან კამსა,— მამყვებოდის მომღერალნი, იტყოდიან ტკბილსა ჰანგსა“-ო (ვეფხვისტყ. 1056). ბაღის

სურ. 2. მევენახეობის დარგი (სურათი ფერადებით არის დახატული, გადმოღებულია საქ. მუზ. 12, აგ 12—13 ს. № A—109 ხელთნაწერიდგან, რომელიც ეფრემ მცირისაგან კომენტარიებით მოცულს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულს წარმოადგენს).

მწვანე მოლი, ვარდ-ყვავილების სურნელება და ხეხილის საამო ხილვა, ჭამა-სმასა და სიმღერა-საკრავების ტკბილ ხმასთან ერთად, ადამიანის გულს ახარებდა და ყოველდღიური ცხოვრების მძიმე ტვირთს ავიწყებდა ხოლმე.

§ 4. მებაღეობის კულტურა აღმოს. საქართველოში მე-XVI-XVIII სს-ში.

პოლიტიკურ-კულტურული დაქვეითების ხანაშიც მებაღეობის ტექნიკა მაინც საკმაოდ მაღლა მდგარა. ამის დამადასტურებელი–მე-XVI ს. კახეთის შესახები

ცნობა ქვევით გვექნება მოყვანილი, მაგრამ უფრო დაწვრილებითი ცნობები მე-XVII ს. შესახებ მოგვეპოვება.

შ ა რ დ ე ნ-ის სიტყვითაც, მე-XVII ს-შიც საქართველო უაღრესად ნაყოფიერი ქვეყანა იყო, რომელშიც **ყოველნაირი მარცვლეული, ბოსტნეული და ხილეული უხვად მოდიოდა**, მეტადრე სარწყავ ადგილებში. პური ისევე კარგი ყოფილა, როგორიც სხვაგან დედამიწის ზურგზე იყო. **ხილეულიც საქართველოში ყოველგვარი** და საუცხოვო **ჰქონიათ**[1] (Voyages de Mr. Le chevalier C h a r d i n en Perse et autres lieux de l'Orient, Paris 1723 წ. გამ. t. II, 127).

მე-XVII ს-შიც, შაჰაბაზისაგან საქართველოს აოხრების შემდგომაც, **ტფილისში**, შარდენის მოწმობით, დროს გასატარებელი ადგილები და **მშვენიერი ბაღები** ყოფილა. **საუკეთესო და უდიდესი ბაღი**, რა თქა უნდა, **მეფესა ჰქონია, რომელშიც იმდენად ხეხილის ხეები არ ყოფილა დარგული, რამდენადაც თვალის მოსახიბლავად და ბაღის გასამშვენიერებლად, დამაჩრდილებელი და გამაგრილებელი ხეებით ჰქონიათ სავსე.** იქვე მრავალი ყოველგვარი ფრინველით სავსე საფრინველე ჰქონიათ[2] (Voyages en Perse t. II, 160).

მე-XVII ს. დამლევსაც ტფილისისა და მის მიდამოების ბაღებს ფრანგთა ცნობილ მეცნიერ ბოტანიკოს აკად. ტ უ რ ნ ე ფ ო რ-ზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. მისი სიტყვითაც ქართლის მეფის სასახლის ბაღი და საფრინველე იმად ღირდა, რომ ადამიანს ენახა და დაეთვალიერებინა. კარგი ყოფილა გარეთუბნის ბაღებიც. **საერთოდ, მისი მოწმობით, ბაღები საქართველოში გაცილებით უფრო უკეთესად ყოფილა გაშენებულ-მოვლილი, ვიდრე ოსმალეთში,** რომელიც მაშინ უდიდეს და უმდიდრეს სახელმწიფოდ ითვლებოდა (Relation d'un voyage du Levan, Lyon, 1717 წ. გამ. t. III, 171).

საქართველოს ნაყოფიერებისა და ყვავილ-მცენარეულობით შემკულობის ზოგადი დახასიათებას გარდა, ვ ა ხ უ შ ტ ს მე-XVIII ს. პირველ ნახევარში აღნიშნული აქვს, რომ, ისევე როგორც სხვაგანაც, მეტადრე ტფილისში **„გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლისა ხილითა და ყვავილითა სავსე“ იყო** (გ˝გრფა 192).

ქ. გორშიც როსტომ მეფისაგან აგებული სასახლე ყოფილა **„წალკოტ-სავარდითა**, დიდი, **ავაზანნი წყლიანნი დიდ-დიდნი მშვენიერნი“.** ხოლო ქალაქს **„გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი“-ო** (იქვე 246).

ტფილისის ზემო და ქვემო გარეთუბნები, დირსიჰალა, ორთაჰალა, კრწანისი, სეითაბადი და ვერე მთლად ბაღებით იყო მოფენილი მე-XVIII ს. დამლევსაც კი (იხ. ტფილ. ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნი: ს˝ქს სძ˝ლნი II, 526—527).

---

[1] . „les terres arrosées produisent abondamment toute sorte de grains, de legumes et de fruits. La Géorgie est un païs fertile autant qu'il se peut Le pain y est aussi bon qu'en lieu du monde. Les fruits y sont excellens, il y en a de toutes sortes“.

[2] „Les dehors de Tiflis sont ornez de plusieurs maisons de plaisance et de plusieurs beaux jardins. Les pflus grand est celui du Prince, il a peu d'arbres fruitiers; mais il est rempli de ceux qui servent à l'embellissement des jardins et à y conserver l'ombre, et la fraîcheur“ (Voyages en Perse, t. II, 160.)

სხვადასხვა ავტორთა და წყაროებითგან შემომოყვანილი ცნობები დაარწმუნებდენ ადამიანს, რომ პოლიტიკური და კულტურული დაქვეითების ხანაშიც მებოსტნეობა-მებაღეობა საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე ყოფილა. ადვილი წარმოსადგენელია, თუ რამდენად დაწინაურებული უნდა ყოფილიყო სასოფლო მეურნეობის ეს დარგი წინათ, როდესაც გაერთიანებული საქართველო ძლიერი იყო და მახლობელი აღმოსავლეთის ჰეგემონია ხელთ ჰქონდა მარტო პოლიტიკურად-კი არა, არამედ კულტურულადაც.

უძველესი და მერმინდელი დროის საუკეთესო ხელთნაწერების დროთა განმავლობაში დაღუპვის გამო, საქართველოს კულტურული ძლიერების ხანის მტილ-სამოთხის დამსურათებელი ნახატის დასახელება არ შემიძლიან, ქილილა და დამანას მე-XVIII ს. დამდეგის ქართ. ხელთნაწერში-კი ბაღების ექვსი ერთად მოთავსებული, ფერადებით დახატული მშვენიერი სურათია დაცული, რომელიც აქვე მომყავს. (იხ. ტაბულა I).

§ ე. მებაღეობის დონე დასავ. საქართველოში მე-XVII-XVIII სს-ში.

პოლიტიკური და კულტურულ დაკნინების ხანაში მებოსტნეობა-მეხილეობის ხელოვნება დასავლეთ საქართველოში პირიქით საგრძნობლად დაქვეითებული მოჩანს. თუმცა ხალხი მეხილეობასა და მევენახეობას იქაც ხალისიანად მისდევდა, მაგრამ შედარებით მცირე ოდენობით და პატარა სარბიელით.

რუსთა დესპანების ცნობით, მე-XVII ს., ქუთაისში მეფის სასახლის პალატითგან კარი პირდაპირ ეზოში გადიოდა, სადაც უშველებელი ჭანდარი მდგარა. ამ ჭანდრის ქვეშ თლილი ქვის გრძელი და განიერი დასაჯდომი ყოფილა, რომელსაც თურმე ოთხ ხის საყრდნობზე დამყარებული ფანჩატური ჰფარავდა (იხ. სტოლ. ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში 1650—52 წ., გვ. 73).

სასახლის წინ მდებარე ხეებიან ეზოს გარდა, ქალაქის გალავანს იქით მეფის ბაღი ყოფილა, რომელშიც ყოველგვარი ხეხილი მდგარა [1] (იქვე გვ. 144), მაგრამ სავარდე არ არის მოხსენებული.

სოფლის მოსახლეობა წყაროების მახლობლად იყო შორი-შორს დამკვიდრებული: ორ-ორი, სამ-სამი, ათი, ოცი და მეტი კომლი ერთად. მაგრამ ყოველ მეკომურს თავის სახლთანვე კარმიდამო და ეზო ჰქონდა (იქვე გვ. 187).

დასავ. საქართველოს მებაღეობის გასათვალისწინებლად ქართ. გეოგრაფს შემდეგი საგულისხმო დაკვირვება მოეპოვება. ვახუშტი ამბობს: იმერეთში „წალკოტნი არა არიან, არამედ ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი" აქვთ დარგულიო. წალკოტთა უქონლობის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებს, რომ იქ ხეხილნი „ტყეთა შინა მრავლობს ყოველნი"-ო (გეოგრ. 340).

რუს ელჩებსაც, ტოლოჩანოვსა და იევლევს, აღნიშნული აქვთ, რომ იმერეთში ყოველი მოსახლის ეზოსა და კარმიდამოს ირგვლივ და გარეშემო ხეხილი და ვაზი იყო ხოლმე დარგული ისე, რომ ხეხილის სიხშირისაგან სახ-

---

[1] „За городовою стеною сад Александра царя, а в саду всякие овощные деревья".

ლები არ ჩანდა თურმე („ელჩობა იმერეთში“ 1650—2 წ., გვ. 187) [1]. ამნაირად, ცალკე ბაღ-ვენახი-კი არ ჰქონდათ, არამედ სახლის კარმიდამო და ეზო იმავე დროს ჩვეულებრივ ხეხილისა და ვაზის მოსაყვანადაც ყოფილა გამოყენებული. ასეთ პირობებში მებაღეობა-მევენახეობის ოდნავად მაინც ინტენსიური კულტურის წარმოება, რა თქმა უნდა, სრულებით შეუძლებელი იყო.

ისევე, როგორც მთელ დასავ. საქართველოში, სამეგრელოშიც მოსახლეობის წესი თავისებური იყო და ამიტომ, ნაწილობრივ ამასთან დაკავშირებით, მებაღეობისათვისაც განსხვავებული პირობები არსებობდა. არქ. ლამბერტი ამბობს: „ყოველ მეგრელს ისეთი დიდი ეზო აქვს, რომ მინდორს წარმოადგენს. ეზოში იზრდება მხოლოდ კარგი ბალახი და იქ ბალახ-ბულახს ვერ ნახავთ, ყოველ მოსახლეს თავი მოსწონს ეზოს სისუფთავით. ეზოს არტყია გარეშემო თხრილი და ღობე. ყოველი მოსახლე ცდილობს რომ, რაც შეიძლება, მშვენიერი ღობე გააკეთოს“, რომელიც წნელით დამაგრებული მაგარი სარებისაგან კეთდებაო. შასავალთან ბჭისკარი იყო, რომელზედაც „გამოქანდაკებულია სხვადასხვა სახე პირუტყვებისა, ან სხვის რისამე. თუმცა ყოველივე ეს ტლანქად არის გაკეთებული, მაგრამ რაღაც სოფლის სილამაზე მაინც აძლევს ნაწარმოებს“-აო (სამეგრ. აღწერა 39 – 40).

ამ დიდ ეზოებში ჩრდილის გულისათვის სხვადასხვა ხეები ყოფილა დარგული. ამ ხეებს სხვადასხვა ნაირად რგავენ: ზოგიერთს სიგრძეზე მწკრივად გააყოლებენ, რომ დღის განმავლობაში კაცს შეეძლოს, როცა მოისურვებს, ჩრდილს ქვეშ გაისეირნოს,—ზოგიერთებს-კი ირგვლივ, წრესავით რგავენ, რომ მრავალს კაცს ერთად შეეძლოს ჩრდილს ქვეშ მოთავსდეს და პური ჭამოს, ან მოისვენოს, თუ მოისურვებს“-ო (სამეგრ. აღწერა 40).

არქ. ლამბერტის მოწმობით, სამეგრელოში პატარა ბაღებსაც აკეთებდენ, მაგრამ მოვლა-დამუშავებით ბაღები კარგი ჰქონიათ: გლეხებიც, ვინც მებატონის კეთილგანწყობილებას მოკლებული არ არიან, „მშვენიერ ბაღებს აკეთებენ“-ო (სამეგრ. აღწ. 59).

თავი IV. მტილ-სამოთხისა და ბაღ-წალკოტის მოვლა-პატრონობის ორგანიზაცია.

§ 1. მომვლელის სახელი და მოვალეობა.

ცხადია, რომ კარგად მოწყობილსა და ინტენსიურ მეურნეობაში მტილ-სამოთხისა და შემდეგ ბაღ-წალკოტ-ვენახისათვის სათანადოდ მომზადებული პირები უნდა ჰყოლოდათ, რომელნიც ამ რთულ საქმეს პირნათლად გაუძღვებოდენ. რა თქმა უნდა, ამას გარდა შესაფერისი მოწყობილობა და მუშაობის გეგმა და წესრიგიც ექმნებოდათ. ამიტომ საგულისხმოც იქმნებოდა და საჭიროც, რომ ძველ საქართველოში მებოსტნეობა-მებაღეობის ტეხნიკური ორგანიზაციის გათვალისწინება შეგვძლებოდა. მართალია, ამის შესახებ ბევრი არაფერი მოგვეპოვება, მაგრამ იმ ორიოდე ცნობის მიხედვითაც, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია, ზოგი რამის გამორკვევა მაინც შეიძლება.

---

[1] „Около у всякого двора обсажинано овощиным деревьем всяким и виноградом. И стоят что в лесу: не видно“ (იქვე).

მტილის მომვლელს ძველ საქართველოში „მემტილე"-ს ეძახდენ. ეს სიტყვა იოანეს 20_{15}-შია ნახმარი და უდრის ბერძნულს ὁ κηπουρός-ს, „კეპუროს"-ს, ლათინურს hortulanus-სა და სომხურს պարտիզպան-ს, სამივე მებაღესა ჰნიშნავს.

შატბერდისეული წ˝ა ნინოს ცხორების ავტორის მოთხრობითგან ჩანს, რომ ჩე-IV ს-ში მეფის სასახლესთან მდებარე ბაღსაც, რომელსაც მაშინდელი ქართ. ტერმინოლოგიით სამოთხე ეწოდებოდა, გალავანი თუ არა, ლობე მაინც უნდა ჰქონოდა. მას ჰქონია „კარი სამოთხისაჲ" და განსაკუთრებული მცველიც ჰყოლია, რომელსაც „სამოთხისა მცველი" ეწოდება. საცხოვრებელად მას იქვე კართან „სახლაკი მცირეჲ" სდგმია. წ˝ა ნინოს ნათქვამი აქვს: „მი-რაჲ-ვედ კარსა ზედა სამოთხისასა იყო სახლაკი მცირეჲ სამოთხის მცველისაჲ"-ო (Опис. II, 756).

„მეწალკოტე", ცხადია, წალკოტის გამშენებელი, ან მომვლელი იყო. როდესაც წალკოტად საყვავილე იგულისხმებოდა, მაშინ მის მოვალეობას ვარდ-ყვავილების რგვა-პატრონობა შეადგენდა: „მე იგი მეწალკოტე ვარ ვარდისა მნერგავი"-ო (ვისრამიანი 129). მეწალკოტის დიდი შრომა და მოთმინებით აღსავსე მუშაობა ვისრამიანის ავტორს მშვენიერად აქვს დასურათებული: „მეწალკოტესა . . მას ჰხედავ თუ, რა დარგოს, რაზომსა ჭირსა ნახავს მოკრეფამდინ: დღე და ღამე ჭირსა და კაზმასა შიგან არის, ეკლსა ეკალი ესობის ამისითა იმედითა, თუ ვარდი ოდესმე გამოისხმისო" (გვ. 299). ასეთივე და უფრო მეტიც შრომა, ყოველდღიური თვალყურის დევნება და მოთმინება სჭირდებოდა სამოთხის მცველს, მებაღეს და მევენახესაც.

§ 2. ვენახ-ბაღის დაცვის საშუალებანი.

სამოთხეს, ვენახსა და მტილს დაცვა სჭირდებოდა. ამისთვის კეთდებოდა „ლობე" და „ზღუდე". ესაიას 5_5-ში სწერია: „აწ უკუეჲ მიგითხრა თქუნ, თუ რაჲ უყო მე ვენაკსა ჩემსა: მოვძარცო ლობე მისი და იყოს დასატაცებელ, დავარღვიო ზღუდე მისი და იყოს დასათრგუნველ"-ო. მაშასადამე, უზღუდოთ ვენახ-მტილი დაითრგუნვებოდა და განადგურდებოდა, ულობოდაც შიგ მყოფ ხილ-მტილეულს დაიტაცებდენ.

„ლობე" ბერძნ. ὁ φραγμός-ს ეთანასწორება, ხოლო ლათინ sepes-ს და სომხ. ցանկ-ს. „ზღუდე" კიდევ უდრის ბერძნ. ὁ τεῖχος-ს, ლათინ. maceria-სა და სომხ. պարիսպ-ს. ბერძნული, ლათინური და ქართული სიტყვების მნიშვნელობა ერთმანერთისას ზედმიწევნით უდგება, სომხური-კი კედელსა ჰნიშნავს.

მტილსა და სამოთხეს ისევე, როგორც წალკოტსა და შემდეგში ბაღ-ბოსტანსაც, როგორც დავრწმუნდით, თავისი მომვლელ-დამმუშავებელი გააჩნდათ. ბოსტნეულსაც და ბაღ-ვენახებს, ისევე როგორც წალკოტებსაც თავ-თავისი მტრები და მავნებლები ჰყავდა, რაზედაც სათანადო ადგილას გვექმნება საუბარი. წ˝ა ნინოს შატბერდისეული ცხოვრების ავტორსაც მოთხრობილი აქვს, რომ მეფის სასახლის სამოთხეში „მფრინველნი ცისანი . . . მოვიდიან სამოთხესა მას და ბაპილოსა (იგულისხმება ბაძილოს ყურძნის მტევნებს) მას მოიხთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან"-ო (Опис. II, 757—758).

ხილეულისა და საერთოდ მტილ-სამოთხის ფრინველებისაგან დასაცავად

ძველადვე მათი დაშინება იყო მიღებული. ამიტომ ფრინველების შესაშინებლად და ხეხილის დასაცავად მტილში „საფრთხოლი“ კეთდებოდა. მაგრამ ხშირად ესეც ვერაფერს ჰრგებდა ხოლმე. ბარუქის 6_{69}-ის ქართ. თარგმანში მაგ. ნათქვამია: „ვითარცა მტილსა შინა საფრთხოლმან ვერა რაჲ დაიცვის“-ო. „საფრთხოლი“ ბერძნ. προβασκάνιον-ს (იერემიის ეპისტ. 69), ლათინ. formido-ს უდრის.

§ 3. წალკოტ-ბაღების დაგეგმულობა და დანაწილება.

მემტილეობა და მებაღეობა ისევე, როგორც მევენახეობა მიწისმოქმედისაგან გეგმიან მუშაობას თხოულობდა: ბოსტნეული და ხეები ისევე, როგორც ვაზი, უნდა სათანადოდ და გარკვეულ რიგზე ყოფილიყო დარგულ-დათესილი. სამოთხესა და წალკოტში, ბაღშიც გზები უნდა ყოფილიყო და საჩრდილობელი და დასასვენებელი ადგილები გაეკეთებინათ და მოეწყოთ. გარკვეული გეგმის გარეშე, რა თქმა უნდა, ამის განხორციელება არ შეიძლებოდა.

მეწალკოტეობა და მებაღეობა იმდენად მჭიდროდ იყო ასეთ გეგმიან მუშაობასთან დაკავშირებული, რომ ამის წყალობით განსაკუთრებული ტერმინიც-კი შექმნილა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ „დაწალიკება“, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, თურმე „წკრივად წასლვა“-ს აღმნიშვნელად (ლექსიკ.) ქცეულა. რაკი „და“ თანდებულია და „ება“ ფორმანტია, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ „წკრივადობის“ აზრის მიმცემი თვით „წალიკ“-ი უნდა იყოს. მაგრამ რაკი „წალიკა“ ბალახ-ყვავილსა ჰნიშნავდა და შემდეგ წალკოტში ყვავილხეხილის ბაღსაც, საფიქრებელი ხდება, რომ „დაწალიკება“-ს გამწკრივების მნიშვნელობა მხოლოდ იმიტომ შესაძლებელი იყო მისცემოდა, რომ ბოსტანსა, საყვავილესა და ხეხილის ბაღში ხეებს მწკრივად რგავდენ ხოლმე. ამგვარად, ბაღი გარკვეული გეგმაზე და სისტემით ყოფილა გაშენებული. მართლაც, საკმარისია ადამიანმა თვალი გადაავლოს ქართ. ხელთნაწერითგან აქვე მოყვანილ ნალკოტ-ბაღების სურათებს (იხ. აქვე ტაბულა I), რომ დარწმუნდეს, თუ როგორი სიმკაცრით დაცული ყოფილა მაშინ ნაძვ-კვიპაროზების მწკრივადობა და როგორი სისწორით გაყვანილი ყოფილა იქ გზები.

მტილი, ანუ ბოსტანი, ამას გარდა, ფარ̃თობის დაკვალევასაც მოითხოვდა და ბოსტნის კვლებისათვის სათანადო ტერმინიც არსებულა, „უუერბი“. ეს სიტყვა 2 შჯულთა 11_{11}-ში არის ნახმარი: „რაჲჟამს დასთესიან თესლი და მორწყიან, ფერკითა მათითა განქმნიან უუერბი მტილისა“-ო. ქართული „უუერბი მტილისაჲ“-ს სრული შესატყვისობა სხვა თარგმანებში არა ჩანს: ბერძნულად ნათქვამია „ὡσεὶ κῆπον λαχανίας“, ლათინურად „in hortorum morem“, სომხურად-კი „իբրև պարտեզ բանջարոյ“, თუ „მტილი“ κῆπος-ს, hortus-ს და պարտեզ-ს უდრის ე. ი. ყველგან მართლაც ბაღი, ანუ მტილი სწერია, ბერძნული λαχανία ბალახს, ბოსტნეულს ჰნიშნავს, სომხური բանջար-იც იმავე ცნების გამომხატველია, ლათინური-კი mos წესსა ჰნიშნავს, ბაღის წესისაებრო.

ამგვარად, ქართველ მთარგმნელს ეს ადგილი თავისებურად გაუგია: „ფერკითა განქმნა“ ფეხით გასწორებას ჰნიშნავს. დაბადების ეს ტექსტი, რაკი წინ თესლის დათესაზეა საუბარი, ქართ. მთარგმნელს ისე გაუგია, რომ დათესვის შემდგომ მტილის სათანადო ადგილი ფეხით იყო გასწორებულიყო. ქართუ-

ლი თარგმანის ამ წინადადებაში აზრის მიმდინარეობით „ყუერბი მტილისა“ შესაძლებელია მართლაც მხოლოდ ბაღის კვალს ჰნიშნავდეს. საგულისხმოა, რომ ს. ორბელიანსაც „ყუერბი“ ასევე აქვს განმარტებული: „ესე არს საცეცხლე კერის ადგილი, გინა ბოსტნისა მარგი“ (ლექსიკ.), ანუ კვალიო.

—

თავი V. ნიადაგთმცოდნეობის საგანძური და დონე ძველ საქართველოში.

თავ-თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ძველ ქართულში ისეთი ტერმინებიც არსებობდა, რომელნიც მიწის ამა-თუ-იმ სამეურნეო დანიშნულებისათვის განკუთვნილობას გამოჰხატავდენ: საკნავი, საყანური, სავენაკე, სათიბი, საძოვარი და ბევრი სხვაც. ასეთი სიტყვების არსებობა ცხად-ჰყოფს, რომ მემინდვრეობისათვის, თუ ბაღისა, ანუ ვენახის გასაშენებლად განზრახულ მიწას მაშინდელი შეხედულებითაც გარკვეული თვისება უნდა ჰქონოდა.

დაკვირვებასა და მწარე გამოცდილებას ქართველი მიწისმოქმედი დაურწმუნებია, რომ ვაზი ყველგან არ იხარებდა და, თუნდაც რომ ეხარნა, ყველგან კარგ მოსავალს არ მისცემდა მეურნეს. მისი ძალღონე უქმად რომ არ დახარჯულიყო და მისი შრომა დაჯილდოვებულიყო, გაწეული ხარჯებიც აჰნაზღაურებოდა და სარგებლობაც ენახა, ყანა იქმნებოდა, თუ ბოსტანი, ბაღი, თუ ვენახი, უპირველესად შესაფერის მიწაზე უნდა გაეშენებინა.

მიწის შესაფერისობა, რასაკვირველია, უმეტესად ნიადაგის გარკვეულ თვისებაზე იყო და არის ეხლაც დამოკიდებული. ზემომოყვანილი ტერმინების არსებობა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პრაქტიკული დაკვირვება-გამოცდილებით მოპოვებული ნიადაგთმცოდნეობის გარკვეული დონე ძველ საქართველოში ყოფილა. ამ ცოდნის მთელი ოდენობის გამორკვევა ამ ჟამად აღარ შეიძლება, მაგრამ ნიადაგის სხვადასხვა თვისების აღსანიშნავად ძველ საქართველოში განკუთვნილი სიტყვების ანალიზი, ხალხში გარდმოცემით დაცული დაკვირვების შესწავლასთან ერთად, ამ ცოდნის ნაწილობრივ მაინც გათვალისწინების საშუალებას მოგვცემს.

სამწუხაროდ, ნიადაგის თვისების დამახასიათებელი ძველ ქართულში არსებული ტერმინების შესწავლა არავის ფიქრად არ მოსვლია. მე-XIX ს. დამლევს-კი საქართველოს სხვადასხვა თემში ხალხში გავრცელებული ზოგიერთი ასეთი სიტყვები მევენახეობის იმდროინდელი მდგომარეობის შემსწავლელთა ნაშრომებში მოიპოვება. მაგრამ ყველა ავტორი თავის მოვალეობას ერთნაირად არ მოჰკიდებია, ამიტომ საქართველოს მხოლოდ ზოგიერთი თემის შესახებაა ცნობები ცოტად-თუ-ბევრად დამაკმაყოფილებელი.

არც ერთი ამ შემკრებელთაგანი შეგროვილ მასალაში გარკვევას არ ცდილა. პირიქით, მოშველიებული მათგანი ჩიოდა, რომ სხვადასხვა შედგენილობა-თვისების ნიადაგს ხალხში ერთი-და-იგივე სახელი ეწოდება, ანდა რომ ერთი-და-იმავე თვისების ნიადაგს სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა სახელს ეძახიან, რომ სახელების რევანი (СбСмВгВдК III, 8, 37). ეს აზრი მეტად გაზვიადებულია და, როგორც დავრწმუნდებით, უმთავრესად საკითხის სათანადოდ შეუსწავლელობის შედეგს წარმოადგენს.

ნიადაგის თვისების აღმნიშვნელი სახელები წყაროებში მაინც ბლომად ძო-

გვეპოვება: შავი მიწა, წითელი მიწა, ყვითელი მიწა, ჟჩა დიხა, დიხაშხო, ტრედისფერი მიწა, მიწალები, კინკიბური, დობერა, ანუ დობირა, დიხაკუბერი, ხირხატი, ხინჭყონა, ლისი მიწა, სახრო, ოროკი, ეწერი და სხვაც არა ერთი. არც ერთ შემგროვებელ-დამმუშავებელთაგანს არ უცდია ამ სახელებს ჩაჰკვირვებოდა და მათი მნიშვნელობა გაეგო, უამისოდ-კი მთელი ეს მასალა მართლაც თავბრუდამსხმელ შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთ პირობებში რაიმე ზოგადი აზრის გარკვევა, რა თქმა უნდა, სრულებით შეუძლებელი იყო.

რამდენადაც მებაღეობა-მევენახეობის დონის გათვალისწინებისათვის ეს საჭიროა და ნიადაგთმცოდნეობის მაშინდელი მინიმუმის გასაგებად გამოდგება, ნიადაგის დამახასიათებელი ტერმინების, მნიშვნელობისა და ტერმინოლოგიის სისტემის ცოდნაა საჭირო.

ნიადაგის თვისების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის შესწავლამ დამარწმუნა, რომ ყველა არსებული სახელები შესაძლებელია და უნდა კიდევაც რამდენიმე მთავარ ჯგუფად დაიყოს. ტერმინების ერთი ჯგუფი ნიადაგს მისი ფერსიდამიხედვით გვიხასიათებს, ტერმინების სხვა ჯგუფი მიწის ნიადაგის ფიზიკური შედგენილობის მთავარი ნაწილის აღმნიშვნელია. არსებობს სახელების ისეთი ჯგუფიც, რომელიც მიწის ჰიდროგრაფიული მდგომარეობისა, ან ტოპოგრაფიული თვისების გამომხატველია. დასასრულ, ტერმინთა ერთი ჯგუფი ნიადაგის სამეურნეო ღირებულების შეფასებას წარმოადგენს.

სწორედ ამნაირ ჯგუფებად დალაგებული და განხილული გვაქვს ყველა ის საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახელები, რომელიც ნიადაგის თვისების დასახასიათებლად ძველად იხმარებოდა და, ვითარცა წარსულისაგან ნაანდერძევი კულტურული განძი, მე-XIX ს-შიც იყო ხალხში შერჩენილი.

§ 1. ნიადაგის ფერის მხრივ დამახასიათებელი ტერმინები.

შავი-მიწა კახეთში პირველ-ხარისხოვან ნიადაგად ითვლება. ასეთი სახელი ნოშომპალათი გაპოხიერებულ (обогащенная до некоторой степени перегноем) თიხნარ-კირიან მიწას ეწოდება (ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი ОчВгВд Кахетии: СбСвВгВдК VII, 18), რომელსაც შავი ფერი აქვს და რომელიც ლონიერი და მოსავლიანია. ნიადაგის უაღრესი თვისების აღსანიშნავად **შავი მიწა** საქართველოს სხვა თემებშიც იხმარება, მაგ. ქართლსა, რაჭაში და ლეჩხუმში (იხ. ე. დანდუროვი ВгВд Рачин. у.: СбСвВгВдК III, 37.—ა. იაკოვლევის ВгВд в Лечхум. у.: იქვე III, 74).

ასეთივე სახელი ეწოდება ამნაირი თვისების ნიადაგს მეგრულადაც, სადაც ამ ცნების გამოსახატავად **უჩა-დიხა**-ს, ე. ი. შავ-მიწას ჰხმარობენ. გურიაში-კი ამის შესატყვისად **დიხაშხო**-ა ტერმინად მიღებული (ერმ. ნაკაშიძე ОчВгВдГ и Мг.: СбСвВгВдК IV, 62).

დიხაშხო-დ და ჟჩა-დიხა-დ, ანუ შავ-მიწად გურიასა და სამეგრელოში ხალხი ისეთ თიხნარს, ანუ ქვიშნარს ნიადაგს უწოდებს, რომელიც საკმაო სიღრმეზე შავი-მიწის, ანუ ნოშომპალას (перегноя) შემცველია. **დიხაშხო**, ანუ **უჩა-დიხა**, შავი-მიწა, მეტად მოსავლიანია და როგორც პურეულის მოსაყვანად არის გამოსადეგი, ისევე ვაზის გასაშენებლადაც (ერმ. ნაკაშიძე ОчВгВдГ и Мг.: СбСвВгВдК IV, 62).

დიხაშხო იმერულსა და რაჭულ თქმაშიც მოიპოვება, სადაც ასეთი სახელი „კარგი, მოსავლიან მიწი“-ს აღმნიშვნელი ყოფილა (იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ი ს სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 1912 წ., გვ. 11).

დიხაშხო იმერეთში გეოგრაფიულ სახელადაც-კია ქცეული: ქუთაისის სანახებში ერთი სოფელია, რომელსაც **დიხაშხო** ეწოდება (რუს. 5-ვერსიან რუკაზე Дихашхо ლ არის აღნიშნული გ 6 60°00'—42°15') და რიონის სამხრეთის შენაკადის სულორის ხეობაში, სალხინოს სამხრეთით მდებარეობს (ქუთ. აღმ. კომიტ. 1929 წ. ვე. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რუკაზე 42°35'—42°5').

ამაზე უფრო საგულისხმო გარემოებაა, რომ ტერმინი **დიხაშხო** წინათ აღმოსავლეთ საქართველოშიც ყოფილა ცნობილი. **დიხაშხო** ძველად ქართულ სამწერლობო ენაშიც არსებობდა. ეს ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლექსიკონითგანაც ჩანს, სადაც ეს სიტყვა შეტანილია. ს ა ბ ა ს განმარტებით, „**დიხაშხო**“ არის „**მიწა დახეთქილი და ავად გამოგვალული**“. საითგან აქვს იგი ს ა ბ ა ს ამოღებული და რამდენად სწორეა ეს განმარტება, ანდა, თუ სწორეა, რატომ მიენიჭა ამ ტერმინს ასეთი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

იმისდა მიუხედავად, რომ ასეთი სიტყვა თანამედროვე მეგრულს, არსებული ლექსიკონებისდა მიხედვით, არ მოეპოვება და მხოლოდ გურულსა, იმერულსა და სამწერლობო ქართულს აქვსთ დაცული, **დიხაშხო**-ც, უჩა-დიხაეით, მეგრულია. ეს ტერმინი **დიხაშხუ**-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. მისი პირველი ნაწილი იგივე **დიხა**-ა, მიწის აღსანიშნავად რომ იხმარება. **შხუ** მეგრულად სხვილი-ს შესატყვისობას წარმოადგენს და მსხვილსავე და მსუქანსაც ჰნიშნავს. ამნაირად, ცხადი ხდება, რომ თავდაპირველად **დიხაშხო** **მსუქანი, პოხიერი მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო**. ისევე, როგორც ეხლაც, შავ-მიწაზე, მოსავლიან და კარგ მიწაზე ამბობენ „**მსუქანი მიწა**“-ო, ასევე იქმნებოდა მეგრულშიც: „**უჩა-დიხა**-ს შავი-მიწას პარალელურ სახელად **დიხაშხუ**-ც, ე. ი. მსუქანი მიწა-ც იქმნებოდა და **დიხაშხო**-ს სახით თანამედროვე გურულს, იმერულს თქმებსა და ზოგად ქართულსაც სწორედ ეს ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილი ტერმინი აქვს დაცული.

ამნაირად ირკვევა, რომ **დიხაშხო** მეგრული უჩა-დიხას, ანუ **შავი მიწის** სრულ შესატყვისობას არ წარმოადგენს: **უჩა-დიხა** და **შავი-მიწა** **ნიადაგის ფერის დამახასიათებელ ტერმინთა ჯგუფს ეკუთვნის, დიხაშხო-კი ნიადაგის ღირსების გამომხატველ ტერმინთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. მაშასადამე, უჩა-დიხა და დიხაშხო ერთი-და-იმავე და მსგავსი თვისების ნიადაგის ორი სხვადასხვა თვალსაზრისით დამახასიათებელი სახელები ყოფილა.**

ქართველი მიწისმოქმედი კირნარევ-თიხნარ ნიადაგს კახეთში **ყვითელ მიწა**-ს უწოდებს (ა. ფ ი რ ა ლ ო ვ ი და ს. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი ОчВгВд Кахетии: СбСвВгВдК VII, 18).

წითელი მიწა ნიადაგის სახელად ვ ა ხ უ შ ტ ს აქვს თავის გეოგრაფიაში ნახმარი. მისი განმარტებით, ყვირილის შემდინარემ, წყალწითელამ, მიიღო, „მოიგო სახელი წითლის მიწისაგან, რამეთუ მას ზედა დინებითა წითლდების“-ო (გვ. 356).

წითელი მიწა-ს სახელს კახეთში რკინა-ნარევ თიხნარ ნიადაგს უწოდებენ (ა. ფ ი რ ა ლ ო ვ ი და ს. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი Оч ВгВдКахетии: СбСвВгВдК VII, 18). ასეთ სახელს ნიადაგის თვისების დასახასიათებლად აღმ. საქართველოს მარტო

ამ თემში-კი არ ხმარობენ, არამედ ეს და ამის მსგავსი ტერმინი დასავლეთ საქართველოშიც არის გავრცელებული. მაგ. რაჭაშიც ნიადაგის გარკვეული თვისების დასახასიათებლად **წითელ მიწა**-ს ხმარობენ (ე. დ ა ნ დ უ რ ო ვ ი ВгВд в Рачин. у.: СбСвВгВдК III, 37). სამწუხაროდ, ამ ცნობის ჩამწერს წითელი მიწის თვისებები აღნიშნული არა აქვს. დასასრულ, ნიადაგის დამახასიათებელი ასეთი სახელი საქართველოს უკიდურეს დასავლეთ თემშიც, სამეგრელოშიცაა, სადაც **ჭითა დიხა**-ს ეძახიან. ეს სახელი „წითელ მიწა"-ს ჰნიშნავს.

ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ცნობით, „**ჭითა დიხა** თითქოს თიხიან, მძიმე, ღია ფერად შეღებილ და ნოშომპალას ნაკლები ოდენობის შემცველი (с меньшим содержанием перегноя) თიხიანი ქვენიადაგის მქონებელი ადგილის აღმნიშვნელი იყოს (ОчВгВдГ и Мг: СбСвВгВдК IV, 61). მაგრამ თვით სახელი მეგრულად წითელ მიწას ჰნიშნავს და უეჭველია ასეთი ფერის ნიადაგის აღმნიშვნელი უნდა იყოს კიდევაც.

ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ა ვ ე სიტყვით მეგრული **ჭითა დიხა**-ს შესატყვისად გურიაში „**ჭინჭიბური**"-ა („Чинчибури") გავრცელებული (იქვე: СбСвВгВдК IV, 61).

ჭინჭიბური არც ს ა ბ ა ს ა და არც თანამედროვე ლექსიკოგრაფებს არ მოეპოვებათ. ეს, ან ამის მსგავსი სიტყვა არც მეგრულსა და ჭანურში ჩანს, ამიტომაც, მისი თავდაპირველი მნიშვნელობის გამოსარკვევად, ამ ტერმინის ეტიმოლოგიის ცოდნაა საჭირო, მაგრამ ჯერჯერობით მისი გზა და კვალი არ ჩანს [1].

სამეგრელოში ნიადაგის ერთ-ერთ სახელად **დიხა-ჭუბერი**-ც არსებობს. ეს სიტყვა, პროფ. იოს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ცნობით, ეწოდება „თეთრ მიწას, რომელსაც საპნის მაგიერ თავის დასაბანად ჰხმარობენ"-ო (მეგრ. გრ. ლექსიკ. 227). თავისდა-თავად „**დიხა ჭუბერი**" თეთრ მიწას არ ჰნიშნავს. ამ ტერმინის მეორე ნაწილი **ჭუბერი** ალბათ **ჭუბური**-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს, **ჭუბური**-კი წაბლის ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს. ჭანურად წაბლს სწორედ **ჭუბერი** ეწოდება, მაგრამ **ჭუბრი**-ც იხმარება (ჭ. გ.). ამნაირად, საფიქრებელია, რომ **დიხა-ჭუბერი** თავდაპირველად მიწა-წაბლის, ე. ი. წაბლისფერ მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. თუ ჩვენი მოსაზრება მცდარი არ არის, ამიტომ თავის საბანი მიწა თეთრი-კი არა, მქრთალი წაბლისფერი მაინც უნდა იყოს.

კახეთში ნიადაგის თვისების დასახასიათებლად მიწისმოქმედნი „**ტრედის-ფერ-მიწა**"-საც ხმარობენ. ასეთი სახელი ეწოდება ნიადაგს, რომლის მნიშვნე-

---

[1] ჭინჭიბორი, გ რ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობით, რომელიც მგოსან იოს. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს ხელით მიეიღე და რომლისთვისაც ორთავეს დიდ მადლობას მოვასსენებ, „აგურისფერი, მოყვითალო მიწაა, ნაკლებ ნოყიერი. წებოსავითაა, თიხიანი, ზემო აპკი გაფხვიერებული აქვს. წააგავს ეწეროვან ნიადაგს. გლეხები ამბობენ: «წელი მომწყდა ჭინჭიბორის მუშაობაზეო»-ო. ერთ-ორ ბარს რომ დაჰკრავენ, მერმე ბარი ვერ ჩაჰყავთ, თუ წყალში არ დაასველეს. მაგარი სამუშაოა. უნაყოფო მიწა იყო: წინეთ გვიმრა იზრდებოდა და მაღლარი, ნახევრად ველური, ვენახიც ხარობდა, ახლა კი დამყნილ ვაზსაც აშენებენ. თუ ჩრდილოეანი ადგილია ჭაობს აჩენს"-ო.

ლოვან შენარევსაც კირი შეადგენს და კირის ფიქლების ნამსხვრევს შეიცავს („обломков известковых сланцев": ა. ფ ი რ ა ლ ო ვ ი და ს. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი Очерк ВгВдКахетии: СбСвВгВдК VII, 18).

მიწის თვისების ერთ-ერთ სახელად **მიწალები**-ც იხმარებოდა. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, ეს სახელი არჯასპის სინონიმია: მაგრამ, მისი აზრით, „არჯასპი სომხურია, ქართულად **მიწალები** ჰქვიან, შესაღებავია"-ო. ამავე ავტორის ნაშრომის მეორე, B, რედაქციაში დამატებულია: „შავი საღებავი მიწაა"-ო. ხოლო ამავე რედაქციის მიწალები-ს დანართ განმარტებაში სწერია: „მიწის საპონი" არისო (ლექსიკ.).

მიწალები ძველი ქართული ტერმინია და ორი ნაწილისა, მიწ-ისა და ლებ-საგან, შესდგება, რომელთაგან მეორე ლურჯსა ჰნიშნავდა. მაშასადამე, **მიწალები** თავდაპირველად და ძველ ხანაში შავისა-კი არა, არამედ ლურჯი მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

§ 2. ნიადაგის შედგენილობის მთავარი ნაწილის აღმნიშვნელ ტერმინთა ჯგუფი.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ნიადაგის თვისების დამახასიათებელ ტერმინთა ერთ ჯგუფს მიწის შედგენილობის მთავარი ნაწილის სახელი აქვს აღბეჭდილი. ცნობილია, რომ ნიადაგი ბევრგან ცოტად-თუ-ბევრად წვრილი, თუ სხვილი ქვა-ნარევი არის ხოლმე. ამიტომ ბუნებრივია, რომ მიწის ასეთი თვისებისათვის სოფლის მეურნეს ყურადღება მიექცია და დამახასიათებელ გარემოებად მიეჩნია. ასეც მომხდარა და არა ერთი ტერმინი სწორედ ასეთი ცნების გამომხატველია. მაგრამ მათი თავდაპირველი მნიშვნელობის გასაგებად წინასწარ სხვადასხვა თვისებისა და ოდენობის ქვის ძველი ქართული სახელების ცოდნაა საჭირო. ეს ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ნაშრომში მისთვის ჩვეულებრივი სისრულით არის მოყვანილი და განმარტებული.

ს ა ბ ა ს სიტყვით: „**სილა** არს ქვა ვითარცა გაცრილი,—**ქვიშა** ხვარბალთა ოდენი,—**კენჭი** ცერცუთა ტოლი და უდიდესი,—**ღორღი** არს ნამტვრევი და კენჭთ უდიდესი, ვიეთნი **ბორბუს** უკმობენ,—**ხვინჭა** (c: **ღვინჭა**) არს კენჭი წყალთა შინა, **რიყე** არს ქვა-ქვიშა წყლის კიდურისა, **ძაჭარი** არს უწყლოს ადგილის რიყის მსგავსი ქვა"-ო (ლექსიკ.: ქვა). დასასრულ, ს ა ბ ა ამბობს, რომ „**თირი** არს კლდე ლბილი და ადვილ სათლელი" (ლექსიკ.).

მაგრამ უკანასკნელი განმარტება იმდენად მკაფიო არ არის, რომ ადამიანმა თირის ბუნება გაითვალისწინოს. აქ თირის მხოლოდ ორი თვისებაა აღბეჭდილი: ერთი ის, რომ თირი თავისი სიმკვრივით უფრო კლდესა და ქვას მიაგავს, ვიდრე მიწას,—მეორეც ის, რომ, თავისი სიმკვრივისდა მიუხედავად, თირის დამახასიათებელ თვისებას სწორედ სირბილე შეადგენს, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს აღნიშნული აქვს, რომ თირი იმდენად რბილია, რომ ადვილი სათლელიც-კი არის. რ. ე რ ი ს თ ა ვ ი თირს რუსულად туф-ად სთარგმნის (მინერ. ლ.) და უეჭველია, სწორედ ასეთი თვისების ნიადაგის აღმნიშვნელია კიდევაც **თირამიწა**.

თირი რომ ქართველ ხალხს კლდედ არ მიაჩნია. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ რაჭაში ნიადაგის თვისების დასახასიათებლად **თირა-მიწა**-ც იხმა-

რება (ე. დანდუროვი ВгВд в Рачин. у.: СбСвВгВдК III, 37). სამწუხაროდ ამ ცნობის ჩამწერს განმარტებული არა აქვს, თუ რა თვისების ნიადაგს უწოდებს ქართველი მიწისმოქმედი ასეთ სახელს. მისი სიტყვით, საეენახედ გლეხები უფრო **თირ-მიწასა** და **შავ.მიწას** ეტანებიან, ვითარცა უფრო ფხვიერხათ (იქვე).

თირი იმერეთში ეგების ისეთ გეოგრაფიულ სახელში იყოს ალბეჭდილი, როგორიცაა მაგ. ქვიტირი, რომელიც წინათ ქუტირ-ად იწოდებოდა და იქნებ ქვათირისაგან უკუქცევითი ასიმილაციის წყალობით არის ქვიტირად შეცვლილი.

სილა-სთან დაკავშირებული ნიადაგის დამახასიათებელი ტერმინი იმერეთშია გავრცელებული, სადაც სილისაგან წარმომდგარ ნიადაგს **სილა-მიწა** ეწოდება (ერმ. ნაკაშიძე Виноградарство в Имеретии: СбСвВгВдК III, 8). მაგრამ ეს სიტყვა საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის გავრცელებული. მაგ. გურიაში ამ სიტყვისაგან გეოგრაფიული სახელიც კია ნაწარმოები: იქ არსებობს ერთი ადგილი, რომელსაც **სილაური** ეწოდება (იხ. 5-ვერს. რუკის გ 6 59° 30′—42° 15′).

სილა-ს გარდა, გაცრილის მსგავსი ქვიშის აღსანიშნავად **ლისა**-ც იხმარება. ეს სიტყვა **რაჭაში** ეხლაც არის დაცული (იხ. ვ. ბერიძის სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა 27): „**ლისა—სილა, წვრილი ქვიშა**“-ო. მაგრამ რაჭაში **ლისი მიწა** ნიადაგის თვისების აღმნიშვნელ სახელადაც არის მიღებული (ე. დანდუროვის ВгВд в Рачин. у.: СбСвВгВдК III, 37).

თუმცა ს. ორბელიანს ეს სიტყვა არ მოეპოვება, მაგრამ რომ ოდესღაც იგი აღმ. საქართველოშიც ყოფილა, ამას ქვემომოყვანილი გეოგრაფიული სახელებიც ცხად-ჰყოფენ. მაგ. შიდა ქართლში არსებობს **ლისა** (5-ვერს. რუკაზე დ 6 61° 15′—42° 30′), ტფილისის მიდამოებშიც არის ადგილი, რომელსაც **ლისი** ეწოდება, და **ლისის ტბა**-ც ხომ ტფილისში ყოველ მცხოვრებს ექმნება გაგონილი.

ქვიშიანი-მიწა ნიადაგის აღმნიშვნელ სახელად რაჭაშიცა და, რა თქმა უნდა, სხვაგანაც საქართველოში იხმარება (ე. დანდუროვი ВгВд Рачин. у.: СбСвВгВдК III, 37), სამეგრელოშიც, დოც. ვარ. თოფურიას სიტყვიერი ცნობით, **ქვიშა-დიხა**-ს ხმარობენ.

ეს სიტყვა არა ერთ გეოგრაფიულ სახელშიც არის აღბეჭდილი, მაგ.: ცნობილია ტაშისკარის მახლობლად მდებარე ადგილი, რომელსაც **ქვიშხეთის მინდორი** ეწოდებოდა. ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს: „**დადგეს ტასისკარს ქვიშხეთის მინდორსა**“-ო (* 902, გვ. 743). ეხლაც არსებობს სოფელი და აგარაკი, რომელსაც **ქვიშხეთი** ეწოდება. დუშეთის სანახებშიც არის **ქვიშეთი** (ე 6 62° 00′—42° 30′). სამეგრელოშიც გვხვდება ამნაირი გეოგრაფიული სახელები. მაგ. შესაძლებელია დასახელებულ იქმნეს **ქვიშან-ჭალა** სენაკის სანახებში და **ქვიშონა** (გ 6 59° 00—42° 30′).

ქვიანი-მიწა ნიადაგის თვისების დასახასიათებლად რაჭაშია გავრცელებული (ე. დანდუროვის ВгВд Рачин. у.: СбСвВгВдК III, 37), მაგრამ ამას გარდა ყველგან სხვაგანაც საქართველოში. ამის მოწმეა მრავალი გეოგრაფიული სახელი, როგორც მაგ. **ქვაზვინეთი** შორაპნის სანახებში (დ 6 60° 45′—42° 00′), **ქვაყრილი** ტფილისის სანახებში (ე 7 62° 30′—41° 15′), **ქვალითი** და **ქვალი**-

შორი იმერეთში (დ6 60° 15′—42° 30′ და 60° 42′—45), **ქვალონი**[1] სამეგრელოში (გ 6 59°30′—42°30′), **ქვაშხიეთი** რაჭაში (დ 6 61°00′—42°15′) და სხვაც ბევრი.

ხორხი-მიწა ნიადაგის თვისების დამახასიათებელ ტერმინად რაჭაში იხმარება (ე. დანდუროვის ВгВд Рачин. у.: СбСвВгВдК, III 37), მაგრამ წინათ ბევრგან სხვაგანაც ყოფილა საქართველოში. ამას არა ერთი გეოგრაფიული სახელიც ცხად-ჰყოფს, რომელიც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მოიპოვება. მაგ. შესაძლებელია დასახელებულ იქმნეს **ხორხეთი** კახეთში, **ზემო** და **ქვემო ხორხი**, **ხორხელა** და **ხორხისუბანი** დუშეთის ც. მაზრაში.

ხორხი, უეჭველია, **ღორღი**-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს და, რაკი „**ღორღი ქვათ ნალეწი**"-ა, ე. ი. ნამსხვრევი ქვაა, ამიტომ **ხორხიანი** მიწა ღორღიანი ნიადაგის სახელად უნდა ვიგულისხმოთ.

ს. ორბელიანის სიტყვით, „**ხირატი ქვაგნარი სახნავი მიწა იყო** (ლექსიკ.). კახეთში-კი სახნავ-სავენახე მიწას, რომლის ნიადაგსაც ქვა-ქვიშა ბლომად აქვს შერეული, **ხირხატი** ეწოდება (ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი Оч ВгВд Кахетии: СбСвВгВдК VII, 18). უეჭველია, აქ ერთსადაიმავე სიტყვასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ეს ტერმინი ძეგლებში **ღირღატი**-ს სახითაც გვხვდება. არჩილ მეფესაც აქვს იგი თავის „არჩილიან"-ში ნახმარი, რომელშიც ნათქვამია: „**კლდოვან, ღირღატთა ადგილთა ვის შეუძლიან ბაღება**"-ო (პლატ. იოსელიანის გამ. 679). მართალია, არჩილს ღირღატში ბაღის გაშენება შეუძლებლად ჰქონია მიჩნეული, ხირხატი-კი კახეთში სახნავად და სავენახედ გამოსადეგ მიწად ითვლება, მაგრამ არც იქ არის იგი საუკეთესო ნიადაგად მიჩნეული.

საქართველოში ნიადაგის გარკვეული თვისების აღსანიშნავად ძველადაც იხმარებოდა **აყალო** და ეხლაც ხმარობენ, რაჭაში მაინც, **აყალო მიწა**-ს სახით (ე. დანდუროვის Виноград. в Рачин. у.: СбСвВгВдК III, 37). ამ ტერმინის თანამედროვე რეალურ მნიშვნელობაზე სამწუხაროდ არავითარი ცნობა არ მოიპოვება, მისი ძველი განმარტება-კი ხელთა გვაქვს. საბას სიტყვით, „**აყალო . არს მიწა საპონთ მსგავსი, მწიკულთა გამრეცხელი**" (ლექსიკ). ცხადია მხოლოდ, რომ ნიადაგის ამ მიწას შენარევის საკმაო ოდენობის სახით ტუტე უნდა ჰქონდეს, თუ მას დასარეცხადაც ჰხმარობდენ.

§ 3. წყლიანი და წყლის მოქმედებით შექმნილი ნიადაგის აღმნიშვნელ ტერმინთა ჯგუფი.

ძველ საქართველოში ქვეყნისა და ნიადაგის ჰიდროგრაფიული თვისებების დამახასიათებელი ტერმინებიც არსებობდა. „საქ. ეკონ. ისტორიის" I²-ში (იხ. გვ. 141) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ამ თვალსაზრისით, **სარწყავსა** და **ურწყავს** გარდა, იყო ტერმინიც „**ძუეყანა ურწყული**", რომელიც ბუნებით უწყლო ადგილის აღმნიშვნელი იყო. იქვე ნათქვამია, რომ **ურწყავი ურწყული**-საგან იმით განსხვავდებოდა, რომ შესაძლებელი იყო იგი ხელოვნურად სარწყავადაც ქცეულიყო, **ურწყული**-კი ბუნებრივი პირობების გამო სამუდამოდ ურწყავად რჩებოდა.

---

[1] ქვალონი-ს ეტიმოლოგია იხ. დოც. არნ. ჩიქობავას გამოკვლევაში „ონ სუფიქსი მეგრულში" (ტფილ. უნივ. მოამბე VI, გვ. 306).

მოსარწყავად გამოსადეგი მიწის დახასიათებისათვის განკუთვნილ ტერმინს გარდა, მოჭარბებული წყლის მქონებელი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვებიც არსებობდა. ასეთ ადგილს ძველ საქართველოში ᲛᲬᲧᲣᲠᲜᲔᲑᲘ ჰრქმევია. ესაიას 35_7-ის დამოწმებით საბას განმარტებული აქვს, რომ ეს ტერმინი „წყალმრავალს“-ა ჰნიშნავდა (ლექსიკ.).

აბუსერიძე ტბელის ცნობით, მთავარ-მოღვაწემ ერთ მაშენებელს „თჳთ აუწყა ადგილსა ზედა მწყურნებსა და მიწასა ზედა ლბილსა კელყოფაჲ ამის აღშენებისაჲ“ (ქ-კბი II, 116). ამის შომდევნო მოთხრობითგან ირკვევა, რომ ასეთ ნიადაგს დიდ სიღრმეზე რბილი და სველი მიწა ჰქონია და ამიტომ შენობის ასაგებად შესაფერისი არ ყოფილა.

თუ მწყურნები წყალჭარბი ქვეყნის აღმნიშვნელი იყო, ამავე თვისების უფრო მომცრო ადგილის სახელად ᲭᲐᲜᲭᲠᲝᲑᲘ იხმარებოდა. საბასაც ნათქვამი აქვს, რომ ჭანჭრობი იყო „კორდი წყლიანი ნოტიო“ (ლექსიკ.). ამ სიტყვას ბოლოსართად ობ ფორმანტი აქვს ისევე, როგორც ფერდობს, გვერდობს, ველობს და სხვა ამგვარ ტერმინებს. ეს გარემოება ამ სიტყვას განყენებულ, ანდა ზოგადი ცნების გამომხატველად ჰხდის. მის ფუძედ, ფორმანტის ჩამოცილების შემდგომ, ჭანჭრი დაგვრჩება, რომელიც, საფიქრებელია, ჭანჭყარ-თან უნდა იყოს დაკავშირებული და, როგორც ჩანს, ჭანჭყრობი-საგან იქმნება წარმომდგარი და ისეთი ნიადაგის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, სადაც წყალის სიჭარბის გამო წყაპა-წყუპი გაჰქონდა.

შესაძლებელია, ლიას („топкое место“) აღმნიშვნელი ჭანური სახელი ᲭᲝᲭᲧᲘᲚᲤᲘ-ც (ჭ. გ. 227) ჭანჭრობი-ს სწორედ ამ პირველადი ფორმის, ჭანჭყრობის, ოდნავ სახეცვლილი ფონეტიკური შესატყვისობა იყოს.

ნოტიო ნიადაგის აღმნიშვნელია ლაგაზიც. საბას ნათქვამი აქვს, რომ „ᲚᲐᲖᲐᲖᲘ“ არის „ტალახი ძნელად გამოსარეცხელი“. ხოლო ტალახი ქართ. ლექსიკოგრაფს ისე-კი არ ესმოდა, როგორც ეხლა ყოველ ქართველს ესმის. მისი განმარტებით, „ტალახი თიკა“-ა და „თიკა ტალახი“-ა. უკანასკნელი განმარტებისათვის იოანეს 9_6 აქვს დამოწმებული (ლექსიკ.).

ᲚᲐᲖᲐᲖᲘ მიწის თვისების აღმნიშვნელი და დამახასიათებელ სიტყვად გურიაში ეხლაც ცოცხალია. იქ ᲚᲐᲒᲐᲖᲐ ისეთ ეწეროვან ნიადაგს ეწოდება, რომელიც ჯერ კიდევ გამოუფიტავი თიხოვანი და თიხა-კიროვანი ფიქალის თხელ ქვენიადაგზეა დაფუძნებული[1]. იგი მწირსა და იმდენად მცირე-მოსავლიან მიწას წარმოადგენს, რომ იქ გვიმრაც-კი ხეირიანად ვერ ხარობს, თუმცა იელი საკმაოდ კარგად იზრდებაო (ერმ. ნაკაშიძე Оч´ ВгВдГ и Мг: СбСвВгВдК IV, 62).

გურული ლაზაზას შესატყვისად მეგრულში ᲛᲔᲚᲭᲕᲘᲠᲘ („мелчвири“) იხმარება. იოს. ყიფშიძეს ასეთი სიტყვა არ მოეპოვება, მაგრამ ᲛᲔᲚᲭᲕᲘᲚᲘ-ს სახით ეხლაც არსებობს.

წყალმრავალი ადგილის აღსანიშნავად ᲚᲘᲐ და ᲜᲝᲧᲐ-ც იხმარებოდა. საბას ნათქვამი აქვს: „ლია საფლობი ტალახი“-აო, ხოლო „ნოყა ლია“-აო (ლექსიკ.).

---

[1] „Лежащие на еще невыветрившейся подпочве из глинистаго и глинисто-известковаго сланца“.

ლია ეგნატაშვილი ბერის ნაშრომში გვხვდება იმ ადგილას, სადაც სვიმონ მეფის ურუმთა ხელში ჩავარდნის ამბავია აღწერილი. იქ მოთხრობილია, რომ სვიმონს, ოსმალთა ჯარის წინასწარი დაზვერვის შემდგომ, უკან გამობრუნებულსა და ფარცხისზე „მიმავალსა დახუდა ლია და დაეფლა ცხენი ლიაშიგან“ და ამის წყალობით ოსმალებმა ლიაში ცხენ ჩაფლული სვიმონი შეიპყრესო (ხელთნ. გვ. კ῀იგ 4). ამ ცნობითგან ჩანს, რომ ლია მართლაც საფლობი ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა.

სამეგრელოში ზუგდიდის ყ. მაზრაში ლია სოფლის სახელადაც-კია ქცეული (იხ. იოს. ყიფშიძის მ. გ. 273).

ლიას გარდა, **ლიამპალი**-ც არსებობდა, ამასთანავე **უყიანი ლიამპალი**-ს სახელიც იხმარებოდა. მონღოლთა-დროინდელი ჟამთააღმწერელის ცნობით, ბასილი მონაზონი დიმიტრი II-ეს მხილების დროს ურჩევდა „მდინარეთა თანა წვირიანთა და უყიანთა ლიამპალთა[1] არა შერთვა“-ს (* 888, გვ. 730).

ხაფლობი-ს ქვეშე საბას განმარტებული აქვს, რომ „**საფლობი** არს ღრმა ტალახი, რომელსა შინა დაეფლვის ცხენი, რა შევიდეს“-ო. „ხოლო ლერწმოანთა საფლობთა ეწოდებიან **ლია**, და წყალთა და ზღვათა საფლობსა — **უყე**, და ტევრთა შინა და მინდორთასა ეწოდება **ნოყა**“-ო (ლექსიკ.).

ძეგლებითგან ზემომოყვანილი ცნობები ცხად-ჰყოფენ, რომ ს. ორბელიანის ლიის მნიშვნელობის ზემომოყვანილი განმარტება მთლად სწორე არ არის. ირკვევა, რომ **ლია** ორნაირი ყოფილა: ერთი, როგორც ეტყობა, უმცენარეო საფლობს წარმოადგენდა, და მარტივად ლია-დ იწოდებოდა, მეორე კიდევ ისეთ საფლობს, რომელშიც ზოგიერთი მცენარეულობა, ალბათ, საბას თქმისა არ იყოს, ლერწამიც, იზრდებოდა.. ასეთ ადგილში წყალმრავლობისაკან მცენარეულობა, რასაკვირველია, ლპებოდა და, საფიქრებელია, რომ სწორედ ამნაირ საფლობს უნდა ჰრქმეოდა **ლიამპალი**.

სამეგრელოში **უცი** ისეთ მიწას ეწოდება, „რომელიც რამდენიმე წელიწადს გაშვებულია დაუთესავად. ასეთ მიწას კიდევ **კაბეტი**, **უზუტახუ**-ც ეწოდება“ (დოც. ვ. თოფურიას ცნობაა). მაგრამ ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილი მოთხრობითგან ჩანს, რომ **უყი** ძველად მიტოვებული სახნავის აღმნიშვნელი არ ყოფილა.

ძველ ქართულს ტერმინთა მთელი ისეთი ჯგუფიც ჰქონდა, რომელნიც წყლის დენითა და მოქმედებით წარმომდგარი ნიადაგის დამახასიათებელი და აღმნიშვნელი იყვნენ. ერთი ასეთი სიტყვათაგანი იყო და არის **ლამი**.

ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ „**ლამი შავი ლია**“-ა (ლექსიკ.). ეს განმარტება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ლიას იმ სხვადასხვაობას ამოწმებს, რომელზედაც ძეგლების მიხედვით ზევით უკვე გვქონდა საუბარი, რაკი საბას ლამი შავ ლიად აქვს დახასიათებული, ეს იმის მომასწავებელია, რომ **შავი ლია**-ც არსებობდა და ჩვეულებრივიც, რომელიც შავი არ ყოფილა, არამედ სხვა ფერისა. ცხადია, რომ შავი ლია სწორედ ლიამპალის შესაფერისია და საფიქრებელია, რომ ეს ორი ტერმინი სინონიმები უნდა იყვნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი საფლობს ფერის მხრივ ახასიათებს, ლიამპალი-კი მის შედგენილობის თვისების მხრივ.

[1] ასეა ქ῀ცის თეიმურაზისეულ ხელთნაწერში, მარიამ დედოფლისეულისაში-კი ამის მაგიერ სწერია „უღლუკამთ ლამპართა“.

თავისდა-თავად ლამი-ს ს ა ბ ა ს ზემომოყვანილი განმარტებაც, ზედმიწევნითი არ არის. ლამი სრულებით ლია არ არის, არამედ **მდინარე წყლისაგან გამორიყული დალექილი სილაა.** ასეთი მნიშვნელობა აქვს სიტყვას ეხლაც (იხ. ა. ფ ი რ ა ლ ო ვ ი ს ა და ს. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი ს Очерк ВгВд Кахетии: СбСвВгВдК VII, 18).

იმისდა მიუხედავად, რომ ლამი ნიადაგის თვისების აღმნიშვნელ ტერმინად მარტო კახეთში და ქართლში (СбСвВгВдК VIII, 10) აქვთ აგრონომებს დასახელებული, იგი საქართველოს სხვა თემებშიც იყო და არის ეხლაც გავრცელებული. ამ გარემოების დასადასტურებლად ისიც საკმარისი იქმნება, თუ გავიხსენებთ, რომ **ლამი** გეოგრაფიულ სახელადაც-კია ქცეული და ასე სახელდებული სოფელი ყ. დუშეთის მაზრაშიც (5—ვერს. რუკის ე 6 62° 15′—42° 00′) არის და ლეჩხუმშიც (იქვე დ 5 60° 15′—42° 15′). არსებობს ქართლში, ტფილისის სანახებში ლამისყევი-ც და, რაც უფრო საყურადღებოა, ქსნის ხეობაში ს. ლამისყანა-ც, რომელიც მართლაც ქსნისაგან მოლამულ ნიადაგს წარმოადგენს.

წყლის პირას მდებარე ლამიანი ნიადაგი და ადგილი, ანუ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტება რომ ვიხმაროთ, **„წყლის-პირი ნაყოფიერი“** ძველ ქართულში **ჭალა** დაც იწოდებოდა (ლექსიკ.). მაგრამ ამავე ცნების აღსანიშნავად **მერე**-ც იხმარებოდა.

ჭალა ბევრგან გეოგრაფიულ სახელადაც-კი იყო ქცეული ძველადაც და ეხლაც საქართველოს მრავალ ადგილს ჭალა ეწოდება. ძველი ამნაირი სახელთაგანი რამდენიმე „ქართ. ერის ისტორიის“ II წიგნში, გეოგრაფიულ მიმოხილვაში, მაქვს აღნიშნული, თანამედროვე საქართველოში დაცული ასეთი საგეოგრაფიო სახელები იმდენად ბევრია, რომ მათი ჩამოთვლა და მდებარეობის აღნიშვნა ძალიან შორს წაგვიყვანდა. მარტო მარტივად ჭალა საქართველოს ყოველ თემში 12 მოიპოვება. ამას უნდა დაერთოს მრავალი ისეთი გეოგრაფიული სახელიც, რომლის ერთ ნაწილს ეს ტერმინივე შეადგენს, როგორც მაგ. ჭალოვანი, ჭალადიდი, ჭალისთავი, ჭალისუბანი და სხვაც ამგვარი.

მერე, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ერთი განმარტებით, თითქოს მოედანის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა უნდა იყოს. მას ნათქვამი აქვს: „**მეჳდანი**, მეიდანი სხვათა ენაა, (ე. ი. უცხო ენის სიტყვაა), ქართულად **მერე**, მინდორი და ფორი (ფორე) ჰქვან“-ო. თვით მერე-ს განმარტებაში-კი სწერია: „**მერე** მეედანი, **სწორი ვაკე“ არისო** (ლექსიკ.). უკანასკნელი ცნობა, რასაკვირველია, უფრო სწორეა და თანაც იმასაც გვიხსნის, თუ რა მნიშვნელობით ჰქონდა ს ა ბ ა ს ამ შემთხვევაში მეედანი ნახმარი. ამნაირად, **მერე სწორე ვაკე ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა. მაგრამ** ყოველ ვაკე ადგილს მერე არ ეწოდებოდა, არამედ **მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარეს.**

ეს სიტყვა თანამედროვე მეგრულშიც არის დაცული, მაგრამ იქ **მერე** ტბასა ჰნიშნავს (ჳ. გ. 279). საფიქრებელია, რომ თავდაპირველად უფრო მდინარის მოტბორებული სანაპიროს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მეგრულში, მერე-ს გარდა, **მერეხი** და **ჭელეხი**-ც არსებობს, რომელიც ნიაღვარს და თითქოს ოკეანესაც-კი უნდა ჰნიშნავდეს (მ. გ. 279). უკანასკნელი მნიშვნელობა, უეჭველია, ახალი და ხელოვნურად შექმნილი უნდა იყოს, პირველი-კი საყურადღებო და გადამწყვეტია ამ ტერმინის ეტიმოლო-

გიის გამოსარკვევად, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა მით უმეტეს, რომ ამ წიგნის მსჯელობის ფარგლებსაც სცილდება.

ირკვევა, რომ ეს ტერმინი მთელ საქართველოში გავრცელებული იყო. ამიტომეაა, რომ ᲛᲔᲠᲔ საქართველოში ბევრგან გეოგრაფიულ სახელად გვხვდება: მარტო 5-ვერსიან რუკაზე თერთმეტი ადგილი მოიპოვება: **მერე** არტაანში და კახეთში თელავის მაზრაში, **მერევი** შორაპნის მაზრაში, **მერეთი** ქართლში და ორგან ბათუმის ოლქში, **მერისი** იქვე, **მერია** ართვინის ოლქში, თიანეთში და ქართლშიც. ამას ᲛᲔᲠᲔ, გარდა აწ უკვე ᲛᲔᲚᲔ-დ და ᲛᲔᲚᲐ-დ ქცეული, ლიხთ-იმერეთში არა ერთი მდინარის, უფრო სწორედ რომ ითქვას, ხეობის სახელის მეორე ნაწილად არის დაცული, მაგ. **ჩხერიმელა**, რომელსაც 1550—70 წ. საბუთებში **ჩხერისმელე** ეწოდება (დას. საქართ. საბ. I, 22 და 23), ვ ა ხ უ შ ტ ი **ჩხერიმელა**-ს უწოდებდა (გგრ´ფა 366). შორაპნის ყ. მაზრაშიც არის ერთი მდინარე, რომელსაც **ბურგმელა** („Бургмела“) ეწოდება (იხ. დ 6 60° 45′—42° 15′) და რომელიც ძირულას შემდინარეა,—აგრეთვე **ბორემილა** იმავე წყლის შემდინარე.

რაკი მერე-ს მეგრულში მნიშვნელობა შეეცვალა, ამავე ცნების გამოსახატავად სხვა სიტყვა იქმნა გამოყენებული. ამიტომაც არის, რომ **მდინარეებისა და წყლის ხეობებში და წყლის პირას მდებარე ლამიანი და ლამ-თიხნარი, ან ლამ-ქვიშნარი ნიადაგი**, გურიაში ᲛᲔᲠᲔ-დ სახელდებული, თანამედროვე სამეგრელოში **ᲭᲐᲚᲔ-დ იწოდება** (ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ე Оч ВгВдГ и Мг: СбСвВгВдК IV, 62).

ხეობებითა და ხევის წყლებით დალარულ საქართველოში სრულებით ბუნებრივია, რომ წყლის სანაპიროს ნიადაგის სხვადასხვა თვისების დამახასიათებელი კიდევ ბევრი სხვა ტერმინები ყოფილიყო. როგორც ს ა ბ ა ს ზემომოყვანილი განმარტებამაც დაგვარწმუნა, **წყალში და წყლის ნაპირებზე გაბნეულ კენჭებს ხვნჭა ეწოდებოდა**. უეჭველია, ამასთანავე უნდა იყოს დაკავშირებული კახეთში, თელავის სანახებში და თიანეთში მდებარე ადგილებისა და გორას სახელი **ხინჭები** (იხ. 5-ვერსიანი რუკის ე6 62° 30′—42° 00′ და ე7 63° 00′—42°00′).

მაგრამ **ეს ტერმინი დას. საქართველოშიც**, თვით **სამეგრელოშიაც ყოფილა წინათ გავრცელებული**. ეს იმითაც მტკიცდება, რომ სწორედ ამ ძველ ქართულ სიტყვასთან იქმნება დაკავშირებული **კენჭ-ქვიშა-ნარევი თიხნარი ნიადაგის აღმნიშვნელი თანამედროვე მეგრულში დაცული სიტყვა ᲮᲘᲜᲭᲧᲝᲜᲐ** (ერმ. ნ ა კ ა შ ი ძ ე Оч ВгВдГ и Мг: СбСвВгВдК.-IV, 61).

ᲮᲘᲜᲭᲧᲝᲜᲐ ᲮᲘᲜᲭᲘ-სა და **ᲧᲝᲜᲐ**-საგან არის შემდგარი, რომელთაგან მეორე ყანა-ს უდრის და ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს. ეს ტერმინი ისევეა ნაწარმოები, როგორც **ᲚᲐᲛᲘᲡᲧᲐᲜᲐ**, რომელიც ლამისა და ყანისაგან არის შედგენილი და ლამიანი ნიადაგის აღმნიშვნელია.

საფიქრებელია, რომ ნიადაგის გარკვეული თვისების აღმნიშვნელი **ᲮᲘᲜᲭᲧᲝᲜᲐ**-ს მსგავსი ტერმინი მარტო სამეგრელოში-კი არ იყო, არამედ საქართველოს სხვა თემებშიც. ამის საბუთად შესაძლებელია ის გარემოება იქმნეს დასახელებული, რომ ბათუმის ყ. ოლქში ეხლაც არსებობს ადგილი, რომელსაც **ხინწყანა** ეწოდება (5-ვერს. რუკის გ7 59° 15′—41° 30′). რა თქმა უნდა, რომ ეს

გეოგრაფიული სახელი **ხინჭყანა**-საგან უნდა იყოს დროთა განმავლობაში წარმომდგარი.

ხინჭნარ-თიხნარი ნიადაგის აღსანიშნავად გურიაში **ხახრუ**-ს ხმარობენ (ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ე Оч. ВгВдГ и Мг: СбС в ВгВдК IV, 61), რომელსაც არც თეთრმიწა და არც გზა-და-კვალი არ უჩანს, ჯერჯერობით მაინც.

თავის ადგილას უკვე მოყვანილი გვქონდა ს ა ბ ა ს ცნობა, რომ „**უწყლოხ ალაგს რიყის მსგავსი ქვა**“ **ჭაჭარ**-ად იწოდება (იხ. აქვე გვ. 122). სწორედ ამ ტერმინისაგან არის ნაწარმოები კახეთში მდებარე სოფლის სახელი **ჭაჭრეთი**.

§ 4. ნიადაგის ტოპოგრაფიული თვისების გამომხატველი ტერმინები.

ნიადაგის დამახასიათებელ ტერმინთაგან ორიოდე ტოპოგრაფიული თვისების გამომხატველია. ერთია **ზეგანი**. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, „**ზეგანი მთაბარობის საშუალი**“ ადგილ-მდებარეობის აღმნიშვნელი იყო (ლექსიკ.). ე. ი. საშუალო ზოლის, ანუ არეს სახელი ყოფილა. ეს სიტყვა იმერეთში ეხლაც იხმარება. ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს სიტყვით, მთის ფერდობზე მდებარე ჭარბ ნოშომპალიანი („богатыя перегноем“) თიხნან ნოყიერ ნიადაგს იქ სწორედ **ზეგანი** ეწოდება. ასეთი მიწა ნაყოფიერია და სავენახედაც არის გამოსადეგი და სიმინდის მოსაყვანადაც (Виноград. в Имеретии: СбСвВгВдК, III, 7—8). თუმცა **ზეგანი** ნიადაგთმცოდნეობის ტერმინად ჯერჯერობით მხოლოდ გურიაშია მოხსენებული, მაგრამ ეს **სიტყვა რომ საქართველოს დანარჩენ თემებშიც ყოფილა ძველად გავრცელებული**, ამას გეოგრაფიული სახელებიც ამჟღავნებს. გეოგრაფიულ სახელად ქცეული **ზეგანი** კახეთშიც არის, ყ. თელავის მაზრაში,— იმერეთშიც, ქუთაისის ახლახებშიც მოიპოვება და ლეჩხუმშიც (იხ. 5-ვერს. რუკის ჟ 6 63°15′—42°00′,—დ 6 60°30′—43°15′ და დ 5 60°15′—43°15′).

ნიადაგის თვისების დამახასიათებელ ერთ-ერთ სახელად გურიაში **მაღნარი**-ც იხმარება. ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ცნობით, მაღნარად ნოშომპალას ჭარბად შემცველი თიხანარევ-ქვავნარი ნიადაგი იწოდება („суглинисто-каменистыя почвы, богатыя содержанием перегноя“). ასეთი ნიადაგი როგორც მთის გვერდობებსა და კალთებზე, ისევე დაბლობებში მოიპოვებაო (Очерк ВгВд в Гурии и Мингрелии: СбСвВгВдК, IV, 61).

მაღნარი ახალი სიტყვა არ არის, არამედ მწერლობის უძველეს ძეგლებშიც გვხვდება. თუმცა ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს, დაბადების ტექსტის დამოწმებით, ნათქვამი აქვს, რომ „მაღნარი არს მთათა შინა ტევრნალი შამბიანი“-ო (ლექსიკ.), მაგრამ, როგორც უკვე გამორკვეული მაქვს, **მაღნარი** მთაზე აღმოცენებულ მუხის ხშირ ტყესა ჰნიშნავდა. ამის გამო საფიქრებელია, რომ გურიაშიც მაღნარად თავდაპირველად ისეთი ნიადაგი უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, რომელიც წინათ მუხის ტყეს წარმოადგენდა, ნამუხნარი იყო.

ნიადაგის აღმნიშვნელ სახელად **ოწერი**-ც გვხვდება. უკვე ვ ა ხ უ შ ტ ს ჰქონდა აღნიშნული იმერეთის ვაკის აღწერილობაში, რომ იქ „არიან . . ხილნი მრავალნი ტყეთა შინა, **ტყენი აყრილნი და უწოდებენ ოწერს**“-ო. აქვე

დამატებულია: „ეწერნი არიან არგვეთს, სარჩეიძოს და საჩიჯავაძოსა შინა-ცა“-ო (გგრ´ფა 390).

მეგრულში, იოს. ყიფშიძის სიტყვით, ᲔᲬᲔᲠᲘ ანუ ᲔᲜᲬᲔᲠᲘ პატარა და დაბალ ტყესა და თანაც ქვიშნარსაც ჰნიშნავს (მ. გ. 231). უკანასკნელი ცნობა კარგად უდგება ვახუშტის ზემოჰოყვანილ განმარტებას, მაგრამ სამაგიეროდ თვალსაჩინოდ განსხვავდება ერმ. ნაკაშიძის ცნობისაგან. მისი სიტყვით ᲔᲬᲔᲠᲘ ნიადაგის აღსანიშნავად იმერეთსა და გურიაში იხმარება. გურიასა და სამეგრელოში ერმ. ნაკაშიძის ცნობით ᲔᲬᲔᲠᲘ თიხნარი და თიხაჲრევი (суглинистыя), მძიმე და ძალიან ღრმა, წითელი, ანდა ყვითელ-მონაცრისფერო ნიადაგი იწოდება. ნოშომპალას იგი ნაკლებ შეიცავს („небогатыя перегноем“). ეწერზე უმთავრესად გვიმრა (Pteris aquilina) და იელი (Azalea pontica) იზრდებაო (Очерк ВгВд в Гурии и Мингрелии: СбСвВгВдК IV, 61—62). ცხადია, რომ ეწერი ვაზის გასაშენებლად ნაკლებ არის გამოსადეგი და იქ, მე-XIX ს-ში შემოტანილ იზაბელას გარდა, ვაზს არ რგავდენო (იქვე გვ. 62).

იმერეთში-კი ᲔᲬᲔᲠᲘ მონაცრისფერო-ყვითელი ფხვიერი თიხნარია (суглинок мучнистаго строения), გარეგნულადაცა და ფიზიკური თვისებებიც ნაცარა მიწის (подзол) მაგვარია. ერმ. ნაკაშიძის სიტყვით, ეწერი იმერეთში ბორცვებისა და მთების კალთებზე გვხვდება ყვირილის ხეობის მარცხენა სანაპიროს სოფლებში, სადაც იმერეთის მეღვინეობის მთავარი არეა. აქ, ს. სვირსა, როდინაულსა, ცხენტაროსა და სხვაგან ვენახები მომეტებულად სწორედ ეწერის ნიადაგზე ყოფილა გაშენებული (Виноградарство в Имеретии: СбСвВгВдК, III, 8).

დასასრულ, ნ. აბდუშელიშვილს სრულებით სხვანაირად აქვს ᲔᲬᲔᲠᲘᲡ მნიშვნელობა განმარტებული, მისი სიტყვით, „ეწერი მაღალი მთის ბალახი“-ა, რომელსაც „სახლების სახურავად ხმარობენ“-ო (იხ. ილ. ჭყონიას სიტყვისკონა). მაშასადამე, ეწერი ისლის, ანდა ისლის მაგვარი ბალახის სახელი გამოდის.

ცნობათა ამ სხვადასხვაობაში გასარკვევად, ყველაზე მეტი ნდობა და უპირატესობა უძველესს, ვახუშტის, ცნობას უნდა მიენიჭოს მით უმეტეს, რომ მის განმარტებას ეწერის მეგრულში დაცული მნიშვნელობაც ადასტურებს. ძველად ეწერი ნორჩი ტყით მოფენილი ადგილ-ნიადაგის აღმნიშვნელი ყოფილა. ცხადია, რომ საქართველოს სხვადასხვა თემში ასეთ ეწერების ნიადაგის თვისება ერთნაირი არ იქნებოდა. თანდათან ტყეების გაჩეხისა და მიწისმოქმედებისათვის გამოყენების დროსაც ამ ადგილებს წინანდელი სახელი შერჩენიათ და, რაკი მათი ნიადაგის ფიზიკური თვისება სხვადასხვა ადგილას განსხვავდებოდა, ამიტომ ეწერის ნიადაგის მნიშვნელობაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად ესმით. მისი სამეურნეო მნიშვნელობაც ამის გამო, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ერთნაირი იყოს. ყველა ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ ეწერი არსებითად იმდენად ნიადაგის ფიზიკური დამახასიათებელი ტერმინი არ არის, რამდენადაც ნატყევარი ადგილის.

ᲔᲬᲔᲠᲘ ბევრგან ჩვენში გეოგრაფიულ სახელადაც-კი არის ქცეული და დას. საქართველოში, მარტო 5-ჯერს. რუკის მიხედვითაც, ეწერად წოდებული 10 სოფელი მოიპოვება: სამი იმერეთში, ერთი ლეჩხუმში, ოთხი სამეგრელოში და ორიც გურიაში. არსებობს ამას გარდა შორაპნის ყ. მაზრაში ს. დიდი-ეწერი

და ზუკდიდისაში ზედა-ეწერი. საგულისხმო და საყურადღებო გარემოებაა, რომ აღმ. საქართველოში არც ტერმინი ეწერი, არც ეწერად სახელდებული გეოგრაფიული ადგილი არა ჩანს[1].

ნიადაგის თვისების დამახასიათებელ სიტყვად გურიაში ᲓᲝᲑᲘᲠᲐ-ც იხმარება. სამეგრელოში-კი ასეთსავე ნიადაგს, ᲓᲝᲑᲔᲠᲐ-ს ეძახიან. ერმ. ნაკაშიძის მოწმობით, დობირა, ანუ დობერა ნოშომპალას ნაშთით შეფერადებულ მუქ მოწაბლისფერო თიხნარის თხელ ნიად გს წარმოადგენს („окрашенная остатками перегноя в темнобурый цвет": Очерк ВгВд в Гурии и Мингрелии, СбСвВгВдК IV, 61). დობირა გურიასა და სამეგრელოში ვაზის გასაშენებლად კარგ ნიადაგად იყო მიჩნეული (იქვე გვ. 62).

დოც. ვარ. თოფურიასაგან შეკრებილი ცნობების მიხედვითაც, რომელთა მოწოდებისათვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, „დობირა არის სამოსახლო და მასთან ახლო მდებარე ადგილები. ის განცალკევებულია ჭალისაგან, რომელიც საყანე ადგილად ითვლება. მოხუცებულთა თქმით, დობირაში ძველად ყანა არ ითესებოდა, უმთავრეს დ ხეებზე იყო მირგული ვენახი ე. ი. ვაზები). ხეებს იშვიათად სჭრიდენ"-ო.

როგორც ზემოთმოყვანილი განმარტებითგან ჩანს, დობირა, ანუ დობერა სამეგრელოშიც ვაზის გასაშენებლად განკუთვნილ, ანდა, უფრო სწორედ რომ ითქვას, ვაზებით დარგული ადგილის სახელი ყოფილა. ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა გვქონდეს და მაშინ ამ სიტყვის აგებულებისა და პირვანდელი მნიშვნელობის გაგება უფრო გაგვიადვილდება.

უნებლიედ გვაგონდება ᲓᲝᲑᲘᲚᲝ, რომელიც, როგორც მევენახეობის განხილვის დროს დავრწმუნდებით, მაღლარი ვაზის ერთი სახელთაგანი იყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ მაღლარი ვაზით გაშენებული მიწის ნაჭრის აღმნიშვნელ სიტყვას ᲓᲝᲑᲘᲠᲐ-სა და მაღლარივე ვაზის სახელს ᲓᲝᲑᲘᲚᲝ-ს საერთო არაფერი ჰქონდეთ რა. პირიქით ბუნებრივად იბადება აზრი ამ ორი ტერმინის იგივეობის შესახებ: მათ პირველი მარცვალი დო ერთნაირი აქვთ, დანარჩენი-კი ბირა და ბილო ოდნავ განსხვავებულია. მაგრამ საფიქრებელია, რომ მათ შორისაც მხოლოდ ბგერითი განსხვავება უნდა არსებობდეს, წარმოშობილობით-კი ორივე ერთნი უნდა იყვნენ. ამიტომ რაკი ორივე ვაზის გაშენებასთან დაკავშირებული ტერმინებია, იბადება კითხვა, თუ რა საერთო თვისების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ეს ორი სიტყვა.

დობირა-სა და დობილო-ს პირველი, საერთო, მარცვალი დო-ა, რომელიც, როგორც ცნობილია მეგრულსა და ჭანურში რისთვისმე განკუთვნილობის, ანუ დანიშნულების გამომხატველი ფორმანტია.

გამოსარკვევია მხოლოდ ამ ორი ტერმინის მეორე, ოდნავ განსხვავებული, ნაწილის, ბირა-სა და ბილო-ს მნიშვნელობა. შესაძლებელია ორივე ვაზის, ანუ, ძველი ქართული ტერმინი რომ ვიხმაროთ, ვენახი-ს მეგრულ-ჭანურში დაცული სახელ ბინეხ-თან იყოს დაკავშირებული და მთლად დობირა და დობილო პირვანდელი დობინეხი-საგან იყოს წარმომდგარი.

---

[1] ქართლის ს. კავთისხევში მიწის აღმნიშვნელ სიტყვად, დოც. მოვ. აღმ. ნ. ბერძენიშვილის ცნობით, რომლის გადმოცემისათვის მადლობას მოვახსენებ, ᲒᲔᲬᲔᲠᲘ გაუგონია, მაგრამ ამ სახელის მნიშვნელობა ჯერ გამოსარკვევია, ამიტომ ძნელი სათქმელია, აქვს რაიმე კავშირი ამ გეწერს ეწერთან, თუ აქ სულ სხვა სიტყვასთან გვაქვს საქმე.

დობინეხი სავენახის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და ასეთი ტერმინის სამეგრელოში ოდესღაც არსებობის დამადასტურებელია ეხლანდელი **ობინეხე**, რომელიც სავენახეს, ვენახს და ვაზების ბაღსა ჰნიშნავს და რომელსაც ცხადია, მხოლოდ თავკიდური **დ** აქვს დაკარგული. **დობირა**-სა და **დობილო**-ს თავსართი კარგად აქვთ დაცული, ბოლო მარცვალი-კი **ხი**, დაუკარგავთ. შემდეგ **ნ**-ს ერთი მხრით **ლ**-დ, მეორეს მხრით **ლ**-ს **რ**-დ შენაცვლებით, უნდა იყოს **დობირა** და **დობილო** წარმომდგარი. ამნაირად, **საფიქრებელია, რომ თავდაპირველად დობირა. ანუ დობერა სავენახე მიწას ჰნიშნავდა**. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც იმდენად ნიადაგის თვისების დამახასიათებელი ტერმინი არ არის, რამდენადაც და უფრო სამეურნეო განკუთვნილობის გამომხატველი სიტყვაა.

§ 5. ნიადაგის ღირსების გამომხატველ ტერმინთა ჯგუფი.

ტერმინთა უკანასკნელ ჯგუფად უნდა ნიადაგის ისეთი დამახასიათებელი სახელები გამოვყოთ, რომლებში ნიადაგის ღირსებაა შეფასებული. ზოგი მათგანი ნიადაგის ღონისა და პოხიერების, თუ სისუსტისა და სიმჩლევის მაუწყებელია, ზოგი კიდევ შედარებითი ნაყოფიერების დამახასიათებელია.

უძველეს ქართ. ძეგლებში, როგორც დავრწმუნდით (იხ. საქართ. ეკონ. ისტ. I², 140) მსუქანი და ნაყოფიერი ნიადაგის აღსანიშნავად იხმარებოდა **ქუეყანა**, ანდა **ადგილი პოხიერი**, **ქუეყანაჲ ნაყოფიერი**, ხოლო უღონო ნიადაგს **ქუეყანაჲ მჭლეჲ** ერქვა, დასასრულ უნაყოფო ნიადაგს **ბიცი** ეწოდებოდა.

ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე გვ. 120), რომ გურიაში შერჩენილი ტერმინი **დიხაშხო**-ც, რომელიც წინათ მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, თავდაპირველად პოხიერი, მსუქანი ნიადაგის დამახასიათებელი ყოფილა.

იმერეთში აგრეთვე ხმარობენ **მძიმე-მიწა**-სა და **მჩატე-მიწა**-ს. **მძიმე-მიწა თიხიან, მეტად ღრმა, მძიმე, ღია ფერის ნიადაგს ეწოდება, რომელიც როგორც მთის ფერდობებსა და კალთებზე, ისევე ველობზეც გვხვდება**. მძიმე-მიწაზე უფრო სიმინდსა სთესენ (ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ე Виноградарство в Имеретии: СбСвВгВдК III, 7).

მჩატე-მიწა ქვიან-ქვიშიანი ნიადაგის აღსანიშნავად იხმარება იმერეთში (ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ე Виноградарство в Имеретии: СбСвВгВдК III, 8).

მძიმე-მიწა და **მჩატე-მიწა**-ც ცხადია, ნიადაგის მოსახსნავად შედარებითი ღირსების შემფასებელი ტერმინებია.

ნიადაგის თვისების აღსანიშნავად **მწირე-მიწა** („мцире-мица“) იმერეთშიც და რაჭაშიც არის მიღებული. იმერეთში ეს სახელი **მჩატე**, თხელი **თიხანარევს** („легкий неглубокий суглинок“), **თიხოვან-კიროვანი გორახნაირი ქვენიადაგის** მქონებელ **მიწას** ეწოდება, რომლის გორახებიც ხელში ადვილად იფშხვნება (ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ე Виноград. в Имеретии: СбСвВгВдК III, 8). **რაჭაში-კი მწირე-მიწა** დ **თიხნარი ნიადაგი** იგულისხმებაო (ე. დ ა ნ დ უ რ ო ვ ი ს. ВгВд в Рачин. у.: СбСвВгВдК III, 37).

§ 6. სხვადასხვა ნიადაგის დანიშნულება-გამოსადეგობა.

ნიადაგის ზემომოყვანილი სახელებითგან ჩანს, რომ მიწისმოქმედი საკმაოდ კარგად დაჰკვირვებია ამ მისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. ცნობილია ის მაღალი ღირსება, რომელიც შავმიწას აქვს, მაგრამ ისიც ყოველი დარგისათვის საუკეთესო არ არის, არამედ მეურნეობის ყოველ დარგს და ზოგჯერ ამათუ-იმ მცენარეს გარკვეული თვისების ნიადაგი უხდება. ამიტომ დასასრულ სხვადასხვა ნიადაგის გამოსადეგობა-დანიშნულების საკითხიც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული იმდენად, რამდენადაც ქართველ მიწისმოქმედს საუკუნეთა განმავლობაში მოპოვებული გამოცდილება დაცული აქვს.

ხანგრძლივმა დაკვირვებამ კახეთის მევენახე დაარწმუნა, რომ მევენახეობისათვის საუკეთესო ნიადაგად უნდა **ყვითელი** და **წითელი მიწები, ხირხატი** და **ტრედისფერი მიწა** იყოს მიჩნეული: საუკეთესო ღვინო სწორედ ასეთ ნიადაგზე გაშენებული ვაზისაგან დგება. მაგრამ ყურძნის მოსავლის სიუხვით, რა თქმა უნდა, **შავი მიწის** ნიადაგი სჯობია. ამასთანავე აქ გაშენებული ვენახის მოსავლიანობაც უფრო ერთნაირია, ხირხატზე გაშენებულისა-კი ცვალებადი და მეტ ნაკლები დარისდა მიხედვით (ა. ფირალოვი და ს. შაჲერდოვი Очерк ВгВд Кахетии: СбСвВгВдК VII, 18-19).

აღსანიშნავია, რომ ღირღატ-ის ღირსებაზე სულ სხვა აზრისა ყოფილა არჩილიანის ავტორი. მას გადაჭრით აქვს ნათქვამი: „კლდოვან, ღირღატთა ადგილთა ვის შეუძლიან ბაღება“-ო (პლატ. იოსელიანის გამ. 674). აქეთგან ჩანს, რომ ღირღატზე ბაღის გაშენება არჩილს სრულებით წარმოუდგენელ საქმედ ჰქონია მიჩნეული.

ვენახებისათვის ადგილმდებარეობის შერჩევა კახეთსა და ქართლში უკვე ძალიან ადრე ყოფილა შემჩნეული-ო. გიულდენშტედტს აქვს 1772 წ. აღნიშნული. მას ნათქვამი აქვს სახელდობრ: „კახეთში ქართლზე უფრო მისდევენ ვაზების გაშენებას სამხრეთისაკენ მდებარე ზეკანებზე“-ო[1] (Reisen I, 370).

კახეთის მევენახის აზრით, რომელიც მრავალსაუკუნოვან დაკვირვება-გამოცდილებაზეა დამყარებული, სავენახე ადგილად ფერდობი, ოდნავ, 10-20°, დაქანებული და მზვარე ადგილი, ე. ი. ისეთი, რომელსაც მზე უხვად ანათებს, სჯობია. ამიტომ სამხრეთისა და აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარეზე მდებარე ფერდობი დასავლეთისა. ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფერდობზე უფრო უკეთესად იყო და არის ეხლაც სავენახე მიწად მიჩნეული. ქართლში-კი, რომელშიც უფრო მშრალი ჰავაა, სავენახედ მზვარე ადგილსავე არჩევდნენ, მაგრამ ეაკე ადგილსაც არ გაურბოდენ ისევე, როგორც ფერდობსაც (СбСвВгВдК VIII, 51).

იმერეთშიც საუკეთესო სავენახე მიწად **ზეგანი**-ს ნიადაგია მიჩნეული უხვი მოსავლიანობის მხრივ. მაგრამ მაღალღირსებიანი ღვინის მომცემად **ეწერი**-სა, **ჭრატე-მიწისა** და **მწირე-მიწის** ნიადაგი ითვლება. აქაც მევენახე სავენახე ადგილად მზვარე ნაკვეთებს არჩევს (ერმ. ნაკაშიძე Виноградарство в Имеретии: СбСвВгВдК III, 8).

რაჭაში, სახმარი მიწის მეტისმეტი სიმცირის გამო, მევენახე სავენახე ადგილისათვის უმთავრესად მიწის ნაკვეთის ოდნავ გვერდობასა და მზვარეობას დაე-

[1] „Jn Kacheti mehr, als in Karteli pflanzt man die Reben an der südseite der Höhen“.

ძებს, უფრო ფხვიერს, ანდა ადვილად გასაფხვირებელ ნიადაგს ეტანება, ვიდრე ქვიანს. მიწის მოჰარბებულ ქვიანობას ერიდება. ადგილობრივი მევენახის დაკვირვებით რაჭაში საუკეთესო ღვინო **თირსა** და **შავ-მიწაზე** გაშენებული ვაზისაგან დგება (ე. დ ა ნ დ უ რ ო ვ ი ს ВгВд в Рачин. у.: СбСвВгВдК, III, 41 და 37). ლეჩხუმში-კი საუკეთესო სავენახე ნაკვეთად **შავი-მიწის** ნიადაგი ითვლებოდა (ა. ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი ს ВгВд в Лечхум. у.: СбСвВгВдК III, 74)

გურიაში საუკეთესო ნიადაგად **მაღნარი, სახრო** და **დობირა** ითვლება, ხოლო სამეგრელოში **მაღნარი, ხინჭყონა,** და **დობერა**. სწორედ ასეთ მიწაზე გაშენებული ვაზისაგან დგებოდა კარგი ღვინო. მდებარეობის მხრივ საუკეთესო სავენახე ნაკვეთად მზვარე ადგილი იყო მიჩნეული. მაგრამ, როცა მიწის სიმცირე მევენახეს ამის საშუალებას არ აძლევდა, მაშინ მაინცდამაინც სავენახედ ზ განს, ე. ი. მაღლობსა და ბორცვიან ადგილს ირჩევდა ხოლმე (ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ე. Очерк ВгВд в Гурии и Мингрелии: СбСвВгВдК III, 62—63).

თავი VI. საქართველოს მებაღეობის ძველი კულტურის ინტენსივობის მაუწყებელი ზოგადი ცნობები.

თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს აღწერილობიდგანაც ჩანს მაშინდელი ს. ქართველოს დაწინაურება მებაღეობის დარგში (იხ. აქვე გვ. 108). ამასვე ადასტურებს ძველი ქართული აგრონომიული ტერმინოლოგიაც და ის გარემოებაც, რომ მეხილეობისა და მევენახეობის დასპეციალებისა და ინტენსივობის გამომხატველი ისეთი სახელების არსებობა, როგორიცაა ნესოვანი, ლეღოვანი, ვაშლოვანი, ვენახოვანი და სხვაც ამის მსგავსი.

მაგრამ მეურნეობის ინტენსივობა მარტო ამით არ გამოიხატება. თავისი სასოფლო ეკონომიკის გასაძლიერებლად და დასაწინაურებლად ყოველი ერი ცდილობდა ერთი მხრით ფართობი გაედიდებინა და გაევრცელებინა, მეორე მხრით სამეურნეო კულტურის შედგენილობა გაემდიდრებინა, მანამდე უცნობი-ცა და ახალ-ახალი, საუკეთესო და სხვადასხვა ძროთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ჯიშ-სახეობანიც მოეპოვა და გამოეყენებინა. ამ საგულისხმო საკითხების გამაშუქებელი ცალკეული ცნობები, როგორც მებოსტნეობისა, ისევე მეხილეობისა და მევენახეობის დარგის განხილვის დროს, მრავალი გვექმნება და თვითოეული ამ დარგთაგანის მიმოხილვის ბოლოში მკითხველის თვალწინ საერთო სურათი გადაიშლება, აქ-კი ამ გარემოების დამადასტურებელი მხოლოდ სამი ზოგადი მოვლენის აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდეთ.

§ 1. მემტილეობა-მევენახეობის ფართობის გავრცელების საშუალებანი.

ცნობილია, რომ საქართველოს უდიდესი ნაწილი უაღრესად მთაგორიანია და ვიწრო, გვერდობიანი ხეობებით დაღარული. ამის წყალობით ჩვენ სამშობლოში არა ერთი ადგილი იყო და არის ეხლაც. სადაც გრ. ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს ა და გ. მ ე რ ჩ უ ლ ი ს სამართლიანი დახასიათებით „არა არს ხათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ ხავნავი“, ხ. დაც „ხათესავი ყანაჲ“ არც არის და „არცა იქმნების ლირლლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა“ (იხ. საქ. ეკონ. ისტ-

I², 145). ასეთ ადგილებში ადამიანი შეხვდებოდა უმთავრესად „**ტყესა . . . კლდიანსა და ზედათ მცირისა მიწისა მქონებელსა**“, **რომელზედაც „მოშენებულ იყო ტყე**“ (ქამთაალმ. * 858, გვ. 703). ასეთ თხელ, მჩატე ნიადაგზე იყო ხოლმე „**აღმოცქნებული ქჳშათა მათ შინა ურიცხჳ მაღნარნი**“ (ც̃ა გგ̃ლ ხნძთ̃ლსჲ გვ. კდ), რომელნიც ნიადაგის სითხელისა და ადგილის დაქანებულობისა გამო მოზვავებული მეწყერის წყალობით ზოგჯერ უფსკრულში ჩაიჩეხებოდა ხოლმე.

ასეთ პირობებში ადამიანს, ან უნდა ისეთ სამეურნეო დარგებზე, როგორიც მეჭტილეობა და მევენახეობაა, ხელი აელო, ანდა რაიმე ეღონა, რომ ბუნებრივი პირობების წყალობით შექმნილი დაბრკოლება გადაელახა და დაეძლია. ქართულ საისტორიო ძეგლებითგანაც და უცხო-ქვეყნელი ავტორების ნაწერებითგანაც ირკვევა, რომ ქართველი მიწისმომქმედი სიძნელესა და დიდ შრომას არ შეშინებია მემტილეობა-მევენახეობის ფართობის გასადიდებლად. მისი შრომა მაინც გამარჯვებით დამთავრებულა და იქაც-კი, სადაც ბუნებრივი დაბრკოლების წყალობით მუშაობა ჩვეულებრივი წესით შეუძლებელი იყო, „**ვენაკნი ქირითა და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები**“.

საგულისხმოა ვიცოდეთ, თუ რა გზითა და საშუალებით მოახერხა ეს ქართველმა მიწისმოქმედმა? უპირველესად ამ დაქანებულ ფერდობებზე ხელოვნური ნიადაგის შექმნით: ქვაყორისაგან პატარ-პატარა მანძილის ამოშენებითა და მიწის ბაქან-ბაქანად შიგ ჩაყრით, ბაღ-ვენახისათვის ამ ნაირად ხარისხებრ მოვაკებული ადგილი კეთდებოდა, რომელსაც შემდეგ ხეხილისა და ვაზის ძირგამდგარი ფესვები ამაგრებდენ ხოლმე. ხელოვნურად ამოშენებულ-შექმნილი ასეთი ბაქან-ნიადაგების ძველი ნაშთი ეხლაც არის აქა-იქ შავშეთ-კლარჯეთსა და საქართველოს სხვა თემშიაც გადარჩენილი.

უეჭველია ამ ხელოვნური ნიადაგისთვის ძველ ქართულში უნდა რაიმე განსაკუთრებული ტერმინი ყოფილიყო. ყოფილა კიდევაც და ეს სიტყვა ს ა ბ ა ს ა ც აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, როცა „**მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული**“ იყო, როდესაც „**წალკოტთა და ხაყანურთა ხარისხნი მოვაკებულად**“ გამართული იყო, ამას ႭႰႭႩႨ ეწოდებოდა (ლექსიკ.): მაშასადამე, აქ ხელოვნურად გაკეთებული, ტერასებიანი ნიადაგის სწორედ ძველი ქართული ტერმინი გვაქვს დაცული.

ამჟამად ეს სიტყვა გურიაშია გადარჩენილი, მაგრამ გურიაში ႭႰႭႩႨ და ႺႠႰႤ („царе“) **თითქოს თიხნარი ნიადაგის აღმნიშვნელ ტერმინებად არიან ქცეული**. ამ ორ სიტყვას შორის ის განსხვავება ყოფილა, რომ ႭႰႭႩႨ **მშრალ თიხნარს** ეწოდება, ႺႠႰႤ („царе“)-კი **უფრო ნოტიოა და ხშირად ხავს მოფენილია** კიდევაც (ერმ. ნ ა კ ა შ ი ძ ე ОчВгВдГ и Мг: СбСвВгВдК IV, 62). თუ ამ ცნობაში ოროკის მნიშვნელობა სრულად არის აღბეჭდილი, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ დროთა განმავლობაში, ინტენსიური კულტურის თანდათანი დაქვეითებისა და გაქრობის წყალობით, ოროკის მნიშვნელობაც გურიაში სრულებით შეცვლილა.

შავშეთ-კლარჯეთში ბუნებრივი პირობები, უაღრესი მთა-გორიანობა და სახმარი მიწის საარაკო სიმცირე, მევენახეობას საქართველოს ამ ორ თემში მეტად მცირე არეს უტოვებდა. ბოლო დრომდე მევენახეობა აქ წინანდებურად უმთავრესად ხელოვნურად ბაქან-ბაქანად მოვაკებულ ნიადაგზე, რომელსაც ძვე-

ლად საქართველოში ႭႰႭႩႨ ეწოდებოდა, იყო შესაძლებელი. რაკი ნიადაგი ხელოვნური იყო, ამიტომ მეურნე უმთავრესად სამტილე და სავენახე ადგილის მდებარეობაზე ზრუნავდა და ცდილობდა, რომ მზვარე ნაკვეთი აერჩია (ს. ტიმოფეევი Очерк Вг в Батум. и Артвин. округах: СбСвВгВдК IV, 182), რაც მზის-სიუხვის წყალობით აქ შედარებით უფრო ადვილიც იყო.

თუ ხელოვნური ნიადაგის გაკეთებას მევენახეობისათვის შავშეთ-კლარჯეთში მისდევდენ მე-XIX ს-შიც, როდესაც, ამ თემის ქართველების გამაჰმადიანება-გათურქების გამო, მევენახეობა-მეღვინეობა უკვე კარგა ხანია ჩამკვდარი იყო და მხოლოდ წარსული ქართული სასოფლო მეურნეობის ნაშთს-ღა წარმოადგენდა, ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად ფართოდ უნდა ყოფილიყო ოროკის კეთება ძველად, როდესაც ქართველს უყურძენ-ვაზოდ შნოიანი ყოფა-ცხოვრება ვერც-კი წარმოედგინა.

§ 2. ყვავილ-ხეების ჯიშებისათვის მუშაობა ძველ საქართველოში.

ინტენსიური მემტილეობისა და მევენახეობის მიმდევარი მარტო ჩვეულებრივი მოვლა პატრონობით, რომელიც მათი ნიადაგის ბარვით და სხვა სამუშაოთი გამოიხატებოდა (იხ. ბარვისა და მცენარეთა დარგვის ძველი სურათები აქვე სურ. 2 და 4), არ დაკმაყოფილდებოდა, არამედ ყოველი შეგნებული მეურნე ცდილობდა კარგი სხვაგნებურიც ესწავლა და შეეთვისებინა, უცხო მტილეული, ხეხილი, თუ ვაზის ჯიში გადმოენერგა და გაეშინაურებინა.

ასეთი მუშაობა რომ ქართველ სოფლის მეურნესაც უწარმოებია, ამის დამამტკიცებელ ფაქტებს თავ-თავის ადგილას ბევრს ვნახავთ, აქ კი ამის დამადასტურებელი ორიოდე წერილობითი ცნობა მინდა მოვიყვანო.

თვით ისეთ ხანაშიც, როდესაც პოლიტიკური მთლიანობის დარღვევისა და მეზობელი დიდი სახელმწიფოების მძლავრობის წყალობით, ჩვენი ქვეყანა, წინანდელთან შედარებით, ძალზე დაკნინებული და დაქვეითებული იყო, წალკოტისა და ბაღის პატრონები საქართველოში ცდილობდენ თავიანთი სავარდე და ბაღები უცხო ქვეყნებითგან მოტანილი ყვავილ-ხეხილითაც შეემკოთ. მაგ. არჩილ მეფის სიტყვითაც:

„გრემს იყო ბევრის ქვეყნის უცხოები იქ მოსული.
ბაღებშიგან კვპაროსი ალვისხითა ამოსული.
ფშოდა სუნი სუნნელისა, ყვავილთაგან ამოსული.
მისი ნახვთ გაყრმდებოდა სიჭაბუკის ძალწასული.
ერთი ბაღი და სასახლე გრემს იდგა ლევან მეფისა...
ყოველი ყვავილ-ხეხილი გარს მოცულ იყო სეფისა.
განცვფრდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა“.
(პლატ. იოსელიანის 1853 წ. გამოც. გვ. 33, §§ 133 და 134).

გრემის სასახლის ამ ბაღ-წალკოტს თვით საქართველოს დაუძინებელი მტრისა და გამანადგურებელი შაჰაბაზის კარის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში-ც დიდი ქებით იხსენიებდა. ეს წალკოტი და ბაღი მას ჯერ კიდევ იმ დროს ექმნებოდა ნანახი, სანამ მისი მბრძანებელი ამ საუცხოვო სასახლეს გაანადგურე-

პინებდა. სპარსელი ისტორიკოსის მოწმობითაც, გრემის სასახლე სასიამოვნო დროს გასატარებელი და სამაგალითო ადგილი იყო თავისი სამოთხისებრი წალკოტის წყალობით (საქ. მუზ. სპარ. ხელთ. გვ. 787), რომელიც ამ ქვეყნური მშვენიერების განსახიერებას წარმოადგენდა თურმე.

§ 3. ველური ყვავილ-მცენარეების გაშინაურების ცდები საქართველოში.

საქართველოს ბუნებას ბევრგან იმდენად უხვად აქვს თავის წყალობის კალთა დაბერტყილი, რომ ველ-მინდორიც კი თავისით წალკოტს მიაგავდა და მიაგავს ეხლაც, მეტადრე გაზაფხულზე: მთელი არეები ყვავილების ხალს მოაგონებს ხოლმე ადამიანს. ფ. გორგიჯანიძესაც მაგ. აღნიშნული აქვს: კახეთში „ალონშიგ და მის გარემოს მრავალნი სხვადასხვა ყვავილნი, იანი და ყაყაჩონი გაშლილიყვნენ“-ო (ზ. ჭიჭინაძის გამ. გვ. 321).

თუ ქართველი მეურნე ცდილობდა შორეული, უცხო ქვეყნითგან მოტანილი ხეებითა და მცენარეებით შეემკო და გაემდიდრებინა თავისი ბაღ-წალკოტი, რა თქმა უნდა, **თავისი სამშობლოს** თვალწარმტაცი ბუნების სიმშვენიერესა და **ყვავილ-ხეების მრავალ-ფეროვან სიუხვესაც გამოიყენებდა.**

ამის დამადასტურებელი ერთი საგულისხმო ცნობა ვახუშტსაც აქვს თავის საქართველოს გეოგრაფიაში დაცული. მისი სიტყვით ღბანის ხეობაში, კეჩუთ-ბოლოლის მთებში „არს **ყვავილი ხუშხული** ფერით ხპეტაკი, მსგავსი ნარისა, და მიწასა ზედა განრთხმული, **სურნელი**, ვითარცა ამბრი, და **უმეტეს ფშოხანი** და ეკლოვანი“. ეს ველური ყვავილი თურმე ისე მოეწონებიათ, რომ **მეფემან ვახტანგ მოილო ხავარდესა შინა**, არამედ არა ჰყო ნაყოფი“-ო (მ. ბროსსეს გამ. 150).

სახელოვანი ქართ. მეცნიერის ეს ცნობა იმ მხრივ არის განსაკუთრებით **საყურადღებო**, რომ **თვალ წინ გვიშლის ყვავილ-მცენარეთა და ხეხილის შერჩევისა და ველურის გაშინაურების ცდის იმ** ფრიად მნიშვნელოვან **მუშაობას**, **რომელსაც ძველ საქართველოში აწარმოებდენ.** ვახუშტისგან ამ მოთხრობილ შემთხვევაში ცდა უნაყოფო გამოდგარა, მაგრამ, უეჭველია, არა ერთხელ ასეთი ცდა სრულებით ნაყოფიერი გამოდგებოდა და ქართულ სასოფლო მეურნეობასა და მტილ-სამოთხეების ილევე, როგორც სავარდეების სამეფოს მოშინაურებული ახალი სტუმარი და წევრი გაუჩნდებოდა.

თავი VII. მტილეულ-ხილის მოყვანის ორგვარი დანიშნულება და დროის მიხედვით შედარებითი ღირებულება.

§ 1. თავის საჭმელ-საყოფი და გასასყიდელი ხილ-ბოსტნეული.

იმ ხანშიც-კი, როდესაც პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითებისა და მოსახლეობის შემცირების წყალობით, საქართველოს მეურნეობა, კერძოდ მიწისმოქმედებაც, დაბალ დონეზე იდგა, მაშინაც სასოფლო მეურნეობა მარტო მიწისმოქმედისა, თუ მემამულის პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არ სჯერდებოდა, არამედ არა-ერთი ისეთი მეურნეობაც არსებობდა, უმთავრესად ქალა-

ქების მახლობლად მდებარე, რომელსაც თავისი პირნაჩული და ბოსტნეულ-ხილეული გასაყიდად ჰქონდა ხოლმე განკუთვნილი. ამ დებულების შეუმცდარობის დასამტკიცებლად შორს რომ არ წავიდეთ, შესაძლებელია ვ ა ხ ტ ა ნ გ ი-ს „დასტურლამალი"-ს შემდეგი ცნობაც იყოს მოყვანილი. ამ საკანონმდებლო ძეგლში ნათქვამია, რომ ვისაც გაღმა-პალის ბაღებში, ან კრწანისის ბოლოს მდებარე ბაღებში დაწესებულ „ხარჯში გამორევა არ უნდოდეს, გასასყიდელს მწუანილს ნუ დასთესავს . თუ დასთესოს ნესვი, საზამთრო, კიტრი, ლობიო, ბადრიჯანი, ნიორი, თავი-ხახვი, კომბოსტო, ქარხალი, — ამ-რიგი რამე დასთესოს. თავისი საჭმელი და საყოფი მწუანილიც დასთესოს, თორემ სხუას ნუ დასთესავს"-ო (დასტურ. გვ. 104).

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ მე-XVIII ს. დამდეგსაც მებაღეებს და ბაღის პატრონებს, ან მარტო „თავისი საჭმელი და საყოფი მწუანილი", თუ სხვაგვარი ბოსტნეულ-ხილი მოჰყავდათ ხოლმე, ან ამას გარდა აგრეთვე „გასასყიდელი მწუანილი" და ბოსტან ხილეული. ცხადია, რომ სრულიადი საქართველოს არსებობის ხანაში, როდესაც ქალაქები ბლომად იყო და მოსახლეობაც იქ მაშინ მერმინდელზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილა, მებაღეობა-მებოსტნეობას მიზნად გასაყიდად განკუთვნილი ბოსტნეულისა და ხილეულის მოყვანა ფართოდ უნდა ჰქონოდა დასახული.

§ 2. მტილეულ-ხილის ახლობა, ანუ ახალ-ბალობა და ყურძნობა და მათი ვაჭრული მნიშვნელობა.

გასაყიდელი მტილეულ-ხილ-ხმილის პატრონმა კარგად იცოდა, რომ ყოველ მათგანს თავის დროსა და გარკვეულ, ხელსაყრელ პირობებში ჰქონდა სათანადო ღირებულება და დიდი ფასი. ყველას ესმოდა, რომ როდესაც „იყო ქამი გაზაფხულისაჲ", საერთოდ ყველანი „უხუებით პოიან ნუგეშინის-საცემელთა კორცთაჲ", გარეული „მწვანილ-მდელოც ბლომად მოიპოვებოდა საჭმელად. ამიტომ რამდენადაც თვითოეული მათგანი უფრო ახალი იყო და ან ძნელი საშოვარი, მით უფრო მეტი ფასი ჰქონდა.

ეხლაც ხომ ბოსტნეულს, ხილსაც და ხმილსაც უფრო მეტი ფასი და ღირებულება, რა თქმა უნდა, იმ დროს აქვს, როდესაც ის ჯერ კიდევ ძნელი საშოვნელია, ე. ი. როდესაც, ან პირველად არის შემოსული, ან როდესაც უკვე მოლეულია. რაც უფრო ადრეული იყო იგი, მით უფრო მეტად ეტანებოდა მაშინაც მყიდველი. ამისათვის შესაფერისი სახელები არსებობდა.

იმ ხანას, როდესაც ბოსტნეული და ხილ-ხმილი პირველად შემოდიოდა, „ახლობა" ერქვა, ხოლო, იმ ხანას, როდესაც გამოლევის გამო ძნელი საშოვნელი იყო, „ყურძნობა"-ს ეძახდენ.

ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნში ასეთი მუხლი გვხვდება: მოურავს ქალაქის ბაღებითგან „ყოველივე უნდა მოერთვას: ერთი ახლობას . . რაც იმ დროს ხილი იქმნება . ერთი ყურძნობას , რაც იმ დროს არის ყოვლის ნივთისაგან დაუკლებლად უნდა მოერთვას ყოვლის ბაღებიდამ: ღირსიპალიდამ, ორთაჭალიდამ, კრწანისიდამ, სეიდაბათიდამ, გარეთუბნის ბაღებიდამ და ვერიდამ და სხვა ყოვლის ბაღებიდამ"-ო (ს˝ქს სძ˝ლნი 115, 26—527).

ისევე, როგორც ხილობის გვიან ხანას „ყურძნობა“ ეწოდებოდა, „ახლობის“ მაგიერაც სახელად „ახალ-ბალობა“-საც ხმარობდენ. იმავე ზემოდასახელებულ ძეგლში დებულება „ახლობის“ შესახებ აენაირადაც არის გამოთქმული: მოურავს „მოერთვას ერთი ახალ-ბალობას, რაც იმ დროს ხილი იქნება“-ო (ს ქს სძვ ლნი II, 527).

თავი VIII. მცენარეების რიცხვობრივი ერთეულების სახელები.

ყოველ სოფლის მეურნეს, თავისთვის საკუთრივ, თუ სხვისთვის მისაცემად, თუ გასაყიდავად მოჰყავდა მტილეული, თუ ხეხილი, გინდ ხმილი, ანგარიში უნდა ეწარმოებინა, თავის ჭირნახულ-ნაამაგარი აღრიცხული უნდა ჰქონოდა, ამიტომ მცენარეულობისა და საკუთრივ ხეების ერთეულების აღმნიშვნელი სიტყვებიც არსებობდა, რომელთა ცოდნა ისტორიკოს-ეკონომისტსაც სჭირდება.

მცენარისა, თუ ხის თვითოეულ ცალს „ძირი“ ეწოდებოდა. ათონის ქართველთა მონასტრის ალაპებში მაგ. ასეთი ცნობა მოიპოვება: „თუესა დეკენბერსა: თ: (9-სა) დაეწესეთ პანაშვდი იოანე ბანცუასა, რამეთუ სიყრმითგან ნამუშაები მისი ოთხმოცდაათი ძირი ზეთისხილი შემოსწირა“ მონასტერსაო (ათონ. კრ. გვ. 219, § 14).

მცენარეთა ერთ შეკვრას „კონა“ ერქვა.

„კონა“, ვითარცა ერთი შეკვრის აღმნიშვნელი ტერმინი, დაბადების თარგმანშიავეა ნახმარი (გამოსლვ. 12_{22}) ბერძნულ ή δέσμη-ს, ლათინ. fasciculus-ისა და სომხური *փունջ*-ის შესატყვისად. საბასაც ამ სიტყვის მნიშვნელობა ასევე აქვს განმარტებული: „კონა ყვავილნი, ანუ მწუანილნი, ანუ წკეპლნი და ეგევითარნი წყობით შეჰკრა, მას უწოდენ მცირეთა“-ო (ლექსიკ.), ე. ი. მწვანილის, ან ყვავილის პატარა შეკვრას კონა ეწოდებოდა.

ზოგიერთ ბოსტნეულს სახმარებლად, თუ გასახმობად შენახვისათვის კონებად კი არ ჰკრავდენ, არამედ ნაწნავის მსგავსად სწნავდენ ხოლმე, რომ ჩამოკიდება და გახმობა უფრო ადვილი ყოფილიყო. როგორც სათანადო ადგილას აღნიშნული გვაქვს, მცენარეულის, მხალისა და მდელოს, ასეთს, შესანახავად, თუ გასახმობად განკუთვნილ, ნაწნავს „გალა“ ეწოდებოდა.

რაკი „კონა“ და „გალა“ გასაყიდი ბოსტნეულის ერთეულიც იყო, ამიტომ, უეჭველია, მათ გარკვეული ოდენობითი სიდიდე უნდა ჰქონოდათ და ყოველ გამყიდველსაცა და მყიდველსაც კონისა და გალას სიდიდე კარგად ეცოდინებოდათ კიდევაც, მაგრამ თანამედროვე ქართ. მკითხველთათვის ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

დარგი მეორე.

მემტილეობა ანუ მებოსტნეობა.

თავი I. ბოსტნეულობის მნიშვნელობა ძველ საქართველოში.

მემტილეობის, ანუ მებოსტნეობის მიზანს მწვანილისა და სანელებელის ასევე, როგორც მხალის, მდელოსი, ანუ ძირხვენეულისა და ხმილის მოყვანა შეადგენდა. თვითოეულ მათგანს ადამიანის კვებაში სათანადო ადგილი ჰქონდა დაკავებული. ძველ საქართველოში ადამიანი მცენარეულ საჭმელს ძალიან ეტანებოდა. ეხლაც ქართველი სოფლელი მწვანილს, მხალს, მდელოსა და ხმილს ხალისიანად სჭამს და ეტანება, უმწვანილოდ მას პურისჭამა თითქოს არც-კი შეუძლიან.

ძველადაც ქართველს გემრიელი და შნოიანი პურისჭამა უმწვანილოდ ვერ წარმოედგინა და მწვანილი სუფრის აუცილებელ კუთვნილებასა და მშვენებას შეადგენდა. ეს გარემოება ნაბახტევის ეკლესიის XV ს. პირვ. ნახევრის კედლის მხატვრობითაც საუცხოოდ მტკიცდება: სერობის სურათის ჩვეულებრივი კომპოზიციის მაგიერ, როდესაც სუფრაზე პური, თევზი და ღვინო იყო ხოლმე დახატული, იქ მწვანილიც, ბოლოკი და ხახვიც, ჰხატია (იხ. სურ. 3). ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ს ბ ე რ ს ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში ერთი ამ გარემოების დამადასტურებელი იშვიათი ამბავიც აქვს გარდმოცემის სახით ჩაწერილი.

სვიმონ მეფე რომ გორიჯვარში მდგარა და ოსმალთაგან დაპყრობილი გორის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, იქ მდგომმა თურმე „გახედა გორისაკენ და ნახა რომე ახალი მწვანილი ამოსულიყო და გაზაფხულის პირიც იყო“. აშიონით გამხიარულებულს თავის თანამყოლთათვის უთქვამს: „როგორ გეკადრებათ“ თქვენ, რომ „მე მწვანილი მინდა და თქუენ გორიდამ მწვანილს არ მომიტანთო“. ამ საყვედურმა ამალაზე ისე იმოქმედა, რომ მაშინვე „ჩავიდენ გორის ბოსტნებში და დაგლიჯეს მწვანილი“. მაგრამ გორის ციხეში მდგომ ოსმალოებს ეს არ გამოეპაროვიათ და თოფის სროლა აუტეხიათ. სვიმონ მეფის ამ უგუნურ საქციელს არა ერთი ადამიანის სიცოცხლე უმსხვერპლია: ამის გამო ბატონიშვილი გოჩა და „სხვანიცა მრავალნი თავადნი ამოსწყვიდნეს“-ო. ისტორიკოსის ცნობით, ყველამ „დაგმეს მეფე სვიმონ უჭკუობაზედ, რომ მწვანილისათვის ამდენი კარგი კაცი ამოსწყვიტესო“-ო (ქ˝ცის გაგრძ.). მაინც, თუ სვიმონის ამალამ, მოსალოდნელი განსაცდელისდა მიუხედავად, ახალი მწვანილის მოტანა თავის ვალად მიიჩნია, იმიტომ, რომ სვიმონის საყვედური გულში მიუჰხვედრიათ, რათგან ჩვეულებრივ პირობებში უმწვანილოდ პურისჭამას მათი შეხედულებითაც შნო არ ჰქონდა მაგრამ ომიანობის დროს და იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომელშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა, სვიმონის ზემოაღნიშნული ახირებული სურვილი უგუნური საქციელი იყო.

სურ. 4.

ს. ნაბახტევის ულუმბოს ეკლესიის მე-XV ს. კედლის მხატვრობის „სერობის“ კომპოზიციის გადარჩენილი ნაწილი (იხ. გვ. 140).

თავი II. წყაროთა ზოგადი ცნობები ძველ საქართველოს მებოსტნეობის შესახებ.

§ 1. ქართული წყაროების ცნობები.

ბოსტნეულობაზე საისტორიო ძეგლებში ისევე, როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში და საბუთებში, ცხადია, ბევრი არაფერია მოსალოდნელი. ამიტომაცაა, რომ უძველესი ხანისათვის მეურნეობის ამ დარგის შესასწავლად ასე ცოტა ცნობები მოგვეპოვება. ამ შემთხვევაშიც დაბადების ქართ. თარგმანი მათი იმდროინდელი ქართ. სახელებისა და ბერძნულ-ლათინურ-სომხურ შესატყვისობათა გამორკვევის საშუალებას გვაძლევს, რასაც, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყველაზე უხვი სამკალი, რასაკვირველია, ეკონომიური ისტორიის საბუთებსა და სამკურნალო წიგნებშია მოსალოდნელი. ამ დარგის ძეგლებში, ავადმყოფების კვებასთან დაკავშირებით, არა ერთი ბოსტნეული არის დასახელებული. ქართული სააქიმო წიგნები რომ გამოქვეყნებული გვქონოდა, მაშინ, უეჭველია, ბევრი რამე გვეცოდინებოდა. მაგრამ სამწუხაროდ არც ერთი მათგანი ჯერ გამოცემული არ არის. მხოლოდ ხოჯა-ყოფილის თარგმანის წინასიტყვაობა და იქ ნახმარი ტერმინების მარტივი ლექსიკონი არის ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოქვეყნებული და იქითგანაც ჩანს, თუ რაოდენად მნიშვნელოვანი წყარო გვექმნებოდა ხელთ, ქართ. კარაბადინები რომ სრულად გამოცემული, ანდა ტერმინების მხრივ სათანადოდ შესწავლილი ყოფილიყო.

ეკონომიური ისტორიის მე-XVIII ს-ზე უწინარესი ძეგლების დროთა განმავლობაში დაღუპვისა და სააქიმო წიგნების გამოუქვეყნებლობის გამო, მკვლევარი იძულებულია ზემოაღნიშნულ წყაროებს შემდგომ უმთავრესად მე-XVII-XVIII ს. ქართულ და უცხოეთის წყაროებს დაემყაროს. ქართულ წყაროთაგან ამ შემთხვევაშიც უმნიშვნელოვანესი, რა თქმა უნდა, ვ ა ხ უ შ ტ ი ს ა და ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ნაშრომებია, მაგრამ „დასტურლამალ"-შიც მკვლევარს საყურადღებო ცნობების ამოკითხვა შეუძლიან.

ვ ა ხ ტ ა ნ გ მე-VI-ეს „დასტურლამალ"-ში განსაზღვრული აქვს: გაღმა ქალის ბაღებში, „ბატონის ყმის, ან გაცემულისა, ნასყიდი, თუ უსყიდი ბაღის" მებაღემ „დათესოს ნესვი, საზამთრო, კიტრი, ლობიო, ბადრიჯანი, ნიორი, თავი-ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი. თავისი საჭმელი და საყოფი მწვანილიც დასთესოს", ხოლო „გასასყიდელს მწვანილს ნუ დასთესავს"-ო. ვისაც გასაყიდი მწვანილის მოყვანა ჰსურდეთ, ისინი გადასახადად „ჩვენს ქარხანაში ყოველს წელიწადს თვრამეტს კონას ყოვლის ფერისაგან მისის ბოლოკით მოსცემდენ"-ო (დასტ. გვ. 103 და 104).

ვ ა ხ უ შ ტ ი ს სიტყვით-კი საქართველოში „ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი საზამთროთ საკმარნი ბალახნი, მხალად წოდებულნი, და თესლნი, ვითარცა სატაცური, ასპანახი და სხვანი, და ვითარცა კვლიავი და ტყურა და მისთანანი მრავალნი"-ო (გგრ´ფა 58).

მე-XVIII ს. საქართველოში გავრცელებულ ბოსტნეულთაგან ვ ა ხ უ შ ტ ს ჩამოთვლილი აქვს: „ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვ, პრასა, ბოლოკი, პეტრუშკა (!?), სტაფილო, ქინძ-

ჯორა, ოხრახუში, მაკედონი, კომბოსთო, ლახანა, ყრდელი და სხვანიცა"-ო (გგრ˝ფა 56).

ამას გარდა, ვ ა ხ უ შ ტ ი ს სიტყვით, ბერდუჯის ხეობაში „ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი და პუმპულა მოდიოდა (გგრ˝ფა 13c).

ამავე ავტორის ცნობით, იმერეთში „მტილოვანნი ყოველნივე" მრავლად მოდიოდა, ხოლო „მელსაპეპონი და პუმპულა უმუშაკოდ ნაყოფიერებენ"-ო (იქვე 340).

ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ცნობები, რა თქმა უნდა, ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი. მაგრამ იქ მოთავსებული სახელი ხშირად განმარტებული არ არის და ეს გარემოება მკვლევარს საქმეს უძნელებს. მაინც მისი ცნობები ბევრჯერ ერთად-ერთ წერილობით მოწმობას წარმოადგენს ხოლმე და უიმისოდ ადამიანი სრულებით უმწეო მდგომარეობაში იქნებოდა.

ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს თავის ლექსიკონში შემდეგი ბოსტნეულის ქართული სახელი მოეპოვება თავის არაბულ-სპარსული შესატყვისობითურთ:

	არაბ.	სპარს.
„ნიორი	ყომ	სირ (გვ. 45)
ქინძი	ჯლჯლონ	გიშნის „
კამა	ბადიონ	რაზიანა (გვ. 46)
კაპარი	აზხარ	ფარიზ „
მწვანილი-ბოსტანი	როვზა	მარღუზ (გვ. 47)
ბოლოკი	ფაჯლ	თურფ (გვ. 51)
ხახვი	ბსლ	ფიაზ (გვ. 52)
თალგამი	ლვთ	შალღამ (გვ. 54)
პრასა	ბაყლ	თარა „
კიტრი	ბადრანგ	ხიარ (გვ. 61)
კუახი	დ?ა	ქუდუ „
ქარხალი	სალყ	ჩუღუნდურ „
სტაფილო	ჯაზარ	გაზარ
პიტნა	ნანა	ფუდნა „
ნესვი	ბთიყ	ხარბუზ (გვ. 64)
მხალი	ჰუმაყ	ხულფა" (გვ. 67).

§ 2. უცხოელთა ცნობები.

რუს. დესპანების ცნობით, 1640-43 წ. კახეთში ბოსტნეულითგან მათ უნახავთ: ნესვი, საზამთრო, კიტრი, ბოლოკი, სტაფილო, თალგამი, კომბოსტო, ხახვი და ნიორი (იხ. მ ი შ ე ც კ ი ს ა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, მ. პ ო ლ ი ე ვ კ ტ ო ვ ი ს გამ. გვ. 160—161).

ხოლო ტოლოჩანოვის და იევლევის ცნობით, მე-XVII ს. იმერეთში შემდეგი ბოსტნეულობა ყოფილა[1]: ნესვი, საზამთრო, კიტრი რუსული, კიტრი ყირიმული დიდი, კვახი რუსული, კვახი ყიზილბაშური, რომლითაც სვამენო, სტამბოლური ცერცვი (ე. ი. ლობიო), ბარდა ქართული, ხახვი, ნიორი, კომბოსტო, მაგრამ რუსულს არ მიაგავსო, თალგამი, ანისული, მხოლოდ გერმანულისაგან განსხვავებულიაო („ელჩობა იმერეთში" გვ. 112).

აკად. გჳლდენშტედტს ზოგადი ცნობებიც ბლომად მოეპოვება და ბოსტნეულობის შემდეგი ქართული და გერმანული სახელებიც ჩაუწერია:

Rübeu	Talakmi (sic)	თალგამი,
Rettig	Poloki (sic)	ბოლოკი,
Spinath	Jspanach (sic)	ისპანახი,
Kohl	Kombusto	კომბოსტო,
Beten	Tschawi (sic)	ჭავი,
Gurken	Kitri	კიტრი,
Salat	Salata	სალათა
Zwiebeln	Prusa (sic)	პრასა
Lauch	Gareuli Prosa (sic) auch Nion (sic) გარეული პრასა, აგრეთვე ნიორი,	
Senf	Togy (sic)	მდოგვი,
Pfeffer	Zizaka	წიწაკა (Reisen I, 343-344).

ახალგორის მიდამოების აღწერილობაში მასვე აღნიშნული აქვს: აქ ისევე, როგორც მთელ საქართველოში Tragopogon pratense, სატაცური და მჟაუნა ხშირია და ყველგან ხალისიანად სჭამენო. მარწყვიც სრულებით ჩვეულებრივიაო (Reisen I. 249)[2].

ამავე მეცნიერის სიტყვით, კახეთში გავრცელებული ყოფილა ჯონჯოლი და კაპარი, რომელსაც წნილად ჩადებულს სიამოვნებით მიირთმევენო (Reisen I, 245)[3].

რაჭაში გჳლდენშტედტს ბოსტნეულთაგან კიტრი, ნესვი, საზამთრო, კვახი, აყირო, საოისა და კუტი ლობიო, მხალ-თალგამა, ბოლოკი, თეთრი კომბოსტო, ხახვი და ჭარხალი უნახავს (Reisen I, 400)[4]. ამას გარდა სალებავად ალისარჩულსა და ხელსალებავს ანუ ინას სთესდენ თურმე (იქვე)[5].

---

[1] „Огородные овощи: дыни, арбузы, руские огурцы, огурцы крымские большие, тыквы руские, тыквы кызылбаские, что пьют,—боб цареградской, горох грузинской, лук, чеснок, капуста, только не как руская,—ретка, анис, а с немецким не сойдетца" (ელჩობა იმერეთში" გვ. 112).

[2] „Tragopogon pratense, Asparagus officinalis und Rumex Acetosa sind hier (ახალგორში) so wie in ganz Georgien häufig und werden überall gern gegessen. Auch Fragatia vesca ist ganz allgemein" (Reisen I, 249).

[3] „Staphylea pinnata, im dicken Gebüsch, deren uneröffnete Blumenknospen, völlig wie die Kaperknospen, mit Essig eingemacht und genusset werden" (იქვე I, 245).

[4] Die Küchenreviere erhalten Gurken, Melonen, Arbusen, Kürbisse, Flaschenkurbisse, Windende und stehende türksche Bohnen, Erbsen, Moorrüben, Rettig, Weisskohl, Zwiebeln und Beten" (Reisen I, 400).

[5] „Fur die Färberey säen sie Saflor und Balsaminen und des Zwirns wegen etwas Hanf" (Reisen I, 400).

ხონში ბაღებში ამავე გერმანელ მეცნიერს უნახავს ლობიო, თამბაქო, ბოლოკი, კიტრი, კვახი, ჰიაფერა ღვინის საფერავად, ალისარჩული აბრეშუმის შესაღებავად და ხელსაღებავი, ანუ ინა ხელების შესაფერადებლად (Reisen. I, 305) [1].

ხოლო ტყეში ხონითგან მოყოლებული სანავარდომდე გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს სტაფილო (Daucus Carota) უნახავს (იქვე I, 310).

თავი III. ქართველ მთიელთა შორის გავრცელებული მწვანილ-მხალი.

ბოსტნეულის შესახები ისტორიული წყაროების ზოგადი ცნობების თვალის გადავლების შემდგომ, უნდა ისიც გვქონდეს გათვალისწინებული, თუ რით იკვებება ქართველი ხალხი მთაში ამ ჟამად. მთიელთ საერთოდ ყოფა-ცხოვრების ძველი ნაშთი ყველგან უფრო ხანგრძლივ აქვთ ხოლმე დაცული და ეს გარემოება საშუალებას აძლევს მკვლევარს ისტორიულ წყაროებში გაფანტული ცნობების შინაარსი უფრო ხელმიწვდენითა და რეალურად გაიგოს.

სამწუხაროდ აქამდე ამ საკითხისათვის სპეციალურად არავის მიუქცევია ყურადღება და მხოლოდ ეთნოგრაფიული შინაარსის ნაშრომებში ნახავს ადამიანი მოკლე ცნობებს იმ მწვანილ-მხალების შესახებაც, რომლითაც თანამედროვე ქართველი მთიელი იკვებება ხოლმე. ამ ცნობათა სიმოკლისდა მიუხედავად, იქ მაინც არა-ერთი საგულისხმო განმარტებას ამოიკითხავს ადამიანი. სამწუხაროდ არც ერთს ავტორს არ შეუწუხებია თავი მცენარეთა ბოტანიკური რაობა გაეგო, ან გამოერკვია. ჩვეულებრივ იქ მხოლოდ ქართული სახელია ხოლმე მოყვანილი.

§ 1. ფშაველთა მხალ-მწვანილეული.

საქონლის მაძოვებელი ქალები „ხანდახან მთელი დღე ერთგვარ ბალახსა სჭამენ, რომელიც ხილის მაგიერობას სწევს მთელ ფშავ-ხევსურეთში, ხშირად სახლშიაც მოაქვთ მთელი კონები, აწობენ ხაჭოიან რძის შრატში და ისე შეექცევიან. ამ შეზავებით ეს მცენარე საკმაო გემოს იძლევა და თავის გემოთი ძლიერ წააგავს ჩვენებურ ოხრახუშს. ამ მცენარეს სახელად ეძახიან ხიფხოლას". ნორჩობისას „მას უშრატოდაც სიამოვნებით სჭამენ". აყვავებულს „მას უწოდებენ ხიფლის ყივას (ხიფხოლას ყივას)".

ამას გარდა, საჭმელ მხალად გავრცელებულია „კენკეშა", რომელიც მოტკბილოა,—„შუპჟა", რომელიც ლულისებრივი მოყვანილობისა ყოფილა და გარეგნულად დუცს წააგავს და ტკბილია,—„მჟავანა", რომელსაც მჟავე გემო აქვს,—„დუცი", რომელიც ლულისებრივი მოყვანილობისაა", ფართო ფოთლიანია და მწარე გემო აქვს (ექ. გ. თ ე დ ო რ ა ძ ე ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში გვ. 29—30).

---

[1] „Man bauet auch in den Gärten türksche Bohnen, Hauf, Tabak, Rettigo, Gurken, Flaschenkürbisse. Ferner Phyto lacca zum Weinfärben Carthamus tinctorius zum Seidenfärben, Impatiens Balsamina zum Färben der Hände" (Reisen I, 305).

§ 2. ხევსურთა სხვადასხვა მწვანილ-მხალი და ხმილი.

ხევსურეთში „ხილისა და ბოსტნეულის მაგიერობას გარეული ჟოლო, მოცვი და სხვა მრავალგვარი ტყის მცენარეულობა“ სწევს. ამათგანი 1. „**დუცი**“, 2. „**დიყი**“, 3. „**შუპყა**“ და 4. „**ხიფხოლა**“, რომლის ზემო ნაწილს „**ჭიმა**“ ჰქვიან, ძირს-კი „**ხიფხოლა**“,—ისევე როგორც 5. „**კვლია**“ ყველა ტკბილია. კვლიას თურმე მუცლის გვრემის დროსაც ადამიანისათვისა და საქონლისათვის წამლად ჰხმარობენ.

6. „**წერთხლა**“ და „**მჟამია**“ მჟავეებია.

ხოლო 7. „**შიბუ**“ და 8. „**ხოხნუტა**“ მწარეა. შიბუს წნილადაც სდებენ. დასასრულ, 9. „**ძირხვენა**“, რომელიც გულის ამრევი ყოფილა (გ. თ ე დ ო რ ა ძ ე ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში 57).

§ 3. ზემო რაჭის საჭმელი მცენარეულობა.

ზემო რაჭაში „ხალხი ეტანება სხვადასხვა ბალახეულს“. ამათგან ზოგს ნედლსა და მოუხარშავს სჭამენ, ზოგს მოხარშულს. „უმად სჭამენ: **მჟავე ღვალოს, ტყის ან მთის ნიორს, შვლის-თივას, მელის-ძვალას, მუყუდოს, მდიყს, ლოფის-თავს, მაწარას, ყარდიმელას, მელისკუდას** და სხვას“. ხოლო მოხარშულს სჭამენ: „**ჭალაკუდას, თიორშს, დილხამს, ცერცვს** და სხვა“-ს (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა მთის რაჭა 30-31).

თავი მეოთხე. ბოსტნეულის ჯგუფები.

ძველად მტილსა და შემდეგ ბოსტანში სხვადასხვა მცენარე მოჰყავდათ. სიმრავლისდა მიუხედავად, მათ წინათაც ჯგუფებად ჰყოფდენ და ეხლაც რამდენიმე ჯგუფად დაყოფა შეიძლება. წინანდელი კლასიფიკაციის საფუძველი ეხლანდელს, ბოტანიკურს, მთლად არ უდგება, მაგრამ გამოყენებადობის თვალსაზრისით მტილეულის ჯგუფებად დაყოფის აწინდელი პრინციპი უწინდელისაგან დიდად არ განსხვავდება.

„საქ. ეკონ. ისტორიის I²“ წიგნში უკვე განმარტებული გვქონდა, რომ არსებობდა „**მწუანილი**“, „**მხალი**“, „**მდელო**“ და „**ხმილი**“.

§ 1. მწუანილი და სანელებელი.

მწუანილად ისეთი მცენარე იგულისხმებოდა, რომლის მიწისზევით ამართულ ფოთოლ-ღეროებს ჩვეულებრივ მოუხარშავად სჭამდენ ხოლმე.

ამას გარდა ნედლი, თუ გამხმარი მწვანილი საჭმლისათვის გემოს მისაცემადაც იხმარებოდა. ასეთ მწვანილს საჭმელში სდებდენ, ან ხარშვის დროსვე, ან უკვე მოხარშულს უშვრებოდენ. ასეთ მწვანილთა ჯგუფს საერთო სახელად „**სანელებელი**“ ეწოდებოდა (ხელმწ. კარის გარიგება გვ. 9, § 17, სტრიქ. 179). ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა ც ამ ტერმინის მნიშვნელობა ასევე ესმოდა: „**სანელებელი** ესე არს, რაჲცა ხუნნელი საჭმელს შეანელებს“-ო (ლექსიკ.).

ზოგი მცენარეთაგანი მწვანილადაც იჭმევა და სანელებლადაც იხმარება, ზოგი კიდევ მხოლოდ შესანელებლად არის განკუთვნილი. ამის გამო ეს მტილე-

ული მცენარეები ორ ჯგუფად, საკუთრივ მწუანილად და სანელებლად, უნდა დაიყოს.

სანელებელი სხვადასხვა თვისებისაა და, როდესაც საჭმელში სანელებელს ხ.არობდენ," ამისდა მიხედვით მას სხვადასხვა მიზნით უშვრებოდენ ხოლმე. ზოგს მათგანს საჭმლისთვის უნდა სურნელება, ზოგს გემო მიენიჭებინა, ზოგს კიდევ შემზადებული საკვები ცხარე და ენის მხუხავი გაეხადა. ასეთ ცხარე, მწვავე გემოს მიმცემს ჩასართავ მცენარეულს „მკურვალი სანელებელი“ ეწოდებოდა. „სააქიმო წიგნ“-ში აღნიშნულია, რომ ზოგი ავადმყოფობის დროს სნეულისათვის დამზადებულ საჭმელს „მკურვალი სანელებელი ერთოს, ვითა ფაჩარი (=სუმბულს) და ყარამფილი (ე. ი. მიხაკი) და კილამონი“-ო (ხელთნ. გვ. 162, 78).

მწვანილი ორგვარი იყო და არის ეხლაც: არსებობდენ „მწუანილნი ველისანი“, ველური მწვანილეული და შინაურიც, ბაღ-ბოსტნებში, ანუ მტილში მოყვანილი.

რა თქმა უნდა, მაშინაც ესმოდათ, რომ „მწუანილნი ველისანი“ ნამდვილად „საზრდელად პირუტყვთა ველისათა და ცხოველთა თჳს მინიჭებულ არიან, ხოლო ჩუენ... სიტყვერნი და სიტყვთა პატივცემულნი“, ადამიანები, „უმტკიცესითა და კაცთათჳს შემსგავსებულითა საზრდელითა გუზარდნის მზრდელმან ყოველთამან“-ო (ც´ა დ´თ გრ´ჯლსა: საქ. სამ. 272). მაგრამ ყველანი ველური მწვანილს, ვითარკა მუქთს, ანდა უფრო იაფს, მაინც სჭამდენ ისევე, როგორც თანამედროვე საქართველოშიც, მეტადრე მთაში, ხალხი ველური მწვანილეულის ჭამას ძალიან ეტანება.

§ 2. მხალი.

„მხალი“-ც საჭმელი მცენარის მიწის-ზედა ნაწილს ეწოდებოდა, მაგრამ რომელსაც ჩვეულებრივ მოხარშულს ჰხმარობენ ხოლმე. მხალს ზაფხულშიც სჭამდენ და ზამთარშიც. „საზამთროდ სახმარი“ მხალი, რა თქმა უნდა, წინასწარ სათანადოდ გახმობილი იყო ხოლმე, მაგრამ ზოგნი განსაკუთრებული მიზნით (მაგ. მარხვაში, მონაზონნი და სხვ.) მხალს მოუხარშავადაც, ანუ როგორც მაშინ ამბობდენ, „უმგბარს“-აც შეექცეოდენ ხოლმე.

გ. მ თ ა წ მ ი დ ე ლ ს ა ც ნათქვამი აქვს, რომ დიდმარხვას მონასტრის ძმათათვის „დაეგოს... პური და ჩირისა წუენი და მწნილი, ანუ სხუაჲ რაჲმე ესევითარი“-ო („საჭმელისათჳს და სასმელთა“). მაგრამ „ორშაბათსა და ოთხშაბათსა და პარასკევსა ჭამდენ კნდური სა სირსუალსა და მხალსა უმგბარსა და მწნილსა, თუ დახუდეს, და ცერცუსა დამბალსა“-ო (იქვე). ხოლო „დიდსა პარასკევსა პური და მხალი უმგბარი, გინა თუ შემგბარი“ ჰქონდეთო (იქვე).

ამგვარად, ჩვეულებრივ მხალი „შემგბარი“, ანუ მოხარშული იხმარებოდა, მაგრამ გამონაკლისის სახით „უმგბარი“-ც.

მხალიც სადაურობისა და თვისებისდა მიხედვით ორნაირი იყო და არის: ველური, ანუ „მხალი ველისაჲ და შინაური. ადამიანი უფრო უკანასკნელს ეტანებოდა, მაგრამ არც ველურს იწუნებდა და იწუნებს ეხლაც. გ. მ ე რ ჩ უ ლ ი ს სიტყვით, კლარჯეთის უდაბნოების მამულში „მხალთა ველისათაჲ არს

სინრაელტ ურიცხკ (ც̃ა გგ̃ლ ხნძ̃თლსჲ კდ) და სწორედ ველურ მხალთა ამ სიუხვეს უმადლოდა გრ. ხანძთელი და კლარჯეთის მეუდაბნოენი, ვითარცა მუქთს საკვებს.

§ 3. მდელოჲ, ანუ ძირხვენეული.

„მდელოჲ“ პირიქით ისეთ მცენარეთა ზოგად სახელს წარმოადგენდა, რომელთა მხოლოდ ძირს სჭამდენ (საქ. ეკონ. ისტ. I[1], 272-273).. ეს განმარტება, როგორც დავრწმუნდებით, ბოტანიკურად მთლად სწორე არ არის, რათგან ბოტანიკის თანამედროვე მოძღვრების თანახმად ზოგიერთ მცენარეს ღერო ძირს მიუგავს და ძირად იყო ძველად მიჩნეული.

მცენარეების ძირისა და ღეროს სხვადასხვა მოყვანილობის გამო, ამ ნაწილებისთვის სხვადასხვა სახელი არსებობდა. ზოგი ამათგანი დღევანდლამდეა შერჩენილი, ზოგი უკვე დავიწყებულია, მაგრამ ბოტანიკურ და აგრონომიულ სამეცნიერო მწერლობაში კვლავ უნდა იქმნეს ტერმინად განახლებული.

ს. ორბელიანს აღნიშნული აქვს, რომ **„ხახვსა და ნივრის ძირსავით რომ ყვავილსა, თუ ბალახს ძირი ჰქონდეს“**, ამას ქართულად **„ბოლქვი“ ეწოდებოდა** (ლექსიკ.). თანამედროვე ბოტანიკა ხახვისა და ნივრის ბოლქვს სწორედ ძირად არ სთვლის.

უნდა ვიცოდეთ, რომ ქართულად **„ჰარხალთა ბოლოკთა და მისთანათა ღერო“**-საც თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა და **„კავლი“ ეწოდებოდა** (ს. ორბელიანის ლექსიკ.). ქართვ. ლექსიკოგრაფის სიტყვით, **„კავლი ჰარხალთა ბოლოკთა და მისთანათა ღერო“**-სა ჰნიშნავს (ლექსიკ.). ამისგან ზმნაც ყოფილა **„აკავლება“**. საბას განმარტებით, **„აკავლება“ ესე არს ხახუთა, ჰარხალთა, ბოლოკთა ძირთა ღეროს ამოლივება“-ო**. ხელთნაწერთა C ჯგუფში **„აჯეჯლება და კავლის ამოსლვა“** სწერია (ლექსიკ.).

მართალია, ბოლოკისა და ხახვნაირთა ბოლქვი სულ სხვადასხვა წარმოშობილობისა და აგებულებისაა და თანამედროვე ბოტანიკა ბოლოკის, ისევე, როგორც სტაფილოსა, ჰარხლის და ჰლაკვის იმ ნაწილს, რომელიც საჭმელად იხმარება, მასაზრდოებელ ფესვად სთვლის (იხ. ზ. ყანჩაველი ბოტანიკა I, 99), ხოლო ხახვის, ნივრისა და სხვა ამგვარივე მტილეულის ძირები, რომელთაც ადამიანი სჭამს; ფესვად-კი არა, არამედ ღეროს ნაწილად, სახელდობრ, სახე-შეცვლილ ყლორტად მიაჩნია (იქვე I, 122—123). მაგრამ ამის გარჩევა და აგებულების განსხვავების არსებითი თვისების შემჩნევა მხოლოდ თანამედროვე მცენარეთა-მცოდნეობას შეძლო. ძველად ადამიანს ასეთი ხელმიწევნითი დაკვირვებისა და დასკვნის საშუალება და უნარი არ ჰქონდა, რათგან გარეგნულად მას ხახვისა და ნივრის ძირიც ისევე, როგორც ბოლოკისაც, მოყვანილობის მსგავსების გამო, ფესვად ეჩვენებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ბოლოკი და ბოლქვი ერთიდაიმავე ძირის თითქმის ერთიდაიგივე, მხოლოდ ფონეტიკურად შეცვლილი, სიტყვები უნდა იყოს.

მდელოს გარდა, ამავე ცნების აღსანიშნავად ქართულში სხვა სიტყვაც არსებობდა. ს. ორბელიანს განმარტებული აქვს, რომ **„ყოელთა მხალთა და მოლთა ძირები, რომელნიც კაცთაგან იჭმების“ ზოგადად „ძირხვენა“-დ იწოდებოდენ** (ლექსიკ.). ამ სახელის გარდა, **„დელხვინა“**-ც ყოფილა. საბა ამბობს „დელხვინა ძირხვენა“-ო და თან მცენარის პირობითი ნიშანი აქვს

დართული. მაგრამ გ. თ ე დ ო რ ა ძ ი ს ცნობითგან ჩანს, რომ ხევსურეთში „ძირხვენა"-ს კერძო მნიშვნელობით ჰხმარობენ, რათგან მას აღნიშნული აქვს, ძირხვენა გულის ამრევიაო (აქვე გვ. 145). რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს განსაზღვრითაც ძირხვენა, დელხვინი, ბარდანა Arctium lappa L., Lappa tomentosa Lam., რუს. Лопух, Лопушник-ია (ბოტ. ლექსიკ. 76, § 1056).

მაგრამ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ზემომოყვანილი ცნობა იმდენად მკაფიოა, რომ შეუძლებელია ქართველ ლექსიკოგრაფს აქ რაიმე შეცდომა ჰქონდეს. თვით ტერმინის შინაარსიც მის განმარტებას ადასტურებს.

მართლაც, ტერმინი „**ძირხვენი**"-ს **პირველი ნაწილი**, თავისდა-თავად ცხადია, „**ძირ**"-ს **წარმოადგენს**, გამოსარკვევია მხოლოდ მეორე ნაწილის „ხვენი"-ს მნიშვნელობა. საფიქრებელია, რომ აქ იგივე სიტყვა უნდა გვქონდეს, რომელიც „**სხვენი**"-სა და **სხუენი**"-ს სახით ეხლაც არის დაცული. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით ხომ „**სხუენი**" იყო „**სართულში შესანახი რისამე**". ამავე მეცნიერს ეს ტერმინი 2₍ ი ს ო ს თარგმანითგან „**საკუჩინი**"-ს სახითაც აქვს მოყვანილი (ლექსიკ.). ამნაირად, **სხვენი შესანახის აღმნიშვნელი ყოფილა**. ამიტომ **იბადება აზრი „ძირხვენა" ხომ ძირსხვენა-საგან არ არის წარმომდგარი და თავდაპირველად ხომ ისეთ მცენარეს არ ჰნიშნავდა, რომელსაც** ფოჩები და ღერი-კი არა, როგორც მწვანილს, არამედ **სწორედ ძირი ჰქონდა შესანახი და გამოსადეგი?**

რაკი ხალხში, მაგ. ხევსურეთში, **ძირხვენა** კერძო მნიშვნელობით იხმარება, ამით თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში, ცნებათა აღრევის თავითგან ასაცილებლად, ემჯობინება, რომ მდელოს შესატყვის მეორე ტერმინად ძირხვენას მაგიერ **ძირხვენეული** ვიხმაროთ. ვითარცა ზოგადი ცნების გამომხატველი ფორმანტის მქონებელს, ამ სიტყვას, ძირხვენასთან შედარებით, უპირატესობაც აქვს.

მემტილეობის, ანუ მებოსტნეობის ასპარეზი საქართველოშიც ბევრ მცენარეულობას შეიცავდა. მათი განხილვა ზოგ ავტორს ევროპაში ანბანის რიგზე აქვს დალაგებული, ზოგს კიდევ ბოტანიკური კლასიფიკაციის მიხედვით. მაგრამ პირველი წესი ნაშრომს ლექსიკონის თვისებას ანიჭებს, მეორე კიდევ უმთავრესად წმინდა ბოტანიკურ ნაშრომებშია გამოსადეგი.

რაკი ჩვენ მიზანს საქ. ეკონომიური ისტორია, სახელდობრ, ამ შემთხვევაში სასოფლო მეურნეობის ეკონომიკა შეადგენს, ამიტომ ძველ საქართველოში გავრცელებული მტილეულობა იმ მთავარ ჯგუფებად დავყავით, რომელთა არსებობის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. ბოსტნეულობის პრაქტიკული გამოყენებადობის მიხედვით ამ მცენარეთა დალაგება მკითხველს უფრო ადვილად გაუთვალისწინებს იმ მნიშვნელობას, რომელიც თვითოეულ მათგანს ქართველი ხალხის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებაში ჰქონდა. დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ **მემტილეობის, ანუ მებოსტნეობის ამ დარგში მარტო იმ მცენარეებზე-კი არ გვექნება საუბარი, რომელნიც ჩვენში მტილში და ბაღში მოჰყავდათ, არამედ რაც ჩვენში ველურადაც იზრდებოდა და ველური მხალისა, მწვანილისა, თუ მდელოს სახით იხმარებოდა. რამდენადაც ჩვენი მიზანი ეკონომიური ისტორიაა, იმდენად აუცილებლად საჭიროა, რომ ყველაფერი, რასაც-კი ძველი საქართველოს მეურნეობისათვის ღირებულება და მნიშვნელობა ჰქონდა, აქ განხილული ყოფილიყო.**

მტილეულის I ჯგუფი: მხალი.

თავი პირველი. მჟაუნა, ღვალო და მათი ჯიშები საქართველოში.

§ 1. ცნობები მჟაუნასა და ღვალოზე.

„მჟაუნა“ ს. ორბელიანს ლექსიკონში-კი მოეპოვება, მაგრამ უგანმარტებოდ და მარტო მცენარის პირობითი ნიშნის დართვით (ლექსიკ.). ასევეა ამავე ძეგლში შეტანილი „ღვალო“ და „ღვალოშმაგა“-ც (იქვე). რუს ელჩებსაც საქართველოში გავრცელებული მხალეულის ჩამოთვლისას მჟაუნაზე არაფერი აქვთ ნათქვამი. არც ვახუშტს და არც ფ. გორგიჯანაძეს ეს ორი სიტყვა თავიანთ ნაშრომებში არა აქვთ. მხოლოდ გჰლდენშტედტს არ დავიწყებია აღენიშნა, რომ მჟაუნა (rumex acetosa) მთელ საქართველოში ბლომად მოიპოვებოდა და ყველგან მას სიამოვნებით სჭამდენ (აქვე გვ. 143).

რ. ერისთავის ლექსიკონის მიხედვით, ამ ჰხალის სახელად, „მჟაუნა“-ს გარდა, „მჟაველა“-ც იხმარება ამერეთ-იმერეთში, მეტადრე მთიულეთში, „კრავის ყურა“-ც სწოდებია (ბოტ. ლექსიკ. 39, § 576). ფშავ-ხევსურეთში, „მჟავანა“-ს და „მჟაველას“-ს ეძახიან (იხ. აქვე გვ. 145). ზემო რაჭაში ამ მცენარის ზოგად სახელად, როგორც ჩანს, „ღვალო“ იხმარება და კერძოდ მჟაუნას, ეტყობა, „მჟავე ღვალო“ ჰრქმევია სახელად (აქვე გვ. 145).

ბოტანიკურად ყველა ეს სახელები rumex acetosa L.-ს, რუს. щавель-ს უდრისო (ბოტ. ლექსიკ. 39, § 576).

არსებობდა “კოკომჟავა“-ც, რომელიც, ს. ორბელიანის განმარტებით „პატარა მჟაუნა“ [1] არის (ლექსიკ.), ხოლო რ. ერისთავის განსაზღვრით Rumex Acetosella L.-ს, რუს. сорочий щавель-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ. 29, § 425).

რ. ერისთავის ცნობით, „კურდღლის-მჟაუნა“-ც არსებობს, რომელიც მისი აზრით ბოტანიკურად Oxalis acetosella L.-ს, რუს. щавель заячий-ს უნდა უდრიდეს (ბოტ. ლექსიკ. 39, § 577). ასევე აქვს ად. როლლოვსაც (ДРК გვ. 348), მაგრამ არა ჩანს, რ. ერისთავის ცნობას ემყარება, თუ ადგილობრივ აქვს შემოწმებული. აკად. გჰლდენშტედტს-კი oxalis acetosella-ს ქართულ სახელად საქართველოში „ჯანკა“ („Dschanka“) გაუგონია და ჩაუწერია (Reisen I, 426).

---

[1] „კოკო“ პატარაობის ცნების გამომხატველი ყოფილა ძველ ქართულში: კოკობი გაუშლელ ყვავილს ჰნიშნავდა, კოკონა პატარა იხვს, კოკორინა „უფრო პატარა იხვს“ (ს. ორბელიანის ლექსიკ.).

§ 2. ღვალო, ღოლო, ოღვალო, ღვალუ, ფურთხვალე, წართხალი და წერთხალა.

ს. ორბელიანისაგან აღბეჭდილი „ღვალო"-ს მაგიერ, ქართლ-კახეთში, რ. ერისთავის ცნობით, ეხლა „ღოლო" იხმარება, „ღვალო"-კი იმერეთსა და გურიაში ყოფილა დაცული (ბოტ. ლექსიკ. 65, § 925), რაჭაშიც „მჟავე ღვალოს" სახითაა (აქვე გვ. 145).

სამეგრელოში ამ მცენარეს თურმე „ოღვალო" ეწოდება (ბოტ. ლექსიკ. 65, § 925). ეს სახელი ჭანურშიც ყოფილა შენახული. ნ. მარრს ჩაწერილი აქვს „ღვალუ" (ვიწ. და ხოფ.), რომელსაც განმარტებად დართული აქვს მხოლოდ, რომ ბალახის სახელიაო, მაგრამ სახელდობრ რომლის, აღნიშნული არაა (ჭ. გ.). უეჭველია, აქ ამავე ღოლოს სახელი უნდა იყოს.

სვანები მჟაუნას „ფურთხვალე"-ს ეძახიან (ივ. ნიჟარაძის р.-с. сл. щавель).

ხევსურეთში, მჟაუნას გარდა, „წერთხლა"-საც სჭამენ, რომელსაც აგრეთვე მჟავე გემო აქვს (აქვე გვ. 145). არც ს. ორბელიანს, არც რ. ერისთავს და არც ად. როლლოვს ამ მცენარის სახელი არ მოეპოვებათ. ხევსურთა „წერთხლა", უეჭველია იგივე „წართხალი" უნდა იყოს, რომელიც, ზ. ყანჩაველის განსაზღვრით, იმავე Polygonaceae, მატიტელანაირთა ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის, მჟაუნა და ღოლო რომ ეკუთვნიან. თვით „წართხალი" Polygonum alpinum-იაო (იხ. ბოტანიკა I 293). ად. როლლოვს Polygonum Alpinum All. და Rumex Alpinum L.-ს შესახებ ცნობები მოეპოვება, მაგრამ მათი ქართული სახელი ჩაწერილი არა აქვს. მოყვანილია მათ ოსურ სახელად პირველის „ჟაკაჟა-კოლო" (жакая-коло". ДРК 384), და მეორის „კოლი" (იქვე 439), მაგრამ კოლო ქართული სახელია, რომელიც ოსურშიც ყოფილა შეთვისებული.

ყურადღების ღირსია მჟაუნას სვანური სახელის „ფურთხვალე"-სა და ქართლურ-ხევსურულ „წართხალი"-ს მსგავსება: ერთმანეთისაგან მათ მხოლოდ თავკიდური მარცვლები „ფუ" და „წარ" ასხვავებენ. გამოსარკვევია „წართხალი"-ს ისევე, როგორც „ფურთხვალე"-ს მეორე ნაწილის „ხალი", ანუ მხალი წარმოადგენს, თუ პირიქით სვანურ სახელს თავისი მეორე ნაწილის „ხვალე"-ს პირვანდელი სახე ქართლურ-ხევსურულ სახელზე უკეთ აქვს დაცული და „ღვალო"-ს ფონეტიკური მონაცვალეა?

თუ უკანასკნელი მოსაზრება გამოდგა სწორე, მაშინ ამ სახელების პირველ ნაწილად უნდა „წართ" და „ფურთ"-ი მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში რაჭაში მიღებული „მჟავე-ღვალო"-ს მსგავსი წარმოება უნდა იყოს და „წართ" და „ფურთ" თვით ღვალოს თვისების განმსაზღვრელი სიტყვა იქნება. მართლაც „წათხ" სამწერლობო ქართულში თუმცა მლაშესა ჰნიშნავს (საბას ლექსიკ.), მაგრამ სვანურად მჟავეს აღმნიშვნელია (ივ. ნიჟარაძის с.-р. сл. кислый).

რაკი „წართხალი" მნიშვნელობით რაჭაში მიღებული მჟავე ღვალოს შესატყვისი სახელი გამოდის, იბადება საკითხი, სვანური „ფურთხვალე"-ც ხომ ფურთღვალოს აღმნიშვნელი არ არის ისევე, როგორც ბერძნულად „**ჰიპპოლაპათონ**"-ი, ანუ ცხენის მჟაუნას სახელი არსებობდა? თვით ბერძნებსაც

ჰქონდათ ამავე ჯიშის მცენარე „ბულაპათონ"-ი, რომელიც ბერძნულად ზროხის მჟაუნასა ჰნიშნავს. იქმნებ სვანური „**შურთხვალე**" წარმომდგარია „ფურთ+ +ხვალე"-საგან და მნიშვნელობით სწორედ „ბულაპათონ"-ს, ხოლო ბოტანიკურად rumex scutatus-ს უდრის? მაგრამ „**შურთხვალე**"-ს ბოტანიკური რაობის დანამდვილებით გამორკვევა ბოტანიკოსების საქმესა და მოვალეობას შეადგენს. ჩემ მხრივ აღვნიშნავ მხოლოდ, რომ Rumex scutatus L. დვალურად, ად. როლლოვის ცნობით, თითქოს „**ხურხაგ**"-ი („хурхаг") უნდა ერქვას (ДРК 441). იბადება საკითხი აქ ხომ დამახინჯებული „**შურთხვალე**" არ არის ოსურში, სადაც rumex-ს უმთავრესად ქართული სახელი კოლო, ღოლო სახელები აქვს (იხ. ДРК გვ. 438—441).

თანამედროვე ქართულში „ღოლო" ანუ „ღვალო" იმ მხრივ განსხვავდება მჟაუნისაგან, რომ ის **გარეული მხალის სახელია** და ბოტანიკურად Rumex obtusifolius L.-ს, რუს. дикий щавель-ს წარმოადგენსო (რ. ერისთავის ბოტ. ლექსიკ. 65, § 925). ზ. ყანჩაველის განსაზღვრით-კი „**მჟაუნა**" არის Rumex tuberosus, ხოლო „**ღოლო**" Rumex crispus (ბოტანიკა II, 293).

ს. ორბელიანისაგან ჩაწერილი „**ღვალო-შმაგა**", ეხლა უკვე „**ღოლო-შმაგა**"-დ ქცეული, ბოტანიკურად არის Rumex Hydrolapathum L., რუს. конский щавель (რ. ერისთავი ბოტ. ლექსიკ. 65, § 926). მისი ქართული სახელის მეორე ნაწილი, შმაგა, ცხად ჰყოფს, რომ ხალხი მას ადამიანისათვის მავნებლად სთვლიდა.

ზემომოყვანილითგან ირკვევა, რომ **მჟაუნა**, ანუ **მჟაველა** Rumex acetosa-ა, **კოკომჟავა**, რომელიც პატარა მჟაუნას ჰნიშნავს, და **მჟაუნა** Rumex acetosella-ა,—ხოლო **ღვალო** და **კოლო** Rumex crispus-ია,—**ღოლო**, **ღვალო** და **მჟაუნა** Rumex obtusifolius-ია,—**წართხალი** Polygonum Apinum-ია და ეგები Rumex Alpinus-ი. დასასრულ **შურთხვალე** თითქოს Rumex scutulus-ი უნდა იყოს. ამგვარად, **ხალხში და ძველად მიღებული მნიშვნელობის მიხედვით, ვერ ითქმის რომ მჟაუნა** ამ მხალის **მარტო შინაური და ღვალო**, ანუ **ღოლო-კი გარეული ჯიშების აღმნიშვნელი იყოს, თუმცა მჟაუნა ეხლა მაინც უმთავრესად შინაურის სახელია**, ღვალო და მისი **ფონეტიკური სახენაცვლები-კი მომეტებულად გარეული ჯიშების სახელია.**

არსებითად ორივე ეს სახელი თითქმის ერთსადაიმავეს ჰნიშნავს. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ **ერთი მათგანი უფრო ძველი ქართული სიტყვაა, მეორე-კი მერმინდელია. ამაზევეა მათგან შინაურისა და გარეული ჯიშების აღმნიშვნელობაც დაკავშირებული.** რაკი ამ დებულების დასამტკიცებლად ზოგიერთი ზოგადი მნიშვნელობის ისეთი საკითხების განხილვა იქმნებოდა საჭირო, რომელთაც ეკონომიურ ისტორიასთან მჭიდრო კავშირი არა აქვთ, აქ ამ საგანზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტი იქმნებოდა მით უმეტეს, რომ ეს პრობლემა „ქართ. ერის ისტორიის შესავალ წიგნ"-შია განხილული, რომლის გამოქვეყნებასაც ვაპირებ.

§ 3. მჟაუნისა და ღვალოს კულტურა უცხოეთში.

მჟაუნა და ღვალო ევროპაშიც ადგილობრივ მცენარედ ითვლება: Rumex alpinus L., ანუ **წართხალი** ალპების, ვოგეზებისა და შვარცვალდის მთებშია

გავრცელებული,—Rumex patientia L. ქვემო ავსტრიასა, კობლენცთანა და ელზასშია ადგილობრივ ველურ მცენარედ,—Rumex acetosa L., მჟაუნა მთელ გერმანიაში ყველგან მოიპოვება,—Rumex scutatus L. რჰაჟნის მთელ სანახებში გვხვდება,—Rumex arifolius გერმანიის მთებში არის გავრცელებული.

ძველად მჟაუნას წამლად ხმარობდენ და მწვანილადაც სჭამდენ კიდევაც. მჟაუნა მეტადრე საფრანგეთში ითვლება საყვარელ საჭმელად, გერმანიაში-კი უფრო ნაკლებად არის გავრცელებული (იხ. I. B e c k e r Gemüsebau, გვ. 221 და V i l m o r i n-A n d r i e u x Les plante Potagères გვ. 492).

ფრანგები მჟაუნას oseille-ს, გერმანელები Ampfer-ს უწოდებენ. ამასთანავე საკუთრივ მჟაუნას Sauerampfer-ი, ხოლო Rumex patientia-ს Gartenampfer-ი, ანუ Englischer Spinat-ს ეძახიან. რუსები მჟაუნისათვის „შჩაველ"-ს ხმარობენ.

რომაელი ბუნებისმეტყველის, პ ლ ი ნ ი უ ს მ ც ი რ ი ს, ცნობით ხოლონმა ლაპათუმთა ჯგუფს b u l a p a t h o n „ბულაპოთონ"-იც მიუმატა, რომლის ძირი ღვინითურთ სისხის, ანუ დისენტერიის, წინააღმდეგ კარგი საშუალებაო (Nat. hist. XX, 86). ე. ლ ი ტ ტ რ ე „ბულაპათონ"-ს rumex scutatus-ად სთარგმნის (II, 35).

მჟაუნა Rumex დაწვრილებით პ ლ ი ნ ი უ ს მ ც ი რ ე ს აქვს აწერილი. მისი ნაშრომითგან ჩანს, რომ რომაელები საჭმელადაც და წამლადაც ამ მცენარის ორს, ველურ სახეობასაც ხმარობდენ და კულტურულ სახეობასაც. ამ რომაელი მეცნიერის სიტყვით, თუმცა საერთოდ კულტურული შინაური მცენარე გარეულსა და ველურს სიდიდითა და ღირსებით სჯობია, მაგრამ ამ მხრივ მჟაუნა გამონაკლისს წარმოადგენს. ველური, ტყის მჟაუნა, რომელსაც ის ლაპათუმს (lapathum silvestre) ეძახის, შინაურს, კულტურულს, რომელიც rumex-ად იწოდება, სჯობია ფურცელთა სიდიდითაც და სიძლიერითაც (Natur. hist. XIX, 60).

პ ლ ი ნ ი უ ს ს ამ მჟაუნისა და Rumex patientia-ს ხუთი სხვადასხვა ჯიშსახეობა აქვს ჩამოთვლილი: 1. არსებობს გარეული ლაპათუმ-ი (lapathum silvestre), რომელიც შინაურს მიაგავს და რომელსაც ზოგნი oxalis-ის (ე. ი. მჟაუნას) უწოდებენ. მის აღსანიშნავად რომაელები rumex „რუმექს"-ს ხმარობენ, სხვები-კი lapathum cantherinum-ს ეძახიანო. 2. არის oxylapathon-ც, რომელიც აგრეთვე შინაურს მიაგავს და ნოტიო ნიადაგში იზრდებაო.

E. L i t t r é ოქსილაპათუმ"-ს rumex crispus L.-დ სთარგმნის. 3. არსებობს აგრეთვე hydrolapathon „ჰიდროლაპათონ"-ი, ანუ წყლის მჟაუნა, რომელიც წყალში იზრდებაო. ლ ი ტ ტ რ ე rumex maritimus L.-დ სთარგმნის. 4. დასასრულ hippolapathon ჰიპპოლაპათონ-იც (ე. ი. ცხენის მჟაუნა) მოიპოვებაო, რომელსაც ლ ი ტ ტ რ ე rumex aquaticus L.-დ სთვლის (Natur. hist. XX 85). 5. Rumex sativum შინაური მჟაუნა ზემოაღნიშნულ ფრანგ მეცნიერს rumex patientia L.-დ მიაჩნდა (იხ. Histoire naturele de P l i n e par. É. L i t t r é, II, 35).

მჟაუნას საჭმელადაც ხმარობდენ და მის ძირს, გამონახარშსა და თესლს სხვადასხვა ავადმყოფობის დროს წამლადაც აკეთებდენ (პ ლ ი ნ ი უ ს მ ც ი რ ე ს Nat. hist. XIX, 60 და XX, 85 და 86).

რამდენადაც რომაელები და თვით პ ლ ი ნ ი უ ს მ ც ი რ ე ც გარეული და შინაური მჟაუნისათვის, rumex-ის გარდა, lapathum ლაპათუმს, ან ლაპათონსაც

ჰხმარობდენ, რომელიც ამ მცენარის ბერძნულ სახელს წარმოადგენს, იმდენად საფიქრებელია, რომ მჟაუნის შინაური, კულტურული სახეობა და თვით კულტურაც რომში უნდა საბერძნეთთან იყოს დაკავშირებული და საბერძნეთითგან მომდინარეობდეს, სადაც, როგორც პლინიუსის ცნობითგანაც ჩანს, მჟაუნას, ანუ ღვალოს კულტურა სოლონის ხანაშივე და უწინარესაც-კი არსებულა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპაში მჟაუნის მოყვანის შესახებ ისტორიული ცნობები მე-X ს. დამლევამდე არ მოიპოვება. კარლოს დიდის Capitulare de villis-სა და Breviarium rerum fiscalium-ში მოსაყვან მწვანილთა და მცენარეებს შორის დასახელებული არ არის. მხოლოდ Macer Floridus თავისს 1000 წ. ახლო ხანში დაწერილ ნაშრომში Paratella-ს იხსენიებს, რომელიც, ესპანური paradella-ს მსგავსადაც, ღვალოს ხალხურ სახელად არის მიჩნეული. 1099 წ. დაბად. Hildegardis de Pinguia-ს მჟაუნას შესახებ მთელი თავი აქვს დაწერილი. Rumex alpinus L. მე-XVI ს. ლოზანში ჩვეულებრივი საბოსტნე მხალი ყოფილა (I. Becker Gemüsebau, 221).

§ 4. მჟაუნისა და ღვალოს ძველ საქართველოში გავრცელებულობა.

ს. ორბელიანისა და გულდენშტედტის მოწმობითგანაცა და თანამედროვე ცნობითგანაც უცილობლად მტკიცდება, რომ ხხვადასხვა სახეობათა მჟაუნა ძველ საქართველოში საკვებ მცენარედ ძალიან გავრცელებული ყოფილა.

თუმცა ყველა ეს ცნობები მე-XVII ს. არ სცილდება, მაგრამ ამ მწვანილის, ღოლოს ძველადვე საქართველოში არსებობის მოწმედ შესაძლებელია ისეთი გეოგრაფიული სახელების წამოყენება, როგორიცაა ს. ღოლოვანი ქვემო ქართლში (ე 7 62—15, 41—145), ტფილისის სანახებში (ე 7 62—00, 41—45) და დუშეთის სანახებში (ე 6 62—15, 42—00), რომელსაც ბოკოწინიც ეწოდება, და სხვაც.

მჟაუნა, ღოლო და წართხალი საქართველოში ეხლაც „ძალიან გავრცელებული მცენარე“-ა (ზ. ყანჩაველი ბოტანიკა II, 293). მთაში და ბარადაც ....გი ჩვენში ველურად იზრდება. ფშავ-ხევსურეთში, ისევე როგორც ხევში, მთიულეთში და რაჭაში ხალხი სწორედ ველურ მჟაუნას სჭამდა და სჭამს ეხლაც. ეს არც გასაკვირველია, რათგან მჟაუნა R. acetosa, კოკო-მჟავა R. acetosella, ღვალო R. crispus და ფურთხვალე R. scutatus მთელ კავკასიაში გავრცელებული (ად. როლლოვ ДРК 438—441) და მუქთს, იაფ საჭმელს წარმოადგენს. ღვალოს და ფურთხვალეს ისპანახის მაგიერაც-კი ჰხმარობენ, რათგან მისგან გემრიელი და ნოყიერი მხალი და შეჭამადი კეთდება (ДРК 439—441). ამავე და სხვა ჯიშების მჟაუნა-ღვალო-ღოლოს წამლად და სალებავადაც ხმარობენ (იხ. ДРК 438—440).

თავი მეორე. ასპანახი, ანუ ისპანახი.

§ 1. ცნობები ისპანახსა, ასფანახსა და სპანძელზე ძველ საქართველოში.

„ისპანახი“ საბას აზრით უცხო სიტყვაა, „სხუათა ენაა, ქართულად „სპანძელი“ ჰქვიანო (ლექსიკ.). ისპანახს საქართველოში გავრცელებულ მხალთა შორის ვახუშტიც იხსენიებს (აქვე გვ. 141) ისევე, როგორც გჰლდენშტედტიც, რომელსაც ამასთანავე აღნიშნული აქვს, რომ გერმანულ Spinath-ს ქართულად „Ispanach“ (sic) ისპანახი ეწოდება (აქვე გვ. 143).

რ. ერისთავს ისპანახი აღმ. საქართველოსა და იმერეთში მიღებულ სახელად აქვს აღნიშნული. გურიასა და სამეგრელოში რას ეძახიან, ნათქვამი არ არის. ამ მხალის ბოტანიკური რაობა Rumex patientia L., რუს. шпинат-ი არისო (ბოტ. ლექსიკ. 24, § 365), რაც მცდარი აზრია. ზ. ყანჩაველს სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ ისპანახი Spinacea oleracea არის. მისი აზრით ისპანახი საქართველოში „აღმოსავლეთიდან არის მოტანილი“ (ბოტანიკა II, 294).

ხოჯა-ყოფილის კარაბადინში, რომელსაც „წიგნი სააქიმო“ ეწოდება, ნათქვამია: ავადმყოფი „ნედლსა და გრილსა საჭამადსა იკმარებდეს, ვითა აყიროი და ასფანახი და ქაშქი“-ო (გვ. 137). ამნაირად, ირკვევა, რომ მე-XIII ს. დამდეგს ისპანახის მაგიერ ამ მხალის სახელად საქართველოში თურმე „ასფანახი“ უხმარიათ.

„სააქიმო წიგნში“ ხოჯა-ყოფილს „სპანძელი“-ც მოეპოვება: „სპანძელის თესლი“ (ხელთნ. გვ. 131), „სპანძელის წყალი“ (იქვე გვ. 126). ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს: „ისპანახი სხუათა ენაა, ქართულად სპანძელი“ ჰქვიანო (ლექსიკ.). მაშასადამე, საბა ფიქრობდა, რომ სპანძელი იგივე ისპანახი იყო, მხოლოდ პირველი ამ მხალის ქართული სახელია, მეორე კიდევ უცხო. რ. ერისთავიც საბას განმარტებას იმეორებს (ბოტ. ლექსიკ. გვ 24, § 365).

მაგრამ სპანძელისა და ისპანახის იგივეობის აზრს ხოჯა-ყოფილის ნაშრომი არღვევს, რადგან მას ორივე ეს სახელი, როგორც ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, ცალ-ცალკე აქვს ნახმარი. „სააქიმო წიგნის“ ტერმინების განმმარტებელს, ვგონებ, გერმანე არქიმანდრიტსაც, ეს ორი სიტყვა სხვადასხვა მცენარის სახელად ჰქონდა მიჩნეული და მისით „ასფანახი—მხალია“, ხოლო „სპანძელი—მარიამ-საკმეველა“-ა (იხ. ე. თაყაიშვილის Опис. I, 679 და 683).

ამ მცენარის სახელი ს. ორბელიანსაც მოეპოვება, მაგრამ განუმარტავად და ოდნავ შემოკლებული ფორმით: „მარიამ საკმელა“ და თან მცენარის პირობითი ნიშანი აქვს დართული (ლექსიკ.) რ. ერისთავს მარიამ-საკმელა Ruta graveolens L., რუს. рута-დ მიაჩნია (ბოტ. ლექსიკ. 35, § 526), რომელიც სულ სხვა ოჯახს, სახელდობრ Rutaceae-ებს, ეკუთვნის (ზ. ყანჩაველი ბოტანიკა II, 320), ვიდრე ისპანახი.

§ 2. ცნობები ისპანახზე უცხოეთში.

ისპანახის შესახები უძველესი ცნობა იბნ ალავვამ-ს და იბნ ბაჲთარ-ს მოეპოვებათ ნაბატეველთა ქვეყნის აღწერილობაში (I. Becker Gemüsebau 258). მაშასადამე, მე-XIII ს-ში ეს მხალი ჩრდილოეთ არაბეთში ყოფილა გავრცელებული. ორივე ზემოდასახელებული არაბი ბოტანიკოსი ამ მცენარეს „ისფანაზ“-ს უწოდებს (I. Becker Gemüsebau 258).

ოსმალურად ამ მცენარეს ispanak-ს ეძახიან. თითქმის ყველა დანარჩენი ერები ამავე სახელს ხმარობენ, მაგრამ უთავკიდურხმოვნოდ (spinaci — იტალ., spanach ინგლ., Spinat გერმ., шпинат რუს.). მხოლოდ ესპანურში espinaca, პორტუგალურს espinacio და ფრანგულად l'épinard ამ მხალის სახელს თავში „ე“ ხმოვანი მოეპოვება.

ძველი ქართული „ასპანახი“ ამავე თვისების მქონებელია. „ისპანახი“, ამ მცენარის „ი“ — ხმოვანიანი ფორმა, ქართულში მერმინდული, მე-XIII ს. შემდგომი, ხანის სახელად მოჩანს.

ძველ საბერძნეთსა და რომში ისპანახი არ იყო. პლინიუს მცირეს მისი ხსენებაც არ მოეპოვება. შემდეგშიც იგი არა ჩანს. H. Blümner-ს რომში გავრცელებულ საკვებ მცენარეთა შორის ისპანახი დასახელებული არა აქვს (იხ. Die römischen Privatalterlümer, 165—167).

I. Becker-ის სიტყვით, ისპანახი საშუალო საუკუნეების გერმანელი მწერლების თხზულებებშიც არსად გვხვდება. მხოლოდ მე-XVI ს-ითგან მოყოლებული ჩნდება პირველად ეს მხალი დასავლეთ ევროპაში და შემდეგ თანდათან სულ უფრო-და-უფრო ვრცელდება.

მეთექვსმეტე საუკუნის მწერლები თურმე ერთმანეთს ეკამათებოდენ, ამ მცენარის სახელი ესპანიის მხალსა ჰნიშნავდა, თუ ეკლის აღმნიშვნელი ლათინური სიტყვა spina-საგან არის ნაწარმოებითი? ამ გარემოებათა მიხედვით ფიქრობენ, რომ, რაკი Herrera-ს თავის ნაშრომში ესპანიის მიწისმოქმედების შესახებ ისპანახზე არაფერი აქვს ნათქვამი, ეს მხალი ესპანიაში პირველად მე-XV ს-ში უნდა იყოს არაბთაგან შეტანილი (I. Becker Gemüsebau 258—259).

§ 3. ისპანახის სადაურობის საკითხი.

ისპანახის, spinacia oleracea L.-ს, სამშობლოდ მეცნიერნი კავკასიასა სთვლიან, მაგრამ კულტურული ისპანახის მთლად მსგავსი ველური მცენარე ჯერ მაინც აღმოჩენილი არ არის. ჯერჯერობით მის წინაპრად spinatia tetranda Roxb. არის მიჩნეული, რომელიც სამხრეთ კავკასიასა, სპარსეთში, თურქესტანსა და ავღანისტანში ველურად იზრდება. მაგრამ შინაური ისპანახისაგან ეს მცენარე თვალსაჩინოდ განსხვავდება (I. Becker Gemüsebau 258).

ისპანახის კულტურის სადაურობის გამოსარკვევად საგულისხმო გარემოებაა, რომ ჩინელები მას სახელად „სპარსეთის ბალახ“-ს ეძახიან (I. Becker იქვე). ცხადი ხდება, რომ შორეულ აღმოსავლეთში ისპანახის მოყვანა-მოხმარება დასავლეთითგან, სპარსეთითგან, შეუსწავლიათ. სპარსელები ამ მხალს „ისპანჲ“, „ისპანაჲ“-ს ეძახიან.

რაკი „ასფანახი“ უკვე მე-XIII ს. დამდეგს ნათარგმნ თხზულებაში განუმარტავად გვხვდება, ცხადია, რომ ეს მხალი, თუ ამაზე უწინარეს არა, მე-XII ს-ში მაინც უნდა ყოფილიყო საქართველოში. შემდეგში ამ მცენარის სახელი ბგერითად, შეცვლილა და „ისპანახ“-ად ქცეულა. ეს ფორმა არაბულში და თურქულში მიღებულ სახელს უდგება. I. Becker-ს ამ მხალის სახელი სპარსულ სიტყვად მიაჩნია (Gemüsebau 259), მაგრამ, სანამ მისი ეტიმოლოგია გამორკვეული არ არის და ძველი ქართული „ასფანახი“-ს არსებობასაც ანგარიში გაწეული არა აქვს, საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

თავი მესამე. ჯიჯლაყა, ანუ თვითმავალა.

§. 1. ჯიჯლაყას, ანუ თვითმავალას შესახები ცნობები.

„ჯიჯლაყა“ ს. ორბელიანს განუმარტავად აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი, მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნითურთ. რ. ერისთავს-კი „ჯიჯლაყა“ იმერულ და გურულ სახელად მიაჩნია. მის შესატყვისად აღმ. საქართველოში „მხალი-საჭმელი“, „თვითმავალა“ და „თკთმავალა“ აქვს დასახელებული. მეგრულად მას „ჯუმენე“ ეწოდებაო. ბოტანიკურად ეს მხალი Amarantus Blitum L.-ს, რუსულ щирица-ს წარმოადგენსო (ბოტ. ლექსიკ. გვ. 42, § 603). ად. როლლოვს ყველა მხალი, ჯიჯლაყა და ჯუმენე აქვს მოყვანილი რუს. щирица-ს შესატყვისად. ხოლო ბოტანიკურად Albersia Blitum Kuth.-ად აქვს განსაზღვრული (ДРК 21).

„თკთმავალა“ საბასაც მოეპოვება, მაგრამ მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნის დართვით.

ჯიჯლაყა, როგორც აღნიშნული გვქონდა, ად. როლლოვსაც აქვს შეტანილი თავის ნაშრომში (ДРК 21—22). მისი სიტყვით, ეს მცენარე ერთწლიანია და ამიერკავკასიაში იზრდება. მთელ ამიერკავკასიაში, თუ მის რომელსამე ნაწილში და სახელდობრ სად, ნათქვამი არ არის. ამ მცენარის დართული ადგილობრივი სახელები-კი მასაც ყველა ქართული აქვს. ამის მიხედვით საფიქრებელია, რომ ეს მხალი უმთავრესად საქართველოში უნდა იყოს გავრცელებული, ანდა უმთავრესად ჩვენი ხალხი ჰხმარობს მხალად. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ად. როლლოვს ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი („туземцы“) ჯიჯლაყას ფოთლებს მწვანილად სჭამენ, თესლს-კი შეჭამადადაც აკეთებენ და შინაურ ფრინველსაც საკენკად აძლევენო (ДРК 32). ამ ცნობას ფასი ეკარგება, რათგან დასახელებული არ არის, თუ ვინ და სადაური არიან ეს ადგილობრივი მკვიდრნი.

პირადად ჯიჯილაყაზე შემდეგი ცნობების შეკრება შევძელ:

როგორც ისტორ. დარგის მე-III კურსის სტუდ. მიხეილ გოგსაძის წერილობით გადმოცემული ცნობითგან ჩანს (რომლისათვისაც დიდად ვმადლობ), იმერეთში ამ მხალს „ჯიჯილაყა“ ჰრქმევია, გურიაში-კი თურმე „ჭიჭილაყა“-ს ეძახიან. სამეგრელოშიც საკმაოდ ყოფილა ეს მცენარე გავრცელებული. სახელად იქ თურმე „ჯიჯილეი“ ეწოდება.

„იმერეთში მინდვრის მხალი ჯიჯილაყა ძლიერ გავრცელებულია. ის საკმაოდ მაღალი იზრდება (თითქმის $1/2$ მეტრი), ფოთლებს საკმაოდ შორს მან-

ძილზე შლის. მაგრამ როდესაც ამ-ხელა გაიზარდება, საჭმელად უკვე აღარ-იხმარება, რადგან დაბერებულად ითვლება. ამ დროსვე ის ისხამს უამრავ თესლს. თესლი ფეტვის მარცვალზე უფრო წვრილია და წითელი, საკმაოდ მიმზიდველი ფერის. ჯიჯილაყას ფოთოლხა სჭამენ იხევე, როგორც სხვა დანარჩენ მხალს. უფრო ხშირად სხვა მხალში ურევენ, რადგან მარტო შემზა-დებული ცოტა მომწარო გემოსია ხოლმე და ამიტომვე ბევრი ნივეზის მიმატე-ბას საჭიროებს"-ო (მ. გოგსაძის წერილობითი ცნობა).

§ 2. ჯიჯლაყას სახელის პირველადი მნიშვნელობა.

სახელი „ჯიჯლაყა“, ანუ „ჯიჯილაყა“ უნდა ორი სიტყვისაგან „ჯიჯი“-სა და „ლაყა“-საგან იყოს შემდგარი. „ჯიჯი“ ჭანურად ძირსა ჰნიშნავს, რომელიც მეგრულშიც „ჯინჯი“-ს სახით არის დაცული. „ლაყა“ არც ჭანურში, არც მეგრულში არა ჩანს და გაუგებარია, თუ რომ არ წარმოვიდგინეთ, რომ აქ შესაძლებელია იგივე სიტყვა გვქონდეს, რომელიც „ლაყი“-სა და „ლაყ-ლაყი“-ს სახით თანამედროვე ქართულშიც ცოცხალი სიტყვაა.

ს. ორბელიანის განმარტებით, ლაყი თითქოს „წამკდარი“ კვერც-ხის აღმნიშვნელი უნდა იყოს (ლექსიკ.), მაგრამ ეს სიტყვა რომ მარტო კვერცხ-თან არ არის დაკავშირებული იქითგანაც ჩანს, რომ წამხდარ კვერცხს, „ლაყე კვერცხი“ ეწოდება. ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობა „ლაყლაყ“-ს უნდა ჰქონდეს დაცული, რომელიც თავისუფლად რყევას, მოძრაობას და სიმტკიცის მოკლებულობას ჰნიშნავს. ლაყე კვერცხიც ისეთს ეწოდება, რომელშიც ცილას და გულს ლაყლაყი გააქვს. ლაყეს ფონეტიკიური სახენაცვალი უნდა იყოს ლაღი-ც, რომელიც თავისუფალი მოძრაობის, განუკრძალეველი ქცევის მიმდე-ვარსა და შემდეგ კადნიერსაც ჰნიშნავდა. ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობა დაცულია ცნობილს, ზღაპრებთან დაკავშირებულ, ხალხურ ლექსში „ზღაპარ— იყოს"-ს იმ ტაეპში, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩიტი „დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში ლაღე იყო“. „ლაღე“ აქ მოლაყლაყეს, ე. ი. თავისუფლად მოძრავსა ჰნიშნავს.

ამგვარად, საფიქრებელია, რომ „ჯიჯლაყა“, ანუ „ჯიჯილაყა“ ლაყე ანუ ლაღე ძირის მქონებელ მცენარეს უნდა ჰნიშნავდეს. მხალის ამ სახელის ასეთ მნიშვნელობას მისი აღმ. საქართველოში დაცული და უკვე ს. ორბე-ლიანისაგან აღბექდილი სახელი „თვითმოძრავა“-ც კარგად უდგება და ადასტურებს. ამ სახელს ხალხი ეხლაც ჰხმარობს, მაგ. კახეთში, სადაც ამავე მხალს გარეთ და შიგნით კახეთში, კახელ სტუდენტთა ცნობით, რომელთაც ამის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ, „თათრული მხალი“-ც ეწოდება. გამოდის, რომ ამ მცენარეს მყარად ჩამჯდარის მაგიერ, ლაღი ძირი უნდა ჰქონდეს და მ. გოგსაძისა და სხვების ცნობითაც ჯიჯლაყას მართლაც წვრილი ფესვები ჰქონია.

§ 3. ჯიჯლაყა უცხოეთში და მისი ღირებულება.

Amarantus Blitum L. გერმანიაშიც ველური მხალია და der Melden-Amarant, ანუ Fuchsschwanz-ი ეწოდება. მას ისპანახის მსგავსად სჭამენ და მუქი წითელი ფერის თესლი აქვს. ამას გარდა, ჯიჯლაყას ჩინეთითგან მოტა-

ნილი გაშინაურებული ჯიშიც არის ევროპაში გავრცელებული, რომელსაც Amarantus oleraceus-ი ეწოდება. გერმანელები მას der Ostindische, ანდა Gemüseamarant-ს, აგრეთვე Chinesischer Spinat-ს, ე. ი. ჩინურ ისპანახს ეძახიან, ფრანგებიც ასევე Amarante de Chine-ს უწოდებენ. არსებობს კიდევ ალმოს. ინდოეთითგან მოტანილი ჯიში Amarantus Mirza და ჩინეთითგან Amaranthus Hantsi Shangaï-ს ჯიშიც.

ბოტანიკოს-აგრონომების საქმეა გამოარკვიონ, **ჯიჯილაჟა**, ანუ **თვითმავალა** და შიგნით-გარე კახეთში მიღებული სახელი „**თათრული მხალი**“ სრული სინონიმებია, თუ უკანასკნელი სახელი ამ მცენარის განსაკუთრებული სახეობაა, ეგების მონღოლ-თათრების დროს ჩინეთით შემოტანილი Amarantus oleraceus-ია, ანდა ინდოეთის მსგავსი ჯიშია, Amarantus Mirza-ს რომ ეძახიან.

Vilmorin-Andrieux ამ მხალს ძალიან აქებს და **ისპანახის მსგავსი ღირებულების საჭმელად მიაჩნია**, ფიქრობს, რომ მის კულტურას ყურადღება უნდა მიექცეს მით უმეტეს, რომ მისი მოყვანა ძალიან ადვილიაო (I. Becker Gemüsebau 278 და Vilmorin—Andieux Les plantes potagères 5).

თავი მეოთხე. მოლოქი, ბალბა, ბოდერია.

§. 1. ცნობები მათ შესახებ და ბოტანიკური რაობა.

„**მოლოქი**“ დაბადების ქართ. თარგმანში გვხვდება (იობისი 24_{1}): „დაჭნა ვითარცა მოლოქი სიცხესა შინა“-ო. ს. ორბელიანს „**მოლოქი**“-ც აქვს მოყვანილი და თანაც განმარტებული აქვს: „მალოქი ბალბა“ არის, „მოლოქი, კორკოტანა“-ო (ლექსიკ.). „**კორკოტანა ბალბა**“-ო (იქვე). თარგმანების მიხედვით „მოლოქი“=ἡ μολόχη-ს ბერძ. „ჰე მოლოქე“-ს, და სომხ. „ბანჯარ“-ს *բանջար*-ს.

„**ბალბა**“ „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის ქართ. თარგმანში გვხვდება. იქ იხსენიება „**ბალბაისა წყალი**“ (ხელთნ. გვ. 124).

უკვე აკად. გილდენშტედტს აღნიშნული ჰქონდა, რომ ქართული „ბალბა“ („Balb“ sic!) ლათინ. Malva erecta-ს უდრის (Reisen I, 423).

შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ „მოლოქი“ ქართულში შედარებით გვიანი, დაბადების თარგმანის წყალობით, შემოსული, ამასთანავე მხოლოდ მწიგნობრული სიტყვა იყოს. მაგრამ ამ აზრს საეჭვოდ ის გარემოება ჰხდის, **რომ ეს სიტყვა „მოლოქი“ ჰანურშიც იხმარება** (ჰ. გ.: ПРОСКУРНЯК).

რ. ერისთავს ს. ორბელიანის ზემომოყვანილი ცნობა მთლიანად გამეორებული აქვს და თანაც დამატებულია, რომ „**მოლოქი**“ **იმერეთსა და გურიაში ეხლაც დაცული ყოფილა**. რაკი **მოლოქი** დასავ. საქართველოში ეხლაც ცნობილი სიტყვაა და თანამედროვე ჰანურსაც დაცული ჰქონია, ცხადი ხდება, რომ ეს სახელი **მწიგნობრული სიტყვა არ არის, არამედ ძველ დროსაც გავრცელებული უნდა ყოფილიყო.**

მეგრულში ამ მცენარის სახელად რ. ერისთავს „**ბოდერია**“ აქვს დასახელებული.

ბალბა, კორკოტანა, მოლოქი ⅆ ბოდერია რ. ე რ ი ს თ ა ვ ს ა ც ბოტანიკურად Malva rotundifolia L.-დ, რუს. проскурняк-ად მიაჩნია (ბოტ. ლექსიკ. გვ. 6, § 84). ი ო ს. ყ ი ფ შ ი ძ ე ს ბოდერიას გარდა მეგრულ სახელად „ბოდორია"-ც აქვს აღნიშნული (მ. გ.). მოლოქისა და ბალბას გარდა, ა დ. რ ო ლ ლ ო ვ ს „ჩიტის პური" და „ტუხტი"-ც აქვს ამ მცენარის ქართ. სახელად მოყვანილი, რომელთაგან უკანასკნელი იმერეთში იხმარებაო (ДРК 307). რ. ე რ ი ს თ ა ვ ს-კი ტუხტი Althea officinalis L.-დ აქვს განსაზღვრული, ხოლო ჩიტის-პურა Malva borealis Wal.-იაო (ბოტ. ლექსიკ. 72, § 1004).

§ 2. მოლოქისა და ბალბის ეტიმოლოგია და სადაურობის საკითხი.

ბერძნული „მოლოქე" და ჩვეულებრივი „მალაქე" და „მოლაქე"-ს ისევე, როგორც ლათინური malva-ს ეტიმოლოგია და სადაურობის საკითხი საბოლოოდ გამორკვეული არ არის. ფიქრობენ რომ ამ მცენარის ბერძნულ სახელს უნდა ბერძნულ ჩვილისა და ნაზის აღმნიშვნელ $\mu\alpha\lambda\alpha\kappa\acute{o}\varsigma$-თან ჰქონდეს კავშირი, ამ მხალის ნაზი თვისების გამო. ლათინურ malva-ს მონათესავე ორიოდე სიტყვასაც ასახელებენ. მაგრამ E m i l e B o i s a c q ფიქრობს, რომ შესაძლებელია მალაქე **ბერძნული სიტყვა არც იყოს, არამედ ხმელთაშუა ზღვის ბერძენთ-უწინარესი მოსახლეობის ენითგან ნასესხებ სახელთან გვქონდეს საქმე, რომლის ანარეკლი ებრაულშიც-კი მოიპოვებაო** (იობ. 30_4: malluah). ამავე ავტორს S o l m s e n-ისგან აღნიშნული ამავე მცენარის ბერძნული სახელი $\mu\acute{\alpha}\lambda\beta\alpha\xi$, ანუ $\mu\acute{\alpha}\lambda\beta\alpha\kappa o\nu$ „მალბაქს", ანუ „მალბაკონ" მეტად საეჭვოდ მიაჩნია (იხ. Diction. étym. de la langue grecque, 604 და A l o i s W a l d e-ს Lateinisches etymol. Wörterbuch. 2. Aufl., 458).

თუ ქართული „მოლოქი" და ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა გ ა ნ რომელიღაც წყაროთაგან ამოღებული „მოლოქი" ბერძნულში დაცულს ამ მცენარის სახელებს იმდენად გასაოცრად მიაგვანან, რომ მწიგნობრული გზით, დაბადების თარგმანის წყალობით, შეთვისებული სიტყვის შთაბეჭდილებას ახდენენ, „მოლოქი"-ს ქანურშიც აქამდე არსებობა ამ შთაბეჭდილებას, როგორც აღნიშნული გვქონდა, აქარწყლებს და მის მწიგნობრულობის მოსაზრებასაც საეჭვოდ ჰხდის მით უმეტეს, რომ თანამედროვე საქართველოშიც „მოლოქი" ამერეთში-კი არა, როგორც ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო, არამედ სწორედ ლიხთ-იმერეთში, იმერულსა და გურულშია დაცული.

ანგარიში იმ საგულისხმო გარემოებასაც უნდა გაეწიოს, რომ ამ სიტყვას ქართულშიც ისეთი თვისტომნი გააჩნია, როგორიცაა მაგ. „მოლი", რომელიც „**ახალი ბალახი**"-ს, ე. ი. ნაზი მცენარეულობის აღმნიშვნელია (ს ა ბ ა ლექსიკ.) და ასე გასაოცრად მიაგავს რბილისა და დრეკადის აღმნიშვნელს ლათინურ mollis „მოლლის"-ს, ინდოევროპულ ენებში მრავალრიცხოვანი მონათესავეობით დაკავშირებულს (Al. W a l d e Latein. etym. Wörterb. 490).

მეორე მხრით საგულისხმოა, რომ **ამავე მხლის მეორე ხახელი „ბალბა" ლათინურ valva-ს, „მალვა"-საც მიაგავს და უფრო მეტად-კი** B o i s a c q-ისაგან საეჭვოდ მიჩნეულ ბერძნულ „მალბაქს"-სა და „ბალბაკონ"-ს, მეტადრე, თუ გავიხსენებთ, რომ ბალბას გარდა „ბალბალუკა"-ც იხმარება (ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ლექსიკ. და რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ბოტ. ლექსიკ. გვ. 6, § 85).

ქართული **„ბალბა“**-ს, ბერძნ. **„მალბაქს“**-ისა და ლათინ. **„მალვა“**-ს ნათესაობის უარყოფა ძნელია, მაგრამ სანამ ამ სიტყვის დამაკმაყოფილებელი ეტიმოლოგია არ არსებობს, მათ სადაურობაზე მსჯელობა ნააჩრევი იქნებოდა. ამიტომ მცენარეთა კულტურის ამ საინტერესო საკითხის საბოლოვო დასკვნა მომავლისათვის უნდა გადაიდოს.

§ 2. ამ მხალის შედარებით ნაკლები მნიშვნელობა უცხოეთისა და საქართველოსთვის.

მოლოქისა და ბალბის შესახებ ცნობები მეტის-მეტად ცოტაა. პლინიუს მცირესაც ამ მხალზე ბევრი არაფერი აქვს ნათქვამი. მაინც მის სიტყვებითგან ირკვევა, რომ საბერძნეთსაცა და იტალიაშიც ორნაირი ბალბა, ანუ მოლოქი ყოფილა: შინაური და გარეული (malva . . . sativa et silvestris). ბერძნები თურმე დიდ-ფოთლიან ბალბას **„მალოპე“**-ს (malopen vocant), მეორე ჯიშს-კი **„მალაქე“**-ს უწოდებდენ (Natur. hist. XX, 84).

რომაელი ბუნებისმეტყველი თავის მკითხველს ბალბისა და მოლოქის მხოლოდ მრავალგვარ სამკურნალო თვისებებზე მოუთრობს. მართალია, მას ზოგადად ნათქვამი აქვს, რომ ბალბას ძალიან აქებენო, მაგრამ არსად შემდეგში მისი კვებითი ღირებულება გამომჟღავნებული არა აქვს. პირიქით, მას გაკვრით მოყვანილი აქვს ერთი ავტორის აზრი, რომელიც უარყოფითი ყოფილა. Sextius Niger-ი თურმე ბალბასაცა და მოლოქსაც სტომაქისთვის ურგებ საჭმელად სთვლიდა („stomacho inutiles Sextius Niger dicit.“ Natur. hist. XX, § 4). ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ მხალს საბერძნეთსა და იტალიაში უმთავრესად მკურნალობაში ხმარობდენ.

საქართველოში ბალბას თუმცა სჭამდენ და სჭამენ ეხლაც, მაგრამ მხოლოდ ველურს, მის მოყვანას-კი არავინ მისდევს. ამითვე აიხსნება, რომ ბალბაზე და მოლოქზე ასე ცოტაა ცნობები.

ად. როლლოვსაც ბევრი არაფერი აქვს. მისი სიტყვით Malva L. და Malva Aegyptia ბალბა თითქოს მხოლოდ ამიერკავკასიის აღმ. ნაწილის ველური მცენარე იყოს. მის ღეროებისგან ვითომც ქერელს (волокно) აკეთებდენ, ფოთოლს-კი სჭამენო (ДРК 308).

Malva borealis Wallm., ანუ **ჩიტის-პურა** კავკასიაში მინდვრად აქა-იქ 5000 ფ-მდე გვხვდებაო. ვითომც მის ღეროსგანაც ქერელს ამზადებენ. მის ნახარშს იმერეთში ყელის ავადმყოფობის დროს ხმარობენო (იქვე).

ხოლო Malva neglecta Wallr. მთელ კავკასიაში 6000-მდეა გავრცელებული. ადგილობრივი მკვიდრნი (სადაურნი?) მის თესლს სჭამენო. Malva silvestris L. ტყის ბალბა იმიერ-ამიერ კავკასიაშია გავრცელებული. ადგილობრივი მკვიდრნი (სადაურნი?) ბალბის რძითა და ფქვილით შემზადებულ ფაფას აკეთებენ მუცლის გვრემის დროს მუცელზე შემოსადებადო. ნორჩ ფოთლებს კი სჭამენო (იქვე 308—309).

დასასრულ, ბალბის, ანუ მოლოქის მეგრულში დაცული სახელის **„ბოდერია“**-სა, ანუ **„ბოდორია“**-ზეც. თუ ამ მცენარის პირველი ორი სახელის უცხოურობის საკითხი, როგორც დავრწმუნდით, ყოველთვის შესაძლებელია წამოყენებული და დასაბუთებული იქმნეს, **ბოდერია და ბოდორია უფრო ადგი-**

ლობრივად მოეჩვენება ა ა იანს. ამასთანავე, საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა წინათ ამერეთშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამას გეოგრაფიული სახელი „ბᲚᲓᲚᲠᲜᲐ“ გვაფიქრებინებს, რომელიც შესაძლებელია ამავე მცენარის სახელისაგან იყოს წარმომდგარი.

თავი მეხუთე. კატკატო, მსუქანა, დანდური, უკვდავა.

§ 1. ცნობები ამ მხალის შესახებ და მისი რაობა.

აღსანიშნავია, რომ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს „დანდური“ ლექსიკონში არ მოიპოვება, სამაგიეროდ შეტანილი აქვს „მსუქანა“, მაგრამ მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნითურთ, განუმარტავად. არც „ძონა-ძონა“ აქვს შეტანილი, რომელიც რ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს ცნობით დანდურისა და მსუქანას სინონიმს წარმოადგენს.

სდუმან დანდურზე სხვებიც, მათ შორის ვ ა ხ უ შ ტ ი ც ა და გ ჱ ლ დ ე ნ - შ ტ ე დ ტ ი ც, რომელთაც ჩვეულებრივ სხვებზე მეტი ცნობები აქვთ ხოლმე დაცული.

ხ ო ჯ ა - ყ ო ფ ი ლ ს-კი „სააქიმო წიგნის“ თარგმანში არა ერთხელ აქვს დასახელებული „კატკატოჲ“ (იხ. ხელთნ. გვ. 119, 120, 121 და 145). „მწვანილთა-თანა ხავარტი და კატკატოი“ ჰამოსო (გვ. 145). ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს განმარტებული აქვს: „კატკატო შინაური მხუქანა“ არისო (ლესქიკ.), ხოლო გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ი ს ცნობით, რომელსაც ამის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ, „კატკატო თუშეთში ეხლაც იხმარება და ბალახს ეწოდება, რომელსაც მხალად ხმარობენ“-ო.

„სააქიმო წიგნის“ ტერმინთა განმარტებაში ნათქვამია, რომ „კატკატო უკვდავაა“ არის (იხ. Опис. I, 682). მსუქანა, დანდური და კატკატოი Portulaceae, ანუ დანდურნაირთა ოჯახს ეკუთვნის, რომელიც ხორციან ფოთლებიანი ბალახ-ბუჩქებისაგან შედგება (ზ. ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი ბოტანიკა II, 295).

§ 2. ამ მხალის სხვადასხვა სახელის ხადაურობა და აღმნიშვნელობა.

ამგვარად, უკვე ძველ ქართულ მწერლობაში ამ მხალის შემდეგი სახელები მოგვეპოვება: კატკატოჲ და მსუქანა, შემდეგ ემატება უკვდავა. საგულისხმოა, რომ დანდური არც ს ა ბ ა ს ა აქვს, არც სააქიმო წიგნის ტერმინების განმარტებაშია ნახმარი. ამიტომ იბადება საკითხი, დანდური უცხო სიტყვა ხომ არ არის.

„დანდური“ სომხურშიც იხმარება, მაგრამ მხოლოდ ახალში. *դանդռնիկ* „დანდრნიკ“, რომელიც შუშის დიალექტში ერთი ველური საჭმელი ბალახის სახელიაო და *դանդռնիկի ծաղիկ* „დანდრნიკ წალიკ“, რომელიც ერევნის დიალექტებში მოიპოვება და ბალის ერთი ყვავილის სახელიაო (*Հր. Աճառեան Հ. գաւառ. բառարան*, გვ. 266). ამნაირად, დანდურს სომხურში უფრო ხანმოკლე წარსული უჩანს და ამ სიტყვის სადაურობის გამოსარკვევად მხოლოდ

იმ მხრივ შესაძლებელია გამოყენებული იყოს, რამდენადაც დანდურის სახელი შუშის დიალექტშიც არსებობას ამჟღავნებს.

არ უდგება „ᲓᲐᲜᲓᲣᲠᲘ“ ამ მხალის არც სპარსულ სახელს „ᲮᲝᲚᲫᲐ-ს, ჰინდუსტანურ „ხურძა“-ს და არაბულ „კურფა“-საც (იხ. I. Becker-ის Gemüsebau 279). ამნაირად, დანდურს თვისტომნი არც ქართველთა მახლობელ და შორეულ მეზობლების ენაში მოეპოვება, ამიტომ ამ სახელის სადაურობის საკითხი ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება,

რ. ერისთავის ცნობით, ᲓᲐᲜᲓᲣᲠᲘ, ᲙᲐᲢᲐᲜᲝ, ᲙᲐᲢᲙᲐᲢᲝ, და ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲐ ამ მხალის ალმოს. საქართველოში მიღებული სახელებია,—იმერეთში მის სახელადვე ᲥᲔᲠᲔᲢᲐ-ა გავრცელებული, ხოლო „ᲥᲝᲜᲐ-ᲥᲝᲜᲐ“-სა და „ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲐ“-ს გურიაში ეძახიანო. ყველა ზემოჩამოთვლილი სახელები მასაც Portulaca oleracea L.-სა და რუს. портулак-ის შესატყვისად მიაჩნია (ბოტ. ლექსიკ. 14, § 205).

ად. როლლოვს, რ. ერისთავისაგან მოყვანილ სახელებს გარდა, დანდურის სახელად ᲙᲐᲞᲝᲔᲢᲘ-ც აქვს აღნიშნული, ხოლო მეგრულ სახელად ᲥᲔᲠᲔᲢᲐ-სთან ერთად „ᲙᲐᲠᲔᲢᲐ“-ც სწერია (ДРК 392). რ. ერისთავის განსაზღვრით-კი ᲥᲔᲠᲔᲢᲐ, ᲙᲐᲞᲝᲔᲢᲘ, ანუ ᲙᲐᲞᲣᲔᲢᲘ უნდა Agropyrum repens Gertn. Sin. Triticum repens L. Grainen იყოს (ბოტ. ლექსიკ. 26—27, § 398).

ს. ორბელიანის იმ განმარტებისგან, რომ „ᲙᲐᲢᲙᲐᲢᲝ“ მხოლოდ „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲐ“-ს აღმნიშვნელი სახელია, ცხადი ხდება, რომ „ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲐ“ ამ მხალის ზოგადი სახელწოდება ყოფილა და რომ ამ მცენარის როგორც გარეული, ანუ ველური სახეობა ყოფილა, ისევე შინაურიც, რომელსაც განსაკუთრებული სახელიც-კი, „ᲙᲐᲢᲙᲐᲢᲝ“ ჰრქმევია ქართულად.

საქართველოში, ეტყობა, მხალად შინაურ მსუქანასაც და გარეულს, ანუ ველურსაც ხმარობდენ. რაკი „ᲙᲐᲢᲙᲐᲢᲝ“ შინაური მსუქანა, ანუ დანდური ყოფილა, მაშასადამე, რ. ერისთავის ზემომოყვანილი ბოტანიკური განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც ეს სახელი თითქოს Portulaca oleracea-ს სინონიმი უნდა იყოს, მცდარია: „ᲙᲐᲢᲙᲐᲢᲝ“ Portulaca sativa Haworth ყოფილა.

იმ მრავალრიცხოვან სახელთაგან, რომელნიც ამ მხალს გააჩნია აწჟამად და ნაწილობრივ წინათაც ჰქონდა, „ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲐ“ ამ მცენარის ხორციანი ფოთოლღეროს დამახასიათებელი სახელია: ასეთივე თვისების აღმნიშვნელია, რასაკვირველია, „ᲥᲝᲜᲐ-ᲥᲝᲜᲐ“-ც.

მეტად საგულისხმოა მსუქანას სახელი „ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲐ“, რომელიც ამ მცენარის სიცოცხლის-უნარიანობის არაჩვეულებრივი ხანგრძლივობის დამახასიათებელი უნდა იყოს. რაკი თვით მცენარეს ასეთი თვისება არ ემჩნევა, ეგების „უკვდავა“-ს სახელი მისი თესლის იმ გასაოცარი გამძლეობის გამო ეწოდა, რომელიც მსუქანას ჰქონია? W. Darlington-ის დაკვირვებით მსუქანას თესლის 2%-ს 40 წლის შემდგომაც გაღივების უნარიანობა შენარჩუნებული ჰქონია (I. Becker Gemüsebau 281). ად. როლლოვს დანდურის ერთ-ერთ სომხურ სახელადაც „ᲐᲜᲛᲔᲠᲣᲙ“-ი აქვს აღნიშნული (ДРК 392), რომელიც სომხურად უკვდავასავე ჰნიშნავს. სამწუხაროდ, წყარო, საითგანაც ამოღებულია ეს სახელი, დასახელებული არ არის. ამიტომ გამოურკვეველია, თუ რომელ სომხ. დიალექტში მოიპოვება ეს სიტყვა? არც ამატუნი-სა და არც აჭარიანს ᲐᲜᲛᲔᲠᲣᲙ-ი თავიანთ სომხ. დიალექტ. ლექსიკონებში არა აქვთ შეტანილი.

§ 3. მსუქანას, ანუ დანდურის სამშობლო და კულტურა უცხოეთში.

ბოტანიკოს-აგრონომები ფიქრობენ, რომ მსუქანას, ანუ დანდურის სამშობლოდ უნდა ინდოეთითგან მოყოლებული სამხრეთ რუსეთამდე და თვით საბერძნეთამდისაც გადაჭიმული არე იქმნეს ცნობილი (I. Becker, Cemüsebau 279). Vilmorin-ს ამ მხალის სამშობლოდ ინდოეთი მიაჩნდა, სხვაგან მას მერმინდელ შენაძენად სთვლიდა (Les plantes potagères 4-iéme éd., გვ. 615). ად. როლლოვის სიტყვით მსუქანა, ანუ დანდური მთელ კავკასიაშიცაა ველურ მცენარედ გავრცელებული (ДРК 392).

ინდოეთში ეს მცენარე ჰიმალაიის მთებში 5000 ფუტის სიმაღლემდე ველურად იზრდება.

ფიქრობენ, რომ მსუქანას მხალად უკვე ძველ ეგვიპტეშივე ხმარობდენ, საიდაც მას სახელად makhmakhai ჰრქმევია.

მსუქანა, ანუ დანდური ნაბატეველთა ქვეყანაშიც ყოფილა მხალად და იბნ ალავვამ-სა და იბნ ბაითარ-საც თავიანთ ნაშრომში ეს მცენარე დასახელებული აქვთ (I. Becker Cemüsebau 279).

პირიქით, დასავლეთ ევროპაში დანდური შედარებით გვიან ჩნდება. პლინიუს მცირეს ამ მცენარის ხსენება არ მოეპოება. შემდეგშიც მსუქანას კულტურაზე არც კარლოს დიდსა და არც Hildegardis-ს არაფერი აქვთ ნათქვამი. პირველად როდის იწყება ამ მხალის მოყვანა დას. ევროპაში, I. Becker-ს არა აქვს აღნიშნული (Cemüsebau 279).

ზემომოყვანილი მიმოხილვითგან ადამიანი დარწმუნდება, რომ მსუქანას, ანუ დანდურის შესახებ ცნობები იმდენად მცირეა, რომ მისი კულტურის შესახებ როგორც საქართველოში, ისევე სხვა ქვეყნებშიც ბევრი არაფრის თქმა არ შეიძლება. ად. როლლოვის სიტყვით, ადგილობრივი მკვიდრნი („у туземцев“, სადაურნი?.) დანდურს წამლადაც ჰხმარობენ თურმე ДРК 392).

თავი მეექვსე. სატაცური.

§ 1. ცნობები მის შესახებ და მისი რაობა.

„სატაცური“ ვახუშტს საქართველოში გავრცელებულ საკვებ მხალთა სიაში ჩართული აქვს (აქვე გვ. 141), საბას-კი ეს სიტყვა თავის ლექსიკონში განუმარტავად შეუტანია და მცენარის პირობითი ნიშნის დართვით დაკმაყოფილებულა. აკად. ან. გულდენშტედტიც ადასტურებს სატაცურის გავრცელების გარემოებას და თანაც აღნიშნული აქვს, რომ სატაცური (Asparagus officinalis) მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და ქართველი ხალხი მის ჰამას ძალიან ხალისიანად ეტანებოდა (აქვე გვ. 143) ამავე გერმანელ მეცნიერს აქვს პირველად განსაზღვრული, რომ ქართული „სატაცური“ („Satasuri“) ბოტანიკურად Asparagus officinalis-ია (Reisen I, 429).

არქ. ლამბერტი ამბობს: სამეგრელოში „სატაცური ისე ბლომად იზრდება, რომ ზოგან ზღვის პირი სულ იმითაა დაფარული. მეგრელებს თუმცა სატაცური საჭმელად მოსწონთ, მაგრამ სიზარმაცის გამო ზღვის პირად იმის მოსაკრეფად ცოტანი მიდიან, მხოლოდ ისინი, ვისაც ამისათვის ბატონი აიძუ-

თულის არამცოდნეს უხმარია იგი საუბარში. ნ. მარრს ამ ჯიშზე ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ საჭმელი ჭიშიაო (Дневник ТР VII, 165).

ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣᲡ სახელის თურქული სახელი შავშეთ-კლარჯეთში უკვე წარსული საუკუნის დამლევსვე ყოფილა ამ ჯიშისათვის მიღებული ისე, რომ ს. ტიმოფეევს 1895 წ. დაწერილ თავის ნაშრომში მარტო ᲐᲢ-ᲛᲔᲛᲔ მოეპოვება. მისი ძველი ქართული სახელი ამ ავტორს მოყვანილი არა აქვს. ამავე აგრონომის ცნობით ამ ჯიშს მეორე სახელსაც უწოდებდენ და ᲮᲐᲜᲣᲛ-ᲑᲐᲠᲛᲐᲚ-საც („Ханум-бармаг") ეძახდენ, რაც თურქულად „ქალბატონის თითსა" ჰნიშნავს (СбСвВгВдК IV, 180). ნ. მარრის ცნობით-კი, „ᲤᲐᲠᲛᲐᲮ ᲮᲐᲗᲣᲜ"-ად (რაც „ᲮᲐᲜᲣᲛ-ᲑᲐᲠᲛᲐᲚ"-სვე უდრის) წოდებული სხვილ-მარცვლიანი თეთრი და შავი ყურძნის ჯიშები ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣ-საგან განსხვავებულ ჯიშებს უნდა წარმოადგენდენ (Дневник ТР VII, 165—166).

ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣ, ანუ ატ-მემესი, ს. ტიმოფეევის დახასიათებით, შავი ყურძენია: სხვილი, მოგრძო, სქელ-კანიანი მარცვალი აქვს, რომელსაც სინაზეც და წვენიც აკლია. უმთავრესად საწნილედ იხმარებაო (იქვე). ნ. მარრს-კი საჭმელ ჯიშად აქვს დასახელებული.

3. ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ, რომელიც ს. ტიმოფეევს დაუხასიათებლივ მხოლოდ დასახელებული აქვს, ვითარცა ყურძნის ნაკლებად გავრცელებული საჭმელი ჯიში (СбСвВгВдК IV, 181), ნ. მარრის ცნობით, წითელი ყურძენია საშუალო სიდიდის მარცვლიანი (Дневник ТР VII, 166).

4. ᲯᲚᲔ მხოლოდ ნ. მარრს აქვს ორიოდე სიტყვით დახასიათებული: შავი სალვინე ყურძენი ყოფილა (Дневник ТР. VII, 165). ს. ტიმოფეევს არ მოეპოვება.

5. ᲨᲐᲕᲠᲝᲞᲘ-ც მარტო ნ. მარრსა აქვს ყურძნის შავ ჯიშთა შორის დაუხასიათებლივ დასახელებული (იქვე, VII, 165).

6. ᲮᲐᲤᲔᲠᲐᲕᲘ შავი ყურძენია. მტევანი გრძელი, ვიწრო და წოწოლა, თანაც მეჩხარი აქვს. მისი მარცვალი რგვალი, საკმაოდ თხელ-კანიანი და წვენიანია. წვენი მოწითანოა, ძალიან ტკბილი არა აქვს. მარცვლის კანი და წვენი ღვინის შესაფერადებლად იხმარებოდა (ს. ტიმოფეევი СбСвВгВдК IV, 180 და ნ. მარრი Дневник ТР VII, 165).

7. ᲡᲐᲚᲘᲙᲚᲔᲕᲘ შავია. ეს სახელი მხოლოდ ს. ტიმოფეევს მოეპოვება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ამავე ყურძნის ჯიშის სახელი უნდა იყოს ნ. მარრისაგან ჩაწერილი „ᲡᲘᲠᲙᲚᲔᲕ"-ი, რომელიც ამ ავტორის ცნობითაც შავი, სალვინე ჯიშია (Дневник ТР VII, 165—166). რაკი ᲡᲘᲠᲙᲚᲔᲕ-ი ქართულად არაფერს ჰნიშნავს, „ᲡᲐᲚᲘᲙᲚᲔᲕᲘ"-კი ნამდვილი ქართული აგებულების სახელია, ამიტომ ს. ტიმოფეევის ჩანაწერი ამ ყურძნის უფრო ძველ და უფრო სწორე სახელად უნდა იქმნეს მიჩნეული, სირკლევ-ი კი უკვე გათურქებულობის წყალობით დამახინჯებული ჩანს. ᲡᲐᲚᲘᲙᲚᲔᲕᲘ-ს პირველადი მნიშვნელობის გასაგებად, უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ეს სახელი ისევეა ნაწარმოები, როგორიცაა ყურძნის ჯიშების სამაჭრე, სამარხი, საშჴაპა და მეტადრე საფერავი. თავში მას დანიშნულების, ანუ განკუთვნილობის გამომხატველი ფორმანტი სა უზის. ისევე, როგორც ᲡᲐᲤᲔᲠᲐᲕᲘ ყურძნის ისეთი ჯიშის აღმნიშვნელია, რომელიც უმთავრესად ღვინის შესაფერავად, შესაფერადებლად იყო განკუთვნილი, ᲡᲐᲚᲘᲙᲚᲔᲕᲘც თავდაპირველად ყურძნის ისეთი ჯიშის აღმნიშვნელი

უნდა ყოფილიყო, რომელიც „ლიკლვ-“ისათვის იქმნებოდა განკუთვნილი, მაგრამ ამ სახელის ნამდვილი მნიშვნელობის გაგებას ის გარემოება გვიძნელებს, რომ ფერვა ცალკეულადაც არსებობს, **ლიკლმა**“-კი ცალკეულად ჯერ არსადა ჩანს.

8. **ღრჯოხული შავია.** **მტევანი** გრძელი, კეჟერა აქვს. მისი **მარცვალი** საშუალო სიდიდისაა, სქელ-კანიანია და წვენიანი, მაგრამ **მაინც-და-მაინც ტკბილი არ არის. წვენი** თეთრი აქვს. **საჭმელ ჯიშად** ითვლებოდა (ს. ტიმოფეევი СбСвВгВдК IV, 180 და ნ. მარრი Дневник ТР VII 165).

9. **ხალთური შავი** ყურძენია, ნაცრისფრად-გადაკრული. **მტევანი პატარა** და შეუმჭიდროებელი აქვს. **მარცვალი** სხვილი და რგვალი, კან-მაგარი ასხია. **ხორციანია**, მაგრამ მაინც-და-მაინც არც **წვენიანია** და არც **ტკბილი.** წვენს ოდნავ მოწითანო ფერი გადაჰკრავს. **სალვინე ჯიშია** (ს. ტიმოფეევი СбСвВгВдК IV, 180 და ნ. მარრი Дневник ТР VII, 165).

10. **ახალაქ-ი, ანუ ახალექ-ი ახელექ-ი,** ს. ტიმოფეევის სიტყვით, **მუქი წითელია,** ნ. მარრით—**მოშავო, ჭროლა, ყურძენია.** დიდი, **წოწოლა,** შემჭიდროებული **მტევანი** აქვს. **სხვილ-მარცვლიანია,** ოდნავ მოგრძოა და სქელ-კანიანი, **ძალიან ტკბილი არ არის. საჭმელადაც ხმარობენ და სალვინედაც,** მაგრამ **ს.** ტიმოფეევის ცნობით, **გამძლე ყურძენი არ არის:** ადვილად ლპება. ნ. მარრის სიტყვით, **ს. ს. წყალთეთრსა** და **ბერდშიც ხარობს,** მაგრამ **საუკეთესოდ ს. გვერდისა** და **ჯმერკისა ითვლება** თურმე (СбСвВгВдК IV, 180 და Дневник ТР VII, 165—166).

11. **ჯინეში,** რომელიც მუქი წითელი ყურძენია და რომლის თვისებების აღწერილობა გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა დახასიათებაშია მოქცეული (იხ. აქვე გვ. 464), **საფერავთან ერთად უმთავრესად მურღულის ხეობაშია გაბატონებული** (ს. ტიმოფეევი СбСвВгВдК IV, 181).

12. დასასრულ, **ფუნდუხ-უზუმი**-სა და „**დევრიშ-ალი-ს**“ შესახებაც. პირველი ნ. მარრს მოეპოვება. თურქულად ეს სახელი თხილა-ყურძენსა ჰნიშნავს. ამ ჯიშის ფერი ნ. მარრს დასახელებული არა აქვს. თვით **ყურძენი წვრილი და რგვალ-მარცვლიანია, ძალიან ტკბილია. ადრეულ ჯიშად ითვლება** (Дневник ТР VII, 165—166). ს. ტიმოფეევს ამ ჯიშის ხსენება არა აქვს.

დევრიშ-ალი ალი დერვიშსა ჰნიშნავს. ნ. მარრს არ მოეპოვება. ს. ტიმოფეევსაც დაუხასიათებლივ შავშეთ-კლარჯეთში იშვიათ საჭმელ ყურძნის ჯიშთა შორის აქვს მხოლოდ დასახელებული (СбСвВгВдК IV, 181).

§ 13. ჭანეთის ერთი ყურძნის ჯიში.

ჭანეთის ყურძნის ჯიშების არც აღწერილობა და არც სახელები, ერთის გარდა, არ მოგვეპოვება. ეს გარემოება მით უფრო სამწუხარო, რომ შესაძლებელია ამით ჩვენ არა ერთი გამოურკვეველი სახელისა და მნიშვნელოვანი ზოგადი საკითხის გაგებისა და გაშუქების ერთი საშუალებათაგანი მოგვესპო. ეს ქვემომოყვანილითგანაც ცხადი შეიქმნება.

ჭანურში არსებობს ყურძნის **ხსვილ-მარცვლიანი ჯიში,** რომელსაც სახელად „**თოლი-ჩხუ ურძენი**“ (ვიწეში) და „**თოლი-ჩხუშ ყურძენი**“ ეწოდება **ხოფურად.** ნ. მარრი ამ სახელის „მჩხუ“-ს სხვილის აღმნიშვნელად სთვლის და

სხეილ-თვალა ყურძნად ჰგულისხმობს (ქ. გ. 213), მაგრამ იბადება საკითხი, აქ ხომ „მჩხუ“ იმასვე არ ჰნიშნავს, რასაც თანამედროვე მეგრულში, სადაც ჩხუ ძროხის მნიშვნელობით იხმარება. ერთი სიტყვით, აქ ხომ „ხარისთვალა ყურძენის“-ს შესატყვისი ჭანური სახელი არ არის დაცული? ამ მოსაზრებას დამაჯერებლად ის გარემოებაც ჰხდის, რომ ამ ჯიშის სახელში მჩხუ ხოფურში ნათესაობითი ბრუნვით („მჩხუშ“) არის დაცული, რაც იმის მაუწყებელია, რომ „მჩხუშ“-ი თვალის თვისებისა-კი არა, არამედ მიკუთვნილების გამომხატველი უნდა იყოს და მართლაც ხარის,—ან ძროხის,—თვალას უნდა ჰნიშნავდეს. აქ სიტყვათა ისეთივე წარმოების წესი გვაქვს დაცული, როგორიც „მამასახლის“-სა, „დიასახლის“-სა და სხვა მსგავს სიტყვებშია შერჩენილი.

აჭარაში გავრცელებული ყურძნის ჯიშის შემომოყვანილი სახელი „ჩხუში“-ც (იხ. აქვე გვ. 465) უეჭველია, იმავე ყურძნის სახელი უნდა იყოს, რომელსაც ჭანეთში „თოლი-მჩხუშ ყურძენი“ ანდა „თოლი-მჩხუ ურძენი“ ჰქვიან, რომელიც იქ სხვილ-მარცვლიანი ჯიშის სახელია. აჭარული სახელი თუმცა თავმოკვეცილი ჩანს და თავკიდური თოლი აკლია, მაგრამ სამაგიეროდ იმ მხრივ არის ძვირფასი, რომ ამ ჯიშის სახელის მეორე ნაწილი სრულად და სისწორით (ჩხუში) აქვს დაცული.

თავი XIV. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების საერთო რიცხვი, მათი კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები და შეგროვებული ცნობების ეკონომიური ისტორიისათვის გამოყენების შესაძლებლობის პირობები.

თანამედროვე საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფიული აღწერის შემდგომ, უნდა დაგროვილი მასალის წინასწარ დასახული მიზნისათვის გამოყენებას შევუდგეთ. როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე გვ. 393) ყურძნის ჯიშების აღწერილობა ეკონომიური ისტორიისათვის გვჭირდება, ამიტომ თავმოყრილი ცნობებისდა მიხედვით უნდა ვეცადოთ გამოვარკვიოთ: 1. ჩანს, თუ არა, ვაზ-ყურძნის დაკვირვების რაიმე უნარი, ანუ რამდენად მაღალი ყოფილა ამპელოგრაფიული, ვაზ-ყურძნის აღწერილობითი ცოდნის დონე?,—2. რამდენად ფართოდ არის და იყო თვითეული ამ ჯიშთაგანი საქართველოში გავრცელებული, რომ ამისდა მიხედვით თვითეული მათგანის საქართველოს მეურნეობისათვის შედარებითი ღირებულება ცხადი შეიქმნეს,—ამას გარდა უნდა 3. შემოქმედებითი მევენახეობის ძველი საქართველოს ცენტრების გამორკვევაც ვცადოთ და დასასრულ, 4. თვითეული ამ ჯიშთაგანის ხნიერების შეძლების გვარად განსაზღვრაც მოვახერხოთ, რომ ამის წყალობით იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაც შევძლოთ, თუ რომელი ვაზ-ყურძნის ჯიშების მქონებელი ყოფილა ქართველი მევენახე უძველეს ხანაში და რადარა ჯიშები შესძენია მას დროთა განმავლობაში, საითგან სახელდობრ და სადაური? იმ პირობებში, რომელშიც საქ. ეკონომიური ისტორიის მკვლევარი, ბევრ სხვებსავით, ასეთი საკითხების გადასაწყვეტად საჭირო ძველი წერილობითი ცნობების მეტის-მეტი სიმცირისა და ხშირად უქონლობის გამოც კი იმყოფება, შესაძლებელია ადამიანს ასეთი რთული საკითხების გამორკვევის შესაძლებლობის ეჭვი დაებადოს. რა თქმა-

უნდა პირდაპირი წერილობითი ცნობების უქონლობის სრული ანაზღაურება შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული წყაროების გამოყენებითა და შესაფერისი მეთოდების საშუალებით დანაკლისის შევსებაცა და საკმაოდ მტკიცე შედეგის მოპოვებაც შეიძლება. მართალია ამისთვის გრძელი გზა და ბევრი მუშაობაა საჭირო, მაგრამ, მოპოვებული შედეგის ეკონომიური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის გამო, ასეთი დროისა და შრომის შეწირვა მაინც ღირს.

თუ მკვლევარი ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელს ჩაუკვირდება, უეჭველია დარწმუნდება, რომ თვითეული მათგანი გარკვეული შინაარსის მქონებელია და ამის გამორკვევა არა ერთი ისეთი გარემოების გათვალისწინების საშუალებას აძლევს მეცნიერს, რომელთა შესახებ ჩვეულებრივ წერილობითი წყაროები იშვიათად თუ შეიცავენ ხოლმე რაიმე ცნობებს. მარტო ამიტომაც, სხვა ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, ვაზ-ყურძნის ჯიშებისა და სახესხვაობათა სახელების შესწავლა და ანალიზი აუცილებლად საჭირო არის. მაგრამ ამ სახელების შესწავლისათვის რაიმე სახელმძღვანელო აზრი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ მათ სიმრავლეში გარკვევა შესძლოს. წინა თავებში მოყვანილი აღწერილობა-კი უეჭველია მკითხველს დაარწმუნებდა, რომ საქართველოში ვაზ-ყურძნის ჯიშები მართლაც მრავალია.

სახელდობრ, ზემომოყვანილ მიმოხილვათაგან ჩანს, რომ ჰერეთში სულ 8 შავი და თეთრი ჯიშია.—კახეთში 17 შავი, 36 თეთრი და 13-ის ფერის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, სულ-კი 66 სახელწოდებაა. ქვემო ქართლში, ანუ ბორჩალოში 2.—შიდა ქართლში—18 შავი და 20 თეთრია, ანუ სულ 38-ია. მესხეთში 3 შავი და 2 თეთრია, სულ 5-ია.—იმერეთში 20 შავი და 22 თეთრია, სულ 42-ია.—რაჭაში 25 შავი და 34 თეთრია, სულ 59-ია.—ლეჩხუმში 16 შავი და 20 თეთრია, სულ 36-ია.—სამეგრელოში 37 შავი და 16 თეთრია, სულ 53-ია.—გურიაში 41 შავი და 18 თეთრია, სულ 59-ია.—აჭარაში 14 შავი და 12 თეთრია, სულ 26-ია.—შავშეთ-კლარჯეთში 13 შავი და 13 თეთრია, სულ 26-ია.

ამნაირად, საქართველოს ყველა თემებში საერთოდ 420 ყურძნის ჯიშსახესხვაობათა სახელწოდება ყოფილა გადარჩენილი. ამ სიმრავლეში გარკვევა რასაკვირველია ადვილია საქმე არ არის, მით უმეტეს, რომ წინათაც-კი, როდესაც ზემოაღნიშნულზე ჯიშთა გაცილებით ნაკლები რიცხვი იყო ცნობილი, გარკვევას ვერც-კი ბედავდენ.

ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს თავის ნაშრომში მაგ. აღნიშნული ჰქონდა, რომ ყურძნის ჯიშები ჰავისა, ნიადაგისა და მოვლისდა მიხედვით მარტო თავისი შინაგანი თვისებით-კი არა, არამედ გარეგნულადაც საკმაოდ სწრაფად იცვლებიან. ამიტომ, ამიერ კავკასიაში არსებული პირობების დიდი სხვადასხვაობის წყალობით ერთი-და-იგივე ვაზის ძირი სხვადასხვა კუთხეში სულ სხვადასხვა ჯიშის ყურძენს ისხამსო. ამის გამო, თვისების გამოცვლასთან ერთად, მათი სახელიც იცვლება და მრავალი სხვადასხვა სახელი ჩნდებაო (Садоводство в Закавк. крае Свод. МИЭБГКЗК IV 53—54).

ამავე აზრს იგივე ავტორი შემდეგ კვლავ უბრუნდება, სადაც ზოგიერთი მისი მოსაზრების დამადასტურებელი ცნობები აქვს დასახელებული. ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს სიტყვით, ერთი რომელიმე თემის ყურძნის ჯიში სხვაგან გადატანილი ორი-სამი წლის შემდგომ თავისი ნაყოფის შინაგან თვისებასაც იცვლის

ხოლმე და გარეგნულობასაცო. მაგ. კახეთითგან ერევნის გუბერნიაში გადანერგილი საფერავი სამი-ოთხი წლის შემდგომ კახური საფერავის ყველა თვისებებს ჰკარგავსო. ამნაირადვე იცვლება ერევნითგან ტფილისის გუბერნიაში გადანერგილი **ქიშმიში**-სა და **ქეჩი-ემჯალი**-ს (თურქულად „თხის ჯიქანს“ ჰნიშნავს) ჯიშები ისევე, როგორც საზღვარგარეთის ყურძნის ჯიშებიცაო (იქვე, IV 59).

ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი ამას გარდა ამტკიცებდა: ყურძნის ერთიდაიგივე სახელი სხვადასხვა ადგილას სულ სხვადასხვა ჯიშს ეწოდებაო: მაგ. **ასძაარი** შეიხის მაზრაში მოვარდისფერო-თეთრი სხვილკანიანი და ნაკლებ ნაყოფიერი ყურძნის ჯიშის სახელ'ა წარმოადგენს, იგივე **ასძაარი**-კი ერევნის გუბერიაში თეთრი, გამჭვირვალე, გასაოცარი ნაზ-კანიანი და წვენიანი ყურძენია, თანაც ტკბილი და ყოველთვის უხვად მსხმოიარე ჯიშიაო. ამნაირადვე **ხააბის** ანუ **ხახაბის** რაჭასა და არაგვ-ქსნის ხეობებში ერევნის სააბთან საერთო არაფერი აქვთო, რათგან საქართველოში სააბი შავი ყურძენია, სომხეთში-კი წითელი ვარდის ფერისააო (იქვე IV, 59—60).

ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი ზ ე ამიერ კავკასიაში გავრცელებულ მრავალ სახელებს გამაბრუებელი შთაბეჭდილება მოუხდენია და ამ რთულსა და საგულისხმო საკითხის გარკვევას არც-კი ცდილა. ამ ხიძნელის წინაშე ის იმდენად დაბნეულა, რომ ჯიშების მაშინ არსებული აღწერილობისთვისაც-კი ალარავითარი ყურადღება არ მიუქცევია და იმის მაგიერ, რომ სახელებთან ერთად მათი თვისებების აღწერაც დაერთო, მას აღწერილობისთვის თავი დაუნებებია და მხოლოდ სახელების ჩამოთვლით დაკმაყოფილებულა (იქვე IV, 53), რაც თავისადათავადაც მიუტევებელ დანაშაულს წარმოადგენს და მით უმეტეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მევენახეობის სპეციალისტი ფიქრობს, რომ ყურძნის ერთიდაიგივე სახელი მისი ნამდვილი რაობის გამოსარკვევად გამოსადეგი არ არის.

ვაზის ჯიშის თვისებები, რომ ნიადაგისა, ჰავისა და მოვლის პირობების წყალობით შესაძლებელია შეიცვალოს, ეს, როგორც რომაული მევენახეობის ისტორიის მოკლე მიმოხილვის დროს დავრწმუნდით, უკვე რომაელ აგრონომებსა და ბუნებისმეტყველებს ჰქონდათ შემჩნეული. ეს გარემოება არც ჩვენ ხალხს გამოჰპარვია, რომელსაც, როგორც რაჭის ყურძნის ჯიშების აღწერილობაში მოყვანილი ერთი ცნობითგან ჩანს, ამ მოვლენისათვის შესაფერისი და მარჯვე ტერმინი **გადაჯიშება**-კი შეუქმნია. მაგრამ განა ვაზის ამნაირი გადაჯიშების გამო მკვლევარი უნდა სიძნელეს შეუშინდეს და ყურძნის ჯიშებისა და მათი სახელების კლასიფიკაციის მცდელობას უნდა უმწეოდ თავი დაანებოს? როდესაც ძველი რომაელი აგრონომ-ბუნებისმეტყველები იბნეოდენ და ისეთ უკიდურესობას ჰქადაგებდენ, თითქოს, რამდენიც დედამიწაზე ვაზი იყო, იმდენივე ჯიში ყოფილიყოს და ვითომც ამის გამო მათი აღწერა და კლასიფიკაცია გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდეს, ასეთი უმწეობა იმ დროინდელ მკვლევართ ადვილად ეპატიებათ, მით უმეტეს, რომ, როგორც იტალიის მევენახეობის მიმოხილვითგან ცხადი შეიქმნებოდა, რომაელ აგრონომ-ბუნებისმეტყველებს ყურძნის ჯიშების აღწერის დროს, შეუგნებლივ, ერთგვარი საკლასიფიკაციო პრინციპები მაინც ემჩნევათ. მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, ასეთი უმწეობა თანამედროვე მკვლევართ ვერ ეპატიებათ, რათგან ამ ოცზე მეტი საუ-

კუნის განმავლობაში სამეცნიერო კვლევა-ძიების ისეთი მეთოდები შეიქმნა, რომელთა გამოყენება ამ რთულსა და ბუნდოვან საკითხშიც გარკვევის საშუალებას მისცემდათ. სამწუხაროდ არამცთუ ჩვენში, არამედ უცხოეთშიც ამ საკითხებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ და ამის გამო სათანადო მეთოდებით მათი გამორკვევა არავის უცდია.

ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს მტკიცება, თითქოს, ახალ ადგილას სხვაგნებური ვაზის გადაჯიშების შემდგომ, მისი სახელიც იცვლებოდეს, დაუსაბუთებელი მოსაზრებაა, რომელსაც მისგანვე მოყვანილი ფაქტები სააბისა, საფერავისა და სხვა ყურძნის ჯიშებისათვის გადაჯიშებისდა მიუხედავად იმავე თავდაპირველი სახელის შენარჩუნება, ეწინააღმდეგება და არღვევს. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ვაზის გადაჯიშებისა, უფრო-კი ახალი, მანამდე უცნობი, თვისების მოპოვების გამო, ახალი სახელის დარქმევის შესაძლებლობის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ეს უფრო კერძო შემთხვევებია, საზოგადოდ-კი სწორედ ძველი სახელია ხოლმე შენარჩუნებული. ამ ფაქტს ჯიშების სადაურობის გამორკვევისათვის პირველხარისხოვანი, შესაძლებელია ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათგან, როდესაც გადაჯიშების პროცესის შედეგად ვაზს ახალი თვისებები უჩნდება, მის სახელს გარდა, რასაკვირველია, თუ იგი ფერისა, ანუ სიმსხოს დამახასიათებელი არ არის, ამ ჯიშის სადაურობის გამოსარკვევად მეცნიერს სხვა არავითარი კრიტერიუმი არ მოეპოვება.

ზემოაღნიშნული მოსაზრებითაც და არა ერთი სხვა მიზნითაც მკვლევარი უპირველესად უნდა ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელებს ჩაუკვირდეს, მათი მნიშვნელობა გაიგოს. როდესაც მეცნიერს ასეთი წინასწარი სათანადო კვლევა-ძიება გაწეული ექმნება, მაშინ ამ გზით მოპოვებული ცოდნა მას გონების თვალებს აუხელს, მრავალრიცხოვანი სახელების კლასიფიკაციასაც შეაძლებინებს და არა ერთი, საიდუმლოებით მოცული, საკითხის გამორკვევის საშუალებასაც მისცემს.

ამათუიმ ქვეყანაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების მეცნიერული კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა თვალთსაზრისითა და სხვადასხვა პრინციპისდა მიხედვით იყოს შედგენილი, მაგრამ ყოველგვარ ასეთ მუშაობას უნდა ყურძნის ჯიშ-სახეობათა სახელწოდების ანალიზი და მნიშვნელობის ცოდნა უსწრებდეს წინ.

საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების სახელებისა და მათი ამპელოგრაფიული რაობის გამორკვევა, რასაკვირველია, ბოტანიკოს-ამპელოგრაფებისა და მევენახეობის სპეციალისტების მოვალეობაა, მაგრამ, რამდენადაც საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის ისტორიის მკვლევარსაც ძველად გავრცელებული ყურძნის ჯიშების სახელები და მათი ეკონომიური ღირებულება უნდა გამორკვეული ჰქონდეს, იმდენად ბუნებრივია, რომ ამ პრობლემით უნდა ისტორიკოს-ეკონომისტიც იყოს დაინტერესებული.

იმისდა მიუხედავად, რომ ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს ზემოდასახელებული ნაშრომის შემდგომ 43 წელიწადმა განვლო, ამ დიდი, თითქმის ნახევარ საუკუნოვანი, მანძილის განმავლობაშიც ეს საკითხი ისეთსავე უმწეო მდგომარეობაშია, როგორც ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს დროს იყო. უნდა-კი ითქვას, რომ საქმე სრულებით ასე უიმედო

არ იყო მაშინაც, როდესაც ზელინსკი თავის ნაშრომსა სწერდა. იმ მასალების მიხედვითაც, რომელიც თავმოყრილი იყო, მაინც არაერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხის გამორკვევა შეიძლებოდა.

მას შემდგომ ბევრი ახალი ცნობებიც მოემატა, მაგრამ საკითხის შესწავლისათვის აქამომდე ჯერ თავი არავის შეუწუხებია. რაკი სპეციალისტებს ამის გაშუქება არ უცდიათ, საქართველოს ეკონომიური და კულტურული ისტორიისათვის-კი მას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სხვა გზა არ არის, უნდა არსებული წყაროების მიხედვით ამ საკითხის გამორკვევა შეძლებისდა გვარად ვცადოთ.

ვაზ-ყურძნის ჯიშების ქართული სახელების შესწავლა მკვლევარს საშუალებას აძლევს უპირველესად გამოარკვიოს, თუ რა თვისებას, ან გარემოებას აქცევდა ყურადღებას ქართველი მევენახე, როდესაც ვაზის გარკვეულ ჯიშს სახელს არქმევდა. ამის გამორკვევა-კი იმ მთავარ პრინციპებსაც გაუთვალისწინებს ადამიანს, რომლითაც ხალხი ვაზ-ყურძნის ამათუიმ ჯიშისათვის სახელის შერჩევის დროს ხელმძღვანელობდა. ამნაირი გულდასმითი შესწავლა ცხად-ჰყოფს, რომ საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების სახელები, მათი სიმრავლისდა მიუხედავად, სრულებით შემთხვევითი არ არის, არამედ ყოველთვის ამათუიმ ნიშნის, ან გარემოების მაუწყებელია.

საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ზემომოყვანილი სახელების გულდასმითი განხილვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ მათ, დიდი მრავალრიცხოვანობისა და სხვადასხვაობისდა მიუხედავად, ზოგიერთი საერთო თვისებებიც აქვთ, რომელთა მიხედვითაც მათი სამ მთავარ ჯგუფად დაყოფა შეიძლება. საგულისხმოა მაგ., რომ ბევრ სახელებს ბოლოსართად „ური" აქვს, როგორიცაა მაგ. კასპური, დიღმური და სხვა რომელიც, როგორც ცნობილია, სადაურობის აღმნიშვნელი ფორმანტია. უკვე ამ ნიშნისდა მიხედვით ყურძნის ჯიშთა სახელების საერთო რიცხვითგან შესაძლებელია საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი გამოვყოთ, რომელთა სახელწოდება მათი სადაურობის მაუწყებელია.

ყურძნის ჯიშების სახელებს შორის ადამიანი, ისეთებსაც შეამჩნევს რომელთაც „სა" თავსართი აქვთ, როგორიცაა მაგ. საფერავი, სამაჭრო და სხვაც. ამ ფორმანტს ქართველი დანიშნულების გამოსახატავად ხმარობს და ამ ნიშნისდა მიხედვითაც შესაძლებელია საერთო რიცხვითგან კიდევ ერთი, ყურძნის ჯიშის დანიშნულების გამომხატველი ჯგუფი იქმნეს გამოყოფილი. ყურძნის ჯიშების სახელებს შორის ამ ფორმანტიანი ბევრი არ არის, მაგრამ ამ ჯგუფს უნდა ისეთი სახელებიც მიემატოს, რომელნიც ყურძნის ჯიშის დანიშნულებას უფორმანტოდაც გამოჰხატავენ.

ყურძნის ჯიშების არა ერთი სახელი მისი ამათუიმ თვისების დამახასიათებელია. მაგ. შესაძლებელია დასახელებულ იქნეს ისეთი სახელები, როგორიცაა რქა-წითელი, გრძელმტევნიანი, სხვილმარცვალა და ბევრი სხვაც. ასეთი სახელები საქართველოში ბლომად მოიპოვება და მათი ამ საერთო თვისებისდა მიხედვით ცალკე ჯგუფად გამოყოფა შესაძლებელიც არის და საჭიროც. რაკი თვითეული ამ სახელთაგანი ვაზის, ანდა ყურძნის რომელიმე ნიშნის გამომხატველი არის, ამიტომ ამ ჯგუფს ამპელოგრაფიული, ანუ ყურძენთაღმწერლობითი სახელების ჯგუფი უნდა ეწოდოს. ყურძნის ჯიშების სახელებითგან ეს ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია.

თავის მხრით ეს დიდი ჯგუფი შესაძლებელია რამდენსამე ქვე ჯგუფად დაიყოს, რათგან ზოგი სახელთაგანი ვაზის ლერწის, ზოგი ყურძნის რომელსამე თვისებას ახასიათებს ხოლმე.

ვაზ-ყურძნის ჯიშების ქართული სახელების შესწავლა და ანალიზი სწორედ ამ ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფით უნდა დავიწყოთ, რათგან ამ გზით ქართველი მევენახის ყურძენთაღწერილობითი დაკვირვების ნიჭისა და ცოდნის გათვალისწინება საუკეთესოდ შეიძლება.

ᲗᲐᲕᲘ XV. ᲕᲐᲖ-ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲯᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ.

ᲐᲛᲞᲔᲚᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲐᲢᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲖ-ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲯᲘᲨᲡᲐᲮᲔᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

§ 1. ვაზის ლერწის დამახასიათებელი სახელები.

მრავალრიცხოვან სახელებს შორის ყველაზე საყურადღებო და თავისებურებითაც საგულისხმო ვაზის ჯიშთა ის სახელებია, რომელთა სახელწოდებაც ვაზის ლერწის შეფერადების, ან მორფოლოგიურად დამახასიათებელი არის. ვაზის ჯიშების სახელთა ასეთ ჯგუფს უპირველესად ᲠᲫᲐ-ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ეკუთვნის. შემდეგ შავშეთსა და კლარჯეთში დაცული ყურძნის ჯიშის სახელი ᲮᲔᲕᲐᲠᲓᲣᲚᲘ და გურიასა და სამეგრელოში გავრცელებული ᲮᲔᲛᲮᲝ, ანუ ᲮᲔᲛᲮᲣ, ისევე როგორც ქართლში, არგვეთსა და გურიაში შენახული ᲫᲔᲚᲨᲐᲕᲘ-ც. ამავე ჯგუფს ᲠᲫᲐ-ᲮᲣᲘᲚᲐ და ᲑᲣᲔᲠᲐ-ᲕᲐᲖᲘ-ც უნდა მიეკუთნოს.

ვაზის ჯიშების ზემომოყვანილ ყველა სახელებს ის საერთო თვისება აქვთ, რომ თვითეული მათგანი ორნაწილედ სიტყვას წარმოადგენს, რომლის პირველ ნაწილად ᲠᲫᲐ, ᲮᲔ და ᲫᲔᲚᲘ-ა, ხოლო ამავე სახელების მეორე ნაწილი ლერწის ფერის, ან მორფოლოგიური თავისებურების აღმნიშვნელია: პირველ მათგანს წითელი ლერწი აქვს,—მეორეს—ვარდული ე. ი. ვარდისფერი,—მესამეს მხო, ანუ მხუ. ე. ი. მკიე, ნაცრისფერი ყოფილა და მეოთხეს შავი, ანუ მოშავო ჰქონია. როგორც თავის ალაგას უკვე აღნიშნული გვქონდა, ვაზის ლერწს გარკვეულ ხანამდე ქართულად რქა და ხე ეწოდებოდა. ᲫᲔᲚᲘ-ც თავდაპირველად ხის მნიშვნელობითვე იხმარებოდა, მაგრამ, ძელი, რომ ვაზის ლერწის აღსანიშნავადაც გამოყენებული იყოს, ამის მაგალითი ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ჯერ აღმოჩენილი არ არის და, როგორ ეტყობა, ასეთი მაგალითები უფრო უძველესი ხანის ძეგლებშია მოსაძებნი, რომლითგანაც ჯერ არაფერი შერჩენილი არა ჩანს.

საფიქრებელია, რომ კახეთში და რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული ᲮᲘᲮᲕᲘ-ს სახელიც იგივე ᲮᲔᲛᲮᲣ უნდა იყოს და Უ-ს ᲕᲘ კომპლექსად ქცევით ᲮᲔᲛᲮᲣ-საგან ჯერ ხემხვი უნდა იყოს წარმომდგარი. შემდეგ რეგრესიული ასიმილაციის გზით ხიმხვი გაჩენილი და სულ ბოლოს აწ არსებული ᲮᲘᲮᲕᲘ-ც.

ᲠᲫᲐ-ᲮᲣᲘᲚᲐᲖᲔ არსად, ჯერჯერობით მაინც, კახეთს გარდა, ცნობა არ მოგვეპოვება. ამ ვაზ-ყურძნის ჯიშის სახელი თავისი აგებულებით რქა-წითელს მიაგავს, მაგრამ იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი ამ ჯიშის ლერწის ფერის აღმნიშვნელია, რქა-ხუილა ვაზის ჯიშის მორფოლოგიური თვისების გამომხატველია.

ამნაირადვეა თეთრი ყურძნის ჯიშის **ბუერა-მაზი-ს** კახეთშივე დაცული სახელიც შედგენილი: იგიც ამ ჯიშის მაზის გარეგნულ თვისებას გვიხურათებს. მაგრამ ეს სახელი სხვა მსგავსი სახელებისაგან იმ მხრივაც განსხვავდება, რომ რქისა, ან და ძელისა, თუ ხის მაგიერ **მაზი-ა** ნახმარი, რომელსაც ამასთანავე ორნაწილედ სახელწოდებაში პირველი ადგილი-კი არ უკავია, როგორც რქაწითელსა, ძელშავსა, ხემხუსა და ხევარდულშია, არამედ მეორე ადგილი აქვს დათმობილი.

ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა გურიაში გავრცელებული ვაზის ჯიშის სახელი **მუხიზხა**, რათგან შესაძლებელია იგიც ორნაწილედი, **მუხიზ**-ისა და **ხა**-საგან შემდგარი სიტყვა იყოს, რომელთაგან პირველი **მუხა**-ს მეგრული ნათესაობითი ბრუნვა იქმნებოდა, მეორე კიდევ **ხე**-სთან იქმნებოდა დაკავშირებული. მაგრამ აქ ორი დაბრკოლებაა: ერთი რომ მეგრული ნათეს. ბრუნვა ამ სახელს მეგრულად გვაგულისხმებინებს, მეგრულად-კი მუხის აღსანიშნავად ძველი **რქონი**-ს ფონეტიკური ეკვივალენტი **ჭყონი** იხმარება. ხესაც **ჯა** ეწოდება.

მეორე დამაფიქრებული გარემოება ის არის, რომ ვაზის ლერწის დამახასიათებელ სახელებში **ხე**-ს პირველი ადგილი უკავია (ხევარდული, ხემხუ, ძელშავი), აქ-კი სიტყვის მეორე ნაწილს შეადგენს. მაგრამ შესაძლებელია ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ **მუხიზხა** იმ ხანის, ანდა იმ ქართველი ტომის სახელსა და სიტყვას არ წარმოადგენდეს, რომელშიც **ხევარდული**, **ხემხუ** და **ძელშავი**-ა შექმნილი, და აქაც ისეთსავე მოვლენასთან გვქონდეს საქმე, როგორიც მტევნის დამახასიათებელ სახელებშია, სადაც ერთი მხრით ლეჩხუმსა და გურიაში **დიდმტევანა**-ა, მეორე მხრით აჭარაში **მტევან-დიდი** იხმარება, ან როგორც არსებობს ჯიში, რომელსაც **ბუერამაზი** ეწოდება.

ზემოდასახელებული საკითხების გამორკვევას **მუხიზხა**-ს ყურძნის ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა აფერხებს.

სამოქალაქოს, ქვემო-იმერეთსა, გურიასა და აჭარაშია გავრცელებული ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც **ჩხავერი** ეწოდება.

გურიაშივე მოიპოვება ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც **ჩხაბერძული** ჰქვიან. ეს სახელი ორნაწილედი სიტყვაა და **ჩხა**-სა და **ბერძული**-საგან შედგება. ამ სახელის მეორე ნაწილი ამ ყურძნის სადაურობას გვაუწყებს: ის უცხო ჯიში ყოფილა, ბერძნული. საგულისხმოა, რომ გურიაში, ს. მიქელგაბრიელში **ბერძნულა**-დ წოდებული ჯიშიც ყოფილა (ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ე მევენახ.-მეღვინ. გვ. 26).

თუ ადამიანი **ჩხავერი**-სა და **ჩხაბერძული**-ს სახელებს ერთმანეთს შეადარებს, უეჭველია, შეამჩნევს, რომ პირველი ნაწილი **ჩხა**, მათ საერთო აქვთ, ეს გარემოება საკმარისია, რომ **ჩხავერი**-ს ამავე ორნაწილედ სიტყვად მიჩნევის ეჭვი აღიძრას. მართლაც **ჩხავერი**-ს მეორე ნაწილი **ვერი** ჩხაბერძულის მეორე ნაწილის **ბერძული**-ს დასაწყისს ორ მარცვალს წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ იქ **ბ** თანხმოვანი **ვ**-დ არის შენაცვლებული. ამნაირად, შესაძლებელია **ჩხავერი** **ჩხაბერძული**-ს სახელის ბოლო-ჩამოცილებულ სახეს წარმოადგენდეს. მაშასადამე, შეგვეძლო მისი სადაურობის საკითხიც ამ გზით გამორკვეულად ჩაგვეთვალა, მაგრამ ზემომოყვანილი მოსაზრების საწინააღმდეგოდ შესაძლებელია ის გარემოება იყოს წამოყენებული, რომ **ჩხავერი**-ს სახელი მარტო იმერეთსა და აჭარაში-კი არ არის გავრცელებული, არამედ

გურიაშიც, სადაც **ჩხაბერძული**-ს სახელიც არის დაცული. როგორ მოხდა, რომ ერთსა-და-იმავე თემში, საფიქრებელია, ერთი-და-იმავე ყურძნის ჯიშისათვის ერთი სახელის ორი, სრული და ბოლო ჩამოცილებული სახეობაა დაცული?

ამ საკითხის გამორკვევას **ბერძულას** და **ჩხაბერძულის** ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა გვიშლის. მაგრამ, **ჩხაბერძულისა** და **ჩხავერის** ყურძნის ჯიშის ბერძნულობის გამორკვევის შემდგომ, მაინც ზემომოყვანილი სახელების პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაწილის, **ჩხა**-ს მნიშვნელობაა გამოსარკვევი.

ჩხა კახეთში, პროფ. ს. ჩოლოყაშვილის ცნობებით, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, რთველის დროს ვაზის ბევრ-მტევნებიან მოჭრილ განტოტებას ჰნიშნავს. ეს სიტყვა ძველი ქართული **ბრჯღა**-ს ფონეტიკურ სახენაცვალს უნდა წარმოადგენდეს.

ძველ ქართულში-კი ეს სიტყვა ზოგადი მნიშვნელობის მქონებელი ყოფილა და, საბას განმარტებით, **„დიდთა ხეთა რა სხვლნი რტონი განეყოფიან, მას ეწოდებიან ბრჯღა“** (ლექსიკ.). მაშასადამე, **ბრჯღა ხხვილი, განტოტებულისის** ალმნიშვნელი ყოფილა. რაკი, საბერძნეთსა და იტალიაში ვაზის უსაყრდნობოდ ოთხგანტოტებიან სხვილ ხედ დაყენება იცოდენ, როგორც რომაული მევენახეობის მიმოხილვის დროს დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 351 და 352) ამიტომ იბადება საკითხი, **ჩხავერი** და **ჩხაბერძული**-ც ხომ ასეთი ვაზის ჯიშისა, თუ დაყენების წესის ილმნიშვნელი სახელი არ იყო.

ვინც მევენახეობის ზემომოყვანილ მიმოხილვას გადაიკითხავს და იქ მოთავსებულ ყურძნის ჯიშების სახელებს გულდასმით გადასინჯავს. დარწმუნდება, რომ **არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ ენაში ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელად ლერწის შეფერადება არ გვხვდება**. მტევნისა და მარცვლის თვისება, მათ შორის ფერიც, რომ ჯიშის განმასხვავებელ ნიშნად და სახელად იყოს გამოყენებული, ამას ადამიანი სხვა ენების ნომენკლატურაშიც შეხვდება, მაგრამ **ლერწის თვისება რომ ვაზ-ყურძნის ჯიშის სახელად იყოს** გამოყენებული, ასეთი რამე, ქართულს გარდა, არც ერთ **სხვა ენას ძველ დროს არ მოეპოვებოდა**.

ამისი მხოლოდ ნაწილობრივ მსგავსი ერთი მაგალითი რომაულ მევენახეობაში მოგვეპოვება, სადაც, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 382) **ნომენტიან**-ად წოდებული ვაზის ჯიში არსებობდა, რომელსაც კოლუმელლას სიტყვით, მეტსახელად **რუბელლიანე**-ც, ე. ი. **წითურნი**-ც ეწოდებოდა. პლინიუს მციროს-კი rubella vinea **რუბელლა ვინეა**, ე. ი. **წითური ვაზი** აქვს დასახელებული (Natur. hist. l. 14, c. 4, § 3). ასეთი მეტისახელი, რომელსაც თურმე ზოგიერთნი (quidam) ხმარობდენ, იმიტომ სწოდებია, რომ ვაზის ამ ჯიშს წითელი ლერწი (rubente materia) ჰქონია. მას, ამ მეტი სახელის გარდა, თურმე სხვაც, Foecinlae **ფოეცინიე**-ც, ჰქონია, რომელიც **მწკლატე**-საჰნიშნავს. ასეთი სახელი მოჭარბებული ტანინიანობის გამო დაჰრქმევია.

ეს წითელ-ლერწიანი ყურძნის ჯიში ჩვეულებრივ **ნომანტიან**-ად, ანუ **ნომენტიან**-ად[1] იწოდებოდა. ამ ვაზს ასეთი სახელი თვით ჯიშის სადაურობის გამო დაჰრქმევია. რომითგან ათი მილიონის სიშორეზე მდებარეობდა („decimi lapidis

---

[1]. პლინიუსის ნაშრომის l. 14, c. 5, § 3 და 4-ში „in Nomentano agro“ სწერია.

ab urbe diverticulo": l. 14, c. 5. § 4). ნომენტანის მინდორი, რომელიც თავისი მევენახეობით განთქმული ყოფილა (იქვე l. 14, c. 5, § 3 და 4).

ამნაირად, რუბელლიანე თავისდა-თავად მხოლოდ წითურის აღმნიშვნელია, ვაზის ჯიშის ლერწის სიწითლე ამ სახელში არა ჩანს. სამაგიეროდ ვაზის წითელფერობის მაუწყებელი სახელია პლინიუსისაგან აღბეჭდილი რუბელლა ვინეა „წითური ვაზი" და ეს გარემოებაც საგულისხმოა. მაგრამ რომაულ მევენახეობაში ეს ამ ჯიშის ჩვეულებრივი სახელი არ ყოფილა, არამედ ზოგთაგან წოდებული ნართაული სახელია. რაკი იქ სხვა ამის მსგავსი მაგალითი, რომ ვაზ-ყურძნის ჯიში ვაზის ფერის მიხედვით ყოფილიყო სახელდებული, არ მოგვეპოვება, ამიტომ ეს ერთი მაგალითი რომაული ყურძნის ჯიშების სახელწოდებათა მთელ კრებულში ერთად-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს.

ყურძნის ჯიშის სახელად რომ ლერწის ფერი გვქონდეს გამოყენებული, ევროპის ახალ მევენახეობაშიც ამის მხოლოდ ორი ცალკეული შემთხვევა მოიპოვება: საფრანგეთში არსებობს საფერე ყურძნის ჯიში, რომელსაც Teinturier à bois rouge. ე. ი. „საფერე ხე-წითელი",—ხოლო გერმანიაშიც ერთი საწური და საჭმელი ჯიშია, რომელსაც Gelbhölzer-ი, ე. ი. „ყვითელ-ხიანი" ეწოდება (მათი აღწერილობა იხ. V. Pulliat Mille variétés 364—365 და H. Goethe Amp. Wörterb.).

სულ სხვა ვითარებაა, როგორც დავრწმუნდით, ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელწოდებათა დარგში საქართველოში, სადაც ყურძნის ჯიშების განმასხვავებელ სახელად ლერწის ფერის მაუწყებელი ორნაწილედი სიტყვის გამოყენება, ჯიშთა სახელდების სრულებით შეგნებულსა და მწყობრ სისტემას წარმოადგენს.

იმას გარდა, რომ ლერწის შეფერადების ნიშნის ვაზის ჯიშის განმასხვავებელ თვისებად მიჩნევა და სახელდებისათვის გამოყენება ქართველი მიწისმოქმედის ამპელოგრაფიული დაკვირვების ნიჭის მაუწყებელია, ამ ნიშნის მიხედვით ყურძნის ჯიშების განსარჩევად შემოღებას მევენახეობაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. სამ-ოთხ წელიწადზე ადრე, სანამ ვაზი ყურძენს არ მოისხამს, მისი ჯიშის გარჩევა და გამორკვევა, რასაკვირველია, ვაზის ლერწის თვისებების მიხედვით შეძლებოდა. ამას მეტადრე ახალი ვენახის გაშენების დროს ჰქონდა მნიშვნელობა, როდესაც სანერგე მასალას ვაზის ლერწი წარმოადგენდა. ცხადია, რომ ლერწის ფერისდა მიხედვით ვაზის ჯიშების გარჩევა და მათთვის ამავე თვისების მაუწყებელი სახელების დარქმევა მევენახეს ზემოაღნიშნული მუშაობის დროს საქმეს საგრძნობლად გაუადვილებდა.

§ 2. ჯიშის სქესის განმასხვავებელი სახელები.

ქართული მევენახეობა მარტო ზემოაღნიშნულით არ დაკმაყოფილებულა, მას ვაზის სქესის გარჩევაც უცდია. ამ მხრივ მეტად საყურადღებო გარემოებაა, რომ კახეთში რქა-წითელის და მცვივანი-სათვის ორორი, სქესებრივად განმასხვავებელი, სახელი არსებობს. მამალი რქა-წითელი და დედალი რქა-წითელი, ისევე როგორც მამალი მცვივანი-ცა და დედალი მცვივანი-ც მოიპოვება.

ამ ყურძნის ჯიშების ასეთი სქესებრივად განმასხვავებელი სახელები რომ შემთხვევითი არ არის, არამედ, რომ ქართველ მევენახეს ასეთი სახელები მათი ფიზიკური თვისების ნიშანდობლივ განსხვავებასთან დაუკავშირებია, ამას შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. მამალ-დედალი რქა-წითელისა და მცვივანის სახელები მათი მტევნების მორფოლოგიურსა და მოსავლიანობის განსხვავებაზეა დამყარებული. მამალად წოდებულ რქა წითელსაცა და მცვივანსაც თხელი მტევანი ჰქონია და წვრილი მარცვალი, წვენი-კი დაწურვის დროს ნაკლები, მაგრამ საუკეთესო ღირსებისა სცოდნია. პირიქით, დედალ რქაწითელად და მცვივანად სახელდებულს დიდი მტევანი და სხვილი მარცვალი ჰქონია, წვენს თუმცა ბევრს, მაგრამ თურმე საშუალო ღირსებისას იძლევა.

საგულისხმოა, რომ ძველ საქართველოში ბუნებით უნაყოფო ვაზისათვისაც განსაკუთრებული სახელწოდება ყოფილა და ს. ორბელიანის ცნობით, **ᲐᲕᲠᲔᲮᲘ**, ანუ, ხელთნაწერთა B რედაქციით, **ᲐᲕᲠᲔᲖᲘ** ჰრქმევია სახელად. თავის ლექსიკონში მას განმარტებული აქვს: „**ᲐᲕᲠᲔᲮᲘ** (B. **ᲐᲕᲠᲔᲖᲘ**) აყვავდეს და ნაყოფი არ იყოს (A: გვარად უნაყოფო ვაზი)"-ო. დ. გურამიშვილის ლექსითგან „ვით ბოლოკი მქნა **ᲐᲕᲠᲔᲖᲘ**, ამაჩოყა, ამალერა"-ო (დავითიანი, გამ. 1911 წ. გვ. 97.—ალ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის 1931 წ. გამ. გვ. 137₁) ირკვევა, რომ **ᲐᲛᲠᲔᲖᲘ** უდროოდ ალერებულ, უნაყოფო ბოსტნეულზე ითქმოდა. ამიტომ, თუ საბას განმარტება სწორეა და ის უნაყოფო ვაზის დასახასიათებელადაც იყო მიღებული, მაშინ ეს სიტყვა ზოგადი მნიშვნელობის ტერმინად, **ᲐᲕᲠᲔᲮᲘ**-კი მხოლოდ უნაყოფო ვაზის სახელად უნდა მიგვეჩნია [1].

ბუნებით უნაყოფო ვაზის სახელი **ᲐᲕᲠᲔᲮᲘ** ისევე უნდა იყოს ნაწარმოები, როგორც ავკაცი, ჰავჰალა, ანუ ავჰალა. თავში მას ზედსართავი **ᲐᲕᲘ** უზის. თუ ეს მცდარი მოსაზრება არ არის, მაშინ ამ სიტყვის მეორე მთავარი ნაწილი-ღაა გამოსარკვევი. ავრეხი-ს ამნაირი აგებულების შესაძლებლობის დამაჯერებლობისათვის საკმარისია გავიხსენოთ, რომ გარეულ ვაზს ჭანურად **ᲬᲐᲓᲘ ᲑᲘᲜᲔᲮᲘ**, ე. ი. ცუდი, ანუ ავი ვაზი (ვენახი) ეწოდება.

ქართველი მევენახის დაკვირვების სისწორე ვაზის სქესებრივი განსხვავების შესახებ თანამედროვე ამპელოგრაფიული გამოკვლევითაც მტკიცდება. პროფ. E. Ratay-მ 1888 წ. თავის გამოკვლევაში Die Geschlechtsverhältnisse der Reben დაამტკიცა, რომ ვაზთა Vitis მთელი სავსებობა თავისი ყვავილის თვისების მიხედვით სამ ჯგუფად უნდა დაიყოს. ერთ ჯგუფს ანდროდინამურ-ხტერილი, ანუ უნაყოფო, ბიცი, მამრობითი სქესის ვაზები შეადგენენ. ამ ჯგუფს ამერიკული ვაზების სახეთა ბევრი წარმომადგენელი მიეკუთვნება. 2. ანდროდინამურ-ფერტილი, ანუ ქართულად რომ გადმოითარგმნოს „მამრობითი-ნაყოფიერი", ე. ი. ორ-ბინიანი. ამ ჯგუფს ევროპული, აზიისა და ამერიკული ვაზის სახეები მიეკუთნება. 3. გუნედინამურ-ფერტილი, ანუ დედრობითი-ნაყოფიერი. ვაზის ზოგი ჯიში თავისი ყვავილის თვისებით ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ

---

1. „დავითიანის" 1931 წ. გამოცემის ლექსიკონში ავრეზი საბას განმარტების თანახმად უნაყოფო ვაზად არის ხსნეული (გვ. 321), რაც დ. გურამიშვილის ლექსს არ უდგება.

ჯიშთაგანს ეკუთვნის ხოლმე. მაგრამ შესაძლებელია ერთსა-და-იმავე ჯიშზე სამ-ნაირი ყვავილი იყოს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მაინც ერთი მათგანი სჭარბობს ხოლმე. უფრო დეტალურმა კვლევა-ძიებამ ცხადჰყო, რომ ამ სამი თვისების ყვავილთა გარდა ვაზის ისეთი ჯიშებიც არის, რომელთაც გარდამავალი ადგილი უკავიათ (ს. ჩოლოყაშვილი და ნ. ჩახნაშვილი „მასალები ქართული ვაზის შესწავლისათვის“: ექსპერ. აგრონ. მოამბე № 3, გვ. 54).

ქართველი მევენახის დაკვირვება და ტერმინოლოგია საშუალებას გვაძლევს თანამედროვე ამპელოგრაფიული მეცნიერების ზემომოყვანილი დასკვნა ნამდვილი ქართული ტერმინებით გამოვთქვათ: **ანდროდინამურ-სტერილს**, ანუ, **უნაყოფო**, ანუ **ბიცმამრობითს** ქართულად, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვ. გვ. 479) **ავრეხი** ეწოდება, ხოლო **ანდროდინამურ-ფერტილი**, ანუ **ნაყოფიერი მამრობითი** ქართულ **მამალა ვაზს** და **გინეცინამურ-ფერტილი**, ანუ **დედრობით-ნაყოფიერი დედალ ვაზს** უდრის.

ვაზ-ყურძნის ჯიშების სქესებრივი განსხვავების გამომხატველი სახელი მარტო ფრანგულ ნომენკლატურაში მოიპოვება, სადაც ორი ამნაირი სახელწოდებაა: ზემო პირენეების Tannat noir femelle და Tannat noir mâle **„ტანნა შავი დედალი“** და **„ტანნა შავი მამალი“**. შემდეგ Teinturier du Cher, რომელსაც აგრეთვე Teinturier femelle-ი „საფერე დედალი“ ეწოდება, და უკვე მიტოვებულ Teinturier mâle, „საფერე მამალი“, რომელსაც Teinturier à bois rouge „საფერავი ხე-წითელი“-ც ჰქვიან (V. Pulliat Mille variétés 361-362 და 364. H Goethe 58).

§ 3. მტევნის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკური თვისების გამომხატველი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი.

ყურძნის ჯიშების ქართული სახელების ნთელი ჯგუფი ყურძნის მტევნის სხვადასხვა თვისებების დამახასიათებელი და მაუწყებელია. მაგ. კახეთში არსებობს ჯიში, რომელსაც **მოკლემტევანა** ჰქვიან, რაჭაში-კი ერთ ჯიშს სახელად **გრძელ-ტევნიანი** ეწოდება, ხოლო **ლეჩხუმსა** და **გურიაში** გავრცელებულია ჯიში, რომელსაც **დიდ-მტევანა**-ს ეძახიან, აჭარაში-კი სახელად **მტევან-დიდი**-ა მიღებული. ორი უკანასკნელი სახელი, საფიქრებელია, ყურძნის ერთისა-და-იმავე ჯიშის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ამასთანავე ეს ტერმინი და ჯიში წინათ, რასაკვირველია, საქართველოს სხვა თემებშიც იქმნებოდა, ლეჩხუმსა და გურიას შორის მდებარე თემებს ასეთი ჯიშიც და სახელიც მაინცდამაინც უეჭველად ექმნებოდათ.

ამ ჯიშების აღწერილობის უქონლობის გამო, შეუძლებელი ხდება გამორკვევა, **გრძელ-მტევნიანი** და **დიდ-მტევნიანი** ერთი-და-იმავე ჯიშის ყურძნის მხოლოდ სხვადასხვა თემობრივი სახელია, თუ სახელის განსხვავებულობამ იმავე დროს ჯიშების განსხვავებაც უნდა გვაგულისხმობინოს. ამ საკითხის გადაწყვეტა აგრონომების მოვალეობას შეადგენს და იმედია მომავალში ეს გამორკვეულიც იქმნება. მაგრამ ამ **ჯიშების ეს ორი სახელი სიტყვიერად მტევნის ორ განსხვავებულ თვისებას ახასიათებს: ერთს** მისი **სიგრძე** აქვს **განმასხვავებელ ნიშნად მიღებული, მეორეს** მისი **სიდიდე**, რომელიც მარტო და ყოველთვის სიგრძეზე არ არის დამოკიდებული.



სურ. 7.

ბაგრატის ქუთაისის ტაძრის სვეტის თავი (მე-XI ს. დამდეგისა). საყურადღებოა ჯიშთა ხნიერების თვალსაზრისით ხელ გამოკანდაკებული გრძელ-მტევანას, ანდა დიდ-მტევანას ჯიშის (იხ. გვ. 480) მაგვარი კუმსი მტევნის გამო (იხ. გვ. 523).

ყურძნის ჯიშის მტევნის მოყვანილობისავე დამახასიათებელ სახელთა ჯგუფს ეკუთვნის მელისკუდა-ც, რომელიც ეხლა საინგილოში შავი, არგვეთს, თეთრი, რაჭას და შავშეთ-კლარჯეთში შავიცა და თეთრიცაა დაცული, წინათ-კი მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მელისკუდის მსგავსად ამ ყურძნის ჯიშის მტევანი ალბათ თავ-ბოლოში წვრილი, შუაში გასხვილებული მოყვანილობისა იქმნება. ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა ამ საკითხის ზედმიწევნით გადაწყვეტასაც შეუძლებლად ჰხდის.

ყურძნის ჯიშების მტევნის დამახასიათებელ სახელთა ჯგუფსვე ეკუთვნის აჭარაში, შავშეთსა და კლარჯეთში შერჩენილი ვაზის ჯიშის სახელი ბუტკოი. რაკი ეს ძველი ქართული სახელი ხალხს ყურძნის ამ ჯიშისათვის დაურქმევია, საფიქრებელია, რომ მას მტევანი ძალზე მომცრო და ბუტკოს მსგავსად მჭიდროდ ჩასმული უნდა ჰქონოდა. მართლაც, თუმცა ამ ჯიშის სრული ამპელოგრაფიული აღწერილობისათვის თავი არავის შეუწუხებია, მაგრამ ავტორებს ის მაინც აქვთ აღნიშნული, რომ ამ ჯიშის ვაზს პატარა, შავ-მარცვლიანი, მჭიდრო მტევანი აქვს.

ბუტკუ-ს სახით, ეს სახელწოდება რაჭაშიც ყოფილა შერჩენილი, სადაც მას საშუალო სიდიდის „შეკრული მტევანი და წვრილი, მაგარი მარცვალი სცოდნია“ თეთრი ფერისა.

მტევნისავე გარეგნული მოყვანილობის გამომხატველი სახელწოდება უნდა იყოს კახეთსა და ქართლში გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი თავკვერი, რომლის ქართლში შავი, კახეთში თეთრი სახესხვაობა არსებობდა. ქართლში იგი, საფერავის მსგავსად, სხვა ღვინოების შესაფერადებლადაც იხმარებოდა. შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ ეს სახელი ჯიშის სადაურობის მაუწყებელია და ლეჩხუმის თემის ძველი სახელის თაკვერი-საგანაა წარმომდგარი. მაგრამ ასეთი აზრის უსაფუძვლობას ის გარემოებაც ამჟღავნებს, რომ თავკვერი დას. საქართველოში არ მოიპოვება, ლეჩხუმური ჯიში-კი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, უპირველესად ლიხთ-იმერეთში იქმნებოდა გავრცელებული.

თავკვერი-ს სახელი მისი მტევნის გარეგნულობის ზედა ნაწილის დამახასიათებელი უნდა იყოს. მას „მტევანი მეტად დიდი, კონუსებრივი და ძალზე კუმსია“ აქვს (იხ. აქვე გვ. 418) და სწორედ მტევნის ამ დიდი კონუსის საფუძვლის, რომელიც ვითარცა ზედა ნაწილი, თავად არის სახელდებული, კვერებრივი მსგავსების გამომხატველი იქმნება.

საფიქრებელია, სახელთა ამავე ჯგუფს კახური სხვილთავა-ც ეკუთვნის.

თავისი სახელის ორიგინალურობით საინტერესოა არგვეთში გავრცელებული ყურძნის ჯიში, რომელსაც კვირისთავა ეწოდება. საფიქრებელია, რომ ასეთი თავისებური სახელი ამ ვაზის ჯიშს მისი მტევნის კვირისტავის მსგავსი მოყვანილობის გამო უნდა ჰქონდეს დარქმეული, მაგრამ სამწუხაროდ კვირისთავა-ს აღწერილობა არსად მოიპოვება, რომ ამის თქმა დანამდვილებით შეიძლებოდეს.

დას. საქართველოს თითქმის ყოველ თემში მოიპოვება ვაზ-ყურძნის ჯიში, რომელსაც აკიდო ეწოდება, არსებული ცნობებით, აღმ. საქართველოში არსად ასეთი ჯიში არა ჩანს. ს. ორბელიანის განმარტებითაც, აკიდო იყო „ხილი ერთად შებმული“ (ლექსიკ.). ამგვარად, მარტო ყურძენი-კი არა, არამედ

თითქოს ყოველგვარი ხილი. ცხადია, რომ ზემომოყვანილ განმარტებაში ქართ. ლექსიკოგრაფს **აკიდო** ყურძნის ჯიშად ნაგულისხმევი არა ჰქონია

მაგრამ **აკიდო** აღმ. **საქართველოშიც** გავრცელებული **სიტყვაა**, ამასთანავე **სწორედ ყურძენთან დაკავშირებული. აკიდო** ყურძნის **ისეთ რქას ეწოდება, რომელსაც ერთიმეორის ახლოს მტევნები წყვილად ასხია. წყვილი** მტევნის შემკვრელს ვაზის რქას მოსჭრიან და ვასწვრივ ჩამოჰკიდებენ **ხოლმე.** იმას კი, რასაც ს ა ბ ა აკიდოს უწოდებს, ერთ დ შებმულ ხილს, ეხლა **ჯაგანი** ეწოდება და ეს სიტყვა ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა ც მოეპოვება იმავე **მნიშვნელობით,** როგორც ეხლაც ხმარობენ: **ჯაგანი წკეპლი** თევზთა და **ხილთა საცმელი**"-ო (ლექსიკ.).

მაშასადამე, **აკიდო** მთელ **საქართველოში** გავრცელებული, **ყურძნის მსხმოიარობის ერთგვარ თვისებასთან** დაკავშირებული, **სიტყვა ყოფილა.** დას. საქართველოში დაცული ამ ჯიშის ვაზ ყურძნის აღწერილობა რომ ჰქონოდა ვისმე, მაშინ ადვილად გადაწყდებოდა საკითხი, მართლა ამ ვაზს წყვილმტევნიანობის გამო ეწოდა **აკიდო**-ს სახელი, თუ სხვა რაიმე თვისების მაუწყებელია. უცხოეთის მევენახეობის მიმოხილვაში მოყვანილი გვაქვს კ ო ლ უ მ ე ლ ლ ა ს ერთი ცნობა, რომლითგანაც ჩანს რომ იტალიაშიც არსებობდა ამინეურის ერთი სახესხვაობათაგანი, რომელსაც Amineae geminae **ამინეე გემინე,** ი. „ტყუპა ამინეური" ეწოდებოდა იმის გამო, რომ ეს ჯიში თურმე ორმაგ მტევნებს ისხამდა (იხ. აქვე გვ. 381). ამას გარდა, აკიდოს მსგავსი წყვილ-მტევნიანი ვაზის ნაჭერის გამოხატულება ერეთრეის ფულ დრაქმაზეა ამოტვიფრული (იხ. სურათი R. Billiard-ის La vigne-ის გვ. 68 და სხვაგანაც).

ყურძნის მტევნის მორფოლოგიური თავისებურების დამახასიათებელია აგრეთვე **კახეთში** დაცული ყურძნის ჯიშის სახელი შავი. **თეთრი და ყვითელი მხარგრძელი-ც**, რომელსაც ზევითი ბურძლენები დანარჩენებზე ძალზე გრძელი და მხრებივით გახზე განზიდული აქვს. ასეთი მხარგრძელი მტევნიანი ყურძნის ჯიში ძველ მცირე აზიაში, საბერძნეთსა და ბიზანტიაშიც ყოფილა გავრცელებული და, როგორც ჩანს, იქაურებს ეს ჯიში საშვალოთ ჰქონიათ მიჩნეული რადგან ასეთი მტევნის გამოხატულება თავიანთ ფულებზეც-კი ამოუტვიფრავათ (სურათები იხ. R. Billiard-ის La vigne-ში გვ. 54, 65, 67, და 68).

ქართველ მევენახეს ვაზის ისეთი ჯიშიც შეუმჩნევია, რომლის ყურძენიც, ანუ უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, რომლის მტევანიც **ისე მაგრად იყო რქაზე დამაგრებული, რომ მისს მოწყვეტას ადამიანი ისე ადვილად ვერ შეხძლებდა**, როგორც სხვა ყურძნის ჯიშისას. სწორედ ამიტომაა, რომ **რაჭასა და ლეჩხუმში** გავრცელებული ვაზის ჯიშისათვის ასეთი თვისების გამო **ხალხს სახელად** **უჭყეტი** დაურქმევია.

ვაზ-ყურძნის ჯიშების ერთი ჯგუფის სახელებად **მტევნის აგებულების ამათუიმ თავისებურების გამომხატველი სიტყვები აქვს შერჩეული. ამ** მხრივ ყურძნის ჯიშებს ხომ საკმაო სხვადასხვაობა ემჩნევა. ქართველ მევენახეს მტევნის აგებულების სხვადასხვა თავისებურება არ გამოჰპარვია და ესეც **ჯიშთა** განმასხვავებელ ნიშნად გამოუყენებია. საქართველოში გავრცელებული **არაერთი** ყურძნის ჯიშის სახელის შინაარსი ადვილი გასაგები გახდება, **თუ რომ** ეს გარემოება ადამიანს გათვალისწინებული ექნება.

სურ. 6.

ყურძნიანი და ხილიანი ტოტების ქანდაკება ბანის (მე-IX—X ს.) ტაძრის კედელზე. საყურადღებოა ყურძნის ჯიშების ხნიერების გამოსარკვევად (იხ. გვ. 523) და ორ-ნაწილედი, ა კ ი დ ო ს ჯ ი შ ი ს მაგვარი მტევნით (იხ. 482).

მაგალითად, აჭარაში ერთი ყურძნის ჯიშია, რომელსაც **ბურძღალა** ეწოდება. სამწუხაროდ მისი ამპელოგრაფიული აღწერილობა არავის მოეპოვება, მაგრამ ამ ჯიშის სახელივე ცხად-ჰყოფს, რომ ამ ვაზის ჯიშის განმასხვავებელ თავისებურებას **მისი მტევნის გაბურძგნილობა, ბურძღენიანობა** უნდა შეადგენდეს. ჰერეთს, ანუ ეხლანდელ **საინგილოშიც** გარეულ ყურძენს **ბურზღუმი** ეწოდება. ცნობილია, რომ გარეული ყურძნის მტევანი მართლაც გაბურძგნულია და სწორედ ეს მისი თვისება ხალხს მის განმასხვავებელ ნიშნად მიუჩნევია.

ლეჩხუმშიც მოიპოვება ერთი თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც **ფარჩხატა** ეწოდება. არც ამ ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობა არსებობს, **მაგრამ მისი სახელიც ამ ყურძნის მტევნის აგებულების იმ თავისებურებას ამჟღავნებს**, რომელიც ხალხს ამ ჯიშის განმასხვავებელ ნიშნად დაუსახავს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, **ფარჩხატი შორიშორ** წყობილი-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.). სწორედ ასეთი თვისება უნდა ჰქონდეს ყურძნის ამ ჯიშსაც და ასეთი სახელიც **მისი მტევნის ბურძღენიანობისა**, თუ **მარცვალთა შორიშორ წყობილობის გამო** დაჰრქმევია.

ზემოგანხილული სახელების სწორედ მტევნის საწინააღმდეგო თვისების დამახასიათებელია **კახეთში გავრცელებული** ყურძნის ჯიშის **ქუმსი**-სა და **ქუმშა**-ს, **ხოლო გურიაში ქუმუშა**-ს და **ჯუმუტა**-ს სახელები. ამ სიტყვათაგან პირველი შემჭიდროებულსა და ჩასხმულს ჰნიშნავს და ამ ჯიშის ყურძნის მტევანს **მარცვლები მართლაც ერთმანეთზე** ისე ახლო-ახლო ასხია, რომ მათ შორის თავისუფალი მანძილი არ არის და **მარცვლები მტევანში მჭიდროდ ჩასხმულის შთაბეჭდილებას ახდენენ. ქუმსი** უნდა **ქუმშა** სახელზმნის ფონეტიკური სახენაცვალი იყოს, რაც გარე-კახეთში ამ ჯიშის სახელითაც მტკიცდება, ხოლო ამ უკანასკნელის სრულხმოვნიანი ფორმისაგან ნაწარმოები ჩანს **გურიაში** გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი **ქუმუშა**. მისი ამპელოგრაფიული აღწერილობა რომ მოგვეპოვებოდეს, ამ საკითხის სრული უეჭველობით გადაწყვეტა იყო შესაძლებელი.

მტევნის მორფოლოგიური თვისების დახასიათებელი სახელივე უნდა იყოს **გურული შავი ჯუმუტა**, რომელიც საფიქრებელია, ჯმუხას სრულხმოვნიან პარალელურ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. ს ა ბ ა ს განმარტებით, „**ჯმუკი მოდაბლო და მკნე კაცი**“-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.), მაგრამ, ჩვეულებრივი გაგებით, მაგარი აგებულების ჩასხმული ადამიანის დასახასიათებლად იხმარება. ე რ მ . ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ცნობითაც, გურიაში **ჯუმუტა** მკვრივს და ჩასხმულსა ჰნიშნავს და რაკი ამ შემთხვევაში ყურძნის ჯიშის სახელად არის ეს სიტყვა ნახმარი, ცხადია, მისი მტევანი დაახლოვებით იმავე თვისების გამომხატველი უნდა იყოს, როგორისაც **ქუმსი** და **ქუმუშა**-ა, მაგრამ გურიაში ორივეს, **ქუმუშა**-ს და **ჯუმუტა**-ს არსებობა და გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ **ამ ორ სახელსა და ჯიშს შორის რაიმე განსხვავება მაინც** უნდა **იყოს**. კახური **ქუმსისა** და გურული **ქუმუშას** ყურძნის ჯიშების იგივეობისა, თუ განსხვავებულობის საკითხის გამორკვევა ამპელოგრაფების მოვალეობას შეადგენს და მომავალის საქმეა, მაგრამ მაინც ცხადია, რომ **ჯუმუტა**-ც მტევნის შემჭიდროებული აგებულების დამახასიათებელ სახელთა ჯგუფს ეკუთვნის.

მტევნის კუმსი აგებულების და სიმძიმის თვისებისავე გამომხატველია **იმერეთში** გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი **ქუნძა**, რომელიც მართლაც მძიმე და მჭიდროდ მარცვალჩასხმულ მტევანს ისხამს.

მეტად თავისებური სახელი აქვს **იმერეთში** გავრცელებულ **შავი** და **თეთრი** ვაზ-ყურძნის ერთ ჯიშს, რომელსაც **დონდღლაბი** ეწოდება. **რაჭაში** **თეთრი დონდღლაბი**-ა. ამავე ჯიშისა თუ არა, უეჭველია, ამავე სახელის ბოლოშეკვეცილი და ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილი ფორმა უნდა იყოს **სამეგრელოს შავივე დღუდღუში** და **გურიაში** არსებული **თეთრი** ყურძნის ჯიშის სახელწოდება **დონდღო**.

დოც. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ს ს. ლეხაურში ა ლ ფ ე ზ შ ა ვ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ ამ ჯიშის სახელად **დორდღო** გაუგონია. ამ უკანასკნელის დახასიათებით, **დორდღო თეთრი, რბილი** ყურძენია და „მდარე ღვინო" იცის. რას უნდა ჰნიშნავდეს ეს სახელი, ყურძნის სახელდობრ რა თვისების გამომხატველი უნდა იყოს? ამის გადასაწყვეტად ამ ვაზ-ყურძნის ჯიშის სრული აღწერილობაა საჭირო. მისი თვისების აღწერაზე-კი არავის უზრუნვია. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ დონდღლაბი „**ჩამოგრძელებული**" და თანაც „**ბურძღენიანი და ოდნავ მეჩხარი**" **ძალზე სხვილ-მარცვლიანი მტევნის** მქონებელი ჯიში იყო (იხ. აქვე გვ. 427, 443), მაშინ შესაძლებელია აზრი დავვებადოს, რომ **დონდღლაბი** და **დონდღო**, რომელთაგან უკანასკნელი დონდღლო-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, **თონთლო**-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს. **თონთლო**-კი რბილსა და მოშვებულ-მერყევსა ჰნიშნავს, როდესაც კვერცხზე ამბობენ, თოხლოდ, ნახევრად მოხარშულად, ხოლო როდესაც ადამიანზე ამბობენ, სიმკვრივეს მოკლებულად, მოშვებულად იგულისხმება. დონდღლაბიც თავისი ჩამოგრძელებული, ბურძღენიანი და მეჩხარი მტევნითა და სხვილი, მძიმე მარცვლებით ასევე თონთლოს შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს.

უნებლიედ იპყრობს მკვლევარის ყურადღებას საქართველოში ფართოდ გავრცელებული **შავი** ვაზ-ყურძნის ჯიშის სახელი **მტრედისფეხა**, რომელიც **იმერეთსა და ლიხთ-იმერეთშიც** მოიპოვება (იხ. აქვე გვ. 417, 428, 457), **სამეგრელოში** მას ამავე მნიშვნელობის მქონებელი სახხლი **ტორონკუჩხი** ეწოდება. რატომ უნდა დაერქვია ქართველ ხალხს ვაზის ჯიშისათვის ასეთი სახელი და რა' შეიძლება საერთო ჰქონდეს მტრედის ფეხსა და ვაზს?

მტრედის ფეხი მოწითანოა და **საფიქრებელია, რომ ამ ვაზის ჯიშის მტევნის კლერტიც** სწორედ **ამნაირადვე უნდა იყოს შეფერადებული** და ამიტომ უნდა ჰქონდეს ასეთი თავისებური სახელი შერჩეული.

§ 4. მარცვლის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკური თვისების მაუწყებელი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი.

ყურძნის ჯიშების მთელი ჯგუფისათვის, რომელთა განმასხვავებელ ნიშნად და სახელებად **მარცვლის** ესა-თუ-ის **თვისებაა გამოყენებული**: ზოგის **მარცვლის სიდიდეა** აღნიშნული, ზოგის **მოყვანილობა**, ზოგის **კანის ხისქე**, არა ერთის, რასაკვირველია, **ფერი, გემო, ანდა სხვა რაიმე თვისება**. სახელთა ამ ჯგუფს ეკუთვნიან: ხარისთვალა, ღორისთვალა და სხვაც.

ხარისთვალა-ს ყურძნის ჯიში, როგორც დავრწმუნდით (იხ. გვ. 402, 409, 417, 421, 426, 434, 457, 463), ფართოდ:ა გავრცელებული, **ქართლ-კახეთშიც, მესხეთის** ორ თემში:ი, **სამცხესა, აჭარაშიც** და **გურიაშიც**. დასასრულ, **თოლი-მჩხუშ ყურძენი**-სა და **ჩხუში**-სა და **ჩხუ-ჩეში**-ს სახელით **ჰანეთს, აჭარაში და სამეგრელოშიც** მოიპოვება, რაკი კახეთში **ხარისთვალა**-ს **თეთრი**-ცა და **შავი** სახე-



სურ. 10.

ანანურის საყდრის გარეთი აღმოს. კედლის ქანდაკება **სხვილ** და **წვრილ მარცვლიანი** მტევნებითურთ (იხ. გვ. 485, 523 და 531).

სხვაობაც არსებობს, გურიაში ეს სახელი წითელი ყურძნის ჯიშს ეწოდება, სამეგრელოში-კი, როგორც თვით სახელშიცაა აღნიშნული, თეთრი (**ჩეში**) ყურძნის სახელად ხმარობენ, ამიტომ ცხადი ხდება, რომ შეუძლებელია **ხარისთვალა** ფერის აღმნიშვნელი იყოს, არამედ მხოლოდ ყურძნის სხვილ მარცვლიანობის გამომხატველია. მართლაც, საქართველოს ყოველ თემში ხარისთვალა, ან მისი შესატყვისობა მარტო სხვილმარცვლიანი ყურძნის ჯიშის სახელად იხმარება.

გამოსარკვევი მხოლოდ ისღაა, **ხარისთვალა** და **თოლი-მჩხუ ყურძენი**, ანდა **ჩხუში** და **ჩხუ-ჩეში** ერთი-და-იმავე ყურძნის ჯიშის სახელია, თუ არა?

საინგილოში არსებობს ჯიში, რომელსაც **დევისთვალა** ეწოდება.

ეს სახელი სპარსული დევ-ის სახელთან-კი არ არის დაკავშირებული, არამედ თურქულ-ქართული სიტყვაა. თურქულად دوه dewe „დევე" აქლემსა ჰნიშნავს და აქ **დევისთვალა** გაქართულებული „**დევე გოზი**" უნდა იყოს, რომელიც თურქულად (گوزی دوه) „აქლემის-თვალა"-ს ჰნიშნავს და შამახიის სანახებში შავი, წითელი და თეთრი სხვილ-მარცვლიანი, სქელკანიანი საჭმელი ყურძნის ჯიშის სახელად იხმარება (იხ. Очерк виноделия Кавказа III, 303-304). უდრის, თუ არა, იგი ჯიშობრივად მაინც ხარისთვალას, ესეც ჯერ გამოსარკვევია, მაგრამ ცხადია, რომ ნასესხებ-გაქართულებული სახელიც ყურძნის სხვილმარცვლიანობის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

პირიქით შავი და თეთრი **ღორის-თვალა**, რომელიც ამჟამად გურიაშია ცნობილი, და შავი სამეგრელოში, სადაც მისი მეგრულად ნათარგმნი სახელი **ძერთოლი**, იხმარება, უეჭველია, ყურძნის წვრილ-მარცვლიანობის დამახასიათებელი და მაუწყებელი უნდა იყოს.

კახეთში არსებობს **ჩიტის-თვალა**-დ წოდებული ჯიში, ხოლო რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებულია შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც **ჟორნისთვალი** ჰქვიან. რა თქმა უნდა, რომ ეს სახელიც უეჭველად წვრილ მარცვლიანობის, აღმნიშვნელი უნდა იყოს. რაკი ღორის თვალი მოყვანილობითაც განირჩევა, ამიტომ გამოსარკვევია, ეს სახელი, წვრილმარცვლიანობას გარდა, მარცვლის მოყვანილობის თავისებურებასაც ხომ არ ჰგულისხმობს? მაგრამ, სამწუხაროდ, არც **ღორისთვალასი** და არც **ჟორნისთვალას** აღწერილობა არსად მოიპოვება.

ყურძნის ჯიშის სხვილი და წვრილმარცვლიანობის ზემომოყვანილი სახელები ყველა ცხოველთა თვალთან დამსგავსებაზეა დამყარებული.

ამათ გარდა ისეთი სახელიც არსებობს, რომელშიც მარცვლის სისხო პირდაპირ არის აღნიშნული. მაგ. ქართლში არსებობს შავი, **დიღმურად** წოდებული, ყურძნის ჯიში, რომელსაც **სხვილმარცვალა**-საც ეძახიან. ხოლო კახეთში არის **წვრილმარცვალა**-დ სახელდებული ჯიში, სამეგრელოში-კი გავრცელებულია ყურძნის ჯიში, რომელსაც **ჩე-ჭიპეში** ეწოდება. იქითგან ეს ჯიში და თვით სახელიც გურიაშიც არის შეტანილი, სადაც **ჩუპეწი** ჰქვიან, ხოლო გურიითგან იგი აჭარაშიც შეუთვისებიათ, სადაც სახელად **ჩიჭიბე**-ა მიღებული. ამ ჯიშის აჭარული სახელი ცხად-ჰყოფს, რომ წინათ გურიაშიც ამ ჯიშის სახელს თავში **ჩე** უნდა ჰქონოდა.

ჩეჭიპეში მეგრული სახელია და თეთრ (**ჩე**) წვრილისას (**ჭიპე**-ში) ჰნიშნავს. რა თქმა უნდა, რომ ეს სახელი ყურძნის წვრილმარცვლიანობას ჰგულისხმობს.

მარცვლის სიმსხოს გარდა, ქართველ მევენახეს ყურძნის ჯიშის განმასხვავებელ ნიშნად მარცვლის მოყვანილობაც მიუჩნევია და ეს გარემოება ყურძნის ამათუიმ ჯიშის აღსანიშნავად გამოუყენებია.

ერთი ამ სახელთაგანი ჯიშის რგვალმარცვლიანობას ახასიათებს. სახელდობრ, კახეთში არის ᲠᲒᲕᲐᲚᲧᲣᲠᲫᲔᲜᲐ, ხოლო სამეგრელოში ყოფილა ყურძნის ჯიში რომელსაც ᲩᲔᲠᲒᲕᲐᲚᲘ ჰრქმევია. ეს მეგრული სახელი თეთრ (ᲩᲔ) რგვალსა ჰნიშნავს. საფიქრებელია, რომ წინათ ᲠᲒᲕᲐᲚᲘ-ს სახელი ყურძნის ჯიშისათვის კახეთსა და სამეგრელოს გარდა, საქართველოს სხვა თემებსაც ექმნებოდათ და ეგების სადმე ეხლაც იყოს დაცული.

მარცვლისავე მოყვანილობის დამახასიათებელ ყურძნის ჯიშთა სახელების ჯგუფს ᲗᲘᲗᲐ-ც მიეკუთვნება, რომელიც საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და ალმ. საქართველოშიც, კახეთს, ქართლში, სადაც მისი ყვითელი, თეთრიცა და შავი სახესხვაობაც არსებობს, სამცხეშიც მოიპოვება და ლიხთიმერეთის ოთხ თემშიც არის, არგვეთსა, რაჭახა, ლეჩხუმსა და გურიაში. ხოლო სამეგრელოში გავრცელებული სახელი ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲞᲘᲗᲘ, ანუ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲘ-ც იმავე, ანდა მსგავსი ყურძნის ჯიშის სახელი უნდა იყოს.

ცხადია, რომ ᲗᲘᲗᲐ ყურძნის მარცვლის თითის მაგვარად გრძელი და რგვალი მოყვანილობის აღსანიშნავად გამოყენებული სახელია.

საგულისხმოა, რომ კახეთში, მევენ.-მეღვინ. ინსტ.-ის ცნობით, ᲗᲘᲗᲐ ᲑᲣᲓᲔᲨᲣᲠᲘ-ს სახელიც არის, რომელიც ᲗᲘᲗᲐ-ს თავდაპირველს მნიშვნელობასა და მარცვლის მოყვანილობის აღმნიშვნელობას მკაფიოდ ამჟღავნებს.

თითას მსგავსად, არსებობს ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣᲐ-ც, რომელიც ყურძნის ჯიშის სახელად კახეთში, და სამცხეშიც არის მიღებული და გურიასა, აჭარას, შავშეთსა და კლარჯეთშიცაა გავრცელებული. ამ ორ უკანასკნელ თემში ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣᲐს თეთრიცა და შავი სახესხვაობაც არის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ყურძნის ჯიშის სახელი ფერის გამომხატველი არ უნდა იყოს. მაშასადამე, ისიც ყურძნის მარცვლის მოყვანილობის დამსგავსებითს სახელს უნდა წარმოადგენდეს.

საინგილოში არსებობს ყურძნის ჯიში, რომელსაც ᲥᲔᲩᲘ-ᲔᲛᲩᲐᲒᲘ ეწოდება, რაც თურქულად თხის ჯიქანს ჰნიშნავს. ეს სახელი საქართველოს ამ თემში-ჰერეთში, მოსახლეობის ნაწილის გამაჰმადიანება-გათურქების დროს უნდა იყოს უკანასკნელ საუკუნეებში შესული. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ნათქვამი აქვს, რომ ᲥᲔᲩᲘ-ᲔᲛᲩᲐᲒᲘ იგივე თითა-აო (იხ. აქვე გვ. 401), მაგრამ უფრო ზედმიწევნითი იქმნებოდა ამ თურქული სახელის ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣᲡ მსგავს სახელად მიჩნევა. რაკი ცხენის-ძუძუ კახეთშიც არის, ამიტომ საფიქრებელია, რომ ცხენის-ძუძუდ წოდებული ყურძნის ჯიში წინათ მთელ ალმ. საქართველოში იქმნებოდა და რომ ჰერეთში, საინგილოში, ეს ქართული სახელი მოსახლეობის ნაწილის გამაჰმადიანება-გათურქების დროს მონათესავე თურქულ სახელად შეცვლილა.

ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲫᲣᲫᲣᲐს ყურძნის ჯიშის მარცვალი მოყვანილობით თითად წოდებული ჯიშის მარცვლისაგან იმ მხრივ უნდა განსხვავდებოდეს, რომ, მას ძუძუს მსგავსად, თავ-სხვილი, ბოლოსკენ დაწვრილებულ-წაგრძელებული მოყვანილობა ექნება.

ყურძნის ჯიშის არაერთი სახელი მისი მარცვლის კანის თვისების დამახასიათებელია. მაგ. საინგილოში ერთ ჯიშს, რომლის მარცვალი თხელკანიანია ᲗᲮᲚᲐᲤᲐᲓ ეწოდება. გურიაში გავრცელებული ᲗᲫᲕᲚᲐᲤᲐ-ც, ეჭველია, იგივე სახელი უნდა იყოს. თუმცა არც ამ ჯიშის აღწერილობა მოიპოვება სადმე, მაგრამ, რაკი ᲗᲮᲚᲐᲤᲐᲓ უნდა „თხელაპკად“-საგან იყოს წარმომდგარი, ამიტომ

უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ყურძნის დამახასიათებელ თვისებად ხალხს მისი მარცვლის თხელკანიანობა მიუჩნევია.

რათგან ამ ჯიშის სახელი საქართველოს ორ უკიდურეს თემში, საინგილოსა და გურიაშია დაცული, ამიტომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძველად ეს ჯიშიცა და ეს სახელიც მათ შუა მდებარე საქართველოს დანარჩენ თემშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ამპელოგრაფების მოვალეობაა გამოარკვიონ, საინგილოს თხლაშაჲ და გურიის თძვლაშა ჯიშობრივად სრულ იგივეობას წარმოადგენენ, თუ მათ შორის რაიმე განსხვავება მაინც არსებობს.

ყურძნის მარცვლის კანის სწორედ ამის საწინაამდეგო თვისების, სქელკანიანობის, გამომხატველი სიტყვებიც გამოუყენებია ქართველ მევენახეს ყურძნის ჯიშის სახელად. ქართლში, დილომში, დაცულია ერთი თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც კაკნატელა ეწოდება, ზოგი მას თურმე ძიშურხას ეძახის. როგორც უკვე დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 422), კაკნატელად წოდებულ ყურძენს „სქელკანიანი და ხორციანი მარცვალი ასხია“ ისე, რომ ჭამის დროს, კბილის მოხვედრისას მარცვალს კნატუნი გააქვს“-ო. მარცვლის სწორედ ასეთი სქელკანიანობის თვისების დამახასიათებელია ამ ჯიშის სახელი კაკნატელა.

კახეთში-კი კნატუნა ყურძენი-ს სახელი არსებობს.

ყურძნის მარცვლის ხორცკანის სისქისავე გამომხატველი სახელი უნდა იყოს იმერეთსა და რაჭაში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც კრახუნა ეწოდება. ამას სიტყვა კრახუნი-ს ჩვეულებრივი მნიშვნელობა გვაფიქრებინებს. დას. საქართველოში კრახუნი კნატა კნუტს, კნატუნს ჰნიშნავს. ვ. ბ ე რ ი ძ ი ს განმარტებით, „კრახუნი ტკვერა, თხილისა და მისთანა მტვრევა და ჭამაა“. ამბობენ: „თხილი ბევრი ვაკრახუნე, მარა კუჭს ვერაფერი უშველა“-ო (იხ. სიტყვის-კონა იმერულ და რაჭული თქმათა, 25).

ამ ჯიშის სახელისდა მიხედვით კრახუნა-ს სქელ-ხორც-კანიანობის ჩვენს ზემომოყვანილ მოსაზრებას, თითქოს ამ იმერული ჯიშის ყურძნის თავის ადგილას (იხ. აქვე გვ. 437) მოყვანილი აღწერილობა ეწინააღმდეგება, რათგან იქ კრახუნას მარცვალი, თუმცა ხორციანად, მაგრამ თხელ-კანიანად და ნაზად არის მოხსენებული, მაგრამ აქ რომ რაღაც შეცდომა, ან გაუგებრობა უნდა იყოს, ამას, ამ ჯიშის სახელის მნიშვნელობის გარდა, კრახუნა-ს რაჭული დახასიათებაც ცხადჰყოფს რაჭველთა სიტყვით (იხ. აქვე გვ. 446) კრახუნას „ყურძენს რომ ვსჭამთ ხოლმე, პირში სკდება, კრახუნობს“-ო. ამნაირად, კრახუნა მართლაც ამ ჯიშის ყურძნის სქელ-ხორც-კანიანობის მაუწყებელი ყოფილა.

შესაძლებელია სახელთა ამავე ჯგუფს სამეგრელოში გავრცელებული შავი მახვატელი-ც ეკუთვნოდეს. 79 წ. მოხუცის ს. ონტოფის მცხოვრების ბ ე ს. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი ს ცნობაში ოხვატუ ა დასახელებული, რომელიც მისი სიტყვით მაღლარი ჯიში ყოფილა, „კარგად ისხამდა, ყურძენს შავს ისხამდა“ და რომლისგანაც „ღვინო გამოდიოდა თხელი კარგი და შედარებით მაგარი“. უეჭველია მახვატელი და ოხვატური ერთიდაიგივე ჯიშის სახელები უნდა იყოს ისევე, როგორც სხვა წყაროებში მოხსენებული მახატური-ც. მეგრ. ხვატუა ქვეტას, კნატუნს, ტკვერვასა ჰნიშნავს და ზემომოყვანილი სახელებიც ამ ჯიშის ყურძნის სწორედ ამ სქელკანიანობის გამომხატველებია. მათგან ოხვატუ

წმინდა მეგრული წარმოების სახელია, დანარჩენს ორს-კი თ-ს მაგიერ მა თავსართი აქვს.

ყურძნის ორი ჯიშის სახელწოდებად მარცვლის კუნწზე დამაგრებულობის შედარებითი სიმტკიცის დამახასიათებელი სიტყვაა გამოყენებული. ლეჩხუმში არსებობს თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც **უნწ-მაგარა** ს ეძახის ხალხი. ხოლო კახეთში და რაჭაში გავრცელებულია ყურძნის თეთრივე ჯიში, რომელსაც **მცვივანი** ჰქვიან. გურიაში ერთი შავი ჯიშის სახელად **მცვივანი**-ც იხმარება, მაგრამ არსებობს შავივე ჯიშიც, რომელსაც **მცვინარა**-ს ეძახიან.

ცხადია, რომ **უნწმაგარა**-ს ყურძენს მარცვალი კუნწზე ჩვეულებრივზე უფრო მტკიცედ ექმნება დამაგრებული. **მცვივანი**-სა და **მცვინარა**-ს ჯიშებს-კი პირიქით კუნწ-მარცვალს შორის კავშირი იმდენად სუსტი ჰქონია, რომ მარცვალი კუნწს ადვილად შორდება და მტევანს მარცვლები ადვილად სცვივა.

შესაძლებელია, შავი ჯიშის მეგრული სახელი **მაჭკვატური**, როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა ფიქრობს, ნამდვილად **მაჭყვატური** იყოს და მეწყვეტსა ჰნიშნავდეს. მაშინ ეს სახელიც მარცვლის (ან ეგების მტევნის?) ადვილი მოსაწყვეტობის გამომხატველი, მცვივანის მსგავსი სახელწოდება გამოდგებოდა.

მარცვლის თავისებური თვისებისავე აღმნიშვნელია **მწვანეს** ერთი სახესხვაობის სახელად ქცეული **მჭკნარა**, რომელიც კახეთშია გავრცელებული. მაგრამ წყაროებში აღნიშნული არ არის მარცვლის ის თვისება, რომელმაც ქართველ მევენახეს ამნაირი სახელი დაარქმევინა.

ამპელოგრაფიული სრული აღწერილობის უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, თუ ვაზ-ყურძნის ჯიშის რომელი თვისების დამახასიათებელი უნდა იყოს შავშეთ კლარჯეთში გავრცელებული სახელი **შიშველი**. ვიცით მხოლოდ, რომ წითელი, საშუალო სიდიდის მარცვლიანი, საჭმელი ყურძენია (იხ. აქვე გვ. 468), მაგრამ არც ერთი ამ ნიშანთაგანი, ცხადია, ამ ჯიშის **შიშველ**-ად სახელდების ასახსნელად არ გამოდგება. შესაძლებელია, რომ აქ ან მარცვლის კანის უცვილიანობა იგულისხმებოდეს, ან ვაზის ფოთლის უბუსუსობა. პირიქით კახური სახელი **ნაბადა მწვანე** საფიქრებელია ამ ვაზის ფოთლის სწორედ უხვი ბუსუსიანობის გამომჟღავნებელი სახელი უნდა იყოს, ლათინური lanata-ს მსგავსად.

§ 6. მარცვლის ფერის მაუწყებელი ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი.

საქართველოს სხვადასხვა თემში გავრცელებული იყო ყურძნის ჯიშების სახელები, რომელნიც მათი მარცვლების შეფერადების აღმნიშვნელია, მაგ. კახეთში და აჭარაში არსებობს ჯიში, რომელსაც **შავი-ყურძენი** ჰქვიან სახელად, ხოლო იმერეთში არგვეთულ საფერე-ს მეორე სახელად **შაბა**-საც უწოდებენ. გურიაშიც არსებობდა ჯიში, რომელსაც **შავყურძენა** ერქვა. შავშეთ-კლარჯეთშიც ერთ ყურძნის ჯიშს **შავროჭპი** ჰქონია სახელად. რაკი შავი ფერი სხვადასხვა ჯიშის ყურძენს აქვს, ამიტომ გამოსარკვევია **შავი ყურძენი**, **შაბა** და **შავყურძენა** ერთისადაიმავე, თუ სხვადასხვა ჯიშის სახელად უნდა იქმნეს ცნობილი. ამასვე უნდა მეგრული **უჩაც** დაემატოს, მაგრამ იქ ეს სიტყვა ჯიშისა-კი არა, არამედ მისი მხოლოდ ფერის (ხარდანი უჩა) განმასხვავებლად გვევლინება.

ასეთივე თვისების სახელია ქართლში **ფერადი**, რაჭაში **ფეროვანი**, ანუ **ფერუანი**, გურიაში **წითლიანი** და სამეგრელოში **ჭითაში**. უკანასკნელი ორის მნიშვნელობა იმდენად ცხადია, რომ ამ ყურძნის ჯიშების წითელფერიანობა უეჭველია, **ფერადი**-სა და **ფეროვანი**-სა, ანუ **ფერუანი**-ს ნამდვილ ღლმნიშვნელობას-კი განმარტება სჭირდება.

ფერი ქართულად მარტო ფერადს-კი არ ჰნიშნავს, არამედ კონკრეტულად წითელ ფერადაც იგულისხმება. ეს უცილობლად იმ სიტყვით, ფერ-უმარილი-თაც მტკიცდება, რომელიც ქალის სახის წითლად და თეთრად შესაფერადებლად განკუთვნილ ორ სალებავს ეწოდება. უმარილი, როგორც ცნობილია, თეთრი სალებავის სახელია, **ფერი**-კი წითლისაა, საგულისხმოა, რომ ჰანურადაც **ფერე** ფერადსაც და პირისახის შესაფერადებლად განკუთვნილ წითელ სალებავსაც ჰნიშნავს (იხ. ნ. მ ა რ რ ი ს ჭ. გ. 193).

ამნაირად, ირკვევა, რომ **ფერადი**, **ფეროვანი** და **ფერუანი** მნიშვნელობით **წითლიანი**სა და **ჭითაში**-ს სრულ შესატყვისობას წარმოადგენს. მაგრამ, რაკი წითელი ფერი შესაძლებელია სხვადასხვა ჯიშის ყურძენხა ჰქონდეს და აქვს კიდევაც, ამიტომ ზემოდასახელებულთა ჯიშებრივი ნამდვილი რაობა უნდა განსაკუთრებით იყოს განხილულ-გამორკვეული.

მთელ საქართველოში იყო გავრცელებული ყურძნის ერთი ჯიშის სახელი, რომელიც კახეთში **მულრიად** გამოითქმოდა, ქართლში **ულია**-დ, იმერეთში **ბულია**-დ და შავშეთ-კლარჯეთში კიდევ **ჯლე**-დ. ყველგან ეს ჯიში შავისა და წითელი ყურძნის ჯიშთა ჯგუფშია მოხსენებული. კახეთში მოვარდისფეროა, ქართლშიც თეთრ-წითელია. დ ო მ ე ნ ი კ ა ჩ ი ხ ლ ა ძ ი ს ცნობით **ბულია** იმერეთში მოვარდისფერო-მონარინჯისფერო ყურძენია. უეჭველია ეს სახელწოდებაც მარცვლის შეფერადების გამომხატველია. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით **ულალი**, ანუ „**უალი** შავ-მოწითალო" ფერის ალმნიშვნელი ყოფილა.

მარცვლის მწვანე ფერის სახელი ყურძნის ჯიშის სახელწოდებად მთელ ხართველოში იყო და არის ეხლაც გავრცელებული. კახეთითგან მოყოლებული აჭარამდე. კახეთის განთქმული ჯიშის **მწვანე**-ს გარდა, **ოკრიბული მწვანეს** სახელიც არსებობს ლეჩხუმში და **იმერული მწვანე** სამეგრელოში. ხოლო აჭარაში **მწვანაძ**, ანუ **წვანაძ**, შავშეთ-კლარჯეთში-კი **მწვანურა** ეწოდება.

ყურძნის არაერთი ჯიშის განმასხვავებელ სახელწოდებად ქართველ მევენახეს მარცვლის თეთრ-ფერიანობა მიუჩნევია. მაგ. გურიაში და აჭარაში არსებობდა და არის ეხლაც ჯიში, რომელსაც **თეთრი ყურძენი** ეწოდებოდა, რაჭახა და ლეჩხუმშიც იყო **თეთრა**-დ წოდებული ყურძნის ჯიში. ამავე ორს თემში **თეთრა-წმინდა**-დ სახელდებული ჯიში, თუ სახესხვაობაც მოიპოვება.

კახეთშიც არსებობს ერთი ჯიში, რომელსაც **თეთრი-ყურძენი** ეწოდება, მეორეს კიდევ **იისფერი** ჰქვიან, მესამეს **ოქრო-ყურძენს** ეძახიან.

გურიაშიც ერთ ყურძნის ჯიშს **თეთრიშა** ეწოდებოდა, სამეგრელოში-კი **ჩეში**-ს სახელწოდებით ცნობილი ჯიში ყოფილა, რომლის სახელიც აგრეთვე თეთრისას ჰნიშნავს.

რაკი თეთრად ბევრი ხულ სხვადასხვა ჯიშის ყურძენია შეფერადებული, ამიტომ ზემომოყვანილი სახელების მქონებელი ყურძნების ჯიშობის, თუ სხვადასხვაობის საკითხი განსაკუთრებით უნდა იქმნეს განხილული.

დასასრულ, აჭარაში დაცული ერთი თეთრი ჯიშის ნიშანდობლივ თავისებურებად მისი მარცვლების გამჭვირვალობაა მიჩნეული და სწორედ ამიტომვე უნდა ბროლა სწოდებოდა.

ქართლში, ატენის მიდამოებში, გავრცელებული მომწვანო-მოქარვისფერო მარცვლიანი, ჩინური-ს სახელწოდებით ცნობილი ყურძნის ჯიში, რა თქმა უნდა, სადაურობის აღმნიშვნელი არ უნდა იყოს და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნითგან, ჩინეთითგან, არ იქმნება მოტანილი. მისი სახელი ყურძნის ამ ჯიშის მარცვლების ფერის მაუწყებელი უნდა იყოს. ჩინი ძველ ქართულში საბას განმარტებით, „ზეთისხი[ლი]ს ფოთლის ფერი“-ს აღმნიშვნელია. ამ ახსნის სისწორე ლექსიკოგრაფს 2 სჯულის წიგნით აქვს დამოწმებული, მაგრამ თავისა და მუხლის დასახელება დაჰვიწყებია. ჩინური ამ ყურძნის ჯიშის სწორედ მარცვლების ფერის გამომხატველი უნდა იყოს. ჩინური ისევეა ნაწარმოები, როგორც მწითური და ზეთისხილის ფოთლის ფერსა ჰნიშნავს. მართლაც ჩინურ-ად სახელდებული ყურძნის მარცვლებსაც ხომ მომწვანო-მოქარვისფერო ელფერი აქვს.

სამეგრელოს განთქმული ყურძნის ჯიშისა და ღვინის სახელი ზერდაგი-ც, რომელსაც ვახუშტიც იხსენიებს, აგრეთვე ფერის აღმნიშვნელ სიტყვას წარმოადგენს. ზერდაგი სპასურითგან შეთვისებული სიტყვაა და ძველ ქართულში მოოქროსფეროს, მოყვითანოსა ჰნიშნავდა. სწორედ ასეთი ფერი ჰქონია ამ ჯიშსაც.

საფიქრებელია, რომ მარცვლის ფერის დამახასიათებელ სახელწოდებათავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდენ ქართლში გავრცელებული თეთრი ღრუბელა, სამთელა და ჵრელყურძენა-ც.

ყურძნის ნაწილობრივი შეფერადებაც არის ჯიშ-სახესხვაობის ნიშანდობლივ თვისებად და სახელად გამოყენებული. მაგ. იმერეთში არსებობდა ერთი ჯიში ყურ-წითელა-დ წოდებული, და კიდევ ერთი სხვაც, რომელსაც თავ-წითელა ჰრქმევია. რაკი ორივე თეთრი ყურძნის სახელი ყოფილა, ცხადია, რომ სიწითლე მას მხოლოდ ერთს, გარკვეულ ალაგას ჰქონია, რომლისთვისაც ხალხს ერთ შემთხვევაში ყური, მეორეში-კი თავი უწოდებია. საძწუხაროდ არც ყურწითელა და არც თავწითელა ამპელოგრაფიულად არავის აუწერია, რომ გამორკვეულიყო, თუ მტევნის, ანდა მარცვლის რომელი ნაწილი იგულისხმებოდა თავადა და ყურად.

§ 6. ყურძნის გემოს და სურნელოვანობის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი.

რამოდენიმე სახელი ყურძნის ჯიშის გემოს გამომხატველიც არის. ცხადია, რომ ასეთი სახელი მხოლოდ ისეთ ჯიშს დაერქმეოდა, რომლის გემოც ყურძნის ჩვეულებრივი გემოსაგან განსაკუთრებით განსხვავდებოდა. ქართლში მაგ. მოიპოვება ყურძნის ჯიში, რომელიც მეტად თხელკანიანი და უაღრესად ტკბილია. ამიტომ მისი კანი დამწიფებისას ადვილად სკდება და სიტკბოს გამო მას აუარებელი ბუზი ეხვევა ხოლმე. სწორედ ამიტომ მას ხალხმა ბუზის ყურძენი უწოდა. საბუზე ყურძენ-საც უწოდებენ.

პირიქით, რაჭაში იყო შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც მჟაველა ეწოდებოდა, ხოლო სამეგრელოში არსებობდა თეთრი ყურძენი, ქმაჭახურად სახელ-

დებული. ცხადია, ორივე ზემოდასახელებული ყურძნის ჯიში მეტად მჟავე უხდა ყოფილიყო.

არსებობს ყურძნის ერთი ჯიში, რომელსაც ქართლში **შაბა**-ს, კახეთში-კი **შაბია**-ს ეძახიან. ასეთი სახელი იმიტომ ეწოდება, რომ ეს ყურძენი მეტის-მეტად **მწკლატეა** და ტანინის დიდ რაოდენობას შეიცავს.

დასასრულ, **სამეგრელოსა** და **გურიაში** გავრცელებულია ყურძნის ჯიში, რომელსაც **კოლოში** ჰქვიან. იქ **ჩეკოლოში**-ც არსებობს. უკანასკნელი სახელი **თეთრ (ჩე) კოლოშსა** ჰნიშნავს. **კოლო**-კი, როგორც პარკოსანი მცენარეებისა და მტილეულობის განხილვის დროს დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 64) მწარესა და ცხარეს ჰნიშნავს. ამიტომ, თუმცა არც კოლოშისა და არც ჩეკოლოშის თვისებების აღწერილობა არ მოგვეპოვება, მაგრამ სახელი ამ ჯიშის ყურძნის გემოს დამახასიათებელ თვისებას მაინც ამჟღავნებს.

ყურძნის ჯიშის თავისებური სახელია „**საკმელა**". ცხადია, რომ ეს სახელი შედარებაზე უნდა იყოს დამყარებული. მაგრამ გამოსარკვევია, თუ საკმელის რომელი თვისება, ფერი, თუ სურნელოვანება იგულისხმებოდა, რომ ყურძნის ამ ჯიშს საკმელას სახელი უწოდეს?

საკმელა-ს გავრცელების არე საქართველოში ჩვენი სამშობლოს უკიდურესი აღმოსავლეთი თემითგანვე, **საინგილოთგანვე**, იწყებოდა. იქ ეს ჯიში „**სურნელოვანი** გემოს ყურძენია, ნაზი, მწყაზარიო". არსებული ცნობების მიხედვით აღმ. საქართველოს თემებში **საკმელას** ყურძნის ჯიში არა ჩანს. დას. საქართველოშიც მხოლოდ **გურიაში** მოიპოვებოდა. მაგრამ, რაკი ძნელი დასაჯერებელია, რომ ყურძნის ეს ჯიში გურიაში უშუალოდ საინგილოთგან ყოფილიყო გადატანილი, ამიტომ **საფიქრებელია, რომ საკმელას ყურძნის ჯიში** წინათ და ძველად **ალმ. და დას. საქართველოს სხვა თემებშიც უნდა ყოფილიყო** და მხოლოდ დროთა განმავლობაში იქმნება იქ ეს ჯიში გამქრალი ანდა იშვიათ, უმნიშვნელო ჯიშად ქცეული.

აღსანიშნავია, რომ **საკმელა**-ს სახელის მქონებელი ყურძნის ჯიში ამიერკავკასიის თურქთა მოსახლეობაში, არსებული ცნობების მიხედვით, თითქოს არა ჩანს, სამაგიეროდ იგი საკმაოდ ფართოდ იყო სომეხთა შორის გავრცელებული. ეს საგულისხმო გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ყურძნის ეს ჯიში უმთავრესად ქრისტიანთა შორის ყოფილა ცნობილი.

ყურძნის ჯიშის სურნელებისავე გამომხატველი სახელი უნდა იყოს მევენ.-მეღვინ. ინსტ.-ის ცნობით კახეთში არსებული **სულიანი-ყურძენი**-ც, რომლის სამწუხაროდ არც ფერისა და არც სხვა თვისებებზე და არც გავრცელების არეს შესახებ არა ვიცით რა.

თავი XVI. ყურძნის ჯიშების სამეურნეო დანიშნულების მაუწყებელი სახელები.

პ. ყ ა ნ დ უ რ ა ლ ო ვ ს თავის ნაშრომში ნათქვამი აქვს, რომ ქართლში მევენახეობას განსაკუთრებით ღვინის დასაყენებლად მისდევდენ და თანაც დამატებული აქვს, რომ სალვინე და საჭმელი ყურძნის ჯიშების მკაცრი კლასიფიკაცია არც არსებობსო (იხ. СбСВВК, VIII, გვ. 37). სხვანაირად რომ ითქვას, ქართლში ამ ორი ჯგუფის ყურძნის ჯიშებს მოსახლეობა თითქოს თვითონაც ხეირიანად ვერ უნდა არჩევდეს. ამნაირი აზრი საკმაოდ გავრცელებული იყო და არის ეხლაც.

ამ აზრის სრული მცდარობა ადვილი დასამტკიცებელია და ეს გარემოება ყველასათვის, ვინც-კი ყურძნის ჯიშების ქართულ სახელებს ჩაუკვირდება, უმალ ცხადი შეიქმნება. ქართველ მევენახეს არამც თუ ყურძნის ჯიშთა ამ ორი მთავარი ჯგუფისათვის, არამედ სხვა სამეურნეო მიზნისათვის განკუთვნილობის აღნიშვნელი სახელებიც-კი შეუქმნია და ყურძნის მრავალრიცხოვან ჯიშთაგან, ამათუიმ სამეურნეო მიზნისათვის განსაკუთრებით გამოსადეგობის მაუწყებელი სიტყვა მის სახელადაც-კი უქცევია.

მაგ. ხამცხეში არსებობდა ყურძნის ჯიში, რომელსაც ავტორთა ცნობით საღვინე ეწოდებოდა. აჭარაშიც შერჩენილია ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც საწური ჰქვიან. საქართველოს ამ თემში, მაჰმადიანობის გავრცელების შემდგომ, მეღვინეობა მოისპო და ეს სახელი, რომელიც ყურძნის ამ ჯიშის დასაწურად და ღვინის დასაყენებლად განკუთვნილობის მაუწყებელია, რა თქმა უნდა, ძველი უნდა იყოს. ცხადია, რომ საღვინე-ც და საწური-ც თავდაპირველად ზოგადი სახელები იქმნებოდა და მხოლოდ შემდეგში, დროთა განმავლობაში, ამ ორი ჯიშის საკუთარ სახელადაც უნდა იყოს ქცეული.

ამ ორ ტერმინს, საღვინე-სა და საწური-ს შორის აღმნიშვნელობის მაინც დიდი განსხვავებაა: საწური თავდაპირველად უფრო ფართო და ზოგადი ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე საღვინე. საწური ყურძნის ყველა იმ ჯიშების ზოგადი აღმნიშვნელია, რომელნიც საჭმელად-კი არა, არამედ მხოლოდ დასაწურავად იყვნენ განკუთვნილნი. დაწურვის შემდგომ ყურძნის წვენს მარტო ღვინის დასაყენებლად არ ხმარობდენ, არამედ ზოგს ტკბილად შენახვას რჩეობდენ, თათარის, ანუ ფელამუშისა და ტყლაპის გასაკეთებლად, ანდა ჩურჩხელების ჩამოსასხმელად, ზოგს ბადაგად დასალევად, თუ სახმარებლად, ზოგს მაჭრის დასაყენებლად, სამაჭრედ გამოყენებას ამჯობინებდენ ხოლმე. ამნაირად, საწური ყურძნის ჯიშებში შესაძლებელია საღვინე-ც ყოფილიყო, სამაჭრედ განკუთვნილიც და სატკბილედ გამოსადეგიც. თვითეულ ამ ქვეჯგუფთაგანსაც თავისი ზოგადი სახელი ჰქონდა. მაშასადამე, საწური ყურძნის ჯიშები შესაძლებელია მხოლოდ საჭმელ ჯიშებს დაუპირისპირდეს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ყურძენს საქართველოში მარტო ღვინის დასაყენებლად არ სწურავდენ, ან უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, დაწურული ყურძნის ტკბილს მარტო ღვინოდ დაყენებულს არ სვამდენ, არამედ მაჭრადაც, ისევე როგორც ტკბილადაც ხმარობდენ. ქართველ მევენახეს ყურძნის ჯიშთაგან გამოუყვია ვაზთა ისეთი ჯიშები, რომლისგანაც, მისი დაკვირვებით, მაჭრის დაყენება სჯობდა. ამ ჯიშისათვის მას სამაჭრე უწოდებია. მისი ორი სახესხვაობა არსებობს,—თეთრიცა და შავიც,—გურიასა და სამეგრელოში მაინც. ეს ჯიში არგვეთსა და სამოქალაქოს, ლეჩხუმში, გურიაში და სამეგრელოშიც არის გავრცელებული, რომელთაგან უკანასკნელ თემში სამაჭრო, რაჭაში-კი, სადაც შავი ყურძენია, სამაჭრია ეწოდება.

გურიაში ამას გარდა ერთი ყურძნის ჯიში იყო, რომელსაც ბადაგი ერქვა. რაკი ბადაგი ყურძნის დადუღებული ტკბილის აღმნიშვნელია, რომლისგანაც ჩურჩხელასა და ფელამუშს, ანუ თათარასაც აკეთებენ და ისედაც სვამენ, ამიტომ საფიქრებელია, რომ ყურძნის ამ ჯიშს შაქრიანობა უხვად უნდა ჰქონდეს და ამ თვისების გამო საბადაგოდ გამოსადეგად მიუჩნევიათ.

ყურძნის ჯიშის ზემოაღნიშნულის მსგავსი თვისებისავე მაუწყებელია კახეთში არსებული ყურძნის სახელი საჩურჩხელე-ც.

ყურძნის ჯიშების სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენების დასპეციალება ქართველ მევენახეს იმდენად შორს წაუმართავს, რომ სადვინედ განკუთვნილ ჯიშთაგან რამდენიმე ყურძნის ჯიშიც-კი გამოუყვია სხვა ჯიშის ღვინოების გასაუმჯობესებლად და ფერის მისაცემად.

თეთრი ღვინოების ღირსების გაუმჯობესებისათვის მწვანე იხმარება, ხოლო წითელი ღვინოებისათვის ღირსება-ფერის მისანიჭებლად ერთი ყურძნის ჯიშია განკუთვნილი, რომელსაც ამის გამო ხალხმა საფერავი და საფერე უწოდა კიდევაც. საფერავი-ს სახელი საინგილოთგან მოყოლებული რაჭამდეა გაბატონებული, ხოლო იმერეთში ოცხანური და არგვეთული საფერეა გავრცელებული, ლეჩხუმში საფერავსაც ხმარობენ და საფერესაც, გურიაში, შავშეთსა და კლარჯეთში ისევე საფერავი ბატონობს.

საქართველოს სხვადასხვა თემში გავრცელებული ყურძნის ჯიშების აღწერილობის გადაკითხვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ შესაფერადებლად ჩვენში რამდენიმე სხვადასხვა ჯიშის ყურძენი (ქართლში მაგ. თავკვერიც) უხმარიათ, ამიტომ საფერავისა და საფერეების ჯიშობრივი რაობა და რიცხვი ცალკე უნდა იქმნეს გარკვეული.

საგულისხმოა, რომ მწვანეს კახეთში თურმე საფენა-საც უწოდებდენ (იხ. აქვე გვ. 410). ეს სახელიც დანიშნულების მაუწყებელი თავსართის მქონებელია, ამიტომ საფიქრებელია, რომ საფენა-ც საფერავის, ანუ საფერეს მსგავსი ტერმინი უნდა იყოს. ეს მოსაზრება მით უფრო დასაჯერებელი, რომ მწვანე-ს წვენსაც თეთრი, უფრო მდარე ღირსების, ყურძნის ჯიშების წვენში განაზავებდენ ხოლმე მათი თვისების გასაუმჯობესებლად.

ცნობილია, რომ ყურძნის მარცვლის კანითგან, ჭაჭითგან, არაყსაც ჰხდიდენ და ჰხდიან ეხლაც. დას. საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთაგან ხალხს ისეთებიც გამოურჩევია, რომელთა ჭაჭად გამოყენება, როგორც ჩანს უფრო ხელსაყრელი იყო. ამ ვაზ-ყურძნის ჯიშისათვის სათანადო სახელიც, სამჭაჭე, უწოდებია. იგი სამოქალაქოსა, სადაც თეთრია, სამეგრელოსა და გურიაშიც არის გავრცელებული, რომლებშიც ასეთი სახელი შავ ყურძენს ეწოდება. მათი ჯიშობრივი რაობაც გამოსარკვევია.

დასაწურად განკუთვნილ ყურძნის ჯიშთა გარდა, არაერთი ისეთი ყურძნის ჯიშიც იყო, რომელიც, თავისი თვისებით ღვინის დასაყენებლად არ გამოდგებოდა, სამაგიეროდ საჭმელად იყო კარგი. ყურძნის ასეთი ჯიშების ნაყოფს ყოველთვის ყურძნად არ სჭამდენ, არამედ ზოგს ჩამიჩად ახმობდენ, ზოგს წნილად სდებდენ. საყურძნედ განკუთვნილ ჯიშებსაც ზოგს დამწიფებისთანავე სჭამდენ, ზოგს უფრო ხანგრძლივ გამოიზოგავდენ ხოლმე. მაგრამ საჭმელ ყურძენსაც, თუ მეურნე ქალაქში, ან მთაში გასაყიდად არ გაიტანდა, ერთბაშად ვერ შესჭამდა. ამიტომ მეხილესაც ქალაქში და მთაში, მეტადრე-კი მევენახეს სოფლად ისეთი ჯიშის ყურძენი უნდა შეენახა, რომ შემდეგში საჭიროებისამებრ გამოეყენებინა. ამის გამო გამოზოგვით საჭმელად და ხანგრძლივ შესანახად განკუთვნილ ყურძნის ჯიშებს გამძლეობა უნდა ჰქონოდათ, რომ გადატან-გადმოტანისა და გამოზოგვის დროს შენახული ყურძენი ადვილად არ გაფუჭებულიყო. ამნაირად, თუმცა უცნაურობა-კი გამოდის, მაგრამ ძველად

(და ნაწილობრივ ეხლაც) საჭმელი ყურძნის ჯიში შესანახავად განკუთვნილი ხილის თვისების მქონებელი უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება მეტადრე მაშინ შეიქმნება ცხადი, როცა გავიხსენიებთ, რომ საწური ყურძნის ჯიშები მოკრეფის უმალ იწურებოდა და ამიტომ ამ ჯიშებს არც შენახვა სჭირდებოდათ და არც ისეთი გამძლეობა, როგორც საჭმელ ჯიშებს.

ზემოთქმულის შემდგომ ძველი ქართულის მცოდნესთვის ადვილი გასაგებია, თუ რის აღმნიშვნელი უნდა იყოს რეალურად **გურიაში დაცული ყურძნის ჯიში**, რომელსაც უკვე საშუალო საუკუნეებისა და მით უმეტეს თანამედროვე ქართველისათვის ისეთი უცნაური სახელი ჰქვიან, როგორიც **სამარხი**-ა.

ეს ყურძნის ჯიში, რომელსაც გურიაში **სამარხი** ეწოდება **ძველი ქართული ჯიში უნდა იყოს**. ამ გარემოებას თვით მისი სახელიც ცხადად ამჟღავნებს. **სამარხი** ისევეა ნაწარმოები, როგორც **სამაჭრე**-დ, **სალვინე**-დ და **სამჭაჭა**-დ წოდებული ყურძნის ჯიშების სახელებია. ამიტომ **ამ ყურძნის სახელიც** უნდა მისი **დანიშნულების გამომხატველი იყოს**. თანამედროვე და საშუალო საუკუნეების ქართულის მცოდნეს უმალ **მარხვა**, **დიდმარხვა**! მოაგონდება და გაიფიქრებს, რომ ეს ჯიში დიდმარხვისათვის განკუთვნილი ყურძნის აღმნიშვნელია. მაგრამ ასეთი მოსაზრების სისწორის დაჯერება ძნელია, რათგან წარმოუდგენელია, რომ მარხვისათვის განსაკუთრებული ჯიში ყოფილიყო, რათგან ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა და არც ექმნებოდა.

მაგრამ **მარხვა ძველ ქართულში თავდაპირველად შენახვას ჰნიშნავდა**. ოთხთავისა და დაბადების ქართულად გადმოთარგმნის დროსაც ამ სახელზმნას წინანდებურად შენახვის და დაცვის მნიშვნელობა ჰქონია. აქეთგანვე იყო ნაწარმოები ტერმინი **ნამარხევი**, რომელიც მინაბარს, მიბარებულს, ანაბარსა ჰნიშნავდა (იხ. ჩემი „ქართული სამართლის ისტორია II ხ, გვ. 466—467).

ზემოთქმულითგან ცხადი ხდება, რომ **სამარხი შესანახავის აღნიშვნელი უნდა ყოფილიყო** ე. ი. **ისეთი ყურძნის ჯიშების** დამახასიათებელი **სახელია, რომელიც** შესანახავად **ყოფილა გამოსადეგი და განკუთვნილი**. **სამარხის**-ს სახელის ჩვენი განმარტების სისწორეს ყურძნის ამ ჯიშის ნიშანდობლივი თვისებაც ამტკიცებს. ერმ. ნაკაშიძეს ნათქვამი აქვს, რომ „**სამარხი ერთი საუკეთესო სუფრის ჯიშია, ყურძენი დიდხანს ინახებაო**“ [1].-ამ თვისების გამოხატვა უძველეს ქართულში, როგორც დავრწმუნდით **მარხვა** სახელზმნისაგან ნაწარმოები სიტყვით შეიძლებოდა და **სამარხი**-ც სწორედ დიდხანს შესანახავად განკუთვნილი და გამძლე ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელია.

რამდენადაც მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს სასოფლო მეურნეობაში შემოსავლის საგრძნობ წყაროს წარმოადგენდა, იმდენად ქართველი მევენახე უნდა ცდილიყო ვაზის ჯიშთა შორის **უხვი მოსავლის უნარიანობის მქონებელი** გამოეყო. მართლაც კახეთში, მევენ.-მეღვინ. ინსტ.—ის ცნობით, ერთი ჯიშიც-კი ყოფილა, რომლის ეს თვისებაც ხალხს მის სახელადაც-კი უქცევია და რომლისთვისაც **მოსავლიანი** უწოდებია.

სასოფლო-მეურნეობის ეკონომიკაში საჭმელად და გასაყიდად განკუთვნილ ჯიშთათვის უაღრესი მნიშვნელობა **ყურძნის დამწიფების დროსა** ჰქონდა და აქვს ეხლაც, ადრე, თუ გვიან შემოდიოდა იგი, რათგან ყურძნის ყველა ჯიში

---

[1] ეს სიტყვები ჩვენგანაა გახაზული.

ერთსადაიმავე დროს არ მწიფდება. ეს საკითხი მნიშვნელოვანი და, შესაძლებელია ითქვას, საბედისწერო იყო და არის სხვადასხვა თემისა და გეოგრაფიულ პირობებში მყოფი მევენახეობისათვისაც, რადგან ზოგან მხოლოდ ადრეული ჯიში იყო და არის გამოსადეგი, ზოგან პირიქით გვიანი უფრო ხელსაყრელი იყო და არის ეხლაც, ანდა ბევრგან ატმოსფერულ მოვლენათა უკულმართობისაგან და მოსალოდნელი ეკონომიური ზარალისაგან თავის დასაცავად და კომერციული თვალსაზრისითაც ხჯობდა, რომ მევენახეს ადრეულიც, ჩვეულებრივიც და გვიანი ჯიშის ყურძენიც ჰქონოდა.

ყველა ამ გარემოებამ მევენახის გულისყური ადრეული და გვიანი ჯიშების ძიებისადმი მიაპყრობინა და ამიტომვე ყველა ქვეყნის მევენახეობას ასეთი ჯიშებიც გააჩნია. საქართველოშიც არსებობს ისე, რომ ზოგიერთი ყურძნის სახელადაც-კი სწორედ ამ თვისების გამომჟღავნებელი სიტყვა იქცა. კახეთში მაგ. არის ჯიში რომელსაც ადრეული ეწოდება. ასეთი სახელის მქონებელი ვაზ-ყურძენი ქართლშიც მოიპოვება, სადაც ამას გარდა ადრიანი, ან ანდრიანი-ც იხმარება. ჩვეულებრივს საუბარში მევენახენი, მეტადრე დას. საქართველოში, ყურძნის ადრეულ ჯიშებს ზოგადად საადრიო-სეძახიან.

იმისდა მიუხედავად, რომ დასავლეთ საქართველოში ბევრი გვიანი ყურძნის ჯიში იყო, გასაოცარი გარემოებაა, რომ იქ ყურძნის ჯერ არც ერთი ჯიში აღნუსხული არ არის, რომელსაც ხახელად ამ თვისების მაუწყებელი სიტყვა ჰქონდეს. სამაგიეროდ ასეთი სახელწოდება ამერეთშია შერჩენილი. სახელდობრ ყურძნის იმ ჯიშებს, რომელნიც მოგვიანებით მწიფდებიან, კახეთში საგვიანო ეწოდება. იქ. მაგ, ჩვეულებრივს გარდა საგვიანო ჟღია-დ წოდებული ჯიშიც არსებობს.

ყურძნის ადრეული, ანუ საადრიო ჯიშის სახელი უნდა იყოს იმერეთხა და გურიაში შერჩენილი ხადადეგო. მისი სახელი დანიშნულების მაუწყებელი სა თავსართისა და დადეგი-საგან არის ნაწარმოები. უკანასკნელი სიტყვა უეჭველია წელიწადის დასაწყისს უნდა ჰნიშნავდეს. ამნაირად ხადადეგო ყურძნის ისეთი ჯიშის აღმნიშვნელია, რომელიც წელიწადის დამდეგისათვის უკვე მწიფე იყო ხოლმე. ცხადია, რომ აქ წელიწადის დასაწყისად იანვარი-კი არა, არამედ ენკენისთვე უნდა იგულისხმებოდეს. მაშასადამე, ხადადეგო ისეთი ჯიშის ყურძნის სახელი ყოფილა, რომელიც 1 ენკენისთვისათვის უკვე საჭმელად ვარგოდა, ე. ი. რომელიც ადრეული იყო.

კახეთში, სადაც ყურძნის საღვინე ჯიშები სჭარბობენ, საჭმელად განკუთვნილ ყურძნის ჯიშებს ა. ფირალოვისა და ს. შავერდოვის სიტყვით სათვალო ყურძენი ეწოდებოდა (СбСВВК VII, 37). მაგრამ საფიქრებელია, რომ სათვალო ყურძენი ყველა საჭმელი ჯიშების ჯგუფს-კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ უმთავრესად ისეთ ყურძნის ჯიშებს, რომელნიც გარეგნულად, შესახედავად და თვალისთვისაც ხახიამოვნო იყო და არის. საფიქრებელია, რომ ასეთ სათვალო ყურძნად მაგ. ხარისთვალაჲ, თითა, ცხენისძუძუ, მელისკუდაჲ და მათი მსგავსი სხვებიც იქნებოდა მიჩნეული.

დასასარულ, ყურძნის ჯიშის ხარისხებრივი და ბატონყმური დანიშნულების მაუწყებელი სახელია ქართლში გავრცელებული ჯიშის საბატონო-ს სახელწოდება, რომელსაც დილმურიც ჰქვიან, მაგრამ, როგორც შემდეგში, სა-

ქართველოში გავრცელებული ვაზ-ყურძნის ჯიშების გაჩენის ხანის განხილვის დროს დავრწმუნდებით, **საბატონო** შედარებით გვიანი სახელია.

ამას გარდა, საქართველოში ერთი ყურძნის ჯიშიც მოიპოვება, რომელსაც სახელად **სააბი** ეწოდება. იგი კახეთშია გავრცელებული, სადაც მისი თეთრიცა და შავი სახესხვაობაც არსებობს, ქართლში მისი შავი სახესხვაობაა მხოლოდ აღნუსხული და რაჭაშიც შავივე გვხვდება.

როგორც თავის ადგილას აღნიშნული მაქვს, **ხააბი** არაბულ-სპარსული სახელია, სადაც **საჰიბი** სწორედ საბატონოსა ჰნიშნავს. ყურძნის ეს ჯიში შირვანსა და შაქშიც და სომხეთშიც არის გავრცელებული. ამ გზითვე უნდა იყოს ეს ჯიში საქართველოში შემოტანილი.

ვაზ-ყურძნის რამოდენიმე ჯიშის სახელი მათი დაბლარად, ანდა მაღლარად გაზრდის განკუთვნილობის გამომხატველია. მაგ. იმერეთში არსებობდა თეთრი ყურძნის ჯიში, **მაღლარი**-ს სახელით ცნობილი, ისევე, როგორც შავს **ადანასურს** მეორე სახელად **მაღლარი**-ც ეწოდებოდა.

ამნაირადვე, ლეჩხუმში იყო შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც **ოჯალეში** ერქვა. მაგრამ იმერეთსა და სამეგრელოში ასეთი სახელის მქონებელი ერთი-კი არა, არამედ რამოდენიმე ჯიშია: მაგ. **შონურს**, ანუ სვანურსაც და **პუმპულასაც** აგრეთვე **ოჯალეშსაც** უწოდებენ. ცხადია, რომ **ოჯალეში** ზოგადი ცნების, სახელდობრ ვაზის მაღლარობის გამომხატველი მეგრული ტერმინია (იხ. აქვე გვ. 448).

პირიქით, **ხარდანი**, სამეგრელოში შავი და თეთრი, გურიაში-კი შავი ჯიშის სახელი და **ფერნახი** შავისა სამეგრელოში ამ ჯიშის ვაზების დაბლარად დაყენების განკუთვნილობის მაუწყებელი სახელებია.

ვაზის დაყენების წესის დანიშნულების გამომხატველია აგრეთვე კახეთში გავრცელებული შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც **ხეივნის-ყურძენი** ეწოდება. როგორც თვით მისი სახელითგანაც ჩანს, ვაზის ეს ჯიში ხეივნად გაშენებისათვის ყოფილა განკუთვნილი.

კიდევ არის რამდენიმე ყურძნის ჯიში, რომლის სახელი თითქოს აგრეთვე დანიშნულების მაუწყებელი სიტყვა უნდა იყოს, როგორც მაგ. შავშეთ-კლარჯეთში გავრცელებული შავი **სალიკლევი**, გურიაში—**საკვირჩხილა** და იმერეთში—**სათიბა**, მაგრამ მათ თვისებათა აღწერილობა არ მოგვეპოვება და ამის გამო მათი სახელის მნიშვნელობის გამორკვევა შეუძლებელია. ამიტომ ჯერჯერობით მათზე არაფრის თქმა არ შეიძლება.

თავი XVII. ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სადაურობის მაუწყებელი სახელების ჯგუფი.

კახეთში, ქართლსა და სამცხეში გავრცელებული ყურძნის ჯიში **ბუდეშური** ამ ჯიშის სადაურობის მაუწყებელი სახელია და საფიქრებელია ბუდეში-თგან უნდა მომდინარეობდეს. მაგრამ, რამდენადაც 5-ვერსიანი რუკის ცნობების მიხედვით მსჯელობა შესაძლებელია, ასეთი გეოგრაფიული სახელი საქართველოში არა ჩანს. არის მხოლოდ ბუდას ხევი ბათომის ოლქში, ბუდელაური მდინარის სახელია თიანეთის ყ. მაზრაში და ბუჯა, რომელიც აგრეთვე ხევის წყლის სახელია არგვეთში. თიანეთი მევენახეობის კერად მისაჩნევი არ

არის, ხოლო ბუჯა და ბუდას-ხევი ბუდეშურის სამშობლოდ იმიტომაცაა ძნელი მისამჩნევი, რომ ეს ყურძნის ჯიში ამერეთს არ სცილდება და ლიხთ-იმერეთში არა ჩანს.

თუ ამ ყურძნის ჯიშის სადაურობას საქართველოს გარეშე დავუწყებთ ძებნას, მაშინ შესაძლებელია **ბუდეშური** დაღესტნის რესპუბლიკის სამხრეთის, რუტულის, კანტონის ბუჯ-ის სახელთან დაგვეკავშირებინა. რუტულურად „**ბუჯელს ბუჯეშურა**" ეწოდება (ბუჯ-ისა და ბუჯელის სახელი იხ. ად. დ ი რ რ ი ს Рутульский яз. ტფილისი 1911 წ., გვ. 184).

ბუჯეშურა ისე მიაგავს **ბუდეშურს**, რომ ამ ორი სახელის იგივეობის აზრის დაჯერება ადვილი იყო, აქ რომ ერთი გადაულახავი დაბრკოლება არ ელობებოდეს წინ. საქმე ის არის, რომ რუტულის კანტონი მთიანეთს წარმოადგენს და, ამ ბუნებრივი პირობების გამო, იქ ალპური საძოვრებია და არყის ხის ტყეა. მოსახლეობაც იქ მესაქონლეობას მისდევს და მემინდვრეობაც-კი რუტულის კანტონში ნაკლებ არის გავრცელებული. თვით ბორჯ-ის მცხოვრებნიც მეცხვარეობას მისდევენ (იხ. Мр. и Нк. Цебенко-ს „Страна здоровья Дагестан", 1929 Даггосиздат, გვ. 232-233). თავისდათავად ცხადია, რომ ამ ადგილას მევენახეობაზე საერთოდ ლაპარაკიც-კი არ შეიძლება, ამიტომ მისი შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრად მიჩნევაც სრული უაზრობა იქმნებოდა.

ზემოაღნიშნული გარემოება, სამხრეთ დაღესტანში, რუტულის კანტონში, **ბუჯად** წოდებული გეოგრაფიული ადგილის არსებობა, მაინც საინტერესოა და საგულისხმო. **ბუჯა**, როგორც დავრწმუნდით, იმერეთშიც, არგვეთშიც არსებობდა. გეოგრაფიული სახელების მიგრაციის მრავალი შემთხვევის გამო თვით საქართველოშიც-კი, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი სახელის მქონებელი ადგილი ოდესღაც შესაძლებელია აღმ. საქართველოში და ძველ ალბანეთშიც ყოფილიყო ისეთ არეში, სადაც მევენახეობა ბატონობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში და ჩვენი ქვეყნის მტრებისგან მრავალგზისი აოხრების გამო, ეს ადგილიც გამქრალიყო და მევენახეობაც მოსპობილიყო. ზემონათქვამისდა მიხედვით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ **ბუდეშური ამ ჯიშის სადაურობის მაუწყებელი სახელია და მისი სამშობლო, ან აღმ. საქართველოში, ანდა ალბანეთშია საგულისხმებელი. ხოლო, რაკი ყურძნის ჯიშის ასეთი სახელი არც დაღესტანში, არც ყ. ალბანეთში, შირვანსა და შაქში, და არც სომხეთში არსად მოიპოვება, ამიტომ ბუდეშური აღმ. საქართველოს ჯიში უნდა იყოს.**

წობანური თავისი ბოლოსართი ური-თ ცხად-ჰყოფს, რომ ყურძნის ამ ჯიშის სახელი მისი სადაურობის აღმნიშვნელია. ამისდა მიხედვით უეჭველია „**წობანი**" იმ ადგილის სახელი უნდა იყოს, საითგანაც ეს ჯიშია წარმოშობილი. კახეთში მართლაც არსებობდა ასეთი-კი არა, არამედ ამის მაგვარი სახელი: იყო თემი და სოფელი, რომელსაც **წობენი** ერქვა. როგორც მე-VII—XII ს.ს. საქართველოს საისტორიო გეოგრაფიაში მაქვს აღნიშნული, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანეში მოხსენებული **წობენი ერწოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა** (იხ. II[1] 300). **წობენი**-ს თემი, *Ծոբենոր* „წობენორ"-ის სახით, სომხურ უსახელო გეოგრაფიაშიც მოიპოვება და იქაც ერწოსა და თიანეთის გვერდით იხსენიება (იხ. A r s è n e S o u k r y-ის გამოც. სომხ. გვ. 28, შდრ.

ფრანგ. თარგ. გვ. 39, სადაც „Zopenor“-ია დაბეჭდილი). **წობანი** და **წობანის მთა** 5-ვერსიან რუკაზეც არის აღნიშნული წინ-დუშეთის გასწვრივ და მარჯვნივ, არაგვსა და იორს შუა. მაშასადამე, **წობანური** ამ კუთხის ყურძნის ჯიში ყოფილა.

კახეთშივე გავრცელებული ყოფილა ყურძნის ჯიში **ქიშური**. თუმცა მისი ამპელოგრაფიული აღწერილობა და სხვა რაიმე ცნობები არ მოგვეპოვება, მაჭრამ მისი სახელი გვაფიქრებინებს, რომ ყურძნის ეს ჯიში ძველი ჰერეთის, აწინდელი საინგილოს, კარგად ცნობილი **გიშის ხეობითგან** უნდა მომდინარეობდეს. მართალია, უკვე გ ე ე ვ ს კ ი ს ა და შ ა რ რ ე რ ს ნათქვამი აქვთ, თითქოს ქიშური ქისტურს ჰნიშნავდეს („кишури т. е. кистинский“. ТрКОбСХ. 1886 წ., № 12, გვ. 827), მაგრამ ეს განმარტება მცდარია. სპარსეთშიც და ადერბეიჯანში იყო **ქიშ-მიშ-**ად წოდებული ჯიში. შესაძლებელია ვისმე ეფიქრა, რომ **ქიშური** ამ სახელისაგან, რომელიც **ზამთრის** ყურძენსა ჰნიშნავს, წარმომდგარი იყოს. მაგრამ ეს დაუჯერებელია, რათგან ასეთ შემთხვევაში ყიშური გვექნებოდა ქართულში. უფრო საფიქრებელია, როგორც აღვნიშნეთ, რომ **ქიშური** გიშურისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, ე. ი. ოდესღაც **ჰერეთის, აწინდელი საინგილოს, თემის გიშის ხეობის ყურძნის ჯიში ყოფილა და იქითგან იქმნებოდა კახეთსა და ქვემო ქართლში შემოტანილი.**

კახეთში და ქართლში არსებობდა ჯიში, რომელსაც **არაგვისპირული** ჰქვიან. ამ ყურძნის სახელი მის სადაურობას საკმაოდ ამჟღავნებს და ამაზე სიტყვის გაგრძელება, ვგონებ, საჭირო აღარ იყოს.

სადაურობის მაუწყებელ სახელთა ჯგუფს ეკუთვნის **ოჟიური** თეთ., **გავაზურა** თეთ., **სამადაშვილისეული**, **სიმონასეული**, **ჩოკმაშურა**, **ბეჟანურა** და **დამბალა**. პირველი **ს. ოჟიოთგან**, მეორე **გავაზითგან**, უკანასკნელი-კი ქსნის ხეობის ს. დამბალოს ჯიში უნდა იყოს. **სამადაშვილისეული**, **სიმონასეული**, **ჩოკმაშურა** და **ბეჟანურა** ამ სახესხვაობათა შემომტანთა მაუწყებელი სახელებია. ს ტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით ქიზიყში ადგილის სახელი **ობაყალი** არსებობს, სადაც ვენახებია გაშენებული და **ობაყლური**, ანუ **უბაყლური** იქაური იქმნება. **ასანბეგური**-ც ამავე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს.

ქართლში გავრცელებული ყურძნის ჯიშთაგან სადაურობის მაუწყებელი სახელების მქონებელია: **დილმური**, ანუ **საბატონო**, **კასპური**, **გორულა**, **გალმამხრული** და **დანახარული**. ამათგან **გალმამხრული** უნდა **კახეთის გაღმა მხრის თემისა** იყოს და გაღმა მხარითგან მომდინარეობდეს, **დილმური ს. დილმითგან**, **კასპური ს. კასპითგან**, **გორულა გორითგან**. **დანახარული** თითქოს დანახარითგან, ან დანახარისითგან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ ასეთი გეოგრაფიული სახელი ჯერ ცნობილი არ არის, არც ძველი წყაროებისა და არც თანამედროვე ცნობებით.

არგვეთში და **სამოქალაქოში** გავრცელებულ ყურძნის ჯიშთაგან შემდეგი სახელებია წარმოშობილობის მაუწყებელი: **ძარღულა**, რომელიც **ქართლითგან** უნდა იყოს, **ოცხანური**, რომელიც სამოქალაქოსა და გურიაშიც არის გავრცელებული, ოცხანითგანაა,—**საათაბაგო**, რომელიც სამოქალაქოშია ცნობილი და **მესხეთის ყურძნის ჯიშია**,—**რცხილათუბანი**, რომელიც ასე სამოქალაქოში იწოდება და რომლის მხოლოდ ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს **გურიაში** გავრცელებული **სხილათუბანი**-ც. უეჭველია, იგი **რცხილათუბნითგან** უნდა მომდინარეობდეს. მაგრამ 5-ვერსიანი რუკის სარჩევში ასეთი სოფელი არა

ჩანს: არგვეთში იქ მხოლოდ რცხილაეთი-ა აღნიშნული. თუ რცხილათობანი სადმე ეხლაც არ არსებობს, წინათ უეჭველია უნდა ყოფილიყო.

სამოქალაქოში არის ვაზი **არგვეთული საფირე**, რომელიც არგვეთის ყურძნის ჯიშად მიუჩნევია ხალხს. ძველად არგვეთი ყ. შორაპნის მაზრის მთელ მიწაწყალს ჰნიშნავდა. თუ ზემომოყვანილ სახელში არგვეთული ამ ფართო, თემური მნიშვნელობით არ არის ნახმარი, მაშინ ამ ჯიშის წარმომშობელად ს. არგვეთი უნდა ვიგულისხმოთ.

არგვეთში აღნუსხული ყურძნის ჯიშის სახელი **ძველოური** ამ ყურძნის სამშობლოდ **ძველო**-ს გვაგულისხმინებს, მაგრამ ამნაირი გეოგრაფიული სახელი 5-ვერსიანი რუკის საძიებელში არ მოიპოვება.

ცოლიკოური-ს სახელის ასახსნელად ადგილობრივ მთელი თქმულება შენახულა[1]. მაგრამ ეს თქმულება ისტორიული გარდმოცემა კი არ არის, არამედ გაუგებარი სახელის ასახსნელად, ხალხური გულუბრყვილო ეტიმოლოგიის წყალობით წარმოშობილს, შენათხზს წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია, რომ **ცოლიკოური**-ს ყურძნის ჯიშის სახელი გეოგრაფიული სახელისაგან იყოს წარმომდგარი, ე. ი. სადაურობის მაუწყებელ ყურძნის ჯიშთა სახელების ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. F. Dubois de Montpéreux-ს თავის მოგზაურობაში აღნიშნული აქვს, რომ ჯრუჭის მონასტერში ყოფნის დროს მისთვის თეთრი მხუხავი ღვინო მიურთმევიათ, რომელიც თურმე თავისი თვისებით შამპანურს უახლოვდებოდა. ასეთი ღვინო, თარჯიმანის დავით მაქავარიანისაგან მიწოდებული ცნობით, შორაპნის ზევით, ყვირილასა და ძირულის შორის მდებარე ცარცოვან ნიადაგზე გაშენებული ვაზის ყურძნისაგან დგებოდა. ამნაირი თვისების საუკეთესო ღვინოდ შორაპნითგან სურამისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ლოზიათხევის სოფ. ცორიხაული-ს ღვინო ითვლებოდა[2] (Voyage autour du Caucase, etc. t. III, Paris, 1831 წ., გვ. 178).

ფრანგი მოგზაურის ზემომოყვანილი ცნობითგან ირკვევა, რომ **ცორიხაული** მე-XIX ს. დამდეგსაც თავისი საუკეთესო ღვინით და, მაშასადამე, ვაზის ჯიშითაც ყოფილა განთქმული. **ცოლიკოური**-ს სახელის ეტიმოლოგიის ძიების დროს ბუნებრივია ამ სოფლის სახელმა ჩვენი ყურადღება მიიპყროს მით უმეტეს, რომ **ცოლიკოური**-ს ვაზის ჯიშიც ხომ სწორედ ამავე მიწაწყლის ვაზს წარმოადგენს და არგვეთის სანახების, ანუ ყ. შორაპნის მაზრის ცარციან ნიადაგზეა გავრცელებული ს. ს. ბაზალეთსა, ლაშესა, თეთრწყაროსა და სხვა სოფლებში ისევე, როგორც ყ. ქუთაისის მაზრის ს. ობჩაშიც (იხ. აქვე გვ. 436).

ფრანგი მოგზაურივით გვლდენშტედტიც ამ სანახებს ლოზიეთ-ხევს (der Distrikt Losietchewi) უწოდებს. მისი ცნობით, ამ სანახებში ყოფილა ცხრაწყარო, ნაური (Nauri), ტაბაკინი, კინოთი, ვარძია, ძალაფორეთი, ხიდარი, კინცხი, Gorinachvili, ილემი, ბირი, წევა, ფუთი, ქორეთი, ტრეიმი და შორა-

---

[1] ვითომც ვილაცას ცოლი მოეკლას და სხვ. და ამისგან იყოს ამ ჯიშის სახელი წარმომდგარი.

[2] J. appris là par l'interprète qu'il croissait dans les terrains crayeux qui sont au-dessus de Sarapana entre la Kvirila et la Dziroula, un vin mousseux blanc qui imitait assez bien le champagne. Le meilleur croit à Tsolikhaouli (sic), dans le Losiatkhévi, en allant de Sarapana vers Souram".

პნის ციხე (Reisen I, 402). ვ ა ხ უ შ ტ ი ამ სანახებს ლომსიათ-კევს უწოდებს (გგ˝რფა 364).

ცოლიკაური უნდა სწორედ ს. **ცორიხაული**-ს ჯიშის სახელისაგან იყოს წარმომდგარი რ და ლ თანხმოვანთა ჩვეულებრივი ადგილმონაცვლებისა და ხ-ს ქ-დ შენაცვლების გზით[1].

ციცქა-დ წოდებული ყურძნის ჯიშის სახელიც საფიქრებელია, სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს და გეოგრაფიული სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ორი ადგილია, რომლის სახელიც ყურძნის ჯიშის სახელს გვაგონებს: ერთი ს. **ციცხი**-ა, რომელიც 5-ვერსიანი რუკის გნ-ზე 60°0—42°15' შუაა მოთავსებული და ჰყვიშსა და ჰყვიშურს შორის მდებარეობს. მეორე **ციცქიური**-ა, რომელიც ქუთაის. ალმ. კომიტეტისაგან 1928 წ. გამოცემულ რუკაზე 43°20'—42°10' მოთავსებული და ძირულის ხეობაში ლაშეს ჩრდილოეთით მდებარეობს. ხოლო აკად. გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს დასახელებული აქვს ს. **ცეცქი** (Zezki) ხაწლახისხევსა და დუმალას შუა (Reisen I, 403).

იმისდა მიუხედავად, რომ კახეთის ყურძნის ჯიშის სახელი **შავ-კაპიტო** და იმერეთსა, ლეჩხუმსა და გურიაში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიში **კაბისტონი**, ანუ, როგორც გურიაში უწოდებენ, **კაპისტონი** ამჟამად სადაურობის მაუწყებელ სახელთა ჯგუფს არ ეკუთვნის, მაინც სწორედ ამ თვისებისა გახლავთ. პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ცნობით, აფხაზეთში, ეშერას თემში, ს. ფშალთილუღში გადმოსახლებული ლაზების სიტყვით, **კაპისტონა** არქაბეს სანახებში მდებარე სოფელი ყოფილა[2]. კაპისტონელი ჭანურად კაპისტონარი იქმნება და სწორედ ამის ბოლო-მოკვეცილ ფორმას წარმოადგენს ყურძნის ჯიშის სახელი **კაპისტონი**-ც. მაშასადამე, ის ჭანური ჯიში ყოფილა.

რაჭაში სადაურობის მაუწყებელი ყურძნის ჯიშების შემდეგი სახელებია გავრცელებული: **არაბული**, რომელიც ლეჩხუმშიც არის, **კახური**, **მოგაზული**, **მუჯურეთული**, **ნაგუთნეული**, **ჭიჭინაური**, **კიდორაული**, **ხოტევური**, **ალექსანდროული**, **ჩაქვინაური** და **მეგრელაური**.

ამათგან **კახური**-ს სადაურობა ცხადია. აღწერილობის უქონლობის გამო, გამოურკვეველი რჩება, თუ რომელი კახური ვაზის ჯიშთაგანი იგულისხმება აქ შემთხვევაში.

მუჯურეთული ალბათ მუჯირეთულისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ს. მუჯირეთი-კი არგვეთშია და ეს ყურძნის ჯიშიც იქაური უნდა იყოს.

ნაგუთნეული, როგორც სახელითგანაც ჩანს, ს. **ნაგუთნი**-თგან უნდა იყოს. ს. ნაგუთნი-კი ამჟამად მხოლოდ ქართლშია. თუ ნაგუთნი წინათაც მარტო ქართლში იყო და საქართველოს სხვა თემში ასეთ სახელიანი სოფელი არ არსებობდა, მაშინ, ცხადია, რომ ეს ყურძნის ჯიში ქართლური უნდა იყოს. მაგრამ ს. ლ ე შ კ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით, რომლისთვისაც მადლობას მოვახსენებ, ლეჩხუმის თემის ს. ორბელში ამ ჯიშს **ნაკუთნოური** ეწოდება. როგორც ჩანს, ამ ჯიშის ნამდვილი სახელი ჯერ გამოსარკვევია.

---

[1] ხ-ს ქ-დ შენაცვლების მაგალითები: ხორბალი—ქობალი, ხჩე—ქჩე (ჭან.), ხჩინი—ქჩინი (ჭან.), ნახშირი—ნოშქერი (მეგრ.) და სხვ.

[2] ამ წერილობითი ცნობის გადმოცემისთვის პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს დიდ მადლობას მოვახსენებ.

ხოტევური, რასაკვირველია, ს. **ხოტევითგანაა, მაშასადამე რაჭული ყურძ-ნის ჯიში ყოფილა.**

ალექსანდროული, რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული რწმენით, თით-ქოს ალექსანდრე იმერთა მეფისაგან, თუ ბატონიშვილისაგან შემოღებული ყურ-ძნის ჯიში უნდა იყოს. მაგრამ რომაელებს ჰქონდათ ყურძნის ერთი ჯიშთაგა-ნი, რომელსაც Alexandrina **ალექსანდრინა** (Plin l. 14, c. 4) ეწოდებოდა, იმიტომ, რომ ეგვიპტის ქ. ალექსანდრიითგან მოტანილი ჯიში იყო (იხ. აქვე გვ. 389). ამის გამო იბადება საკითხი, თუ რამდენად საფუძვლიანია ეხლანდელი რწმენა და აქ ხომ ძველი, უცხოეთითგან შემოტანილი, ჯიშის სახელი არა გვაქვს, რაჭისა და ლეჩხუმის მევენახეობისაგან შემთხვევით შერჩენილი? რაიმე საყრდნობის უქონლობის გამო, ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია.

მეგრელაური რაჭაში, რა თქმა უნდა, **სამეგრელოთგან** არის შესული.

რაჭული ოყურეშული, ცხადია, **ლეჩხუმის** სოფ. **ოყურეში**-თგან შეტა-ნილი ჯიში უნდა იყოს.

იქაურივე **ბახვა**, რა თქმა უნდა, **გურული** ს. **ბახვითგან** მიტანილი, ჯი-ში იქნება.

ნოშრიო-სა, ხროგისა და **ბერბეშოს** სადაურობა არა ჩანს. არც **ჩილვი-ნაური**-სა, **კიდორაულის**, ანუ **კუდურაულის** სადაურობა ირკვევა.

ლეჩხუმში გავრცელებულ ჯიშთაგან სადაურობის მაუწყებელი სახელები შემდეგს აქვსთ: **ადანასურს, არაბოულს, კახურს, ნაგუთნეულს** და **ალექ-სანდროულს**, რომელთაგან უკანასკნელ სამზე უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე გვ. 500).

ამათ გარდა მოიპოვება **უსახელაური**.

ლეჩხუმში გავრცელებული **უსახელაური**-ს ყურძნის ჯიშის სახელი, იმ უცნაური შთაბეჭდილებისდა მიუხედავად, რომელსაც ის ადამიანზე ახდენს, აგ-რეთვე **სადაურობის გამომჟღავნებელია** და ს. **უსახელოს ჯიშის აღმნიშვნელი** უნდა იყოს. **ეს სოფელი** მდ. **იკვიანის ხეობაში მდებარეობს**, რომელიც ძი-რულას შემდინარე დუმალას ერთვის ჩრდილოეთითგან და ქუთ. ალმ. კომიტ. 1928 წ. გამოცემულ რუკაზე 43°20'—42°15' მდებარეობს. **მაგრამ შესაძლებელია იგი ლეჩხუმში მდებარე ს. უსახელო-საგანაც მომდინარეობდეს.**

საფიქრებელია, რომ მევენ.-მეღვინ. ინსტ.-ის ცნობაში კახეთის ჯიშთა შორის შეტანილი **უსახელო**-ც იგივე უსახელაური იყოს.

საირმულა, ცხადია, ს. **საირმის** ყურძნის ჯიში უნდა იყოს. **საირმე**-კი სა-ქართველოში **რამდენიმეა**: ცნობილია ერთი **სამცხეში**, ერთი **სამოქალაქოში** და ერთიც თვით **ლეჩხუმში**. აქაც გამოსარკვევია, თუ ამ ჯიშის სამშობლოდ რომელი ამ სამთაგანი უნდა ვიგულისხმოთ? **უფრო ადგილობრივია საგულის-ხმებელი, რათგან სხვაგან საირმულა არსად ჩანს.**

ორხულა უცილობლად **ლეჩხუმის ადგილობრივი** ყურძნის ჯიში უნდა იყოს, რათგან ს. **ორხვა** სწორედ ამ თემში მდებარეობს.

ქედურა, ცხადია, ს. **ქედითგან** იქნება. მაგრამ ს. ქედი ბათომის სანა-ხებშია, ხოლო **ქედის-უბანი** არგვეთშია, **გეოგრაფიულად** **უფრო** **ბუნებრივია, რომ ეს ჯიში არგვეთითგან იყოს ლეჩხუმში შეტანილი, მაგრამ დანამდვი-ლებით ამის გადაწყვეტა შეუძლებელია, რათგან სახელის მიხედვით უფრო აჭარული უნდა იყოს.**

ლეჩხუმში გავრცელებული ყურძნის ჯიშის **აბხაზური**-ს სადაურობა თა-ვისდათავად ცხადია. სამაგიეროდ არაფრის თქმა შეიძლება **ბერაულა**-სა,

ღარასულა-სა და **ტოჭა**-ს შესახებ, რომელიც, ვგონებ, აჭარაში გავრცელებული ჯიშის პოდი-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს,— ისევე როგორც **ბაბაშას**, **ცხეროხა** და **ცარცხიას** ჯიშების სადაურობაზეც.

სამეგრელოში გავრცელებულ ჯიშთაგან შემდეგი სახელებია სადაურობის მაუწყებელი: **კეთილური**, რომელიც სენაკის სანახების ს. კეთილარი-თგან უნდა იყოს წარმომდგარი, **შონური**, ანუ **სვანური**, ადგილობრივ სვანურ ჯიშად მიჩნეული, **ხოდავათური**, **ჭვიტილური**, **ცხინკილოური**, **ლაგილური**, **ეგორძული**, **მაური** და **მაბრა**, რომელთა სადაურობის გამორკვევა შეუძლებელია, რათგან მათი მსგავსი გეოგრაფიული სახელები, არსებული საძიებლის მიხედვით, არსად ჩანს. მხოლოდ **მაურ**-ზე შესაძლებელია წამოყენებულ იქმნეს საკითხი, რომ შორაპნის სანახებში აკად. გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ა გ ა ნ დასახელებული **ნაური**-საგან ხომ არ არის **მ** და **ნ** თანხმოვანთა შენაცვლების გზით წარმომდგარი?

გურიაში არსებულ ჯიშთა შორის სადაურობის მაუწყებელ ზოგ სახელზე, მაგ. **მაურზე**, **მახატურზე**, და **კეთილურზე**, რომელთაგან უკანასკნელი, როგორც დავრწმუნდით, მეგრული ჯიშია, უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე ზემოთ). დანარჩენთაგან შესაძლებელია დავასახელოთ: **ბერძულა** და **ჩხაბერძული**, რომელნიც ორივე ბერძნული ყურძნის ჯიშები ყოფილა, **მანდიკოური**, რომელიც სამოქალაქოს ს. მანდიკორითგან უნდა იყოს. **ოფოურა**, ან სამოქალაქოსავე ს. ოფეთიხა, ან ჰანეთითგან. **ათინური** ჰანეთის ქ. ათინითგან, **ქვაფათური**, რომელიც აჭარაში გავრცელებული ჯიშის **ხოფათური**-ს ფონეტიკური სახენაცვალი იქმნება. ძველ ქართულ წყაროებში გვხვდება ხუფათი (იხ. ქ˝ლი ერის ისტ. II[1] 336) ჰანეთის ქალაქის ეხლანდელი ხოფე-ს სახელი და საფიქრებელია, რომ **ქვაფათური** და **ხოფათური**-ც სწორეთ ჰანური ყურძნის ჯიშების სახელია. **კლარჯული** თავისდათავად ამ ჯიშს კლარჯეთითგან გვაგულისხმებინებს. **ზენათური**-ც ზენათითგან უნდა იყოს, მაგრამ სოფლის ასეთი სახელი არ ჩანს. სამაგიეროდ არსებობს ზენითი, რომელიც სამოქალაქოს სოფლად ითვლება. **მაგანაყური**-ს სადაურობის გამოსარკვევად-კი ჯერ არავითარი დასაყრდნობი არ მოგვეპოვება.

ჩხაბერძული-ს ბერძნული სადაურობა იმდენად მკაფიოდ აქვს თავისსავე სახელში აღბეჭდილი, რომ ამ ჯიშზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტი იქმნებოდა. თუ **ჩხავერი**-ს მეორე ნახევარი ვერი პირველი ნაწილის დამახასიათებელ სიტყვას არ წარმოადგენს და ზემომოყვანილი სრული სახელის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს, მისი ბერძნულობაც საფიქრებელია. ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა ამ საკითხის გადაწყვეტას შეუძლებლად ხდის.

გურიის ყურძნის ჯიშის სახელი **წიაღომინა**-ც, უეჭველია, სადაურობის მაუწყებელია. იგი **წიაღობინა**-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. ეს უკანასკნელი-კი უნდა სოფლის სახელთან იყოს დაკავშირებული. გურიაში, ტობანიერის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს სოფ. **წიაღობანი**. ასეა იგი ქუთ. ალმ. კომ. 1928 წ. გამოცემულ რუკაზე აღნიშნული (42°20'15''—42°5'), 1906 წ. გამოცემულ 5-ვერსიან რუკაზე-კი **წიაღუბანი**-ა დაბეჭდილი (გ.6 60°00'—42°15': „Цiaryбани“). ამ სოფლის სახელი იმ დროს უფრო სწორედ ყოფილა დაცული, რათგან თავდაპირველად იგი მართლაც „წიაღ-უბანი“-ს აღმნიშენელი იქმნებოდა. ბ-ს მ-დ შენაცვლებით უკანასკნელი ორი მარცვლის ხმოვანთა ადგილმონა-

ცვლებითა და უ-ს ო-დ ქცევით წარმომდგარია **წიალომინა**, რომელიც თავდაპირველად წიალუბანის ვაზის, ანდა ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელი იქნებოდა.

აჭარაში ყურძნის ჯიშთა სადაურობის მაუწყებელი სამი სახელია მხოლოდ: **კლარჯული, ხოფათური** და **მატანაური**. ამათგან პირველ ორზე უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 502). უკანასკნელი, **მატანაური** მატანითგან შეტანილი ჯიში უნდა იყოს. ს. **მატაანი** **საქართველოში, კახეთში,** თიანეთის სანახებში მართლაც არსებობს, მაგრამ საეჭვოა, რომ **მატანაური** თავის სამშობლოდ ამ სოფელს ჰგულისხმობდეს. ამას თანავე **მატანაურის** ჯიშის წარმომშობელი სოფლის სახელი მატაანი-კი არა, არამედ მატანა ყოფილა. ამიტომ ამ ყურძნის ჯიშის ნამდვილი სადაურობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია. აჭარის ყურძნის ჯიშის **შავშური-ს** თვით სახელიც ამტკიცებს, რომ იგი შავშეთითგან შემოტანილი ჯიში ყოფილა.

შავშეთ-კლარჯეთში ყურძნის ჯიშების ხემომოყვანილ სახელთაგან ზოგიერთი ცხადად თავიანთი სადაურობის მაუწყებელია, მაგ. **ორჯოხული**, უეჭველია, ს. **ორჯოხის** ჯიში უნდა იყოს. ამნაირადვე საფიქრებელია, რომ **წყალთეთული** ს. **წყალთეთრის** (ამ სოფლის შესახებ იხ. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию ТР VII, 165, 168 და 180) ყურძნის ჯიშის სახელს წარმოადგენს. წინათ მას, უეჭველია, **წყალთეთრული** ერქმეოდა, რასაც, როგორც ეტყობა, ნ. მ ა რ რ ი ც ფიქრობდა (იხ. იქვე გვ. 166).

ალანასური-ს ჯიშის სადაურობა გამოურკვეველი რჩება იმისდა მიუხედავად, რომ ის საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული და **არგვეთს** გარდა **სამოქალაქოსა და ლეჩხუმშიც** მოიპოვება.

ამ სახელს შესაძლებელია **რაჭაში** გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი **ანადასტური** უდრიდეს, თუ აქ დ-სა და ნ-ს ადგილ-მონაცვლებულად ვიგულისხმებთ. ამ უკანასკნელის ფონეტიკურ სახენაცვალს წარმოადგენს, უეჭველია, **სამოქალაქოში** არსებული ყურძნის სახელი **ალადასტური**. მაგრამ არცერთი ამათგანის მსგავსი გეოგრაფიული სახელი არა ჩანს, ამიტომ ამ ჯიშის სადაურობა ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება.

იმერეთსა და გურიაში **ქამური** მოიპოვება, რომლის პირველში **თეთრა**-დ წოდებული სახესხვაობაა გავრცელებული, მეორეში-კი შავიცა და თეთრი სახესხვაობაც არსებობს. ყურძნის ჯიშთა სახელების რომელ ჯგუფს ეკუთვნის **ქამური**, ძნელი სათქმელია. მაინცდამაინც არც ერთი ამის მსგავსი გეოგრაფიული სახელი არა ჩანს, რომ ამ ჯიშის სამშობლოდ მიჩნევა შეიძლებოდეს.

არაგოულისა, ჩილვინაურისა, მობაზურისა, კიდორაულისა და **ჭიჭინაურის** სადაურობის საკითხიც გამოურკვეველი რჩება, რათგან ამის მსგავსი გეოგრაფიული სახელები საქართველოში, არსებული ცნობების მიხედვით, ამჟამად არსადა ჩანს. იქმნებ ზოგიერთი მათგანი სადაურობის მაუწყებელი არც-კი იყოს. მაგალითად, ეგების **ჭიჭინაური** ძველ ქართულში მიღებულ აბრეშუმის სახელ **ჭიჭინაურ**-თან იყოს დაკავშირებული. ამ ყურძნის ჯიშის აღწერილობა რომ მოგვეპოვებოდეს და მისი თვისებები ვიცოდეთ, მაშინ ამ საკითხის გადაწყვეტა უფრო ადვილი იქმნებოდა.

თავრეზული ყურძნის ჯიშის თვით სახელი ცხად-ჰყოფს, რომ ის ქართული არ არის, არამედ სპარსეთითგან, სახელდობრ, თავრიზითგან ყოფილა შემოტანილი.

ზემოგანხილულ სახელებს უნდა ისეთიც დაერთოს, რომელთაც თუმცა სადაურობის მაუწყებელი ბოლოსართი არა აქვთ, მაგრამ რომელთა სადაურობა მათი სახელითგან მაინც ცხადი ხდება. მაგ. თვით ჯიშის სახელითგანვე ცხადია, რომ კახეთსა და ჰერეთში გავრცელებული **ძიმმიში**-ც უცხოა და **სპარსულია.**

ჯანი-ს შავი ყურძნის ჯიში, რომელიც იმერეთსა და გურიაში იყო შერჩენილი, თავისი სახელწოდებით მე-XVI ს. პირველი ნახევრის ესპანელი მეცნიერი A l o n s o d e H e r e r r a-ს ნაშრომში Agricultura general-ში აღწერილი ყურძნის ჯიშის Jaén-ს ჟაენ-ს მიემსგავსება. თვისებით-კი ქართულ **ჯან**-სა და ესპანურ Jaén-ს შორის—დიდი განსხვავებაა. ესპანურს ჯიშს, ჰ ე რ რ ე რ ა-ს დახასიათებით, მტევანი დიდი და მეტად კუმსი ჰქონია,—მარცვალიც სხვილი, მაგრამ ნაზ-კანიანი ჰსხმია. თითქოს ერთი წვეთიც საკმარისი ყოფილა, რომ მისი მარცვალის კანი გამსკდარიყო. ამიტომ ამ ჯიშის გასაშენებლად მშრალი და მზვარე, უცვრო ნიადაგი ყოფილა საჭირო. ყურძენმა თურმე სწრაფად იცოდა დამწიფება, ამის გამო მისი უმალ, რა თქმა უნდა, ავდრებამდე, დაკრეფა და დაწურვა აუცილებელი ყოფილა. მას წვენი კარგი და გემრიელი სცოდნია, სწრაფად იწყებდა თურმე დუღილს, მაგრამ მის ღვინოს მაინც იმდენად გამძლეობა არ ჰქონია, რომ ერთ წელიწადზე ხანგრძლივ მისი შენახვა შესაძლებელი ყოფილიყო (იხ. Amp. rétrosp. 141). საკმარისია ადამიანმა ამის შემდგომ ის ცნობები, რომელიც ჯანის თვისებათა შესახებ გურიაში მოგვეპოვება კვლავ გადაიკითხოს (იხ. აქვე გვ. 459), რომ დარწმუნდეს, თუ რა დიდი განსხვავება ყოფილა, სახელების ცხადი მსგავსებისდა მიუხედავად, ქართულ **ჯან**-სა და ესპანურ J a é n-ს შორის. ამიტომ ამ საკითხს განსაკუთრებული შესწავლა სჭირდება.

აჭარაში დაკული შავი ყურძნის ჯიშის ჭოდი-ს სახელი გასაოცრად მიაგავს H. Goethe-ს ნაშრომში ვინმე Schmidt-ის ცნობისდა მიხედვით შეტანილი მუქი ლურჯი ყურძნის ჯიშის სახელ Tsoti, **წოტი**-ს, რომელიც სხვილმარცვლიანი, ადრეული სალვინე ჯიში ყოფილა **საბერძნეთში** (იხ. Amp. Wörterb). **თუ აქ რაიმე შეცდომა არ არის**[1], ამ მსგავსებას უნდა ყურადღება მიექცეს. მაგრამ წინასწარ ქართული **ჭოდი**-ს ამპელოგრაფიული აღწერილობაა საჭირო. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, **რაჭაში** გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი **ტოჭი** უნდა **ჭოდი**-ს ფონეტიკური სახესხვაობა იყოს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ამ ჯიშის სადაურობა მაინც გამოურკვეველია[2].

თავი XVIII. ყურძნის ჯიშების საერთო რიცხვი და თვითეული მათგანის გავრცელების არე საქართველოში.

საქართველოს სხვადასხვა თემში ჯიშ-სახესხვაობათა ცალკეული აღწერილობის შემდგომ მიღებული საერთო რიცხვი, რა თქმა უნდა, სწორე არ არის, რათგან ერთიდაიგივე ჯიში ზოგჯერ რამდენსამე თემში მოიპოვება, ანდა

[1] გვ. 169-ზე H. Goethe-ს მაგ. მეღრია Mehrija და მწვანე Mzwaani ოსმალეთ-სერბია-ეგვიპტე-სპარსეთის ჯიშებში აქვს მოთავსებული, იმისდა მიუხედავად რომ თვით ლექსიკონში მათ სადაურობად ამიერ-კავკასია აქვს დასახელებული.

[2] ქართული **რქო**-ს, ეგების **მუხიშხა**-ს სახელიც იტალიაში გავრცელებული შავიხა და თეთრი ყურძნის Eichentraube-ც ე. ი. მუხის ყურძნად, წოდებულის სახელს მიაგავს. სამწუხაროდ H. G o e t h e-ს მისი იტალიური სახელწოდება აღნიშნული არა აქვს. იტალიაში მისი ორი, შავი და თეთრი, სახესხვაობა არსებობს. ორივე საჭმელი ყურძენია.

მისი ერთი სახესხვაობა ერთს თემში გვხვდება, მეორე-კი სხვა რომელსამე, ანდა რამდენსამე თემშია ხოლმე დაცული. ამიტომ აქვე მთელ საქართველოში არსებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ანბანის რიგზე დალაგებული საერთო სია მომყავს, რომ ამ გზით მათი ერთობლივი რიცხვი ცხადი შეიქმნეს. რასაკვირველია, ქვემომოყვანილი სია **მხოლოდ ვაზ-ყურძნის სახელწოდებათა რიცხვის** გამორკვევის საშუალებას გვაძლევს. ხოლო, რომელი მათგანი ნამდვილად ჯიშია და რომელი მარტო სახესხვაობად უნდა იქმნეს მიჩნეული, ასეთი საკითხის გამორკვევისა და გადაწყვეტისათვის ხანგრძლივი ბოტანიკური და ამპელოგრაფიული შესწავლა და დაკვირვებაა საჭირო, რაც მომავლის ამოცანასა და ბოტანიკოს-ამპელოგრაფების მოვალეობას შეადგენს. ვითარცა ისტორიკოსსა და ამჟამად ძველი საქ. მევენახეობის ეკონომიკის შემსწავლელს, მსჯელობა შემეძლო მხოლოდ ყურძნის სახელწოდებათა ანალიზზე დამემყარებინა და თვითოეული მათგანის აღმნიშვნელობის გამორკვევა მეცადა და გამომეყენებინა. ამ გზითაც არაერთი ყურძნის სახელწოდება, რომელიც წინათ, თვით ამპელოგრაფებსაც-კი, ცალკეულ ჯიშად ჰქონდათ მიჩნეული, ნამდვილად ყურძნის სხვა თემშიც ოდნავ, ანდა საგრძნობლად შეცვლილი სახელის ფონეტიკური სახესხვაობა აღმოჩნდა. ამის მაგალითად შესაძლებელია დასახელებული იყოს კახური **ხიხვი** და სამურზაყანული **ხემხუ** და გურული **ხემხო**,—

ადანასური, ანადასტური და ალადასტური,—

მეღრია, ეღრია და ჯღე,—

დონდღლაბი დონდღო, და დუდღუში,—

კაპისტონი და კაპიტო,—

ღორისთვალა და კერთოლი და სხვაც არა ერთი.

თუ ყურძნის ჯიშის ამათუიმ საერთო სახელწოდებისთვის რომელსამე თემში ხალხს ფონეტიკურად-კი არა, არამედ, ან ამპელოგრაფიულად, ანდა სადაურობის გამომჟღავნებელი დანართი სახელი მიუმატებია, ასეთი შემთხვევა სახესხვაობის მაუწყებლად მაქვს მიჩნეული.

ზემონათქვამის შემდგომ აქვე მთელ საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა თვით სია მომყავს:

ᲐᲑᲮᲐᲖᲣᲠᲘ შავი

ᲐᲓᲐᲜᲐᲡᲣᲠᲘ, ანუ **ᲐᲜᲐᲓᲐᲡᲣᲠᲘ**, **ᲐᲜᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ** დიდი და პატარა, ანუ **ᲐᲚᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ** შავი

ᲐᲓᲠᲘᲔᲣᲚᲘ თეთრი

ᲐᲜᲓᲠᲘᲔᲣᲚᲘ ანუ, **ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲘ** წითელი

ᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ თეთრი

ᲐᲙᲘᲓᲝ წითელი, შავი

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲣᲚᲘ შავი და თეთრი

ᲐᲚᲔᲨᲘ ვარდისფერი

ᲐᲠᲐᲑᲝᲣᲚᲐ შავი

ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲞᲘᲠᲣᲚᲘ თეთრი

ᲐᲡᲐᲜᲑᲔᲒᲣᲠᲘ

ᲐᲮᲐᲚᲐᲙᲘ წითელი

ᲑᲐᲓᲐᲒᲘ შავი

ᲑᲐᲮᲕᲐ შავი

ᲑᲔᲥᲐᲜᲣᲠᲐ

ბერაულა თეთრი
ბერბეშო შავი
ბერძულა შავი
ბულია იხ. მულრია
ბროლა$_2$ თეთრი
ბუდეშური შავი და პირისფერი, წითელი, ყვითელ-მომწვანო და თეთრი
ბუერა-ფაზი თეთრი და ყვითელ-მომწვანო
ბუზის-ყურძენი, ანუ საბუზი-ყურძენი შავი
ბულდვა
ბუტკოი, ანუ ბუტკუ თეთრი და შავი
ბურძღალა
ბურძღუმი

გაბაშა
გავაზურა თეთრი
განახარული შავი
განჯის-ყურძენი, ანუ გენჯური თეთრი, ანუ შირაზული
გალმამხრული შავი
გოდავათური მუქი წაბლისფერი
გორგოული ყვითელი
გოროთანა? შავი
გორულა მოქარვისფერო
გრეხი შავი
გრძელტევნიანი თეთრი

დამპალა შავი
დანახარული წითელი
დაქცეული შავი
დედოფლის კითი იხ. თითა
დევის თვალა$_2$
დიდმტევანა თეთრი
დილმური, ანუ საბატონო, ანუ სხვილმარცვალა შავი
დონდღლაბი იგივე ხარისთვალა, ანუ საკუჭალა, ანუ მაჭანაური შავი და თეთრი, დონდღლო, დუდღუში

ეგორძული თეთრი

ვერნახი შავი
ვირა-ყურძენი თეთრი
ზენათური თეთრი
ზერდაგი მოოქროსფერო

თავკვერი შავი და თეთრი
თავწითელა მწვანე-მოყვითანო
თბილური ქარვისფერი
თეთრა, თეთრა კაპისტონი, ანუ თეთრა
ლაგილარის თეთრა

წმინდა-თეთრა
წულუკიძის თეთრა
თეთრი-ყურძენი
ოჟიური თეთრი
თეთრიშა
თითა შავი და თეთრი, თითა-ყურძენი
თითა გუდეშური
დედოფლის კითი შავი
თოლი-ჩხუშ-ყურძენი იხ. ხარისთვალა
თხლაფაჲ, თქვლაფა თეთრი
თხმორულა თეთრი
თხრუშუნა, ანუ თქვაფუნა თეთრი

იისფერი მოშავ-მოიისფერო

კაკნატელა ანუ ქიშური თეთრი
კამური შავი და თეთრი
კაპისტონი, კაპიტო შავი და თეთრი
კასპური თეთრი
კატური თეთრი
კახური თეთრი
კეთილური შავი
კერთოლი შავი იხ. ღორისთვალა
კვაწახური თეთრი
კვირისტავა თეთრი
კითი, დედოფლის კითი იხ. თითა
კიკაჩა შავი და თეთრი
კლარჯული თეთრი
კოლოში შავი და თეთრი, ჩეკოლოში
კორძალა შავი
კნაწუნა-ყურძენი თეთრი
კრახუნა თეთრი
კუდურაული, ანუ კიდორაული შავი
კუმსი ყვითელ-მომწვანო და კუმუშა შავი
კუნძა თეთრი,
კუტალა შავი

ლაგილური შავი
ლამაზა თეთრი
ლიკანა-ყურძენი თეთრი

მაბრა წითელი=მაურსი?
მაგანაყური შავი
მაისა თეთრი
მაკურენჩხი შავი, მეკერენჩხი შავი

მანდიკოური შავი
მატანაური შავი-
მაური შავი და თეთრი
მაღლარი თეთრი
მაჭანაური, თუ მაჩანაური იხ. დონდღლაბი
მაჭყვატური თუ მაჭკვატური შავი
მახატური შავი იხ. მოკატური შავი, მახვატელი, ანუ ოხვატუ შავი
მეგრელაური თეთრი
მეკენჩხალა თეთრი
მელიკუდი, მელიკუდაჲ თეთრი და შავი
მერანდოჲ შავი
მოგაზური
მოკატური, ანუ მოქათური შავი
მოკლემტევანა ყვითელი
მოსავლიანი
მჟაველა შავი
მჟღრია, ჟღრია, ბჟღრია, ჯღე
მტევანდიდი შავი
მტრედისფეხა, ტოროკუჩხი წითელ-შავი
მუნჯიანთეული
მუჟურეთული შავი
მუხიშხა შავი
მცვივანი დედალი და მამალი, თეთრი და შავი, მცვინარა შავი
მწვანე, მწვანაი მწვანე
იმერული მწვანე
ოკრიბული მწვანე
მწვანურა
მჭვარტალა თეთრი
მხარგრძელი შავი, თეთრი და ყვითელი
მხარგრძელისეული

ნაგუთნეული შავი
ნაცარა თეთრი
ნოფრიო შავი

ობჩურა იხ. ცოლიკაური
ოპოპი თეთრა
ოჟიური იხ. თეთრა
ორონა შავი
ორხულა თეთრი
ორჯოხულა შავი და თეთრი
ოფოურა შავი
ოქონა
ოქროს-ყურძენი ყვითელი

ოქურეშული შავი
ოცხანური შავი
ოჯალეში, ანუ შონური შავი

პანეში შავი
პარჭალა (კახ.) თეთრი, პარტკალა (ქართ.) შავ-მოწითანო და თეთრი
პოზნილი შავი
პუმპულაში შავი

რქო შავი, მუქი იისფერი და თეთრი
რცხილა შავი
რცხილათუბანი შავი და წითელი შეად. სხილათობანს
რქაწითელი მამალი და დედალი, თეთრი, მწვანე და წითელი
რქა-ხუილა თეთრი

სააბი შავი და თეთრი
სადადეგო თეთრი
სადმელური თეთრი
სათიბა თეთრი
საირმულა შავი
საკვირჩხილა შავი
საკმელა, საკმეველა ყვითელი
სალიკლევი შავი
სამადაშვილისეული
სამარხი თეთრი
სამაჭრე, სამაჭრია, სამანჭრო შავი და თეთრი
სამთელა თეთრ-მოყვითანო
სამჩხავერა შავი
სამჭაჭა თეთრი და შავი
საფერავი შავი
საფერავი განჯური
საფერე შავი
არგვეთული საფერე, ანუ კოზახიძის საფერე
ოცხანური საფერე
საღვინე შავი
საჩურჩხელე
საწური შავი
სიმონასეული
სორექი შავი და თეთრი
სულიანი-ყურძენი შავი და თეთრი
სხვილთავა
სხილათობანი შავი შეად. რცხილათობანს

ტოვანი შავი
ტოროკუჩხი იხ. მტრედისფეხა

ტოჰა თეთრი შეად. ჭოდი-ს
ტრედისფეხი იხ. მტრედისფეხა
ტუტაში შავი

უბაკლური თეთრი და ყვითელი
უსახელაური შავი, უსახელო თეთრი
უწყვეტი თეთრი

ფარჩხატა თეთრი
ფერადი შავი და წითელი
ფეროვანი, ანუ ფერუანი შავი

ქართულა
ქედურა თეთრი
ქეჩი-ემყაგი
ქველები შავი
ქველოური შავი
ქიშმიში თეთრი
ქიშური თეთრი

ღარასულა თეთრი
ლორისთვალა, კერთოლი შავი და თეთრი
ღრუბელა თეთრი

ყორნისთვალა შავი
ყუნწმაგარა
ყურწითელა თეთრი

შაბია თეთრი, შაბა ყვითელი
შავი-ყურძენი, შავ-ყურძენა
შავი-თითა იხ. თითა
შავროპი შავი
შავშური შავი
შანთი ყვითელ-მომწვანო
შირაზული, ანუ განჯური თეთრი
შიშველი წითელი
შონური, ანუ ოჯალეში შავი

ჩეკში, ანუ ჩიჩკიში თეთრი
ჩეკოლოში თეთრი იხ. კოლოში
ჩერგვალი თეთრი
ჩეში თეთრი
ჩეჭიბეში, ჩიჭიბე თეთრი
ჩინური მომწვან-მოქარვისფერო
ჩიტისთვალა შავი

ჩილვინაური თეთრი
ჩოკმაშურა
ჩუპეში შავი, შეად. ჩეჭიბეშს
ჩხავერი შავი
ჩხაბერძული შავი
ჩხინკილოური თეთრი
ჩხოროკუნი შავი
ჩხუში თეთრი, შეად. ჩხუჩეშს
ჩხუჩეში თეთრი, შეად. ჩხუშს

ცარცხია
ციცქო თეთრი
ცოლიკაური ქარვისფერ-მომწვანო, ობჩურა-დაც წოდებული
ცხენის-ძუძუ თეთრ-ყვითელი, მწვანე და შავი
ცხერო

ძელშავი შავი
ძუვანი თეთრი
ძლამბლი გარეული ყურძენი

წობენური თეთრი
წობენური მწვანე
წვიტე თეთრი
წვრილმარცვალა
წითლიანი წითელი
წინწკვა თეთრი
წიალომინა თეთრი
წიწილიანი
წყალთეთული შავი

ჭყვიტილური თეთრი
ჭითაში ჭითელი
ჭოდი შავი შეად. ტოჭა-ს
ჭრელ-ყურძენა თეთრი
ჭროჭინა
ჭყარტალა, ანუ ჭყლარტანა თეთრი

ხალთური შავი
ხარასულა თეთრი
ხარდანი შავი და თეთრი
ხარისთვალა შავი და თეთრი, შეად. თოლი-ჩხუშ-ყურძენ-ს
ხევარდული ყვითელი
ხეივნის-ყურძენი შავი
ხემხო შავი, ხიხვი თეთრი
ხოტევური შავი
ხოფათური თეთრი
ხროგი შავი

ჯანი შავი
ჯინეში წითელი
ჯუმუტა შავი
ჯღე იხ. მუღრია

თუ ზემომოყვანილ სიას გარეული ყურძნის სამ სახელს გამოვაკლებთ, საერთოდ საქართველოს ყველა თემში ჯერჯერობით ყურძნის 250 სახელწოდება გვექმნება ალნუსხული, ხოლო, თუ თეთრსა და შავ-წითელსა და სხვა სახე-ნაირობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა საერთო რიცხვი 287 იქმნება.

საქართველოს სხვადასხვა თემში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ცალკეული აღწერილობის გადაკითხვის დროსაც ადამიანი შეამჩნევს, რომ ამათუიმ სახელწოდების ყურძენი ერთნაირად არ ყოფილა საქართველოში გავრცელებული: ზოგს დიდი არე ჰქონია დაპყრობილი, ზოგი უფრო ვიწრო ფართობზე ყოფილა გავრცელებული, ზოგს და ბევრს ზემოაღწერილ ჯიშ-სახესხვაობათაგანს ერთი თემის საზღვრებს იქით ასპარეზი ვერც-კი მოუპოვებია. ამისდა მიხედვით ყურძნის ჯიშების საქართველოში ცნობილი მთელი რაოდენობა შესაძლებელია 4 მთავარ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფად ამიერ-იმიერ საქართველოში ცნობილი და მაშასადამე საერთო ჯიშები უნდა გამოვყოთ, მეორე ჯგუფად მარტო ალმოსავლეთს, მესამედ მარტო დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ჯიშები მივიჩნიოთ და მეოთხე ჯგუფში მოვათავსოთ ყურძნის ჯიშებისა, თუ სახესხვაობათა ის სახელები, რომელთა გავრცელების არე ერთი, ან ორი თემის ფარგლებს არ სცილდება.

ვაზ-ყურძნის ჯიშების გავრცელების არეს ამ თვალსაზრისით შესწავლა მკვლევარს შემდეგ საგულისხმო შედეგს აწვდის:

§ 1. საქართველოს ზოგადი ჯიშები.

ყველაზე მეტად საქართველოში საფერავად და მწვანედ წოდებული ჯიშები ყოფილა გავრცელებული.

1. საფერავი ჰერეთში, კახეთს, ქვემო ქართლს, ანუ ბორჩალოში, შიდა ქართლსა, არგვეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, გურიასა და შავშეთ-კლარჯეთში იყო და არის ეხლაც გავრცელებული. ამნაირად, საფერავს მთელი საქართველოს მევენახეობის ფართობი უკავია, სამეგრელოს გარდა, სადაც იგი არა ჩანს.

2. მწვანე საფერავზე უფრო ინტენსიურად არის გავრცელებული, რადგან მას ადამიანი კახეთში, ქვემო და შიდა ქართლში, არგვეთსა, რაჭაში, ლეჩხუმს, სამოქალაქოს, გურიაში, აჭარას და შავშეთ-კლარჯეთშიც (მწვანურა) შეხვდებოდა.

3. შემდეგ მისდევს რქა-წითელი, რომელიც კახეთში, ქართლში, რაჭასა, ლეჩხუმსა და სამოქალაქოშია გავრცელებული.

4. ძელშავი წარსული საუკუნის დამლევსა და ნაწილობრივ ალბათ ეხლაც შიდა ქართლში, არგვეთსა, რაჭაში და გურიაში იყო შერჩენილი. მაგრამ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ წინათ მისი გავრცელების არე გაცილებით უფრო ფართო უნდა ყოფილიყო, მაინცდამაინც არგვეთსა და გურიას შუა მდებარე სხვა თემებშიც, რა თქმა უნდა, იქმნებოდა.

5. **ᲮᲘᲮᲕᲘ** კახეთშიცაა და რაჭაშიც, სადაც **ᲮᲘᲮᲕᲐ**-ს უწოდებენ, და ლეჩხუმშიც. შემდეგ ამავე ჯიშის სახელი უნდა იყოს გურული **ᲮᲔᲛᲮᲝ** და მეგრული **ᲮᲔᲛᲮᲣ**. მაშასადამე, ეს ჯიშიც ამიერ-იმერ საქართველოს კუთვნილება ყოფილა.

6. ფართოდ არის გავრცელებული **ᲗᲘᲗᲐ**, რომელიც საინგილოში, კახეთში, ქართლსა, სამცხეში, არგვეთსა, რაჭაში, ლეჩხუმში და გურიაში მოიპოვება. სამეგრელოში ცნობილი **ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲘᲗᲘ** იგივე თითაა, თუ მის მაგვარი სხვა ჯიშია, ან სახესხვაობა, ჯერ გამოსარკვევია.

7. **ᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲐᲚᲐ** კახეთიდგან მოყოლებული ჭანეთამდის აღწევს და კახეთშიც, ქართლშიც, სამცხეში, იმერეთსა, გურიაში, აჭარაში და ჭანეთშიც არის, სადაც **ᲗᲝᲚᲘ-ᲛᲩᲮᲣᲨ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ** ეწოდება. პირველი სიტყვის ჩამოცილებით ამ ჯიშის სახელი **ᲩᲮᲣᲨᲘ** აჭარაში და სამეგრელოში **ᲩᲮᲣᲩᲔᲨᲘ**-ს სახით მოიპოვება, სადაც მაშასადამე თეთრი ხარისთვალა ყოფილა ისევე, როგორც ქართლში, იმერეთსა და მესხეთშიც თეთრი ხარისთვალაა, კახეთში-კი შავიც არსებობს, ხოლო გურიაში მარტო შავი ხარისთვალაა ცნობილი.

8. **ᲪᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣ** კახეთში თეთრი, ქართლში შავი, სამცხეშიც შავივე, რაჭაში-კი თეთრი, ხოლო გურიასა და აჭარაში შავი, შავშეთ-კლარჯეთში ორივე, თეთრიცაა და შავი სახესხვაობაც იყო გავრცელებული.

9. **ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲐ**, ჰერეთში, საინგილოში, **ᲛᲔᲚᲐᲙᲣᲓᲐ**-დ ქცეული (მელასკუდა-საგანაა წარმომდგარი), გვხვდება ეხლა არგვეთშიც, სადაც შავია,— რაჭაშიც, რომელშიც თეთრი სახესხვაობაა, და შავშეთ-კლარჯეთშიც თეთრივე. მაგრამ წინათ, ცხადია, ამ თემებშუა მდებარე კახეთსა, ქართლსა, სამოქალაქოსა და გურიაში ისევე, როგორც აჭარაშიც უნდა ყოფილიყო.

10. **ᲢᲠᲔᲓᲘᲡ-ᲤᲔᲮᲐ** ქართლში წითელი, არგვეთსა და გურიაში შავი იყო გავრცელებული. სამეგრელოში მის სახელად მეგრული თარგმანი **ᲢᲝᲠᲝᲙᲣᲩᲮᲘ** იხმარება. ყველგან შავი ყურძნის ჯიშია.

11. **ᲛᲪᲕᲘᲕᲐᲜᲘ** კახეთში და რაჭას თეთრი ყურძნის გავრცელებული ჯიშია, ხოლო გურიაში, სადაც მას **ᲛᲪᲕᲘᲜᲐᲠᲐ**-ც იწოდება, შავი ყურძნის სახელად გვხვდება. ცხადია, წინათ მცვივანის ჯიში კახეთსა და რაჭა-გურიას შორის მდებარე თემებში, ქართლსა და იმერეთშიც მაინც უნდა ყოფილიყო.

12. დიდ ფართობზეა გავრცელებული **ᲙᲐᲞᲘᲡᲢᲝᲜᲘ**: შავი **ᲙᲐᲞᲘᲢᲝ**, როგორც ამ ჯიშს კახეთსა და ქართლში უწოდებენ. ანუ **ᲙᲐᲞᲘᲡᲢᲝᲜᲘ**, ანდა **ᲙᲐᲞᲘᲡᲢᲝᲜᲐ**, როგორც მის თეთრ სახესხვაობას არგვეთსა და სამოქალაქოს, რაჭაში-კი შავსა და თეთრს, ლეჩხუმში შავსა და გურიაში თეთრს სახესხვაობას ეძახიან.

13. **ᲑᲣᲓᲔᲨᲣᲠᲘ** შავიცა და თეთრიც კახეთშია, ქართლსა და სამცხეში შავი მოიპოვება, იმერეთში შავიცა და თეთრი ბუდეშურიც არსებობდა. სამეგრელოში, გურიასა, აჭარასა და შავშეთ-კლარჯეთში ბუდეშური არა ჩანს.

14. **ᲛᲣᲚᲠᲘᲐ** (კახ.), ანუ **ᲣᲚᲘᲐ**. (ქართლ.) გავრცელებულია კახეთსა და ქართლში და მოწითანო ყურძნის ჯიშის სახელია. ხოლო იმერეთში **ᲑᲣᲚᲘᲐ** მოწითანო-მონარინჯისფერო ყურძნის ჯიშის სახელია. უეჭველია, ამავე ჯიშის სახელი უნდა იყოს **ᲯᲚᲔ**-ც, რომელიც შავშეთ-კლარჯეთში წითელისავე ყურძნის სახელადვე იხმარებოდა.

15. **ᲡᲐᲙᲛᲔᲚᲐ** ჰერეთშიც, საინგილოშიც, მოიპოვება და ქართლშიც, რაჭასა და გურიაშიც იყო გავრცელებული. საფიქრებელია, რომ წინათ კახეთსა

და იმერეთშიც იქნნებოდა. ამნაირად, რაკი ეს ჯიში ამიერ-იმიერ საქართველოში ყოფილა, ამიტომ საერთო ჯიშად უნდა იქმნეს მიჩნეული.

16. **შავი ყურძენი**, როგორც მას კახეთში, და **შავ-ყურძენა**, როგორც გურიასა და აჭარაში უწოდებენ, აგრეთვე ამიერ-იმიერი საქართველოს საერთო ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის.

17. **დამპალა**, რომელიც კახეთშიც არის და რაჭაშიც, შავი ყურძნის საერთო ჯიშების ჯგუფსვე მიეკუთვნება.

18. **თხლაფაა** ჰერეთის, აწინდელი საინგილოს, მევენახეობას ჰქონდა შერჩენილი, სხვაგან არც ერთ თემში, გურიას გარდა, ასეთი სახელის მქონებელი ყურძნის ჯიში არა ჩანს. გურიაში-კი არსებობდა თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც **თქვლაფა** ეწოდებოდა. ამ ორი სახელის იგივეობა საფიქრებელია, ხოლო მათი ჯიშობრივი იგივეობა ჯერ გამოსარკვევია.

19. კახეთში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიშის სახელი **კუმსი**-ს, ანუ **კუმშა**-ს მსგავსად, გურიაშიც არსებობდა **კუმუშა**-დ წოდებული ყურძნის ჯიში მაგრამ კუმუშა შავი ყურძენი იყო. გამოსარკვევია, შესაძლებელია, თუ არა, რომ კუმსი, კუმშა და კუმუშა ერთისადაიმავე ჯიშის ორ სახესხვაობად იქმნეს მიჩნეული.

20. **ფერადი** ქართლში წითელი ყურძნის ჯიშის სახელადაა ცნობილი. რაჭაში გავრცელებული ჯიში **ფეროვანი**, ანუ **ფერუანი**, რომელიც აგრეთვე წითელი ყურძნის სახელია, იმავე ჯიშს მიეკუთვნება, თუ არა, ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მაგრამ, სახელების მსგავსების გამო, ჯიშობრივი იგივეობა მოსალოდნელია.

21. **რქოა** ზემოქართლსა, არგვეთში, რაჭას და სამოქალაქოშია გავრცელებული. ამავე ჯიშის გავრცელების არეს შესაძლებელია **მუხიშხა**-ც ეკუთვნოდეს, რომელიც გურიაში მოიპოვება, თუ რომ მისი სახელის პირველ ნაწილს **მუხა** წარმოადგენს.

22. **სააბი**-ს კახეთში შავი და თეთრი სახესხვაობაა, ქართლში მარტო შავი, ისევე როგორც რაჭაშიც. ქართლში არსებობს **საბატონო**, რომელიც აგრეთვე შავია. რაკი სააბი არაბულ-სპარსულად საბატონოსვე ჰნიშნავს, ამიტომ გამოსარკვევია, **სააბი** და **საბატონო** ყურძნის ერთიდაიმავე ჯიშის სახელია, თუ არა. მაგრამ ქართლში **საბატონო**-ს მეორე სახელად **დილმური** იხმარება, რაც მას ადგილობრივ ყურძნად გვაგულისხმებინებს.

23. **განჯის-ყურძენი** თეთრი, რომელიც იმერეთშიც იყო გავრცელებული, და **განჯური**-ს სახელით ცნობილი ჰერეთში, საინგილოშიც მოიპოვებოდა.

§ 2. აღმ. საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი.

გაცილებით უფრო ნაკლებია იმ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა რიცხვი, რომელთა გავრცელების არე მხოლოდ ქართლ-კახეთითა და ჰერეთით არის შემოფარგლული. ამ ჯგუფს ეკუთვნიან:

1. **თავკვერი**, რომელიც აღმ. საქართველოს არ სცილდება: აქაც მარტო კახეთსა და ქართლში მოიპოვება, პირველში თეთრი და შავი ყურძნის ჯიშის სახელად, ქართლში-კი მისი მხოლოდ შავი სახესხვაობაა ცნობილი.

ამავე ქართლ-კახეთის საერთო ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება:

2. არაგვისპირული თეთრი კახეთსა და ქართლშია მხოლოდ გავრცელებული.

3. პარტკალა, ანუ პარტალა-ც თეთრი კახეთშია შერჩენილი, ხოლო შავი ქართლში.

4. შაბია, ანუ შაბა-ც, ორივეში თეთრი, ქართლ-კახეთს არა სცილდება.

5. ქიშური თეთრი, რომელიც კახეთსაცა და ქართლშიც მოიპოვება.

6. ღრუბელა თეთრი, რომელიც კახეთშიც არის და ქართლშიც.

7. განახარული-ც, რომლის შავი ჯიში კახეთსაცა და ქართლშიც გვხვდება

8. ადრეული კახეთშიც იყო გავრცელებული და ქართლშიც, სადაც ანდრეული და ადრიანი-ც ეწოდება. მაგრამ კახეთში ადრეული თეთრი ყურძნის ჯიშის სახელია, ქართლში-კი პირიქით წითელისა. ამის გამო ქართლისა და კახეთის ამ სახელების ყურძნების ჯიშობრივობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

§ 3. ალმ. საქართველოს მხოლოდ ერთ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი.

საგულისხმოა, რომ ალმ. საქართველოს მარტო ერთ თემში გავრცელებული ყურძნის ჯიშების რიცხვი საკმაოდ დიდია. ალმ. საქართველოს მხოლოდ ერთ თემში ცნობილ და გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

ჰერეთში, ანუ საინგილოში:

1. მერანდოჲ შავ-წითელი
2. დჷვისთვალაჲ
3. ქეჩი-ემჟაგი

კახეთში:

1. ხეივნის ყურძენი შავი
2. მხარგრძელი თეთრი
3. რქა-ხუილა თეთრი
4. ბუერა-ვაზი თეთრი
5. წოგანური თეთრი
6. ძუვანი თეთრი
7. ქიშური თეთრი
8. ქიშმიში
9. მჭვარტლა თეთრი
10. ოყიური თეთრი
11. ძაღლი არ ჭამა შავი
12. მოკლე-მტევანა
13. ჭრელყურძენა თ.
14. ნაგადა.
15. ჩიტისთვალა შ.
16. იისფერი მოშ.
17. განჯური საფერავი შ.
18. წვრილმარცვალა
19. კნაწუნა ყურძენი თ.
20. ლამაზა თ.
21. სულიანი ყურძენი შ. და თ.
22. მოსავლიანი
23. საჩურჩხლე თ.
24. ასანგეგური

25. ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ
26. ᲛᲣᲯᲘᲐᲜᲗᲔᲣᲚᲘ
27. ᲡᲘᲛᲝᲜᲐᲡᲔᲣᲚᲘ
28. ᲣᲑᲐᲙᲚᲣᲠᲘ
29. ᲩᲝᲙᲛᲐᲨᲣᲠᲐ
30. ᲑᲔᲟᲐᲜᲐᲣᲠᲐ
31. ᲡᲮᲕᲘᲚᲗᲐᲕᲐ
32. ᲛᲮᲐᲠᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ
33. ᲝᲥᲠᲝᲡ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ყვითელი.

ქართლში:

1. ᲒᲐᲚᲛᲐᲛᲮᲠᲣᲚᲘ შავი
2. ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲣᲚᲘ წითელი
3. ᲓᲘᲚᲛᲣᲠᲘ, ანუ ᲡᲮᲕᲘᲚᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲐ, ანუ ᲡᲐᲑᲐᲢᲝᲜᲝ შავი
4. ᲑᲣᲖᲘᲡ ანუ ᲡᲐᲑᲣᲖᲔ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ თეთრი
5. ᲕᲘᲠᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ თეთრი
6. ᲡᲐᲛᲗᲔᲚᲐ თეთრი
7. ᲒᲝᲠᲣᲚᲐ თეთრი
8. ᲩᲘᲜᲣᲠᲘ თეთრი
9. ᲙᲐᲡᲞᲣᲠᲘ თეთრი
10. ᲙᲐᲢᲣᲠᲘ თეთრი
11. ᲭᲣᲐᲠᲢᲐᲚᲐ თეთრი
12. ᲙᲐᲙᲜᲐᲢᲔᲚᲐ ანუ ᲫᲘᲨᲣᲠᲘ თეთრი.

მესხეთის გარეშე ჯერჯერობით არსადა ჩანს ყურძნის შავი ჯიშის სახელი ᲡᲐᲚᲕᲘᲜᲔ, რომლის ჯიშობრივი რაობა გამოურკვეველია.

§ 4. დას. და სამხრეთ-დას. საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი.

დას. და სამხრ.-დას. საქართველოს ყურძნის საერთო ჯიშ-სახესხვაობათა ჯგუფი აღმ. საქართველოსას გაცილებით უფრო სჭარბობს. ამ ჯგუფს ეკუთვნის:

1. ᲑᲣᲢᲙᲝᲲ აჭარაში თეთრი ყურძნის ჯიშის სახელად გვხვდება, ხოლო შავშეთ-კლარჯეთში თეთრიც და შავიც მოიპოვება. საგულისხმოა, რომ ᲑᲣᲢᲙᲣ-დ სახელდებული ამ ყურძნის, ჯიშის თეთრი სახესხვაობა რაჭაშიც ყოფილა.

2. ᲓᲝᲜᲓᲦᲚᲐᲑᲘ დას. საქართველოშია გავრცელებული: იმერეთში იგი შავი ყურძნის ჯიშის სახელია, რომელსაც ᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲐᲚᲐᲪ, ᲡᲐᲙᲣᲭᲐᲚᲐᲪ, ანდა ᲛᲐᲭᲐᲜᲐᲣᲠᲘᲪ ეწოდებოდა, რაჭაში-კი დონდღლაბი თეთრ ყურძენსა ჰქვიან. გურიაში ეს სახელი ფონეტიკურად შეცვლილი და ბოლო-მოკვეცილი გვევლინება: იქ ᲓᲝᲜᲓᲦᲝ-ს ეძახიან ყურძნის ერთ თეთრ ჯიშს. საფიქრებელია, რომ ამავე სახელის შესატყვისობა უნდა იყოს სამეგრელოში არსებული შავი ყურძნის სახელი ᲓᲦᲣᲓᲦᲣᲨᲘ, რომელშიც ᲨᲘ ნათეს. ბრუნვის დაბოლოებაა და ᲓᲦᲣᲓᲦᲣ ფუძეა.

3. ᲡᲐᲛᲐᲭᲠᲔ მარტო დას. საქართველოშია გავრცელებული: თეთრია იმერეთში, შავი ყურძნის სახელია ლეჩხუმში. სამეგრელოში, სადაც ᲡᲐᲛᲐᲜᲭᲠᲝ-ს ეძახიან, აგრეთვე შავისაა, მაგრამ ვგონებ თეთრიც უნდა იყოს. ხოლო გურიაში თეთრისაცა და შავი ყურძნის აღმნიშვნელადაც გვევლინება. ამ სახელის მქონებელი თეთრი და შავი ყურძნის ჯიშობრივი იგივეობის საკითხი გამოსარკვევია.

4. **სამჭაჭა** იმერეთსა, სამეგრელოსა და გურიაშია გავრცელებული, მაგრამ იმერეთში თეთრი ყურძნის სახელია, სამეგრელოსა და გურიაში-კი წინაუქმო, შავისაა. ამ შემთხვევაშიც თეთრი და შავი სამჭაჭას ჯიშობრივი იგივეობა უნდა გამორკვეულ იქმნას.

5. **დიდ-მტევანა** ლეჩხუმში თეთრი ყურძნის ჯიშის სახელია, ხოლო გურიაში **მტევან-დიდი** მოიპოვება, მაგრამ წითელია. საფიქრებელია, ამავე ყურძნის ჯიშის სახესხვაობის სახელი უნდა იყოს აჭარაში გავრცელებული **მტევან-დიდი**, მაგრამ იქ ეს ყურძენი თეთრია.

6. **ძკიდოლ**-ც დას. საქართველოს არ სცილდება: არგვეთში, იმერეთის სამოქალაქოში, სამეგრელოსა და გურიაში და სამსავე ამ თემში შავ-წითელი ყურძნის ჯიშის სახელად იხმარება.

7. **ადანასური** დას. საქართველოს სამ თემშია გავრცელებული: იმერეთში მას **მაღლარი**-ც ეწოდება, **რაჭაში** ამ ყურძნის ჯიშის სახელად **ანადასური**-ა ისევე, როგორც ლეჩხუმშიც. სამსავე თემში ანადასური, ანუ ადანასური შავი ყურძნის ჯიშის სახელია. საფიქრებელია, რომ გურიაში გავრცელებული შავი ყურძნის სახელი **ალადასტური**-ც ამავე ჯიშის ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილს სახელწოდებასვე წარმოადგენდეს.

როგორც ადანასურის აღწერილობაში აღნიშნული გვქონდა, დიდი და მცირე, ანუ პატარა ადანასური არსებობდა. დიდ ადანასურს მეორე სახელად **ოხტაური**-ც ერქვა, რომელსაც ანადასურის, ანუ ადანასურის მსგავსად სათანადო ბოლოსართის წყალობით სადაურობის მაუწყებელი სახელის ვარეგნობა აქვს.

8. **არაბოული** შავი იმერეთსა, რაჭაში და ლეჩხუმში იყო გავრცელებული.

9. ამნაირადვე დას. საქართველოს სამ თემში იყო **რცხილათუბანი** შავი: იმერეთში და გურიაში, სადაც მას **ხსილათობანი**, ანუ **რცხილათობანი** ეწოდებოდა. უეჭველია, ამავე ყურძნის სახელის ბოლო-მოკვეცილი ფორმა უნდა იყოს რაჭაში არსებული **რცხილა**-ც, რომელიც აგრეთვე შავია.

10. **ციცქა**, ანუ **ციცქო** თეთრი იმერეთშია, რაჭასა და სამეგრელოში, ე. ი. დას. საქართველოს ზემო ზოლში იყო გავრცელებული.

11. რაჭაში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიშის სახელი **მეკენჩხალა** იგივე სახელი უნდა იყოს, როგორც გურიაში გავრცელებული ყურძენი **მაკურენჩხი**-ა იმ განსხვავებით, რომ იქ შავი ყურძნის სახელად იხმარება. **მეკენჩხალა**-სა და **მაკურენჩხი**-ს სახელების იგივეობის აზრს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ აჭარაში არსებობდა შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც **მეკრენჩხი** ეწოდებოდა. რაკი გურული **მაკურენჩხი**-სა და აჭარული **მეკრენჩხის** იგივეობა ცხადია და რაჭული **მეკენჩხალა**-ც ამავე სახელებთან უნდა იყოს დაკავშირებული, ამიტომ ვგონებ უფლება უნდა გვქონდეს დავასკვნათ, რომ ამ ყურძნის ჯიშის შავი და თეთრი სახესხვაობა დას. საქართველოს სამ თემში, რაჭასა, გურიასა და აჭარაში ყოფილა გავრცელებული.

ამავე სახელების ძირთან უნდა იყოს გურიაში გავრცელებული შავი ყურძნის ჯიშის სახელწოდება **საკვირჩხალა**, მაგრამ, რაკი იმავე გურიაში მაკურენჩხი-ც არსებობდა, ცხადია, რომ საკვირჩხალა და მაკურენჩხი უნდა, ან ჯიშობრივად განსხვავებული იყვნენ, ან სხვადასხვა სახესხვაობას უნდა წარმოადგენდენ. საფიქრებელია, რომ სამივე, ოთხივეც-კი, კურინჩხისაგან ნაწარმოები

გეოგრაფიული სახელისაგან (სა-კურინჩხე-საგან) უნდა იყოს წარმომდგარი, მაგრამ 5-ვერსიანი რუკის საძიებელში ასეთი სახელი არა ჩანს.

12. **მახვატელი**, ანუ **მახატური**, **ოხვატუ**, შავი, სამეგრელოსა და გურიაში მოიპოვება, აჭარაში-კი **მახატური** თეთრია. მათი ჯიშობრივობა გამოსარკვევია.

13. **მაური** ლეჩხუმში შავი ყურძნის ჯიშის სახელია, სამეგრელოსა და გურიაში-კი თეთრი სახესხვაობაა.

14. **ჩხავერი** შავი იმერეთშიც იყო და გურიასა და აჭარაშიც გავრცელებული.

15. სამეგრელოში გავრცელებული იყო **ჩეჟიბეში**, რომელიც თეთრ წვრილისა-ს ჰნიშნავს. უეჭველია ამავე ყურძნის ჯიშის სახელია აჭარის თეთრი ყურძნის სახელი **ჩეჟიბე**. საფიქრებელია, რომ ამავე ჯიშის სახესხვაობას წარმოადგენს შავი **ჩუჟეში**, რომელიც გურიაში იყო. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **ჟიბეში**-ს, წვრილას ორი, თეთრი და შავი, სახესხვაობის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ.

16. **ჩეში**, თეთრიხაი, სამეგრელოში გავრცელებული, უდრის თუ არა ჯიშობრივად ლეჩხუმის **თეთრა**-სა და გურულს **თეთრიშა**-ს ან **თეთრ-ყურძენს**, ეს ჯერ გამოსარკვევია, იმისდა მიუხედავად, რომ სახელი ერთსადაიმავე ფერსა ჰნიშნავს, რათგან თეთრი ყურძენი სხვადასხვა ჯიშისა არსებობს. ისიც-კი დანამდვილებით ძნელი სათქმელია, სამეგრელოს **ჩხუჩეში**, რომელიც მსხვილ თეთრისა-ს ჰნიშნავს, ამავე **ჩეში**-ს სახესხვაობას წარმოადგენს, თუ არა.

§ 5. დასავ. და სამხ.-დას. საქართველოს მხოლოდ ორ-ორ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი.

დას. და სამხ.-დას. საქართველოშიც იმ ყურძნის ჯიშთა რიცხვი, რომელთა გავრცელების არე ორ თემს არ სცილდება, საერთო ჯიშებზე საგრძნობლად უფრო დიდია. ამ ჯგუფს ეკუთვნის:

1. **ღორისთვალა**. მისი შავიცა და თეთრი სახესხვაობაც გურიაში იყო. სამეგრელოში მისი შავი სახესხვაობაა ცნობილი, რომელსაც **ქერთოლი** ეწოდება, რაც ღორის თვალასავე ჰნიშნავს.

2. **ყორნისთვალა** შავი რაჭაში და ლეჩხუმში იყო მხოლოდ ცნობილი: სხვა თემში არსად არის დასახელებული.

3. **კრახუნა** იმერეთში ყურძნის თეთრი ჯიშის სახელია, ისევე როგორც რაჭაშიც. ამნაირად ეს ჯიში დას. საქართველოს ამ ორი მოსაზღვრე თემის ფარგლებს არა სცილდება.

4. **ქამური** შავიცა და თეთრი სახესხვაობაც არსებობდა და იმერეთში და გურიაში იყო გავრცელებული.

5. **ცოლიკაური**, ანუ **ცოლიკოური** თეთრი იმერეთშიც არის, სადაც მას **ოჩხურა**-ც ეწოდება, და რაჭაშიც, რომელშიც ეს ყურძნის ჯიში იმერულად ითვლება.

6. **ალექსანდროული** შავი რაჭაშია გავრცელებული, ხოლო ლეჩხუმში შავიცა და თეთრი სახესხვაობაც არსებობს.

7. **ნაგუთნეული** შავი ორ მოსაზღვრე თემშია: რაჭასა და ლეჩხუმში.

8. **უსახელო**-ც თეთრი ამავე ორ თემშია გავრცელებული.

9. **ბერაულა** თეთრიც რაჭაში და ლეჩხუმში იყო მხოლოდ.

10. **უსახელაური** შავი ლეჩხუმშია, რაჭაში-კი **უსახელო** თეთრი ყურძნის ჯიშს ეწოდება. საფიქრებელია, რომ ორივე ერთი ჯიშის ორი სახესხვაობაა.

11. **კახური**, ანუ **კახურა** თეთრი რაჭასა და ლეჩხუმში მოიპოვება, რაჭაში შავი **კახური**-ც არსებობდა. მათი ჯიშობრიობა გამოსარკვევია.

12. **თეთრა-წმინდა** აგრეთვე რაჭასა და ლეჩხუმშია გავრცელებული.

13. **ოჯალეში** შავი ლეჩხუმსა და სამეგრელოში გვხვდება.

14. **ხარდანი** თეთრი და შავი (**უჩა** და **ძჩე**) სამეგრელოში მოიპოვება, ხოლო გურიაში **ხარდანის** შავი სახესხვაობაა.

15. **ჭითაში**, რომელიც წითელის-ას ჰნიშნავს, სამეგრელოშია გავრცელებული, ხოლო გურიაში **წითლიანი** არსებობს. თუმცა მათი ჯიშობრივი იგივეობა საფიქრებელია, მაგრამ საკითხი მაინც ჯერ გამოსარკვევია.

16. **კოლოში** შავი და თეთრი, **ჩე-კოლოში** სამეგრელოსა და გურიაშია გავრცელებული, მაგრამ უკანასკნელში მარტო შავი ჩანს.

17. **კეთილური** შავი გურიასა და სამეგრელოში მოიპოვება.

18. **კიკაჩა** შავი სამეგრელოშია, ხოლო გურიაში შავიცა და თეთრი **კიკაჩაი**-ც არსებობს.

19. **ჩხუჩეში**, ე. ი. სხვილი თეთრისაი, სამეგრელოში გავრცელებული ჯიში, ვგონებ, უნდა აჭარაშიც ვიგულისხმოთ, სადაც თეთრივე, **ჩხუში**-ს სახელწოდებით ცნობილი, ყურძნის ჯიში არსებობს.

20. **ჯანი** შავი იმერეთსა და გურიაში მოიპოვება.

21. გურული **ოცხანური** შავი ალბათ იგივე **ოცხანური საფერე** უნდა იყოს, რომელიც იმერეთშიც იყო გავრცელებული.

22. **ორონა** შავი გურიაში იყო, ხოლო თეთრი **ორონა** აჭარაშია (ე რ მ. ნ ა კ ა შ ი ძ ე მევენ. გვ. 51) გავრცელებული.

23. **კლარჯული** თეთრი გურიასა და აჭარაში მოიპოვებოდა.

24. **ჯინეში** შავი ცნობილი და გავრცელებული იყო შავშეთ-კლარჯეთსა და აჭარაში.

25. **ჭოდი** შავი მხოლოდ გურიასა და აჭარაში ჩანს. გამოსარკვევია, ლეჩხუმური თეთრი **ტოჭა**-ს სახელი თანხმოვანთა ადგილმონაცვლებით ხომ არ არის ჭოდი-საგან, ან წინაუკმო, წარმომდგარი და ხომ აქ ერთისადაიმავე ჯიშის ორ სახესხვაობასთან არა გვაქვს საქმე.

26. **ჩხაბერძული** გურიაში შავია, ხოლო აჭარაში წითელია.

27. **მაგანაყური**, რომლისაც გურიაში შავი სახესხვაობაა გავრცელებული, აჭარაში-კი თეთრი.

28. **თეთრი ყურძენი**, რომელიც გურიაშიცა და აჭარაშიც არის.

29. საფიქრებელია, რომ იმერული შავი **ძველოური**-ს ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს სამეგრელოს აგრეთვე შავი **ქველები**-ც.

—

§ 6. დას. და სამხრეთ-დას. საქართველოს მხოლოდ ერთ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი.

ყველაზე მრავალრიცხოვანია აქაც თითო თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ჯგუფი, რომელსაც სახელდობრ შემდეგი მიეკუთვნება:

მხოლოდ იმერეთში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნოდა:

1. ᲛᲐᲦᲚᲐᲠᲘ თეთრი
2. ᲙᲣᲜᲫᲐ, ᲙᲣᲜᲫᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ თეთრი
3. ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲐᲕᲐ თეთრი
4. ᲧᲣᲠᲬᲘᲗᲔᲚᲐ თეთრი
5. ᲗᲐᲕᲬᲘᲗᲔᲚᲐ თეთრი
6. ᲖᲐᲜᲗᲘ თეთრი
7. ᲡᲐᲓᲐᲦᲔᲒᲝ თეთრი
8. ᲜᲐᲪᲐᲠᲐ თეთრი
9. ᲡᲐᲗᲘᲑᲐ თეთრი
10. ᲛᲐᲘᲡᲐ თეთრი
11. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐ თეთრი

მხოლოდ რაჭაში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

1. ᲐᲚᲔᲨᲘ შავი, რომელიც, როგორც უკვე დავრწმუნდით, ნამდვილად ზოგადი სახელიც ყოფილა.
2. ᲮᲔᲢᲔᲕᲣᲠᲘ შავი
3. ᲛᲣᲯᲣᲠᲔᲗᲣᲚᲘ
4. ᲒᲣᲚᲦᲕᲐ შავი
5. ᲜᲝᲨᲠᲘᲝ შავი
6. ᲮᲠᲝᲒᲘ შავი
7. ᲛᲭᲐᲕᲔᲚᲐ შავი
8. ᲑᲐᲮᲕᲐ შავი
9. ᲑᲔᲠᲑᲔᲨᲝ შავი
10. ᲝᲯᲣᲠᲔᲨᲣᲚᲘ შავი
11. ᲬᲘᲬᲘᲚᲘᲐᲜᲘ თეთრი
12. ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲐ
13. ᲚᲐᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲐ
14. ᲙᲘᲓᲝᲠᲐᲣᲚᲘ, ᲙᲣᲓᲣᲠᲐᲣᲚᲘ თეთრი
15. ᲩᲐᲦᲕᲘᲜᲐᲣᲠᲘ თეთრი
16. ᲗᲮᲛᲝᲠᲣᲚᲐ თეთრი
17. ᲛᲝᲑᲐᲖᲣᲠᲘ თეთრი
18. ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲐᲣᲠᲘ თეთრი
19. ᲞᲠᲝᲞᲘᲜᲐ თეთრი
20. ᲡᲐᲓᲛᲔᲚᲣᲠᲘ თეთრი
21. ᲗᲥᲕᲐᲤᲣᲜᲐ, ანუ ᲗᲮᲠᲣᲨᲣᲜᲐ თეთრი
22. ᲗᲑᲘᲚᲣᲚᲘ თეთრი
23. ᲒᲠᲫᲔᲚ-ᲛᲢᲔᲕᲜᲘᲐᲜᲘ
24. ᲛᲝᲙᲐᲢᲣᲠᲘ (თუ მოქალაური?) შავი.
25. საგანგებოდ გამოსარკვევია, რაჭული ᲗᲔᲗᲠᲐ ჯიშობრივად გურიასა და აჭარაში გავრცელებულ ᲗᲔᲗᲠ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲡ უდრის, თუ არა, ანდა გურიის ᲗᲔ-ᲗᲠᲘᲨᲐ-სთან ჯიშობრივად რაიმე კავშირი აქვს, თუ არა.

მხოლოდ ლეჩხუმში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს შეადგენენ:

1. ᲡᲐᲘᲠᲛᲣᲚᲐ შავი
2. ᲐᲒᲮᲐᲖᲣᲠᲘ შავი
3. ᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ შავი

სურ. 8.

მცხეთის სვეტიცხოვლის ხის ძველი კანკელის ქანდაკება. საყურადღებოა ყურძნის ჯიშთა ხნიერების გამოსარკვევად (იხ. გვ. 523) და *მოკლემტევანას* (იხ. გვ. 480) მსგავსი სხვილი და რგვალ-მარცვლიანი ჯიშის ყურძნის სურათით.

4. გოროთანა შავი
5. ორხულა თეთრი
6. ლარასულა თეთრი
7. ფაჩხატა თეთრი
8. ტოჭა (тодча)
9. გაბაშა (ҫабаша)
10. ძელურა თეთრი
11. ცხერო თეთრი
12. ცარცხია თეთრი
13. ყუნწმაგარა თეთრივე

მხოლოდ სამეგრელოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

1. სვანური, ანუ შონური შავი
2. ვერნახი შავი
3. პუმპულაში წითელი
4. გრეხი შავი
5. ტუტაში შავი
6. პანეში შავი
7. გოდავათური შავი
8. მაჭყვატური შავი
9. ტოვანი შავი, თუ ეს სახელი სრულად არის დაცული და მტევანდი-დისა, ან რცხილათობანის ნაწილი არ არის.
10. ჩხოროკული შავი
11. მაგრა შავი, თუ მას მაურთან არა აქვს კავშირი.
12. ოქონა შავი
13. კუტალა შავი
14. ლაგილური შავი
15. ქველეგი შავი, თუ იმერული ქველოური-ს შესატყვისობას არ წარმოადგენს.
16. ზერდაგი თეთრი
17. ჩე-რგვალი, ე. ი. თეთრი რგვალი.
18. ჩეჩქიში, ანუ ჩექში, თეთრი ჩვილი.
19. ჭვიტილოური, თუ რომ ის ჯიშობრივად მართლაც კუნძას არ უდრის.
20. ცხინკილოური თეთრი
21. ეგურძული თეთრი
22. კვაწახური თეთრი
23. ოპოპი თეთრი
24. დედოფლის კითი შავი
25. ჩეში უდრის, თუ არა ჯიშობრივად თეთრ ყურძენს, ანუ თეთრას, ეს ჯერ გამოსარკვევია.

მხოლოდ გურიაში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

1. ჯუმუტა შავი
2. ბადაგი შავი
3. ბერძულა შავი
4. სამჩხავერა შავი
5. მანდიკოური შავი

6. საქვირჩხილა შავი
7. ოფოურა შავი
8. მუხიშხა შავი
9. კორძალა შავი
10. სამარხი თეთრი
11. ათინური თეთრი
12. ზენათური თეთრი
13. წიალოგინა თეთრი
14. თეთრიშა თეთრი

მხოლოდ აჭარაში გავრცელებული იყო:

1. საწური შავი
2. წვიტე (цвите) თეთრი
3. ხოფათური
4. მატანაური თეთრი
5. მაგანაჟური (?) თეთრი
6. შავშურა შავი
7. ბროლა თეთრი
8. ლიკანა ყურძენი თეთრი
9. პოვნილი შავი

მხოლოდ შავშეთ-კლარჯეთში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

1. ორჯოხული თეთრი და შავი
2. სორექი თეთრი
3. ხევარდული თეთრი
4. გორგოული თეთრი
5. წყალთეთული თეთრი
6. თურვანდა თეთრი
7. ჭალთური შავი
8. სალიკლევი შავი
9. შიშველი შავი
10. ახალექი შავი
11. შავროპი

თავი XIX. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ხნიერების განსაზღვრა.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა ზემოგანხილული ყურძნის ჯიშები ეროსადაიმავე დროს არ შეიძლება საქართველოში გაჩენილი იყოს: თანდანობით, სხვადასხვა გზითა და საშუალებით იქმნება მათი რიცხვი გამრავლებული. საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარი ვალდებულია, შეძლებისდა გვარად, გამოარკვიოს, თუ რა ჯიშის პატრონი იყო ქართველი მიწისმოქმედი ძველად და რომელი და რა ღირებულების ახალი ჯიშები შეეძინა მის მეურნეობას ღროთა განმავლობაში და სახელდობრ საითგან.

ასეთი საკითხის შესწავლა ადვილი არ არის იქაც-კი, სადაც ძველი და შემდეგდროინდელი აგრონომიული თხზულებები და ეკონომიური ისტორიის ძეგლები გადარჩენილია. საქართველოს მკვლევარი, სამწუხაროდ, იმ ბედნიერი ერე-



სურ. 9.

მცხეთის სვეტიცხოვლის ქვის ძველი კანკელის ქანდაკება, რომელიც ჯიშების ხნიერების განსაზღვრისათვისაც არის საყურადღებო (იხ. გვ. 523) და **მოკლემტევანას** ჯიშის მაგვარი (იხ. გვ. 480) წვრილმარცვლიანი და წოწოლა მტევნითაც.

ბის წარსულის შემსწავლელთა ჯგუფს არ ეკუთვნის, რომელთა წინაპრების მრავალსაუკუნოვანი კულტურული მონაპოვარი დაცულია მთლიანად. ისიც-კი დანამდვილებით არ ვიცით, ჰქონდა, თუ არა ძველ საქართველოსაც თავისი აგრონომი-მწერლები. სამეურნეო ისტორიის ძეგლთაგან ხომ მე-XIII ს-ზე უწინარესი არც ერთი გადარჩენილი არ არის. ასეთ პირობებში ადვილად შესაძლებელია ყურძნის ჯიშების ხნიერებისა და სადაურობის პრობლემის გამორკვევის განზრახვა და მცდელობა ადამიანს სრულებით უნიადაგო და უიმედო საქმედ ეჩვენოს. მაგრამ, დიდი სიძნელისდა მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის, თუ მთელი სისრულითა და სასურველი ზედმიწევნილობით არა, ნაწილობრივ და დაახლოებით მაინც გამორკვევა შესაძლებელია.

§ 1. ვაზ-ყურძნის ჯიშების ხნიერების საკითხის გამოსარკვევად გამოსადეგი წყაროები და მეთოდები.

ყურძნის ჯიშებზე რამოდენიმე ცნობა მე-XVII—XVIII ს. ს. წყაროებში მოგვეპოვება. ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ მე-X ს-ითგან მოყოლებული ძველ ქართულ მხატვრობასა და ქანდაკებებში ვაზ-ყურძნის სხვადასხვა ჯიშის ფოთლისა და მტევნის გამოხატულება ხშირია. რამოდენიმე ძეგლის ამნაირი სურათი აქვე მომყავს. მცოდნე და ჯიშების გარჩევაში დახელოვნებულმა პირმა ეგების ასეთი გამოხატულების მიხედვით არაერთი საგულისხმო საკითხის გამორკვევა შესძლოს, მაგრამ ამას ფრთხილი და განსაკუთრებული შესწავლა სჭირდება და, რა თქმა უნდა, აგრონომების საქმეა.

ამას გარდა, უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ჩვენამდის მოაღწია ვაზის ლერწისაგან გაკეთებულად მიჩნეულმა კარმა და სხვა საგნებმა, მათ შორის წმ. ნინოსად მიჩნეულმა ჯვარმაც. მათი მერქნის ჰისტოლოგიური აგებულების სურათის თანამედროვე საქართველოში გავრცელებული ჯიშების მერქნის ჰისტოლოგიურ სურათთან შედარება ამპელოგრაფს საშუალებას მისცემს გამოარკვიოს, თუ რომელი ვაზის ჯიშის ლერწისაგან ყოფილა ეს საგნები გაკეთებული. ამნაირად ზოგიერთი ჯიშების ხნიერების გასაგებად სრულებით სანდო და მტკიცე დასაყრდნობი შეეძინებოდა მეცნიერებას. მხოლოდ ასეთი კვლევა-ძიებაც მომავლისა და, ცხადია, მცენარეთა ანატომიის სპეციალისტების საქმეა.

მაგრამ უეჭველია, მომავალშიც ყველა ზემოდასახელებული გზითა და ღონეობით საქართველოში გავრცელებული ჯიშების ხნიერების გამოსარკვევად მოპოვებული შედეგი შეუძლებელია იმდენად დიდი იყოს, რომ ადამიანი ამ მონაპოვარით დაკმაყოფილდეს და იმისდა მიხედვით ზოგადი დასკვნის გამოყვანა მოახერხოს. ამიტომაც ამ პრობლემის შესასწავლად აუცილებლად საჭიროა კიდევ სხვა რაიმე საშუალების გამოძებნა.

ასეთ უმთავრეს და უპირველეს საშუალებად უნდა გამოყენებულ იქმნეს ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელების ლინგვისტიკურ-ფილოლოგიური ანალიზი. მართალია ჯიშების ხნიერების საკითხი სხვა ქვეყნებშიც ჯერ სათანადოდ შესწავლილი არ არის, მით უმეტეს ასეთი მეთოდით ამ პრობლემის გამორკვევა არსად არავის უცდია, მაგრამ ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ ამ საკითხებზე ჩვეულებრივ ამპელოგრაფები მსჯელობდენ, რომელთაც ფილოლოგიური მეთოდის გამოყენება არც უფიქრიათ და არც შეეძლოთ.

ცნობილია, რომ ყოველ ენას თავისი ისტორია აქვს: დროთა განმავლობაში მისი აგებულებაც იცვლება და სიტყვათა საუნჯეც. ძველი სიტყვა ისპობა და მის მაგიერ სხვა სიტყვა ჩნდება, ანდა სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა იცვლება და ძველის მაგიერ უკვე ახალი მნიშვნელობით იხმარება ხოლმე. მკვლევარს სწორედ ენის აგებულებისა და სიტყვათა საგანძურისა, ისევე როგორც მნიშვნელობის ცვლილებათა ქრონოლოგიის ცოდნა შეუძლიან ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელების გაჩენის დაახლოვებითი დათარიღებისათვის გამოიყენოს და ამ გზით თვით ამ ჯიშების ხნიერების განსაზღვრაც მოახერხოს.

მეორე საშუალებად შესაძლებელია გამოყენებულ იქმნეს საქართველოს იმ რამოდენიმე თემის ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელები, სადაც მაჰმადიანობა გაბატონდა და ამის გამო უკვე რამოდენიმე საუკუნის წინათ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება შეჩერდა, ანდა ყურძნის სპარსულ-თურქული სახელები შევიდა. საქართველოს ასეთ გამაჰმადიანებულ-გათურქებულ რომელსამე თემში გავრცელებული ვაზ-ყურძნის ჯიშის ქართული სახელი ძველი მევენახეობა-მეღვინეობის ნაშთს წარმოადგენს და ეს გარემოებაც ადამიანს შეუძლიან ჯიშების ხნიერების დაახლოვებითი დათარიღებისათვის გამოიყენოს. სწორედ ამის გამო ძველი ჰერეთის, საინგილოს, სამცხის, აჭარისა, შავშეთისა და კლარჯეთის ჯიშის ქართულ სახელებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

წერილობითი წყაროების ცნობათა გამოყენებითა და ამ ორი საშუალებით არაერთი ჯიშ-სახესხვაობის ხნიერების საკითხის გამორკვევა ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ დაახლოვებით, ზოგჯერ-კი მხოლოდ ხანის განსაზღვრით ხერხდება.

§ 2. ვაზ-ყურძნის ჯიშების ხნიერება საქართველოში.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, წარსულ საუკუნეში ყველა ცნობილი ჯიშები ძველი არ არის, პირიქით ზოგი მათგანი სრულებით ახალი შემოტანილია. მაგალითად შესაძლებელია, დასახელებული იყოს ფილოქსერის გაჩენის შემდეგ დას. საქართველოში ფართოდ გავრცელებული იზაბელა, ანუ ადესა, ზოგიერთი ევროპული ჯიშები, რომელთა სახელებიც ამის გამო ჩვენს ზემომოყვანილ ამპელოგრაფიულ მიმოხილვაში არ შევვიტანია.

ადგილობრივ ჯიშთა შორისაც არაერთია ახალი მაგალითად ᲐᲠᲒᲕᲔᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲠᲔ-ს ამპელოგრაფიულ აღწერილობაში უკვე მოყვანილი გვქონდა ვ. სტაროსელსკის 1893 წ. ცნობა, რომ ეს ყურძნის ჯიში ს. არგვეთში დიდი ხნის გავრცელებული არ იყო, მაგრამ რომ მისი გაჩენის ისტორია გამორკვეული არ არის, უცნობიაო (იხ. აქვე გვ. 430).

ᲐᲠᲒᲕᲔᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡ ჯიშობრივი წარმოშობილობის საკითხის გამორკვევა, რა თქმა უნდა, აგრონომ-ამპელოგრაფების საქმეა, მაგრამ, თუ ამ ყურძნის ჯიშის მეორე სახელს, ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲠᲔ-ს, მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ ამ ვაზის ისტორიის ორი მნიშვნელოვანი გარემოების გამორკვევას მაინც შევძლებთ. ამ სახელის მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ᲐᲠᲒᲕᲔᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲠᲔ ს. არგვეთში პირველად რომელიღაც კობახიძის წყალობით გაჩენი-

ლა. სწორედ ამიტომაა, რომ ხალხს მისთვის „**კობახიძის საფერე**“-ს სახელი უწოდებია.

რაკი მე-XIX ს. დამლევს ამ ყურძნის ჯიშის სახელს მისი პირველი შემომღების გვარის შესახები ცნობა შენარჩუნებული ჰქონია. ეს გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ **არგვეთული საფერე** მართლაც შედარებით ახლად მოტანილი, თუ გაჩენილი ყურძნის ჯიშია. საფიქრებელია, რომ მე-XIX ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს, რათგან წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შემომტანის გვარი დავიწყებული იქმნებოდა და მისი სადაურობის მაუწყებელი სახელი, **არგვეთული საფერე**, რომელიც ეხლა უკვე საყოველთაოდ არის მიღებული, ამ ყურძნის პირველი შემომტანის გამომჟღავნებელ სახელს, **კობახიძის საფერე**-ს, დასჩრდილავდა და ხალხს სრულებით დაავიწყებდა კიდევაც. ეხლა საჭიროა კიდევ მხოლოდ გამოირკვეს, თუ ყურძნის ჯიშთა რომელ ჯგუფს ეკუთვნის იგი ჯიშობრივად, რომ მისი ბოტანიკური წარმოშობილობისა და თავდაპირველი სადაურობის საკითხიც გაშუქდეს.

იგივე უნდა ითქვას მევენ.-მეღვ. ინსტიტუტის თანამშრომელთაგან კახეთში აღნიშნული ისეთი ჯიშებისა, თუ სახესხვაობათა შესახებაც, როგორიცაა სამადაშვილისა და მისთ.

წერილობით ძეგლებში ხსენებისდა მიხედვით, ოთხი ჯიშის არსებობის ხანის განსაზღვრა შეიძლება, მაგ. **ბუდეშური** ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი, სადაც ნათქვამია: „**ბუდეშური** ყურძენი მოგრძე მარცვალი“ არისო (ლექსიკ.). უკვე ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ბუდეშური მე XVII ს-ში კარგად ცნობილი ყურძნის ჯიში ყოფილა. ამასვე მეორე გარემოებაც ადასტურებს: ბუდეშური მესხეთშიც არის გავრცელებული, ე. ი. სამაჰმადიანო საქართველოშიც, რაც ამ ჯიშს მე-XVII ს-ზე ადრინდელად გვაგულისხმებინებს. ხოლო ყურძნის ჯიშთა სადაურობის მაუწყებელი სახელების განხილვის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ **ბუდეშურის** სახელი უნდა ოდესღაც საქართველოში არსებული გეოგრაფიული სახელისაგან იყოს წარმოქმდგარი. მისი კვალის წარხოცილობის გარემოებაც ამ ყურძნის ჯიშის საპატიო ხნიერების გამომჟღავნებელია.

ამნაირადვე ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ცნობითგან, რომ „**ქამური** ყურძენია ერთი რიგი“ (ლექსიკ.), ცხადი ხდება, რომ **ქამური**, თუ ამაზე უწინარეს არა, მაინცდამაინც უკვე მე-XVII ს-ში აღმ. საქართველოშიც ცნობილი ჯიში ყოფილა. ამჟამად, როგორც დავრწმუნდით, მისი გავრცელების არე იმერეთითა და გურიით არის შემოფარგლული.

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს **ქიჩირი**-ც აქვს მოხსენებული, და მისი განმარტებით, „**ქიჩირი** ყურძენია ერთი რიგი“ (ლექსიკ.). არც თანამედროვე და არც მე-XIX ს. წყაროებში უკვე აღარავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ამ მე-XVII-ს. არსებული ყურძნის ჯიშის შესახებ. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ დროთა განმავლობაში არაერთი წინათ არსებული და შესაძლებელია საკმაოდ გავრცელებული ყურძნის ჯიში ეგების ისე იყოს გამქრალი, რომ მისი კვალიც კი არსად გვქონდეს შერჩენილი.

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლექსიკონის ერთერთ შემავსებელთაგანს **ქველოუ-რის** ყურძნის ჯიშის მოკლე დახასიათება შეუტანია. მას ამ ჯიშის სახელად

ᲥᲕᲔᲚᲐᲣᲠᲘ აქვს და მისი სიტყვით „ქველაური ყურძენია მომგრგლო და მოგძე“ (ლექსიკ.).

ᲡᲐᲤᲔᲠᲐᲕᲘ ვ ა ხ ტ ა ნ გ მე-VI-ის დასტურლამალში გვხვდება ატენის ზვრების შესახებს დებულებაში, მაგრამ სახელს გარდა არაფერი მოიპოვება (დასტურლ. გვ. 123, § ლ). ეს ცნობაც საფერავს მე-XVII ს-ზე უწინარეს ჯიშად გვაგულისხმებინებს. საუკუნეებით მის ადრინდელ ხნიერებას შავშეთ-კლარჯეთშიც, ამ გამაჰმადიანებულ ქართულ ორ თემშიც, არსებობის გარემოებაც ადასტურებს.

ვინც ვ ა ხ უ შ ტ ი ს საქ. გეოგრაფიას გარდაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ მე-XIX ს. წყაროებში სამეგრელოში დასახელებული ᲖᲔᲠᲓᲐᲒᲘ-ს ყურძნის ჯიში, მე-XVIII ს. დამდეგსაც განთქმული და საუკეთესოდ მიჩნეული ჯიში ყოფილა, რომელსაც თავისი სახელი ღვინის ფერის გამო დაჰრქმევია. ვ ა ხ უ შ ტ ს ნათქვამი აქვს: ს. ოდიშში იყო „ღვინო ზერდაგი ფერისათვის ეგრეთ წოდებული“, რომელიც მისივე დახასიათებით ყოფილა „ქებული ყოველთა შინა“ (გვ. რთა 402—404). ამისდა მიხედვით ცხადია, რომ ეს ჯიში მაინცდამაინც მე-XVII ს-ზე უგვიანესი არ შეიძლება იყოს. მისი უწინარესობის საზღვრის გამორკვევის საშუალებას თვით ამ ჯიშის სახელი გვაძლევს. ᲖᲔᲠᲓᲐᲒᲘ ახალი სპარსულითგან შეთვისებული სიტყვაა. რაკი ახალი სპარსული მე-X ს-ითგან იწყება, ამიტომ ამაზე უწინარესაც ზერდაგი არ შეიძლება ქართულს შეეთვისებინა. ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსს ᲖᲔᲠᲓᲐᲒᲘ ცხენის ფერის აღსანიშნავად აქვს უკვე ნახმარი. ეს გარემოება ამ სიტყვის ქართულში უკვე მე-XI—XII ს. შეთვისებულად გვაგულისხმებინებს. რაკი ეს სიტყვა მე-XVII—XVIII სს-ში იშვიათი სიტყვაა, ს ა ბ ა ს ა ც კი მისი მნიშვნელობა მთლად სწორედ არა აქვს განმარტებული, თანაც ასეთი სახელის არსებობა ოდიშში ვაზ-ყურძენ-ღვინის ფერის აღსანიშნავად უფრო საქართველოს მთლიანობის ხანაშია მოსალოდნელი, ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ᲖᲔᲠᲓᲐᲒᲘ-ს ჯიშის სახელი XII—XV სს-ში უნდა იყოს გაჩენილი.

ᲞᲣᲛᲞᲣᲚᲐᲨᲘ-ს სახელწოდებით ცნობილი, სამეგრელოში გავრცელებული ყურძნის ჯიში სხვა რომელსამე საქართველოს თემში არსადა ჩანს. როგორც თავის ალაგას (იხ. აქვე გვ. 450) ნათქვამი გვქონდა, მისი სახელი უნდა უეჭველად სურნელოვანი და ლამაზი პატარა ნესვის ჯიშის ᲞᲣᲛᲞᲣᲚᲐ-ს სახელთან იყოს დაკავშირებული. როგორც დავრწმუნდით, ნესვის ეს ჯიში ძველ საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული (იხ. აქვე გვ. 257). საფიქრებელია, რომ პუმპულაშის ყურძნის ჯიში ნესვის ამ ჯიშს სურნელებით, ან ფერით თუ დაუკავშირეს, რათგან ძნელი დასაჯერებელია, რომ პუმპულა, ვითარცა არა-საჭმელი ჯიში, ყურძნის გემოს დასახასიათებლად გამოეყენებინათ.

ᲞᲣᲛᲞᲣᲚᲐᲨᲘ-ს მსგავსი სახელი ძველად და საშუალო საუკუნეებში არც უცხოეთში ჩანს სადმე. მხოლოდ J e a n B a u h i n-ს (1540—1613) თავის ნაშრომში „Historia plantarum universalis“ ყურძნის ჯიშების აღწერილობაში შეტანილი აქვს „Uvaė albae dictae «Melons» „თეთრი ყურძენი «ნესვისა»-დ წოდებული“ ჯიშის სახელიც. მისი აღწერილობით ამ ვაზის ჯიშს ფოთოლი რგვალი, ნაკლებად ჩაღრმავებული, დაკბილული და ქვევითგან ბუსუსიანი ჰქონია, მარცვალი დიდი არ სცოდნია, მაგრამ ტკბილი და სასიამოვნო ყოფილა. მხოლოდ მისგან ღვინო თურმე გამძლე არ გამომდგარა. ამ ჯიშის გერმანული

სახელი Bauhin-ს ვერ გაუგია, ალბათ არც არსებობდა. Montebéliard-ის გრაფს ეს ყურძნის ჯიში თავის მამულში გაუშენებია (I. Roy-Chevrier Amp. rétrosp. 211-212).

I. Roy-Chevrier-ს ცნობით, ზემოდასახელებული გრაფისაგან Granges-la-Ville-ს მახლობლად მდებარე Franche-comté-ში ამ ყურძნის ჯიშის გაშენება პარლამენტის დადგენილებით სასტიკად აუკრძალავთ, რათგან Melon-ის ყურძნისაგან ჯანმრთელობისათვის მავნებელი ღვინო დგებოდაო. მაგრამ ამავე ავტორის სიტყვით, ეს ჯიში ეხლაც არსებობს და Gamay blanc feuille ronde-ი ეწოდება (იქვე გვ. 216). მისი ამპელოგრაფიული აღწერილობა V. Pulliat-საც მოეპოვება (იხ. Mille variétés 129-130).

ზემონათქვამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ პუმპულაში-ს მსგავსი **ყურძნის ჯიში საფრანგეთსა და გერმანიაში მე-XVI ს-ში გაჩენილა და, ალბათ, აღმოსავლეთითგან იქმნება იქ შეტანილი. ამისდა გვარად საფიქრებელია, რომ საქართველოშიც აღმოსავლეთითგანვე იქმნება შემოტანილი, ცხადია, მე-XVI ს-ზე გაცილებით უფრო ადრე.**

ჯანი-ც შესაძლებელია, თავის ადგილას მოყვანილი (იხ. აქვე გვ. 504) მე-XVI ს. ესპანელი მეცნიერის ცნობისდა მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთითგან შემოტანილ უცხო ჯიშად ვიგულისხმოთ, დაახლოვებით მე-XVI—XVII ს.

პარტალა-დ წოდებული ყურძნის ჯიშის უკვე სახელის ნამდვილი გამოთქმაა გამოსაძიებელი. 1875 წ., როგორც დავრწმუნდით, რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომში ამ ყურძნის ჯიშის სახელი „პარტკალა"-დ არის აღნიშნული (Партказа"), ს. ზელინსკის ქართულად პარტყალი აქვს დაბეჭდილი და თანაც ამ სახელს „წყალწყალა"-დ (водянистый) სთარგმნის, რუსულად-კი ისევ „парткала"-ა (იხ. აქვე გვ. 425). ზელინსკის ქართული ასოებით მოყვანილი ყურძნის ჯიშების სხვა სახელები ისე დაუმახინჯებია, რომ ამ შემთხვევაშიც ადამიანი მას ვერ ენდობა. საკითხს ის გარემოებაც ართულებს, რომ ამჟამად გარეკახეთშიცა და ქართლშიც ამ ყურძნის ჯიშს პარტალა-ს ეძახიან, ე. ი. ტ-ს შემდგომ ქ ანდა ყ არ ისმის.

რომელი ზემომოყვანილთაგანია ყურძნის ამ ჯიშის ნამდვილი სახელი და რას უნდა ჰნიშნავდეს? ამ სახელის მნიშვნელობა რომ სისწორით გვცოდნოდა, მისი მართლმეტყველების საკითხის გადაწყვეტაც გაადვილდებოდა. მაგრამ საითგან აქვს ამოღებული, ან ვისგან და რომელ თემში აქვს ზელინსკის გაგონილი, რომ პარტყალი წყალწყალას ჰნიშნავს ქართულად, ნათქვამი არ არის.

ბაჰარ-ის სპარსული ლექსიკონითგან ირკვევა, რომ ასეთი სახელი სპარსეთშიც ყოფილა ოდესღაც გავრცელებული. ამ ავტორის ნაშრომში შეტანილია شراب پارتکالی „შირაბ-ი ფართქალი". ე. ი. „ფართქალის ღვინო" და მის განსამარტავად ბაჰარ-ს ნათქვამი აქვს شرابی که در پرتکال سازند „ღვინოა, რომელსაც ფართქალ-ში აკეთებენო". Vullers-საც, რომელსაც ბაჰარის სპარს. ლექსიკონითგან ამოღებული ეს ცნობა მოეპოვება, თავის მხრით ეს განმარტება ლათინურადაც აქვს განმარტებული: „Vinum in پرتکال confectum" (იხ. Joh. Ang. Vallers Lexicon Persico-latinum I, 137). რაკი იმ ადგილის სახელი, სადაც ამნაირი სახელწოდებით ცნობილი ღვინო ყოფილა, ვულლერს-ს ლათინურ თარგმანშიც სპარსულადვე აქვს მოყვანილი, ცხადი ხდება, რომ ამ გეოგრაფიული სახელის თანამედროვე შესატყვისობა და მდებარეობა ვერ გა-

მოურკვევია. მართლაც ასეთი გეოგრაფიული სახელი არა ჩანს. ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ვ ი ნ ი-ს დიარბექირისა და რაბიეაჰ-ის სანახებში დასახელებული აქვს بارطلی ბარტალის, ანუ ბარტალას სანახეში (იხ. G. Le S t r a n g e-ის გამოც. Nuzhat-al-Qulub, სპარს. ტექსტის გვ. ١٣=ინგლ. თარგ. გვ. 103). ეს სახელი საქართველოში ეხლა გავრცელებულ **პარტალა**-ს ძალიან მიაგავს, მაგრამ ზემოაღნიშნულ სპარსულ გეოგრაფს აღნიშნული არა აქვს, რომ ამ სანახების სასოფლო მეურნეობაში მევენახეობასაც რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

ამნაირად ცხადი ხდება, რომ **პარტკალა**-სა, თუ **პარტალა**-ს სახელი თუ საქართველოში ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელია, სპარსეთში ღვინის სახელი ყოფილა. ეს სახელი სპარსელ ძველ ლექსიკოგრაფს სადაურობის მაუწყებლად ჰქონია მიჩნეული, მაგრამ ამ საკითხს ჯერ კიდევ გამორკვევა სჭირდება. ამიტომ **პარტკალას, თუ პარტალას** ხნიერების გამორკვევა ამჟამად დაახლოვებითაც-კი შეუძლებელია.

ვაზის ჯიშთა სახელებს შორის, როგორც დაერწმუნდით, ყველაზე თავისებური **ვაზის ლერწის ფერის დამახასიათებელი სახელებია: რქა-წითელი, ხევარდული, ხიხვი და ხემხუ, ძელშავი** და ორიოდე სხვაც: **რქა-ხუილა** და **ბუერა-ვაზი**. ამ სახელების თავისებურება ამ ჯიშების ხნიერებას უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვან საკითხად ხდის.

ამ ვაზის ჯიშების ხნიერების გამორკვევა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მათი სახელების მიხედვით შეიძლება, რათგან მათი ხსენება ძეგლებში ჯერჯერობით არსადა ჩანს.

ამ სახელების **საერთო დამახასიათებელ თვისებას** მათი **ორ-ნაწილედობა შეადგენს. წარმოების მხრივაც** მათ **საერთო** თვისება აქვთ: პირველ ნაწილად ყველგან ვაზის ლერწის სახელია (რქა, ხე, ძელი), მეორედ ფერის აღმნიშვნელი ზედსართავია (წითელი, ვარდული, მხიე, შავი). **ვაზის ნივთიერების სახელი საქართველოში დროთა განმავლობაში არაერთხელ შეცვლილა.** უკვე დიდი ხანია (მით უმეტეს ეხლა) არავინ ვაზის სხეულს, ზროს, ხეს, ანდა ძელს არ უწოდებს, რქასაც არავინ დაარქმევს, რათგან რქა **ვაზის ერთი წლის ტოტსა ჰნიშნავს, ზროს-კი მე-XVII ს. და უწინარეს საუკუნეებშიც ლერწი ეწოდებოდა.** ამიტომ სწორედ ვაზის ლერწის აღმნიშვნელი **სიტყვები უნდა იყოს ვაზის ჯიშების ამ სახელების ხნიერების განსაზღვრისათვის გამოყენებული.** მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ რომ წინასწარ **თვით ლერწის აღმნიშვნელი სიტყვების შენაცვლების რიგობითი თანამიმდევნობა და დაახლოვებითი, ანდა შედარებითი ქრონოლოგია გვეცოდინება.** სამწუხაროდ საქმეს ქართული ენის **ისტორიული გრამატიკისა და ლექსიკონის უქონლობა** გვიძნელებს. ამიტომ **ამჟამად ზედმიწევნით ამ საკითხის გამორკვევა შეუძლებელია და შედარებითი ხნიერების განსაზღვრით უნდა დავკმაყოფილდეთ.**

ვაზის ზროსა და სხეულის აღმნიშვნელი სამი-ოთხი სიტყვითგან, **რომელი უფრო ძველია, ლერწი, რქა, ხე, თუ ძელი და რომელია მერმინდელი?** ყველაზე მერმინდელი, როგორც დავრწმუნდით, **ლერწი**-ა, ხოლო დანარჩენთაგან პირველად, რომ უკანასკნელ ორს შევეხოთ, უნდა ითქვას, რომ ამისათვის იეზეკიელის 15_{2-3}-ისა, 1 კორინთელთა 3_{12}-ისა და სხვა ადგილების ქართული თარგმანი, რომელიც უკვე მოყვანილი გვქონდა (იხ. აქვე გვ. 298-299), ჩვენთვის ფრიად

საყურადღებოა. იქ ხე-ც არის ნახმარი და ძელი-ც. მაგრამ ხე ჯერეთ მოუჭრელი მერქნიანი მცენარის აღსანიშნავად არის გამოყენებული, ძელი კიდევ მოჭრილი ხის მასალის აღმნიშვნელია. არაფერი ამის მსგავსი არც ბერძნული, არც ლათინური და არც სომხური თარგმანების ავტორებს ამ ადგილას არ მოეპოვებათ და მათ ერთიდაიგივე სიტყვა (ქსჳლონ, ლიგნუმ, ფაჲტ) აქვთ ორსავე შემთხვევაში ნახმარი. ქართველი მთარგმნელისათვის მის დედაენას საშუალება მიუცია, ორი განსხვავებული ცნების გამოსახატავად ორი სხვადასხვა სიტყვა ეხმარა.

თუ გავიხსენებთ, რომ დაბადების ქართული თარგმანი უკვე ხანმეტობის ხანაში, მე-VI-ს-ში, არსებობდა, შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ამ დროს ხე სწორედ მერქნიანი მოუჭრელი მცენარის აღმნიშვნელი ყოფილა, ძელი-კი მხოლოდ მოჭრილი ხის სახელად უხმარიათ.

ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორ სიტყვას შემდეგ საუკუნეებშიც. მაგ. წ-ა ნინოს შატბერდისეულ ცხორებაში ნათქვამია: „უბრძანა მირეან მეფემან ძელი საჯუარედ. წარვიდეს ხურონი და მოკუეთეს ხეჲ ერთი... და უბრძანა მეფემან შესაქმედ ჯუარი“-ო (Опис. II, 793). „მოილეს ძელი და იწყეს შენებად“ (იქვე II, 776). მაშასადამე, ძელი რომ ყოფილიყო, ჯერ უნდა ხე მოეკვეთათ, ანუ მოეჭრათ. სადურგლო მუშაობისათვის სახმარებელ მასალას, მოჭრილ ხეს, მე-VII—IX სს-შიც ძელი ჰრქმევია.

ძელი რომ ძველ ქართულში მოჭრილ ხესა ჰნიშნავდა, ს. ორბელიანმაც იცოდა, რომელსაც ეს გარემოება, 1 კორინთელთა 3_{12}-ზე დაყრდნობით, თავის ლექსიკონში მოხსენებული აქვს კიდევაც: „ძელი ხე მოკვეთილი“-ს აღმნიშვნელიაო.

მაგრამ ვაზი ხედ დაბადების ქართული თარგმანის მხოლოდ იმ ადგილას იწოდება, სადაც თვით დედანსა და ბერძნულ თარგმანშიც სწორედ ეს სიტყვა ნახმარი, სხვაგან-კი, სადაც ქართველი მთარგმნელი დაბადების ტექსტისაგან შეზღუდვილი არ იყო, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 299), რქა უხმარია.

ზემოაღნიშნულ დაკვირვებათა მიხედვით, შემდეგი დასკვნის გამოყვანა შეგვიძლიან: V—VII სს-ში ვაზის ლერწს რქა სწოდებია, ხე-კი, თუმცა ამ ხანაში მერქნიანი მცენარეების ზოგადი სახელი ყოფილა, მაგრამ ვაზის ლერწის აღსანიშნავად არ იხმარებოდა. დასასრულ, ძელი ამ დროს მხოლოდ მოჭრილი ხის აღმნიშვნელი სიტყვა-ღა ყოფილა.

იმისდა მიუხედავად, რომ ძელზავი-ს შესახებ ძველი ცნობები ჯერ არსად მოგვეპოვება, მაინც ყურძნის თვით ეს სახელიც ამ ჯიშის სიახლე-სიძველის საკითხის გამორკვევის საშუალებას გვაძლევს: უკვე იმ ხანაში, როდესაც ოთხთავი და დაბადება ქართულად ითარგმნებოდა, ძელი, როგორც დავრწმუნდით, მოკვეთილ, მოჭრილ ხესა ჰნიშნავდა, მოუჭრელს-კი ხე ეწოდებოდა.

ძელქვა-კი, რომელიც ძელი-სა და ქვი-საგან არის შემდგარი და ქვის მსგავსად მაგარ ხესა ჰნიშნავს და ხის ამ ჯიშის განსაკუთრებული სიმაგრისა და გამძლეობის გამომხატველია, ისევე, როგორც ძელი-ს მეგრულ-ჭანური შესატყვისობა, წინანდელი ჯალი-საგან წარმომდგარი, ეხლანდელი ჯა, რომელიც

მოჭრილ ხესა ჰნიშნავს, სრული უეჭველობით ცხადჰყოფენ, რომ თავდაპირველად ძელი მოჭრილისა-კი არა, არამედ სწორედ ნედლი, მდგომი ხის აღმნიშვნელი ყოფილა. რაკი ქართული მწერლობის ჯერეთ ცნობილ უუძველეს ძეგლებში, როგორც დავრწმუნდით, ძელი უკვე მოკვეთილი ხის აღმნიშვნელია, მაშასადამე, ძელის პირვანდელი მნიშვნელობა ამაზე გაცილებით უწინარეს ხანას უნდა მიეკუთვნოს.

ეხლა რომ ვაზის ჯიშების ზემოთმოყვანილი სახელების ხნიერების განსაზღვრას შევუდგეთ, უპირველესად უნდა აღნიშნული იყოს, რომ ვაზის ჯიშის არცერთი სახელი არ მოგვეპოვება, რომელშიც ვაზის ზროს აღსანიშნავად ლერწი იყოს გამოყენებული. უკვე ეს გარემოებაც რქაწითელისა, ხევარდულისა, ხიხვი—ხემხუსა და ძელშავის და საერთოდ ვაზის ფერის მაუწყებელი სახელების საპატიო ხნიერებას ამტკიცებს.

ხოლო აქამდე მოპოვებული დასკვნებითგან ცხადი ხდება, რომ ვაზის ჯიშთა ზემოაღნიშნულ სახელთაგან სხვებთან შედარებით რქა-წითელი უფრო მერმინდელი უნდა იყოს. ამაზე უფრო ძველად ხევარდული-სა, ხიხვი-სა და ხემხუ-ს ვაზის ჯიშების სახელები უნდა იქმნეს მიჩნეული. ხოლო ყველაზე ძველად, რა თქმა უნდა, ძელშავი-ა საგულისხმებელი. ისტორიულ ხანაში, ან უფრო სწორედ რომ ითქვას, ქართული მწერლობის ჯერეთ ცნობილ უძველეს ძეგლებში, ძელი, როგორც დავრწმუნდით, მხოლოდ მოჭრილ ხესა ჰნიშნავს, ძელშავი-ს სახელში-კი ძელი, ცხადია, მოუჭრელად იგულისხმება. ამიტომ ეს ჯიში იმ უუძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც მერქნიანი მცენარეების სახელად ჯერ კიდევ ხეს არ ხმარობდენ, არამედ ძელსა.

ამნაირად, მათი ხნიერება რომ დაახლოვებით განისაზღვროს, რქა-წითელი შესაძლებელია ქ. შ. პირველი ხუთი და მომდევნო საუკუნეების ფარგლებში ვივარაუდოთ. ხევარდული და ხიხვი—ხემხუ ამაზე უწინარესად უნდა იქმნეს მიჩნეული. ძელშავი-კი იმდენად ძველი ჯიში ჩანს, რომ ამჟამად მისი დროის განსაზღვრა დაახლოვებითაც-კი შეუძლებელია. ის ისეთ ხანას ეკუთვნის, რომლითგანაც მერქნიან მცენარეთა სახელებს შორის ისტორიულად ცნობილ ხანაში მარტო ძელქვა-ღა იყო გადარჩენილი.

რქაწითელი-ს ვაზის ჯიშის დიდი ხნიერების გარემოება პროფ. ს. ჩოლოყაშვილსა და დოც. ნ. ჩახნაშვილს ამ ჯიშის ერთი ფიზიოლოგიური თვისებითაც აქვთ თავიანთ ერთს გამოკვლევაში აღნიშნული. „ყვავილობის პერიოდში დაკვირვებამ ცხად-ჰყო“, რომ რქა-წითელსა და ჰყაპას, საფერავსა და მწვანე გორულს, რომელთაც „ტიპიური ანდროდინამურ-ფერტილი ყვავილი“ აქვთ, ხუთ-მტვრიანა ყვავილებს გარდა, „საკმაო რაოდენობა ყვავილებისა ერთსა-და-იმავე თანაყვავილში 6-7-8 --მტვრიან ნორმალურად განვითარებულ ყვავილებს“ ისხამენ. მაგრამ ამ ჯიშებს ერთმანეთს შორის მცირედი განსხვავება ამ მხრივ მაინც ემჩნევა, რადგან „6 და 7-მტვრიანიანი ყვავილი ჯიშ საფერავზე გაცილებით უფრო იშვიათია, ვიდრე რქა-წითელზე და ჰყაპაზე“ (იქვე გვ. 54-55).

ხოლო ჩვეულებრივ ვაზის კულტურული ჯიშები ნაყოფიერი მამალი ყვავილის მქონებელია ხოლმე, დედალი ყვავილის მქონებელი-კი უფრო იშვიათია. ნაყოფიერ ყვავილებს მომეტებულად 5 მტვრიანა აქვთ ხოლმე, ავრეხის ყვავილებში მტვრიანათა რიცხვი ამაზე გაცილებით მეტია, ზომიერად 12-მდეც-კი

სურ. 5.

ვენახის მოვლა — ბარვა და მყნობა (იხ გვ. 531). ჯრუჭის მე-XII ს. ოთხთავის (საქ. მუზ. № H 1667) მხატვრობა. გადმოღებულია მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის მიერ.

არის ხოლმე. ამას გარდა, გარეული ვაზების ყვავილსაც საერთოდ მტვრიანები გაცილებით უფრო მეტი აქვს, ვიდრე კულტურული ვაზის ყვავილს გააჩნია (ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი და ნ. ჩ ა ხ ნ ა შ ვ ი ლ ი მასალები ქართული ვაზის შესწავლისათვის, იქვე, გვ. 54 და 55).

ზემოდასახელებული ქართული ყურძნის ჯიშების მტვრიანათა რიცხვობრივი რაოდენობის შესახები დაკვირვება პროფ. ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ს ა და ნ. ჩ ა ხ ნ ა შ ვ ი ლ ს ამ ჯიშების ხნიერების განსაზღვრისათვისაც აქვთ გამოყენებული. „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კულტურულ ჯიშებს ახასიათებს უმეტეს შემთხვევაში ხუთი მტვრიანა, ხოლო გარეულებს-კი მტვრიანების რიცხვი გაცილებით მეტი აქვთ, მაშინ მოხსენებული ჯიშების ყვავილების აგებულება გვაძლევს ერთგვარ საბუთს ვიფიქროთ, რომ ისინი შეიძლება წარმოადგენდენ პროტოტიპს იმ ჯიშებისას, რომელნიც გარდამავალ საფეხურზე დგანან გარეულ და კულტურულ ჯიშთა შორის და ამისდა მიხედვით ერთი უძველეს ჯიშთაგანი არიან“-ო (იქვე გვ. 54—55).

რქაწითელის ხნიერება, როგორც დავრწმუნდით, ამ ჯიშის სახელითაც მტკიცდება. ეს გარემოება რქაწითელს ძველ კულტურულ ვაზის ჯიშად ხდის. მაგრამ ასეთ დასკვნას თითქოს ის დაკვირვება უნდა ეწინააღმდეგებოდეს, რომ რქაწითლის მტვრიანათა რიცხვი კულტურული ჯიშის ნორმად მიჩნეულს აღემატება. მაშასადამე ამ თვისებით იგი და სხვა ზემოდასახელებული ჯიშები უფრო გარეულ ვაზს უახლოვდება. ამ ლინგვისტიკურ ფაქტზე და ამპელოგრაფიულ დაკვირვებაზე დამყარებულ ორ მოწინააღმდეგე დასკვნას შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი განმარტება მოეძებნოს.

რქაწითელის ჯიშის დიდი ხნიერება მისი სახელითა მტკიცდება. ამის გამო მას, ვითარცა ძველ კულტურულ ჯიშს, შესაფერისი მორფოლოგიური თვისებები, კერძოდ მტვრიანათა სათანადო რიცხვი უნდა ჰქონოდა. თუ ეს მოლოდინი მთლად არა მართლდება, ეს ცხადჰყოფს, რომ რაღაც გარემოება ამ ვაზის ჯიშების კულტურულობის გამომჟღავნებელ მორფოლოგიურ თვისებას სცვლიდა და გარეულს უახლოვებდა. ასეთ გარემოებად-კი შესაძლებელია მხოლოდ ამ ვაზის ჯიშების გარეულ ვაზზე მრავალგზისი მყნობა ყოფილიყო.

თუმცა ქართ. წერილობით წყაროებში ვაზის მყნობაზე ჯერჯერობით ცნობები არსად ჩანს, მაგრამ ვაზის მყნობის არსებობა ძველ საქართველოში ხელოვნების ძეგლებით მტკიცდება. ჯრუჭის ოთხთავში ვაზის ბარეა ჰხატია და ვაზს იქ თეთრი და წითელი მტევნები ასხია, რაც რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ მყნობის შედეგი იყოს. ქართ. ქანდაკების ძეგლებშიც გვხვდება ვაზების არა ერთი გამოხატულება, რომელთაც ერთსადაიმავე ძირზე სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის მტევნები და მარცვლები ასხია, რაც აგრეთვე მხოლოდ სხვადასხვა ჯიშის მყნობის წყალობით იყო შესაძლებელი. ამგვარად საქართველოში რომ ძველად ვაზის მყნობას მისდევდენ, ამის ნივთიერი კვალი არის აღბეჭდილი და ჩვენი ზემოგამოთქმული მოსაზრება ქართ. მევენახეობის ნამდვილ ვითარებასაც არ ეწინააღმდეგება.

ყურძნის ჯიშის სახელი ბუტკოლი აგრეთვე ძველი უნდა იყოს. უკვე ის გარემოებაც, რომ ასეთი სახელი ამჟამად საქართველოს არც ერთ თემში, რაჭასა, აჭარასა და შავშეთ-კლარჯეთს გარდა, არ მოიპოვება, ცხადჰყოფს, რომ ჩვენი ქვეყნის სამს გამაჰმადიანებულ ნაწილს ასეთი ნამდვილი ქართული

სახელი ქართული მევენახეობის ძველი საგანძურითგან უნდა ჰქონდეს შერჩენილი.

ამას გარდა და უმეტესად ამ ჯიშის სახელის ხნიერებას თვით სიტყვა ბუტკოლი-ც ამტკიცებს (იხ. საქ. ეკონ. ისტორიის I², 283—284).

ბუტკოლი დაბადების თარგმანში ყოფილა ნახმარი. ათონურ ხელნაწერში დაცულია გამობუტკვა, შ ა ვ თ ე ლ ს-კი გამობუტკვარი მოეპოვება. ეს სიტყვა ძველია და იშვიათი: არც ს ა რ გ ი ს თ მ ო გ ვ ე ლ ს ვისრამიანში და არც შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ს ვეფხისტყაოსანში არ მოეპოვებათ. ამისდა მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ბუტკოლი-ს ყურძნის ჯიში და მისი სახელი ძველი უნდა იყოს, მაინცდამაინც მე-XII ს-ზე უწინარესს ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

ყურძნის ჯიშების სახელების კლასიფიკაციის დროს უკვე დავრწმუნდით, რომ სახელების ერთი ჯგუფი ყურძნის მოყვანილობის დამახასიათებელი არის. ამასთანავე მოყვანილობის დახასიათება უმეტესად მარცვლის ნაკვთის დამსგავსებას წარმოადგენს. ყურძნის ჯიშების სახელთა ასეთ ჯგუფს თითა, მელისკუდა, ცხენისძუძუ, ხარისთვალა, ღორისთვალა და ყორნის-თვალა ეკუთვნის.

არც ერთი ამ სახელთაგანი თავისდათავად არაფერს ისეთს არ შეიცავს, რომ დასათარიღებლად, ანდა ხნიერების გამოსარკვევად გამოსადეგი იყოს. მაგრამ თითას მსგავსი სახელი ყურძნის ჯიშისათვის მარტო საქართველოში არ არის, არამედ ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიც არსებობდა, ეს გარემოება-კი შესაძლებელია ამ ჯიშის დაახლოვებითი დათარიღებისათვის იყოს გამოყენებული.

ბერძნული და რომაული მევენახეობის მიმოხილვაში უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ, კ ო ლ უ მ ე ლ ლ ა ს და პ ლ ი ნ ი უ ს ი ს ცნობით, იტალიაში ყოფილა ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც დაკტილი სწოდებია. ეს სახელი ლათინური არ არის, არამედ ბერძნული, რომელშიც ეს სიტყვა თითებს ჰნიშნავს. ამ ჯიშის ბერძნული სახელი ცხადჰყოფს, რომ თვით ამ ყურძნის ჯიში იტალიაში საბერძნეთითგან უნდა ყოფილიყო შეტანილი.

შემდეგშიც, როგორც რომაელი ავტორების ზემომოყვანილი ცნობებითგან ჩანს, იტალიაში ყურძნის სქელკანიან ჯიშებს წუნს სდებდენ, რადგან სალვინედ გამოსადეგი არ იყო. ამის გამო ეს ჯიშები იქ ფართოდ არც იქმნებოდა გავრცელებული. მაგრამ იტალიის მევენახეობას ყურძნის ეს ჯიში მაინც შეუნარჩუნებია. მე-XVI ს. ნეაპოლელ მეცნიერს J.-B. P o r t a-ს თავისს 1584 წ. ნეაპოლში გამოქვეყნებულ ნაშრომში „Villae libri XII“ აღნიშნული აქვს, რომ კოლუმელლას და პლინიუსისგან დასახელებული ყურძნის ჯიში დაკტილი მის დროს ნეაპოლში უკვე Uva digitella-დ ყოფილა სახელდებული (I. R o y-C h e v r i e r Ampélog. rétrosp. 171). მაშასადამე, მისი ბერძნული სახელი ლათინურად გადაუთარგმნიათ და თითა ყურძენი უწოდებიათ. ცხადია ამ ყურძნის ჯიშის ბერძნული სახელი ი ს ი დ ო რ ე ს ე ვ ი ლ ი ე ლ ი ს (570-636 წ.) შემდგომ უნდა ყოფილიყო ლათინურად გადათარგმნილი, რადგან ეს განთქმული სწავლული, რომელსაც ტოლედოს 653 წ. საეკლესიო კრება თავისი დროის საუკეთესო მეცნიერს უწოდებდა, ამ ყურძნის ჯიშის სახელად წინანდებურად ბერძნულს დაკტილი-ს (Dactyli) ხმარობს (იხ. იქვე გვ. 101—102).

Porta-ს განმარტებული აქვს, რომ ამ ჯიშს Uva digitella იმიტომ ერქვა, რომ მისი ყურძნის მარცვლები მოყვანილობით თითებს მიაგავდაო. მისი შავიცა და თეთრი სახესხვაობაც ყოფილა (იქვე გვ. 171).

ᲗᲘᲗᲐᲡ მსგავსი სახელი, როგორც იბნ-ბაჲთარ-ისაგან მოყვანილი ყურძნის ჯიშების არაბული სახელებითგან ჩანს არაბებსაც ჰქონიათ: მაგრამ მათი სახელები დამსგავსებითი განმარტებით არის გართულებული. არაბებს, იბნ-ბაჲთარ-ის ცნობით, სამი სახელი ჰქონიათ: ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲔᲑᲘ („Assabéa-el-adari" და „Ma-la-ressa") და ᲖᲔᲘᲜᲐᲑᲘᲡ ᲗᲘᲗᲔᲑᲘ.

ჩვენს მეზობელთაგან სომხებს ᲗᲘᲗᲐᲡ-ნაირი სომხური სახელი ყურძნის ჯიშისათვის არ გააჩნიათ და არც შეიძლება რომ ჰქონდეთ, რადგან თითი „მატ" *մատ* სომხურად ვაზის სულ სხვა ნაწილის სახელია და ვაზის იმ ნორჩ რქასა ჰნიშნავს, რომელსაც გასხლავენ ხოლმე (იხ. ამატუნი-ს *Հ. բառ ու բան* გვ. 462—463 და დალბაშიანის ლექსიკ: „Чубук, отросток виноградной лозы").

ჩვენებური, აზერბაიჯანის, თურქები თითას ჯიშის ყურძენს „ᲮᲐᲜᲣᲛ-ᲑᲐᲠᲛᲐᲚᲘ-ს ეძახიან, რაც „ქალბატონის თითი" ჰნიშნავს (იხ. აქვე ქვევით თ. XX).

უკვე ის გარემოება, რომ ᲗᲘᲗᲐ, არამც თუ კახეთიდან მოყოლებული გურიამდე და გურიითურთ მთელ საქართველოშია გავრცელებული, არამედ სამაჰმადიანო საქართველოშიც, სამცხის თემშიც, არის დაცული, ამ ყურძნის ჯიშს ქართული მევენახეობის ძველ კუთვნილებად გვაგულისხმებინებს.

თვით ამ ჯიშის ქართული სახელიც ძველია. არაბულ-თურქული სახელები ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲔᲑᲘ, ᲖᲔᲘᲜᲐᲑᲘᲡ ᲗᲘᲗᲔᲑᲘ და ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲗᲘᲗᲔᲑᲘ, რასაკვირველია, ყველა რაინდობისა და პატრონყმობის ხანის სულისკვეთებისა და აზროვნობის ანარეკლს წარმოადგენენ და ამიტომ მათ საშუალო საუკუნეებზე უწინარეს ხანისად ვერც მივიჩნევთ. საქართველოს ერთ თემშიც, სამეგრელოშიც, მოიპოვება ყურძნის ჯიშის ამავე თვისების სახელი „ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲘᲗᲘ", რომელიც, ამავე მიზეზის გამო, იმავე პოლიტიკურ-სოციალური გარემოსა და იმავე ხანის შენაძენი უნდა იყოს.

სულ სხვაა ᲗᲘᲗᲐ-ს სახელი, რომელიც ყურძნის ამ ჯიშის მარცვლის მოყვანილობის ზიცვალად ადამიანის თითზე დამსგავსების გამომხატველია. არც დედოფლისა, ანუ ქალბატონის წინაშე პატრონყმურ-ბატონყმური და არც ქალწულისადმი რაინდული სულისკვეთების ბეჭედი მას არ აზის. ეს გარემოება ამ ქართული სახელის საპატიო ხნიერებას ამჟღავნებს. ამ თვისებით ᲗᲘᲗᲐ შესაძლებელია მხოლოდ ბერძნულს ამნაირსავე სახელს ᲓᲐᲙᲢᲘᲚᲘ-ს შეედაროს, რომელსაც ქართული სახელი არც ხნიერებით უნდა ჩამოუვარდებოდეს.

თუ რომაელებს ამ ჯიშის ბერძნული სახელის შენარჩუნება [illegible] სათვის თითას იტალიაში საბერძნეთითგან შეთვისებულობის დამამტკიცებელი გარემოება დაუცავთ, არც ბერძნულ ᲓᲐᲙᲢᲘᲚᲘ-ს და არც ქართულ ᲗᲘᲗᲐ-ს სახელებს ყურძნის ამ ჯიშის საბერძნეთისა და საქართველოს მევენახეობისათვის უცხოობის არავითარი კვალი არ ატყვია. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთისადაიმავე ყურძნის ჯიშისათვის ორ სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან სრულებით დამოუკიდებლივ მთლად ერთნაირი სახელი ეწოდებინათ. მაგრამ, ეს სახელი შესაძლებელია ან [illegible], ანდა [illegible]

თარგმნი იყოს ისევე, როგორც იტალიაში ძველად მიღებული ბერძნული ᲓᲐᲥᲢᲣᲚᲘ-ს მაგიერ, როგორც დავრწმუნდით გარკვეული ხანითგან, ამ სახელის ლათინური თარგმანი ᲣᲕᲐ ᲓᲘᲒᲘᲢᲔᲚᲚᲐ შემოულიათ. ამნაირადვე ამ ჯიშის სახელის ბერძნულობა და ქართულობა საბერძნეთსა და საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ მისი საპატიო ხნიერების შედეგი იყოს.

თითას ჯიშის თავდაპირველი სადაურობის საკითხის გამორკვევას ის გარემოება გვიძნელებს, რომ ეგვიპტისა და ასურეთის ყურძნის ჯიშების სახელები, ან მეტად ცოტა, ან სრულებით არ ვიცით (ძველი ასურული მაგ.). უკვე რომაელ ავტორებსაც შეუმჩნევიათ, რომ ყურძნის სქელკანიანი ჯიშები სამხრეთის ცხელი ქვეყნების განრთხმული ვაზის ჯიშთაგანებს უნდა წარმოადგენდენ და ეს აზრი,—დაკვირვებაა იგი, თუ ძველი გარდმოცემის ანარეკლია,— არსებითად სწორე უნდა იყოს.

ბერძნებსაცა და ქართველებსაც თითას ყურძნის ჯიში შესაძლებელია დამოუკიდებლივ ერთიდაიმავე ქვეყნითგან ჰქონდეთ შეთვისებული. მაგრამ ამ საგულისხმო საკითხის გამოსარკვევად საჭირო ცნობები არ მოგვეპოვება: არ ვიცით, ჰქონდათ, თუ არა ასურელებს ძველად ყურძნის ჯიშის აღსანიშნავად თითას მსგავსი სახელი. ეგვიპტე ყურძნის ახალი ჯიშის პირვანდელ სამშობლოდ ძნელი მისაჩნევია, რათგან ვაზი გარეულად იქ, როგორც დავრწმუნდით, არსად ხარობს. მაგრამ ასეთი ჯიშის ყურძენი, პ ლ ი ნ ი უ ს. მ ც ი რ ი ს მოწმობით, აფრიკაშიც გავრცელებული ყოფილა და დიდი მტევნების მოსხმაც სცოდნია. რომაელი ბუნებისმეტყველი ფიქრობდა კიდევაც, რომ სქელკანიანი ყურძნის ჯიშის სახელი ᲓᲣᲠᲐᲪᲘᲜᲔ პირველად შესაძლებელია სწორედ აფრიკაში გაჩენილიყო.

თუ გამოირკვა, რომ, ᲗᲘᲗᲐ-ს შესატყვისი ყურძნის ჯიშის სახელი ძველად სხვაგან, საბერძნეთსა და საქართველოს გარდა, არსად იყო, მაშინ ეს საკითხი იმ ქვეყნის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, სადაც მიწაზე განრთხმული, სქელკანიანი ჯიშის ვაზ-ყურძენი ეხლაც შერჩენილია.

ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲐ-ს ყურძნის ჯიში, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 513) მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. თვით სამაჰმადიანო საქართველოს ისეთ თემშიც-კია ეს ქართული სახელი დაცული, როგორც შავშეთ-კლარჯეთია, სადაც თურქულმა ქართული უკვე დაჯაბნა. ეს გარემოება ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲐᲡ ჯიშს ძველი ქართული მევენახეობის კუთვნილებად გვაგულისხმებინებს.

საქართველოს გარეშე ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲐ-ს მსგავსი ყურძნის ჯიშის სახელი ძველ საბერძნეთში მოიპოვებოდა, სადაც, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 376), პ ლ ი ნ ი უ ს ი ს ცნობით „ᲐᲚᲝᲞᲔᲪᲘᲡ"-ად წოდებული ყურძნის ჯიში ყოფილა. იგი საბერძნეთითგან იტალიაშიც გავრცელებულა, სადაც მაინცდამაინც საუკეთესო ყურძნის ჯიშთა ჯგუფში არ ირიცხებოდა, არამედ პირიქით წუნდებულ ჯიშებს ეკუთვნოდა, თუმცა მაინც სხვაზე ნაკლებ (აქვე გვ. 389).

ამ ყურძნის ჯიშის სახელი ᲐᲚᲝᲞᲔᲪᲘᲡ, რომელსაც რომაელები ხმარობდენ, ბერძნული სიტყვაა, მაგრამ ნათესაობითი ბრუნვის ლათინური დაბოლოების მქონებელი. ბერძნულად ἡ ἀλώπηξ ᲰᲔ ᲐᲚᲝᲞᲔᲥᲡ მელიასა ჰნიშნავს. ამ სიტყვითგან ნაწარმოები ნათ. ბრუნვა „ᲐᲚᲝᲞᲔᲙᲝᲡ"-ი იქმნება და ლათინური ᲐᲚᲝᲞᲔᲪᲘᲡ-იც გვაფიქრებინებს, რომ საბერძნეთშიც ამ ყურძნის ჯიშის სახელად სწორედ ასეთი ფორმა, მელიის სახელისაგან ნაწარმოები, ნათესაობი-

თი ბრუნვა, ყოფილა მიღებული. მაშასადამე, ამ ჯიშის ბერძნულ-ლათინური სახელი ᲛᲔᲚᲘᲘᲡᲐ-ს ჰნიშნავს.

პლინიუს მცირეს სცოდნია და აღნიშნულიც აქვს, რომ ყურძნის ამ ჯიშს ასეთი სახელი იმიტომ სწოდებია, რაკი მისი მოყვანილობა მელიის კუდს მიემსგავსება (იხ. აქვე გვ. 389), „caudas vulpium imitata". მაგრამ არც ბერძნებსა და არც მათი ამ სახელის შემთვისებელ რომაელებს მიმსგავსების სწორედ ეს გარემოება ამ ჯიშისათვის განკუთვნილ სახელში აღნიშნული არა აქვთ. საფიქრებელია, რომ ეს აღნიშნული იქმნებოდა ამ ჯიშის იმ ერის ნომენკლატურაში, რომლისაგანაც თვით ბერძნებს ეს ყურძნის ჯიში სახელთან ერთად შეთვისებული უნდა ჰქონდეთ.

დროთა განმავლობაში საბერძნეთითგან იტალიაში შეტანილი, ᲐᲚᲝᲞᲔᲪᲘᲘᲡ, ანუ მელიისად-ს სახელით ცნობილი ყურძნის ჯიში იტალიის მევენახეობას შეუნარჩუნებია და მისი სახელიც იტალიურად უთარგმნიათ. მე-XVI ს. იტალიის მეცნიერს J.-B. Porta-ს თავის ნაშრომის „Villae libri XII" ს მეშვიდე წიგნის მეხუთე თავში ნათქვამი აქვს: მელიის კუდზე დამსგავსების გამო პლინიუსისაგან ᲐᲚᲝᲞᲔᲪᲘᲡ-ად სახელდებულ ყურძნის ჯიშს თავისი სახელი ჩვენ დრომდე აქვს შენარჩუნებული და Coda volpe ეწოდებაო (იხ. I. Roy-Chevrier Ampélogr. rétrospcetive გვ. 172). ეს სახელი იტალიურად მართლაც მელიის კუდსა ჰნიშნავს.

საქართველოს გარეშე ყურძნის ჯიშისათვის ასეთი სახელი კიდევ ორგან მოიპოვება. ზანგეზურის მაზრის სომეხთა მოსახლეობა ყურძნის ერთ ჯიშს *մլինկուտ* ᲛᲪᲚᲘᲜᲙᲣᲢ-ს უწოდებს („млинкут *մլինկուտ*": ს. ზელინსკი „Садовод. в Закавк. крае". Свод. МИЭБГКЗК IV, 58). სომეხთა სხვა თემებში ამნაირი სახელი, არსებული წყაროების მიხედვით, არა ჩანს. არც დალბაშიანსა და არც ამატუნისა და არც აჭარიანს ეს სახელი თავიანთ ლექსიკონებში შეტანილი არა აქვთ.

ისევე, როგორც შავშეთ-კლარჯეთში გათურქებულმა ქართველმა-მაჰმადიანებმა ᲛᲪᲚᲕᲡᲙᲕᲢ-ად აქციეს, ისევე საფიქრებელია, რომ სომეხთა ᲛᲪᲚᲘᲡᲙᲕᲢ, ანუ ᲛᲪᲚᲘᲡᲙᲣᲓ იმავე ქართული ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲘ-ს ჯიშის სახელის დამახინჯებულ ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს.

შამახიის ყ. მაზრაში, 1875 წ., თუმცა, ძალიან იშვიათად და მცირე რაოდენობით, მაღლარად მოიპოვებოდა ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც ᲗᲘᲚᲥᲘ ᲧᲣᲘᲠᲣᲦᲘ ეწოდება, რაც თურქულად „მელის კუდსა" ჰნიშნავს (იხ. აქვე თ. XX). სხვაგან არსად კავკასიაში ეს ჯიში ამ ავტორს დასახელებული არა აქვს. პ. ყანდურალოვს თავის 1896 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „Очерк виноградарства и виноделия в Шемахинском и Геокчайском уездах Бакинской губерний" იქაური ყურძნის ჯიშთა შორის ᲗᲘᲚᲥᲘ ᲧᲣᲘᲠᲣᲦᲘ არა აქვს მოხსენებული (იხ. СбСвВгВдК V, 18-27).

ივ. ანდრონიკაშვილს-კი 1896 წ. დაბეჭდილ მიმოხილვაში „Очерк виноградарства и виноделия в Эриванской губернии" აღნიშნული აქვს რომ, თუმცა ᲗᲘᲚᲥᲘ-ᲧᲣᲘᲠᲣᲦᲘ, ანუ „მელიის კუდ"-ად წოდებული ყურძნის ჯიში ერევნისა, ეჩმიაძინისა და სურმალის მაზრებში მოიპოვებოდა, მაგრამ მცირე რაოდენობით და უმთავრესად სალვინედ იხმარებოდა (იხ. აქვე თ. XX).

არც ამიერ-კავკასიაში და არც სხვაგან სადმე თურქთა მოსახლეობაში მელიის კუდად წოდებული ყურძნის ჯიში არა ჩანს (იხ. აქვე). მართალია ოსმალეთშიც არსებობს „ᲛᲔᲚᲘᲘᲡ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ“-ს სახელით دولكى اوزمى ᲓᲣᲚᲥᲘ-ᲣᲖᲣᲛ, მაგრამ იქ ეს სიტყვა **ძაღლის ყურძენ**-ს solanum-ს ჰნიშნავს და ات اوزوم **ცხენის ყურძენადაც** იწოდება. Zenker-ი თურქულ-ოსმალურ ამ სახელებს ფრანგული morelle-ისა და გერმანული Nachtschatten-ის შესატყვისობად სთვლის (ლექსიკ.).

ამნაირადვე სპარსულად „**მელიის ყურძენი**“ ᲐᲜᲒᲣᲠ Ი ᲠᲣᲑ انگور روباه solanum სვე. ე. ი. **ძაღლ-ყურძენას** ჰნიშნავს I. A. Vullers-ის Lexicon Persicolatinum I, 137). ᲛᲔᲚᲘᲡ-ᲙᲣᲓᲐᲲᲡ მსგავსი სახელი სპარსულადაც არსადა ჩანს.

სამაგიეროდ ასეთი სახელი ოსმალეთში მოიპოვება. მაგრამ دولكى قويروغى ᲓᲔᲚᲙᲘ-ᲧᲣᲘᲠᲣᲚᲘ delki, ან dilki kujruki, რომელიც თურქულად „მელის კუდ-ხა“ ჰნიშნავს, იქ მცენარის სახელად იხმარება. Zenker-ს გერმანულად Fuchsschwanz-ად აქვს გადმოთარგმნილი, ე. ი. alopecurus-ი, ანუ თაგვის-ყანაა. ამავე ლექსიკოგრაფის განმარტებით ეს თურქული სახელი არაბულ ذنب الثعلب უდრის (იხ. ლექსიკ. 434). აკად. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი გერმანული Fuchsschwanz-ის ქართულ შესატყვისობად ღომსა სთვლიდა (Fuchsschwanz Kartulisch Gomi“: Reisen II, 500).

რაკი ყურძნის ჯიშის სახელად ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲐᲲᲡ მსგავსი არც ოსმალეთსა და სხვაგან სადმე თურქთა მოსახლეობაში, არც სპარსეთში არსად მოგვეპოვება, ამიერ-კავკასიაშიც ᲗᲙᲚᲫᲘ-ᲧᲣᲘᲠᲣᲚᲘ მხოლოდ რამდენსამე ადგილას, თანაც მეტად მცირე რაოდენობით იყო გავრცელებული, საქართველოში კი ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲐᲲ უკიდურესი აღმოსავლეთი თემითგან მოყოლებული უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთის თემამდე იყო გაბატონებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ თკლქი-ყუირული-ს ყურძნის ჯიში საქართველოთგან უნდა იყოს ამიერკავკასიის თურთქა შორისაც გავრცელებული და თვით სახელიც ქართული ᲛᲔᲚᲘᲡ-ᲙᲣᲓᲐᲲᲡ თურქულ თარგმანს უნდა წათმოადგენდეს.

ყველა ზემომოყვანილის შემდგომ ცხადი უნდა, იყოს, რომ ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲐᲲ-ს **ყურძნის ჯიში და მისი სახელი შეუძლებელია საქართველოს მახლობელ მეზობელთაგან ყოფილიყო შეთვისებული.** ყველაზე ახლო ეს ქართული სახელი იმ გახმარტებას უდგება, რომელიც ამ ჯიშის ბერძნულ-ლათინური სახელწოდების ᲐᲚᲝᲞᲔᲪᲘᲡ-ის მკითხველისათვის გასააზრიანებლად თავის დროზე პ ლ ი ნ ი უ ს მცირემ თავის ნაშრომში შეიტანა (cauda vulpis) და რომელიც შემდეგში, მე-XVI ს., ამ ჯიშის იტალიურ სახელადაც-კი იქცა.

რაკი საქართველოს იტალიასთან ამ ხანაში არც მეზობლობა და, ოსმალეთის გამო, არც უშუალო კავშირი ჰქონია, ამიტომ სრულებით დაუჯერებელია, რომ ქართული ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲐᲲ იმდროინდელი შენაძენი იყოს და იტალიური cauda vulpe-ს თარგმანს წარმოადგენდეს. ასეთ მოსაზრებას საეჭვოდ-ის გარემოებაც ხდის, რომ იტალიაში ეს ყურძნის ჯიში მაინცდამაინც კარგ ჯიშად არ ითვლებოდა და ამის გამო მისი გავრცელების არეც შეზღუდვილი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, ეს ყურძნის ჯიში რომ საქართველოში იტალიითგან ყოფილიყო შემოტანილი, მაშინ ასეთი სახელი ოსმალეთში მაინც უნდა ყოფილიყო, იქ-კი ასეთი სახელწოდების ყურძენი არ მოიპოვება.

საქართველოში პირიქით ᲛᲔᲚᲘᲡᲙᲣᲓᲐᲲ იმერ-ამერეთში იყო გავრცელებული თითქმის ისევე, როგორც თითა.

ამას გარდა, როგორც დავრწმუნდით, ამ ჯიშის თვით ქართული სახელი ქართველთა მეზობლებში, მაგ. სომხებსა, და გათურქებულ კლარჯელთა შორისაც გავრცელებულია. ყველა ამ გარემოებათა გამო ᲛᲘᲚᲘᲡᲙᲣᲚᲐᲘ უნდა ქართული მევენახეობის ძველ კუთვნილებად მივიჩნიოთ. მისი — ხნიერება ბერძნულ-ლათინური ალოპეცის ისას, თუ არ აღემატება, მაინცდამაინც არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.

ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲫᲣᲫᲣ-დ წოდებული ყურძნის ჯიში, როგორც დავრწმუნდით, იმერეთის სამ თემში, კახეთში, ქართლში და სამცხის ქართველთა შორის მოიპოვება, ხოლო ლიხთიმერეთში გურიაშია და ამას გარდა აჭარასა, შავშეთსა და კლარჯეთში იყო კიდევ დაცული. ამ უკანასკნელ თემში ამ ყურძნის ძველ ქართულ სახელს გამაჰმადიანებულ მოსახლეობაში წარსული საუკუნის დამლევს მისი უკვე თურქულად ნათარგმნი სახელი ᲐᲢ-ᲛᲔᲛᲔᲡᲘ სჩაგრავდა. შესაძლებელია იქაურ გათურქებულ ქართველ მაჰმადიანებში წინანდელი ქართული სახელი ეხლა მხოლოდ მოხუცებულებს-ღა ახსოვდეთ.

ქართველთა მეზობლებს შორის ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲫᲣᲫᲣᲘᲡ შესატყვისი სახელი, როგორც სათანადო ადგილას მოყვანილი მიმოხილვის გაშინჯვით ადამიანი ადვილად დარწმუნდება (იხ. აქვე თ. XX), არც სომხებსა და არც თურქებს ყურძნისათვის არ მოეპოვებათ.

მხოლოდ განჯისა და შამახიის მაზრების თურქ მცხოვრებთა შორის არსებობდა ყურძნის ჯიში, რომელსაც ات اوزوم ᲐᲢ-ᲣᲖᲣᲛ-ი ეწოდება. თურქულად ეს სახელი „ცხენის-ყურძენსა“ ჰნიშნავს (იხ. იქვე). მაგრამ არსად, არც კავკასიაში და არც სხვაგან თურქთა შორის, არც ოსმალოებს ყურძნის რომელიმე ჯიშისათვის ᲐᲢ-ᲣᲖᲣᲛᲘ ს, ანუ „ცხენის ყურძნის“ სახელი არ მოეპოვება. თურქები და ოსმალონი ᲘᲢ-ᲣᲖᲣᲛᲣ-ს (ایت اوزوم it üzümü) ხმარობდენ, მაგრამ ეს სახელი თურქულად ძაღლის ყურძენს ჰნიშნავს და ქართულ ᲫᲐᲦᲚ-ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲐᲡ-ვე, ლათინ. solanum nigrum ს უდრის (იხ. Zenker-ისა და I. W. Redhouse-ს ლექსიკონები). მაშასადამე, ნამდვილად ყურძნის სახელი არც ყოფილა. ეს გარემოება სრულ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შამახიისა და განჯის მაზრებში გავრცელებული ᲐᲢ-ᲣᲖᲣᲛᲘᲡ, ანუ „ცხენის ყურძნის“ სახელი ყურძნის ჯიშის თურქული სახელწოდება არ უნდა იყოს, არამედ მეზობელ ქართველთაგან შეთვისებული ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣᲘᲡ თურქული სრული თარგმანის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. ისევე, როგორც შავშეთ-კლარჯეთის გამაჰმადიანებულ-გათურქებულმა მოსახლეობამ ყურძნის ჯიშის ქართული სახელი ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣ, როგორც აღნიშნული გვქონდა, მისი თურქული თარგმანით ᲐᲢ-ᲛᲔᲛᲔᲡᲘ-თ შეცვალა, ასევე უნდა მომხდარიყო ქართველთა მეზობლად მობინადრე შამახიისა და განჯის მაზრების თურქ მევენახეთა შორისაც.

ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣ-ს მსგავსი სახელი ყურძნის ჯიშისათვის არც რომაელებსა და არც ბერძნებს ჰქონიათ. მართალია ბერძენთა გრამატიკოსს ა თ ე ნ ე ს (275 წ. ქ. შ.) დასახელებული აქვს ერთი შენახვი და გამძლე ყურძნის ჯიში, რომელიც როდოსის კუნძულზე ყოფილა გავრცელებული და ᲰᲘᲞᲞᲝᲜᲘᲝᲜ-ად იწოდებოდა. ᲰᲘᲞᲞᲝᲡ-ი კი ბერძნულად ცხენსა ჰნიშნავდა, ამიტომ ეგების ადამიანს ეფიქრა, რომ ამ სახელს შესაძლებელია ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲫᲣᲫᲣᲡ-თან რაიმე კავშირი ჰქონოდა. მაგრამ ᲰᲘᲞᲞᲝᲜᲘᲝᲜ ი ხადაურობის მაუწყებელი სახელია. ჰ ი პ პ ო ნ ი ო ნ-ი გეოგრაფიული სახელი იყო, „ჰიპპონ“-ისაგან

(ἵππων-ისაგან) ნაწარმოები. უკანასკნელი სიტყვა ბერძნულად ცხენების თავლასა და საფოსტო სადგურსა ჰნიშნავდა. ჰიპპონიონ-ად წოდებული სანავთსადგურო ქალაქიც-კი არსებობდა სამხრეთ იტალიაში, ბრუციუმში. როგორც ეტყობა, ასევე სახელწოდებული ქალაქი კუნძულ როდოსზე ყოფილა. ერთი სიტყვით, ᲰᲘᲞᲞᲝᲜᲘᲝᲜ-ის ბერძნული ყურძნის ჯიშის სახელს ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣᲡ სახელთან არავითარი კავშირი არა აქვს.

საერთოდ შესაძლებელია ითქვას კიდევაც, რომ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣᲡ შესატყვისი ყურძნის ჯიშის სახელად ბერძნულში არც არის მოსალოდნელი, რათგან იქ ამისთვის სხვანაირი სახელი არსებობს. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა, რომ ამ ჯიშის ყურძენი სხვადასხვა ერს სხვადასხვა ცხოველის ძუძუსთვის მიუმსგავსებია. სახელდობრ, ბერძნებს გააჩნდათ ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც ᲑᲣᲛᲐᲡᲢᲝᲡ-ს უწოდებდენ. რომაელებს ეს ჯიში იტალიაში შეუტანიათ და მისი სახელის მარტო ბერძნული დაბოლოება შეუცვლიათ ლათინური დაბოლოებით და სახელად ᲑᲣᲛᲐᲡᲢᲣᲡ-ი დაუტოვებიათ (იხ. აქვე გვ. 376 და 380) ბერძნულად ᲑᲣᲛᲐᲡᲢᲝᲡ-ს ძროხის („ბუს“, ნათ. ბრ. „ბოოს“) ძუძუს („მასტოს“) ჰნიშნავს.

იტალიაშიც არის შერჩენილი ძროხის-ძუძუ-დ წოდებული ეს ჯიში. Menna-vacca ეწოდება მას ნეაპოლსა, ბორლეტტა-სა და ტრანი-ში, ხოლო Minna di vacca სიცილიაში (იხ. Herm. Goethe Amp. Wöretrb. და V. Pulliat Mille variétés).

თავის მხრით სომხებს „ᲗᲮᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣ“-დ (ᲘᲬᲐᲞᲢᲣᲙ, ᲐᲲᲬᲘ ᲬᲘᲬ) და „ᲙᲐᲛᲑᲔᲩᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣ“-დ (ᲒᲝᲛᲔᲨᲘ-ᲛᲐᲛᲐ) წოდებული ყურძნის ჯიშების სახელები ჰქონდათ (იხ. აქვე თ. XX).

ამიერკავკასიაში მცხოვრებ თურქებსაც მოეპოებათ ყურძნის ჯიში, რომელსაც کیچی امجاکی ᲙᲔᲩᲘ ᲔᲛᲩᲐᲒᲘ-ს, ანუ „თხის ჯიქანს“, ძუძუს ეძახიან (იხ. აქვე თ. XX).

მაშასადამე ბერძნებს ამ ჯიშის ყურძენი ძროხის ძუძუსთვის დაუმსგავსებიათ, სომხებსა და თურქებს თხისა და კამბეჩის ძუძუს მსგავსად მიუჩნევიათ, ქართველებს-კი ცხენის ძუძუდ მოუნათლავთ. ცხადია, რომ ყოველ ამ ერთაგანს შესადარებლად თავისი მესაქონლეობის მნიშვნელოვანი ცხოველი აურჩევია. თუ გავიხსენებთ, რომ უძველესი დროითგანვე ქართველთა ტომები, ტაბალები, და შემდეგში მთელი საქართველო თავისი საუკეთესო ცხენებით იყო განთქმული (იხ ჩემი „ქ˘ლი ერის ისტორია“ I³, 19 და „საქ. ეკონ. ისტორიის მე-III წიგნი), მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣ საქართველოში ყურძნის ჯიშის სახელად არის გამოყენებული. ხოლო ხილისა და ხმილის ძუძუსთან შედარება ქართ. მიწისმთქმედს, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე გვ. 281), საერთოდ ძალიან ჰყვარებია.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ, ვგონებ, უფლება უნდა გვქონდეს დავასკვნათ, რომ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ-ᲫᲣᲫᲣ ყურძნის ჯიშის ძველის-ძველი ქართული სახელი უნდა იყოს.

ყურძნის ჯიშების იმ სახელთაგან, რომელნიც მარცვლის სიდიდის დამახასიათებელნი არიან, ყველაზე საყურადღებო ᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲐᲚᲐᲐ. ეს ჯიში ფართოდ იყო მთელ საქართველოში გავრცელებული და ჰერეთშიც-კია ᲗᲕᲐᲚᲘ-ᲛᲩᲮᲣᲨ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ-ს სახელით ცნობილი.

თავის ალაგას (იხ. აქვე) მოყვანილი მიმოხილვის გადაკითხვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ არც ამიერკავკასიაში და არც ოსმალეთში მცხოვრებ თურქთა შორის **ხარისთვალა**-ს შესატყვისი ყურძნის ჯიშის სახელი არ მოიპოვება. ჩვენ მეზობელ შამახიის მაზრის თურქებს გააჩნიათ მხოლოდ ამის მსგავსი სახელი **დავა-გოზი**, რაც „აქლემის თვალსა" ჰნიშნავს (იხ. აქვე თ. XX).

სომეხთა შორისაც **ხარისთვალა**-ს შესატყვისი სომხური სახელი **ეზან-აჩქ** *եզան աչք* მარტო ერთგან, სახელდობრ, ერევნის სანახებში მოიპოვება. იქვე ამავე ყურძნის ჯიშისათვის მეორე ამის მსგავსსავე სახელსაც **ეზანდარი**-ს *եզանդարի*, ხმარობენ (იხ. აქვე a. XX).

საქართველოში და ძველ ქართულში-კი **ხარისა** და **ძროხის** მაშინდელი სახელი, როგორც დასაბეჭდად დამზადებულ ქართველი ერის ისტორიის შესავალ წიგნში მაქვს გამორკვეული, სწორედ სიმსხოს გამომხატველი იყო. ამიტომ **ხარისთვალა** ყურძნის ჯიშის ძველ ქართულ სახელად უნდა იქმნეს მიჩნეული.

რაკი გამოირკვა, რომ **ხარისთვალა** საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და ჰანეთშიც მოიპოვებოდა, თანაც ძველი ქართული სახელია, თურქთა შორის-კი ყურძნის ჯიშის ასეთი სახელი სრულებით არ მოიპოვებოდა, სომეხთა მოსახლეობაშიც მას შედარებით ნაკლები არე ჰქონდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ჯიში სომეხთა შორის საქართველოთგან უნდა იყოს შეტანილი.

ჩინური-ს ჯიშის ხნიერების საკითხის გამორკვევასაც თვით მისი სახელი გვიადვილებს. ფერის აღმნიშვნელი ეს სიტყვა ქართულის ძველისძველი ფენის კუთვნილებას შეადგენს. იგი დაბადების გადმოთარგმნის ხანას, როგორც ჩანს, არ სცილდება. დაბადების გარდა არსადა ჩანს, ჯერჯერობით მაინც. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ შემდეგში მაინცდამაინც იშვიათ სიტყვად ყოფილა ქცეული. ამისდა მიხედვით, უფლება გვაქვს **ჩინური**-ს ყურძნის ჯიშიც ქართული მევენახეობის უძველესი ხანისად მივიჩნიოთ. ამასვე ამ ყურძნის სინაზე და მაღალი ღირსებაც ადასტურებს, რადგან, ცხადია, მისი ესოდენ დიდი ღირსება ხანგრძლივი კულტურის შედეგი უნდა იყოს. მხოლოდ ჩინურის უაღრესი სინაზით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ იგი მარტო ერთ დიდ თემში, ქართლშია, შერჩენილი. საფიქრებელია, რომ წინათ იგი უფრო ფართოდ იქმნებოდა გავრცელებული.

მუღრია-ც ყურძნის ძველი ჯიში უნდა იყოს. ამას მისი შავშეთ-კლარჯეთში, სამაჰმადიანო საქართველოში, **ჯღე**-ს სახელწოდებით, არსებობაც ამტკიცებს, მაგრამ ამას გარდა თვით მისი სახელიც ამასვე ადასტურებს, რადგან ფერის აღმნიშვნელი ეს სიტყვა ქართულში დიდი ხანია უკვე აღარ იხმარება, თანამედროვეთათვის იგი სრულებით უცნობია და ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს დროსაც, როგორც ეტყობა, მისი ნამდვილი მნიშვნელობა ხეირიანად აღარ იცოდნენ.

ტრედის-ფეხა-ს სახელი იტალიაშიც არსებობს, სადაც Ravello-სა, Salerno-სა და Avellino-ში მოიპოვება და Piede di colombo-დ, ანუ Piede di palumbo-დ, ე. ი. მტრედის ფეხად-ვე იწოდება. საწური, მოლურჯო, ლერწი მოკლე-მუხლებიანი (engknotig), თხელი აქვს, ფოთოლი ფართო, ხუთყურიანი, ბუსუსიანი და ნაკლებ დაკბილული იცის, ფოთლის ყუნწი მოწითანოდ არის შე-

ფერადებული. მტევანი საშუალო, ცილინდრული, ზოგჯერ ბურძლენიანი ასხია,—**მარცვალი** ოდნავ მოგრძო, საშუალო, მოლურჯო, სურნელოვანი, სქელკანიანი, ხორციანი, ტკბილი და ოდნავ ცხარე იცის (H e r m. G o e t h e A m p. Wörterb.).

იტალიაშივე არსებობს, როგორც სახელითაც ეტყობა, ამ ჯიშის ერთი სახესხვაობა, რომელსაც Palombo ეწოდება, ე. ი. დამახინჯებული colombo, მტრედისაი. ლერწი მას მქრქალი წაბლისფერი, მოკლე-მუხლებიანი (engknotig) აქვს,—**ფოთოლი** დიდი, ხუთ-ყურიანი, ღრმად ჩაჭრილი, ქვევითგან ბუსუსიანი და **გრძელი, მოწითანო ყუნწიანი იცის. მტევანი** დიდი, **მარცვალიც** მოწითანო, კვერცხებრივი მოყვანილობისა, ყვითელ-მომწვანო, თხელკანიანი და წყლიანი აქვს (H. G o e t h e Amp. Wörterb.).

საფრანგეთში გავრცელებულია **Côt** ანდა **Malbeck**-ად, აგრეთვე Côt à queue rouge და Côt à queue verte-ად, ზოგან Pied de perdix-ად **„მწყერის ფეხად“** წოდებული ყურძნის ჯიში, რომელსაც აგრეთვე **მოწითანო გრძელი ფოთლის ყუნწი აქვს**, ხოლო Côt à queue rouge-ს **მტევნის ყუნწიც მოწითანოდ აქვს შეფერადებული** (H. G o e t h e Amp. Wörterb. და V. P u l l i a t Mille variétés 92—93).

აღსანიშნავია, რომ მე-XVI ს. იტალიელი მეცნიერის I.-V., S o d e r i n i-ს (1526—1596) ერთი ცნობა, რომელიც მას თავის თხზულებაში „Trattato della coltivazione delle viti“ აქვს შეტანილი. მას ნათქვამი აქვს, რომ Palombina **პალომბინა**-დ სახელდებული ყურძნის ჯიში შავიც და თეთრიც არსებობდა. შავ სახესხვაობას ხშირად თურმე Ibero **იბერო**-ს უწოდებდენ (I. R ó y-C h e v r i e r Amp. rétrosp. 186).

უკანასკნელი ცნობა საყურადღებოა და, თუ აქ ესპანიის იბერები არ იგულისხმებიან, რისთვისაც უნდა წინასწარ ესპანიაში ასეთი ჯიშისა და სახელის არსებობის გარემოება ყოფილიყო დამოწმებული, მაშინ უფლება გვექნებოდა დაგვესკვნა, რომ ძველი ქართული ჯიში **ტრედისფეხა** იტალიაში საქართველოთგან ყოფილა შეტანილი.

სამარხი-ს ყურძნის ჯიშის ქრონოლოგიურ განსაზღვრას ის გარემოება გვშველის, რომ **მარხვა სახელზმნას შენახვის მნიშვნელობა მხოლოდ გარკვეულ ხანამდე ჰქონდა. სამარხი-კი სწორედ შესანახსა ჰნიშნავდა**, თვით ეს ყურძნის ჯიშიც, როგორც სათანადო ადგილას აღნიშნული გვაქვს, სწორედ საჭმელად განკუთვნილი შესანახი ყურძნის ჯიში იყო.

მარხვაჲ და **დამარხვაჲ** ძველ ქართულში შენახვას ჰნიშნავდა. **დაბადების ქართულ თარგმანში ეს სახელზმნები სწორედ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი** (იხ. მაგ. შესაქმეთა 37_{11}, ეზრას IV, 6_{8} და სხვაგანაც ბევრგან). შენახვა ცნებასთანვეა დაკავშირებული ‚მარხვა“-ს, ვითარცა ხორციელისა და სხვა ნოყიერი საჭმელების უჭმელობის ცნების გამომხატველი ტერმინის აღმნიშვნელობაც, რომელიც თავდაპირველად სარწმუნოებისა და სჯულის წესის შენახვად იგულისხმებოდა. **ასეთი მეორადი მნიშვნელობა ამ სიტყვას უკვე დაბადების გადმოთარგმნის ხანაშივე ჰქონდა**, როგორც ეს ესაიას 1_{11}-ითგანაც ჩანს.

მარხვაჲ და **დამარხვაჲ** ძველი მნიშვნელობით შემდეგი საუკუნეების ძეგლებში მოიპოვება: ქართულ საისტორიო თხზულებებში მე-X და მე-XI ს. ს.-შიც გვხვდება. მაგ. გ. მ ე რ ჩ უ ლ ი ს სიტყვით გრ. ხანძთელს სიკვდილის წინ ხანძთელი ბერებისათვის უთქვამს: „შვილნო, რომელი **მცნებაჲ პირველითგან**

გესმა თქვენ ჩემგან, სულისა თქუენისა საცხორებელად **დაიმარხეთ**"-ო (TP VII, გვ. ოჱ, § ოთ). გ. ხუცეს-მონაზონსაც მოთხრობილი აქვს, რომ გიორგი მთაწმიდელს ღვინის ძალზე მოყვარული ერთი მონაზონისათვის ურჩევია, რომ განკურნებისათვის ღვინის სმისათვის თავი უნდა დაენებებინა. ამ მონაზონს მიუგია, რომ ვითარცა დას. საქართველოს მკვიდრს, სადაც მავნე ჰავა იყო, ულვინოდ მას დასნეულებისა ეშინოდა. ამაზე გიორგი მთაწმიდელს უპასუხია: „უკეთუ შენ **მცნებაჲ** ჩემი **დაიმარხო**, არა შეგემთხვიოს სულიერი, გინა კორციელი სნეულებაჲ"-ო (ც˝ა გ˝ი მთწმ˝დლსა 323).

1125 წ. ახლო ხანს დაწერილს დავით აღმაშენებლის ისტორიაში ავტორს ცნება შენახვის აღსანიშნავად ისევ **დამარხვა** აქვს ნახმარი. მას მოთხრობილი აქვს, რომ დავით აღმაშენებელს ყოველდღიური ქველმოქმედების მისაცემად პატარა ქისა, კიხაკი, ჰქონია, მაგრამ ზოგჯერ, ან იმდენი მთხოვნელი არ შეჰხვედრია, რომ წაღებული ფული დაერიგებინა, ზოგჯერ მთხოვნელი არავინ უნახავს და სავსე ქისით შინ დაბრუნებულა: „ოდესმე ნახევარი წარაგის მისი და ოდესმე არავინ ეპოვნის და ეგრეთ სავსე **მისცის დამარხუად** ხელისა"-ო (*554, გვ. 322). სავსე ქისას თავისიანებს ხვალამდის **შესანახად** მისცემდაო.[1]

მაგრამ არც ს. თმოგველსა და არც შოთას თავიანთ თხზულებებში **მარხვა** და **დამარხვა** უკვე არ მოეპოვებათ. ჩახრუხაძეს მხოლოდ **ნამარხევი** აქვს ნახმარი, რომელიც იურიდიულ ტერმინადაც იყო ძველითგანვე ქცეული (იხ. ჩემი „ქართ. სამართ. ისტ. II, ნაკვეთი 2, გვ. 467), „ლომთა თავადად თქმული ავადად სხვაცა ვინმე ჩანს: **ხართ ნამარხევად**"-ო (TP IV, გვ. § 32).

იმ ხანის გამოსარკვევად, როდესაც **მარხვა**-ს მაგიერ მწერლობაში **შენახვა**-ს ხმარება დაიწყეს, შესაძლებელია სარგის თმოგველის „ვისრამიანი"-ს გამოყენება. თუ გ. მერჩულის და დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებებში, როგორც დავრწმუნდით, ამ ცნების გამოსახატავად წინანდებურად **დამარხვა** იხმარება, „ვისრამიან"-ში ეს სახელზმნა უკვე აღარა ჩანს. იქ, სადაც რამინისაგან ბეგოს დასაჩუქრების ამბავი და მიზეზია მოთხრობილი, ნათქვამია: რამინმა „რე[ა] ქალაქი ბეგოს უბოძა, ადრინდელი მოყუარე იყო მისი. თუით რამინ და ვისი, ოდეს გარდაიხვეწნეს მოაბადისაგან. . . შიშითა, მაშინ მისსა მივიდეს რე ქალაქს და მან კარგა უმასპინძლა და **ხვაშიადიცა კარგად შეუნახა**" და სწორედ იმის სამაგიეროდ ქალაქი რეი უწყალობაო (ვისრამიანი, გვ. 449—450). ამნაირად, **საიდუმლოების დაცვას** ამ ხანაში **უკვე ხვაშიადის შენახვა ჰრქმევია**. საფიქრებელია, რომ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ხანაშიც **დამარხვა** უკვე მწიგნობრული სიტყვა უნდა ყოფილიყო.

ზემომოყვანილი ძეგლებისდა მიხედვით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ **მარხვა**-სა და **დამარხვა**-ს **შენახვის მნიშვნელობა მე XI ს-მდე ჰქონია და მე-XI—XII სს-ში ამ სახელზმნის მაგიერ უკვე შენახვა შემოსულა**.

მე XI—XII სს-ის ზემომოყვანილ ძეგლებში **მარხვა** და **დამარხვა**, ისევე როგორც **ნამარხევი** უკვე მწიგნობრული ენის სიტყვების შთაბეჭდილებას ახდენენ. ამიტომ ამ დროისათვის და უფრო ადრეც მათ მაგიერ უკვე **დაცვა**

[1] აღსანიშნავია, რომ ჭალაშვილისეული ქ˝ცის გადამწერს ეს ძველი ზმნა შეუცვლია და დაუწერია შესანახად-ო.

უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სამარხი, ვითარცა ყურძნის შესანახი ჯიშის ზოგადი სახელი, ძალიან ძველი უნდა იყოს. მაინცდამაინც მე-X ს-ზე მერმინდელად მისი მიჩნევა არ შეიძლება იმიტომაც, რომ გურიაში ეს ტერმინი მე-VIII -IX სს-ში ქართლ-მესხეთითგან გადახიზნული მოსახლეობისაგან უნდა იყოს შეტანილი.

სადადეგოლ-ს ყურძნის ჯიშის სახელი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე გვ. 495), წელიწადის დამდეგს, დასაწყისს, გულისხმობს და პირველ თვედ, უექველია, აქ ენკენისთვე უნდა იყოს მიჩნეული. ცნობილია, რომ წელიწადის-თავი სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ხანაში სხვადასხვა დროს იცოდენ. ეს გარემოება საშუალებას მოგვცემს სადადეგოლს სახელის ხნიერება გამოვარკვიოთ, რა თქმა უნდა, თუ წინასწარ ის ხანა, როდესაც წელიწდისთავად ენკენისთვე იყო დაწესებული, დაახლოებით მაინც გვეცოდინება. სამწუხაროდ ეს საკითხი ჯერ შესწავლილი არ არის.

წ͠ა ნინოს შატბერდისეული ცხორებითგან ირკვევა, რომ იმ ხანაში, როდესაც ამ ძეგლის, თავდაპირველი თუ არა მე-VII—VIII ს. რედაქცია მაინც იყო დაწერილი, წელიწადის თავად, ანუ პირველ თვედ მარტი ყოფილა. ამ ძეგლში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ რიფსიმე, გაიანე და მათი ამხანაგები „მოკლნეს მუნ (სომხეთში) თუესა პირველსა, ოცდაათსა, დღესა პარასკევსა", როდესაც „ვარდი და ნუში ყუაოდა"-ო (Опис. II, 746—7). ამავე ძეგლში წ͠ა ნინოს ნათქვამი აქვს „თუესა მეოთხესა წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა"-ო (იქვე II, 748). ლეონტი მროველს-კი ეს ორი უკანასკნელი ცნობა ასე აქვს განმარტებული: „წ͠ა ნინო... მოიწია... საზღვარათვე სომხითისათა და თუესა მეოთხესა მარტითგან, რომელ არს ივნისი, წარმოემართა მთათა ჯავახეთისათა"-ო (*211, გვ. 67).

ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, რომ წელიწადის თავად და პირველ თვედ მაშინ მარტი ითვლებოდა, ის დრო, როდესაც გაზაფხულის პირი იყო.

გინცელს გამორკვეული აქვს, რომ წელიწდის თავად მარტის თვის მიჩნევა ქრისტიანებს ებრაელთაგან ჰქონდათ შეთვისებული. მე-III—IV ს-ითგან მოყოლებული აღმოსავლეთში და შემდეგ დასავლეთშიც მე-VIII ს-მდე პირველ თვედ სწორედ მარტი ითვლებოდა: ვენეტიკის რესპუბლიკამ ეს წესი თავისი არსებობის უკანასკნელ წლამდეც-კი შეინარჩუნა, თუმცა სამოქალაქო წელიწადი იქ პირველ იანვარს იცოდენ (F. Ginzel Handbuch der mathematisichen und technischen Chronologie III. B., Leipzig, 1914 წ., გვ. 159—160).

იოანე-ზოსიმეს მე-X ს. ქართ. კალენდარითგან ირკვევა, რომ იმ დროს წელიწდის თავად და პირველ თვედ იანვარი ყოფილა, ეკლესიაში მაინც. პირველ სექტემბერს წელიწადის თავი ბიზანტიური წელთაღრიცხვის წესს ჰქონდა. ეს წესი ეგვიპტითგან მომდინარეობდა, სადაც საფინანსო წელიწადი სწორედ 1 თოთ-ის თვეს, ანუ 1 სექტემბერს იწყებოდა ხოლმე. მე-VII ს-ის შემდგომ, მე-VIII ს-ში ბიზანტიური წელთაღრიცხვის ეს წესი აღმოსავლეთშიც გავრცელდა და ამისდაგვარად ათარიღებდენ ხოლმე ბიზანტიის კეისრები და კერძო პირებიც თავიანთ საბუთებს. შემდეგში ბიზანტიელი ისტორიკოსებიც ჩვეულებრივ ამ წელთაღრიცხვის წესს მისდევდენ. მე-XIV-ს. და ნაწილობრივ მე-XV-ს. დამდეგის ბერძნულსა და ლათინურს საბუთებში სექტემბრის წელიწდის თავო-

ბაზე იყო დათარიღება დამყარებული, მაგრამ ბიზანტიის დამხობასთან ერთად იგი თანდათან გაქრა და ე. წ. ქრისტიანული ერა გაბატონდა. მე-XVI-ს დამლევში საბერძნეთის ეკლესიას უკვე ეს წესი ჰქონდა მიღებული (Ginzel-ის დასახ. ნაშრომის III, 150, 292—293).

ზემონათქვამის შემდგომ ცხადი გახდებოდა, რომ ენკენისთვის წელიწდის თავად, ანუ დამდეგად მიმჩნევი **სადადეგოლ**-ს ყურძნის ჯიშის სახელი შეუძლებელია მე-VIII ს-ზე ადრინდელი იყოს. საფიქრებელია, რომ იგი ბიზანტიის გავლენის ხანაში უნდა იყოს გაჩენილი. ამითვე აიხსნება, რომ ჯიშის ეს სახელწოდება სწორედ დას. საქართველოს უკიდურეს დასავ. თემს, გურიას, აქვს დაცული. მაინცდამაინც საეჭვოა, რომ ეს სახელი მე-XV ს-ზე მერმინდელი იყოს, რადგან ამ დროს ბიზანტიური ერა საბერძნეთშიც უკვე ქრება.

საკმარისია **საბატონო**-დ წოდებული ჯიშის სახელი ავიღოთ, რომ მისი გაჩენის შესაძლებელი უადრესი ხანის განსაზღვრა სრულებით ადვილი შეიქმნეს. **ბატონი** დროთაგანმავლობაში არის **პატრონი**-საგან გაჩენილი. (იხ. ჩემი „ქ˜ლი სამ. ისტ." II, ნაკვეთი პირველი, გვ. 102). მე-XVI ს-ზე ადრე ტერმინი **ბატონი** არა სჩანს, რადგან არც არსებობდა (იხ. ჩემი „ქ˜ლი სამ. ისტ. სათანადო წიგნი). ამ გარემოების ცოდნა **საბატონო**-დ წოდებული ყურძნის ჯიშის სახელის ხნიერების გამოსარკვევად სრულებით საკმარისია. თუ ტერმინი **ბატონი** მხოლოდ მე-XVI ს-ში ჩნდება, ცხადია, რომ საბატონო-დ წოდებული ყურძნის ჯიშის სახელიც მე-XVI ს-ზე ადრინდელი ვერ იქმნება. შესაძლებელია ამაზე გაცილებით უფრო გვიანიც იყოს.

აღმ. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშის **სააბის** სახელიც მისი ხნიერების განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს. **სააბი** არაბულითგან ნასესხები გასპარსულებული სიტყვაა. არაბულად صاحب „საჰიბ" მეგობარს მფლობელს, პატრონსა და ბატონსა ჰნიშნავს. სპარსელებმა ამ არაბული სიტყვას შეთვისებისას მეორე ხმოვანი გამოუცვალეს „საჰაბ"-ად აქციეს. აქეთგან აქვთ სპარსელებს კუთვნილების აღმნიშვნელი ზედსართავი სიტყვა صاحبی „ხაჰაბი", რომელიც ბატონისას ჰნიშნავს, ე. ი. ქართულ საბატონოს უდრის. მაგრამ ამას, თანავე ეს სიტყვა სპარსეთში წითელ სხვილმარცვლიანი ჯიშის სახელადაც არის ქცეული და იხმარება (იხ. მირზა აბდულლა ბენ-აბდალ ლაფფარის Персид.-рус. словарь II, 1927 წ. მოსკოვი, გვ. 521).

ვითარცა ახალი სპარსული ენის სიტყვა, **ხაჰაბი**, რომლისგანაც ქართული **სააბი** ა წარმომდგარი, ვერას გზით მე-X ს-ზე უწინარესი ვერ იქმნება, შესაძლებელია ამაზე გაცილებით უფრო მერმინდელიც იყოს.

თავისი სახელწოდებით საყურადღებოა ქართლში შერჩენილი თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც **ბუზის ყურძენი**, ანუ **საბუზე ყურძენი** ჰქვიან. მისი მარცვლები ტკბილია და თხელკანიანი. დამწიფებისას კანი სკდება და მარცვლებს ტკბილი წვენი სდის, რომელსაც ბუზები და ფუტკრები ეხვევიან. სწორედ ამის გამო ყურძნის ამ ჯიშს ბუზის, ანუ საბუზე ყურძნის სახელი დაერქვა.

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს სხვა თემში ქართლს გარდა ბუზის ყურძენი არა ჩანს, ჯერჯერობით მაინც ცნობილი არ არის, საქართველოს გარეშე ასეთი სახელწოდების მქონებელი ყურძნის ჯიში მოიპოვებოდა, ეხლაც პლომად არის და მუსკატი ეწოდებოდა.

ვირა ყურძენი, რომელიც დილომში იყო გადარჩენილი, თუმცა უცნაური და ყურძნისათვის თითქოს სრულებით შეუფერებელი სახელია და ქართლს გარდა საქართველოს სხვა თემში, არსებული წყაროებისდა მიხედვით, არა ჩანს, მაგრამ უცხოეთში, სახელდობრ, ძველი რომისა და იტალიის მევენახეობაში, მის სახელს შესატყვისობა მოეპოვება, ავინუსკა-ს სახით.

ყურძნის ჯიშის სახელწოდება **შანთი** უცნაურია, რათგან ძველ ქართულში ეს სიტყვა გახურებულ რკინასა ჰნიშნავდა. ერთად-ერთ განმარტებად, რომელიც შესაძლებელია ყურძნის ჯიშის ამ სახელს მოეძებნოს მისი ღვინის სიცხარეა, მაგრამ ამის შესახებ წყაროებში არაფერია ნათქვამი. მისი გავრცელების საზღვრები საქართველოშიც იმერეთს არ სცილდება, უცხოეთში-კი ასეთი სახელი არა ჩანს. მაგრამ მე-XVI ს. მეცნიერს Iean Bauhin-ს თავის „მცენარეთა ზოგადს ისტორია"-ში შეტანილი აქვს ყურძნის ერთი ჯიშის სახელი „Uvae albae «Raisins brulants» dictae" „**თეთრი ყურძენი მგზნებარ ყურძნად სახელდებული**"-ო. მისი აღწერილობით, ამ ჯიშს **ფოთოლი** ხუთყურიანი, ქვევითგან ბუსუსიანი ჰქონდა. ძალიან ნაყოფიერი ყოფილა და ბევრს ისხამდა, მაგრამ გამძლე ვაზი არ იყო: დასიცხვას ვერ იტანდა და ადვილად ხმებოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ფრანგი და მათი მეზობელი მევენახენი ამ ჯიშის ვაზს სპობდენ თურმე, მეტადრე თუ უკეთესს ჯიშს იშოვიდენო (Amp. rétrosp. 210).

თავი XX. მევენახეობის მოკლე მიმოხილვა სომხეთსა და ალბანეთში, ისევე როგორც არან-შირვან-შაქში.

§ 1. სომხეთისა და ალბანეთის პოლიტიკური და დემოგრაფიული თავგადასავალის მნიშვნელობა იქაური მევენახეობის ბედიღბლისა და ვითარების გასათვალისწინებლად.

საქართველოს მევენახეობისა და ვაზის ჯიშების დაწვრილებითი შესწავლის შემდგომ, საბოლოო მსჯელობისათვის ჩვენი ქვეყნის მეზობლების მევენახეობის ვითარების გათვალისწინება არის საჭირო. უპირველესად რასაკვირველია, სომხეთისა და ალბანეთის მევენახეობის ცოდნას აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, შემდეგ სპარსეთ-არაბეთისასაც.

თავდაპირველად სომხეთსაცა და ალბანეთსაც თავ-თავიანთი მევენახეობა ჰქონდათ, რომელიც ვაზის დაყენების წესითაც ძალზე განსხვავდებოდა, რათგან ალბანეთში მაღლარი მევენახეობა იყო გაბატონებული, სომხეთში-კი, ბუნებრივი პირობების წყალობით, უმთავრესად განრთხმული ვაზი იყო. მაგრამ არაბთა შემოსევის შემდგომ გამაჰმადიანებულ თურქთა ტომების ალბანეთსა და სომხეთში ჩასახლებამა და გაბატონებამ ამ ორი ქვეყნის წინანდელი ვითარება ძალიან შეცვალა. უცხო ტომთა ჩასახლებას და ბატონობას შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის მთლიანი გათურქება ალბანეთსა და ნაწილობრივ სომხეთშიც მოჰყვა.

შესაძლებელია ითქვას, რომ ალბანეთის მერმინდელი მემკვიდრეობის, არანის, ყარაბაღის, შაქისა და შირვანის, აწინდელი აზერბეიჯანის, მოსახლეობა იმდენათ თურქული არ არის, რამდენადაც გათურქებული ალბანელების შთა-

მომავლობას წარმოადგენს. ჯერ კიდევ მე-X ს-მდე იქ ალბანური ენა იყო გავრცელებული და ქრისტიანობა წინანდებურად არსებობდა. ამ დროითგან მოყოლებული ალბანური თანდათანობით ასპარეზს თურქულს უთმობს და ქრისტიანობასთან ერთად, ამ ქვეყანაში მაჰმადიანობის გამარჯვებისთანავე, ქრება. მისი ოდინდელი არსებობის უკვე ღონემიხდილს, უკანასკნელ ნაშთს მხოლოდ უდურიღა წარმოადგენს, რომელსაც სულ რამოდენიმე ათასი კაცი-ღა ლაპარაკობს.

ალბანური მწერლობის თითქმის სრულიადმა მოსპობამ, არამც თუ იქაური მევენახეობის, თვით ენის აგებულებისა და ლექსიკური საგანძურის შესწავლის შესაძლებლობაც მოგვისპო. თუმცა არაბთა გეოგრაფებს არრანად წოდებული ალბანეთის აღწერილობაში აღნიშნული აქვთ, რომ იქ ვაზ-ყურძნის მოშენებას და მეხილეობას მისდევდენ, მაგრამ ამ ავტორებს უმთავრესად იქაური ხილეულის ჯიშები აქვთ შექებული. არც მევენახეობის წესებზე და არც ყურძნის ჯიშებზე არაბ და სპარსელ გეოგრაფებს არაფერი აქვთ ნათქვამი, არც ალბანეთის არსებობის ხანაში, არც შემდეგში, როდესაც ეს ქვეყანა გამაჰმადიანებულ იქმნა და თანდათან გათურქდა.

ყველა ზემოთქმულის შემდგომ, ამ ქვეყნის მევენახეობის დონის გასათვალისწინებლად, მე-XIX ს. გამოქვეყნებულსა და თავმოყრილ ცნობებს გარდა, რომელიც კავკასიას ეხება და რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე გვ. 394—400), თითქმის არაფერი მოგვეპოვება.

თუმცა სომხებმა მე-IV ს. დამდეგს მოსპობილი თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა მე-IX ს. შესძლეს და მე-IX ს-ითგან მე-XI ს-მდე შეინარჩუნეს, მაგრამ მანამდე მაჰმადიან არაბ, სპარსელ და თურქთა სომხეთში ჩასახლებას ვერც ისინი გადაურჩნენ. მე-XI ს-ითგან სომხეთის დამოუკიდებლობის კვლავ მოსპობამა და ისევ სპარს-თურქ მაჰმადიანთა გაბატონებამ სომხეთში ჩათესლებული თურქების მოსახლეობაც წინანდელზე მეტად გააძლიერა და ადგილობრივი სომხური ფენის გათურქებასაც ძალზე შეუწყო ხელი. მართალია, დავით აღმაშენებელის დროითგან მოყოლებული სომხეთის მაჰმადიანთა დამონებისაგან თანდათანმა განთავისუფლებამა და საქართველოს სახელმწიფოებრივობის არეში მოქცევამ, სომეხთა მოსახლეობის გამაჰმადიანება-გათურქების პროცესი შეაჩერა, მაგრამ მე-XIII ს-ში მონღოლთა შემოსევა-გაბატონებამა, საქართველოს პოლიტიკურმა დასუსტებამ და მერმინდელმა დაკნინებამ სომხეთის ბედიც კვლავ უკუღმა დაატრიალა: ქვეყნის აოხრებას სომეხთა აყრა და გადასახლება დაერთო ზედ. დაცალიერებულ ადგილს თურქთა ახალ-ახალი ტალღები იპყრობდენ. სომხეთის პოლიტიკური ბედის ამ უკუღმართობამ ამ ქვეყნის მოსახლეობა აჰრელა: ადგილობრივ მკვიდრთა გვერდით საკმაოდ მრავალრიცხოვანი თურქული მოსახლეობაც შეიქმნა.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულ გარემოებას მევენახეობა-მეღვინეობაზე შეუძლებელია ძლიერი გავლენა არ მოეხდინა, თუნდაც იმიტომ, რომ მაჰმადიანობა კეთილმორწმუნეს ღვინის სმას უკრძალავდა და ამის გამო, მაჰმადიანობის გავლენასთან ერთად, უნდა მეღვინეობის მეურნეობაც საგრძნობლად შემცირებულიყო.

სპარსთა და თურქთა ბატონობამ მევენახეობასაც სომხეთში თავისი კვალი დააჩნია: სომხურ მევენახეობას ვაზ-ყურძნის არაერთი უცხო სახელი შეერია.

ძველი ჯიშების შესახებ სომხეთში ცნობების უქონლობა იმ საკითხის გადაწყვეტას, არაბულ-სპარსულ-თურქულ სახელებთან ერთად თვით ეს ჯიშ-სახესხვაობაც ახლად იყო შეთვისებული, თუ წინათვე არსებულ ჯიშ-სახესხვაობას მხოლოდ სახელი გამოეცვალა, მეტად აძნელებს. მაგრამ ქსენოფონტეს ცნობა სომხეთში უკვე მე-IV ს. ქ. წ. მევენახეობა-მეღვინეობის არსებობის შესახებ გვაფიქრებინებს, რომ სომხურ მევენახეობას არაერთი ძველი ჯიში დროთა განმავლობაში დაკარგული, ანდა სახელ-შეცვლილი უნდა ჰქონდეს.

სომხეთის მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია ჯერ შესწავლილი არ არის. ძველ სომხურ წყაროებში, საისტორიო თხზულებებსა და წარწერებში, ამ საკითხის გასაშუქებლად თუმცა ბევრი არა, მაგრამ მაინც არაერთი საგულისხმო ცნობა მოიპოვება. მხოლოდ ამისთვის უნდა განსაკუთრებული მონოგრაფია დაწერილიყო, რაც, ცხადია, შეუძლებელია ამ წიგნში ყოფილიყო მოთავსებული. თუ „საქ. ეკონ. ისტორიის“ ამ წიგნში მევენახეობაზე მსჯელობის დროს სხვა, უმთავრესად ძველ საქართველოსთან დაკავშირებული, ქვეყნების მევენახეობის გახსენებაც მოგვიხდა, ამის მიზეზსა და მიზანს ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის შედარებითი შეფასება შეადგენს. სასოფლო-მეურნეობის ამ დარგის დონისა და შენაძენის გასათვალისწინებლად ჩვენთვის უმთავრესად მისი ტექნიკური და ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა შედგენილობისა და ავკარგიანობის ისევე, როგორც სადაურობის ცოდნაა საჭირო. რაკი პირველი ამათგანი, სომხური მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შეუსწავლელობის გამო, ჯერჯერობით მიუღწეველია, ამიტომ აქ უნდა უმეტესად ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა საკითხით დავკმაყოფილებულიყავით.

სამწუხაროდ აქაც საქმეს წინასწარი ნაკვლევების უქონლობა აძნელებს. მართალია ცნობილ სომეხთა მკვლევარს ა ლ ი შ ა ნ ს თავის მონოგრაფიაში *„Հայբուսակ կամ հայկական բուսաբանութիւն“* (ვენეტიკი 1895 წ.), სომხურ ბოტანიკურ ლექსიკონში, 230—231 გვერდზე ყურძენზე მსჯელობის დროს 23 ჯიშის სახელი აქვს მოყვანილი, მაგრამ ამ ცნობების არცერთი წყარო დასახელებული არა აქვს, და ორიოდეს გარდა, სახელზე მეტს არაფერს შეიცავს: არც ამპელოგრაფიული დახასიათება, არც ფერი და გავრცელების არეც-კი აღნიშნული არ არის. ცხადია, რომ ასეთ წყაროზე დამყარება არ შემეძლო.

საუბედუროდ ტფილისში ვერ ვიშოვე ვერც ჰ. ა თ ა ნ ა ს ი ა ნ ც ი ს 1881 წ. ერევანში დაბეჭდილი ნაშრომი *„Երևանի նահանգի բուսականութիւն“* „ერევნის სანახების მცენარეულობა“ და ვერც ქ. მ ე ლ ი ქ - შ ა ჰ ნ ა ზ ა ნ ც ი ს 1885 წ. ტფილისში გამოქვეყნებული *„Ուղեցոյց գործնական գինեգործութեան“* „პრაქტიკული მეურნეობის სახელმძღვანელო“, რომლებშიც ყურძნის ჯიშებიც არის დახასიათებული. ამის გამო იძულებული ვიყავ ს ა ჰ. ა მ ა ტ უ ნ ი ს ა და ჰ. ა ჭ ა რ ი ა ნ ი ს დიალექტ. ლექსიკონებში ამავე წყაროებითგან ამოღებული ცნობებით მესარგებლა; ამას გარდა მე-XIX ს-ში გამოქვეყნებულს, იმავე ოფიციალურ გამოცემებს ვემყარებოდი, რომელშიც კავკასიის მებაღეობისა და მევენახეობის ზოგადი, თუ ცალკეული დახასიათება მოიპოვება და რომელთა ღირსებასა და ნაკლზე თავის ალაგას უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე გვ. 394—400).

თუმცა სომხეთსა და ალბანეთში, შემდეგდროინდელ არანსა და ყარაბაღ-შირვან-შაქში, მევენახეობის სხვადასხვა წესები იყო გაბატონებული, მაგრამ, მსგავსი ისტორიული ფაქტორებისა და თურქთა ჩასახლებისა და მათთან ერ-

თად ბინადრობის წყალობით, ვაზ-ყურძნის ბევრი ჯიში ორსავე ქვეყანასა და ორსავე ერს საერთო ჰქონდა. ამას ზედ ის გარემოებაც ერთვის, რომ მე-XIX ს. ავტორების ნაშრომებშიც მევენახეობა, ჩვეულებრივ, ადმინისტრატიულ-გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით არის აღწერილი და ამის გამო ხშირად მკაფიოდ არა ჩანს, თუ რომელი ჯიში სახელდობრ რომელი ეროვნების კუთვნილებას შეადგენდა. ყველა ამ მიზეზების გამო ქვემოთ ჯერ ორივე ქვეყნისა და ერის მევენახეობის მოკლე მიმოხილვა იქმნება ცალცალკე წარმოდგენილი, შემდეგ აქაც და იქაც გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა საერთო აღწერილობა გვექმნება მოთავსებული, ხოლო სულ ბოლოს ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სომხური და თურქული სახელების ცალცალკე ანალიზიც დაერთვის.

§ 2. სომხეთის მევენახეობის მოკლე დახასიათება.

ვაზთამცოდნეობის ძველი ქართული ტერმინების მნიშვნელობის განმარტების დროს უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ვაზს ძველ სომხურში *որթ* ႭႰႧ-ი ეწოდებოდა. მაშინ ეს ერთად-ერთი სიტყვა იყო ამ ცნების გამოსახატავად.

მე-XIII ს. სომხეთში განთქმული მოღვაწისა და მქადაგებლის ვ ა რ დ ა ნ ი ს იგავარაკთა კრებულ́ში იმ იგავში, რომელსაც *Աղեքսանդր և երկիր բարութեան* „ალექსანდრე და მადლიანი ქვეყანა“ ეწოდება, უკვე ნახმარია *վազ* ႥႠႦ. იქ სწერია: „*Կորեց գլխաղողին վազն* (ნ. მ ა რ რ ი ს გამოც.: Сборник притч Вардана, тексты, გვ. 207) „მოსჭრა ყურძნის ვაზი“-ო. ამ ადგილისდა მიხედვით შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ, თუ სიტყვა ႥႠႦ ძველ სომხურში მე-XIII ს-მდე არა ჩანს, მე-XIII ს-ში უკვე მისი არსებობის დამამტკიცებელი ვ ა რ დ ა ნ ი ს იგავარაკთა კრებულის ეს ადგილია. მაგრამ ასეთი დასკვნა სრულებით მცდარი იქმნებოდა, რათგან ვარდანის კრებული შემდეგში არაერთხელ შეუვსიათ და ყველაფერი, რაც იქ მოიპოვება, ვ ა რ დ ა ნ ს არ ეკუთვნის. პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს გამოკვლევითგან ჩანს, რომ კერძოდ ეს იგავარაკიც, რომელშიც ზემომოყვანილი წინადადება გვხვდება, ვ ა რ დ ა ნ ი ს ა არ არის (იხ. მისი გამოკ. გვ. 119, 263 და 279). მაშასადამე, **სიტყვა ႥႠႦ სომხურს მე-XIII ს-შიც არა ჰქონია და ამის შემდგომ საუკუნეებში უნდა ჰქონდეს შეთვისებული.** სამწუხაროდ, ვ ა რ დ ა ნ ი ს იგავარაკთა ამ დანართი ნაწილის ხანა გამორკვეული არ არის, რომ ამისდა მიხედვით ႥႠႦ სიტყვის სომხურში გაჩენის დროის განსაზღვრა შესაძლებელი ყოფილიყო.

ახალ სომხურშიც თუმცა *վազ* ႥႠႦ იხმარება, მაგრამ, როგორც დ ა ლ ბ ა შ ი ა ნ ს აღნიშნული აქვს, მხოლოდ მდაბიო ხალხში. ამასთანავე მდაბიო ხალხშიც ეს ტერმინი სომეხთა ყველა ტომებს შორის არ არის ცნობილი, არამედ მხოლოდ ტფილისის, შულავრისა, ყაზახისა და ერევნის სანახების ეჩმიაძინის თემის სოფლებში აშტარაკსა, ოშაკანსა და ფარაშია გავრცელებული (იხ. ა ჰ ა რ ი ა ნ ი ს *Հ. գաւառ. բառարան* გვ. 990 და ს ა ჰ. ა მ ა ტ უ ნ ი ს *Հ. բառ ու բան* გვ. 602).

ეჩმიაძინის ს. ღზილთამირსა, იგდირსა და როჲში-კი ვაზს *մակրաչուք* ႫႠႩႰႠႹႭჃႵ-ს უწოდებენ, ხოლო ერჰეშსა, ვალაშკერტის ს. ბათნოცში, ვანსა და მოკში ამავე ცნების გამოსახატავად *աղօշ* ႠႶႭჃႸ-ს ხმარობდენ (ს ა ჰ. ა მ ა ტ უ ნ ი-ს *Հ. բառ ու բան* 602).

ვაზისა და ყურძნის ნაწილების ისევე, როგორც ვაზ-ვენახის გაშენებასთან დაკავშირებული ტერმინები უკვე გვქონდა ქართულ ტერმინებთან ერთად თავ-თავის ადგილას მოყვანილი (იხ. აქვე გვ. 270, 298, 300, 301, 302—3, 304, 312, 313, 320—321 და 327), ამიტომ აქ მათი კვლავ განმეორება საჭირო აღარ არის. სამაგიეროდ აქ უნდა ისეთი სომხ. ტერმინები იყოს დასახელებული, რომელთა, ან კვალი არა ჩანს ძველად, ან არადა, რომელნიც ახალ სომხურში საგრძნობლად არიან შეცვლილნი.

თუ ძველ სომხურში წიდნას ვოლკუიჩ-ი ეწოდებოდა (იხ. აქვე გვ. 313), თანამედროვე სომხურში წიდნას უკვე *շուռ* შურ-ს ეძახიან, რაც გადაბრუნებას, გადაწვენას ჰნიშნავს. ვაზის გადაწიდნვას *վազի շուռ տալ* ვაზი შურ ტალ, ე. ი. ვაზის გადაწვენა ჰქვიან.

ვაზის ზედმეტ რქას სომხურად ერევნის სანახებში, ეჩმიაძინში *սուդ* სუდ-ს ეძახიან (აჭარიანის *գաւառ. բառ.* 979), აჯოჯვას-კი *սուդա տալ* სუდა ტალ-ს, ანდა *բէչան տալ* ბეჩან ტალ-ს უწოდებენ (იხ. ს. ზელინსკის Садоводство в Закавк. крае: Свод МИЭБГКЗК IV. 2 ნაწ., გვ. 45).

აგრ. ენოქ ნაზარიანის სიტყვიერი ცნობით, რომლისთვისაც მადლობას მოვახსენებ, თანამედროვე სომხურში მოკლედ გასხლილ, დანეკილ ტოტს, ნეკს *բիտ* ბიტ-ი ეწოდება, ხოლო გრძლად გასხლილ *յորի* ჰორი-ს ეძახიან. ეს ტერმინები, როგორც ჩანს, ახალი შემოღებული უნდა იყოს, რათგან არც ღალბაშიანისა და არც ამატუნის, ანდა აჭარიანის ლექსიკონებში შეტანილი არ არის. ბიტ ჩვეულებრივ დეზს, მამლის დეზსა ჰნიშნავს და ასე აქვს ამ სიტყვის მნიშვნელობა ღალბაშიანსაც განმარტებული. ჰორი უეჭველია *յոյր* ჰოირ-ის ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს, რომელიც სხვილსა ჰნიშნავს, ანდა ტირიფის, Salix angustifolia-ს აღმნიშვნელ სომხურ სახელ ჰორი-სთან უნდა იყოს დაკავშირებული (იხ. ამ სახელის შესახებ ყანდურალოვის ცნობა СбСвВгВдК V, 30).

ერევნისა, ეჩმიაძინისა, სურმალისა, შარურ-დარალაგიოზისა და ნახჭავნის სანახებში ყველგან, ორდუბათს გარდა, სადაც ხეივნის მევენახეობაა გაბატონებული, მიწაზე განრთხმული ვაზის მოშენებას მისდევდენ. ვაზის ლერწი ამაღლებული მიწის კვლების ან ქედზე, ანდა გვერდებზე იყო და არის განრთხმული. ამ ამაღლებულ კვლებს *թումբ* თუმბ-ს ეძახიან, რაც სომხურად ბორცვსა ჰნიშნავს.

ვენახები იქ ტახტაკ-ებად, ანუ ოთხკუთხ ზოლებად არის დაყოფილი. თვითოეული ტახტაკი 30-მდე ასეთ თუმბს შეიცავდა. ვაზებს მარტში სხლავდენ სასხლავით, რომელსაც მდაბიო ხალხი *էտոց* ეტოც-ს უწოდებს. თვით გასხლვას-კი *էտել* ეტელ-ს, ანდა *էտ անել* ეტ-ანელ-ს ეძახიან.

ძველ სომხურში გასხლვას, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე გვ. 327) *յատանել* ჰატანელ-ი ეწოდებოდა. თავისდათავად ეს ზმნა ჭრის ცნების ზოგადი გამომხატველი იყო. ახალ სომხურში იგი უკვე *յօտել* ჰოტელ-ად არის ქცეული. დანასაც *յօտոց* ჰოტოც-ი და მდაბიურად არარატის სანახებსა და ერევნის სანახებში *էտոց* ეტოც-ი სასხლავს, ხოლო სხლვას *էտ* ეტ-ი ეწოდება (იხ. Очерк Вд К: СбСвК III, 261 და საჰ. ამატუნის *Հ. բառ ու բան* 195). სასხლავას სახელად ქ. ერევნის მიდამოებში თურმე ეტულარი-ც („эту-

лари“) იხმარებოდა (Очерк Вд К იქვე), რომლის კვალი არც დ ა ღ ბ ა შ ი ა ნ ს ა და არც ა მ ა ტ უ ნ ი ს , გინდ ა ჭ ა რ ი ა ნ ს არ უჩანთ.

როგორც ა ჭ ა რ ი ა ნ ი ს ლექსიკონითგან ჩანს, ერევნის სანახებში ვაზის გამსხვლელის სახელიც გაჩენილა და *էտող* ეტოღ-ი დაჰრქმევია (*Հ. գաւառ. բառ.* 332).

რაკი სომხეთი მაღალი ზოლის მთიანეთია და იქ დიდი და მკაცრი ყინვები იცის, ამიტომ ზამთარში ვაზის უპატრონოდ მიტოვება არ შეიძლება: ყინვა ვაზს უმალ მოსპობს. უკვე მე-IV ს. ქ. წ. ქსენოფონტეს აღნიშნული ჰქონდა, რომ მცირე სომხეთის სოფლებში იქ, სადაც მევენახეობა-მეღვინეობა იყო, ვაზს ზამთრობით მიწაში მარხავდნენ, რომ ზამთრის სუსხს ვაზი არ გაეხმო და არ მოესპო. ერევნის სანახებსა და სომხეთის დანარჩენ მაღლობ ადგილებში იმავე ბუნებრივი პირობებისა და მიზეზის გამო შემდეგშიც, მე-XIX ს-შიც, განრთხმულ ვაზებს ზამთრობით წინანდებურად მიწაში ჰმარხავდნენ (გეევსკი და შარრერი 849—851).

დამარხულ ვაზებს გაზაფხულზე მიწას გადააყრიდნენ, ხოლო შემდეგ მათ გასხლვას შეუდგებოდნენ ხოლმე. თეთრი ყურძნის ვაზის რქებს 4—5 კვირტზე სჭრიდნენ, შავი ვაზისა-კი 2—3 კვირტზე იცოდნენ გასხლვა. გასხლვის შემდგომ ზედმეტ ტოტებს 3-ჯერ ჩამოაცლიდნენ და გაფურჩქნავდნენ ხოლმე (გეევსკი და შარრერი 849—851).

შამახელი სომხები-კი მე-XIX ს. ცნობებით, დაბლარ მევენახეობას მისდევდნენ. ვაზებს ლერწის ნერგებით აშენებდნენ, ერთი-მეორეზე ვაზები 1 ადლის მანძილზე ჰქონდათ დაშორებული. 4 წლის ვაზს სარს შეუდგამდნენ ხოლმე. გასხვლა მარტში, გათოხნა აპრილში, აჯოჯვა მაისსა, ხოლო სთველი ოქტომბრის დამდეგს იცოდნენ. იქაური სომხები უმთავრესად სალვინე ყურძნის ჯიშების გაშენებას მისდევდნენ (გეევ. და შარ. გვ. 816—817).

მიწაზე განრთხმული ვაზებისთვისაც საყრდნობი, მეტადრე ყურძნის მოწევის ხანაში მარცვლები რომ ნიადაგისაგან არ დაზიანდეს, მაინც საჭიროა, მაგრამ ერევნის მთელ სანახებში ისევე, როგორც სხვაგანაც, სადაც-კი განრთხმული ვაზის მევენახეობა იყო, ასეთ საყრდნობად მიწაში ჩარჭობილს მოკლე (ნახევარ-არშინიანი) ორ-კაპიან ჯოხს ხმარობდნენ, რომელსაც ვაზის განივად განრთხმულ რქებს, სადაც-კი სჭირდებოდათ, შეუდგამდნენ ხოლმე. ასეთი ორკაპიანი საყრდნობი ვაზს სულ ცოტა იმდენი ესაჭიროებოდა, რამდენიც მას რქა დატოვებული ჰქონდა. თუ ვაზს ყურძენი უხვად ესხა და რქებს ამძიმებდა, საყრდნობი ამაზე გაცილებით მეტიც უნდებოდა ხოლმე (იხ. Очерк Вд К: СбСВК III, 266, 270.—ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი Садоводство в Закавк. крае. Свод. МИЭБГКЗК IV, 2, გვ. 45 და ივ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი Очерк, Вд в Эриван. г. СбСвВгВдК VI, 59—60). მხოლოდ ულარიბესი მევენახეები სტოვებენ ხოლმე ვაზებს მიწაზე სრულებით უსაყრდნობოდ.

ასეთ ორკაპიან საყრდნობს ყარაბაღელი სომხები *խեչակ* ხეჩაკ-ს, განჯელები *խեչմայր* ხეჩმაირ-ს, ერევნელები კიდევ *խչմար* ხჩმარ-ს უწოდებდნენ და უწოდებენ ეხლაც (ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი Садов. в Закавк. крае; Свод. МИЭБГКЗК IV, 2, გვ. 45.— საჰ. ა მ ა ტ უ ნ ი ს *Հ. բառ ու բան* 274 და ა ჭ ა რ ი ა ნ ი ს *Հ. գաւառ. բառ.* 464).

§ 3. ალბანეთისა და მერმინდელი არან-შირვან-შაქის მევენახეობის მოკლე დახასიათება.

ალბანეთის მევენახეობის უძველესი ცნობილი ხანის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე გვ. 344—345) და იქ აღნიშნულია, რომ ალბანეთში მაღლარ მევენახეობას მისდევდენ, ვენახები დაუბარავი ჰქონდათ და ვაზებს მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ სხლავდენ ხოლმე.

ამ ქვეყნის მევენახეობის მერმინდელი მდგომარეობის შესახებ არავითარი გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება. ცხადია, მხოლოდ, რომ, ალბანეთის ქრისტიანი მოსახლეობის გამაჰმადიანებასა და გათურქებასთან ერთად, თანდათანობით იქაური მევენახეობის გეზიც უნდა შეცვლილიყო. მაჰმადიანთათვის ღვინის სმის აკრძალულობის გამო, ამ ქვეყანაში მეღვინეობა უნდა მიმკვდარებული ყოფილიყო. ამავე მიზეზის გამო, იქ სალვინე ყურძნის ჯიშების მაგიერ საჭმელი, შესანახი და საწნილე ჯიშებისათვის უნდა დაეთმოთ ასპარეზი. რამდენადაც მევენახეობისათვის უმთავრესი ეკონომიური მნიშვნელობა მეღვინეობას ჰქონდა, იმდენად მეღვინეობის მოსპობას მევენახეობის ინტენსივობა და ზრდა უეჭველია უნდა შეეჩერებინა. თუ გავიხსენებთ, რომ ძველ ალბანეთშიც მევენახეობა ინტენსიური არ ყოფილა, ცხადი გახდება, რომ მევენახეობის მერმინდელი დონის ამაღლება ზემოაღნიშნული გარემოების გამო საფიქრებელი არ არის.

ამიერკავკასიაში ჩასახლებული თურქები, რა თქმა უნდა, მევენახეობის კულტურის მომტანნი არა ყოფილან. ამიტომ ეს დარგი მათ, ან სპარსელებისაგან, ანდა უფრო ადგილობრივ მოსახლეობისაგან უნდა შეესწავლათ. ამ გარემოების გათვალისწინება ადამიანს მიახვედრებს, რომ არანის, ყარაბაღის, შირვანისა და შაქის ისევე როგორც სომხეთის, თურქ და გათურქებული მოსახლეობის მევენახეობაში, როგორც ძველი ალბანური და სომხური, ისევე სპარსეთ-არაბეთიდგან შეთვისებული ელემენტები უნდა ყოფილიყო. ყურძნის ჯიშის არაერთი სახელი შესაძლებელია ძველი ადგილობრივი სახელის მხოლოდ თურქულ თარგმანს წარმოადგენდეს.

მევენახეობის ექსტენსივობის გამო, ამ დარგის თურქული ტერმინოლოგიაც მაინცდამაინც მდიდარი არ არის. სახელდობრ **ვაზს** (die Weinrebe) თურქულად ჳზჳმ ასმასჷ ეწოდება, **ვაზის ლერწს** (der Weinstock)—ჳზჳმ ჩჷბჷღჷ, **ყურძენს**—ჳზჳმ, ან ჲზჳმ, **ყურძნის მტევანს** (die Weintraube)—ჳზჳმ სალქჷმჷ, **ყურძნის მარცვალს** (die Weinbeere)—ჳზჳმ **და̈ნა̈სი**, **ყურძნის ხუნწკალს** (die Körner der Weinbeeren)—ჳზჳმ **ჩა̈ქირდა̈ჷ**, **ვენახს** (der Weingarten)—ჳზჳმ **ბახჩასჷ**, **ყურძნის წვენს**, (die Rebensaft)—ჳზჳმ **შირა̈სი**, **ჩამიჩს** (die Rosinen)—**ქურუ** ჳზჳმ, **ქიშმიშს**—**ქიშმიშ** ჳზჳმჳ (იხ. Dr. Radloff Versuch eines Wörterbuches der Türk-dialecte, 1. B. გვ. 1899).

შამახიის სანახების მაჰმადიანი მიწისმოქმედნი მაღლარ მევენახეობას მისდევდენ. ვაზები იფნის ხეზე, თელადუმაზე და ჰანდარზე, ანდა მუხაზე ჰქონდათ ხოლმე გაშვებული. ვაზის გარშემო ყოველწლივ ჰბარავდენ და რწყავდენ, ხოლო ოთხ წელიწადში ერთხელ სხვილფეხა საქონლის პატივით მიწას აპოხიერებდენ. სხვაფრივ ვაზს არ უვლიდენ. ხუთი წლის ვაზი უკვე ყურძნის მოსხმას იწყებდა და მისი ნაყოფიერება 18 წლის განმავლობაში იმდენად

დიდი იყო, რომ ყოველწლიურად 4 ფუთამდე ყურძენს ისხამდა. როდესაც ვაზის ნაყოფიერება მცირდებოდა, მაშინ ვაზის ზროს პირველი განტოტების ადგილთან სჭრიდენ და ამის შემდგომ ვაზი ახალ-ახალ რქებს გამოიტანდა. ამის წყალობით მისი ნაყოფიერება კვლავ განახლებული ძალით კიდევ 10—15 წლით იმატებდა ხოლმე. ამ საშუალებათ ვაზი 150 წლამდე სძლებდა და ყურძენს ისხამდა (გეევ. და შარ. გვ. 817). შანახელი მაჰმადიანნი საჭმელი ყურძნის ჯიშების გაშენებას მისდევდენ (იქვე).

ნუხისა, გოგჩისა და არეშის სანახებში მხოლოდ მაღლარი მევენახეობა იყო ისევე, როგორც ლენქორანში. აქ თურმე ვაზებს არა სხლავდენ (გეევ. და შარ. 818—819). ყანდურალოვის ცნობით, ხეებზე გაშვებული ვაზებით დარგულს ასეთ მაღლარ ვენახს თურმე ხიღვან-ს უწოდებდენ (СбСвВгВдК V, 34—37).

შამახა-გოგჩის სანახებში, შირვანში, ზემოაღნიშნული მაღლარის მსგავსად თუმცა სომხებზე უფრო ნაკლებად, მაგრამ იქაურ მაჰმადიანებსაც ჰქონდათ დაბლარი, სარებზე დამაგრებული, ვაზებიც. ასეთ დაბლარს, ყანდურალოვის ცნობით ქჷლლასარ-ი ეწოდებოდა (СбСвВгВдК V, 28), ზელინსკის ცნობით-კი, ვითომც „ქჷლასარ“, რომელიც ამ ავტორის მტკიცებით, ვითომც სპარსული სიტყვა უნდა იყოს (Свод МИЭБГКЗК IV, 26)[1]. ასეთი სპარსული არა ჩანს და თანხმოვან ბგერათა თავში ამნაირად შეჯგუფილობის მქონებელი სიტყვის არსებობა სპარსულში ძნელი დასაჯერებელიც არის. უფრო საფიქრებელია, რომ დაბლარის აღნიშნული ზემომოყვანილი თურქული ტერმინი ბერკეტის, ანუ ოწინარის აღნიშვნელ თურქულ სიტყვა ქოსულ kösülü کوسلو-სთან იყოს დაკავშირებული და მისგან ნაწარმოებს ტერმინს წარმოადგენს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ქჷლასარ-ი უნდა შუა თანხმოვანთა ადგილმონაცვლებით იყოს ქოსოლარ-ისაგან წარმომდგარი.

დაბლარ ვაზზე, მარტში მისი გასხლვის დროს, 2-ს, ან 3-ს სანაყოფო რქასა სტოვებდენ, რომელთაც ყველას 10 კვირტზე სხლავდენ. მხოლოდ უფრო ხნიერ ვაზს ზოგჯერ ორ კვირტზე გასხლილ სამარაგოდ განკუთვნილ რქასაც უტოვებდენ ხოლმე. შემდეგ ნიადაგს ჰბარავდენ, ხოლო მაისში ვაზის ზედმეტი ტოტების ჩამოცლა, გაფურჩქნა იცოდენ, რომელსაც ბალალ-ს უწოდებდენ (ყანდურალოვი V, 28—33).

განჯის სანახებშიც დაბლარ მევენახეობას მისდევდენ, მხოლოდ იქ ვაზის შესადგმელად სარის მაგიერ ლერწამს, ანუ ჩალამკალამს, Arundo Donax-ს ხმარობდენ (გეევ. და შარ. 846). ერევნის მთელ სანახებში მაჰმადიანებსაც განრთხმული ვაზის მევენახეობა აქვთ და მხოლოდ ორდუბათის უბანშია ვაზები ხეივანებად გაშენებული, რომელთაც ხეივან-ი ეწოდება (ანდრონიკაშვილი VI, 61).

§ 4. სომეხთა და თურქთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობანი.

ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ქვემომოყვანილი აღწერილობა თავის ალაგას უკვე დასახელებულ წყაროებზეა დამყარებული. რაკი უმეტეს შემთხვევაში მე-

[1] „называется персидским словом кялсар (کلسر) sic!..

ტად მცირე ცნობები იყო და ხშირად მარტო სახელი მოიპოვებოდა, ამიტომ მეც იძულებული ვიყავი მტევნის და მარცვლის დახასიათებით დავკმაყოფილებულიყავ და თვითოეულის სამეურნეო დანიშნულება და ღირსება მომეხსენებინა. სამწუხაროდ ცნობების უქონლობა ხშირად ამის ნებასაც არ მაძლევდა და, სახელის აღნიშვნას გარდა, არაფრის თქმა არ შემეძლო. ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ქვემოშოყვანილი დახასიათება სარგებლობის გასაადვილებლად ანბანის რიგზეა დალაგებული.

1. **აგრი**, ანუ **დანადაშაგ** იხ. **დანადაშაგ.**

2. **ალა-ყარა**, ზ ე ლ ი ნ ს კ ი თ თურქულად الا قرا იწერება (IV, 58), მაგრამ არც მისი აღწერილობაა და არც ამ სახელის განმარტება აქვს. ზანგეზურის ყ. მაზრ. მეგრის სოფლებში იყო.

3. **ალახსუფ** (ზელინსკით), **ალ-ალსუფ** (ბალლასით). რქა ღია ნაცრისფერია, ხოლო მარცვალი შავი, სხვილი, რგვალი იცის. ფოთოლი საშუალო სიდიდის, ღრმად ჩაჭრილი აქვს. განჯის სანახებშია გავრცელებული (ბ ა ლ ლ ა ს 182, № 11).

4. **ალდარი**, ანუ **ტაიფი**, ანუ **რაზგი** იხ. **ტაიფი.**

სევ-ალდარა *սեւ ալդարա* ე. ი. შავი ალდარული (ზ ე ლ ი ნ ს კ ი IV, 57 და ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი VI, 44).

5. **ალვანი** (ზელინსკის თურქულად უწერია علوان ცალვან) შამახიის ყ. მაზრაში იყო, მწყაზარი, თეთრ-წითელი, შესანახი ყურძნის ჯიში იყო, ზამთარში სძლებდა (გეევსკი და შარრერი 818). ყ ა ნ დ უ რ ა ლ ო ვ ი თ წითელია და საჭმელად იყო უმთავრესად ს. ს. სალიანსა და მათრასში (Салиан, Матрасы) გავრცელებული (V, 26).

6. **ამბარი** (ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს სომხ. *ամբարի*, ა ლ ი შ ა ნ ს, ა მ ა ტ უ ნ ი ს ა და ა ჭ ა რ ი ა ნ ს არა აქვსთ) თეთრი, საჭმელი ჯიშია, ერევნის, ეჩმიაძინისა და სურმალის ყ. მაზრებში იყო გავრცელებული (ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი VI, 42).

7. **ამრი** *ամրի* გავრცელებული იყო შამახიის სანაპირებში,—მარცვალი სხვილი ჰქონია (გ ე ე ვ ს კ ი და შ ა რ რ ე რ ი 818 და ზ ე ლ ი ნ ს კ ი IV, 58).

8. **არაზბერი** ანუ **არაზბარი** *արազբարի* (ზელინსკით) გავრცელებული იყო ერევნის ყ. გ. უმთავრესად ორდუბათის უბანში, მარცვალი წითელი ჰქონდა (ანდრონ. VI, 43 და ზელინ. IV, 57).

9. **ასქარი** მოვარდისფერო-თეთრი,—შამახიისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული (გეევსკ. და შარ. 818).

მაგრამ ასქარი-ს მწვანე-მოყვითანო სახესხვაობაც არსებობდა, რომელსაც მარცვალი ლამაზი, კვერცხებრივი, საკმაოდ სხვილი, მოტკბილ-მომჟავო ჰქონდა. საუკეთესო საჭმელ ჯიშად ითვლებოდა (გეევ. და შარ. 852) და ერევნის ყ. გუბ. ყველგან ყოფილა გავრცელებული (ანდრონ. VI, 40).

10. **ატ-ჰზუმ** آت كوزم ე. ი. ცხენის ყურძენი გავრცელებული იყო განჯის ყ. გუბ. ისევე, როგორც შამახიისა და გოგჩის სანახებშიც. მტევანი ძალიან დიდი, პირამიდებრივი, ბურძგლიანი და მეჩხარი ჰქონდა,—მარცვალი სხვილი, კვერცხებრივი, სქელკანიანი და სქელხორციანი მოვარდისფერო-წითელი იცოდა, ტკბილ-მომჟავო, საჭმელ-შესანახი, მოსავლიანი ჯიში იყო. ოქტომბერში მწიფდებოდა (ყანდურ. V. 21 და ზელინ. IV, 57).

11. ᲐᲚᲐ-ᲓᲐᲘ آلا دای ე. ი. ალა-დედის ძმა, ალა-ბატონი, რომლის შესახებ, სახელს გარდა, სხვა არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, ყუბის სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ. IV, 58).

12. ალ-უზუმ, ანუ უზუმ آغ اوزوم ე. ი. თეთრი ყურძენი, უმთავრესად შამახიისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული და ᲗᲔᲗᲠᲘ თხელკანიანი ჯიში იყო (გეევ. და შარ. 818).

13. ᲐᲚ-ᲐᲚᲐᲨᲙᲘ, ე. ი. თეთრი ალაშკი, ანუ ᲐᲚ-ᲡᲐᲐᲑᲘ, ე. ი. თეთრი სააბი გავრცელებული იყო ერევნის ყ. გუბ. მცირე რაოდენობით. თეთრი გარდა, მისი ვარდისფერი სახესხვაობაც არსებობდა. საჭმელი ჯიშია და გამძლე (ანდრონ. VI, 41).

14. ᲐᲚ-ᲑᲐᲚᲘ, ე. ი. თეთრი ბალის ყურძენი ერევნის ყ. გუბ. იყო გავრცელებული. მარცვალი საშუალო, კვერცხებრივი, მოყვითანო და ტკბილი ჰქონდა (გეევ. და შარ. 852).

ᲐᲚᲡᲐᲐᲑᲘ, ე. ი. თეთრი სააბი იხ. ᲐᲚ-ᲐᲚᲐᲨᲙᲘ და ᲡᲐᲐᲑᲘ.

15. ᲐᲚ-ᲨᲘᲠᲐᲘ آغ شیرای თურქულ-სპარსული სახელია, თეთრი ყურძნის ტკბილსა ჰნიშნავს. ეს ჯიში განჯისა, შამახიისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო, გრძელი, წოწოლა, ბურძლენიანი და მეჩხარი ჰქონდა,—მარცვალი საშუალო, ოდნავ კვერცხებრივი, თხელკანიანი, მომწვანო-თეთრი, წვენიანი, ტკბილი და ოდნავ სურნელოვანი ჰქონია. საადრიოა: ენკენისთვის დამდეგს მწიფდება. საშუალო მოსავალი იცის. თურქები საჭმელად ხმარობდენ, მაგრამ შესანახად გამოსადეგი არ არის,—სომხები-კი სადვინედ სთვლიდენ და კარგ სადვინე ჯიშად იყო მიჩნეული (ყანდურ. V, 23).

16. ᲐᲚᲐ-ᲒᲔᲠᲛᲔᲖ, როგორც მას თურქები განჯის სანახებსა და ერევნის ყ. გუბ. ნახჭევნის ყ. მაზრ. ორდუბათის უბანში უწოდებდენ და რაც ჰნიშნავს „ალა ვერ დაინახავს“-ო, ან როგორც ქამარლუში, ერევნის ყ. გუბ. არარატის სანახების სომხები უწოდებენ ᲔᲖᲐᲜᲓᲐᲠᲘ-ს *կղանդար*, ანუ ᲓᲘᲖᲛᲐᲠᲘ, ივ. ანდრონიკაშვილის ცნობით, თეთრი, საადრიო, საჭმელი ყურძნის ჯიშია და ორდუბათშიც ყოფილა გავრცელებული (VI, 41 და 42). მაგრამ, ჰოვჰანეს ათანასიანცის ნაშრომის *Երևանի նահանգի բուսականու-թյուն* „ერევნის სანახების მცენარეულობა“ და კ. მელიქ-შაჰნაზარიანცის ნაწარმოების *Ուղեցույց գործնական գինեգործության* „პრაქტიკული მევენეობის გზის მაჩვენებელი“-ს დამოწმებით, საჰ. ამატუნი-ს აღნიშნული აქვს, რომ ᲔᲖᲐᲜᲓᲐᲠᲘ „ფერად შავი, რგვალი და სხვილ-მარცვლიანი, კან-მაგარი, ტკბილი საჭმელი ყურძენი“ იყო *(Հ. բուռ ու բան 173-174)*.

17. ᲐᲚᲩᲐ-ᲧᲐᲠᲐ قره آلچه ე. ი. თეთრ-შავი შამახიისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული, მარცვალი წითელი ჰქონდა. ეს ჯიში შამახიის ჩრდილო ნაწილის თურქთა შორის იყო გავრცელებული და სანახევროდ უკვე გადაშენებული ყოფილა (ყანდურ. V, 26).

18. ᲐᲩᲐᲑᲐᲨ, ანუ ᲮᲐᲩᲐᲑᲐᲨ, რომლის მართლწერა თურქულად ზელინსკით حاچه باش, რაც „ორთავიანად“ (двуглавый) აქვს გადმოთარგმნილი, ერევნის სანახების ეჩმიაძინისა და სურმალის ყ. მაზრებში იყო გავრცელებული, მაგრამ მცირე რაოდენობით. თეთრი, საჭმელი, ჯიში ყოფილა (ანდრონ. VI, 41 და ზელინს. IV, 56). ბალლასის ცნობით მოგრძო მარცვლიანი იყო, მქრთალი მოლურჯო ფერი ჰქონდა და კარგად ინახებოდა (გვ. 253 № 56).

19. ბაღანდი-უზუმ اوزوم باهندی, ე. ი. ბატონის ყურძენი, განჯის სანახებში იყო გავრცელებული. მარცვალი კვერცხებრივი, მუქი მწვანე, ლაქებიანი ჰქონდა (ზ ე ლ ი ნ ს. IV, 57 და ბალლას 182, № 24).

20. ბალაგანი შამახიისა და გოგჩის სანახებში თურქთა შორის იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო, მოგრძო და პურძლენიანი, ჰქონდა,—მარცვალი მოგრძოვე, საშუალო, თხელკანიანი, წითელი, ხორციანი და ტკბილმომჟავო იყო. კარგ საჭმელ, გამძლე ჯიშად ითვლებოდა, სექტემბრის დამლევს მწიფდებოდა (ყანდურ. V, 21—22).

21. ბანდი თეთრი ყურძენი, ნახჭავნის უბანსა და შარურში იყო გავრცელებული (ანდრონ. VI, 42).

22. ბანდენი *բանդենի*-კი შუშისა და ჯებრაილის ყ. მაზრებში მოიპოვებოდა (ზელინს. IV, 58).

23. ბარამი *բարամի* გავრცელებული იყო ორდუბათის უბანში (ზელინს. IV, 57, და ანდრონ. VI, 44).

24. განჯი *Գանջի*, ე. ი. განჯური, ნახჭავნის სანახების ორდუბათისავე უბანში (ზელინს. IV, 57 და ანდრონ. VI, 44).

25. გარან-ტმაქ *ղառան դմակ*, ე. ი. კრავის დუმა მცირე რაოდენობით არარატის სანახებში, სახელდობრ ერევნისა ეჩმიაძინისა, და სურმალის ყ. მაზრებში იყო გავრცელებული. ა თ ა ნ ა ს ი ა ნ ც ზ ე დაყრდნობით, ს ა ჰ. ა მ ა ტ უ ნ ი ს ალნიშნული აქვს, რომ მას რგვალი მარცვალი ჰქონია, ფერად თეთრი და თხელ-კანიანი ხილვინე ყურძნის ჯიშში ყოფილა. ი ვ. ა ნ დ რ ო ნ ა კ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით-კი, საჭმელი ჯიში იყო (ანდრონ. VI, 43 და საჰ. ამატუნი *Հ. բառ ու բան* 125)

26. გარგარი *գարգարի* ნახჭავნის სანახების ორდუბათის უბანში (ზელინს. IV, 57 და ანდრონ. VI, 44).

27. გარნი შირასი گرنی شیرسی ე. ი გარნისის ყურძნის ტკბილი, ანუ მარტივად გარნი, ერევნის ყ. გუბ. მოიპოვებოდა, მაგრამ სიმჟავის გამო ნაკლებ იყო გავრცელებული (ზელინს. IV, 56 და ანდრონ. VI, 43).

28. გვნი ნახჭავნის სანახების ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44).

29. გულაბი, რომელიც სპარსულად ვარდის წყალისას ჰნიშნავს, ნახჭავანში მიღებული სახელი იყო, ხოლო ერევნის ყ. მაზრის მესამე, არდაშარის უბანში ლალიბედან-ად იწოდება, რაც ლალისფერ მარცვლიანის აღმნიშვნელი უნდა იყოს. მართლაც იგი წითელი, სალვინე ყურძნის ჯიში ყოფილა. ნაკლებად იყო თურმე გავრცელებული (ანდრონ. VI, 43). ყუბის ყ. მაზრაშიც იყო გულაბი (ზელინ. IV, 58).

30. ყალანჩი-გულაბი, ე. ი. ყალბი გულაბი-ც არსებობდა ნახჭავანში, რომელსაც მხოლოდ საჭაჭედ ხმარობდენ არყის გამოსახდელად, მაგრამ იქაც მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა (ანდრონ. VI, 43).

31. გეჩი-მამასი იხ. რიშ-ბაბა.

32. გიდავრასტ *գիդավրաստ* შავი ზანგეზურის ყ. მაზრაში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 58 და ბალლასი 183).

33. გილა-ტოკან, ანუ სუთა-მეზა-შლე-კაჩახ ყაზახის სანახებში გავრცელებული, თეთრი, სხვილმარცვლიანი საჭმელი ყურძნის ჯიში იყო (ბალლასი 182 № 21).

34. **გილარჩი** *գիլարչի* ზანგეზურის ყ. მაზრაში შავი ყურძნის ჯიში იყო (ზელინ. IV, 58 და ბალლასი 183 № 10).

35. **გოგეში-მამა** იხ. **რიშ-ბაბა**.

36. **გöკ-უზუმ**, ზელინსკით گوک اوزوم ე. ი. მწვანე-ყურძენი, ბალლასით ნაცრისფერი ყურძენი, განჯის სანახებში იყო გავრცელებული. მას უაღრესად კუმსი და ხშირ-მარცვალა მტევნები ჰქონდა, თეთრი იყო და საუკეთესო სადვინე ჯიში ყოფილა (ზელინ. IV, 57 და ბალლასი 182 № 13).

37. **დევე-გöზი** دوه گوزی deve gözi, ე. ი. აქლემის-თვალა, შამახიისა და გოგჩის სანახებშიცა და ყაზახის, შუშისა და ჯებრაილის სანახებშიც იყო. მტევანი მას პატარა, პირამიდებრივი, ძალზე ბურძლენიანი და მეჩხარი ჰქონდა,— მარცვალი ძალზე სხვილი და რგვალი, თხელკანიანი, სქელ-წვენიანი და ტკბილ-მომჟავო იცოდა. დევე-გöზის, როგორც ყვითელ-მომწვანო, ისევე წითელი სახესხვაობაც არსებობდა. ყაზახის სანახებში ყვითელი იყო გავრცელებული. გევევსკისა და შარრერის დახასიათებით დევე-გöზი მცირე-მოსავლიანი ჯიში იყო. საჭმელ ყურძნად ითვლებოდა. გავრცელებული სომხებსაცა და თურქებ შორისაც ყოფილა (გევევ. და შარ. 817,—ზელინ. IV 57—58 და ყანდურ. V, 24).

38. **დანადაშაგ**, ანუ **აგრი** შამახიისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი დიდი და მეჩხარი იცის, ხშირად ორ მოკლე განტოლებიანია ხოლმე. მარცვალი ძალიან სხვილი, მომწვანო-ყვითელი, კვერცხებრივი, სქელკანიანი და სქელხორციანი, მომჟავ-მოტკბილოა. შუა ენკენისთვეს მწიფდება, საშუალო მოსავალი იცის, საჭმელი ჯიშია. მცირე რაოდენობით თურქებსა და სომხებს შორის იყო გავრცელებული. ყანდურალოვის თარგმანით, **დანადაშაგ**, ანუ **აგრი** ვითომც მძიმეს უნდა ჰნიშნავდეს (СбСвВгВдК V, 24—25). ზელინსკისა და ბალლასს მის სახელად **დანა-ტაშაღი** دانه تاشاغی (ზელინსკით) აქვს მოყვანილი. უკანასკნელს ფრჩხილებში ჩაწერილი აქვს „ხბოს ყვერი“ („Тельячи яйца“: IV, 58 და ბალლასი გვ. 183). ბალლასისათვის ამ ყურძნის ჯიშის სახელი სწორედ გადაუთარგმნიათ, რათგან ეს თურქული სახელი ორი სიტყვისაგან შედგება: **დანა** دانا dana ხბოს ეწოდება, ხოლო **ტაშაქ** طاشاق tašak ყვერს. ამნაირად **დანატაშაყი** მნიშვნელობით ხბოს-ყვერა-ს უდრის. ეს სახელი ამ ჯიშის ყურძნის სხვილმარცვლიანობის გამომხატველია.

სრული ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, ამ ჯიშის მეორე სახელი **აგრი** ცხენის ნაბდიანი საოფლის აღმნიშვნელ თურქულ **იგრე** اكره igre-სთან არის დაკავშირებული, თუ მოხრილისა და მრუდეს აღმნიშვნელ თურქულსავე სიტყვასთან **ეგრი** اكرى egri, igri? თუ ამ ჯიშს ბუსუსიანი ფოთოლი აქვს, პირველი ეტიმოლოგია სრულებით შესაფერისი იქმნებოდა მისთვის.

39. **დიზმარი**, ანუ **ეზანდარი**, ანუ **ალა-გერმäზ** იხ. **ალა-გერმäზ**

40. **ტöლბანდ**, ზელინსკით *տոլբանդ*, რომელიც სპარსული دلبند დჳლბანდ-ის, ანუ მდაბიო გამოთქმით ტჳლბანდ-ის შესატყვისობა უნდა იყოს და მაშასადამე დოლბანდს, სპარსეთ-არაბეთ-ოსმალეთში გავრცელებულს მამაკაცთა რგვალ თავსაბურავს ჰნიშნავდეს. ზელინსკის ცნობით, ტოლბანდი ერევნის ყ. გუბ.-ში ყოფილა გავრცელებული ერევნისა, ეჩმიაძინისა და ხურმალის

სანახებში. ანდრონიკაშვილის სიტყვით, ვალარშაპატის ᲓᲝᲚᲒᲐᲜᲓᲘ იგივე ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ-ა. თეთრი ყურძენი ყოფილა, საჭმელ ჯიშად ითვლებოდა, მაგრამ საღვინედაც ხმარობდენ. იგი ყველგან ყოფილა (ზელინ. IV, 56 და ანდრონ. VI, 41).

41. ᲓᲠᲣᲖᲐ-ᲒᲔᲖᲘ („дрюза-гези") ერევნის სანახებში იყო თეთრი, ხოლო ორდუბათში მისი წითელი სახესვაობაც არსებობდა (ანდრონ. VI, 42 და ბალლასი 252, № 40).

42. ᲓᲣᲖᲐᲚᲘ *դուզալի* წითელი ორდუბათში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 43 და 44).

43. ᲔᲖᲐᲜ-ᲐᲩᲥ *եզան-աչք*, ე. ი. ხარისთვალა, ათანასიანცისა და შაჰნაზარიანცის ცნობებზე დაყრდნობით, საჰ. ამატუნის აღნიშნული აქვს, რომ ხარისთვალას რგვალი და სხივილი, ფერად შავი მარცვლები ჰქონდა, თანაც სქელკანიანი და ტკბილი ყურძნის ჯიში იყო. არარატის სანახებში ყოფილა გავრცელებული. ანდრონიკაშვილის სიტყვით, საჭმელი ჯიში იყო და ნაკლებ ყოფილა გავრცელებული (ზელინ. IV, 56,—ანდრონ. VI, 43 და საჰ. ამატუნი *Հ. բառ ու բան* 173).

44. ᲔᲖᲐᲜᲓᲐᲠᲘ, ანუ ᲓᲘᲖᲛᲐᲠᲘ, ანუ ᲐᲚ-ᲒᲔᲠᲛᲐ̈Ზ იხ. ᲐᲚᲐ-ᲒᲔᲠᲛᲐ̈Ზ.

45. ᲔᲠᲙᲔᲙ-ᲧᲣᲘᲠᲣᲦᲘ قویروقی ارکك ანდა قویروغی ارکك, ე. ი. ნეზვის დუმა გავრცელებული იყო ერევნისა, ეჩმიაძინისა და ხურმალის სანახებში (ზელინ. IV, 50 და ანდრონ. VI, 44).

46. ᲕᲘᲠᲔᲜᲘ *վիրենի*, ე. ი. ქართული გავრცელებული იყო ყარაბახში, შუშისა და ჯებრაილის ყ. მაზრებში. შაჰნაზარიანცის აღწერილობით, მას მარცვალი შავი, საშუალო სიდიდისა და რგვალი ჰქონდა და თხელკანიანი ყურძენი იყო (საჰ. ამატუნი *Հ. բառ ու բան* 610.—ზელინსკის IV, 58 და ბალლას 183 სახელის მეტი არაფერი აქვთ).

47. ᲗᲐᲕᲙᲕᲔᲠᲘ ქართლითგან გავრცელებული განჯის სანახებში (ბალლას 182—183).

48. ᲗᲐᲑᲐᲠᲖᲐ تبرزه (ზელენსკისა და ანდრონიკაშვილს რუს. табарза ტაბარზა აქვთ დაბეჭდილი) ნახჭავნის უბანში გავრცელებული თეთრი, ხაჭმელი ყურძნის ჯიში იყო (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 42). تبرزد თუბარზად, ანუ تبرزه თაბარზაჰ სპარსულად თეთრი შაქრის ყანდს, თეთრს მყინვარ შაქარსა ჰნიშნავს და ამას გარდა სპარსეთის ადერბეიჯანში გავრცელებული მეტად სქელკანიანი ყურძნის ჯიშის სახელიც არის (Zenker Türk-arab-pers. W.). ნახჭავნური ᲗᲐᲑᲐᲠᲖᲐ-ც სწორედ თეთრი ყურძენი იყო.

49. ᲗᲐᲕᲠᲘᲖᲘ تبریزی, ანუ ᲗᲐᲕᲠᲘᲖ, ᲗᲐᲕᲠᲘᲖᲔᲣᲘ, ᲗᲐᲕᲠᲘᲖᲘ *Թաւրիզ Թաւրիզենի*, განჯისა, შუშისა და ჯებრაილის სანახებში გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო. ზელინსკის (IV, 57—58) სახელის მეტი არაფერი აქვს. მარცვალი მას თეთრი (აჭარიანით), ანუ ყვითელ-მომწვანო (ბალლასით), სხვილი, კვერცხებრივი (*ձուաձեւ* აჭარიანით), თუ ჩამოგრძელებული („продолговатыя" ბალლასით) გააჩნია. აჭარიანი კარგ საღვინე ჯიშად სთვლის, ბალლას-კი აღნიშნული აქვს, რომ უმთავრესად საჭმელ ყურძნად ფასობს ტფილისშიც და ამის გამო ძალიან ყოფილა განჯის თურქთა ვენახებში გავრცელებული. მცირე რაოდენობით ყაზახშიც მოიპოვებაო (აჭარიანის *Հ. գաւառ. բառարան*

353.—ბ ა ლ ლ ა ს 182—183). მისი სახელი თურქულ-სპარსულად და სომხურად თავრიზულსა ჰნიშნავს, თეთრი სხვილი და კვერცხებრივი მარცვალიანი, საღვინე ყურძნის ჯიში იყო (ზელინ. IV, 57 და 58 და აჰარიანის *Հ. գաւառ. բառարան* 353).

50. ᲗᲐᲛᲑᲔᲮᲘ (ზელენსკის: тамбехи تمبيخى IV, 57, — ანდრონიკაშვილს ერთხელ тамбеги, მეორეჯერ тамбехи: VI, 44) ნახჭავნისა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში იყო გავრცელებული, შავი ყურძნის ჯიში ყოფილა (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44). არც ამატუნისა და აჰარიანს მოეპოვებათ. ზელინისკისაგან მოყვანილი არაბული დამწერლობით ამ ყურძნის სახელის მართლწერაც ძალზე საეჭვოა. ამ ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა, მისი სახელწოდების გამორკვევას შეუძლებლად ხდის.

51. ᲗᲔᲕᲐᲜᲘ *Թեւանի* დასახელებული აქვთ ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს ა (IV, 57) და ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ს (VI, 44) ორდუბათის უბანში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა სიაში, მაგრამ, სახელს გარდა, არა მოეპოვებათ რა. *Թեւանի* ᲗᲔᲕᲐᲜᲘ შუშის დიალექტში ფრთიანსა ჰნიშნავს (აჰარიანის *Հ. գաւառ. բառ.* 361), მაგრამ, აღწერილობის უქონლობის გამო, არ ვიცით, ბურძლენიანი მტევანი ჰქონდა, თუ არა, რომ ამ ჯიშის სახელის ამნაირად გააზრიანება დამაჯერებელი იყოს.

52. ᲗᲝᲤᲐᲚᲔᲜᲘ *Թոփալենի* (ასე აქვს ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს, რომელსაც იქვე რუს. თარგმანიც круглый რგვალი აქვს დართული) შუშა-ჯებრაილის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაშია შეტანილი (IV, 58). სამწუხაროდ ამ ყურძნის ჯიშის შესახებ არავითარი ცნობა, სახელს გარდა, არ მოგვეპოვება. რგვალის აღმნიშვნელი ᲗᲝᲤᲐᲚᲔᲜᲘ-ს მსგავსი სიტყვა სომხურად არ არსებობს. *Թոփալ* ᲗᲝᲤᲐᲚ სომხ. კოჭლსა ჰნიშნავს და ესეც თურქული სიტყვაა, ყურძნისათვისაც სრულებით შეუფერებელია.

53. ᲗᲕᲚᲙᲘ-ᲧᲣᲘᲠᲣᲦᲘ تولكى قويروغى (თურქ. მელიის კუდისას ჰნიშნავს) გავრცელებული იყო ერევნისა, ეჩმიაძინისა და სურმალის ისევე, როგორც შამახიისა და გოგჩის სანახებში, მაგრამ მცირე რაოდენობით. თეთრი და თანაც საღვინე ყურძენი იყო (ზელინ. IV, 56 და 58,—ანდრონ. VI, 42).

54. ᲘᲬᲐᲞᲢᲣᲙ *Իծապտուկ* არარატის სანახებში, ხოლო მუშში ᲔᲬᲣ-ᲞᲢᲣᲙ-ს *Էծու պտուկ*-ს უწოდებდენ. ორივე თხის ჯიქანსა ჰნიშნავს. მისი ორი, თეთრი და წითელი, სახესხვაობა არსებობდა. მარცვალი სხვილი და მოგრძო, თხელკანიანი და ტკბილი ჰქონდა,—საჭმელი ყურძნის ჯიში იყო. ა თ ა ნ ა ს ი ა ნ ც ი ს განმარტებით ამ ყურძენს ასეთი სახელი იმიტომ სწოდებია, რომ მისი მარცვალი მოგრძოა და მოყვანილობით თხის ჯიქანს მიაგავს. ამ ავტორის დახასიათებით საკმაოდ ტკბილი და წვენიანი ყურძენი ყოფილა. მას რიზი-ბაბა-საც ეძახიან (ზ ე ლ ი ნ. IV, 56,—ს ა ჰ. ა მ ა ტ უ ნ ი *Հ. բառ ու բան* 232 და ანდრონ. VI, 41). იხ. აგრეთვე ᲠᲘᲖ-ᲑᲐᲑᲐ.

55. ᲙᲐᲚᲘᲙᲝᲨᲐ, ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით, ქამარლუში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიში იყო, რომლის სახელიც თხელ კანიანის („тонкожий") აღმნიშვნელიაო (VI, 42).

ეს სახელი ერევნის სანახების ყურძნის ჯიშის ᲮᲝᲖᲐᲙᲐᲨᲘ-ს *խոզակաշի*-ს სახელწოდებას მიაგავს, რომელიც სომხურად ღორის-ტყავა-სა ჰნიშნავს. რაკი ანდრონიკაშვილისათვის ᲙᲐᲚᲘᲙᲝᲨᲐ-ს სახელი თხელკანიან-ად გადმოუთარგმ-

ნიათ, ცხადია, რომ ამ სახელწოდებაში კანის, ანუ ტყავის ცნების გამომხატველი **ქოლშა** უნდა იყოს. თუ აქ დამახინჯებასთან არა გვაქვს საქმე, სწორ **ქაში**-ს მაგიერ, მაშინ ეს ეგების ამ სიტყვის დიალექტური ფორმა იყოს, თუმცა არც ამატუნისა და არც აჭარიანს თავიანთ ვრცელს სომხ. დიალექტ. ლექსიკონებში არ მოეპოვებათ, რაც ამ მოსაზრებას საეჭვოდ ხდის.

რაკი „კალიკოშა"-ს მეორე ნაწილი ტყავის აღმნიშვნელი გამოდგა, ამიტომ თხელის აღმნიშვნელი ამ სიტყვის პირველი ნაწილი **ქალი** უნდა იყოს. მაგრამ სომხურად ამ სიტყვას თხელის მნიშვნელობა არც სამწერლობო ენაში და არც დიალექტებში აქვს. ამიტომ იბადება აზრი, რომ აქ შესაძლებელია ისეთ სახელთანა და ტერმინთან გვქონდეს საქმე, როგორიცაა **ხოზაქაში**, რომელიც სომხურად სიტყვა-სიტყვით „ღორისტყავა"-ს ჰნიშნავს, მაგრამ არსებითად ამ ყურძნის ჯიშის სქელკანიანობის გამომხატველია. შესაძლებელია, **ხოზაქაში**-ს მსგავსად, **ქალიქოშა**-ს, ანუ საგულვებელი **ქალიქაში**-ს პირველი ნაწილი **ქალი** აგრეთვე სიტყვა-სიტყვით ცხოველის სახელი იყოს და იმავე დროს კანის, ანუ ტყავის სითხელის გამომხატველად იყოს ნახმარი. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ამ სახელს თვისტომი მოეძებნება. ვანისა და მუშის სომხ. დიალექტებში *կալ* **ქალ**, ხოლო კნინობითი *կալեկ* **ქალეკ** არარატის, აპარანის, შირაკისა და მუშის დიალექტებში სამი წლის მამალ ხბოსა ჰნიშნავს (ს. ამატუნისა და აჭარიანის სომხ. დიალექტ. ლექს. 328 და 537). ამნაირად ამ ყურძნის ჯიშის სახელი სიტყვა-სიტყვით ხბოს-ტყავა იქმნება, მაგრამ არსებითად თხელ-კანიანსა ჰნიშნავს.

56. **ქანაჩქენი** *կանաչկենի*, რომელიც სომხურად მწვანესა ჰნიშნავს, არარატის სანახებში, ვაღარშაპატის მიდამოებში მიღებული სახელი იყო. იქვე მას **ხარჯი**-ც ეწოდებოდა, რომელიც არაბ.-სპარს. სახელი خرجی არის და სახარჯავსა ჰნიშნავს. ნახჭავანსა, ალიაბადსა და სხვაგანაც **ქატში-აჩქ**-ს *կատուի աչք*-ს ეძახიანო. ანდრონიკაშვილის ცნობით, ყველგან ბლომად ყოფილა გავრცელებული და საუკეთესო საღვინე ჯიშად ითვლებოდა თურმე. მისი შავი სახესხვაობაც არსებობსო (ანდრონ. VI, 40).

თუმცა ზელინსკის ჩვეულებისამებრ სახელს გარდა არაფერი აქვს, მაგრამ **ქანანჩენი** (sic), **ხარჯი** და **ქატვი-აჩქ** მას არამც თუ სინონიმებად არა აქვს დასახელებული, არამედ თვითეული მათგანი სულ სხვადასხვა ადგილ-სანახების ყურძნის ჯიშების სიებში აქვს მოქცეული: **ქანანჩენი** შუშისა და ჯებრაილის სანახებისაში, **ხარჯი** ერევნის, ეჩმიაძინისა და სურმალისაში, ხოლო **ქატვი-აჩქ**, ანუ კატის-თვალა ნახჭავნისა და შარურ-დარალაგიოზისა, ორდუბათის უბნისა და შუშა-ჯებრაილისაში, სადაც **ქატვენი** *կատուենի*, ე. ი. **ქატისა** არის დასახელებული, ე. ი. ამ ყურძნის სახელწოდების მხოლოდ პირველი ნაწილია, **თვალი**-კი გამოტოვებულია (ზელინ. IV, 56, 57 და 58). უნდა ითქვას, რომ **ქანაჩქენი**-ს ანუ **მწვანე**-ს, ის აღწერილობაც, რომელიც შაჰნაზარიანცს მოეპოვება და თვით ანდრონიკაშვილის ცნობაც ამ ჯიშის მაღალი ღირსების შესახებ **ქანაჩქენის** (**მწვანის**), **ხარჯისა** და **ქატვი-აჩქ**-ის, ანუ **ქატის-თვალას** იგივეობას მეტად საეჭვოდ ხდის.

შაჰნაზარიანცის აღწერილობით **ქანაჩქენი**-ს, ანუ **მწვანეს** მარცვალი სქელი და რგვალი, ფერად მწვანე ჰქონია და თხელკანიანი და განსაკუთრებით საღვინე ყურძნის ჯიში ყოფილა (საჰ. ანატუნის ჰ. *բառ ու բան* 328 და აჭარიანის ჰ. *գավառ. բառ.* 546). საეჭვოა მაღალღირსებიანი საღვინე ყურძენი

ხახარჯულდ ექციათ და **ხარჯი** ეწოდებინათ, ისევე, როგორ **ქატვი-აჩქ**, **კატის-თვალა** ამ ყურძნის ჯიშს წვრილ-მარცვლიან ყურძნად გვაგულისხმებინებს, რაც **ქაჩანჩენი**-ს აღწერილობას არც შეეფერება და არც აღნიშნულია. ამის გამო ანდრონიკაშვილის ცნობას მათ იგივეობაზე შემოწმება სჭირდება.

57. **ქაპუტქენი** *կապուտկենի*-ს შესახებ, რომელიც სომხურად **ლურჯსა** და **მოლურჯოსა** ჰნიშნავს, ზელინსკისა და ანდრონიკაშვილს მხოლოდ ის აქვთ აღნიშნული, რომ **ნახჭავანსა** და **შარურ-დარალაგიოზის** სანახებში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44). ბალლასიც ამასვე იმეორებს (გვ. 253) შაჰნაზარიანცის ცნობით მას **მარცვალი ლურჯი**, დიდი და გრძელი, სხეილკანიანი ჰქონდა და **სალვინე** ჯიში იყო (ს. ამატუნის და აჰარიანის სომხ. დიალექტ. ლექს. 331 და 552).

58. **ქარჩემა**, ანდრონიკაშვილის სიტყვით, **შავი** ყურძენი იყო და **ხ. არდაშარსა** და **მის მიდამოებში** ყოფილა გავრცელებული (VI, 44).

59. **ქარმრენი** *կարմրենի*, რაც სომხურად წითელსა ჰნიშნავს, ყანდურალოვის ცნობით **შამახიის** სანახებში ყოფილა გავრცელებული. **მტევანი** წოწოლა, ბურძღენიანი და მეჩხარი,—**მარცვალი** სხვილი, რგვალი, თხელკანიანი, **წითელი**, **ხორციანი**, ტკბილ-მომჟავო ჰქონდა. კარგი **საჭმელი** და **შესანახი** ყურძნის ჯიში ყოფილა. **ნაყოფიერი** იყო და ენკენისთვის **დამდეგს** მწიფდებოდა. ამავე ავტორის სიტყვით **იქაური თურქები** ამ ყურძენს **ყიზილ-უზუმ**-ს უწოდებენ (V, 20). მართლაც **ყიზილ-უზუმ** قزل اوزوم თურქულად **წითელ-ყურძენს** ჰნიშნავდა და ჰნიშნავს ეხლაც.

გეევსკისა და შარრერს **ყიზილ-იზუმ**-ის მეორე სახელწოდებაც აქვთ მოყვანილი **ყირმიზი იზუმ**, ე. ი. **ყირმიზი**-ს, ანუ **წითელი ყურძენი** (გვ. 818), გავრცელებული იყო **გოგჩის ყ. მაზრის ბარგუშეთის** უბანში.

შაჰნაზარიანცის ცნობით, **ქარმრენი**, ანუ **წითელი ყარაბაღში** იყო გავრცელებული. **მარცვალი** მას მოგრძო, ანდა კვერცხებრივი, საშუალო სიდიდის, თხელკანიანი, **წითელი** ჰქონდა,—**საჭმელიცა** და **სალვინე** ყურძნის ჯიშიც იყო (საჰ. ამატუნისა და აჰარიანის სომხ. დიალექტ. ლექსიკონები).

60. **ქატვი-აჩქ** *կատու աչք*, ე. ი. **ქატის-თვალა** გავრცელებული იყო **ნახჭავნისა**, **შარურ-დარალაგიოზისა** და **ორდუბათის** ისევე, როგორც **ზანგეზურის** სანახებში. **შუშა-ჯებრაილის** სანახებში ამ ყურძნის ჯიშის სახელად **ქატვენი** *կատուենի*, ე. ი. **კატისა** ანუ **კატური** უხმარიათ (ზელინ. IV, 56, 57 და 58).

ნახჭავანში ქატვი-აჩქ-ს **კატის-თვალას**, თურმე **მარცვალი** წვრილი ჰქონია, რაც მის სახელწოდებას შეეფერება კიდევაც, კანი თხელი და **მწვანე**,— განსაკუთრებით სალვინე ჯიში ყოფილა (აჰარიანის სომხ. დიალექტ. ლექს. 554).

61. **ქატვენი**, ანუ **კატური**, შაჰნაზარიანცის ცნობით, **ყარაბაღში** იყო გავრცელებული,—**მარცვალი** **ნაცრისფერი**, წვრილი, რგვალი, სქელკანიანი ჰქონია და **სალვინე** ყურძენი ყოფილა (საჰ. ამატუნის სომხ. დიალექტ. ლექს. 333).

კატის-თვალა-ს და **კატური**-ს ზემომოყვანილი ორი აღწერილობა ადამიანს დაარწმუნებს, რომ შესაძლებელია აქ ერთიდაიგივე ჯიშის ყურძნები არც იყოს, არამედ, ან ორი სახესხვაობა, ანდა სხვადასხვა ჯიში.

62. **კახეთუ** *Կախեթու* (ასე აქვს ზელინსკის), ანუ **კახეთ** *Կախեթ*, როგორც ა ჭ ა რ ი ა ნ ს აქვს ჩაწერილი, ნახჭავნის სანახების ორდუბათის უბანსა და განჯის სანახებში გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო, რომელსაც, უკანასკნელი ავტორის ცნობით, მარცვალი შავი, თხელკანიანი ჰქონდა. კახეთითგან მოტანილი საღვინე ყურძნის ჯიშიაო (აჭარიანის სომხ. დიალექტ. ლექს. 539).

63. **კრეკ** *կռեկ* განჯის სანახებში გავრცელებული, რგვალ-მარცვლიანი შავი ყურძნის ჯიში იყო, რომლისგანაც ღვინის საღებავს ამზადებენო (აჭარიანის სომხ. დიალექტ. ლექს. 612).

64. **კრწკენი** *կրճկենի*, შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ც ი ს სიტყვით, განჯის სანახებში გავრცელებული ყურძნის ჯიში ყოფილა. მარცვალი მას რგვალი, სქელი და კან-მაგარი, ფერად თეთრი ჰქონია. საჭმელ ყურძნად ითვლებოდა (ს ა ჰ. ა მ ა ტ უ ნ ი ს ა და ა ჭ ა რ ი ა ნ ი ს სომხ. დიალექტ. ლექს.). საფიქრებელია, რომ ამ ყურძნის ეს სომხური სახელწოდება ხრაშა-ხრუშის აღმნიშვნელ **კრჭკრჭან** *կրճկրճան*-თან უნდა იყოს დაკავშირებული და ამ ყურძნის სქელ და მაგარკანიანობის გამო უნდა დაჰრქმეოდა.

65. **ლალიბედან**, ანუ **გულაბი** იხ. **გულაბი**.

66. **ლაკენი** *լակենի* (ზელინსკით) განჯის სანახებში, ანუ **ლკენი** *լկենի* (მელიქ-შაჰნაზარიანცით და ზელინსკითაც) ყარაბაღში, შუშა-ჯებრაილის სანახებში, გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო, რომელსაც მარცვალი საშუალოდ რგვალი, თხელკანიანი, ფერად შავი ჰქონია. საღვინე ჯიში ყოფილა (ზ ე ლ ი ნ - ს კ ი IV, 57 და 58 და ს ა ჰ. ა მ ა ტ უ ნ ი ს და ა ჭ ა რ ი ა ნ ი ს სომხ. დიალექტ. ლ-ები). მისი სახელი, როგორც ეტყობა, დათრობის აღმნიშვნელ *լակել* ლაკელ და *լկել* ლკელ ზმნასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ალბათ მისი ღვინის შემპარაობის გამო.

67. **ლცკენი** *լցկենի*, რომელიც, ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს ცნობით, განჯის სანახებში იყო გავრცელებული (IV, 57). მისი თვისებების აღწერილობის უქონლობა ამ სახელის მნიშვნელობის გამორკვევას აფერხებს, სახელდობრ დაკავშირებულია იგი მისი ღვინის სიცხარის გამო, ასანთის სახელ **ლუცკი** *լուցկի*-სთან, თუ აქ მისი სხვა რომელიმე თვისებაა გამომჟღავნებული.

68. **მალაჰი** *մալահի* ზ ე ლ ი ნ ს კ ი თ ნახჭავნისა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში იყო გავრცელებული. არც ამატუნისა და არც აჭარიანს, არც სხვებს არ მოეპოვებათ. ბ ა ლ ლ ა ს ს დასახელებული აქვს **სევ-მალაღი** („сев-малаги"), რაც სომხ. შავ-მალაღი-სა ჰნიშნავს, და მისი ცნობითაც ეს ყურძენი შავი ყოფილა. გავრცელებული იყო დარალაგიოზში, არდაშარში, ნახჭავანში და ორდუბათში. მისგან თურმე მეტად დაბალხარისხოვანი ღვინო დგებოდა (ბ ა ლ ლ ა ს 251, № 19).

69. **მარანდაჲ** *մարանդայ*, ყარაბაღში, შამახიისაა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მოვარდისფეროა, მარცვალი სხვილი, რგვალი დი სხვილკანიანი აქვს. საჭმელი ყურძნის ჯიშია, მაგრამ შესანახადაც კარგია, გადატან-გადაზიდვასა და ზამთარსაც კარგად უძლებს (გეევ. და შარ. 818.—ყანდურ. V, 21,—მელიქ-შაჰნაზარიანცი: საჰ. ამატუნისა და აჭარიანის სომხ. დიალექტ. ლ-ები). ორდუბათში მას **მარანდი** ეწოდებაო (ანდრონ. VI, 44) ისევე, როგორც შუშა-ჯებრაილის სანახებშიც (ზელინ. IV, 58). ბ ა ლ ლ ა ს ს **სევ-მარანდი** და **ბოზ-მარანდი**-ც აქვს დასახელებული განჯის სანახების ყაზახის

უბანში, ვითარცა მცირე რაოდენობით გავრცელებული წითელის სახესხვაობანი (გვ. 181, № 4—6). პირველი სომხურად შავ მარანდულს, მეორე თურქულად ცისფერ-მონაცრისფერო მარანდულსა ჰნიშნავს.

70. **მარანტკენი**, ე. ი. მარანდული, რომელსაც მარცვალი საშუალო სიდიდისა, წითელი ჰქონია და რომელიც ყაზახში ყოფილა მცირე რაოდენობით გავრცელებული (ბალლას 181).

71. **მარმარი** *մարմար*, ე. ი. მარმარილოებრივი, ზელინსკით ნახჭავნისა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში მოიპოვებოდა (IV, 57).

72. **მისხალი** مثقال ზელინსკით, ერევნისა, ნახჭავნისა, შარურ-დარალაგიოზისა და ორდუბათის სანახებში იყო გავრცელებული. ანდრონიკაშვილის სიტყვით, მისი შავი სახესხვაობა მცირე რაოდენობით ერევნის ყ. მაზრაში მოიპოვებოდა. მაგრამ არსებობდა მისი თეთრი სახესხვაობაც, რომელსაც ვალარშაპატში ღოლბანდი-ც ეწოდებოდაო. იგი საჭმელი ყურძენი იყო, მაგრამ ხალვინედაც ხმარობდენ (ზელინ. IV, 56 და ანდრონ. VI, 40, 41 და 44). ზელენსკის კი ტიოლბანდ *տեօլբանդ* მისხალი-საგან განსხვავებულ ყურძნის ჯიშად აქვს დასახელებული (IV, 56). ამატუნისა და აჭარიანს არც ერთი მათგანი არ მოეპოვებათ.

73. **მელინქუტ** *մելինկուտ* ზელინსკის დასახელებული აქვს ზანგეზურის ყურძნის ჯიშთა სიაში. ბალლასით თეთრი ყურძენი იყო და მეღრის უბანში მოიპოვებოდა (IV, 58 და ბალ. 183, № 4).

74. **მოლლა-მაჰმადი** ერევნის სანახებში იყო. მარცვალი სხვილი, გრძელი, გვერდ-წითელი, სურნელოვანი, ხორციანი და ძალზე ტკბილი ჰქონდა (გეევ. და შარ. 852).

75. **მოლლა-ახმედი** ორდუბათში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიში ყოფილა (ანდრონ. VI, 42).

76. **მური** *մուր* (ასე აქვს ზელინსკის და აჭარიანს), **მური ხაღოღ** *մուր խաղող* (ამატუნის), ე. ი. მარწყვი, ანუ ჟოლო, ჟოლო ყურძენი ერევნის სანახებში, ს. ვალარშაპატში იყო გავრცელებული. მტევანი კუმსი, მარცვალი წვრილი და შავი აქვს (ასეა ანდრონიკაშვილის აღწერილობაში) და წითელი, რაც მისი სახელისდა მიხედვით მოსალოდნელია. მაგრამ საჰ. ამატუნის, მელიქ-შაჰნაზარიანცის დამოწმებით, ნათქვამი აქვს, რომ თეთრიაო („*սպիտակ*") და თხელკანიანი. ხალვინე ყურძნად ითვლებოდა, ანდრონიკაშვილის მოწმობით საუკეთესო ხალვინე ჯიში იყო (ზელინ. IV, 56,— ანდრონ. VI, 44 და საჰ. ამატუნის და აჭარიანის სომხ. დიალ. ლ-ები).

77. **ნანამ-ბუზი** ننه بوزی შამახიის და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული, მარცვალი რგვალი და შავი ჰქონდა (გეევ. და შარ. 818 და ზელინ. IV, 58).

78. **ნანამ-კზუმი** ننم اوزوم ე. ი. დედა-ჩემის ყურძენი, შუშისა და ჯებრაილის სანახებში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 58).

79. **ნახშაბი** نخشب, ე. ი ნახშაბური (ნახშაბი თურქესტანის ცნობილი გეოგრ. ადგილის სახელი იყო) ერევნის სანახებსა და ორდუბათის უბანში იყო გავცელებული, მარცვალი სხვილი, რგვალი, წითელი, ხორციანი ჰქონდა,—

ენკენისთვეში მწიფდებოდა, მოსავლიანი ყურძნის ჯიში იყო (გეევ. და შარ. 851 და ანდრონ. VI, 43).

80. **ნოვრასტ**, გეევსკისა და შარრერის თარგმანით, ადრეულის აღმნიშვნელ نورست, ანუ **ჰუსეინი** ნახჭავნის სანახების ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული. მარცვალი საშუალო, კვერცხებრივი, თეთრი და ხორციანი ჰქონდა. შუა ივლისში მწიფდებოდა (გეევ. და შარ. 851 და ანდრონ. VI, 44).

81. **ორდუცი** ერევნის სანახებში, ს. ვაღარშაპატში იყო გავრცელებული. მისი ორი სახესხვაობა არსებობდა: წითელი და თეთრი. წითელი ორდუცი თურმე სჯარბობდა (ანდრონ. VI, 42 და 43). ზელინსკის ორდუცი არ მოეპოვება, მაგრამ სამაგიეროდ ერევნის, ეჩმიაძინის და სურმალის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში შეტანილი აქვს **ურდუსი** *ուրդուսի*, ჩვეულებისამებრ ფერის და სხვა ნიშნების აღუნიშნავად (IV, 56). ხოლო ნახჭავნისა და შარურ-დარალაგიოზის ჯიშთა სიაში მასვე **ორდუბათი** اردوبادی აქვს დასახელებული და იქვე რუსულადაც ნათარგმნია ორდუბათული-ო (ордубатский: IV, 57).

ორდუბათი რომ სწორედ ორდუბათულსა ჰნიშნავს თურქულად, ეს მართალია, მაგრამ **ორდუცი** საფიქრებელია ორდუბათულსვე უნდა ჰნიშნავდეს, მხოლოდ თურქულად-კი არა, არამედ უკვე სომხურად. **ურდუსი** თავის მხრივ, ან უკანასკნელის ფონეტიკურ სახესხვაობას, ან თურქულ-სპარსული გამოთქმით იგივე სახელი უნდა იყოს. სამწუხაროდ ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტას აძნელებს.

82. **ჲაღუბი** *եաղուբի* ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44).

ჲალანჩი-გულა̈ბი იხ. **გულა̈ბი**

83. **ჲეზდი** ერევნის სანანებში ყოფილა გავრცელებული. მარცვალი სხვილი, რგვალი, ღია ყვითელი, ხორციანი და ტკბილი ჰქონია (გეევ. და შარ. 852). ამ ყურძნის სახელი სპარსულად ჲეზდურსა ჰნიშნავს. ჲეზდი ჩრდილო სპარსეთის ცნობილი ქალაქი იყო.

84. **ჲეზიდი** *եզիդի* ერევნის სანახების ნახჭავნის ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული. თეთრი ყურძენი ყოფილა (ანდრონ. VI, 44 და ზელინ. IV, 57). ზელინსკის მიერ არის ეს სახელი სომხურად მოყვანილი და იქვე რუს. ნათარგმნი აქვს ჲეზიდური-ს (езидский). რაკი **ჲეზდი**-ც და **ჲეზიდი**-ც მოყვითანო, თეთრი იყო და ორივე ერევნის სანახებში იყო და ჲეზიდური მევენახეობის შესახებ არსად არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, ამიტომ იბადება საკითხი, **ჲეზიდი** ხომ იმავე ჲეზდი-ს, ან დამახინჯების, ან უკვე გაუგებარი სახელის მერმინდელი ხალხური გააზრიანების შედეგი არ არის?

85. **პინდენი** *պինդինի* ზელინსკის აქვს ფერისა და სხვა რაიმე თვისების აღუნიშნავად შუშისა და ჯებრაილის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში დასახელებული (IV, 58). **პინდ** *պինդ* სომხურად მაგარსა და მკვრივსა ჰნიშნავს და, როგორც ეტყობა, ამ ყურძნის ჯიშის სწორედ ასეთი თვისების გამომხატველი სომხური ზედსართავი სახელი უნდა იყოს. ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობის გამო, გამოურკვეველი გვრჩება, ყურძნის ყუნწის, კანისა, თუ ხორცის სიმაგრე, ან სიმკვრივე ჰქონდა სომეხ მევენახეს ნაგულისხმევი, როდესაც ამ ჯიშს ასეთ სახელს არქმევდა.

86. **რაზყი**, ანუ **რაზკი**, არაბულად **რაზაკი** رازقی (ზელინსკის დაბეჭდილი აქვს „разги رزگی) **ნახჭავნისა და შარურ-დარალაგიოზის** სანახებების ყურძნის ჯიშთა სიაში აქვს შეტანილი (IV, 57). ანდრონიკაშვილის სიტყვით, ეს ყურძენი კიდევ **ალდარა**-დ და **ტაიფი** დაც იწოდება (VI, 42). **მომწვანო-თეთრი** ფერი აქვს. მისი მოკლე აღწერილობა აქვე **ტაიფი**-ს ქვეშ იხილე. გეევსკისა და შარრერს და ზელინსკის ამ სახელის იგივეობაზე არაფერი აქვთ ნათქვამი.

რაზაკი-კი **არაბულად** სუსტსა და შეუძლებელსაც ჰნიშნავს და **მოგრძომარცვლიანი თეთრი ყურძნის ჯიშის** სახელადაც იხმარება, რომელსაც არაბულად ملاحی **მალაჰი**-საც უწოდებენ, თურქულად-კი پرمق اوزم **ფარმაკ უზუმი**-ს ე. ი. **თითაყურძენს** ეძახიან (Zenker Türk.-arab.-persisches Wörterb.). საფიქრებელია, რომ სომეხთა შორის მცირე რაოდენობით გაერცელებული ყურძნის სახელი **მალაჰი** *մալաղի* და **სევ-მალაჰი** (ანდრონ. „севмалаги"), ანუ **შავი მალაჰი** (იხ. აქვე გვ. 560) **რაზაკი**-ს სწორედ ეს ზემოაღნიშნული მეორე არაბული სახელი **მალაჰი** უნდა იყოს. ფერითა და მარცვლის მოგრძოობით **რაზაკი**, ანუ **რაზყი** მართლაც **ტაიფი**-ს მიაგავს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ თურქულად მას **ფარმაკ-უზუმი** ეწოდება, რომელიც, როგორც ჩანს, ცნობილს **ხათუნ-ბარმაკ**-ს ე. ი. **ძალბატონის-თითს**, უნდა ჰგულისხმობდეს და უდრიდეს. ანდრონიკაშვილის ცნობითაც, **რაზყი**-ს, ანუ **რაზკი**-ს მეორე სახელად **ტაიფი** ყოფილა. სახელდობრ نسا طائفه **ტაიფე-ი ინსა**-კი არაბულად ქალობას, დედათა სქესს, ქალებს ჰნიშნავს. ამნაირად თითქოს ამ მხრივაც **რაზკი**-ს ზემომოყვანილ თურქული სინონიმის მნიშვნელობას უახლოვდება. მაგრამ, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, შესაძლებელია **ტაიფის** სახელს სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს.

სევრუსკი *սևրուսկի* ზელინსკის შეტანილი აქვს **ნახჭავნის სანახების ორდუბათის უბნის** ყურძნის ჯიშთა სიაში, როგორც დამოუკიდებელი ჯიში (IV, 57). ამასვე იმეორებს ბალლასიც (გვ. 253). ნამდვილად-კი უეჭველია იმავე ყურძნის ჯიშის **რაზკი**-ს სახელი გვაქვს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ წინ ამ ჯიშის შავი ფერის აღმნიშვნელი სომხ. სიტყვა *սև* სევ უძღვის. მართლაც, ანდრონიკაშვილის ცნობით, **სევრუსკი წითელი** ყურძენი ყოფილა (VI, 43). მაშასადამე *սև-րուսկի* **სევ-რუსკი შავს რაზკისა** ჰნიშნავს **და ამის გამო იგი ჩვეულებრივი თეთრი რაზკის მხოლოდ შავს სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს.**

87. **რიშა-ბაბა**-ს, ანუ **რიში-ბაბა**-ს, ანუ **რიშ-ბაბა**-ს **მტევანი** დიდი, გრძელი, ცილინდრული, ძალზე ბურძლენიანი და მეჩხარი ჰქონდა, — **მარცვალი** ძალიან სხვილი და გრძელი, ელიფსისებრივი, სქელკანიანი, **მოთეთრო-ყვითელი**, აქა-იქ **ოდნავ მოვარდისფერო** ესხა, — მეტად ხორციანი და წვენ-ნაკლები, თანაც ოდნავ მოტკბილო იყო. **საგვიანო** ჯიშია: შუა ოქტომბერს მწიფდებოდა. **საჭმელი** და შესანახია. **თურქთა** და **სომეხთა** შორის შამახა-გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული (ყანდურ. V, 22—23).

იგივე **რიშ-ბაბა ერევნის** ყ. გუბ. გეევსკისა და შარერის დახასიათებით **გძელ-მტევნიანი** იყო — **მარცვალი** საშუალო სიდიდის, კვერცხებრივი,

ხორციანი, მწვანე-მოყვითანო და მუქი იასამნისფერი, თანაც ძალზე ტკბილი ჰქონდა. საჰმელ ჯიშად ითვლებოდა და ხანგრძლივ ინახებოდა (გეევს. და შარ. 852).

საფიქრებელია, რომ **რიშ-ბაბა**-ს, ანუ **რიშა-ბაბა**-ს სახელი არაბულ-თურქული უნდა იყოს. არაბულად ريش **რიშ**, ანუ ريشه **რიშა** წვერსა, ჰნიშნავს, ხოლო بابا ბაბა baba თურქულად მამას, პაპასა და საერთოდ მოხუცებულს ეწოდება. ამნაირად **რიშა-ბაბა**, ანდა **რიში-ბაბა**, თუ **რიშ-ბაბა** მოხუცებულის წვერის აღმნიშვნელი გამოდის. დამსგავსება ამ ყურძნის ჯიშის, ან მწვანე-მოყვითანო ფერს უნდა ჰგულისხმობდეს, ანდა მისი ფოთლის ბუსუსიანობას, თუ ფოთოლი ბუსუსიანი ჰქონდა. მაგრამ სამწუხაროდ მისი ფოთლის აღწერილობა არ მოგვეპოვება.

აგრონ. ზელინსკისა და ანდრონიკაშვილის სიტყვით **რიშ-ბაბა**ს კიდევ არაერთი სხვა სახელიც ჰქონია, სახელდობრ: მას ნახჭევანსა და შარურ-დარალაგოზში **ხათუნ-ბარმაღი**-ც خاتون بارماغی ეწოდებოდა, რაც ქალბატონის თითსა ჰნიშნავს,—**გომეში-მამა**-ც *գոմիշի մամա*, რომელიც კამეჩის ძუძუსა ჰნიშნავს,—ერევნის სანახებში სომხები **იწაპტუკ**-ს *ճծապտուկ*-ს, ე. ი. თხის ჯიქანს ეძახდენო, თურქები იქვე **ქეჩი-მამასი**-ს كيچى ممەسى ანდა შამახა-გოგჩის სანახებში, ქამარლუში **ქეჩი-ემჯაგი**-ს كيچى امجاكى ორივე უკანა-სკნელი თხის ჯიქანს ჰნიშნავს (ზელინ. IV, 56—58 და ანდრონ. VI, 41). ანდრონიკაშვილის დახასიათებითაც მხოლოდ საჰმელი, ამასთანავე გავრცელებული ჯიშია, მაგრამ მისი შენახვა შეუძლებელიაო (იქვე).

88. **რუმსო** *ռումսօ* დასახელებული აქვს ზელინსკის ზანგეზურის სა-ნახების ყურძნის ჯიშთა სიაში. იქვე შეტანილია **შეკ-რუმსო**. ზელინსკის უკანასკნელი სახელი რუსულად შეკ-რუმსო-დ („шек-румсо"), სომხურადაც ასევე „*շեկ ռումսօ*"-ა დაბეჭდილი. არავითარი განმარტება, ან აღწერილობა ამ ორ სახელს დართული არა აქვს (IV, 58). ასევეა გადაბეჭდილი ბალლასის ნაშრომშიც, სადაც რუმსო-ს მაგიერ შეცდომით რუმო-ა მოყვანილი (გვ, 183 № 11).

ცხადია, რომ **შეკ**, თუ **შეკ-რუმსო** იმავე **რუმსო**-ს სახესხვაობა უნდა იყოს. სამწუხაროდ არც ერთი ამათგანის არავითარი კვალი არც საჰ. ამატუნი-სა და არც აჭარიანის ლექსიკონში არა ჩანს. *շեկ* სომხურად ქერასა და თეთრ-პირისახიან ადამიანსა ჰნიშნავს და საფიქრებელია, რომ **შეკ-რუმსო**-ს პირველი სიტყვის მნიშვნელობა ზელინსკის სწორედ ასე ესმოდა, რადგან შეკ *շեկ* მას ორდუბათის ყურძნის ჯიშთა სიაშიც აქვს დასახელებული და იქ ფრჩხილებში რუს. დაბეჭდილი აქვს („русый или рыжий": IV, 58).

ეს მოსაზრება რომ სწორე იყოს, მაშინ **შეკ-რუმსო** უნდა ქერა რუმსო-დ გადმოგვეთარგმნა. მაგრამ ეგების აქ **შეძ**-ია და შექის სანახების რუმსო იგულისხმებოდეს? ასეთი აზრი იმიტომ იბადება, რომ შუშისა და ჯებრაილის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში თვით ზელინსკისაც დასახელებული აქვს **შაჰ-შაძი** *շահ շաքի* (IV, 58), რომელიც შაქის შამურს, ანუ შაჰ-შაქისურს ჰნიშნავს. **შაძი** ამ სამფლობელოს სახელის უფრო ადრინდელი გამოთქმაა, მერ-მე-კი **შეძი** ეწოდებოდა. შესაძლებელია სადაურობის მაუწყებელი **შეძი**, სომხ. ხალხური ეტიმოლოგიის წყალობით, ქერა-ს აღმნიშვნელ სომხურ სიტყვად.

შექ-ად იქმნა მიჩნეული. ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა და მათი ფერის აღუნიშვნელობა, ამ საკითხის გამორკვევას შეუძლებლად ხდის.

89. **სარმა** سرمه (ასე აქვს ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს) **შამახიისა და გოგჩის** სანახების ყურძნის ჯიშების სიაში (ზელინ, IV, 58). ბ ა ლ ლ ა ს ს დაბეჭდილი აქვს **ხარმად** (გვ. 323, № 20), მაგრამ არც ერთს მათგანს, სახელს გარდა, ამ ყურძნის შესახებ არა მოეპოვებოდათ რა, ფერიც-კი აღნიშნული არ არის.

ნახჭავნის სანახებში ფართოდ გავრცელებული იყო **შავი ხალვინე** ყურძნის ჯიში, რომელსაც **ყარა სარმა** ეწოდებოდა (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44). ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს მისი სახელი არაბული ასოებით قره سرمه აქვს დაბეჭდილი (იქვე), მაგრამ მნიშვნელობა განმარტებული არ არის. **ყარა ხარმა**-კი ცხადია თურქულად **შავ** قره **ხარმა**-სა ჰნიშნავს, ე. ი. იმავე **სარმა**-ს **შავი სახესხვაობა ყოფილა**. აქეთგან ჩანს, რომ **სარმა** თვით ვაზის, ან ყურძნის დამახასიათებელი სახელი უნდა იყოს. صارمه **სარმა** sarma თურქულად შეხვევას და გახვევას ჰნიშნავს, ვაზის ფოთოლში **გახვეულ ხორცის** ნაკეპს, ტოლმასაც ეწოდება. ამ ჯიშის აღწერილობის უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, აქვს, თუ არა, მის სახელს **სარმა**-ს ზემომოყვანილ თურქულ სიტყვასთან რაიმე კავშირი. თუ კავშირი აღმოჩნდა შესაძლებელია იგი მტევნის შეკრულობის გამომხატველი იყოს.

90. **საღი** (თუ **საზი**?: ყ ა ნ დ უ რ ა ლ ო ვ ს რუს. „саги") **შამახიის** სანახებში იყო გავრცელებული, ს. ს. **გურჯევანსა და ინგარში**. ყ ა ნ დ უ რ ა ლ ო ვ ი ს სიტყვით, **შირვან-შაჰი**-ს ყურძნის ჯიშს მიაგავდა. მაშასადამე **მარცვალი** საშუალო, ოდნავ მოგრძო, თხელ-კანიანი **მოლურჯო იასამნის ფერი** უნდა ყოფილიყო. სალვინე ჯიში იყო, რომელსაც სხვა **წითელი ყურძნის ღვინოების** შეხაფერადებლად ხმარობდენ (ყანდურ. V, 27 და ბალლას 32 IV 3). შესაძლებელია, ამ ყურძნის სახელი **საღი** არაბული ساقی **საყი**, ანუ **საკი**-სთან იყოს დაკავშირებული, რომელიც ღვინის დამსხმელ-დამლევინებელს, მეღვინესა და მწდესა ჰნიშნავს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ეს სახელი ამ ჯიშის სალვინედ განკუთვნილობის გამომხატველად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. მაგრამ იქმნებ იგი ს. **ხალიანი**-ს სახელთან არის დაკავშირებული და სალიანურს ჰნიშნავს?

91. **საფერი, საფირი**, ანუ **საფელი** *սափիր* **შავი** ყურძნის ჯიშია, გავრცელებული იყო **ერევნის** სანახებში, **არდაშარის** უბანში, **ნახჭავანსა და ორდუბათის უბანში**, ისევე როგორც **ყაზახშიც** მოიპოვებოდა. სალვინე ჯიშია, **კახური საფერავი**, ანდა **ქართლის თავკვერია**. ბ ა ლ ლ ა ს ი არ უნდა სცდებოდეს, როდესაც **საფერი**-სა და **საფელი**-ს იგივეობას ჰგულისხმობდა. **კახური საფერავი განჯის** სანახებშიც იყო (ანდრონ. VI, 44,—ზელინ. IV, 57 და ბ ა ლ ლ ა ს 182 და 251).

92. **საჰაბი**-ს صاحبی ე. ი. **ხაბატონო** (ზელინ. შეცდომით „скабн" IV, 56) **მარცვალი** სხვილი, კვერცხებრივი, **მუქი-იისფერი**, ხორციანი და ტკბილი ჰქონდა (გეევს. და შარ.),—ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს დახასიათებით-კი **ვარდისფერ-წითელი იყო**. **ერევნის** სანახებში და **დარალაგიოზში** იყო, მაგრამ სხვებთან შედარებით ნაკლებ ყოფილა გავრცელებული. გ ე ე ვ ს კ ი ს ა და შ ა რ ე რ ი ს სიტყვით, **ხაწნილედ** იყო კარგი, ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი თ-კი **ხაჭმელადაც**.

ამავე ავტორის ცნობით, საჰაბი-ს თურმე ალასქი-ც ეწოდებოდა (გიივ. და შარ. 852,—ანდრონ. VI, 43 და ზელინ. IV, 56 და 57).

სევ-ალდარა, ე. ი. შავი ალდარული იხ. **ალდარა**.

სევ-მალაჰი, შავი მალაჰი იხ. **მალაჰი**.

93. **სერკევლი** *սիրկեվիլ* უმთავრესად ორდუბათის უბანში გავრცელებული წითელი ყურძენი იყო (ანდრონ. VI, 43).

սիրկեվիլ სერკევილ სომხ. კონშს ეწოდება და **სერკევლი**, როგორც უკვე ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს ა ჰქონდა აღნიშნული, კომშურსა ჰნიშნავს (IV, 57). ამ ყურძნის ჯიშის აღწერილობის უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, ამ ყურძნის თვისება, თუ მარცვლის გემო არის კომშზე დამსგავსებული, რათგან შეუძლებელია, მისი წითელფერიანობის გამო, ეს სახელი ფერის გამომხატველი იყოს.

სევ-ხალილი, შავი ხალილი იხ. **ხალილი**.

94. **ხევ-ხაღოღ**, *սև խաղող*, რაც სომხ. შავ ყურძენსა ჰნიშნავს, ერევნის სანახებში ყველგან იყო გავრცელებული (ანდრონ. VI, 44). საღვინე ჯიში იყო.

95. **სევენი** *սևիենի*, სომხ. შავი, შუშიხა და ჯებრაილის სანახებში მოიპოვებოდა (ზელინ. IV, 58). ამ ორი უკანასკნელი სახელის შინაარსის იგივეობისდა მიუხედავად, მათი ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობის გამო, მათი ჯიშობრივი ურთიერთობის საკითხის გამორკვევა შეუძლებელია.

96. **სინორი** *սինորի* ზანგეზურის სანახების მეღრის უბანში გავრცელებული შავი ყურძნის ჯიში იყო (ზელინ. IV, 58 და ბალლას 183, № 12).

97. **სიპტაკ-ხაღოღ** *սիպտակ խաղող*, ე. ი. თეთრი ყურძენი ეწოდება ზანგეზურის სანახებში გავრცელებულ ჯიშს (ზელინ. IV, 58). ხოლო ა ჰ ა რ ი ა ნ ი ს ცნობით, *սպիտակենի* **სპიტაკენი**, ე. ი. თეთრივე ეწოდება ყარაბაღში გავრცელებულ ერთ თეთრ საღვინე ყურძნის ჯიშს (სომხ. დიალექტ. ლ. 982). მათი აღწერილობის უქონლობის გამო, გამოურკვეველი რჩება ამ ორი მსგავსი სომხური სახელის მქონებელი ყურძნის ჯიშობრივი იგივეობის საკითხი.

98. **სიფთი-დურმაზ** (ასე აქვს ბ ა ლ ლ ა ს ს გვ. 181, № 9), ანუ **სიფთი-ჲზუმ** سیفتی یوزوم (ზელინ. IV, 57) განჯის სანახებში იყო გავრცელებული. რქა მას მუქი ნაცრისფერი,—ფოთოლი მწვანე ხუთ-ყურა,—ხოლო მარცვალი სხვილი, თითქმის შავი ჰქონდა (ზელინ. IV, 57 და ბალლას 181, № 9). უფრო საფიქრებელია, რომ ამ ყურძნის ჯიშის სახელი არაბულ სიტყვა سفته სიფთა, ანუ სიფთე-ს თან იყოს დაკავშირებული, რომელიც დღის პირველი განაყიდისაგან პირველ შემოსულ ფასს ჰნიშნავს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **სიფთი-ჲზუმ** შესაძლებელია ადრეულ ყურძენს ჰნიშნავდეს. ხოლო ამავე ყურძნის მეორე სახელის **სიფთი-დურმაზ**-ის მეორე სიტყვა იქნებ ბუჩქის აღმნიშვნელ სპარსულ ترمس **თერმუზ**-თან იყო დაკავშირებული და ორივე ერთად ადრეულ ბუჩქს, ადრეული ვაზის ჯიშს ჰგულისხმობდეს. სამწუხაროდ დაწვრილებითი აღწერილობის უქონლობის გამო, არ ვიცით დანამდვილებით, იყო, თუ არა, ეს ვაზის ჯიში მართლაც ადრეული.

99. **სისაქ** *Սիսակ* (ასე აქვს მ ე ლ ი ქ - შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ც ი ს მიხედვით ს ა ჰ. ა მ ა ტ უ ნ ი ს, ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს - კ ი დაბეჭდილი აქვს „сисах *Սիսախ*" სისახ, ხოლო გ ე ე ვ ს კ ი ს ა და შ ა რ რ ე რ ს сысах სჷსახ). შამახიისა და გოგჩის სანახებში გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო. მუქი წითელი, მოსავ-

ლიანი ყიფილა და კარგ საღვინე და საჭმელ ყურძნად ითვლებოდა (გეევ. და შარ. 817, ყანდურ. V, 26 და ზელინ. IV, 58). მ ე ლ ი ქ - შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ც ი ს დახასიათებით-კი, სისაკ-ი ვარდის ფერი ყურძენი ყოფილა, მარცვალი რგვალი და სხვილი ჰქონია, თხელ-კანიანი იყო და საღვინე ყურძნად ითვლებოდა (საჰ. ამატუნი Հ. բառ ու բան 589).

ტაბარზა табарза იხ. **თაბარზა**.

100. **ტაიფი**, ანუ **ალდარა** ալդարա ს. ალდარული, ანუ **რაზყი** ერევნის ყ. გუბ. იყო გავრცელებული. მარცვალი მომწვანო-თეთრი, საშუალოზე მოზრდილი, წოწოლა, სქელკანიანი და სქელხორციანი აქვს. საჭმელი და შესანახი ყურძნის ჯიშია: მთელ წელიწადს ინახება. უმთავრესად ნახჭავნის მაზრაში იყო გავრცელებული (გ ე ე ვ ს კ ი და შ ა რ რ ე რ 851,—ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი VI, 42).

რაზკი-ს ქვეშ აღნიშნულია, რომ, რაკი **ტაიფი** რაზაკი-სა და **ფარმაკ-ჳზუმ**-ის სინონიმად იყო მიღებული, ამიტომ შესაძლებელია, რომ **ტაიფი** სრული **ტაიფე-ი ინას**-ის, ქალობის, დედათა სქესის შემოკლებული სახელი იყოს. მაგრამ **ტაიფ** ამ ქვეყნური სამოთხის სახელიც იყო და **ტაიფი** შესაძლებელია სამოთხისას ჰნიშნავდეს და ამ ჯიშის ღირსების გამომხატველი იყოს.

ტოლგანდ იხ. **დოლგანდ**.

ურდუსი იხ. **ორდუცი**.

101. **ურზა** ერევნის სანახებში ნაკლებ გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნოდა, შავი იყო (ანდრონ. VI, 44).

102. **ფაშანი** փաշանի ნახჭავანსა და შარურ-დარალაგიოზში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44). ამ ჯიშის სახელი ფაშისას ჰნიშნავს, ე. ი. საბატონოს და საჭაბის აღმნიშვნელობის მსგავსია.

103. **ფირ-ჳზუმ** پیر یوزوم განჯის სანახებში იყო გავრცელებული. რქა მას წითელი,—ფოთოლი სხვილი, ქვეითგან ბუსუსიანი,—მარცვალი სხვილი, რგვალი, მწვანე, ნაცრისფერ-ლაქებიანი ჰქონდა (ზელინ. IV, 57 და ბალლას 182, № 19). **ფირ-ჳზუმ** სპარსულ-თურქული სახელია **ფირ** پیر სპარსულად მოხუცს, ხუცესს, აგრეთვე დერვიშთა უფროსსაც ჰნიშნავდა. ამისდა მიხედვით ეს სახელი მოხუცის, ანდა ფირის ყურძენს უნდა ჰნიშნავდეს.

104. **ქეჩი-ამჯაგი** کیچی مجاکی, ე. ი. თურქულად თხის ჯიქანი, გავრცელებული იყო ერევნის, ეჩმიაძინისა და სურმალის სანახებში, ნახჭავნის ორდუბათის უბანშიც, შუშა-ჯებრაილის სანახებშიც და შამახიისა და გოგჩისაშიც. მას მტევანი დიდი, მაგრამ საშუალო სიგრძის, პირამიდებრივი, ბურძლეზიანი და მეჩხარი ჰქონდა,—მარცვალი სხვილი, მოგრძო, შავი და მუქი წითელი, თანაც ტკბილი იცოდა. ძალიან ნაყოფიერი ვაზი იყო, ენკენისთვის დამდეგს მწიფდებოდა. საჭმელი და საწნილე ყურძნის ჯიშად ითვლებოდა (გეევ. და შარ. 817 და ყანდურ. V, 19,—ზელინ. IV, 56, 57 და 58). ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით **ქეჩი-ემჯაგი** იგივე ყურძენი იყო, რომელსაც სომხები **იწაპტუკ**-სა და **გომეში-მამა**-ს და სხვა სახელსაც ეძახდენ (იხ. აქვე **რიში-ბაბა** და ანდრონ. VI, 41).

105. **კიშმიში** کیشمیشی კიშმიშური ერევნის, ეჩმიაძინის, სურმალის, ნახჭავან-შარურ-დარალაგიოზისა, ორდუბათის უბნისა, ზანგეზურისა, გოგჩისა და ყუბის სანახებში ყველგან იყო გავრცელებული. მარცვალი წვრი-

ლი, კვერცხებრივი და ძალზე ტკბილი ჰქონდა. აგვისტოში მწიფდებოდა. ქიშმი-შის სამი სახესხვაობა არსებობს: თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი, ანდა წითე-ლი და მწვანე. მოყვითანო უხუნწკალოა და დანარჩენებს გემოთიცა და მო-სავლიანობითაც სჯობია.

ქიშმიში საჭმელი და საჩამიჩე ყურძნის ჯიშია, მაგრამ ერევნის სანახებ-ში სადვინედაც ხმარობდენ (გეევ. და შარ. 851,—ანდრონ. VI, 41 და ზელინ. IV, 56—58).

შამახიის სანახებში მას **ქიშმიშ-ვზუმ**-ს, ე. ი **ქიშმიშის** ყურძენს უწოდე-ბენ. **მტევანი** მას მოზრდილი, რამდენიმე პატარა მტევნად გაყოფილი, მეჩხარი და ბურძლენიანი აქვს, მისი მტევნის სიგრძე ½ არშინამდე აღწევდაო. **მარ-ცვალი** წვრილი, რგვალი, მქრთალი, ყვითელი, ოდნავ მოვარდისფერო, თხელ-კანიანი, უხუნწკალო, წვენიანი და ძალზე ტკბილი ჰქონდა. იმდენად **საადრეო** ყურძენია, რომ ივნისში უკვე მწიფეა. **საუკეთესო** საჭმელია, **ნაყოფიერია**, მაგ-რამ **გამძლე არ არის** (გეევ. და შარ. 818 და ყანდურ. V, 25-26).

106. **ქიარიმ-ყანდი** کریم قندی, რაც **ქიარიმის** ყანდს, ანუ **მყინვარე შაქარს** ჰნიშნავს, თეთრი ყურძენი იყო და **ერევნის** სანახებში იყო გავრცელე-ბული, მაგრამ მცირე რაოდენობით (ზელინ. IV, 56 და ანდრონ. VI, 43).

107. **ყარა-ყარფაყ ყაზახის** სანახებში იყო ძალიან გავრცელებული. **მარცვალი** მას სხვილი და რგვალი ჰქონდა (ბალლას 181, № 2). ამ ყურძნის ჯიშის სახელი ორი თურქული სიტყვისაგან შედგება: قره **ყარა შავსა** ჰნიშ-ნავს, قارپاق **ყარფაყ ფოთოლს**. მაშასადამე ამ ვაზის ჯიშის სახელი **შავფოთ-ლიანის** აღმნიშვნელი ყოფილა. საფიქრებელია, რომ ძალზე მუქი მწვანე ექმნება.

108. **ქურდაშტ** *քուրդաշտ* کرد دشت, **ნახჭავნის** და **დარალაგიოზის** სანახებშიც და ორდუბათშიც ამ ყურძნის ორი სახესხვაობა ყოფილა (ზელინ. IV, 57 და ბალლას 252).

ყარა-სარმა იხ. **სარმა.**

109. **ყარა-ვზუმ** اوزوم قره **შავი ყურძენი** ბ ა ლ ლ ა ს ს დასახელებული აქვს **შუშა-ჯებრაილის** სანახების ჯიშთა შორის და მისი ცნობით **წვრილ-მარცვლიანი შავი**, სადვინე ყურძენი ყოფილა (გვ. 183, № 3). ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს-კი **შამახიის და გოგჩის** სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში აქვს მოქცეული (IV, 58).

ყარა-შანი იხ. **შანი.**

ყარა-შირაზ იხ. **შირაზ**

110. **ყარაჯა** قره جه თურქულად **პატარა შავასა** ჰნიშნავს, **ნახჭავანსა** და **შარურ-დარალაგიოზის** სანახებში გავრცელებულ ყურძნის ჯიშებს შო-რის აქვთ ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს (IV, 57) და ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ს (VI, 44) დასა-ხელებული.

111. **ყიზილ-ვზუმ** იხ. **ქარმრანი-ს** ქვეშ.

112. **ყიზილ-ბოზ** قزل بوز, რომელიც თურქულად **წითელ-ნაცრისფერსა** ჰშიშნავს, **განჯის** სანახებში და უმთავრესად ქ. განჯაში იყო გავრცელებული. **ფოთოლი** დიდი, ჩაღრმავებულ-ყურებიანი, ღია მწვანე ჰქონდა,—**მარცვალი** სხვილი, კვერცხებრივი, **იასამნის ფერი** ესხა (ზელინ. IV, 57 და ბალლას 181, № 8).

113. **ყირმიზი-ვზუმ** იხ. **ქარმრანი-ს** ქვეშ.

114. **ყუშყურაში** قوش یورکی **შამახიისა და გოგჩის** სანახებში იყო გავრცელებული. ს. **მატრასში და დაბლობის „თათრების"** ვენახებში მრავლად მოიპოვებოდა. **მარცვალი** მას გრძელი, **წითელი ჰქონდა. ზამთარში კარგად ინახებოდა. ყუშყურაში** თურქულად **ფრინველის გულისას** ჰნიშნავს (ზელინ. IV, 58 და ყანდურ. V, 26).

115. **შანი** ზელინსკისა (IV, 56) და ანდრონიკაშვილის (VI, 44) ცნობებით, **ერევნის, ეჩმიაძინისა და სურმალის** სანახების ყურძნის **ჯიშთა ჯგუფს** ეკუთვნოდა. **ყარა-შანი**-ც არსებობდა, რომელიც თურქულად **შავს შანისა** ჰნიშნავს და **სადვინე** ყურძენი იყო. იმავე ავტორების სიტყვით, **ერევნისა, ნახჭავნისა და ყუბის** სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ. IV, 56, 57 და 58 და ანდრონ. VI, 44). რაკი **ყარა-შანი**, როგორც თვით მისი სახელითგანაც ჩანს **შანი-ს შავი სახესხვაობა** იყო, ამიტომ **შანი თეთრ** ყურძნად არის საგულისხმებელი. მართლაც **ყუბის** სანახებში იყო **აღ-შანი** آغ شانی-ის (ზელინ. IV, 58), ანუ **თეთრი-შანის** სახელის მქონებელი სახესხვაობაც.

ზელინსკის მისი სახელი არაბული დამწერლობითაც აქვს მოყვანილი شانی.

ამ ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, თუ რას უნდა ჰნიშნავდეს მისი სახელი. მართალია აჭარიანს თავის **სომხ.** დიალექტ. ლექსიკონში შეტანილი აქვს *շան խաղող* **შან ხაღოღ** ე. ი. **შან-ყურძენი**, სიტყვა, რომელიც ბჳთინიას (ნიკომიდიასა) და სებასტიაში ყოფილა გავრცელებული, მაგრამ იგი თურმე რომელიღაც წვრილ-ნაყოფიანი გარეული მცენარის სახელი ყოფილა (*Հ. գաւառ. բառ.* 821). მაშასადამე ეს ცნობა ყურძნის სახელის განსამარტავად ვერ გამოგვადგება. **შანი**-ს თვისებები და ღირსება მაინც რომ გვცოდნოდა, მაშინ ეტიმოლოგიის მიგნება უფრო გაადვილდებოდა. **შან** شان არაბულად სხვათა შორის **ღირსებასა და სახელგანთქმულობას** ჰნიშნავს და, რომ გვცოდნოდა, რომ **შანი** ნაქები ჯიში იყო, მაშინ მისი სახელი შესაძლებელია სწორედ ასეთი თვისების გამომხატველად მიგვეჩნია.

შესაძლებელია აგრეთვე **შანი** უფრო სრული ფორმის **შაჰანი**-ს შერწყმული სახეც იყოს, სწორედ ასეთი სახელის მქონებელი ყურძნის ჯიში-კი არსებობდა და ამ სახელის მნიშვნელობა სრულებით ცხადია (იხ. ქვევით).

116. **შაჰანი** *շահանի*, ზელინსკის ცნობით, **ორდუბათის და ზანგეზურის** სანახებში ყოფილა გავრცელებული (IV, 57 და 58). სამწუხაროდ არც ამპელოგრაფიული აღწერილობა, არც ფერი მაინც აღნიშნული არ არის. იმისდა მიუხედავად, რომ ზემოდასახელებულ ავტორს ამ ყურძნის სახელწოდება სომხურად აქვს მოყვანილი, ის მაინც სომხური-კი არა, არამედ სპარსულია. სპარსულად شاهانه **შაჰანა შაჰურს** ჰნიშნავს და იგულისხმება შაჰური ყურძენი. იგი მიაგავს მთელ რიგ ქვემომოყვანილ სახელებს.

118. **შაჰ-ენგურ**, ანუ **შაჰ-ვზუმ**, გეევსკისა და შარერის ცნობით, **ერევნის** სანახებში ყოფილა გავრცელებული. **მარცვალი საშუალო, კვერცხებრივი, მოყვითანო, ხორციანი ჰქონია. საჭმელია,** მაგრამ მაინცდამაინც ტკბილი ყურძენი არ ყოფილა (გეევსკი და შარ. 852). **შაჰ-ენგურ** სპარსულია და شاه انگور **შაჰ-ყურძენს** ჰნიშნავს, **შაჰ-ვზუმ** სპარსულ-თურქულია და იგივე მნიშვნელობა აქვს.

118. **შაჰანგულ** *շահանգիւլ*, ზელინსკისა (IV, 57) და ანდრონიკაშვილის (VI, 44) ცნობით, თეთრი, ნახჭავნის, ორდუბათის უბანში ყოფილა გავრცელებული. ეს სახელიც სპარსულია شاهگل **შაჰანგულ** შაჰთა ვარდსა ჰნიშნავს. მაგრამ მეორე მხრით იბადება საკითხი, ეს სახელი **შაჰენგურ**-ის ფონეტიკური სახესხვაობა ხომ არ არის? ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ანდრონიკაშვილს იმავე ორდუბათში დასახელებული აქვს თეთრი ყურძენი **შაჰანგირ** („шахангир" в Ордубате: VI, 42), რომელიც უეჭველია იგივე შაჰენგურია. მართალია ორდუბათის უბნის ყურძნის ჯიშების ბოლოში დართულ სიაში ანდრონიკაშვილს შაჰანგული („шахангюль". VI, 44) აქვს მოთავსებული, მაგრამ იქ მოქცეული ყველა სახელები ზელინსკის ნაშრომითგან ჩანს ამოღებული.

119. **შაჰტახტი** *շախտախտի* (ასე **შახტახტი** აქვს ზელინსკის სომხურად დაბეჭდილი, თუმცა *շահտախտի* **შაჰტახტი** იყო მოსალოდნელი) ნახჭავანსა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44). მისი სახელი სადაურობის, შაჰტახტურობის, მაუწყებელია.

120. **შაჰ-შაქი** *շահ շաքի* შუშისა და ჯებრაილის სანახებში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა სიაში აქვს ზელინსკის ჩართული (IV, 58). მისი სახელიც სადაურობის, შაქის შაჰების სამფლობელოთგან მომდინარეობის გამომჟღავნებელია.

121. **შაჰ-შირაი**, ანუ **შირვან-შაჰი** გეევსკისა და შარრერის ცნობით, შამახიის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო სიდიდისა, მოგრძო, ცილინდრული, ძალზე ბურძღენიანი და მეჩხარი ჰქონდა,—მარცვალი საშუალო, ოდნავ მოგრძო, მოლურჯ-მონარინჯისფერო, თხელ-კანიანი და ძალზე ტკბილი ჰსხმია. მოსავლიანი ყურძნის ჯიში იყო. ენკენისთვეში მწიფდებოდა. საჭმელადაც და ხალვინედაც კარგი იყო. ვითარცა საუკეთესო ყურძნის ჯიში, ამ სანახებში ყველგან იყო გავრცელებული (გეევ. და შარ. 817 და ყანდურ. V, 18—19). شیرا **შირა** სპარსული სიტყვაა და ყურძნის ტკბილსა ჰნიშნავს. ამნაირად ამ ყურძნის ჯიშის სახელი **შაჰ-შირაი** მთლიანად შაჰ-ყურძნის ტკბილს, ანუ შაჰურს, ე. ი. საუკეთესო ყურძნის ტკბილისას ჰნიშნავს. ასეთი სახელი ამ ჯიშს უეჭველია მისი ყურძნის უაღრესი სიტკბოს გამო აქვს დარქმეული. ხოლო ამავე ჯიშს მეორე სახელი **შირვან-შაჰი** شیروان شاهی შირვან შაჰური, მისი სადაურობის გამომჟღავნებელია.

122. **შäქäრი** شکری ე. ი შაქრიანი გავრცელებული იყო შამახიისა და გოგჩის სანახებში. მტევანი დიდი, ცილინდრული, ბურძღენიანი და მეჩხარი ჰქონდა,—მარცვალი საშუალო, რგვალი, თხელკანიანი, მწვანე, სქელ-წვენიანი და ძალზე ტკბილი ილოდა. საადრიო ჯიში იყო. ენკენისთვის დამდეგს მწიფდებოდა, საშუალო მოსავლიანობა სცოდნია. დაბლობში თურქთა შორის ყოფილა მცირე რაოდენობით გავრცელებული. საჭმელი ყურძნის ჯიში იყო, მაგრამ მისი შენახვა შეუძლებელი ყოფილა (ზელინ. IV, 58 და ყანდურ. V, 23—24).

123. **შäქäრ-ბირა** ნახჭავნის უბანში ყოფილა გავრცელებული და თურმე თეთრი, სალვინე ყურძენი იყო (ანდრონ. VI, 42). მისი სახელი სპარსული شکر براه **შäქäრ-ბერაჰ** უნდა იყოს და შაქრის სადარსა ჰნიშნავს.

124. **შაქარ-ყანდი** شکر قند ე. ი. მყინვარი შაქარი, ნახჭავნისა და შარურ-დარალაგიოზის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაშია მოთავსებული (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44).

125. **შაფეი** (ზელინ. არაბული დამწერლობით: شفیی) ერევნის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი იმდენად დიდი ჰქონდა, რომ 10 გირვანქამდე იწონიდა,— მარცვალი საშუალოზე მოზრდილი, წითელი, ან მოთეთრო და ძალზე ტკბილი ჰქონდა. ენკენისთვეში მწიფდებოდა, ძალიან მოსავლიანი და იმდენად გამძლე ყოფილა, რომ წლამდე შენახვა შეიძლებოდა. მისი თეთრი სახესხვაობა, ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, ხაჭმელი, საზამთროდ შესანახი ყოფილა, მცირე რაოდენობით თურმე შარურისა, ნახჭავნისა და ორდუბათის სანახებში იყო (გეევ. და შარ. 851 და ანდრონ. VI, 42,—ზელინ. IV, 56 და 57).

126. „**შეკ** շեկ“ (ასე უწერია ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს, რომელსაც რუს. „русый, рыжий“-დ სთარგმნიდა: IV, 56) ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული. წითელი ყურძენი ყოფილა (ანდრონ. VI, 43). ეს სახელი რომ შესაძლებელია დამახინჯებული იყოს **შეძი**-ს მაგიერ ამაზე იხ. აქვე **რუმსოლ**-ს ქვეშე.

შეკ-რუმსოლ იხ. **რუმსოლ**.

127. **შირაი** შამახიის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო სიგრძის, პირამიდებრივი, ბურძლენიანი და მეჩხარი,—მარცვალი საშუალო, რგვალი, მუქი-წითელი, ძალიან ტკბილი და სურნელოვანი ჰქონდა. საუკეთესო საღვინე ყურძენი იყო და ძალიანაც ყოფილა გავრცელებული. სომხები მას **შირაი**-სა და **სევი**-ს უწოდებდენ, რომელთაგან უკანასკნელი სომხ. შავსა ჰნიშნავს,—ხოლო თურქები **ყარა-შირაი**-სა ეძახდენ, რაც შავ შირაი სა ჰნიშნავს (ზელინ. IV, 58 და ყანდურ. V, 18).

ყარა-შირაი-ს გარდა, **აღ-შირაი**-ც, ე. ი. თეთრი შირაიც არსებობდა, რომელიც შამახიისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო, მოგრძო, წოწოლა, ბურძლენიანი და მეჩხარი,—მარცვალი საშუალო, ოდნავ კვერცხებრივი, თხელკანიანი, თეთრ-მომწვანო, წვენიანი, ტკბილი და ოდნავ სურნელოვანი ჰქონდა. საადრიო ჯიში იყო: ენკენისთვის დამდეგს მწიფდებოდა. საშუალო მოსავლიანობა იცოდა. თურქთა შორის ხაჭმელად ითვლებოდა, მაგრამ შესანახად გამძლე არ იყო. სომხები კარგ საღვინე ყურძნის ჯიშად სთვლიდენ (ყანდურ. V, 23).

შირაი, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, ყურძნის ტკბილსა ჰნიშნავდა და შირაი ამ ჯიშის ხატკბილედ, ე. ი. დასაწურად განკუთვნილობასა და დანიშნულებას გამოჰხატავს. ეს სრულებით მკაფიოდ გამოთქმულია კიდევაც შუშისა და ჯებრაილის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს მიერ შეტანილ სახელ **შირა-ჳზუმ**-ში (IV, 58), რომელიც სწორედ ხატკბილე ყურძნის მნიშვნელობით არის ნაგულისხმევი.

ერევნის სანახებში **შირეი**-ს სახელი იყო მიღებული, რომელიც საშუალო კვერცხებრივი, მუქიწითელ-მარცვლიანი, ძალზე მოსავლიანი ყურძენი იყო (გეევ. და შარ. 852). ნახჭავნისა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში მოიპოვებოდა (ანდრონ. VI, 44).

128. ᲨᲘᲠᲕᲐᲜ-ᲨᲐᲰᲘ, შირვან-შაჰური იხ. ᲨᲐᲰ-ᲨᲘᲠᲐᲘ.

129. ᲨᲘᲠᲨᲘᲠᲐ شیرشیر, ე. ი. სპარსულად რძე-ტკბილი, ერევნის, ეჩმიაძინისა და სურმალის სანახებში, თუმცა ყველგან, მაგრამ მხოლოდ მცირე რაოდენობით იყო გავრცელებული. თეთრი ხაწნილე ყურძენი ყოფილა (ზელინ. IV, 56 და ანდრონ. VI, 42). ანდრონიკაშვილის სიტყვით, ᲨᲘᲠᲨᲘᲠᲐ-ს ქამარლუში ᲨᲘᲠᲣᲜ-ᲧᲐᲠᲐ („ширун-кара") ეწოდება (იქვე). საფიქრებელია, რომ აქ შეცდომა უნდა იყოს და უკანასკნელი სახელი შირინ-ყარა-ს მაგიერ უნდა იყოს.

130. ᲨᲘᲠᲘᲜ-ᲧᲐᲠᲐ شیرین قرا, რომელიც სპარსულ-თურქულ სახელს წარმოადგენს და ტკბილ-შავსა ჰნიშნავს ერევნისა, ეჩმიაძინისა და სურმალის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში აქვთ ზელინსკისა და ანდრონიკაშვილს (IV, 56 და VI, 44).

131. ᲩᲘᲚ-ᲙᲖᲣᲛ შამახიისა და გოგჩის სანახებში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა შორის აქვს დასახელებული. მტევანი საშუალო, მოკლე, ოდნავ პირამიდებრივი და ბურძლენიანი, — მარცვალი-კი კვერცხებრივი, საშუალო, სქელკანიანი, მომუქო წითელი, ხორციანი, წვენ-ნაკლები, ტკბილ-მომჟავო ჰქონდა. შუა ესკენისთვეში მწიფდებოდა. კარგი საჭმელი და შესანახადაც გამძლე ყურძენი იყო. მოსავლიანობა საშუალო სცოდნია. ეს ყურძენი იქაური დაბლობის ადგილობრივს მოსახლეობას შორის ყოფილა გავრცელებული (ყანდურ. V, 21). ზელინსკის მიერ ყუბის სანახებში ყურძნის ჯიშთა შორის დასახელებული ᲩᲘᲚᲘ-ც چیلی (IV, 58), უეჭველია, იგივე ყურძნის ჯიში უნდა იყოს.

ამას გარდა, თრდუბათის უბანში რომ ერთი ყურძენი იყო, რომელსაც ᲯᲘᲚ ջիլ-ს უწოდებენ (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44), აგრეთვე იგივე ᲩᲘᲚ, ანუ ᲩᲘᲚᲘ უნდა იყოს, ერთიდაიმავე ჯიშის სახელის ორ ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ერევნის სანახებში, ვაღარშაპატში, იყო ერთი თეთრი სალვინე ყურძნის ჯიში, რომელსაც ᲩᲘᲚᲐᲚ-ი, ანუ ᲫᲘᲚᲐᲚ-ი ეწოდებოდა (ანდრონ. VI, 41). შესაძლებელია ᲩᲘᲚᲐᲚ-ის სახელიც ᲩᲘᲚ ყურძნის სახელის მონათესავე იყოს, მაგრამ ᲩᲘᲚᲐᲚ-ის, ანუ ᲫᲘᲚᲐᲚᲘᲡ ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა, ამის გამორკვევის საშუალებას არ გვაძლევს.

132. ᲩᲐᲕᲣᲨᲞᲐᲠᲘ *չաւուշպարի* ერევნის, ეჩმიაძინის და სურმალის სანახებში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 56 და ანდრონ. VI, 44). ამ ყურძნის ჯიშის სახელი თურქულ-სპარსული უნდა იყოს. ᲩᲐᲕᲣᲨ چاوش ჩაუშის თანამდებობის, ჯარის რაზმის ნაწილის უფროსის, სახელია თურქულად და სპარსულშიც შესული სიტყვაა. ᲞᲐᲠ-ი უნდა სპარსული بار ᲑᲐᲠ-ი იყოს, რომელი ნაყოფსა ჰნიშნავს. ამნაირად ᲩᲐᲕᲣᲨᲞᲐᲠᲘ ჩაუშის ნაყოფს უნდა ჰნიშნავდეს და ჯიშის წარმოშობილობის გამომხატველი სახელი ჩანს.

საფიქრებელია, რომ ᲩᲐᲕᲣᲨᲞᲐᲠᲘ იმავე ჯიშის ყურძენია, როგორიც ოსმალეთში საუკეთესო ყურძნის ჯიშად მიჩნეული ᲩᲐᲣᲨ-ᲙᲖᲣᲛ-ი (ჩაუშის ყურძენი) იყო. James W. Redhouse ნათქვამი აქვს, რომ ამ ყურძნის ჯიშს მწვანე ფერი და ნაზი გემო ჰქონდა (A. Turkish and English Lexicon 1921 წ. გამ. გვ. 251-2).

133. ᲩᲛᲩᲔᲜᲘ *չմչենի*, რაც სომხურად საჩამიჩოს ჰნიშნავს. განჯის სანახებში სომეხთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო (ზელინ. IV, 57).

აჭარიანს *չմչկնի* **ჩმჩკენი** აქვს დაბეჭდილი და მისი ცნობით, ამ ყურძენს მარცვალი უხუნწკალო, სხვილკანიანი, მოწითანო ჰქონდა და განსაკუთრებით საჭმელი ჯიში იყო (*Հ. գաւառ. բառ.* 882), მაგრამ, რაკი სომხურად *չամիչ* **ჩამიჩ** გახმობილი ყურძნის, **ჩამიჩის**, სახელი იყო, უფრო სწორე იქმნებოდა, ნათქვამი ყოფილიყო **ხაჩამიჩედ განკუთვნილი ჯიში** იყოო.

134. **ცლნუ** *ցլնու*, ე. ი. ცლნური (ცლნუ სოფლის სახელია) ნახჭავნის ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 57).

135. **ძილალ** იხ. **ჩილალ, ჩილ-ჯზუმ**-ის ქვეშე.

136. **წტი ხალოღ** *ծտի խաղող* ე. ი. სომხ. **ჩიტის, ბეღურას** ყურძენი გავრცელებული იყო ნახჭავნისა და **შარურ-დარალაგიოზის** სანახებში (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44).

137. **ხაზანი** ეწოდებოდა, გეევსკისა და შარრერის ცნობით, **ერევნის** გუბ. გავრცელებულს ყურძნის ჯიშს, რომელსაც **მარცვალი** საშუალო, რგვალი, ხორციანი და ძალიან ტკბილი და ალმგზნები ჰქონდა, და რომელიც **უმთავრესად სადვინე** ჯიში იყო (გეევ. და შარ. 851).

საძწუხაროდ ზემომოყვანილ დახასიათებაში არც ფერია აღნიშნული და არც მარცვალის კანის თხელ-თუ-სქელკანიანობა. ეს მით უფრო უსიამოვნო, რომ არც ერთს სხვა წყაროში **ხაზანი**-ს ყურძნის შესახებ არაფერია ნათქვამი, ანდრონიკაშვილს-კი **ერევნის სანახების ორდუბათის** უბანში **შავი** ყურძნის ერთ-ერთი ჯიშის სახელად **ხოზანი** აქვს მოხსენებული (VI, 44) ბუნებრივად იბადება საკითხი, **ხაზანი**, ხომ **ხოზანი**-საგან არ არის შეცდომის (იქნებ კორექტურულისაც-კი) წყალობით წარმომდგარი?

138. **ხათუნ-ბარმაკი**, ანუ **ხათუნ-ბარმაღი** خاتون بارماق, რაც თურქულად **ქალბატონის თითსა** ჰნიშნავს, **ერევნის სანახებში**, მეტადრე **ორდუბათის** უბანში იყო გავრცელებული. **მარცვალი** ძალიან გრძელი, გოჯზე უფრო მოგრძო, **მწვანე-მოყვითანო** და ხორციანი ჰქონდა. ენკენისთვეში მწიფდებოდა. **ხაწნილე** ჯიში იყო (გეევ. და შარ. 852). ანდრონიკაშვილის ცნობით ამ ყურძნის ჯიშს **ერევნის** სანახებში **რიში-ბაბა**-ს, **იწაბტუკ**-სა და **მიჩი-მამასი**-საც უწოდებენ (VI, 41).

ზელინსკის **ორდუბათისავე** უბანში ყურძნის სახელად **ხათუნი** *խաթունի*-ც აქვს დასახელებული (IV, 57). ეს ცნობა ანდრონიკაშვილსაც მოეპოვება (VI, 44), მაგრამ არც ერთს მათგანს ამ ყურძნის აღწერილობა არა აქვს, ფერიც-კი არ დაუსახელებია. საფიქრებელია, რომ **ხათუნი** შესაძლებელია იმავე **ხათუნ-ბარმაღი**-ს შემოკლებული, სომეხთა შორის მიღებული, სახელი იყოს. მისი თვისებების აღწერილობა რომ გვქონოდა, ამის გადაწყვეტა ადვილი იყო.

139. **ხალაჯი**, ანუ **ხალაჩი ერევნის, ეჩმიაძინისა** და **სურმალის** სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ. IV, 56 და ადრონ. VI, 44).

140. **ხალილი** خلیلی *խալիլի* **ერევნის** სანახებში იყო გავრცელებული. **მარცვალი** საშუალო, კვერცხებრივი, **მოყვითან-მომწვანო** და წვენიანი ჰქონდა. **ყველაზე ადრეული** იყო ისე, რომ **ივნისის დამლევისათვის** მწიფდებოდა. **საჭმელი** ყურძენი ყოფილა. **ორდუბათშიც ხალილი**, ანდრონიკაშვილის ცნობით, ადრეული ყოფილა და შუა ივლისისათვის თურმე მწიფდებოდა. იქ **ქარვისფერი** ყოფილა (გეევ. და შარ. 851,—ანდრონ. VI, 41,—ზელინ. IV, 56 და 57).

ნახჭავნის სანახებში **ხალილის** შავი სახესხვაობაც იყო, რომელსაც სომხ. **სევ-ხალილი** *սեվ-խալիլ*, ე. ი. შავი ხალილი ეწოდება სახელად (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 44).

خليل **ხალილ** არაბულად გულითად მეგობარს ჰნიშნავს და საკუთარ სახელადაც იხმარება და ამასთანავე უნდა იყოს ყურძნის ზემომოყვანილი სახელი დაკავშირებული, რომელიც მისი წარმოშობილობის მაუწყებელი ჩანს.

141. **ხან-ყზუმ** خان قوزوم **ხანი-ყურძენი, ხანის ყურძენი,** შამახიისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი ძალზე დიდი, პირამიდებრივი და ბუძლენიანი,—მარცვალი მეტად სხვილი, კვერცხებრივი, მუქი წითელი, ხორციანი, წვენიანი, მაგრამ ძალიან ტკბილი არ ჰქონდა. თუმცა კარგ საჭმელ და საზამთრო შესანახ ჯიშად ითვლებოდა, მაგრამ მაინცადამაინც გავრცელებული არ იყო (ყანდურ. V, 22).

142. **ხარჯი** خرجی, რომელიც არაბ.-სპარსული სიტყვაა და სახარჯავსა ჰნიშნავს, ერევნის, ეჩმიაძინის და სურმალის სანახებში იყო ყველგან გავრცელებული. მისი თეთრიცა და შავი სახესხვაობაც არსებობდა. თეთრი საუკეთესო ყურძნად ითვლებოდა. ანდრონიკაშვილის ცნობით, **ხარჯის** სომხები ვალარშაპატში **კანანჩენი**-ს, რაც მწვანესა ჰნიშნავს, უწოდებდენ, ხოლო ნახჭავანში **კატვი-აჩქს**, ე. ი. კატის თვალას (ზელინ. IV, 56 და ანდრონ. VI, 40). ცხადია, აქ თეთრი ხარჯი უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ მაინც იხ. რაც **კანაჩკენი**-ს ქვეშეა ნათქვამი.

143. **ხატმი** ყუბის სანახებში ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ამის მეტი ზელინსკის სხვა არაფერი აქვს. ამავე ავტორს ეს სახელი არაბული დამწერლობითაც აქვს მოყვანილი და خاتمی აქვს დაბეჭდილი (IV, 58). ეს სიტყვა არაბულად **ხატემი**-დ, ანდა **ხატიმი**-დ გამოითქმის და მებეჭდეს, ბეჭდების გამკეთებელსა ჰნიშნავს. ცხადია რომ ასეთი მნიშვნელობის სიტყვა ყურძნის ჯიშის სახელად შეუფერებელია, თუ რომ არ ვიფიქრეთ, რომ ეს ყურძნის ჯიში ოდესღაც რომელიმე მებეჭდის შემოღებული იყო და მისი სახელიც მხოლოდ წარმოშობილობის მაუწყებელია. მაგრამ არაბულად **ხატმი** خطمی, ანდა მდაბიურად خطمی მცენარე **ტუხტის** (Althea) აღმნიშვნელია, რომელიც ფერის აღსანიშნავადაც იხმარება. რაკი ამ ყურძნის სახელი **ხატმი**-ა და არა **ხატიმი**, ამიტომ მისი სახელის მნიშვნელობის გასააზრიანებლად მცენარე **ტუხტის** ზემომოყვანილი არაბული სახელის გამოყენება შეიძლება. **ხატმი**-ს ამპელოგრაფიული აღწერილობა რომ გვქონოდა, ამ საკითხის გამორკვევა უფრო შესაძლებელი იყო, მაგრამ სამწუხაროდ მის თვისებებზე არა ვიცით რა.

ხაჩა-ბაშ, ანუ **აჩა-ბაშ**. იხ. **აჩა-ბაშ**.

144. **ხოზაკაში** *խուչակաչի* ერევნისა, ეჩმიაძინისა და სურმალის სანახებში ისევე, როგორც ყაზახშიც იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 56 და ანდრონ. VI, 44). მელიქ-შაჰნაზარიანცის მიხედვით, ამატუნის აღნიშნული აქვს, რომ **ხოზაკაში**-ს მარცვალი საშუალო და რგვალი, ხოლო კანი მაგარი ჰქონდა. მისი თეთრიცა და შავი სახესხვაობაც ყოფილა. **საჯაგნე** ყურძენი იყო (Հ. *բառ ու բան* 286). აჭარიანს უკანასკნელი გარემოება უფრო მკაფიოდ აქვს გამოთქმული: მისგან ყურძნის ჯაგნებს აკეთებენ ზამთარში შესანახავადაო (Հ. *գաւառ. բառ.* 480). მაშასადამე, **შესანახი საჭმელი** ყურძნის ჯიში ყოფილა.

ამ ყურძნის ჯიშის სახელი სომხურია და **ღორის ტყავსა** ჰნიშნავს. ასეთი დამსგავსება, რასაკვირველია, მისი **სქელკანიანობის დასახასიათებლად არის** **ნახმარი.**

145. **ხოზორ განჯის თურქთა ბაღ-ვენახებში** ყოფილა გავრცელებული და გარეგნობით **ყიზილ-ვზუმ**-ის მსგავსი ყოფილა, მაგრამ წითელი-კი არა, არამედ **თეთრი საჭმელი** ყურძნის ჯიში იყო თურმე (ბალლას 182 № 17). **ყიზილ-ვზუმ-თან ხოზორ**-ის მსგავსება ცხადჰყოფს, რომ ის **სხვილმარცვლიანი** ყურძენი იქმნებოდა. ამ ყურძნის ჯიშის სახელის სწორედ **განჯის თურქთა** შორის გავრცელების შესახებ რომ ცნობა არ ყოფილიყო, თავისდა-თავად დაგვებადებოდა საკითხი, რომ შესაძლებელია აქ შეცდომა იყოსდა **ხოზორ**-ი **ხოშორ**-ის მაგიერ ეწეროს, რათგან ეს ყურძნის ჯიში **სხვილმარცვლიანი** ყოფილა, **ხოშორ**-ი-კი სომხურად და ქართულად სწორედ მოსხვილოსა ჰნიშნავს.

146. **ხუნქი** خنكى *խունկի*, ე. ი. **საკმელური**, საკმელა გავრცელებული იყო **ერევნის, ეჩმიაძინისა, სურმალისა, ორდუბათისა და შამახიის სანახებში. მუქი ყვითელი**, საკმელის სუნის მქონებელი, მეტად **ნაზი** ყურძენი ყოფილა (გეევ. შარ. 818,—ყანდურ. V, 26,—ანდრონ. VI, 44 და ზელინ. IV, 56-58). მ ე ლ ი ქ-შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ც ი ს თანახმად, ა მ ა ტ უ ნ ი ს ნათქვამი აქვს, რომ **ხუნქი**-ს **მარცვალი რგვალი, თეთრი, თხელკანიანი ჰქონდა და საჭმელი და საღვინე** ყურძენი იყო (*Հ. բառ ու բան* 291).

ჯილ, ანუ **ჩილ**, იხ. **ჩილ.**

147. **ჯვზა გოზი** („джюза-гёзи") უმთავრესად **ორდუბათის** უბანში ყოფილა გავრცელებული, **წითელი** ყურძენი იყო (ანდრონ. VI, 43). ამ ჯიშის სახელი თურქული ჩანს და ისევეა ნაწარმოები, როგორ **დემი-გოზი**, რომელიც **აქლემის თვალსა** ჰნიშნავს. ამისდა მიხედვით **ჯვზა გოზი**-ს მეორე ნაწილიც **თვალის** აღმნიშვნელი უნდა იყოს. პირველი ნაწილის ნამდვილი მნიშვნელობის გამორკვევას, ამ ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა აძნელებს. შესაძლებელია **ჯვზა** ან جوزا **ჯევზა** იყოს, რომელიც **ტყუბსა** ჰნიშნავს, ანდა جوجه **ჯვჯა, ჯუჯა, პატარა ტანის ცხოველი და ადამიანი.** პირველ შემთხვევაში **ტყუბ**-მარცვლიანობა, მეორეში წვრილმარცვიანობა იქმნებოდა ნაგულისხმევი.

148. **ჰაზარი** *հազարի* **ყარაბაღში**, **შუშისა და ჯებრაილის** სანახებში იყო გავრცელებული. **მარცვალი** მას წვრილი და გრძელი, თხელკანიანი ჰქონდა. მისი **ორი, თეთრი და შავი**, სახესხვაობა არსებობდა. **საღვინე** ყურძნის ჯიში იყო (მ ე ლ ი ქ-შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ც ი ს თანახმად: ა მ ა ტ უ ნ ი ს *Հ. բառ ու բան* 382 და ზელინ. IV, 58).

ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს **ჰაზარი** რუს. „тысячный"-დ, აქვს ნათარგმნი, მაგრამ ყურძნის ჯიშისათვის ასეთი სახელი სრულებით უაზრო და დაუჯერებელია.

149. **ჰაზრი** *հազրի* დასახელებული აქვს ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს ა და ყ ა ნ დ უ რ ა ლ ო ვ ს **შამახიისა და გოგჩის** სანახების ყურძნის ჯიშებს შორის. **მტევანი** მას პატარა, მოკლე, წოწოლა, ბურძღენიანი და მეჩხარი,—**მარცვალი** საშუალო, მოგრძო ჰქონდა. ფერად **მუქი წითელი** იყო, მაგრამ **შამახიის თემში თეთრი** სახესხვაობაც მოიპოვებოდა. ტკბილ-მომჟავო იყო, **ენკენისთვის დამლევს** მწიფდებოდა. **საშუალო მარცვალი** იცოდა. **კარგი საჭმელი** და **შესანახადაც გამძლე** ყურძნის ჯიში იყო. **უმთავრესად თურქებს შორის ყოფილა გავრცე-**

ლებული, მაგრამ სომხებსაც ჰქონიათ (ზელინ. IV, 58 და ყანდურ. V, 19-20). უკანასკნელი გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ჰაზრი სომხური სახელი არ უნდა იყოს.

150. ჰასტაკოთ *հաստակոթ*, რომელიც სომხ. ყუნწმაგარსა ჰნიშნავს, ზანგეზურის სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ. IV, 58). შავი ყურძნის ჯიში ყოფილა (ბალლას 183, № 13). სამწუხაროდ ამ საგულისხმო სახელის მქონებელი ყურძნის ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობა არ არსებობს.

151. ჰუსეინი ნახჭავნისა და შარურ-დარალაგიოზის სანახების ყურძნის ჯიშთა შორის არის დასახელებული. თეთრი ყოფილა (ზელინ. IV, 57 და ანდრონ. VI, 42). ამ ჯიშის სახელი წარმოშობილობის მაუწყებელია და, რაკი ჰუსეინ არაბული საკუთარი სახელია, ცხადია, რომ რომელიღაც ჰუსეინის შემოღებული, ანდა მოტანილი უნდა იყოს.

152. ღემკაც *ըղեկաց*, ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს ცნობით, რომელსაც „игекац“ „იგეკაც“-ი აქვს ამ ყურძნის სახელად მოყვანილი (ასე აქვს ბ ა ლ ლ ა ს ს ა ც გადაბეჭდილი), ნახჭავნის სანახების ორდუბათის უბანში ყოფილა გავრცელებული. ჩვეულებისამებრ ამ ავტორს, სახელს გარდა არაფერი აქვს აღნიშნული. სამწუხაროდ ეს სახელი არც ა მ ა ტ უ ნ ი ს ა და ა ჭ ა რ ი ა ნ ს მოეპოვებათ (ზელინ. IV, 57 და ბალლას 253).

§ 5. ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სომხური და თურქული სახელების კლასიფიკაცია.

როგორც ყურძნის ჯიშების ზემომოყვანილი მიმოხილვითგან ჩანს, ავტორებს ყველგან აღნიშნული არა აქვთ, თუ რომელი სახელი მხოლოდ სომეხთა შორის, რომელი მარტო თურქთა შორის იყო გავრცელებული, რომელი კიდევ საერთო იყო. ამის გამო ზოგჯერ ეს საკითხი გამოურკვეველი რჩება მაშინაც-კი, როცა სპარსული, ან არაბული, ანდა თურქული სახელი ჩაწერილია სომეხთა შორის, რათგან „აზერბეიჯანელ“ თურქთა მევენახეობაში ამნაირი სახელი აღბეჭდილი არ არის ხოლმე. ძნელი სათქმელია, ასეთ შემთხვევაში, ცნობის უსრულობაა, თუ ასეთი სახელი ამ ქვეყანაში მართლაც არ იყო გავრცელებული. ამ მიზეზების წყალობით საბოლოო მსჯელობის დროსაც ზოგჯერ ასეთი ცნობების გამოყენება ძნელდება. ქვემოთ ეს სიძნელე იმ მოსაზრებაზე დამყარებითაა დაძლეული, რომ ყოველი არა-თურქული და არა სომხური სახელი სხვაგნეზურად არის ცნობილი, თითოეული მათგანის შეთვისების გზის საკითხი-კი იქ, სადაც სანდო დასაყრდნობი არ ჩანდა, განხილული არ არის.

A. მხოლოდ სომეხთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობანი და მათი სახელების კლასიფიკაცია.

ზემომოყვანილი მიმოხილვითგან ჩანს, რომ სომეხთა შორის ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა შემდეგი სახელები იყო წარსული საუკუნის დამლევამდე გავრცელებული:

1. ალდარა თ. და შ.
2. ამბარი თ.
3. ამრი

4. **არაზბარი** წ.
5. **ბანდი** თ.
6. **ბანდენი**
7. **ბარამი**
8. **გარან-ტმაკ** (კრავის დუმა) თ.
9. **გარგარი**
10. **გაჩნი**
11. **გეანჯუ**
12. **გვნი**
13. **გიდავრასტ** შ.
14. **გილარჩი** (ანუ დიზმარი, ანუ ეზანდარი) შ.
15. **დოლბანდ** ანუ **მისხალი**, თ.
16. **დუზალი** წ.
17. **ეზან-აჩქ** (ხარის თვალები) შ.
18. **ეზანდარი** შ.
19. **ვირენი** (ქართული) შ.
20. **თავრიზენი**, ანუ **თავრიზი**, თ.
21. **თევანი**
22. **თოფალენი**
23. **თვლქი-ყუირულდ** თ.
24. **იწაპტუკ**, ანუ **ეწა-პტუკ** (თხის ჯიქანი) თ.+წ.
25. **კალიკოშა** თ.
26. **კანაჩკენი** (მწვანე)
57. **კაპუტკენი** (ლურჯა)
28. **კარჩემა** შ.
29. **კარმრენი** (წითელი)
30. **კატვი-აჩქ** (კატის-თვალები) მწვ.
31. **კატვენი** (კატური) ნაცრისფ.
32. **კახეთუ** შ.
32. **კრეკ** შ.
54. **კრწკენი** (ხრაშახრუშა) თ.
35, **ლაკენი**, ანუ **ლკენი** (მათრობ.) შ.
36. **ლცკენი** (ალმგზნები?)
37. **მალაში** შ.
38. **მარანდა** შ.
39. **მარანდკენი** (მარანდული) წით.
40. **მარმარი** (მარმარილოებრი)
41. **მელინკუტ** თ.
42. **მორი** (ყოლოებრი) შ. (თ. ?)
43. **მურზა** შ.
44. { **ორდუსი** და
    { **ორდუცი** წ.+თ.
45. **ჟალუბი**
46. **ჟეზდი** მოყვით.

47. ჲეზიდი
48. პინჯენი (მაგარი)
49. რიშ-ბაბა (პაპის წვერი), ანუ იწაპტუკ მოთეთ.-მოყვ.
50. როსკი, სევროსკი შ.
51. რუმსო, შეკ-რუმსო (ქერა? რუმსო)
52. საფერი, საფირი, საფელი (=საფერს) წ.
53. საჰაბი
54. სერკევლი (კომშური) წ.
55. სევ-ხალოლ (შავი ყურძ.)
56. სევენი (შავა)
57. სინარი
58. სიპტაკ-ხალოლ (თეთრ-ყურძ.), სიპტაკენი (თეთრი)
59. სისაკ მუქი-წით.
60. ფაშანი
61. ქვრდაშტ
52. შაჰანი
63. შაჰანგვლ თ.
64. შაჰტახტი
65. შაჰ-შაქი
66. შეკ (ვროდა) წით.
67. შირაი შ.+თ.
68. შირეი წით.
69. ჩილალ, ანუ ძილალ თ.
70. ჩავუშპარი
71. ჩმჩენი
72. ცგლნუ
73. წტი-ხალოლ (ჩიტის ყურძ.)
74. ხათუნი
75. ხალილი შ.
76. ხარჯი
77. ხოზანი შ.
78. ხოზაკაში (ლორის ტყავა) შ.+თ.
79. ხუნკი (საკმელა) მუქი ყვით.
80. ჯილ
81. ჰაზარი შ.+თ.
    ჰაზრი
82. ჰასტაკოთ (ყუნწმაგარი) შ.
83. ღლეკაც

სომეხთა შორის გავრცელებულ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ამ 83 სახელთაგან, რა თქმა უნდა, ყველა სომხური არ არის, არამედ ზოგიერთი უცილობლად უცხოა. მაგალითად: მალაჰი, სევ-როსკი-ს ძირითადი ნაწილი როსკი, დოლბანდ, თვლქი-ყუირული, რიშ-ბაბა, საჰაბი, მურზა, ფაშანი (ფაშური), შაჰანგვლ, შირაი, ანდა შირეი, ჩავუშპარი, ხალილი, ხათუნი და ხარჯი უეჭველია უცხოა. აგებულებით სპარსულად არის საგულვებელი გიდავრასტ-იც

რომელიც **ნოურასტ**-ის მსგავსად არის ნაწარმოები, ისევე როგორც **თავრიზი** თავრიზული, **ძეზდი** და **მარანდა**, რომელთა თვით სახელები **ძეზდურსა** და **მარანდულსა** ჰნიშნავს და სპარსეთის ცნობილი ქალაქებისა და პროვინციის სახელებთან არის დაკავშირებული.

ვირენი (ქართული) და **კახეთუ** (კახური) ისევე, როგორც **საფერი** (საფირი), ანდა **საფელი**, საფერავი-ც უცხო, ქართული, ჯიშების სახელებია. საფიქრებელია, რომ **მგლინკუტ**-ის სახელიც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ქართ. **მელისკუდას** ანარეკლია.

ამას გარდა, **გეანჯუს** განჯურის, **შაჰტახტის** შაჰტახტურისა და **შაჰ-შაქის** შაჰ-შაქურის სადაურობა და ყარაბაღ-შირვან-შაქითგან მომდინარეობა, ხომ თვით სახელებითგანაც ჩანს.

საეჭვო შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე **ბანდი** და **ბანდენი**, **გილარჩი**, **დუზალი**, **რუმსო**, **სისაკ**, **ჩილალ** და **ჰაზარი**, **ჰაზრიც**. მაგრამ მათი სადაურობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

სომეხთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების საერთო რიცხვს 83-ს რომ უდავოდ უცხო წარმოშობილობის 26 სახელწოდება გამოვაკლოთ, 57 დაგვრჩება, რომელთა შორის ზემოაღნიშნულ 8-ზე მეტიც-კი სათუო სადაურობის სახელიც შედის. თუ ამ სათუო სახელებს-ც გამოვაკლებთ, უდავოდ სომხური სახელების რიცხვი 49 იქნება.

ამ სახელთაგან 15, ვითარცა **მორფოლოგიური** თვისებების აღმნიშვნელი, **წმინდა ამპელოგრაფიულია**, სახელდობრ: **გარან-ტმაკ** (კრავის დუმა), **თევანი** (ფრთიანი), **იწა-პტუკ**, ანუ **ეწა-პტუკ** (თხის ჯიქანი), **სერკევლი** (კომშა), **ჰასტაკოთ** (ყუნწ-მაგარი), **ეზან-აჩქ** (ხარის თვალები), **ეზან-დარი**, **კატვი-აჩქ** (კატის თვალები) და **კატვენი** (კატური), **წტი-ხაღოღ** (ჩიტის ყურძენი), **პინდენი** (მაგარი), **ხოზაკაში** (ღორის ტყავი) და **ხოზანი**, **კალიკოშა** (თხელკანიანი) და **კრწკენი** (ხრაშა-ხრუშა).

ფერის აღმნიშვნელია: **გარგარი**, **კანაჩკენი** (მწვანე), **კაპუტკენი** (ლურჯი), **კარმრენი** (წითელი), **მარმარი** (მარმალილოებრივი), **მორი** (ქოლოსი), **სევ-ხაღოღ** (შავი-ყურძენი), **სევენი** (შავი), **ხიმტაკ-ხაღოღ** (სპეტაკი, თეთრი ყურძენი), **ხპიტაკენი** (თეთრი) და ეგების **შეკ-ი**ც, თუ იგი მართლაც ქერას, ან მწითურსა ჰნიშნავს. მაშასადამე ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელებითგან 10, ან 11 ფერის დამახასიათებელია. შესაძლებელია ამავე ჯგუფს ხუნკი საკმელაც მიეკუთვნოს, თუმცა ზოგთა აზრით ეს სახელი სურნელების გამომხატველია. ამნაირად სულ 11, ან 12 გვექნება.

ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფითგან **თვისება-დანიშნულების გამომხატველი** სომხური სახელი მხოლოდ **სამია**: **ჩმჩენი** საჩამიჩე, **ლაკენი** (მათრობელი) და **ლცკენი** (აღმვზნები).

სადაურობის მაუწყებელ სახელების ჯგუფს ეკუთვნის: **ალდარა** (ალდარული), **გეანჯუ** (განჯისა), **გარნი** (გარნისისა), **დიზმარი** (დიზმარული?), **ვირენი** (ქართული), **თავრიზენი** (თავრიზული), **კახეთუ** (კახეთისა), **მარანდა** და **მარანდკენი** (მარანდული), **ორდუცი** და **ორდუსი** (ორდუბადული), **ქვრდაშტ** (ქვრდაშტული), **ცღნუ** (ცღნური) და ეგონებ **ღლეკაც** (ღლეკაანთი), სულ 14. ამათგან **გეანჯუ**, **ვირენი**, **თავრიზენი**, **კახეთუ**, **მარანდა** და **მარანდკენი**, სულ 6, თუმცა სომხური სახელებია, მაგრამ უცხო ჯიშებისაა.

ბ. მხოლოდ ამიერ-კავკასიელ თურქთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობანი და მათი კლასიფიკაცია.

ყარაბაღსა, შირვანსა და შაქში ისევე, როგორც ერევნის სანახებში მობინადრე მაჰმადიანთა შორის, ზემომოყვანილი მიმოხილვის მიხედვით, ყურძნის ჯიშ სახესხვაობათა შემდეგი სახელები ყოფილა გავრცელებული:

1. აგრი, ანუ დანადაშაგ
2. ალა-კორა
3. ალახსუჶ შ.
4. ალდარი, ანუ ტაიჶი, ანუ რაზკი
5. ალვანი მწყაზარი
6. ახქარი მოვარდისფერო-თეთრი და მწვანე-ყვით.
7. ატ-ჳზუმ (ცხენის-ყურძენი) მოვარდისფერო
8. აღ-ჳზუმ (თეთრი ყურძენი)
9. ალა-დაჲ (ალა-ბატონი)
10. ალ-ალაჰკი თ.+ვარდისფ.
11. აღ-ბალი (თეთრი ბალის ყ.) თეთ.-მოყვით.
12. ალა-გერმეზ (ალა ვერ ნახავს) თეთ.
13. ალჯა-ყარა (თეთრ-შავი) წით.
14. აჩაბაშ, ანუ ხაჩაბაშ (ორთავიანი?) თ.
15. აჶენდი-ჳზუმ (ეფენდის, ბატონის ყურძენი)
16. ბალაგანი (ბელაქანური) მწვანე
17. ბანდი თ.
18. ბარამი
19. გარნი შირასი (გარნისის ტკბილი)
20. გჳლაბი, ანუ ლალიბედან წით.
21. ყალანჩი გჳლაბი (ყალბი გულაბი)
22. გეჩა-მამასი (თხის-ძუძუ), ანუ რიშ ბაბა
23. გილა ტოკან
24. გომეში-მამა (კამეჩის ძუძუ), ანუ რიშ-ბაბა
25. გოჲ-ჳზუმ (მწვანე-ყურძ.)
26. დევე-გოზი (აქლემის თვალი)
27. დანა-დაშაგ (ხბოს ყვერი), ანუ აგრი, მომწვ.-ყვით.
28. დოლბანდ, ანუ მისხალი, თ.
29. დრკზა-გოზი წით.
30. ერკეკ-ყუირუღი (ნეზვის კუდი)
31. თავრიზი (თავრიზული) თ.
32. თახარზა თ.
33. თამბეში შ.
34. თჳლქი-ყუირუღი (მელის კუდი) თ.
35. ლალიბედან (ლალისფერ-მარცვლიანი), ანუ გჳლაბი
36. მარანდი (მარანდული), ბოზ-მარანდი (ნაცრისფერი მარანდული)
37. მოლლა-მაჰმადი, გვერდწითელი
38. მოლლა-ახმედი თ.

39. **ნანა-ბჳზი** შ.
40. **ნანამ-ჳზუმ** (დედი ჩემის ყურძ.)
41. **ნახშაბი** (ნახშაბური) წით.
42. **ნოვრასტ** (ადრეული), ანუ **ჰუსეინი**, თ.
43. **ორდუბათი** (ორდუბათული)
44. **რაზკი**, ანუ **ტაიფი**, თ.
45. **რიშა-**, ანუ **რიში-**, ანდა **რიშ-ბაბა** (პაპის წვერი) მოთეთრ-მოყვითანო
46. **სარმა** (შეკრული), **ყარა-სარმა** (შავი სარმა)
47. **სალი** (თუ **საგი**?) იასამნისფერი
48. **სიფთი-დურმაზ** (ადრეული ბუჩქი), ანუ **სიფთი-ჳზუმ** (ადრეული ყურ-ძენი) მოშავო
49. **ტაიფი**, ანუ **რაზკი** თეთრ-მომწვ.
50. **ფირ-ჳზუმ** (ფირის, მოხუცის ყურძენი) მწვანე
51. **ქეჩი-ამჯაგი** (თხის ჯიქანი), ანუ **გომეში-მამე**, შ.
52. **კიშმიშის** 3 სახესხვაობა: თეთრ-ყვით., ვარდისფ. და მწვანე
53. **ქიარიმ-ყანდი** (ქიარიმის ყანდი) თ.
54. **ყარა-ჲარფაყ** (შავ-ფოთოლა)
55. **ქვრდაშტ**
56. **ყარა-ჳზუმ** (შავი ყურძენი)
57. **ყარაჯა** (შავა)
58. **ყირმიზ-ჳზუმ** (წითელ ყურძ.)
59. **ყიზილ-ბოზ** (წითელ-ნაცრისფ.) იასამნისფერი
60. **ყუშ-ჲურალი** (მფრინველის გული) წით.
61. **შანი**, **ყარა-შანი** (შავი-შანი) და **ალ-შანი** (თეთრი შანი)
62. **შაჰ-ენგურ**, ანუ **შაჰ-ჳზუმ** (შაჰის ყურძენი) მოყვით.
63. **შაჰ-შირაი** (შაჰის, ანუ საუკეთესო ტკბილი) მონარინჯისფერო
64. **შაქარი** მწვანე
65. **შაქარ ბირა** (შაქრის სადარი) თ.
66. **შაქარ-ყანდი** (შაქარ-ყანდი, ე. ი. ყინვარ შაქარი)
67. **შაფეი** წით. და თ.
68. **შირაი** (ყურძნის ტკბილი), **ყარა-შირაი** (შავი ტკბილი) და **ალ-შირაი** (თეთრი ტკბილი)
69. **შირა-ჳზუმ** (სატკბილე ყურძენი)
70. **შირვან-შაჰი** (შირვანშაჰური), ანუ **შაჰ-შირაი**
71. **შირშირა** (რძეტკბილი) თ.
72. **შირუნ-ყარა** (ტკბილი შავი)
73. **ჩილ-ჳზუმ**, **ჩილი**, მომუქო წით.
74. **ხათუნ-ბარმაკი**, ანუ **ხათუნ-ბარმალი** (ქალბატონის თითი) მოყვითან-მომწვანო
75. **ხალაჯი**, ანუ **ხალაჩი**
76. **ხალილი** (ხალილური)
77. **ხან-ჳზუმ** (ხანის ყურძენი) მუქი წით.
78. **ხარჯი** (სახარჯავი) თ. და შ.
79. **ხატმი** (თუხტური)

80. **ხოზორ** (სხვილი?)
81. **ხუნკი** (საკმელა) მუქი ყვით.
82. **ჯავზა-გოზი** წით.
83. **ჰუსეინი** (ჰუსეინისა) თ.

ამნაირად ირკვევა, რომ **ყარაბაღ-შირვან-შაქისა და** ერევნის **სანახების გათურქებულსა და თურქ მოსახლეობას სულ 83 ყურძნის ჯიშ-სახესხვაობის სახელი ჰქონია**. რა თქმა უნდა, არაერთი მათგანი ადგილობრივი არ არის, არამედ სხვა ქვეყნებითგანაა შეტანილი. ზოგი მათგანის უცხოობა თვით სახელშივეა გამომჟღავნებელი, ზოგის უცხოობას — მისი სახელის ეტიმოლოგია ცხად-ჰყოფს.

უეჭველია უცხოა: გულაბი, რომლის სახელიც სპარსულია და ვარდის წყალსა ჰნიშნავს, — **თავრიზი** (თავრიზული) — სპარსულივეა, — **თაბარზა**, რომელიც სპარსულად თეთრ ყანდსა ჰნიშნავს, — ისევე როგორც **ლალიბედან** (ლალისფერ-მარცვლიანი), — **მარანდი** მარანდულია (სპარს.), — **ნოვრასტ**-იც სპარსულია, — **ნახშაბი** თურქისტანულია, — **რაზკი** არაბულია, — **ტაიფი** იქაურივე სახელია, — **ქიშმიში** სპარსულია, — **შაჰ-ენგურ**, რომელიც სპარს. შაჰის ყურძენს ჰნიშნავს, შესაძლებელია აგრეთვე სპარსული ჯიში იყოს, — მაშასადამე სულ 11 ჯიშ-სახესხვაობაა.

ზემოჩამოთვლილი 11 **უცხო სახელის გამოკლებით, 72 ჯიშ-სახესხვაობა დაგვრჩება**. მაგრამ ამ რიცხვში 12 **სახელიც მოიპოვება, რომელთა მნიშვნელობა გამოურკვეველია და ამის გამო მათი სადაურობის საკითხიც ძნელი გადასაჭრელია**. ეს გარემოება გვაიძულებს ქვემომოყვანილი მსჯელობის დროს ამ 12 **გამოურკვეველ სახელს გვერდი ავუქციოთ და მხოლოდ** 60 სახელწოდების ანალიზს დავემყაროთ.

60 სახელითგან **ატ-უზუმ** (ცხენის-ყურძენი), **აჩა-ბაშ**, ანუ **ხაჩაბაშ** (ორთავიანი), **გომეში-მამა** (კამეჩის-ძუძუ), **დანა-დაშაგ** (ხბოს ყვერი), **დოლბანდ** (დოლბანდი, რგვალი მოსახვევი), **დრუზა-გოზი**, **ერკეკ-ყუირუღი** (ნეზვის კუდი, ანუ დუმა), **თულქი-ყუირუღი** (მელიის კუდი), **ხარმა** (შეკრული), **ქეჩი-ამჯაგი** (თხის ჯიქანი), **ყარა-ჲარფაყ** (შავ-ფოთლიანი), **ყუშ-ჲურაგი** (მფრინველის გული), **ხათუნ-ბარმაღი** (ქალბატონის თითი), **ხოზორ** (სხვილი?) და **ჯავზა-გოზი**, სულ 15 **სახელწოდება წმინდა ამპელოგრაფიულია, მორფოლოგიური თვისების დამახასიათებელი**.

8, ანდა 9 სახელი მარცვლის ფერის აღმნიშვნელია: **აღ-უზუმ** (თეთრი ყურძ.), **აღ-ბალი** (თეთრი ბალის ყურძ.), **აღჯა-ყარა** (თეთრ-შავი), **გოგ-უზუმ** (მწვანე), **ყარა-უზუმ** (შავი ყურძ.), **ყარაჯა** (შავა), **ყიზილ**, ანდა **ყირმიზ-უზუმ** (წითელი ყურძ.), **ყიზილ-ბოზ** (წითელ-ნაცრისფერი), ეგების **რიშა-ბაბა**-ც (პაპის წვერი), თუ აქ მარცვლის მოყვითან მომწვანო ფერი იგულისხმება.

სპარსულ გულაბისა და **თაბარზას გარდა, ყურძნის გემოს აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი** სულ 6 სახელწოდებას შეიცავს. ამ ჯგუფისაა: **ქიარიმ-ყანდი**, **შაქარი**, **შაქარ-ბირა**, **შაქარ-ყანდი**, **შირ-შირა**, **შირინ-ყარა**. ექვსივე მხოლოდ **ჯიშის სიტკბოს მაუწყებელია**.

ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა **დანიშნულებისა და ხარისხის აღმნიშვნელი** სახელების ჯგუფს ეკუთვნის **ნოვრასტ** (ადრეული), რომელიც **სპარსული სიტყვაა**, — **სიფთი-დურმაზ**, ანუ **სიფთი-უზუმ** (ადრეული ბუჩქი, ადრეული ყურძე-

ნი),—**ქიშმიში** (საჩამიჩე),—**შირაი** და **შირა-ჰზუმ** (სატკბილე ყურძენი),—**ხარჯი** (სახარჯავი),—**საჰაბი**, **აჩანდი-ჰზუმ**, **ხან-ჰზუმ**, **შაჰ-ენგურ** და ვგონებ **შანი**-ც, თუ იგი შაჰანი-საგან არის წარმომდგარი. უკანასკნელი 5 სახელი საბატონოდ საეფენდოდ (თურქ.-ბატონს), სახანოდ და საშაჰოდ განკუთვნილობისა და მაღალ-ხარისხოვნობის გამომხატველია. სულ 12 სახელია.

ყურძნის ჯიშ-სახესხვაობის სადაურობის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი ორ ქვე ჯგუფად უნდა გაიყოს: ერთი ქვე-ჯგუფი გეოგრაფიული სადაურობის გამომჟღავნებელია, მეორე ჯიშ სახესხვაობის შემომტანის, ანდა შემომღების მაუწყებელია. პირველ ქვე-ჯგუფს **ალდარი** (ალდარული), **ალვანი** (ალვანური), **ბალაგანი** (ბელაქანური), **გარნი-შირასი** (გარნისული ტკბილი), **თავრიზი** (თავრიზული), **მარანდი** (მარანდული), **ნახშაბი** (ნახშაბური), **ორდუბათი** (ორდუბათული), **ქვრდაშტ** და **შირვან-შაჰი** (შირვან შაჰური) ეკუთვნის.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თავრიზი და მარანდი სპარსულია, ნახშაბური თურქისტანული. ამნაირად გეოგრაფიული წარმოშობილობის გამომხატველი ქვე-ჯგუფი 10 სახელწოდებას შეიცავს, უმათოდ, მხოლოდ ადგილობრივი კავკასიური 7-ია.

მეორე ქვე-ჯგუფს **ასქარი**, **ბარაზი**, **მოლლა-მაჰმადი**, **ჩოლლა-ახმედი**, **ფირ-ჰზუმ**, **ქიარიმ-ყანდი**, **ხალილი** და **ჰუსეინი**, სულ 8 სახელწოდება მიეკუთვნება. თვითოეული მათგანი ჯიშ-სახესხვაობის შემომტანის, ანდა შემომღების მაუწყებელია. სამწუხაროდ მათი სადაურობის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.

ამნაირად ორივე ქვე-ჯგუფში 28 სახელია, რომელთაგან 3 უთუოდ სხვაგნებურია.

საქართველოს მევენახეობის ზოგადი საკითხები და მისი საერთო შეფასება.

აქამდე გაწეული მთელი მუშაობა და კვლევა ძიება საშუალებას გვაძლევს ბოლოს ქართ. მევენახეობის ზოგადი საკითხების გადაჭრა და ამ დარგის საერთო შეფასებაც ვცადოთ.

თავი I. ყურძნის ჯიშების შედარებითი ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოს მეურნეობისათვის.

ყურძნის მრავალრიცხოვან ჯიშთაგან, რასაკვირველია, ყველას ერთნაირი მნიშვნელობა არ ჰქონია, ამიტომ უპირველესად ამ ჯიშების ეკონომიური ღირებულების გამორკვევას უნდა შევუდგეთ, სახელდობრ, თუ რომელ მათგანს საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაში რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ეხლაც. ამას-კი ერთი მხრით ამ ჯიშების დანიშნულების გათვალისწინება, მეორე მხრით, მათი გავრცელების არე გაგვაგებინებს, რადგან ცხადია, რომ, რაც უფრო დიდ მანძილზე და ფართოდ არის თვითოეული მათგანი გავრცელებული, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონია ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობისათვის, მით უფრო მაღალი ღირსების მქონებელი ყოფილა. გავრცელების არეს ცოდნა, ჯიშების სადაურობის გამოსარკვევადაც ბევრს აძლევს მკვლევარს.

§ 1. ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა სიმრავლის მიზეზი.

პ. ყანდურალოვს ისევე, როგორც სხვა აგრონომებსაც აღნიშნული ჰქონდათ, რომ საქართველოში ადამიანს ვენახებში გაშენებული ვაზების ჯიშის სახესხვაობათა სიმრავლე და ნაირნაირობა აკვირვებდა. ერთი მთავარი ჯიშის ვაზის გვერდით, რომელიც მრავლად მოიპოვებოდა, ყველგან ბევრი სხვა ჯიშის ვაზებიც, ან საკმაო რაოდენობით, ან ცოტა მაინც უეჭველად იყო ხოლმე.

პ. ყანდურალოვი ამბობდა, რომ ეს გარემოება შემთხვევითი არ იყო. მევენახეთა გამოკითხავს ამის მიზეზი და მიზანიც გაუგებინებია. ვენახებში გაშენებული ვაზების ნაირნაირობა იმით აიხსნება, რომ მევენახეებმა ტაროსისა და ბუნებრივი პირობების ცვალებადობა და უკულმართობისაგან მოსალოდნელი განსაცდელის შესაძლებლობა კარგად იციან და თანაც გამოცდილი აქვსთ, რომ ბუნებრივი პირობების ცვალებადობისა და მავნე გავლენისაგან ვაზის ყველა ჯიში ერთნაირად არ ზიანდება. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართველ მევენახეს უფრო გონივრულად მიაჩნდა, მთავარი ჯიშის გვერდით სხვა ჯიშისა და თვისების ვაზებიც დაერგო იმ რწმენით, რომ ზემოაღნიშნული განსაცდელის დროს მთელი ვენახი არ დაჰზიანებოდა და მოსალოდნელი სრული ეკონომიური ზარალი თავითგან აეცილებინა (პ. ყანდურალოვის Очерк ВгВд в Карталинии: СбСвВгВдК VIII, 50).

ქართველ მევენახეთაგან მოსმენილი ეს პასუხი და ვაზის ჯიშების სიმრავლის მიზანშეწონილობის დასაბუთება იმ მხრივაც არის საგულსხმო, რომ მევენახეობის ისტორიის მცოდნეს აქ მრავალსაუკუნოვანი წარსულის მემკვიდრეობისა და ანარეკლის განჭვრეტა შეუძლიან.

ამ თვალსაზრისით ცოდნისმოყვარე ადამიანისათვის რასაკვირველია საგულისხმო იქმნებოდა, თუ ეცოდინებოდა, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ რა სჯობდა და რა უფრო ხელსაყრელი იყო, რომ ვენახში მთლად მხოლოდ ერთი ყურძნის ჯიში ყოფილიყო დარგული, თუ მეურნეობისათვის უკეთესი იყო სხვადასხვა ჯიშის ვაზები გაეშენებინა, უკვე რომაელ აგრონომ კოლუმელლას ჰქონდა წამოყენებული და განხილული.

ამ საკითხს რომაელი აგრონომი ასე სწყვეტდა: ბრძენი მიწისმოქმედი მხოლოდ საუკეთესოდ მიჩნეულ ვაზის ჯიშს, სხვა ჯიშებთან შეურევლად, დარგავდა. მაგრამ უფრო შორს-გამჭვრეტელობა იქმნება (providentis est), რომ მეურნემ ვენახში სხვა ჯიშის ვაზებიც გააშენოს, რათგან არასდროს არ არის ხოლმე, რომ დარი და ჰავა იმდენად რბილი და ზომიერი იყოს, რომ ყურძნის რომელიმე ჯიში არ დაზიანდეს: თუ გვალვიანი წელიწადია, ნოტიობის მოყვარული ჯიში დაიჩაგრება, თუ ავდრიანია, მშრალ ჰავას მიჩვეული ჯიში ვერ გაიხარებს და სხვაც ამგვარადვე. დარისგან ათასნაირი ზიანის ჩამოთვლას რომ თავი დავანებოთ, ყოველთვის ისეთი რამე აღმოჩნდება, რაც ვაზს ავნებს. როდესაც ვენახში მხოლოდ ერთი ჯიში გვაქვს დარგული, მაშინ, თუ დაზიანდა, მთელი მოსავალი ხელითგან გამოგვეცლება, ხოლო როდესაც სხვადასხვა ჯიშის ვაზია გაშენებული, მაშინ რომელიმე ისეთი ჯიში უეჭველად აღმოჩნდება, რომელიც უდარობას აიტანს და მოისხამსო. მაგრამ, ამ მოსაზრების გამო, მეურნემ ყურძნის დარგული ჯიშები უკიდურესობამდე-კი არ უნდა გაამრავლოს, არამედ ერთი საუკეთესო, ძირითადი ჯიში ბლომად გააშენოს და კიდევ სამი, ან ოთხი

სხვა ჯიშ-თვისების კარგი ვაზებიც დარგას. ეს სრულებით საკმარისი იქნება, რომ მეურნემ თავისი ვენახის მოსავალი ჰავისა და დარის გავლენის ყოველგვარი შესაძლებელი უკულმართობისაგან საკმაოდ უზრუნველჰყოსო (De re rustica, lib. III, cap. 20).

ზემოაღნიშნულ გარემოებას გარდა, საქართველოს მევენახეობაში ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა სიმრავლე სხვა გარემოებითაც აიხსნება. ყურძენს სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა და ამიტომაც ვაზის გაშენებისას მევენახეს ყოველთვის ერთიდაიგივე-კი არა, არამედ რამდენიმე გასხვავებული მიზანი ჰქონდა დასახული. თუმცა საქართველოში ვაზს უმთავრესად ღვინის დასაყენებლად და საჭმელად აშენებდენ და აშენებენ ეხლაც, მაგრამ მისი სხვანაირად მოხმარებაც იცოდენ და იციან ეხლაც. სამწუხაროდ თავიანთ აღწერილობაში ამა-თუ-იმ ჯიშის სამეურნეო დანიშნულება ყველას არა აქვს დასახელებული. ამიტომ ჩვენც საშუალება არა გვაქვს მკითხველს **საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების** სრული **სამეურნეო** კლასიფიკაცია წარმოვუდგინოთ. არსებული ცნობებისდა მიხედვით-კი, ვაზის ნაყოფს საქართველოში, ან **საყურძნედ ხმარობდენ**: ე. ი. **საჭმელად**, ან **საჩამიჩედ**, გინდა **სამურაბედ**, თუ **საწნილედ**,— ანდა **საწურად** ხმარობდენ: **სამაჭრედ**, ან **საღვინედ**, ან **საბადაგედ**, თუ **საჩურჩხლედ**, დასასრულ **საჭაჭედაც-კი**.

საყურძნე **ჯიშ-სახესხვაობანი ორ ჯგუფად** შეიძლება დაიყოს: **ერთს** ისეთი ჯიშ-სახესხვაობანი ეკუთვნიან, რომელთა დიდიხნით შენახვა არ შეიძლება და **რომელთაც** ამის გამო **დამწიფებისთანავე ხჭამენ**, **მეორე** ჯგუფს კიდევ **გამძლე ჯიშები** ეკუთვნიან, რომელთა შენახვაც ხანგრძლივ შეიძლება და **რომელთაც** ამის წყალობით **მთელი შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში**, ზოგჯერ ზაფხულამდეც-კი **ინახავდენ ხოლმე საჭმელად**.

თვითოეული ზემოჩამოთვლილი სამეურნეო მიზნის მისაღწევად მევენახეს შესაფერისი თვისების ყურძნის ჯიში უნდა შეერჩია. მაგ. საჭმელი ჯიში ტკბილი, გემრიელი და სურნელოვანი უნდა ყოფილიყო, ნაზი ხორცი და კანიც ჰქონოდა, მხოლოდ ხანგრძლივ შესანახავად განკუთვნილს ამასთანავე გამძლეობაც მოეთხოვებოდა. პირიქით საჩამიჩედ, სამურაბედ, თუ საწნილედ შერჩეული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობისათვის ნაზ-ხორც-კანიანობის მაგიერ, სწორედ სქელი და საკმაოდ მომაგრო ხორც-კანი სჭირდებოდა, მაინცდამაინც არც დიდი სიტკბო უნდა ჰქონოდა და მით უმეტეს, არც წვენიანობა. სამაგიეროდ საბადაგო და საჩურჩხლე ყურძენი, რასაკვირველია, უაღრესად ტკბილ-წვენიანი უნდა ყოფილიყო და სხვა ყველა თვისებებს ამ შემთხვევაში მეორე-ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. საღვინე ყურძნისთვის სიტკბოც, წვენიანობაც და სურნელოვანებაც იყო საჭირო, თხელი კანი და ნაზი ხორცი უნდა ჰქონოდა. სამაგიეროდ ასეთ ყურძენს ხანგრძლივი გამძლეობის თვისება არ სჭირდებოდა. სიმჟავის ნაკლებობაც აუცილებელი პირობა იყო. სამაჭრედ განკუთვნილი ყურძნისათვის-კი პირიქით ზომიერ სიტკბოსთან ერთად სწორედ სიმჟავე იყო კარგი. საწური, სამაჭრე და საღვინე ისევე, როგორც საჭმელი ჯიშისათვის, რა თქმა უნდა, ყურძნის დამწიფების ხანასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: საჭმელად და სამაჭრედ ადრეული ჯიში უფრო მეტად ფასობდა, შედარებით მაღლობსა და გრილ ადგილებშიც საღვინედ, გინდა სხვა რაიმე დანიშნულებისათვის, ცხადია, მხოლოდ ადრეული ჯიშ-სახესხვაობანი იყო გამოსადეგი. პირიქით, დაბლობისა,

თბილი და ნოტიო ნიადაგისათვის საგვიანო ჯიშ-სახესხვაობანი სჯობდა, რათ-გან გვიან შემოდგომას ასეთ ადგილებში ჰავა უფრო მშრალია ხოლმე და ამის წყალობით ყურძენი დამწიფებისას ნოტიობისაგან არ ზიანდება. დასასრულ, მწა-რე გამოცდილებამ მევენახე დაარწმუნა, რომ ვაზის სხვადასხვა ჯიში სხვადასხვა ავადმყოფობას ერთნაირად კარგად ვერ უწევს წინააღმდეგობას: ზოგი ერთ ავად-მყოფობას უძლებს, მეორისაგან საგრძნობლად ზიანდება, ზოგი-კი გამძლეობით დანარჩენებს სჯობნის.

უეჭველია მევენახეს ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ვაზის გაშენების დროს უნდა გაეთვალისწინებინა, მაგრამ, რაკი ვაზის არცერთი ისეთი ჯიში არ არსებობს, რომელსაც ყველა ზემოდასახელებული თვისებები გააჩნდეს და იშვია-თია, რომ ორი, მით უმეტეს სამი თვისება ერთად ჰქონდეს, ამიტომაც მევენა-ხეს თავის სხვადასხვა მიზნის მისაღწევად სხვადასხვა სათანადო ჯიშ-სახესხვაო-ბანი უნდა შეერჩია და გაეშენებინა. უკვე ზემოთაღნიშნული გარემოების შემ-დგომ, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო, რომელმაც ქართველ მევენახეს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნევინა თავისს ვენახსა, ან და ზვარში, ერთი ჯიშის ვაზის დარგვის მაგიერ, იმდენი და იმ ჯიშ-სახესხვაობის ვაზი გაეშენებინა, რამდენიც და რომელიც-კი მისს სამეურნეო მიზნებს და ნიადაგ-ჰავის თვისებებს უფრო შეეფერებოდა და ტაროსის მოსალოდნელი უკუღმართობით მიყენებულ ზიანს ნაკლებ აგრძნობინებდა.

ამის შემდეგ შესაძლებელია საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სამეურნეო-დანიშნულებითი და სხვა თვისებებისდა მიხედვით კლასიფიკაციის შედგენაც ვცადოთ. ყველა ცნობების უქონლობის გამო, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ქვემომოყვანილი სიები სრული არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ ყველა ცოტად-თუ-ბევრად მნიშვნელოვანი ჯიშ-სახესხვაობა იქ მაინცდამაინც აღნუსხული უნდა იყოს.

§ 2. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა კლასიფიკაცია სამეურნეო დანიშნულებისა და გამძლეობისდა მიხედვით.

I. საჭმელად განკუთვნილი ჯიშ-სახესხვაობანი.

1. საჭმელი ყურძნის ჯიშები:

ადრეული (კახ., ქართლ.)
ათინური თ. (გურ.)
ახალაკი შ. (შავშ.-კლარჯ.)
ბუდეშური (კახ. ქართლ. და მესხ.) ქართლში კარგია
ბუერა-ვაზი (გარე-კახ.)
განახარული (კახ.)
განჯის ყურძენი
გორულა (ქართლ.) ძალიან გამძლეა, აპრილამდე შეინახება
დევის-თვალაჲ (საინგ.)

დონდლლაბი, დონდლო, დლუდლუში (დას. საქ.)
თავკვერი (კახ.) შავიცა და თეთრიც
თითა თეთრიცა და შავიც, ყველგან საუკეთესოა
დედოფლის კითი (სამეგრ.)
თეთრი-ყურძენი (გურ.)
წმინდა-თეთრა (რაჭ.)
თხლაფაჲ (საინგ.)
კლარჯული თ. (გურ., აჭარ.), კარგი შესანახია
კრახუნა თეთრი (რაჭ.)
მელისკუდი, მელაკუდაი ყვითელი (საინგ., იმერ., რაჭ., შავშ.) კარგია
მერანდოჲ წით.-მოშავო (საინგ.)
მხარგრძელი შავი, თეთრ-ყვითელი (კახ.)
მწვანურა (შავშ.-კლარჯ.)
ორჯოხულა თეთრი და შავი (შავშ.-კლარჯ.)
პანეში (სამეგრ.)
სააბი შავი (ქართლ. და რაჭა)
საკმელაჲ მოყვ. (საინგ.)
სამარხი (გურ.) შავი, საუკეთესოა
სორექი შავი და თეთრი (შავშ.-კლარჯ.) საუკეთესოა და მთელ წელიწადს ინახება
ქეჩი-ემჯაგი (საინგ.)
ქველები შავი (სამეგრ.) კარგია
ქიშმიში თეთრი (კახ.) კარგია
შავი-თითა (ქართლ.) შესანახია
შირაზული, ანუ განჯური თეთრი
შიშველო (შავშ.-კლარჯ.)
ცხენის-ძუძუ შავი და თეთრი (მესხ., რაჭ., გურ., აჭარ., შავშე.)
წიალომინა თ. (შავშ. კლარჯ.)
წობანური (კახ.)
წყალთეთული (შავშ.-კლარჯ.)
ხარისთვალა შავი და თეთრი (კახ., ქართლ., აჭარ., გურ.), ანუ დონდლლაბი (იმერ).
ხევარდული თ. (შავშ.-კლარჯ.)
ხეივნის-ყურძენი (გარე-კახ.)
ხოფათური თ. (აჭარ.)
ჯანი შავი (იმერ., გურ.) ყურძენი გამძლეა
ჯინეში წითელი (აჭარ., შავშ.-კლარჯ.)
ჯუმუტა შავი (გურ.) შესანახია.

2. საჩამიჩე ჯიშები:

მელრია, ელია (კახ.)
მხარგრძელი (კახ.)
ქიშური თეთრი (კახ., ქართლ.)
ცხენის-ძუძუ ყვით.-მომწ. და შავი (კახ. და ქართლ.)

3. სამურაბე ჯიში:

რქა-ხუილა თ. (კახ.)

4. ყურძნის საწნილე ჯიშები:

ბუერა-ვაზი თ. (კახ.)
გორულა თ. (ქართლ.)
დონდღლაბი თ. (რაჭ.)
სააბი თეთრი და შავი (კახ., ქართლ.)
ცხენის-ძუძუ თეთრი და შავი (შავშ.-კლარჯ.)
ხარისთვალა თეთრი (ქართლ.)

II. ᲓᲐᲡᲐᲬᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲜᲘ.

1. სამაჭრე ჯიშები:

ნოშრიო შავი (რაჭ.)
სადადეგო თეთრი (იმერ.)
სამაჭრე თ. (იმერ.), სამაჭრია შავი (რაჭ., ლეჩხ.)
სამანჭრო შავი (სამეგრ. და გურ.) და თეთრი (გურ.)
წინწკვა თეთრი (იმერ.)
ხარდანი უჩა შ. (სამეგრ.)

2. ყურძნის სადვინე ჯიშები:

ადანასური
ალადასტური
აკიდო (იმერ.)
ალექსანდროული საუკეთესოა
არაგვისპირული (კახ.: მდარეა, ქართლ.: სასიამოვნო)
ახალაკი (შავშ.-კლარჯ.)
ბერაულა (რაჭ.) კარგია
ბუტკო
განახარული (ქართლ.) კარგია
გალმამხრული (ქართლ.) კარგია
გოდავათური (სამეგრ.) კარგია
გორულა (ქართლ.)
დანახარული (ქართლ.) მდარეა
დიღმური, ანუ სხვილმარცვალა, ანუ საბატონო (ქართლ.) კარგია
ზენათური (გურ.) კარგია
ზერდაგი (სამეგრ.) საუკეთესოა
თავკვერი (ქართლ.) შავი კარგია
თბილური (რაჭ.) კარგია
თეთრიშა (გურ.) კარგია
თეთრა (რაჭ.)
წმინდა-თეთრა (რაჭ., ლეჩხ.) კარგია
წულუკიძის თეთრა (რაჭ.) საუკეთესოა

კამური შავი და თეთრი (იმერ., გურ.), თეთრი კარგია, გამძლე ღვინო იცის.
კაპისტონი, კაპიტო შავი და თეთრი (კახ., ქართლ., იმერ., რაჭ., ლეჩხ. და გურ.) კარგია
კასპური (ქართლ.) კარგია
კატური (ქართლ.) სურნელ. ღვინო იცის.
კიკაჩა შავი (სამეგრ.) კარგია
კრახუნა ყვით. (იმერ., რაჭ.) კარგია
კუდურაული, ანუ კიდორაული (რაჭ.) კარგია
კუნძა თეთრი (იმერ.) მდარეა
ლაგილური შავი (სამეგრ.) კარგია
მაისა თეთრი (იმერ.) მდარეა
მახვატელი, ანუ ოხვატუ (სამეგრ.)
მოკლე-მტევანა ყვითელი (კახ.) კარგია
მტევანდიდი (აჭარ., გურ.) შავი კარგი და გამძლეა
მტრედისფეხა შავი (ქართლ., გურ.), ტოროკუჩხი (სამეგრ.) კარგი მოსავლიანია (გურ.)
მცვივანი (კახ., რაჭ., გურ.) საუკეთესოა
მწვანე (კახ., ქართლ., იმერ., რაჭ., ლეჩხ., აჭარ.) საუცხოვოა
ოყურეშული შავი (რაჭ.) კარგია
პანეში შავი (სამეგრ.) მდარეა
პარტალა თეთრი (კახ. და ქართლ.) და შავი (ქართლ.) მდარეა
პოვნილი შავი (აჭარ.) საწურია
პუმპულაში შავი (სამეგრ.) სურნელოვანია
რკო (ქართლ., იმერ., რაჭ.) შავი და თეთრი (რაჭ.) მდარეა
რცხილათობანი შავი (იმერ.), რცხილა (რაჭ.) შავი, კარგია
რქაწითელი თეთრი (კახ., ქართლ., რაჭ., ლეჩხ.) საუკეთესოა
სააბი შავი (რაჭ.) საუკეთესოა
სადმელური თეთრი (რაჭ.) საუკეთესოა
საკმელა მოყვითანო (რაჭ. და გურ.) კარგია
სალიკლევი შავი (შავშ.-კლარჯ.)
საფერავი შავი (კახ., ქართლ., იმერ., რაჭ., გურ. და შავშ.-კლარჯ.) საუკეთესოა
სალვინე შავი (მესხ.)
საწური შავი (აჭარ.)
სხილათობანი შავი (გურ.) კარგია
უწყვეტი თეთრი (რაჭ.) მდარეა
ფერადი წითელი და შავი (ქართლ.) კარგია
შაბია, შაბა თეთრი (კახ., ქართლ.) მდარეა
შონური, ანუ ოჯალეში (სამეგრ.) საუკეთესოა
ჩერგვალი თეთრი (სამეგრ.) საუკეთესოა
ჩეში თეთრი (სამეგრ.) კარგია
ჩინური მოქარვისფერო (ქართლ.) საუკეთესოა
ციცქო თეთრი (იმერ., რაჭ.) საუკეთესოა
ცოლიკაური ქარვისფ.-მომწვ. (იმერ., რაჭ.) საუცხოვოა
ძელშავი შავი (ქართლ., იმერ., რაჭ., გურ.) საუცხოვოა

წიალომინა თეთრი (გურ.)
წითლიანი წითელი (გურ.)
წობენური თეთრი (კახ.) კარგია
წყალთეთული (შავშ.-კლარჯ.)
ჭვიტილური თეთრი (სამეგრ.)
ჭითაში წით. (სამეგრ.)
ხალთური შავი (შავშ.-კლარჯ.)
ხარდანი შავი (სამეგრ., გურ.) და თეთრი (სამეგრ.)
ხარისთვალა თეთრი (ქართლ.) კარგია
ხიხვი თეთრი (კახ.) საუკეთესოა
ჯანი შავი (იმერ., გურ.) საუცხოვო, გამძლე ღვინო იცის.
ჯღე (შავშ.-კლარჯ.)

3. სატკბილე, ანუ საბადაგო-საჩურჩხლე ჯიშები:

ბუერა-ვაზი ყვითელი (კახ.)
თავკვერი თეთრი (კახ.)
მხარგრძელი (კახ.)
ქიშური თეთრი (კახ., ქართლ.)
ცხენისძუძუ ყვით.-მომწ. (კახ.)

4. საჰაჰე ჯიში:

სამჰაჰა (იმერ. თეთრი, გურიასა და სამეგრ. შავი)

III. ჯიშ-სახესხვაობათა სამეურნეო და გამძლეობის თვისებანი.

1. ყურძნის ადრეული ჯიშები:

ადრეული (კახ., ქართლ.)
ადრიანი (ქართლ.)
ბელია (იმერ.)
ბუზის, ანუ საბუზე ყურძენი (ქართლ.)
თავკვერი შავი (კახ.)
თითა (კახ.)
კაპისტონი ყვით. (იმერ.)
მოკლე-მტევანა ყვით. (კახ.)
მცვივანი (კახ.)
ქიშმიში თეთრი (კახ.)
ძელშავი შ. (ქართლ.)
წობანური (კახ.)
ხარდანი უჩა შ. (სამეგრ.)
ხარისთვალა (კახ. და ქართლ.)
ხიხვი თეთრი (კახ.)

2. ყურძნის საგვიანო ჯიშები:

გოდაეათური შ. (სამეგრ.)
რკო (რაჭ.) თეთრი და შავი

საგვიანო ქლია (კახ.)
სვანური, ანუ შონური, ანუ ოჯალეში (სამეგრ.)
ღორისთვალა თეთრი (გურ.)
შირაზული, ანუ თეთრი განჯური
ციცქა (რაჭ.) თეთრი
ქვიტილური თეთრი (სამეგრ.)

3. ყურძნის უხვ-მოსავლიანი ჯიშები:

ადრიანი, ანუ ანდრეული (ქართლ.)
ალექსანდროული შ. (რაჭ.)
ბერაულა თ. (რაჭ.)
ბუდეშური (კახ.)
ბუზის, ანუ საბუზე ყურძენი (ქართლ.)
თავკვერი შავი (ქართლ.)
კუმსი (კახ.)
მელრია (კახ.)
მტრედისფეხა შავი (გურ.)
მცვივანი (კახ.)
მწვანე (კახ.)
რკო შავი (ქართლ., იმერ., რაჭ.) ძალიან ნაყოფიერია.
რქაწითელი (კახ., ქართლ., რაჭ., ლეჩხ.)
საფერავი შავი (კახ., ქართლ. და სხვაგან)
შაბა თ. (ნაყოფი ბევრი იცის, მაგრამ წვენიანი არ არის)
ჩინური მოქარვისფერო (ქართლ.)
ციცქო თეთრი (იმერ., რაჭ.)
ძელ-შავი (ქართლ., იმერ., რაჭ., გურ.)
ხარისთვალა შავი (ქართლ.)

4. გამძლე ჯიშები:

ალადასტური შ. (გურ.) სოკოვან ავადმყოფობისადმი
ალექსანდროული
განახარული (კახ., ქართლ.)
დანახარული (ქართლ.) სიცივეს და სოკოვან ავადმყ. კარგად იტანს.
თავკვერი (კახ.)
მელია (ქართლ.) ოიდიუმისგან არ ზიანდება
მტრედისფეხა (შ. გურ.) ნაცრისადმი
მწვანე (კახ., ქართლ.) ავადმყოფობისადმი
მწვანურა (შავშ.-კლარჯ.)
ორჯოხული თ. (შავშ.-კლარჯ.)
რკო შავი (ქართლში სიცივის გამძლეა, მაგრამ სოკოვ. ავადმყოფობისაგან ზიანდება, იმერეთში სოკოვან ავადმყოფობასაც უძლებს).
რქაწითელი თეთრი (კახ., ქართლ., რაჭ., ლეჩხ.)
საფერე ოცხანური სიცივისა და სოკოვ. ავადმყოფობისადმი
საწური შ. (აჭარ.) სოკოვან ავადმყოფობისადმი
სვანური, ანუ შონური (სამეგრ.), კრაქი და ობი ნაკლებ ეკიდება.

ჩინური მოქარვისფერო (ქართლ.)
ციცქო თეთრი (იმერ., რაჭ.) ხანგრძლივ ისხამს ნაყოფს.
ცოლიკაური ქარვისფ.-მომწვანო (იმერ., რაჭ.) სნეულებისადმი
ხარდანი უჩა შ. (სამეგრ.)
ხარისთვალა შავი (ქართლ.) სოკოვან ავადმყოფობისადმი

ზემომოყვანილი სიებითგან ჩანს, რომ მთელ საქართველოში 45 საჭმელი ჯიშ-სახესხვაობაა, 4 საჩამიჩე, 1 საშურაბე და 6 საწნილე ჯიშ-სახესხვაობა არის. ხოლო დასაწურავად განკუთვნილ ჯიშ-სახესხვაობათაგან 5 სამაჭრეა, 76 სიღვინე, ჩ სატკბილე (საბადაგო-საჩურჩხლე) და 1 საჭაჭე.

სამეურნეო და გამძლეობის თვისებათა თვალსაზრისით 15 ადრეული, 8 საგვიანო, 19 უხვ-მოსავლიანი და 20 გამძლე ჯიშ-სახესხვაობა არსებობს.

ეს რიცხვები ცხადჰყოფენ, რომ ჩვეულებრივი შეხედულება, ვითომც საქართველოში მევენახეობის მიზანს მხოლოდ მეღვინეობა შეადგენდეს, სწორე არ არის. 45 საჭმელ ჯიშ-სახესხვაობას საღვინე ჯიშ-სახესხვაობათა საერთო რაოდენობა 76 ერთიორადაც-კი ვერ სჭარბობს. მართალია მხოლოდ, რომ ქართველი მევენახე საჭმელი ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა მოშენებას ისე ინტენსიურად არ მისდევს, როგორც საწური ჯიშებისას, რათგან ყურძნის ბაზარში გასაყიდად გატანას ის არც ეტანება და არც ხელსაყრელად სთვლის, ამიტომ არც იმეტებს. სამაგიეროდ შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭმელი ყურძნის ჯიშები საკმაოდ გააჩნდა.

საგულისხმოა საჭმელი და საღვინე ჯიშ-სახესხვაობათა რიცხობრივი რაოდენობა საქართველოს სხვადასხვა თემში.

საჭმელი ჯიშ-სახესხვაობა: საინგილოში — 6-ია, კახეთში 12, ქართლში 8, მესხეთში 3, იმერეთში 4, გურიაში 8, სამეგრელოში 4, რაჭაში 5, აჭარაში 3 და შავშეთ-კლარჯეთში 13.

საღვინე ჯიშ-სახესხვაობათა რიცხვი უდრის: კახეთში 10-ს, ქართლში 20, მესხეთში 1, იმერეთში 16, რაჭაში 24, ლეჩხუმში 3, გურიაში 13, სამეგრელოში 14, აჭარაში 4 და შავშეთ-კლარჯეთში 5-ს.

ზემომოყვანილითგან ცხადი გახდება, რომ საჭმელი ჯიშები იქ არის გაბატონებული და იქა სჭარბობს, რომელ თემშიც მაჭმადიანობა გავრცელდა და განმტკიცდა, მაგ. მესხეთის 4 ქართ. ჯიშთაგან 3 საჭმელია და მხოლოდ 1-ია საწური. შავშეთ-კლარჯეთშიც 13 საჭმელი ჯიშია და მარტო 5-ია საწური. აჭარაში-კი 3 საჭმელია და 4 საწური. მაგრამ ამ თემთა მევენახეობაში სასაწური ყურძენიც უმთავრესად სამაჭრედ უნდა ვიგულისხმოთ.

აღსანიშნავია კახეთში საჭმელ ჯიშთა სიმრავლე, 12 იმ დროს, როცა საღვინე ჯიშთა რიცხვი 10-ია. პირიქით, ქართლში საჭმელი ჯიში მხოლოდ 8-აა, საღვინე ჯიშთა რაოდენობა-კი 20 უდრის. მაგრამ ამ შემთხვევაში ადამიანს უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს, რომ კახეთი ქართლზე გაცილებით უფრო მომცრო თემია და რომ კახეთში საუკეთესო საღვინე ჯიშებია შერჩეული, რომელთა გავრცელების ფართობი საჭმელი ჯიშებისას შეუდარებლად სჭარბობს.

საგულისხმოა აგრეთვე საღვინე ჯიშ-სახესხვაობათა გასაოცარი ოდინდელი სიმრავლე ისეთ პატარა თემში, როგორიცაა გურია, სადაც 18 იყო, და მეტადრე რაჭა, რომელიც თავისი 24 საღვინე ჯიშ-სახესხვაობით თითქოს

ამპელოლოგიურს საცდელ ვენახს წარმოადგენდა. დასასრულ, სამეგრელოშიც სალვინე ჯიშ-სახესხვაობათა რიცხვი (14) საჭმელ ჯიშებს (4) თითქმის ოთხჯერ აღემატება.

შესაძლებელია ითქვას, **რომ იმერეთსა, რაჭასა და სამეგრელოში უმთავრესად სალვინე ჯიშ-სახესხვაობას ეტანებოდენ.**

ადრეული ჯიშების რიცხვი 15, საგვიანო ჯიშებს, 8-ს, თითქმის ერთიორად სჭარბობს. სხვა თემებზე მეტად საადრიო ჯიშები კახეთსა ჰქონდა, სადაც 9 იყო, ქართლში-კი მხოლოდ 5 არსებობდა და იმერეთს 2 გააჩნდა.

სამაგიეროდ საგვიანო ჯიშები, როგორც მოსალოდნელიც იყო, **უმთავრესად დას. საქართველოს მევენახეობის კუთვნილებაა და ყველაზე მეტად სამეგრელოში იყო.**

ამას გარდა **საგულისხმოა გამძლე ჯიშების საკმაო (20) რაოდენობაც.** ეტყობა, რომ ქართ. მევენახეს ამ გარემოებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევია და გამძლე ჯიშ-სახესხვაობათა შექმნა-შერჩევისათვის ხანგრძლივი დაკვირვება და მუშაობა უნდა ჰქონდეს შელეული.

თავის ადგილას (იხ. აქვე გვ. 512) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მთელ საქართველოში სულ 250 ყურძნის ჯიშია ცნობილი. საგულისხმოა, რომ აქეთგან **ამიერ-იმიერი მევენახეობის საერთო ჯიშების რაოდენობა 23-ს არ აღემატება.**

მხოლოდ აღმ. საქართველოში გავრცელებულ ჯიშთა რიცხვი-კი 57 უდრის, აქეთგან 8 ამერეთის საერთო ჯიშია, 3 მარტო ჰერეთისაა, 33 კახეთისაა, 12 ქართლისაა და 1-იც მესხეთისა.

მხოლოდ დას. საქართველოში ცნობილ ჯიშთა საერთო რაოდენობა 152 შეადგენს. აქეთგან 16 ლიხთ-იმერეთის ზოგადი ჯიშია, 29 ორ-ორ თემში მოიპოვება, 11 მარტო იმერეთისაა, 24 რაჭისა, 13 ლეჩხუმისა, 26 ეგრისის, 14 გურიის, 9 აჭარისა და 11-იც შავშეთ-კლარჯეთისაა.

18 ჯიშის სახელი სათუოა, ან გავრცელების არეს მხრივ, ან სხვა მოსაზრებით და ამის გამო სათვალავში მისაღები არ არის. ამნაირად გავრცელების არეს თვალთსაზრისით ყურძნის ჯიშთა საქართველოს მევენახეობისათვის შედარებითი ეკონომიური ღირებულების საკითხის გამორკვევის დროს შესაძლებელია მხოლოდ 232 ჯიშის შესახები ცნობები გამოვიყენოთ.

ამ 232 ჯიშთაგან მარტო 23-ია, როგორც დავრწმუნდით, მთელი საქართველოს ზოგადი ჯიში. 8 მხოლოდ ამერეთის საერთო ჯიშია და 16 მხოლოდ ლიხთ-იმერეთის ასეთივე თვისების ჯიშია. დანარჩენი 185 ჯიშის გავრცელების არე ორი, უფრო ხშირად თითო თემის საზღვრებს არა სცილდება. ამნაირად მთელი საქართველოს ყურძნის ზოგადი ჯიშები 9,9%-ს შეადგენს, აღმ. საქართველოს ზოგადი ჯიშები 3,4%-ს და დას. საქართველოს 6,8%-ს, ხოლო ორ-თითო თემის ჯიშთა რაოდენობა 79,3% ოდნავ აღემატება.

მარტო ამ ყურძნის ჯიშებისა და სახესხვაობათა გავრცელების არეს ზემომოყვანილი ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვითგანაც ნათელი შეიქმნებოდა **თვითოეული ამ ჯგუფთაგანის ეკონომიური მნიშვნელობა ქართველი ხალხის მეურნეობაში.**

ცხადია, რომ სრულიადი საქართველოს მევენახეობის ეკონომიური კეთილდღეობისა და შემოსავლიანობის საფუძველი უპირველესად ზოგადი 23 ჯიშია, ხოლო შემდეგ ამერეთის საერთო 8 და ლიხთ-იმერეთის საერთო 16 ჯიში არის. დანარჩენის ეკონომიური მნიშვნელობა ვიწროდ არის შემოზღუდული.

§ 3. შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრი საქართველოში.

მევენახეობა-მეღვინეობისათვის საქართველოს ყოველი თემი და კუთხე თანასწორად გამოსადეგი და მარჯვე არ იყო. ზოგი თემის ნიადაგიცა და ჰავაც სასოფლო მეურნეობის ამ დარგისათვის საუკეთესოა და ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი სამშობლოს ეს ადგილები მევენახეობის მთავარ არედ ქცეულიყვნენ. ამას გარდა, ქვეყნის ყოველი კუთხე ერთნაირად არ იღებდა და არ იღებს სამეურნეო ცხოვრების წარმატებაში მონაწილეობას: ზოგი მათგანი თაოსნობდა და ახალსა ჰქმნიდა, ანდა უცხოეთიდგან შემოტანილს თავისი ქვეყნის ნიადაგსა და ჰავასთან შეგუებინებას ცდილობდა, უცხოს გაადგილობრივებას ახერხებდა, ზოგი-კი ყველა ამას მზა-მზარეულად ითვისებდა ხოლმე. პირველს უნდა შემოქმედებითი მევენახეობა ეწოდოს, მეორე-კი პასიურია.

საქართველოს რომელი თემი და კუთხეა მევენახეობის ცენტრი ამჟამად, კარგად არის ცნობილი, მაგრამ საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარმაც უნდა გამოარკვიოს, თუ სად იყო შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრი ძველად.

ეკონომიური და კულტურული ისტორიის ამ მნიშვნელოვანი საკითხის გამორკვევა, სიძნელისდა მიუხედავად, მაინც შესაძლებელია. ამის საშუალებას ადამიანს ერთის მხრით ხადაურობის აღმნიშვნელი ყურძნის ჯიშების სახელები აძლევენ, რომელნიც საქართველოშიც ბლომად მოგვეპოვება, მეორე მხრით მათი გავრცელების ფართობის საზღვრებისა და ინტენსივობის მიმართულების გათვალისწინება. ამ ორსავე საკითხზე უკვე გვქონდა მსჯელობა და ამის წყალობით აქ შეგვიძლიან პირდაპირ ზემოდასახელებული ამოცანის გადაჭრას შევუდგეთ.

ყურძნის ჯიშთა შემოქმედებითი ცენტრის გამორკვევის დროს გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ ბერძულა, განჯის ყურძენი, დევისთვალაჲ, ზერდაგი, კატური, მერანდოლა, პუმპულაში, სააბი, სორექი, ქეჩი-ემჯაგი, ქიშმიში, შანთი, შირაზული თავდაპირველი წარმოშობილობით, ჩხაბერძული, ხეივნისყურძენი და ჯანი ქართული-კი არა, არამედ უცხოეთის ჯიშებია. ამიტომ მათი 16 სახელი საერთო რიცხვს უნდა გამოვაკლოთ.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ 67 ყურძნის ჯიშსახესხვაობათა სახელის აღმნიშვნელობა, ან გაუგებარია, ანდა ხადაურობის მხრითაა სათუო[1].

---

[1]) აი ასეთი სახელების სია: ანადასური, ანდა ალადასტური, არაბოული, ასანბეგური, ახალეკი, ბეჟანაურა, ბერბეშო, ბულღვა, გაბაშა, განახარული, გოდავაძური, გორგოული, გოროთანა, გრეხი, დაქცეული, ეგორძული, ზენათური, თხმორული, თქვ: ფუნა, კეთილური, კიდორაული, კიკაჩა, კორძალა, კუტალა. ლაგილური, ლიკანა-ყურძენი, მაბრა (თუ მაურს არ უდრის), მაგანაყური, მაისა, მაკურენჩხი, მანდიკოური, მობაზური, მუხიშხა, მჭვარტალა, ნაგუთნეული (თუ ნაკუთნეული), მატანაური, ოპოპი, ორონა, ოქონა, პანეში, პარტკალა ანუ პარტალა, პოვნილი, სათიბა, საკვირჩხილა, სალიკლევი, სამადაშვილისეული, სიმონასეული, ტოვანი, ტოპა, ტუტაში, ქველოური, ღარასულა, ჩაქვინაური, ჩოკმაშურა, ჩხოროკუნი, ცარცხია, ცხერო, ძუვანი, წვიტე, წინწკვა, წიწილიანი, ჭოდი, ჭიჭინაური, ჭროჭინა, ჭყარტალა, ხარასულა, ხროგი და ჯინეში.

ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა იმ სახელებისდა მიხედვით, რომელთაც სადაურობა აღბეჭდილი აქვთ, 6 **კახურია (წობანური, გავაზური, ობაყლური, გალმამხრული, კახურა და არაგვისპირული)**. მაგრამ კახური ჯიშების ნამდვილი რაოდენობის გამოსარკვევად, უნდა ის გარემოებაც გვქონდეს გათვალისწინებული, რომ კიდევ არა ერთი სახელი არსებობს, რომელიც საქართველოს ზოგად ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის, თუმცა სადაურობის აღმნიშვნელი არ არის, მაგრამ რომელთა სადაურობის ცენტრი მათი გავრცელების არესა და ინტენსივობის მიმართულებისდა მიხედვით სრულებით ცხადია. მაგ. ცნობილია, რომ **საუკეთესო ზოგადი ჯიშები რქაწითელი, საფერავი, მწვანე და მცვივანი ყველაზე მაღალი ღირსებისა სწორედ კახეთშია, ყველაზე ინტენსიურადაც ესენი სწორედ ამ თემშია გავრცელებული და დასავლეთის მიმართულებით მათი გავრცელების ინტენსივობა მცირდება**. ამის გამო ეს 4 **ჯიშიც** შესაძლებელია შეუმცდარად **კახური ჯიშების ჯგუფს** მივაკუთნოთ.

დასასრულ, თავის ალაგას (იხ. აქვე გვ. 497) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ **ბუდეშურიც** აღმ. საქართველოს ჯიშად არის საგულისხმებელი და უფრო **კახეთის წარმოშობილადვე არის მისაჩნევი**, სადაც იგი ყველაზე ადრეულ ჯიშად ითვლება (იხ. გვ. 410—411).

ამნაირად **კახური ჯიშების რიცხვი 11 უდრის**.

უეჭველია, ძველად **ჰერეთს** თავისი ჯიშები ბლომად ექმნებოდა, მაგრამ ეხლა მხოლოდ 1, **ქიშური**-ღა, ჩანს.

ქართლურ ჯიშებად სულ 7-ია მისაჩნევი: დილმური, კასპური, დამპალა გორულა, ქართულა და თბილული. ამათ გარდა **თავკვერიც** უეჭველია აქაურივეა.

სამცხის ჯიშთაგან მხოლოდ 1, **საათაბაგოდ** წოდებული, არის გადარჩენილი.

იმერული (არგვეთის და სამოქალაქოს) 6 **ჯიშია: ოცხანური, არგვეთული, ცოლიკაური, ციცქა, მუყურეთული, მაური**.

რაჭული 2 ჯიში ჩანს: ხოტევური და უსახელაური.

ლეჩხუმური 3 ჯიშია: ოყურეშული, საირმულა და ორხულა.

ეგრისის ჯიშთაგან სადაურობის მაუწყებელ სახელთა შორის **მხოლოდ 2-ია: კეთილური და მეგრელაური**. მაგრამ ამ თემის წვლილი საქართველოს მევენახეობაში გაცილებით უფრო დიდია. **ამ რიცხვს**, უეჭველია, **არაერთი სახელიც უნდა მივათვალოთ**, რომელთაც, თუმცა სადაურობის გამომჟღავნებელი ფორმანტები არა აქვთ, მაგრამ **რომელთა უკვე თვით სახელიც თავისი შინაარსით, თუ გრამატიკული თვისებებით მათს იქაურობას უცილობლად ამტკიცებს**.

ყურძნის ჯიშთა სახელების ასეთ ჯგუფს **ეკუთვნის სულ 6: ოჯალეში** (ლეჩხუმში),—**ჩუპეში, კოლოში** და **თეთრიშა** გურიაში და **ჯინეში და ჩიჟიჟი** აჭარაში.

ამნაირად **ეგრისის ჯიშთა საერთო რიცხვი 8-აა**.

სვანური მხოლოდ 1, **შონურად** წოდებული, ჯიში ჩანს, ისევე როგორც **აბხაზურად** სახელდებულიც მარტო ერთია.

3 ჯიში გურულია: ბახვა, რცხილათოობანი და წიაღომინა.

1-ია აჭარულიც: ქედური.

შავშეთ-კლარჯეთის ჯიში-კი 4 ჩანს: შავშურა, კლარჯული, ორჯოხული და წყალთეთული.

დასასრულ ჭანეთითგან ჩვენს მევენახეობას 4 ჯიში აქვს შეთვისებული: კაპისტონი ანუ კაპიტო, ოფოურა, ათინური და ქვაფათური ანუ ხოფათური.

ზემომოყვანილი რიცხობრივი ცნობები, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი მევენახეობის ცენტროს გამოსარკვევად მთლად საკმარისი არ არის, რათგან ყურძნის ჯიშთა ამპელოგრაფიული თვისების სახელწოდებათა უმეტესი ნაწილი უეჭველია ქართული ჯიშების სახელებია, ეს ჯგუფი-კი ზევით სათვალავში არ ჩაგვიგდია. მაგრამ ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ მათი სახელებისდა მიხედვით თვითეული მათგანის წარმოშობისა და ამა თუ იმ თემისათვის მიკუთვნილობის საკითხის გადაწყვეტა ამჟამად შეუძლებელია. ზოგი მათგანი უხსოვარი დროისა უნდა იყოს, როდესაც ტომობრივი და თემობრივი დანაწილება მერმინდელისა და ეხლანდელისაგან ძალზე განსხვავებული იყო.

ყველა ზემოდასახელებული ნაკლისდა მიუხედავად, მოპოვებული შედეგი მკვლევარს მაინც დაახლოვებითი დასკვნის გამოყვანის საშუალებას აძლევს. აშკარად გამოირკვა, რომ კახეთსა და ჰერეთს 12 ჯიში მიეკუთვნება უცილობლად, ქართლს 7, მესხეთს 1, იმერეთს 6, რაჭას 2, ლეჩხუმს 8, სვანეთს 1, ეგრისს 8, აფხაზეთს 1, გურიას 3, აჭარას 1, შავშეთ-კლარჯეთს 4 და ჭანეთს 4.

ამ რიცხობრივი ცნობების სრული სისწორით შეფასების დროს უეჭველია უნდა გვახსოვდეს, რომ შემოქმედებითი ცენტრის გამოსარკვევად მარტო ჯიშთა რაოდენობას-კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ამ ჯიშების გავრცელების ფართობსაც.

კახეთსა და ეგრისს დანარჩენ თემებზე მეტი ჯიშები მიეკუთვნება, უკანასკნელი რიცხობრივადაც პირველს დიდად არ ჩამოუვარდება, ქართლსაც ოდნავ ნაკლები შეუქმნია, მაგრამ იმ დროს, როდესაც კახეთის ჯიშთა უმეტესობა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და ზოგად ჯიშებად იქცა, ქართლის ჯიშების უმეტესობა ქართლს არა სცილდება, იმერეთისა და ეგრისის ჯიშების არეც მხოლოდ ერთი-ორი თემის ფართობით განისაზღვრება. თუ მკვლევარი ამ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას გაითვალისწინებს, მაშინ უცილობელი შეიქმნება, რომ სრულიადი საქართველოს შემოქმედებითი მევენახეობის მთავარი ცენტრი კახეთი ყოფილა. დას. საქართველოში-კი პირველი ადგილი ეგრისს, მეორე არგვეთს და მესამე ჭანეთს ეკუთვნის, რომლის წვლილი იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ მთელ საქართველოში გავრცელებული კაპისტონი, ანუ კაპიტო სწორედ იქაური არის.

თავი II. ძველი საქართველოს მევენახეობის საერთო შეფასება და საბოლოო დასკვნა.

ქართული და უცხოეთის მევენახეობის ყოველმხრივი შესწავლისა და მიმოხილვის შემდგომ შესაძლებელიც არის და უნდა კიდეც ქართული მიწისმოქმედების ამ დარგის ზოგადს დახასიათებასა და საბოლო შეფასებასაც შევუდგეთ.

მევენახეობის დარგის განხილვის დასაწყისში აღნიშნული მქონდა ის დიდი დაბრკოლება, რომელიც ქართ. მევენახეობისა და ეკონ. ისტორიის მკვლევარს წინ ელობება და ისედაც საძნელო საქმეს ურთულებს: ერთი მხრით პრეისტორიული და არქეოლოგიური ნაშთების ჩვენში ამ თვალსაზრისით სრული შეუსწავლელობა, მეორე მხრით იმდენად ძველი წყაროებისა და აგრონომიული მწერლობის უქონლობა, რა დროისაც ნაწილობრივ ეგვიპტელებს, ებრაელებსა და ბერძნებს, მეტადრე-კი რომაელებს გააჩდათ.

ქართული წყაროებისა და ცნობების ხნიერების შედარებით მოგვიანებულობით წარმოშობილი ამ ნაკლულოვანების შესავსებად ქართ. მევენახეობის ტერმინოლოგიისა და ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ენათმეცნიერული ანალიზი მოვიშველიეთ და გამოვიყენეთ. მართალია, ამას ბევრი დრო და ენერგია შეელია, მაგრამ, ვინც ამ ნაშრომის სათანადო ნაწილს გულდასმით გადაიკითხავს, იმედია, დარწმუნდება, რომ ქართ. მევენახეობის ოდინდელი ვითარების გამოსარკვევად ასეთი მუშაობა არამც თუ ზედმეტი და უშედეგო არ ყოფილა, არამედ აუცილებლად საჭირო იყო: უამისოდ არაერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გამოურკვეველი და სრულებით გაუშუქებელი დარჩებოდა.

ვინც-კი რომაული მევენახეობის მიმოხილვას ჩაუკვირდება, იმ დიდ მუშაობასაც, რომელიც იქაურ ბუნებისმეტყველებსა და აგრონომებს ვაზის ყოველნაირი თვისებისა და გაშენება-მოვლის საუკეთესო პირობების გამოსარკვევად უწარმოებიათ, უეჭველია კარგად შეამჩნევს: ცოდნისმოყვარეობა, დაკვირვების უნარი და ბრძნული მსჯელობის ნიჭი აქ თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება.

უცხოეთის მევენახეობის თუნდაც ამ მოკლე მიმოხილვის გადამკითხველს ბუნებრივად დაებადებოდა სურვილი გაეგო, იყო რაიმე ამის მსგავსი მევენახეობა-მეღვინეობის ძველადვე ცნობილს საქართველოში, თუ ჩვენში წინათ მხოლოდ პრაქტიკული მუშაობა ყოფილა გაბატონებული. ამ საინტერესო კითხვის პასუხს ადამიანი გადარჩენილ წერილობითს ძეგლებში ვერსად იპოვის, მაგრამ სამაგიეროდ ზემოაღნიშნული მეთოდით წარმოებული კვლევა-ძიების შედეგი, მკვლევარს სიძნელეს ცოტად-თუ-ბევრად უადვილებს და პასუხის გაცემის საშუალებას ნაწილობრივ მაინც აძლევს.

უკვე ვაზისა და მისი ნაყოფის ისევე, როგორც მევენახეობის მეურნეობის დამახასიათებელი ქართ. ტერმინოლოგიის ანალიზი მკითხველს დაანახვებდა, თუ რაოდენი ყურადღებით მოჰპყრობია ქართ. მიწისმოქმედი ამ დარგს. ხოლო ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა მრავალრიცხოვანი სახელების აგებულება-აღმნიშვნელობის

ანალიზი და კლასიფიკაცია იმ დიდს სიყვარულსაცა და გონებამახვილი დაკვირვების ნიჭსაც აგრძნობინებდა, რომელიც ქართ. მევენახეს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, თაობითი-თაობამდე ამ ერთი ხეხილისათვის შეულევია. გადაუკარბებლად შესაძლებელია ითქვას, რომ იშვიათად თუ მოიძებნება ვაზ-ყურძნის თვისება, რომელიც მას არ შეემჩნიოს და ამა-თუ-იმ ჯიშ-სახესხვაობის დამახასიათებელ სახელად არ აღებექდოს. თუმცა ძველი ქართული აგრონომიული თხზულებები დაცული არა გვაქვს, წერილობითი, დანამდვილებითი ცნობები ასეთი დარგის თვით არსებობაზეც-კი არ მოგვეპოვება, მაგრამ განა ის მდიდარი და მრავალმხრივი ტერმინოლოგია და ვაზის მრავალრიცხოვანი ჯიშ-სახესხვაობათა არსებობა ისევე, როგორც მათთვის შექმნილი ნაირ-ნაირი სახელები, რომელთა მნიშვნელობაც უკვე საკმაოდ საფუძვლიანადა გვაქვს შესწავლილი, ვაზ-ყურძნის ყველა თვისების ხანგრძლივი და გულდასმითი დაკვირვების უცილობელი დამამტკიცებელი არ არის? ხომ ცხადი უნდა იყოს, რომ თავის ქვეყანაში ამოდენი ნაირ-ნაირი თვისებისა და სხვადასხვა ღირსების ვაზის შესაგროვებლად, შესაქმნელად და გასაშენებლად აურაცხელი ენერგიაცა და გულმოდგინეობით და მზრუნველობით აღსავსე ცოდნაც უნდა შეელია. შეგნებულად დასახულ მიზნებს გარეშე, ასეთი შედეგის მოპოვება შეუძლებელი იყო.

უეჭველია, რომ მევენახეობის დარგის ცოდნის სიტყვიერი ანარეკლი ყოველ ერს ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა სახლებშიც დაუცავს. თუმცა ბოტანიკურსა და ამპელოგრაფიულ მწერლობაში ჯიშ-სახესხვაობათა სინონიმებს ხშირად უჩივიან და კვლევა-ძიების გამართულებელ მეტ ბარგად მიაჩნიათ, მაგრამ სახელებისა და სინონიმების ანალიზმა უკვე დაგვარწმუნა, რომ არამცთუ სახელწოდებათა შორის არაფერი ზედმეტი და შემთხვევითი არ არის, არამედ მეცნიერებისათვის ყოველი სინონიმი საყურადღებოც არის და საგულისხმო გარემოების გამომჟღავნებელიც.

ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა სახელწოდებათა შორის ყველაზე მარტივი, რა თქმა უნდა, ფერისა და სადაურობის აღმნიშვნელი ჯგუფია, რათგან ასეთი სახელების დასარქმევად მევენახეს არც რაიმე განსაკუთრებული დაკვირვება და არც ცოდნა სჭირდებოდა. პირიქით მარცვლის, მტევნის და მეტადრე ვაზის მორფოლოგიური და ფიზიკური თვისებების აღმნიშვნელი სახელები მიწისმოქმედის დაკვირვების ნიჭის დამამტკიცებელია.

საქართველოში, როგორც დავრწმუნდით 250 სახელწოდებაა, მაგრამ მათ შორის 16 უცხოა და 67-ის სახელის აღმნიშვნელობა, ან სრულებით გამოურკვეველია, ან და სათუო. რაკი ამ ორსავე ჯგუფს მსჯელობის დროს, ცხადია, ვერ გამოვიყენებთ, ამიტომ 83 სახელი საერთო რიცხვს უნდა გამოვაკლოთ და ამნაირად მსჯელობა მხოლოდ 167-ზე უნდა იქნეს დამყარებული.

ამ რაოდენობითგან, როგორც დავრწმუნდით, 7 ვაზის ლერწის თვისების დამახასიათებელია, 20 მტევნის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკური თვისებისა და 28-ც მარცვლის ამავე თვისების აღმნიშვნელი სახელი გვაქვს. მაშასადამე წმინდა ამპელოგრაფიული სახელების საერთო რიცხვი 55-ს უდრის, ე. ი. საერთო რიცხვის $^1/_3$-ს, ანუ 32,9% შეადგენს. საბერძნეთის ყურძნის ჯიშთა 47 ცნობილი სახელწოდებითგან მხოლოდ 7, ანდა 8-ა წმინდა ამპელოგრაფიული ე. ი. $^1/_6$-ზე ოდნავ მეტი, ანუ 14,9%-ია.

აღსანიშნავია, რომ ყურძნის ჯიშების 49 სომხურ სახელს შორის 16 ამპელოგრაფიულია, ე. ი. $^1/_3$, ანუ 32,6%. ხოლო აზერბაიჯანის 60 თურქული სახელითგან 15-ია ამპელოგრაფიული, ე. ი. $^1/_4$, ანუ 25%. ამპელოგრაფიული სახელების ასეთი სიჭარბე საგულისხმოა და კავკასიის მევენახეობის ძველი კულტურის მარაგის გამომჟღავნებელია.

მაგრამ ქართულსა და სომხურ-თურქულ ამპელოგრაფიულ სახელებს შორის, რიცხობრივ მსგავსებასთან ერთად, თვალსაჩინო განსხვავებაც არის.

ამპელოგრაფიულ სახელთაგან მტევნის დამახასიათებელი სომხურს მხოლოდ 4 აქვს, რაც ამპელ. სახელების ჯგუფის მარტო $^1/_4$-ს შეადგენს, თურქულს-კი 7 და ქართულს 20 გააჩნია, რაც მათი ამპელ. სახელების მთელი ჯგუფის $^1/_2$-ს უდრის.

უეჭველია, ამაზე გაცილებით უფრო საყურადღებოა, რომ ამპ. სახელთაგან ქართულში 7 სახელი ვაზის ლერწის დამახასიათებელია, ბერძნულს სომხურსა და თურქულს-კი არცერთი ასეთი თვისების სახელი არა აქვს. ლათინურს მარტო ერთი მოეპოვება, ისიც ნაწილობრივ. ქართულს, როგორც დავრწმუნდით, ამასთანავე ვაზის სქესის განმსაზღვრელი 4 სახელიც-კი გააჩნია, რის არავითარი კვალიც-კი არც ბერძნულს, არც რომაულსა, არც სომხურში და არც თურქულში არა ჩანს.

ვგონებ უეჭველი უნდა იყოს, რომ ვაზის ლერწის დამახასიათებელი და სქესის განმსაზღვრელი სახელების მხოლოდ ქართულ მევენახეობაში არსებობა ისევე, როგორც მტევნის მორფოლოგიური და ფიზიკური თვისებების მაუწყებელი ქართ. სახელწოდებათა შედარებითი სიმრავლე და ნაირნაირობაც იმ დიდი და განსაკუთრებული ყურადღება-დაკვირვების დამამტკიცებელია, რომელიც ქართ. მიწისმოქმედს სახოფლო მეურნეობის ამ დარგისათვის მოუპყრია.

ზემოაღნიშნულ გარემოებასთან ერთად ქართული ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა ღირსებაც არის საყურადღებო. ვაზის ჯიშის ღირსება გარეგანი ჯიშის ნიშნის, მისი გავრცელების გეოგრაფიული ფართობისდა მიხედვით შეიძლება ადამიანმა გაითვალისწინოს, რათგან ცხადია, რომ, რაც უფრო ვრცელია ვაზის გაშენებულობის არე, მით უფრო მეტი ღირსების მქონებელად უნდა ვიგულისხმოთ და საქ. მევენახეობის ზოგადი ჯიშებიც ხომ ამ დებულებას ადასტურებენ[1]. ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ვაზის ზოგიერთმა ქართ. ჯიშ-სახესხვაობამ უცხოეთშიც შეხძლო შეჭრა: მათი მოშენება იქაურმა მევენახეებმაც მიიჩნიეს ხელსაყრელად.

თავ-თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ განჯის სანახებში რქა-წითელი, საფერავი და თავკვერი იყო გავრცელებული. სომხეთშიც, როგორც დავრწმუნდით, იგივე საფერავი საფერი-სა და საფელი-ს სახელით იყო ცნობილი. მაგრამ ზოგ თემში ქართ. ვაზის ჯიშებს სადაურობის მაუწყებელი სახელები აქვთ მიკუთვნებული.

საკუთრივ საქართველოს საზღვრების გარეშე გავრცელების თვალსაზრისით ასეთი სახელები უფრო საინტერესოა, რათგან მათს სადაურობას თვით მათი

---

[1] იზაბელა ამ შემთხვევაში მოსატანი არ არის, რათგან ის დას. საქართველოში მხოლოდ ფილოქსერას წყალობით გავრცელდა; მაგრამ მდარე ღირსებისდა მიუხედავად მასაც ფილოქსერისადმი გამძლეობამ შეუწყო ჩვენში ხელი.

სახელიც ამჟღავნებს. საქართველოს გარეშე სომხეთშიც, და შირვანშაჰების სამფლობელოში, განჯის სანახებშიც, მოიპოვებოდა *Կախեթու* **კახეთუ**, ე. ი. **კახეთის.** ასევე სახელდებული ყურძნის ეს ჯიში ნახჭავნის მაზრის ორდუბათის უბნისა და განჯის მაზრის სომეხთა მოსახლეობაშიც იყო წარსულ საუკუნეში გავრცელებული (იხ. Свод МИЭБГКЗК IV, 57).

არც დ ა ლ ბ ა შ ი ა ნ ს ა და არც ს. ა მ ა ტ უ ნ ი ს ეს სახელი არ მოეპოვება ა ჰ ა რ ი ა ნ ს-კი შეტანილი აქვს „*Կախեթ*" **კახეთ**-ის სახით. მისი ცნობით განჯის სომხ. დიალექტში იხმარება და ყურძნის ერთ სახეობას წარმოადგენს, **ფერით შავსა და თხელკანიანს** *(սև գույնով ու բարակ կեղևով)*, **რომლისგანაც ღვინოს აყენებენ და** რომელიც ქართველთა თემითგან კახეთითგან მომდინარეობს („*Հ. գաւառ. բառարան* 539"). ამ ცნობის. წყარო დასახელებული არ არის და ზემომოყვანილი განმარტებითგანაც არა ჩანს, რომ ა ჰ ა რ ი ა ნ ს ზ ე ლ ი ნ ს კ ი ს ნაშრომების შინაარსი, რომელიც ამ ჯიშის გეოგრაფიული გავრცელების გამოსარკვევად მკვლევარს უფრო მეტს აწვდის, სცოდნოდეს. აჰარიანის განმარტებაში ახალი და საყურადღებოა თვით ამ ჯიშის თვისებათა დახასიათება, რომლის მიხედვითაც საფიქრებელია, რომ **სომეხთა შორის კახეთის ყურძნის ჯიშად ცნობილი სახეობა,** ვითარცა შავი და თხელკანიანი, **უნდა საფერავის შთამომავალი ჯიში იყოს.**

ამას გარდა განჯის ყ. გუბერნიის შუშისა და ჯებრაილის მაზრების ანუ ყარაბაღის სომეხთა მოსახლეობაში გავრცელებული იყო ყურძნის ერთი ჯიში, რომელსაც *վիրենի* „**ვირენი**"-ს უწოდებდენ (კ ო ს ტ. მ ე ლ ი ქ - შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ც ი ს *Ուղեցույց գործնական գինեգործության* გვ. 85—86,—МИЭБГКЗК IV, ნაწ. 1 გვ. 306 და Свод МИЭБГКЗК IV, 58).

რაკი სომხები ქართველს **ვირძ**-ს უწოდებდენ (რომელიც ივერქ-ისაგან არის წარმომდგარი), ამიტომ **ვირენი** სამართლიანად იბერულად, ანუ ქართულად მიაჩნიათ, ს. ზ ე ლ ი ნ ს კ ი ც ამ აზრს იზიარებდა (იქვე).

ვირენი ს ჯიშის ყურძენი შავი, საშუალოდ რგვალ-მარცვლიანი და თხელკანიანია (ს. ა მ ა ტ უ ნ ი ს *Հ. բառ ու բան* 610)[1].

ამნაირად **ვირენი**-ს თვით სახელივე ამ ჯიშის ქართულობას ამჟღავნებს. რაკი ის შავი ყურძენი ყოფილა, საშუალოდ რგვალ-მარცვლიანი და თხელ-კანიანი, ეხლა ისღაა გამოსარკვევი, თუ ყურძნის რომელი ქართული ჯიშის შთამომავალი უნდა ყოფილიყო ეს **ვირენი**-დ წოდებული ყურძენი.

სომხური მევენახეობის მიმოხილვაში უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ქართ. **მელისკუდაჲსვე** ანარეკლს წარმოადგენს **მცლინკუტ**-ის ყურძნის ჯიშის სომხური სახელიც.

ქართული მევენახეობის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიასაც დასტყობია. სამწუხაროდ იქაური მევენახეობის შესახებ თავის დროზე საკმაო ცნობები არა ყოფილა შეკრეფილი, მაგრამ მაინც საგულისხმოა, რომ როგორც ჩანს, ქართული ტერმინი **წიდნა** იმიერ-კავკასიის მევენახეობასაც შეუთვისებია. მაგ. თერგის ოლქის ხასავ-ჲურტის უბანში, ახლად გაშენებული ბაგის. ვაზებს მესამე წლის შემდგომ გადაწიდნით ამრავლებენ, რასაც „თათრულად" (sic!) ადგილობრივ

[1] რომელიც მელიქ-შაჰნაზარიანცის ზემოდასახელებულ ნაშრომს ემყარება. ა ჰ ა რ ი ა ნ ს უფრო მოკლე აღწერილობა აქვს და წყაროც დასახელებული არ არის. არც ა მ ა ტ უ ნ ი და არც ა ჰ ა რ ი ა ნ ი **ვირენი**-ს აღმნიშვნელობაზე არას ამბობენ.

„**ზიტნა**" ეწოდებაო[1] (იხ. Очерк виноделия Кавказа: СБСвК III, 189). ახალი ვაზებით შევსება გადაწვენით იცოდენ ისე-კი, რომ იმ ადგილას ძირი გაეკეთებინა და ამოსულიყო, რის შემდგომაც გადაწვენილი ვაზის დედა-ვაზთან კავშირს სწყვეტდენ. დედა-ვაზს იქაური მევენახენი **ანავაზ**-ს, ე. ი. დედას უწოდებდენ („называются анаваз, т. е. матками), ხოლო გადაწვენილს—**ზცდნა**-ს[2] (იქვე III, 337). თავის ადგილას განმარტებული გვქონდა, რომ იმ ვაზს, რომლის ტოტსაც გადააწვენდენ ხოლმე **დედა-ვაზი** ერქვა და ჰქვიან ეხლაც, გადაწვენილს-კი **წიდნა**. ზემომოყვანილი ტერმინი **ანავაზი**-ც დედასა ჰნიშნავს. მართლაც ჩაჩნურად **ანა** დედას ჰნიშნავს **ვაზ**-ი-კი ქართული ვაზი უნდა იყოს. მაშასადამე ქართ. ტერმინის პირველი ნაწილი გადაუთარგმნიათ, მეორე-კი აღარ. ხოლო **წიდნა** მთლიანად არის შეთვისებული და ოდნავ მხოლოდ ფონეტიკურადაა შეცვლილი.

საყურადღებო გარემოებაა აგრეთვე, რომ საქართველოში დასახლებულ გერმანელთა ახალშენებში გერმანელებმაც ვაზის ქართული ჯიშები შეითვისეს და ზოგიერთის ქართული სახელივე, ანდა მისი გერმანული თარგმანი შეინარჩუნეს, მაგ. 1. **საფერავ** Saperau, ანუ Färber,— 2. **მწვანე** Grünbeeren, ანუ მწვანე-მარცვალა,— 3. **რქა-წითელი** Rothölzer, ე. ი. წითელ-ხიანი, წითელ-ლერწიანი,— 4. რქა-წითელის მსგავსადვე გერმანელებს **შავ-კაპიტოლ**ს-თვის Blauhölzer-ი, ე. ი. ლურჯ-ლერწიანი უწოდებიათ. ასეთი სახელები ტფილისის სამხრეთით მდებარე გერმანელთა ახალშენებში ეკატერინენფელდსა, ელიზავეტტალში, ალექსანდერსდორფ-სა, მარიენფელდ-სა, პეტერსდორფ-სა და ფროჲდენტალში იყო გავრცელებული (Очерк виноделния Кавказа СБСвК III, 243, 246, 247).

ვაზის ქართ. ჯიშები ზემოდასახელებულ ქვეყნებზე და კავკასიის საზღვრებზე გაცილებით უფრო შორსაც მოიპოვება. თავის ალაგას (იხ. აქვე გვ. 427) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ დონდრელაბად (Dondrelabi) დამახინჯებული სახელი ქართ. **დონდლლაბი** ინგლისს და ბელგიაშია გავრცელებული, ავსტრიასა, უნგრეთსა და შტირიაშიც მოიპოვება და ხარისთვალას აღმნიშვნელი ადგილობრივ ენაზე ნათარგმნი სახელით არის ცნობილი. ამ „დონდრელაბი"-ს ქართული წარმოშობილობა განთქმულ ფრანგ ამპელოგრაფებს P. Viala-სა და V. Vermolel-საც სცოდნიათ. მათ ნათქვამი აქვთ: „Dondrelabi—Charisthvali, Sakoudschala, Madchanauri (Caucas)", თანაც განმარტებულია: „La Dondrelabi est originaire de la province de Koutais (იხ. P. Viala et V. Vermolel Ampélographie II, 139, 1901 წ.) „დონდრელაბი—ხარისთვალი, საკუჭალა, მაჭანაური (კავკასიითგან)",—„დონდრელაბი წარმოშობილობით ქუთაისის სანახებითგან არის"-ო.

---

[1] „Пространство между канавами заполняется лозами чрез долежение отводков („зитна" по татарски) от старых кустов" გვ. 189.

[2] „Отведенные-же от них (ე. ი. დედა-ვაზისაგან) и зарытые в землю... побеги называются зыдка".

ვაზის გაფურჩქვნა, ე. ი. ხშირი და ზედმეტი ფოთლების ჩამოცლა იქვე, ან ივლისის დამლევს, ან მარიამობისთვის დამდეგს იციან,—ხოლო შეყელვა გაზაფხულზე, რომელსაც **ყარა-ბაილუს** ეძახიან და ივლისის დამლევს, რომელსაც **ჯუჯა-ბაილუს** უწოდებენ (იქვე III, 339). უკანასკნელი ქართ. **აჯოჯვის** ანარეკლი ხომ არ არის? („весною... что туземцами называются кара-байлу, и в конце июля джуджа-байлу").

ცხადია, რომ, თუ ვაზის ზოგიერთი ქართული ჯიშები საქართველოს გარეშეც გავრცელდა და მეზობელსა და შორეულ ქვეყნებშიც გაუტანიათ და გაუშენებიათ, ეს გარემოება ამ ჯიშების განსაკუთრებული ღირსების დამამტკიცებელია. მაგრამ მათი მაღალხარისხოვანი თვისებები მარტო პრაქტიკული მევენახეობითგან ამოღებულ, მათი გავრცელების არეს ამ მოსაზრებით-კი არ მტკიცდება, არამედ ამ გარემოებას ამპელოლოგების მეცნიერული ექსპერიმენტული დაკვირვება და დასკვნაც ადასტურებს.

ამ მხრივ ორი მეტად საგულისხმო ცნობა მოგვეპოვება. სახელდობრ, უკვე წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ნიკიტსკის საბაღოსნო სასწავლებელში ყირიმში ნაწარმოებ დაკვირვებას საფერავის უაღრესად მაღალხარისხოვანი თვისებები გამოუმჟღავნებია. ცნობილი ამპელოლოგის გ. ც ა ბ ე ლ ი ს ნაშრომითგან (Руководстао по виноградарству, Одесса 1873 წ. გვ. 165) ირკვევა, რომ საფერავი უცხო ნიადაგზეც-კი საუკეთესო ფრანგული ყურძნის ჯიშებზე უფრო ნაყოფიერი ყოფილა. ნიკიტსკის ბაღში საფერავის ვაზის 1000 ძირს 1140 გირვანქა მარცვალი მოუსხამს, ფრანგულ Pinaud gris-ს კი 569 გირვანქა, ხოლო Bordeaux-ს მარტო 502 გირვანქა მარცვალი აღმოსჩენია (იხ. Очерк виноделия Кавказа СбСвК III, 227).

საფერავის ტკბილიც ყველაზე უკეთესი გამომდგარა. იმავე დაწესებულებაში გამოკვლეულ წითელი ყურძნის ჯიშითგან ყველაზე ტკბილი საფერავი აღმოჩნდა, რომლის შაქრიანობა გ. ც ა ბ ე ლ ი ს სიტყვით 29% უდრიდა. ამიტომ ეს მკვლევარი მისგან შესწავლილ წითელ ღვინოთა შორის საფერავს საუკეთესოდ სთვლიდა (იქვე).

საყურადღებოა, რომ გერმანელი მეცნიერის ზემომოყვანილი აზრი საფერავის მაღალ ღირსებებზე ინგლისელი ამპელოლოგის H o r t w i s s-ის დასკვნაც სრულებით ეთანხმება. უკვე პროფ. ვ ა ს ი ლ პ ე ტ რ ი ა შ ვ ი ლ ს თავის ცნობილს ნაშრომს „ღვინის დაყენება"-ში ჰქონდა განთქმული ფრანგი ამპელოლოგის O d a r t-ის თხზულებითგან ზემოდასახელებული ინგლისელი მეცნიერის მსჯავრის შემცველი ამონაწერი გადმობეჭდილი. H o r t w i s s-ს ფრანგი ამპელოლოგისათვის საფერავზე თავისი შემდეგი საყურადღებო აზრი უცნობებია: „ყველაფერი უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ წითელი ღვინის დასაყენებლად საფერავი ყველა არსებულ ყურძნის ჯიშს სჯობია და შემიძლიან იგი სრულებით შეგნებულად გირჩიოთ ფართოდ საცდელადაო (იხ. ვ. პ ე ტ რ ი ა შ ვ ი ლ ს ღვინის დაყენება, ტფილისი 1895 წ. გვ. 322)[1].

ცხადია, რომ ასეთი მაღალი ღირსების ვაზ-ყურძნის ჯიშების შექმნა, როგორიც საფერავი, რქაწითელი, ხიხვი, თავკვერი, კაბისტონი, მცვივანი, ჩინური და ბევრი სხვაც არის, ქართველ მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებული, გეგმა-შეწონილი და მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლო. უხვი ამპელოგრაფიული და მევენახეობის ტერმინოლოგია, ვაზ-ყურძნის ჯიშების სიმრავლე ისევე, როგორც მათი სახელების აღმნიშვნელობით გამომჟღავნებული დაკვირვების ნიჭი, ქართ. ვაზ-ყურძნის ჯიშების მაღალხარისხოვან თვისებებთან

---

[1]. რაკი O d a r t-ის ნაშრომი აღარსად იშოვება, ამიტომ მომყავს ეს ამონაწერი პროფ. ვ. პეტრიაშვილის წიგნისდა მიხედვით: „tout m'autorise à croire que le Soperavy est, pour la composition du vin rouge, la meilleur raisin qui exsiste et je puis en bonne concience vous le recommander pour essai en grand".

ერთად სრულ უფლებას აძლევს მკვლევარს დაასკვნას, რომ **ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, მევენახეობის ცოდნისა და საქმიანობის დონეც უეჭველია მაღალი უნდა ყოფილიყო.**

ცნობილია, რომ კაცობრიობის კულტურის ერთი საყურადღებო და საინტერესო საკითხთაგანი მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველი სამშობლოს საკითხია, რომელზეც ბევრი რამეა დაწერილი. დაბადებაში აღბეჭდილს ძველ ებრაულ გადმოცემას, როგორც ვიცით, მეურნეობის ამ დარგის სამშობლოდ ამიერკავკასია მიაჩნია. ამ პრობლემის გამოსარკვევად მკვლევარმა შესაძლებელია ღვინის აღმნიშვნელი სიტყვის სადაურობის გარემოებაც გამოიყენოს საფუძვლად. ამ საკითხზე მსჯელობა კი მხოლოდ მეღვინეობის დარგის განხილვის დროს უნდა გვქონოდა. რაკი ამ წიგნში, უადგილობის გამო, მეღვინეობა ვერ მოთავსდება, ამის გამო საბოლოო მსჯელობაც მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველ სამშობლოზე უნდა შემდეგი წიგნისათვის გადაიდოს. მაგრამ, თუ კაცობრიობის კულტურის ამ დარგის თავდაპირველ სამშობლოზე ჯერ მოსაზრების გამოთქმა არ შეიძლება, **ყველაფერი,** რაც ამ წიგნში **უკვე გამოირკვა ხომ მაინც ცხადჰყოფს, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად უცილობლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული.**

მევენახეობის მიმოხილვაში სათანადო ადგილას ის საფეხურები, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მიწისმოქმედების ამ ქართულ დარგს განვლილი ჰქონია, შეძლებისდა გვარად უკვე აღნიშნული გვქონდა. ვაზის ჯიშთა სახელების ლერწის ფერის მაცაწყებელი ჯგუფისა და მეტადრე ჯიშ-სახესხვაობათა ხნიერების გასაზღვრის შესახებ დასახელებული გვქონდა ის ნიშნებიც, რომელიც მევენახეობის განვითარების ამ ოდინდელი საფეხურების გამომჟღავნებელად შესაძლებელია გამოყენებული იქმნეს. რა თქმა უნდა, რომ ძველი **ვენახი**-ს მაგიერ სამწერლობო ენაში და ქართ. მევენახეობაში ტერმინად **ვაზი**-ის საბოლოო გაბატონებასაც თვალსაჩინო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. თავის ადგილას მოყვანილ მაგალითს გარდა (იხ. აქვე გვ. 111, 292), ამ ტერმინის ძველად ხმარების უფრო მკაფიო და საყურადღებო მაგალითის მოყვანაც შეიძლება. იგი ისეთ ძეგლშიც გვხვდება, როგორიცაა „კაცისა შესაქმე“, სადაც ნათქვამია: „ლეღუსა და სხალსა აქუს სიტკბოებაჲ და **ვაზსა გამოაქუს ყურძენი**“. (მ. ჯანაშვილის გამოც. „მწერლობა IX-X ს. გვ. 112). ამას გარდა ტერმინი **ვენახოვანი** და მისი უკვე მერმინდელი **ვენახ**-ად შენაცვლებაც ისევე, როგორც გარკვეული ხანითგან დიდი ვენახის აღსანიშნავად **ზვარი**-ს გაჩენაც, მევენახეობის ინტენსივობის ძველ საქართველოში თანდათანი ზრდის მაუწყებელია.

მევენახეობის ისტორიის თვითეული ამ მთავარი ხანის უფრო დაწვრილებითი შანაარსის გამორკვევა მომავალის საქმეა. ამისთვის წინასწარი კვლევა-ძიებაა საჭირო: ხელნაწერებში დაცული ანდერძ-მინაწერების გამოქვეყნება და შესწავლა, არქეოლოგიური ნაშთების ამ თვალთსაზრით გულმოდგინედ განხილვა და იქიდგან ყველა გამოსადეგი ცნობების ამოკრეფა და გამოყენება, დასასრულ ამპელოლოგიური დაკვირვებითი და ექსპერიმენტული მუშაობაც უნდა იქმნეს ამ საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხის ჯეროვანი სისრულით გასაშუქებლად. ამ ჟამად ჩვენთვის უკვე ისიც ურიგო მონაპოვარი არ უნდა იყოს, რის დასკვნის საშუალებასაც ზემომოყვანილი გულდასმითი კვლევა-ძიება გვაძლევს, სახელდობრ,

რომ თანამედროვე მევენახეობის ოდინდელი მარაგითგან ჩვენ 30-ზე მეტი ძველის-ძველი ჯიში გვქონია დაცული.

ყველაფერი ცხადჰყოფს, რომ ქართველი მიწისმოქმედი მევენახეობას გატაცებით მისდევდა. ეს გასაგებიც არის, რათგან მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყურძენიც თავისდა თავად საჭმელად, თუ ჩამიჩად, გინდა მისი ტკბილისაგან დამზადებული თათარისა, ფელამუშისა და ჩურჩხელის სახით, მეტად ნოყიერი და სასიამოვნო საჭმელი იყო. ყურძენს საუცხოვო კვებითი თვისებები აქვს და ადამიანის ჯანმრთელობისათვისაც მეტად მარგებელია.

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ პურის ნაკლებობის, სიძვირისა და შიმშილის დროს მდაბიო ხალხი ძველ საქართველოში ყურძნითა და ხილით იკვებებოდა. ა ბ უ ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ს მოთხრობილი აქვს: „იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი დიდი და სიძვირე პურისაჲ“ და გაჭირვებაში ჩავარდნილს ერთი ტაძრის აღმაშენებელს ბ ო ლ ო კ - ბ ა ს ი ლ ს გამოსაკვებად ამ დროს „ხილი მოართჳს: ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთისაჲ, რომელსა ეწოდების ყოლი“-ო (ქ˝კბი II, 115).

უფრო მეტად ფასობდა, რა თქმა უნდა, ღვინო, რომელიც მარტო ადგილობრივ, მხოლოდ თვით საქართველოშიც-კი არ საღდებოდა, არამედ, ქართული ღვინის მაღალი ღირსების გამო, უცხოეთშიც გაჰქონდათ და საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძვირფას საექსპორტო საგანს წარმოადგენდა ისეთ ხანაშიც-კი, როდესაც ჩვენი ქვეყანა კულტურულად და ეკონომიურად უკვე საგრძნობლად იყო დასუსტებული. მაგალითად, შ ა რ დ ე ნ ი ს მოწმობით, არსად იმდენსა და იმაზე უკეთეს ღვინოს არ სვამდენ, როგორც საქართველოში. ჩვენი ქვეყნითგან ღვინო თურმე მე-XVII ს.-ში სომხეთში, მიდიაში და სპარსეთის სატახტო ქალაქს ისპაჰანშიც-კი სპარსეთის მეფისათვის სასმელად ყოველწლიურად ბევრი გაჰქონდათ (Voyages en Perse t. II, 128).[1]

თუ ასეთი ვითარება ყოფილა შაჰ-აბაზისაგან განადგურებულსა და გაღატაკებულ საქართველოში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენი მნიშვნელობა ექნებოდა ღვინის ექსპორტს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმ დროს, როდესაც იგი პოლიტიკურადაც ძლიერი იყო და კულტურულადაც. მევენახეობა-მეღვინეობის საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეზობლებმაცა და მტრებმაც კარგად იცოდენ და სწორედ ამიტომაა, რომ თემურ-ლენგმა მე-XIV ს. დამლევს და შემდეგ მე-XVII ს. დამდეგს შაჰ-აბაზმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს.

---

[1] On peut bien assurer qu'il n'y en a point aussi où l'on boive tant de vin, ni de plus excellent .. On transporte toujours de Tiflis une grande quantité de vin en Arménie, en Médie et à Jspahan, pour la bouche du Roi" (Voyages en Perse t. II, 128).

საძიებლები

პირთა სახელების საძიებელი

ა. ათაბეგოვა 329, 392, 393
ა. არასხანიანცი 238, 239
აბაშიძე დავით სალთხუცესი იხ. დავით
აბდულ-ოღლი ალი იხ. ალი
აბდუშელიშვილი ნ. იხ. ნ.
აბელოვი ნ. იხ. ნ.
აბესაძე გ. იხ. გ.
აბრამა ქენქაძე ხადილას შვილი 28
აბრამა შალაბერიძე 75
აბრამაშვილი ივანე. იხ. ივანე
აბრამ შეტაკიშვილი 93
აბუ ზეიდ ბალხი 117
აბუ ისხაკ ელ ფარსი ელ-ისტახრი 114, 115; II 110
აბულასადი 325; II 82, 83
აბულაძე ი. იხ. იუსტინე
აბულ ყასიმ ობეიდ ალაჰ ბენ ქურდად'ი 117
აბუსეიდ ყაენი 117
აბუსერიძე ტბელი II 125, 201, 202, 603
ა. გამყრელიძე აგრონომი II 317, 330, 366, 445
ად. დირრი II 497
ადერლინდი 377
ადოლფ როლლოვ 149, 150, 151, 153, 156, 159, 160, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 187, 195, 205, 206, 215, 217, 223, 224, 225, 227, 240, 232, 234, 239, 244, 247, 248, 277, 278, 279, 287, 400.
ა. ენგლერი II 17, 22, 23, 39, 53, 368
ავაქ 22
ავაქ ფეიქარი, ორბელიანის ყმა 23
ავთანდილ ხერხეულიძე 35
ათაბეგოვა, ა. იხ. ა.
ათანასიანცი ჰ. იხ. ჰოვჰანეს
ათანასი ტფილელი ამილახვრის შვილი 102, 103
ათანასე ძმაჲ 97
ათენე II 537
ა. იაკოვლევი II 119, 134, 316, 318, 399, 446 447
აკ. რიჟამაძე სტუდ. 371
აკაკი შანიძე პროფესორი 326, 396; II 69, 288
ა. კასპარიანი 366, 367, 369, 370
ალ-ავვამ იბნ, იხ. იბნ.
ალ-ბალხი 114
ალექსანდრე ბარამიძე 158; II 479
ალექსანდრე იმერთა მეფე 126
ალექსანდრე მაკედონელი II 106
ალექსანდრე სარაჯიშვილი II 297
ალექ. შარაბიძე II 439, 441, 443, 445
ალექსანდრე ცაგარელი 39, 289
ალექსანდრე ჰყონია 120, 121; II 5
ალექსანდრე ხახანაშვილი 39, 65, 66, 67, 68, 71; II 302 .
ალექსი იევლევი 125, 126; II 5, 114, 149, 169, 253, 257, 265
ალექსი რუსთა მეფე 126
ალექსი ტომარაძე II 439, 445
ალი აბდულ-ოღლი II 207
ალიშანი 388, 389; II 546, 552
ალ. მაყაშვილი II 247, 248, 249, 251
ალფეზ შავიშვილი II 484
ამარტოლი გიორგი, იხ. გიორგი
ამატუნი, იხ. საჰაკ
ამბაკო ჰელიძე II 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446
ამბროზიო კონტარინი 120, 168
ამბროლაძე გ. იხ. გ.
ამილახვარი იესე, იხ. იესე
ამილახვრის შვილი მინბაში ოთარ, იხ. ოთარ
ამირეჯიბი 12
ამირეჯიბი ზაზა, იხ. ზაზა
ამირეჯიბი მზეჭაბუკ, იხ. მზეჭაბუკ
ანდრია ივანოვი 125
ანდრია პოლუხანოვი 125
ანდრონიკაშვილი ივ. იხ. ივანე
ანტონოვი ტ., იხ. ტ.
ანჯიოლელლო მარია, იხ. მარია
აჲეტი 263
აპოლონიოს როდოსელი 263
არაში თავადი 125
არასხანიანცი ა., იხ. ა.
არისტოფანე 367 II 227, 309
არნოლდ ჩიქობავა პროფესორი II 64, 99, 103, 171, 193, 207, 208, 214, 216, 282, 489, 500
არპოქსაჲ 264
არსენ იყალთოელი 272, 279, 285; II 100, 105
არუთინ დოლბანდელი 37
არქანჯელო ლამბერტი 121, 149, 163, 173, 174, 211, 361, 363, 368, 382, 412; II 5, 39, 40, 41, 42, 72, 76, 115, 163, 169, 257, 276, 281

არღუნი 4
არჩილ მეფე II 124, 133, 136
არჩ. ფასანაშვილი აგრონომი II 441
ა. სოცინი პროფ. 377
ასტაფიევი II 395
ა. ფირალოვი II 119, 120, 122, 124, 127, 133, 300, 329, 330 333, 342, 347, 362, 365, 399, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 495
ალამაჰმად ხან 123
აჭარიანი, იხ. ჰრ. აჭარიანი II 561,4,6,9,73,6,599
აჰმედ ელ-ბალხი 117
ბაგრატ III 100
ბაგრატ IV 131, 143, 144
ბაგრატ აბხაზთა მეფე 97
ბაგრატ აბხაზთა მეფე და კურაპალატი 99
ბაგრატ აფხაზთა მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი 100
ბაგრატ ბატონიშვილი 125
ბაგრატ ძე გიორგი XI-ისა 10
ბაზაძე 83, 84
ბაზიერთ ხუცესი დავით, იხ. დავით
ბაინდურა აზნაურიშვილი მოლაშქრე 17
ბალლასი მიხეილ, იხ. მიხეილი
ბანცუა იოანე, იხ. იოანე
ბაძტარ იბნ, იხ. იბნ
ბარათა ქაჩიბაისძე II 90
ბარამიძე ალექსანდრე, იხ. ალექსანდრე
ბარამიძე ევ., იხ. ევგენი
ბარბარო იოსაფა, იხ. იოსაფა
ბარნოვი ვ., იხ. ვასილ
ბარტელსი 231
ბარტჰოლდი 114, 116
ბარულინა ელ., იხ. ელენე
ბასილი ბერძენთა მეფე 99
ბასილი II ბულგაროქტონოსი 100
ბასილი ეზოს მოძღვარი 160
ბასილი ზარზმელი 134
ბასილი მონაზონი II 126
ბატონიშვილი ბაგრატ, იხ. ბაგრატ
ბატონიშვილი გიორგი, იხ. გიორგი
ბატონიშვილი დომენტი, კ-ხი, იხ. დომენტი
ბატონიშვილი ვახუშტი, იხ. ვახუშტი
ბატონიშვილი თეიმურაზ, იხ. თეიმურაზ
ბატონიშვილი იოანე, იხ. იოანე
ბატონიშვილი იულიონ, იხ. იულიონ
ბატონიშვილი ლევან, იხ. ლევან
ბატონიშვილი ლეონ, იხ. ლეონ
ბატონიშვილი ლუარსაბ, იხ. ლუარსაბ
ბაქარი 134, 138, 149, 157; II 84, 89, 95, 101
ბაქაძე პავლე, იხ. პავლე
ბაქრაძე დ. იხ. დიმიტრი
ბალდასარ თამაზშიშვილი 97
ბახტაძე ი. იხ. ილია
ბაჰარი II 527
ბეგიჩევი ე. იხ. ე.
ბულლიო ვ. იხ. ვ.
ბელოკუროვი ს. იხ. სერგო
ბეჟან მერიქიფე 109
ბეჟან ცულუტასშვილი 91
ბეჟიტასშვილი გურგენა იხ. გურგენა
" დათუნა იხ. დათუნა
" ივანე იხ. ივანე
" პაატა იხ. პაატა
ბერბიჭაშვილი მ., იხილე მიხა
ბერი ზაქარისშვილი 31
ბერი იმნაძე, დედოფლის ჯილავდარი 32
ბერი ნანიჩელაშვილი სახლთუხუცესი 17
ბერი ლუდუშაური 30
ბერი შეტაკისშვილი 93
ბერიშვილი გ., იხ. გ.
ბერიშვილი სულხან, იხ. სულხან.
ბერიძე ე., იხ. ეუკოლი
ბერუა როინიშვილი 9
ბერძენიშვილი ნ., იხ. ნიკო
ბესარიონ ჯარუას ძე ნადარეიშვილი II 447, 449, 450, 451, 553, 454, 487
ბეცია სავანელი 35
ბესიკ ზარზმელი 211
ბიბილაშვილი ვასო აგრონომი, იხ. ვასო
ბიზანტიელი ფაუსტოს, იხ. ფაუსტოს
ბირკინი რ., იხ. როდიონ
ბოლოკ-ბასილი II 603
ბოლნელი იოანე, იხ. იოანე
ბოქაულთ-ხუცესი დავით იხ. დავით
ბოჭორიძე გ. იხ. გიორგი
ბრაუნი პროფ. 401
ბრეგაძე 83, 84
ბროსსე მარი იხ. მარი
ბუასაკ ემ., იხ. ემილე
ბულასშვილი ვეფხია, იხ. ვეფხია
ბულასშვილი იესე, იხ. იესე
ბურნაშევი 127
ბუქაჲს ძე იოანე, იხ. იოანე
ბუში ნ. იხ. ნ.
ბუხურეიშვილი სიმონ ხორეპისკოპოსი იხ. სიმონ
გაბაძე მართა იხ. მართა
გ. აბესაძე 341, 344, 393; II 58, 59, 61
გაბრიელ მოძღვარი 345
გამსახურდია კ. იხ. კონსტანტინე
გალენუსი II 259, 262, 267
გ. ამბროლაძე აგრონომი, II 329
გამყრელიძე ა. იხ. ა

გარსევანიშვილი დიმიტრი, იხ. დიმიტრი
გარსევანიშვილი ტეტია იხ. ტეტია
გარსევან მეთარი 17
გარსევან ტუსიშვილი 17
გარსევან ჩოლოყაშვილი II 256, 263, 264, 267, 268, 276, 281
გ. ბერიშვილი II 171
გეევსკი ვ., იხ. ვ.
გელია ატასშვილი 31
გელია ლუდუშაური 30
გელიაშვილი შიო, იხ. შიო
გეორგ ვარდაპატი II 235
გერმანე არქიმანდრიტი II 154
გვიანა პავლესშვილი 93
გიგო შარაშიძე II 193, 455, 456, 457, 458, 459, 462
გივი თუმანიშვილი 19, 20
გივი ილურიძე, ნიკოლოზისშვილი, მღვდელი 28
გივი საგინაშვილი 17
გივისშვილი ლომნია, იხ. ლომნია
გივი შეტაკისშვილი 93
გინცელი II 542
გიოთე ჰ., იხ. ჰერმან
გიორგი I, მეფე 100
გიორგი III, მეფე 60, 144
გიორგი XI, მეფე 10
გიორგი ამარტოლი II 105
გიორგი ბაგრატისძე იმერეთის მეფე 90, 91
გიორგი ბატონიშვილი 38
გიორგი ბატონიშვილი შაჰნავაზის ძე 62
გიორგი ბერისშვილი 28
გიორგი ბიბილასშვილი 28
გიორგი ბოჰორიძე 44; II 13, 161
გიორგი თედორაძე ექიმი II 144, 145, 148, 224, 227, 229, 287
გიორგი ეშიკაღასბაში 17
გიორგი ილურიძე, ბიბილასშვილი 28
გიორგი ილურიძე ქიტისშვილი 28
გიორგი მაგისტრასი 98
გიორგი მამათმთავარი ათონის ლავრისა 374
გიორგი მერჩული 138, 139, 143, 144, 146, 271 284, 325, 332, 344, 364; II 82, 90, 98, 110 134, 146, 168, 178, 182, 184, 312, 339, 540 541.
გიორგი მეფე 35, 90, 92, 132
გიორგი მთაწმინდელი 99, 143, 150, 210, 211 281, 285, 319, 328; II 19, 31, 104, 146, 312, 322, 326, 331, 338, 361, 363, 541
გიორგი მოლარეთ შიგამდეგი 109
გ. მონაზონი 220, 372, 273; II 100
გ. რეხვიაშვილი 320, 326, 327, 330, 332, 333, 365, 407
გიორგი სავანელი, აზნაურიშვილი 35
გიორგი ფოცხვერაშვილი 28
გიორგი ქენქაძე ბერისშვილი 28
გიორგი ქენქაძე ფოცხვერაშვილი 28
გიორგი ქიტიასშვილი 28
გიორგი ყორჩიბაშვილი 17
გიორგი ჩიტაია 156, 157, 159, 161, 167, 169, 170 171, 172, 177, 178, 179, 181, 184, 186, 188, 189, 190, 195, 205, 207, 220, 235, 237, 249, 250, 251, 263, 267
გიორგი ხადილასშვილი 28
გიორგი ხუცეს-მონაზონი 131, 143, 144, 150; II 541
გიორგობიანი ნუცა, იხ. ნუცა
გიორგობიანი ტატუა, იხ. ტატუა
გლახა ნასიბაშვილი 34
გლახა ფაველენიშვილი ყორიასაულბაშის ნაიბი 32
გ. ლეონიძე 155
გმელინი ს., იხ. ს.
გოგია უზბაში ფალავანდიშვილი 35
გოგია წიწავაშვილი 8
გოგლიძე ნ., იხ. ნ.
გოგსაძე მიხ. იხ. მიხეილ
გ. ოვჩარენკო II 407
გოლეთიანი 92
გოლეთიანი ცქვიტია, იხ. ცქვიტია
გორგაძე სერგი, იხ. სერგი
გორგიჯანიძე ფ., იხ. ფარსადან
გორჯასპი ენდრონიკაშვილი 17
გორჯასპი მდივანი 17, 22
გოში მხითარი, იხ. მხითარი
გრიგოლ ვარდაპეტი 250
გრიგოლ სავანელი, აზნაურიშვილი 35
გრიგოლ საჰთავენელი 62
გრიგოლ ხანძთელი 139, 145, 273, 307, 332, 344, 345, 364 II 110, 134, 147, 182, 325
გრიშაშვილი იოს., იხ. იოსებ
გროსსჰამ II 217
გულდენშტედტი დ-რ იოჰან ანტონ, იხ. იოჰან
გულაბერიძე ნ., იხ. ნიკოლოზ
გურამიშვილი დ. იხ. დავით
გურგენა ბეჟიტასშვილი 9
გ. შარრერი II 332, 347, 395, 397, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 438, 498, 549, 551, 552, 553, 555, 559, 560.

გ. ჩორჩანელი 133, 134
გ. ცაბელი II 601, 602
გ. ˈაგარელი II 58
დავით აბაშიძე სალთხუცესი 35
დავით აღმაშენებელი 5, 135, 144, 147, 152
დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი 4, 143, 283
დავით ბოქაულთ-ხუცესი 7, 9
დავით ბაზიერთხუცესი 17
დავით გარეჯელი 272, 273
დავით გურამიშვილი 159, 159, 278, 282 326, II 479
დავითულა ცღენტის შვილი II 13
დავით დავითისშვილი ელიზბარისშვილი, 10
დავითის ისტორიკოსი 158
დავითისშვილი—ელიზბარის-შვილი დავით იხ. დავით
დავითიშვილი 12
დავით კლიმიაშვილი 33
დავით მაჭავარიანი II 499
დავით-ნარინი 325, 364, 365, 369
დავით ნემსაძე კათალიკოზი 77
დავით სარდალი 41
დავით სარდალ-მოურავი ციციშვილი 33, 34 42,
დავით, ქსნის ერისთავი 265
დავით ლამბაშიძე დეკან. 127
დავით ჩუბინაშვილი 99
დავუდ-ხანი II 282
დათუა მაჩაბელი 35
დათუნა ბეჟიტაშვილი 9
დათუნა ესიტაშვილი 17,
დანდუროვი ე., იხ. ე
დანიელ, კარისწინამძღვარი 62, 64
დალბაშიანი II 246, 323, 533, 535, 547, 548, 549, 599
დებორიანის ძე 134
დედოფალი რუსუდან, ჩერქეზთ ბატონის ასული 19
დეკაპრელევიჩი ლ., იხ. ლეონარდ
დემეტრე მდივან ბეგი 17
დემეტრე ყორჩიბაშიშვილი 17
დემოკრიტე II 376, 387, 368,
დვალი ევ., იხ. ევგენი
დიაკი კლუჩარევი 126, 165; II 5, 142, 221, 265
დიმიტრი ბაქრაძე 99, II 215
დიმიტრი გარსევანიშვილი მგალობელი 24, 25, 26, 27
დიმიტრი II, მეფე, II 126
დიმიტრი ფურცელაძე 5, 23, 37, 56, 66, 67
დიმიტრი შავარდნაძე 261
დიოსკორიდე II 228, 231, 239, 242, 259
დირრი ად., იხ ად.
დოლბანდელი არუთინ, იხ. არუთინ
დოლენჯიშვილი იოანე, იხ. იოანე
დომენიკა ჩიხლაძე II 427, 428, 432, 434, 436, 437, 489
დომენტი კათალიკოზი, ბატონიშვილი 65, 66, 67, 70
დომენტი პატრიარქი 102
დომიციანე კეისარი II 391, 392
დორნ. აკადემ. 114, 115, 116, 117
დჯბუა ფ. იხ. ფ.
ეგნატაშვილი ბერი II 126, 140
ე. დანდუროვი II 119, 121, 122, 123, 124, 132, 134, 318, 348, 399, 439
ევგენი ბარამიძე II 120
ევგენი დვალი II 439, 444
ევ. ისაკაძე II 439, 440, 441
ე. ი. ვაჭაძე II 399
ელენე ბარულინა II 15, 16, 17, 18, 67
ელენე, ქსნის ერისთავის დავითის ასული 265
ელიზბარ მაჩაბელი 35
ელიზბარ მოლარეთ-ხუცესი 33
ელიანი 416
ელჩინი თ. იხ. თევდორე
ემილე ბუასაკ II 249
ემილე ლიტტრე II 152, 385
ემინ-ედ-დინ-ნასრ 116
ენგლერი ა., იხ. ა.
ენდრონიკაშვილი გოჯასპი, იხ. გოჯასპი
ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო, იხ. ქაიხოსრო
ენოქ ნაზარიანი აგრონომი II 548
ეპიფანე ბერი 325; II 82, 83
ერეკლე I, მეფე 5
ერეკლე II, მეფე 23, 24, 36, 48, 58, 59, 122, 123, 127
ერეკლე ფალავანდიშვილი 35
ერისთავი რ., იხ. რაფიელ
ერისთავი შალვა, იხ. შალვა
ერკერტი 159; II 99
ერმილე ნაკაშიძე II 119, 121, 123, 125, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 299, 308, 309, 310, 314, 316, 329, 330, 331, 341, 342, 347, 348, 362, 365, 367, 399, 426, 427, 428, 429, 430, 432, 433, 434, 435, 437, 438, 447, 448, 449, 450, 452, 453, 454, 455, 460, 461, 463, 464, 465, 476, 483, 494, 519
ესიტაშვილი დათუნა, იხ. დათუნა
ეფთვიმე მთაწმინდელი 99; II 104
ეფრემ მცირე 153, 154; II 367
ექვთიმე თაყაიშვილი 9, 10, 14, 15, 18, 19, 20, 23, 56, 58, 59, 71, 72, 73, 76, 77, 78, 84, 95, 152; II 141, 154, 282
ეშიკაღასბაში გიორგი, იხ. გიორგი

ვავილოვი ნ., იხ. ნ.
ვალენტინა სუპატაშვილი 327, 339, 340, 341, 342, 344, 345, 397; II 61
ვანო კეცხოველი 196
ვარდანი 241; II 547
ვარდან კონსტანტინეს ძე 97
ვარლამ თოფურია, პროფესორი 335; II 62, 66, 123, 126, 131, 315, 447
ვარრონი 382, 390; II 106, 349, 350, 363, 376, 377, 386, 390
ვასილ ბარნოვი 121
ვასილ პეტრიაშვილი, პროფესორი II 602
ვასილი პლეჩკევი 125
ვასო ბიბილაშვილი, აგრონომი II 297, 299, 328, 329, 333
ვაწაძე, ე. ი. იხ. ე.
ვახტანგ VI, მეფე 5, 6, 18, 21, 39, 51, 52, 55, 58, 352, 379; II 40, 138, 141, 201, 202, 205, 215, 220, 257, 265, 292, 340, 342, 365, 526
ვახუშტი ბატონიშვილი 19, 113, 114, 273, 285 286, 287, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296 297, 298, 300, 301, 302, 303, 304, 305, 306 307, 308, 309, 310, 311, 319, 321, 324, 351 361, 362, 363, 369, 374, 376, 421, II 5, 8, 14 18, 25, 30, 31, 36, 37, 40, 54, 56, 58, 102 113, 114, 120, 128, 129, 130, 137, 141, 142 149, 154, 161, 163, 165, 168, 170, 177, 185. 187, 188, 191, 201, 202, 209, 220, 221, 222, 226, 227, 231, 238, 240, 241, 243, 245, 246, 247, 252, 253, 257, 263, 264, 365, 266, 268, 275, 282, 307, 334, 335, 336, 337, 339, 345, 452, 490, 500, 525
ვახუშტი ჯავახიშვილი 33
ვ. ბელლიო 163
ვ. გეევსკი II 397, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 438, 498, 549, 551, 552, 553, 555, 559, 560—575
ვერგილიუსი 228; II 17, 376, 379, 380, 389, 390
ვერმიშევი ქრ., იხ. ქრისტეფორე
ვეფხია ბულასშვილი 31
ვირხოვი II 22
ვიტტმაკი II 39, 59
ვიქტორ ჰეჰნი 338, 362, 374, 403, 404, 416; II 24, 374, 376, 378, 391, 392
ვ. ლიპსკი II 188
ვლადიმერ მენაბდე 326, 327, 329, 330, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 339, 341, 342, 343, 347, 348, 349, 350, 351, 352, 353, 354, 356, 357, 358, 366, 371, 386, 389, 393, 394, 406 II 6, 13, 15, 16, 26, 33, 41, 61, 77, 252
ვლადიმერ ფოფხაძე II 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446
ვ. მილლერი 235
ვსევოლოდკსი ი., იხ. იოანე
ვ. სტაროსელსკი II 399, 400, 426, 428, 429 430, 431, 432, 433, 435, 436, 437, 524
ვუკოლ ბერიძე 213, 214, 215; II 120, 123, 129, 223, 313, 314, 315, 322, 324, 325, 329, 487.
ვულლერსი II 527
ვ. ფედოროვი II 67
ზაალ არაგვის ერისთავი 65
ზაალ მერიქიფე 109
ზაალ სუფრაჯი 17
ზაალ ფალავანდიშვილი 35, 36
ზაგურსკი ლ, იხ. ლ.
ზაზა ამირეჯიბი 35
ზაზა ამირეჯიბი, ხუთასის თავი 36
ზალია ლუდუშაური 30
ზალკინდი ფ. იხ. ფ.
ზანდუკელი მ. ზ. იხ. მ.
ზარზმელი ბასილი იხ. ბასილი
ზარზმელი ს., იხ. სერაპიონ
ზაქარია ბენ მუჰამედ ელ ყაზვინი 114, 115
ზაქარია ელიბილი 38
ზაქარია ყანჩაეელი, პროფესორი 275, 287, 318, 322, 323, 357, 372, 374; II 4, 19, 147, 150, 151, 153, 154, 161, 165, 166, 223, 225, 246, 250, 258, 277, 280, 281, 287, 295, 296
ზაქარია ციციშვილი, სალთხუცესი 33
ზაქარია ჰიჰინაძე II 137
ზახარიევი პ., იხ. პავლე
ზედაზნელი ი., იხ. იოანე
ზედგინიძე იესე, იხ. იესე
ზელინსკი ს., იხ. ს.
ზვენიგოროდსკი ს., იხ. სიმონ
ზურაბა ცხვარაშვილი 35
ზურაბ ბოქაულთუხუცესი 55
ზურაბ ფალავანდიშვილი, ბოქაულთხუცესი 35
თალგამაძე II 206
თამაზ ჩიტასშვილი 29
თამამშიშვილი ბალდასარ, იხ. ბალდასარ
თამარაშვილი მ., იხ. მიხეილ
თამარის მეორე ისტორიკოსი 150
თამარ მეფე 144
თაქთაქიშვილი იოანე, იხ. იოანე
თაყაიშვილი ე., იხ. ექვთიმე
თედო ჟორდანია 17, 60, 61, 80, 95, 99, 100, 101, 102, 365
თედორაძე გ., იხ. გიორგი
თევდორე ელჩინი 125, 165, 379
თეთრი გიორგი 262
თეიმურაზ I, მეფე II 5

თეიმურაზ II, მეფე 56, 103
თეიმურაზ ბატონიშვილი 17, 18
თეიმურაზ კახთა მეფე 126
თეიმურაზ ჯავახიშვილი 33
თეკლა მონაზონი II 13
თემურ-ლენგი II 604
თეოფრასტე 362, 382; II 24, 203, 213, 242, 255, 259, 326
თმოგველი სარგის, იხ. სარგის
თმოგველი ფარსმან, იხ. ფარსმან
თომაძე სამსონ, იხ. სამსონ
თუმანიანი მ., იხ. მ.
თუმანიშვილი გივი, იხ. გივი
თუმანიშვილი მანუჩარ, მდივანი, იხ. მანუჩარ
იაკობი, დიდი მონასტრის დეკანოზი 368
იაკობ რაინეგგ. დ-რ 123
იაკობ ხუცესი 146, 357, 417
იაკოვლევი ა., იხ. ა.
იასე ლუდუშაური პაპასშვილი 31
იასე ცინცაძე, დოცენტი II 394, 455, 456
იბნ ალ-ავვამ II 107, 155, 163, 165, 189, 194, 204, 232, 242, 244, 250, 252, 256, 260, 267
იბნ ბაითარ II 55, 107, 155, 163, 189, 194, 204, 228, 244, 250, 256, 282, 533
იბნ ჰაუკალ II 216, 260
იევლევი ალ., იხ. ალექსი
იასე ამილახვარი 35
იესე ბულასშვილი 31
იესე ხედგინიძე, მერიქიფეთ-უხუცესი 108
ივანე ბექიტაშვილი 9
ივანე ანდრონიკაშვილი II 311, 535, 549, 551, 552, 553, 554, 556, 557, 558, 559, 560—576
ივანე ვსევოლოდსკი 125
ივანე ილურისძე აბრამიშვილი 28
ივანე ლეონტიევი 125
ივანე ნიკოლოზისშვილი 28
ივანე ნაშჩოკინი 125
ივანე ნიჟარაძე 213 327, 372, 417; II 21, 62, 66, 82, 99, 150, 187, 194, 202, 206, 214, 215, 239, 269, 277
ივანოვი ა., იხ. ანდრია
ივოვი პ., იხ. პეტრე
ი. კლაპროთი 123, 167, 168, 170, 178, 190, 192, 206, 235, 238, 239, 244, 248, 269, 326, 328, 352, 362, 365, 370, 381, 398, 401, 402, 417, 418; II 336, 337, 344, 346, 394
ილია ბახტაძე 199, 329, 331, 333, 365; II 331, 398, 427, 428, 430, 432, 433. 434, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444, 435
ილია წინამძღვრიშვილი II 314, 333, 361, 362,
ილია ჭავჭავაძე II 297
ილია ქყონია 163, 344; II 130
ილურიძე გიორგი, იხ. გიორგი
ილურიძე იოსებ, იხ. იოსებ
ილურიძე კიკოლა, იხ. კიკოლა
ილურიძე ნიკოლოზისშვილი მღვდელი გივი, იხ. გივი
ილურიძე ოქროპირ აბრამიშვილი იხ., ოქროპირ
ილურიძე სიხარულ აბრამისშვილი, იხ. სიხარულ
ილურიძე სოსო აბრამისშვილი, იხ. სოსო
იმნაძე ბესო იხ. ბესო
ინგოროყვა პ., იხ. პავლე
იოაკიმე მღვდელი 125
იოანე ბანცუა 97
იოანე ბატონიშვილი 52, 394; II 20, 21, 76
იოანე ბოლნელი 419, 420
იოანე ბუქაის ძე 98
იოანე დოლენჯიშვილი 110
იოანე ზედაზნელი 150, 156
იოანე-ზოსიმე II 542
იოანე თაქთაქიშვილი 34
იოანე მთაწმიდელი 98, 99
იოანე მტბევარი II 290, 291
იოანე მწიგნობართ-უხუცესი 97
იოანე რუსყოფილი 97
იოანე საბანისძე 275, 276, 277. 284; II 98, 301
იოანე ლავასშვილი 152
იოანე შავთელი 158, 284; II 104, 111, 343, 532
იოანე, ძმა მეფის სახლთ-უხუცესის ზურაბისა 110
იორდანიშვილი ს., იხ. სოლომონ
იოსაფა ბარბარო 120, 368
იოსებ გრიშაშვილი II 439
იოსებ ილურიძე 28
იოსებ კავკაველი 235
იოს. მუჩაიძე 196
იოსებ მჭედლიშვილი II 402, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 414
იოსებ ყიფშიძე, პროფესორი 169, 200, 272, 320, 327, 360, 364, 372; II 11, 62, 64, 99, 121, 125, 126, 130, 159, 171, 177, 186, 193, 202, 215, 238, 239, 242, 248, 254, 277, 280, 295, 309, 315, 323, 325, 448, 450. 453, 456
იოსელიანი პლ., იხ. პლატონ
იოსიფოს ფლაბიოსი 404
იოჰან ანტონ გკლდენშტედტი, დ-რ 122, 123, 161, 165, 166, 167, 168, 170, 187, 197, 199, 217, 232, 233, 234, 235, 238, 239, 260, 289, 328, 333, 340, 341, 342, 344, 346, 352, 353, 254, 356, 360, 362, 364, 365, 371, 394, 398, 406, 416; II 5, 6, 9, 14, 20; 21, 39, 40, 41, 102, 133, 143, 144, 149, 153, 154, 158, 161, 163, 165, 169, 187, 194, 195, 201, 202, 206, 215, 216, 221, 247, 251, 253, 254, 257, 266, 269, 275, 276, 338, 337, 344, 346, 347, 365, 499, 500, 502, 536

იპოლიტე II 101, 300
ირაკლი მეფე კახეთისა 56
ირაკლი, ძე მეფის თეიმურაზისა 103
ირისე ფურთუკალად-ყოფილი 97
იროდიონ სონღულაშვილი 190, 195; II 417, 418, 422, 423, 425
ისაკაძე ევ., იხ. ევ.
წ'ა ისიდორე სევილიელი II 380, 532
ისკანდერ მუნში II 136
ისტაჰრი, იხ. აბუ.
იულონ ბატონიშვილი 38
იულონ ლომოური, პროფესორი 341, 366; II 38
იუსტინე აბულაძე 244, 279, 280; II 197
იყალთოელი არსენი, იხ. არსენი
კაკაბაძე ს. იხ. სარგის
კალანდაძე 84
კარლოს დიდი 229; II 153, 163, 175, 180, 189, 199, 204, 207, 213, 219, 228, 230, 231, 237, 242, 244, 245, 246, 250, 252, 256, 259, 271
კასპარიანი ა. იხ., ა. კასპარიანი.
კასტელლი ქრისტეფორე, იხ. ქრისტეფორე
კატონი 390; II 106, 349, 353, 363, 376, 378, 390.
კატონ უფროსი II 376
კაცაძე 84
კახა მეპურპლეთ-უხუცესი 152
კახეთელიძე სერგო, იხ. სერგო
კახოს 264
კ. ბეგიჩევი 127
კესარიელი პრ. იხ. პროკოპი
კეცხოველი ვ., იხ. ვანო
კეცხოველი ნ. იხ. ნიკო
კვირიკე ბერძენი 153
კვირიკე მეფე 100
კიკოლა ილურიძე 28
კიკორაძე 75
კილიჩ 239
კიორნიკე II 39
კირილე, ძე რატი ერისთავთერისთავისა 101
კირილე ხუცესმონაზონი 125
კირიონ ეპისკოპოზი 71
კლაპროთი ი., იხ. ი.
კლიმიაშვილი დავით, იხ. დავით
კლუჩარევი დიაკი, იხ. დიაკი
კოსტ. მელიქ-შაჰნაზარიანცი II 546, 553, 558, 558, 559, 560, 561, 566, 567, 574, 575, 600
კოლაქსაი 264
კოლუმელლა 368, 377, 383, 390, 407, 417, 420; II 28, 34, 106, 320, 326, 327, 349, 350, 351, 352, 354, 359, 361, 361, 364, 376, 380, 381, 382, 383, 384, 386, 387, 388, 389, 390, 477, 482, 592, 584
კონტარინი ა., იხ. ამბროზიო
კონსტანტინე VIII, ბერძენთა მეფე 99, 100
კონსტანტინე გამსახურდია 197
კონსტანტინე ქრისტეშია, იხ. ქრისტეშია
კონსტანტი პროედროსი 97
კოხი II 394
კ. პროზოროვა II 27, 28
კვირიკე კახთა მეფე 131
კუდრინი ტ., იხ. ტიმოთე
კუზმა სოვინი 125
კუპუხიძენი 83
კუხოს 264
კუპრუხაძენი 79
ლამბერტი არქანჯელო, იხ. არქანჯელო
ლატიშევი 265
ლეონარდ დეკაპრელევიჩი 326, 327, 329, 333, 335, 336, 339, 341, 351, 353, 354, 359, 366, 367, 369, 370, 371, 393, 394, 395, II 6, 9, 10, 11, 14, 15, 16, 19, 20, 21, 22, 26, 30, 31, 33, 36, 37, 38, 39, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 55, 56, 57, 58, 59, 76, 77, 78
ლევან ბატონიშვილი 62
ლევან დადიანი 125
ლევან ლეონიძე 198, 261
ლეზერი პ., იხ. პ.
ლეონ ბატონიშვილი 38, 39
ლეონიძე გიორგი, იხ. გიორგი
ლეონარდ მსერიანცი 160
ლეონარდ ფუხსი II 256
ლეონიძე ლევან, იხ. ლევან
ლეონ მელიქსეთ-ბეგი 236
ლეონტიევი ივ. იხ. ივანე
ლეონტი მროველი 264; II 542
ლე-სტრენჯი 116, 117
ლექსა ჯაჯანაშვილი II 326
ლეშკაშვილი ს., იხ. ს.
ლიპოქსაი 264
ლ. ზაგურსკი II 425
ლიპსკი ვ., იხ. ვ.
ლიპსკი ნ., იხ. ნ.
ლიტტრე ე., იხ. ემილ
ლომნია გივიშვილი 31
ლომნია ლუდუშაური 30
ლომოური ი., იხ. იულიონ
ლომოური ნ., იხ. ნიკო
ლოპატინსკი 233, 396
ლუტერი II 81, 249
ლუარსაბ ბატონიშვილი 62
ლუარსაბ მაყაშვილი 23
ლუარსაბ მაჩაბელი 35
ლუკიანე, დავით გარეჯელის მოწაფე 272, 273,

ლუციუსი 374
ლ. ჯორჯაძე II 300, 304, 316, 328, 332, 341, 362, 364, 396, 397, 402, 403, 406, 408, 410, 412
მაკალათია ს., იხ. სერგი
მაკედონელი ალექსანდრე, იხ. ალექსანდრე
მალაქია გურიელის ძე ცაიშელ-ხონელ-ჯუმათელი 80
მალაქია კათალიკოზი 80, 88
მალხასიანი ჰ., იხ. ჰოვჰანეს
მამამთავარი მირზაშვილი ჯვარის მტვირთველი 69
მანუჩარ მდივანი 22, 23, 24
მარდალაშვილები 83
მართა გაბაძე 195, 326
მარი ბროსსე 90, 99, 113, 124; II 137
მარია ანჯიოლელლო 120
მარიამ დედოფალი 62
მარიამული 195
მარკო პოლო II 260
მარკოვი ფ., იხ. ფ.
მარრი ნიკო, იხ. ნიკო
მარტვრი 160, 156, 158, 272, 284, 287
მაყაშვილი ალ., იხ. ალ.
მაყაშვილი, ასისტენტი 197
მაყაშვილი ლუარსაბ, იხ. ლუარსაბ
მაყაშვილი რევაზ, იხ. რევაზ
მაყაშვილი სიდონია, იხ. სიდონია
მაჩაბელი ლუარსაბ, იხ. ლუარსაბ
მაჩაბელი ს., იხ. ს.
მაჩაბელი ფარსადან, იხ. ფარსადან
მაჰკავარიანი დავით, იხ. დავით
მდივანბეგი დემეტრე, იხ. დემეტრე
მდივანბეგი პაატა, იხ. პაატა
მდივანი გორჯასპი, იხ. გორჯასპი
მდივანი შიოშ, იხ. შიოშ
მეგრელიძე 84
მედვედევი II 368
მეითარი გარსევან, იხ. გარსევან
მეითარი ფარსადან, იხ. ფარსადან
მელაძე ნატრია, იხ. ნატრია
მელიქსეთ-ბეგი ლეონ, იხ. ლეონ
მელიქ-შაჰნაზარიანცი კ., იხ. კოსტ.
მელქისედეკ კათალიკოზი 99, 100
მელქონ (დავითის ძმა) 38
მენაბდე ვლ., იხ. ვლადიმერ
მენთეშაშვილი სტ., იხ. სტეფანე
მერკვილაძე ს., იხ. ს.
მერჩული გიორგი, იხ. გიორგი
მეფარისშვილი 84
მეცერცვიაშვილი 76
მზარეული 109
მზექაბუკ ამირეჯიბი 35
მზექაბუკ ჯავახიშვილი 33, 34
მ. ზ. ზანდუკელი 366
მ. თუმანიანი 388, 389, 399
მ. ივ. როსტოვცევი 114
მიკირტუმა (შადინაანთი) 38
მილლერი ვ., იხ. ვ.
მირზა აბდულლა ბენ-აბდალ დაფთარ II 310, 543
მიქელაშვილი 10
მიშეცკი, თ-დი ელჩი 126, 165, 379; II 5, 142, 221, 257, 265
მიხა ბერბიჭაშვილი 195
მიხაელ ფსელოსი II 265
